ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომან ჩარაგეიშვილი

ამიხორცის ლაჩრები

როლანდ ბარბარეზი

ბავშვის ტანჯვა

«ნაკადული» თბილისი 1976 წ.

Г 2
899.962.1—3
ჩ 313

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 262.701
3

როდამ ჩაჩანიძე მწერალიცაა და მეზღვაურიც. ცნობილია მისი ნაწარმოებები: „თეთრი ხომალდი“, „ჩაძირული კუნძული“, „ლურჯი სეინერის კაპიტანი“, „გზა ნავსადგურისაკენ მიდის“, „მოაგარაკე ყმაწვილები“ და სხვ. იგი დღესაც ოკეანეშია და მეზღვაურულ ჭაპანს ეწევა. რა თქმა უნდა, გასაკვირი არცაა, რომ მის შემოქმედებაში საინტერესოდაა წარმოდგენილი მეზღვაურთა რთული ცხოვრება.

ამ ახალ ფანტასტიკურ მოთხრობაში წყლისქვეშეთის ბუნება და ცხოველთა სამყარო ისე ნათლად და დამაჯერებლადაა დახატული, რომ ზღაპრული და განუხორციელებელი სულაც არ მოგეჩვენებათ ოკეანის ფსკერზე დატრიალებული ამბავი.

პირველი გამოცემა

© „ნაკადული“, 1976

Ч $\frac{70803-9}{М-603(08)-76}$ 133—76

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტანი მაღალი, მოსული კაცი იყო. ოცდარვა-ოცდაცხრა წლისა თუ იქნებოდა. ეს ის ასაკია, როცა სახეზე ჯერ კიდევ არაა წაშლილი ბავშვობის დროინდელი უმწიკვლო ხაზები, მაგრამ კაპიტნის ლოყებსა და ღაწვებს, უკვე მოესწროთ ამ მშვენიერების ჩამორეცხვა.

კუშტი, დაძაბული სახე ჰქონდა. მოდის მიხედვით ბაკენბარდებიც მოეშვა და თითქმის ყურის ბიბილოებს უწევდა ჭალარაშერეული თმის სქელი ზოლი.

ის ახლა საწერ მაგიდასთან იჯდა, ბლოკნოტი გაეშალა. ჩასცქეროდა ციფრების დომხალს. გარეშე კაცი ვერც თავს გაუგებდა და ვერც ბოლოს, მაგრამ თვითონ ალბათ ყველაფერი კარგად ესმოდა, თვალები ციფრებიდან ციფრებზე მიურბოდა.

მერე თავი ასწია. კედელზე ლამაზი ქალისა და ერთი პუტკუნა ბიჭის სურათი ეკიდა. სწორედ მათ შეხედა, გაღიმებაც სცადა, მაგრამ მთლად ასე არ გამოუვიდა, ბიჭს თვალი ჩაუკრა და ბოგურასაკენ გამავალ კარს მიაშურა.

მძიმე კარი ნელა გამოაღო. სანამ ბოგურაზე შევიდოდა, საწერ რუკასთან თავდახრილ მეორე თანაშემწეს შეხედა.

— ირაკლი, ჩანაწერები როგორია?

— ჩინებული, ამხანაგო კაპიტანო. ეს დალოცვილი ძალიან ბარაქიანად წერს, მგონი, ქერის ორმოში ჩავვარდით.

კაპიტანმა შტურმანების ოთახი გაიარა, ბოგურაზე ავიდა. უკან მეორე თანაშემწეც მიჰყვა.

ბოგურაზე კი, ხმის ჩამწერ აპარატთან, ანძასავით წაგრძელებული აკუსტიკოსი ოთხად მოკეცილიყო.

ჩხირებად ქცეული ფეხები ჩამწერის შავი, გრძელი ყუ-

თისათვის შემოეწყო. თავი ეკრანზე დაეხარა ისე, რომ გრძელი, ყვითელი ცხვირისწვერი მიწაზე ჰქონდა მიჭყლეტილი.

კაპიტანმა რაღაც თქვა, მაგრამ აკუსტიკოსს არაფერი გაუგონია. კაპიტანმა გაიარა, ბოგურის ბოლოში მივიდა. აივანზე გამავალ კართან შემობრუნდა, ისევ მწყობრი ნაბიჯებით წამოვიდა. აკუსტიკოსთან ერთბაშად შედგა, ბეჭზე ხელი დაჰკრა.

— შენ გეუბნები, მერაბ, კარგად წერს?

— თევზი ბლომადაა. ზუსტად ჩანაწერზე მივდივართ.

კაპიტანი რადიოსთან დადგა. დიდ, მასიურ წითელ ღილაკს თითი მძიმედ დააჭირა და ომახიანად ჩასძახა:

— მოამზადეთ ტრალი!

ორიოდე ნაბიჯით ფართო მინას მიუახლოვდა. მინის იქით ოკეანის ლურჯი, უსასრულო ზოლი ჩანდა. ღელვა არ იყო და წყალიც ზეწარივით გადაჭიმულიყო. ახლად დაუთოებულ ამ ლურჯ ზეწარზე სათევზაო გემებს მრუდე ხაზები გაჰყავდათ.

კაპიტანი კუშტად გაჰყურებდა უკიდეგანო მიდამოს. წინ, სულ ასიოდე მეტრის დაშორებით, ალბატროსებს ჰქონდათ ერთი ჟივჟივი. გრძელ, განიერ წრეს არტყამდნენ. მერე ერთბაშად მოსწყდებოდნენ ცას და ოკეანეზე პიკირებით ვარდებოდნენ. ხუთიოდე წუთით წყალში უჩინარდებოდნენ. შემდეგ კმაყოფილნი ისევ ზედაპირზე სოკოსავით ამოძვრებოდნენ და კვლავ ცისკენ მიფრინავდნენ.

იცოდა ნაცადმა კაპიტანმა, რასაც ნიშნავდა ალბატროსების ასეთი ნავარდი.

— მთლად გაგიჟდნენ, ალბათ თევზის დიდი ქარავანია.

თქვა მეორე თანაშემწემ. მას ჩიბუხი გაეჩაღებინა და კვამლსაც ბარაქიანად ყლაპავდა. ისეთ მაგარ ნაფაზს ურტყამდა, რომ მთელი სახე ლურჯ კვამლში უჩინარდებოდა.

კაპიტანმა არაფერი თქვა, ისევ მივიდა რადიოსთან. თითი წითელ ღილაკს შეახო, თვალით მოზომა მანძილი, ალბატროსების ქარავანს რომ აშორებდა, აკუსტიკოსს გახედა და ღილაკს დააწვა.

— ტრალი ბორტს იქით! გაიგეთ? ჩააგდეთ ტრალი! — შებრუნდა და იმ კარს მიაშურა, ბოგურასა და მარჯვენა ფერდის აივანს რომ აკავშირებდა. აივანი თითქმის სირბილით გალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკანა ბოგურზე დადგა. აქედან კარგად ჩანდა უკანა ერდოზე მოფუსფუსე მატროსები. დამქაჩთან ჩასკვნილი, ტონტორა ანდრო გაბოშვილი იდგა. თავი ზევით აღემართა და ტროპიკული მზით დამწვარი სახე უღონო, ლიცლიცა სხივებისათვის მიეშვირა. თავად მზე კი, დიდ, უზარმაზარ წითელ ბურთად-ქცეული, უკვე ოკეანის ჩოგანზე იდო და საცაა, მეორე ნახევარსფეროში უნდა გაცურებულიყო.

ტრალი ნელა ეშვებოდა ოკეანეში. საღამოს სხივებში ლამაზად ელავდნენ წითელი ბურთულები. ფოლადის გვარლი კი უსიამოვნო, ღრჭიალით ტოვებდა ერდოს.

— რვაასი მეტრი!

დაიძახა კაპიტანმა.

— არის, რვაასი! — უპასუხა ანდრო გაბოშვილმა, — კარგი ჩანაწერია?

კაპიტანს არ უპასუხია და არც ანდრო გაბოშვილს გასჩენია სურვილი, მეორედ დაესველებინა ენა.

— ნელა ჩაუშვით გვარლი!

— არის, ნელა! — კვლავ შესძახა გაბოშვილმა.

კაპიტანმა რკინის კიბე ჩაირბინა.

მეტრალეები მთელი დაძაბვით შრომობდნენ. მაღალი, მოსული ბიჭები იყვნენ. ჩაკუნთულნი, მზისგან გარუჯულები მძიმედ მოძრაობდნენ, მაგრამ თითოეულ ნაბიჯში იგრძნობოდა სიმტკიცე და შეუვალობა. ხანდახან, როცა თვალებზე ჩამოღვენთილ ოფლს მარჯვენათი ჩამოიწმენდნენ, ერთ წუთს მათ დაღლილ გამოხედვასაც შენიშნავდით, მაგრამ ისე გულდაჯერებით მუშაობდნენ, ამ მოქანცულ თვალებს ანგარიშს ვეღარ გაუწევდით.

მათ თითქოსდა ყოველი მოძრაობა, გამოხედვაც კი, გათვლილი ჰქონდათ. არც ერთი ნაბიჯი არ იყო ზედმეტი, ხელის არც ერთი გაქნევაც კი... ყველაფერი ემორჩილებოდა იმ რთულსა და სახიფათო სქემას, რომელიც მეტრალისათვის სტიქიურად იწერება.

ტრალი ოკეანეში გაუჩინარდა. ანდრომ დამქაჩი მუხრუჭზე დააყენა და გემბანზე გამობაჯბაჯდა. ახლა მეტრალეებმაც მოითქვეს სული.

— საამქროში თევზი არის კიდევ? — იკითხა კაპიტანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ერთი ცალი. ორმოცი წუთია უქმად ვდგავართ, — თქვა ერთმა მატროსმა, კაპიტანთან ყველაზე ახლოს რომ იდგა და შარვალზე მოდებულ თევზის ქერცლს სველი ხელებით იშორებდა.

— ახლა ამოვა ბლომად, კარგი ჩანაწერია.

— ღმერთმა აგაშენოთ, უსაქმურობისაგან ლამის მთქნარება ამიტყდეს.

ეს უკვე გაბოშვილმა ჩაიბურდღუნა და კაპიტანს ალერსიანი მზერა ესროლა.

— თევზი იქნება, გულს ნუ გაიტეხთ.

— გულის გატეხა არც კი გვიფიქრია. თევზი ერთი უჭკუო არსებაა, ის დალოცვილი მოიქნევს კუდს და აქაა, კიდევ მოიქნევს და ბალთას... მიდი და სდიე. ჩვენთან, იგოეთში, ერთი დაწრეტილი მდინარე არის. ხუთი ლიფსიტა ძლივს დახანხალებს შიგა, იმათი ვერაფერი გავიგეთ და აბა ამ ოკეანისა თქვი, რამდენი ძაღლი და მამაძაღლია, მიდი და გაუგე!

გაბოშვილმა უშველებელი საჩვენებელი თითი შუბლზე მოისვა, მერე აიქნია და ოფლი იატაკზე ჩამოფერთხა.

— ასეა თევზის ამბავი. პაპაჩემი მეთევზე იყო... მთელს სოფელს ამარაგებდა, ისეთი დღეებიცა ჰქონდა, როცა ცარიელ-ტარიელი შუკაში გაილალებოდა, აქაოდა სოფლის ყბაში არ ჩავვარდეო.

— ეე, რა მოხდა, კაპიტანო! ნახეთ, გვარლი როგორ მოფამფალდა. ნახეთ, კაპიტანო! ე, რა არი?

კაპიტანმა ფოლადის გვარლს ხელი ჩაავლო. დააწვა და, როცა გვარლი ადვილად დამორჩილდა, იატაკისაკენ დაიწია, გაოცებულ მეზღვაურებს ახედა. კრინტიც არ დაუძრავს. დაძაბულ სახეზე საფეთქლის კუნთები უკრთოდა მხოლოდ. თითქმის ერთი წუთი იდგა ასე. თუმცა მეზღვაურებს ეგონათ, მთელი საათი გავიდაო. მერე გვარლს ხელი უშვა, რკინის კიბეს მძიმე ნაბიჯებით აჰყვა და როცა სატრალო ბოგურაზე ავიდა, მხოლოდ მაშინ დაიხავლა:

— ამოიღეთ ტრალი!

მეზღვაურებს ეუცნაურათ კაპიტნის ხმა. ის არასოდეს ყოფილა ასე ჩახრინწული. იდგნენ და სატრალო ბოგურაზე ქანდაკებასავით წამომართულ კაცს შეჰყურებდნენ.

— მაშ, ამოვიღოთ, არა? — ჩაიბურდღუნა გაბოშვილმა.

— რა ეშმაკი შეგიჯდათ! ნუთუ არ გესმით ჩემი ნათქვამი, აკი ვბრძანე, ამოათრიეთ-მეთქი!

შებრუნდა და ბოგურას მიაშურა. სანამ კარს შეაღებდა, მეორე თანაშემწე შემოეყარა.

— ამხანაგო ნუგზარ!

კაპიტანმა ხელი ჩაიქნია და კარი მძლავრად გამოაღო, ორ გრძელ ფეხზე ყანჩასავით წამოსკუპებულ აკუსტიკოსს გახედა.

— რამდენი კვანძია?

— თერთმეტი. ტრალი რომ ჩავაგდეთ, ათ წუთში სიჩქარე ექვს კვანძამდე დაეცა. ეჭვი არაა, ტრალი თევზით აივსო, სიჩქარე მიტომ დაეცა, სულ რვა წუთი მოვდიოდით ექვსი კვანძით. მერე, ყოველგვარი ბიძგის გარეშე, ტრალი დავკარგეთ და სიჩქარეც კვლავ გაიზარდა.

— გრუნტი როგორია?

— ჩინებული, ასფალტივითაა გადაჭიმული.

— მარჯნის ტყე არსად აღუნიშნავს?

— არავითარი, სულ სილაა. ზოგან ჩვეულებრივი ტყის ზოლი აჩვენა.

— ეგ არაფერი, ის ვერ გაწყვეტდა გვარლს, ჩართე ჩამწერი!

მერე მესაჭეს გახედა.

— ყურადღებით უსმინე ჩემს ბრძანებას. მარჯვნივ ერთი ბორტი!

საჭე მარჯვნივ შებრუნდა. შებრუნდა გემიც და ნელ-ნელა იწყო გავლილ კურსზე გასვლა.

— საჭე პირდაპირ, გეჭიროს ეს კურსი!

ხმის ჩამწერთან მივიდა. ხელებით შემოაბნელა ეკრანი და თავიც ხელებს შორის ჩარგო. ყურადღებით აკვირდებოდა გრუნტს. ყოველ მეტრს საქმის მცოდნე კაცის თვალით ზომავდა. ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი საათი. ამ ნახევარი საათის განმავლობაში ბოგურაზე მყუდროება არავის დაურღვევია.

ანდრო გაბოშვილმა შემოაბოტა ღია კარიდან, ტუჩებზე მომდგარი სიტყვები ორჯერ ენის წვერზე დაიჭირა და მხო-

ლოდ უსიამოვნოდ ჩაახველა, მესამედ, როცა ჩამწვრთალ მდგარმა კაპიტანმა თვალი გაუსწორა, ძლივს ამოღერღა.

— ჩვენი სანაქებო ტრალი დაიკარგა, კაპიტანო!

კაპიტანმა ყოველივე ეს ჯერ კიდევ ორმოცი წუთის წინ იცოდა. სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია. კართან უხერხულად მდგარ მეზღვაურს გამგმირავ მზერას არ აშორებდა. ფიქრებით კი სულ სხვაგან იყო.

— ჰო, ასეა, სანაქებო ტრალი დაიკარგა...

ტკეპნიდა გაბოშვილი და რატომღაც ასე ეგონა, ის დიდი მეხი, რომელიც ახლა გემზე იმუხტებოდა, მას თავზე უნდა დაცემოდა.

— ღმერთმანი, არ ვიცი, რა მოხდა. ასე კი დაგვემართა და. რა ტრალი დავკარგეთ!

— გაჩუმდი, — თქვა ხმადაბლა კაპიტანმა, — გვარლი რამდენი ამოჰყვა?

— ორასი მეტრი ამოჰყვა. ექვსასი მეტრი დაიკარგა. ისე კოხტადაა გადაჭრილი, გეგონებათ, ეს საქმე ფოლადმჭრელმა მაკრატელმა გააკეთაო. სწორედ ისეა, როგორც ადრე...

კაპიტანმა მზერა მოაშორა მეზღვაურს და ახლა ფართო მინას გახედა.

— სწორედ ისეა. არც დარტყმა ყოფილა...

ბოგურაზე პირველი თანაშემწე შემოვიდა. შუახანს მიღწეული ჭაღარა, სიმპათიური კაცი. ხელში ელასტიური, გრძელი ჯოხი ეჭირა. თავი და ბოლო მუშტებში მოექცია. მოღუნავდა, რაღაც კვერცხისებურ ელიფსს გამოკვეთდა და ისევ შლიდა. ეს საქმე ართობდა, თუ გულს აყოლებდა, ძნელი სათქმელი იყო. იგი მინასთან დადგა. ჩაახველა, აქაოდა მეც აქა ვარო. ანდროს შეხედა.

— მაშ დაიკარგა, არა?

გაბოშვილმა პირი დააღო, რაღაც უნდა ეთქვა. კაპიტანმა მაშინვე იგრძნო, რასაც იტყოდა მისი მეზღვაური და ხელით ანიშნა გაჩუმება ჯობიაო.

— თქვენ რას ფიქრობთ? მითხარით თქვენი აზრი!

კაპიტანი პირველი თანაშემწისაკენ შებრუნდა და თვალი თვალში გაუყარა.

პირველმა თანაშემწემ ჩაახველა.

— მე ვფიქრობ, რომ... საოცარია, თვითონ ვნახე, გვარლი ისეა გადაჭრილი, რომ იფიქრებთ ეს საქმე ბასრმა მაკრატელმა გააკეთაო. იქ რაღაც ხდება.

პირველმა თანაშემწემ თითი ოკეანისაკენ გაიშვირა.

— გიორგი, ასე უმწეო არასოდეს ვყოფილვარ. ვერაფერი გამიგია.

კაპიტანი შტურმანების ოთახისაკენ წავიდა. პირველი და მეორე თანაშემწეც მიჰყვა. მათ გაიარეს შტურმანების ოთახი და კაპიტნის კაიუტაში შევიდნენ.

— ეს მეოთხე ტრალი დავკარგეთ. თანაც რა დროს, როგორც იყო თევზი გამოჩნდა... გეგმას ვერ ვასრულებთ. მთელი იმედი ამ დღეებზე მქონდა. ახლა ვფიქრობდი საქმის გამოსწორებას.

კაპიტანი კედელში შედგმულ კარადასთან გაჩერდა. ზედა კარადის კარი გამოაღო. თეთრი, კრიალა მაცივარი გამოჩნდა. მაცივრის კარიც გამოაღო, იქიდან ვისკი და ლიმონის სამი პატარა ჭიქა გამოიღო. ჭიქები მარცხენა ხელის თითებში ეკავა, ვისკი მარჯვენაში. ჭიქები ხმაურით დაყარა მაგიდაზე. მეორე კბილებით ბოთლს საცობი ამოაძრო, ვისკი დაასხა.

— დალიეთ, გულზე რაღაც მომაწვა. იქნებ ამ ცეცხლმა გაანელოს.

— ცეცხლი ცეცხლის წინააღმდეგ, — ჩაილაპარაკა პირველმა თანაშემწემ, — მართლაცდა საოცარი საქმე დაგვემართა. ზედმეტია ლაპარაკი, რომ მარჯნის ტყეს გადავუარეთ.

— მაშინ ხომ მაგარ ბიძგსაც ვიგრძნობდით, — თქვა მეორე თანაშემწემ.

— აქ საერთოდ არაა მარჯანი, სიტყვა მოუჭრა კაპიტანმა და პირველმა თანაშემწემაც მაშინვე იკითხა:

— მაშ, რა უნდა იყოს?

— ეშმაკის ხელი ურევია, — მეორე თანაშემწემ გადაჰკრა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და კაპიტანს შეხედა.

— შარშანაც იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა. შარშან მე ხომ ამ რაიონში ვმუშაობდი. თქვენ ჩვენთან არ ყოფილხართ.

— მე შარშან წყნარ ოკეანეში ვიჭერდი.

— ჰო, თქვენ იქ იყავით. შარშანაც იყო რამდენიმე შემთხვევა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. რა არ იღონეს, მაგრამ ვერა-

ფერი გაარკვიეს და ისევ თავი დაანებეს. ეშმაკის ხელ[illegible]ვია.

— რა ეშმაკი შეგიჩნდა, რომელ ეშმაკზე ამბობ! ხალხი თავს ვიტეხთ, რა ჭირი აგვტეხია-თქო, შენ კი ეშმაკსა და მღვდელს დასდევ.

პირველმა თანაშემწემაც გადაკრა.

— ხალხო, იმას კი არ ვიძახი, ციდან მიქელ გაბრიელი ჩამოსულიყოს ჩვენი ტრალის წასაღლეტადა. არა, ძმაო... ამოდენა ოკეანეა, მიდი და კაკალი უყარე, ბიჭი ხარ და გაიგე, ვინ ცხენით ნავარდობს და ვინ კიდევ ვირითა. იქნებ რაიმე ცხოველია და ჩვენს ტრალს ყლაპავს თავის გვარლიან რძალ-დედამთილიანად.

კაპიტანმა კედელზე გაკრულ ქალთევზას სურათს შეხედა. სურათი დიდი იყო, კარადის გვერდით ეკიდა, ქალთევზა თითქოსდა დიდ, უშველებელ ლოდზე იწვა. ძუძუები ლოდზევე დაეწყო, ხოლო თევზის ქერცლიანი კუდი წყლისკენ დაეხარა.

კაპიტნის მზერას უნებლიეთ კიდევ ორი წყვილი თვალი გაეკიდა.

— ეს სურათი ამ სამი წლის უკან მაჩუქა ჰიბრალტარში ერთმა შიპშანდლერმა, მისტერ ვილიმ. ეს ასლია, დედანი ანდალუზიაშია, ლენტეხიაზას მთებში. აქ ერთ-ერთ უძველეს გამოქვაბულში მიაკვლიეს კედელზე მიხატულ ამ მადონას. მხატვრის ვინაობა, რასაკვირველია, არავინ უწყის. არც ის იციან, ვინ იყო „ნატურშჩიცა“... ანდა საერთოდ იყო თუ არა... იქნებ იმ პირველყოფილი კაცის ფანტაზიის ნაყოფია, გაოცებული რომ უყურებდა სამყაროს?

კარზე დააკაკუნეს.

შემოვიდა ერთი გამხდარი, გალეული, დაბალი ყმაწვილი. დაღლილი სახე ჰქონდა. ცისფერი, ნაღვლიანი თვალები.

— ამხანაგო კაპიტანო, თათბირი იწყება, — თქვა მან უსიამოვნო, ჩახრინწული ხმით და პასუხისათვის არც კი მოუცდია, ისე გაიჯახუნა კარი.

— წავედით! — თქვა კაპიტანმა და დერეფანში გამავალ კარს მიაშურა. უკან თანაშემწეები მიჰყვნენ.

ვიწრო დერეფანში გავიდნენ. დერეფანი სუფთა იყო.

კრიალა. ნაცრისფერი პლასტიკატის კედლებს სულ ქათქათი გა-
ეფიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შტურმანთა ოთახის გასწვრივ მდებარე კარი შეაღეს.

რადიოკვანძში ორი ახალგაზრდა იჯდა. ერთი მაღალი, ჩაკუპატებული კაცი, ყოველი მოძრაობისას რომ სასაცილოდ ოხრავდა. მეორე ის გალეული ყმაწვილი, კაპიტანს რომ თათბირის დაწყება შეახსენა.

კაპიტანი მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდა. ფეხები ერთმანეთზე გადააწყო და მსუქან კაცს გახედა.

— ჯერ არ დაწყებულა, ივან ივანიჩ?

ივან ივანიჩმა რადიო გადართო, საყურეები მოიხსნა.

— იწყება, ამხანაგო კაპიტანო!

თანაშემწეები გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ, სკამი მართლაც ძალიან გრძელი გახლდათ. მთელი კედლის გასწვრივ ვაჭიმულიყო. ზედ ათასნაირი ტექნიკური ხარახურა ეყარა, მაგრამ იმდენი ადგილი მაინც დარჩენოდათ, რომ ხუთიოდე კაცი მოთავსებულიყო.

კაპიტანი იატაკს დაჰყურებდა. რაღაცაზე გულმოდგინედ ფიქრობდა, ამიტომ რადიოში პირველი სიტყვები რომ გაისმა, ვერაფერი გაიგო.

კაპიტანი შეიშმუშნა, სავარძელში შესწორდა და სწორედ ამ დროს რადიოს უფროსმა მიკროფონიც მიაწოდა.

რეპროდუქტორი კი გადმოსცემდა:

გამარჯობათ, ამხანაგო კაპიტნებო, ვიწყებთ ჩვენს მორიგ თათბირს. ლაპარკობს „ჰერკულესი“. „ჰერკულესი“ უკანასკნელი ოთხი საათის განმავლობაში მუშაობდა ოთხმოცდამეათე კვადრატში. ბოლო თათბირის შემდეგ სამჯერ ჩავაგდეთ ტრალი. პირველად ამოვიღეთ 15 ტონა თევზი, მეორედ — 17, მესამედ — 3 ტონა. ძირითადად ჭიჭყინა, სამიოდე ტონა კარჩხანა. ეს არის და ეს... სიტყვას ვაძლევთ შემდეგს.

შემდეგი კი „ათანასე ნიკიტინი“ იყო. ამ გემზე კაპიტნად ბორის შუვალოვი მუშაობდა. საშუალო სიმაღლის, გამხდარი ჭაბუკი. ბორისს მოკლე ლაპარაკი უყვარდა და არც დღეს უღალატია წესისათვის.

მის მერე „ნადირმა“ ილაპარაკა, „ნატალია კოვშოვამ“, „გურიამ“, „ქართლმა“. მერე საუბარში ბულგარელების გემი „ალბატროსი“ ჩაერთო.

— „ალბატროსი“ მუშაობდა ოთხასმეთოთხმეტე კვადრატში, — დაიწყო მისმა კაპიტანმა ილია ვაზოვმა, — ოჯეფ მოვასწარით ტრალის ჩაგდება. პირველად ამოვიღეთ 11 ტოხა თევზი, ჭიჭყინა და წითელი კარჩხანა; შიგადაშიგ შავი კარჩხანაც ერია, ძალიან ცოტა.

ოთხასმეთოთხმეტე კვადრატიდან წავედით ჩრდილოეთით. თან მიგვქონდა ტრალი. ოთხასმეცხრე კვადრატზე გავლისას, ოკეანეში უცბად გაუჩინარდა ტრალიცა და 700 მეტრი გვარლიც. გვარლი გადაჭრილია ბასრი იარაღით. გემს კი არავითარი დარტყმა არ უგრძვნია.

ვერაფერი გაგვიგია, ბოლოს და ბოლოს რა ხდება 409 კვადრატში?! ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა.

ახლა ახალ გვარლს ვახვევთ დამქაჩზე — ვამზადებთ ახალ ტრალსაც. ეს საკმაო დროს წაგვართმევს. „ალბატროსს“ მეტი სათქმელი არა აქვს.

კაპიტანი მთელი ყურადღებით უსმენდა „ალბატროსის“ პატაკს, როცა ილია ვაზოვმა საუბარი დაამთავრა, ნუგზარმა სიგარეტი მოითხოვა. ივან ივანიჩმა გაიკვირვა, მაგრამ საესე კოლოფი მაინც გაუწოდა. სანამ თათბირს „ტოლბუხინის“ კაპიტანი მოახსენებდა, ნუგზარმა სიგარეტს მოუკიდა, მეორე თანაშემწეს შეხედა.

— მაშ, შარშანაც იყო ასეთი შემთხვევები?

— იყო, როგორ არა, ამხანაგო ნუგზარ. ჩვენც დავკარგეთ რამდენიმე ტრალი. თუმცა მაშინ ეს ამბავი ასე ხშირად არ ხდებოდა. როგორც მახსოვს, მთელმა ფლოტმა სულ, მგონი, ათამდე ტრალი დაკარგა.

კაპიტანმა თავი დაიქნია. მიკროფონი სწრაფად აიღო, ეთერში ახლა „ივერია“ უნდა გასულიყო.

ნუგზარმა ხმა ჩაიწმინდა და მშვიდად დაიწყო:

— ლაპარაკობს „ივერია“, „ივერია“ ლაპარაკობს! თხუთმეტი წუთის წინ გავიარეთ ოთხასმეცხრე კვადრატი. „ალბატროსს“ კარგად ვხედავდით. იგი ჩვენგან ნახევარი მილის დაშორებით მიცურავდა. ვფიქრობ, ტრალი სავსე იყო, სიჩქარე ექვს კვანძამდე დავარდა. ის იყო ტრალის ამოღება დავაპირეთ, რომ გვარლი მოფამფალდა, გემმაც სიმსუბუქე იგრძნო და სიჩქარეც 11 კვანძამდე გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავეცით ბრძანება ტრალი ამოეღოთ. ტრალი და ... ტრი სიგრძის გვარლი დავკარგეთ. გვარლი გადაჭრილია ფოლადსაჭრელი ბასრი იარაღით. ვერ დავიჯერებ, ოკეანის რომელიმე ცხოველმა შეძლოს ეს. აქ ადამიანის ხელი ურევია. ხომ არ მოქმედებს რომელიმე ქვეყნის წყალქვეშა დივერსია?... მე ამაზე სერიოზულად ვფიქრობ. ჩემი მეორე თანაშემწე მიმტკიცებს, ასეთი რამ სამხრეთ აფრიკის ნაპირებთან შარშანაც ხდებოდაო. ნუთუ შეუძლებელია იმის დადგენა, რა ხდება ოთხასმეცხრე კვადრატში?

მაოცებს ერთი რამ, აკუსტიკურ ხელსაწყოებს არ აღუხიშნავთ არც წყალქვეშა კლდეები, არც მარჯნის ტყე, არც სხვა რაიმე საეჭვო...

ამხანაგო ზურაბ, ვფიქრობ, თქვენ, როგორც რეწვის უფროსმა, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოთ საჭირო ზომები. ეს უკვე მეცხრე შემთხვევაა, დღეს კი ორმა გემმა ერთად დაკარგა ტრალიცა და გვარლიც. ბოლოს და ბოლოს ანკესით ხომ არ დავიწყოთ თევზის ჭერა?

ნუგზარი უკვე თავს ვერ იმორჩილებდა. ხმა ბრაზიანი ჰქონდა, სახეზეც წამოწითლებულიყო. როცა მიკროფონი დადო, შვებით ამოისუნთქა, თითქოსდა მძიმე ტვირთი მოეხსნას, ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული შუბლი ამოიწმინდა. ივან ივანიჩს თვალით ანიშნა, წყალი მომაწოდეო.

ივან ივანიჩმა ლითონის ბადურაში ჩადგმული გრაფინი აუჩქარებლივ ჩამოხსნა. მეორე ბადურიდან ჭიქა ამოიღო. გულიანად გამორეცხა, სანახევროდ შეავსო და კაპიტანს მიაწოდა.

— კარგად უთხარით, — თქვა პირველმა თანაშემწემ.

კაპიტანმა წყალი მოსვა, ჭიქა იქვე, რადიოს გვერდით დადგა და ხელში კვლავ მიკროფონი აიღო. რეპროდუქტორში რეწვის უფროსის დაგუბული ხმა ისმოდა:

— ამხანაგო ნუგზარ, მესმის თქვენი გულისწყრომა. რასაკვირველია, ჩვენ ყველას გვსურს, ვიცოდეთ, რა ხდება ოთხასმეცხრე კვადრატში, მაგრამ იმ ტექნიკური საშუალებით, რაც აქ მომუშავე ფლოტს ხელთა აქვს, ეს შეუძლებელია. ეჭვი წყალქვეშა დივერსიაზე ჩვენც გვქონდა, მივმართეთ დაინტერესებულ ქვეყნებს. ისინიც გაოცებულნი არიან... მე ველა-

პარაკე მთავარ სამმართველოს. გამოვითხოვე წყალქვეშა სპედიცია. სწორედ რამდენიმე საათის წინ ბათუმიდან მივიღე რადიოგრამა, ექსპედიცია უკვე მოდის. ჩვენსკენ მოცურავს გემი „გეოლოგი“. როგორც ვიცი, ყოჩაღი წყალქვეშელები ჰყავთ, უნდა დაველოდოთ „გეოლოგს“. მანამდე კი, გიკრძალავთ ოთხასმეცხრე კვადრატში ტრალით გავლას. დაიხსომეთ, ამხანაგებო, ოთხასმეცხრე კვადრატში ტრალით ნუ გაივლით! მოვერიდოთ ამ დაწყევლილ ოთხასმეცხრეს. მოვერიდოთ, სანამ საიდუმლოს ფარდა არ აეხდება.

მეტი საკითხი თუ აღარაა, თათბირი დამთავრებულია. წარმატებას გისურვებთ!

— გამომიძახეთ „ალბატროსის“ კაპიტანი! — უთხრა ნუგზარმა რადიოს უფროსს და ჭიქაში დარჩენილი წყალი შესვა.

ივან ივანიჩმა მიკროფონი აიღო, ღილაკს თითი დააჭირა.

— „ალბატროსი“, „ალბატროსი“, მე „ივერია“ ვარ, სთხოვეთ თქვენს კაპიტანს, კაპიტანს თხოვეთ მიკროფონთან.— იმავე წუთში ილია ვაზოვის ხმაც გაისმა:

— კაპიტანი ვარ, გისმენთ „ივერია“.

ივან ივანიჩმა მიკროფონი ნუგზარს გადააწოდა. თვითონ ცარიელი ჭიქა აიღო და ისევ ბუდეში ჩადო. კაპიტანმა მიკროფონი გახსნა.—ილია დიმიტრიჩ, ხომ არ შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა პირობებში დაკარგეთ ტრალი? ეს ჩემთვის მეტად საინტერესოა.

„ალბატროსის“ კაპიტანმაც არ დააყოვნა.

— ნუგზარ გეორგიევიჩ, როგორც ვთქვი, ოთხასმეცხრე კვადრატზე ტრალით მივცურავდი. მე ბოგურაზე ვიდექი, ჩანაწერებს ვაკვირდებოდი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ პირთამდე სავსე ტრალს ამოვათრევდით ერდოზე. ერთბაშად ვიგრძენი, რომ გემმა სვლას უმატა, მრიცხველთან მივედი, ათნახევარ კვანძს უჩვენებდა.

მაშინვე მივხვდი, რომ ტრალი ოკეანის ფსკერზე დარჩენილიყო. საოცარი ის იყო, რომ ყოველივე ეს მოხდა რაიმე ბიძგის გარეშე, მცირედი რყევაც კი არ გვიგრძვნია. თქვენი არ იყოს, მეც ვფიქრობ ამ სასწაულზე. მართლაცდა სასწაულია, ვერაფერი გამირკვევია. რჩება ერთადერთი გამოსა-

ვალი, მოთმინებით დაველოდოთ „გეოლოგს“. „გეოლოგი“ გაარკვევს ყველაფერს.

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ სანამ „გეოლოგი“ ჩვენამდე მოაღწევდეს, სულ ცოტა, სამი კვირა მაინც გაივლის. ეს არც თუ ისე ცოტა დროა...

— რას იზამთ, ნუგზარ გეორგიევიჩ, არის მოვლენები, რომელთა წინაშეც ჩვენ უბადრუკნი ვართ. ასეა ახლაც. სხვა ხომ არაფერი გჭირდებათ?

— არაფერი, ეს მაინტერესებდა.

— მაპატიეთ, თუ თქვენი ცნობისმოყვარეობა მთლად ვერ დავაკმაყოფილე.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ილია დიმიტრიჩ. ვუბრძანებ საკუთარ თავს, რომ ნებისყოფით აღვიჭურვო. წარმატებებს გისურვებთ, მალე აგეწყოთ ახალი ტრალი.

კაპიტანმა გაიარა. მერე მეორე თანაშემწის წინ შეჩერდა.

— შარშან თუ გამოიძახეს წყალქვეშელები, ირაკლი?

მეორე თანაშემწე წამოდგა, — ხელები შარვალზე დაისვა, გაიჭიმა და ხმადაბლა თქვა:

— არა, შარშან აქამდე არ მისულა საქმე. მაშინ რატომღაც ტრალები სხვადასხვა კვადრატში იკარგებოდა. ახლა ამ დაწყევლილ ოთხასმეცხრეს მოადგა, აქაოდა, ცური აგვსებია და უნდა მოგწველოო.

კაპიტანმა კიდევ გაიარა. ილუმინატორთან დადგა.

— მაშ, აქამდე არ მისულა საქმე, არა?

— ჰო, ეგრე იყო. თვეში ერთხელ-ორჯერ ფანდურს სიმი გაუწყდება, მეფანდურე იტყვის, ჯანი გავარდესო.

— არავის მოსვლია აზრად წყალქვეშელების გამოძახება?

— არავის. ის კი არა და, ბევრსაც ხუმრობდნენ — ზვიგენებმა ტრალის ყლაპვა ისწავლესო. გეორგიევიჩ, წყალქვეშა მეკობრეები ხომ არ გაჩნდებოდნენ, ჰა, რას იტყვით?

კაპიტანმა კარი გამოაღო და მთელი დერეფანი დალურსმნული ფეხსაცმელის ბრახუნით გაიარა. როცა ფეხის ხმა მიწყდა, მეორე თანაშემწემ ხელი ივან ივანიჩისაკენ გაიშვირა.

— ივან ივანიჩ, ერთი მომაწევინე, შენს გახარებას.

სიგარეტი სქელ ტუჩებშორის მოიქცია.

— ხასიათზე ვერაა ჩვენი კაპიტანი.

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა კაპიტანმა უფროსი თანაშემწე გააფრთხილა, ორ საათში გამაღვიძეო და დივანზე გაუხდელად მიწვა.

წყნარი, ტროპიკული ღამე გახლდათ. ცა ვარსკვლავებით იყო მოჩახჩახებული. ქარი არ უბერავდა და ოკეანეც ნელა სუნთქავდა.

გემი დრეიფზე იდგა. ახლომახლო არც ერთი სხვა ვემი არ ჩანდა. მესაჭეს თავი ხალვათად ეგრძნო. ჩვარი აეღო და მინებს ასუფთავებდა. დროდადრო ჩვარს ცხელ წყალში ასველებდა. მინებს გარედან იმდენი მარილი მოსდებოდა, რომ ცხელი წყლითაც ჭირდა მოშორება.

ზუსტად ორი საათის შემდეგ უფროსი თანაშემწე კაპიტნის კაიუტაში შევიდა. კაპიტანი გულიანად ხვრინავდა. უფროს თანაშემწეს დაენანა და კაიუტა ფეხაკრეფით დატოვა. როცა ბოგურაზე დაბრუნდა, მესაჭე ცხელ წყალში ჩვარს რეცხავდა.

— უკანა ერდოზე ვიქნები. თუ სასწრაფო რაიმე იყოს, **რადიოთი გამომიძახე.**

— გასაგებია, იური ანდრეევიჩ, — უთხრა მესაჭემ, ჩვარი ვედროდან ამოიღო და ცხელი წყალი მინას შეასხურა.

უფროსი თანაშემწე აივანზე გავიდა. თხელი ხალათი ეცვა და შესცივდა კიდეც. პიჯაკისათვის შემობრუნება დაეზარა.

უკანა ერდოზე ორი ათასსანთლიანი ნათურა აენთოთ. მეტრალეებს გაეშალათ კაპრონის ბადეები, წითელი, შავი და თეთრი ბურთულები, საკემსავები, კაპრონის მორგვები. დამქაჩთან გვარლის უზარმაზარი კოჭები დაედგათ, გვარლს აბვევდნენ დამქაჩზე. მთელი ეს საქმიანობა სრულ სიჩუმეში მიმდინარეობდა, თითქოსდა ტაბუ დაედოთო, ხმას არავინ იღებდა.

თანაშემწე თვალებით ტრალის უფროს ოსტატს დაეძებდა. როცა იმ წუთში ტრალის უფროს ოსტატს ეშმაკის საბანი გადაეფარა, გაბოშვილს ხელით ანიშნა, სად არისო. გაბოშვილმაც ხელითვე განუმარტა: აი, იქაო. უფროსმა თანაშემწემ გაიხედა და ტრალის მოზრდილ მორგვზე თავმიდებული მიშა დუდინი შენიშნა. იქით წავიდა, მაგრამ გაბოშვილმა უჩურჩულა:

— არ გააღვიძოთ, მთელი ღამე არ დაუძინია, თხუთმეტი წუთით ჩათვლიმა თვალის მოსატყუებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 262.701 3

გამხდარ, გაწლიკვულ დუდინს ნათურა პირდაპირ დაჰყურებდა. სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული. მეზღვაურის ფხიზელი ძილით ეძინა.

უფროსმა თანაშემწემ ერდოზე მიგდებული ლაბადა აიღო. ფრთხილად დაფერთხა და შემდეგ ტრალის ოსტატს წააფარა.

— სანამ არ დაგჭირდებათ, ნუ გააღვიძებთ.

— თვითონვე გაიღვიძებს, — უპასუხა გაბოშვილმა.

ეს უფროსმა თანაშემწემაც კარგად იცოდა. აბა ის მეზღვაური რა მეზღვაურია, ძილს რომ თავს ვერ წაართმევს.

— რამდენ ხანში გვექნება ტრალი?

გაბოშვილმა გაიღიმა.

— ორ საათში ჩავაბარებთ.

— რაო?!

— ორ საათში.

— მართლა?

— პირობას გაძლევთ.

— მაშინ, იცი რა, ერთ ლიტრა ვისკის ჩამოვდივარ.

— სიტყვა სიტყვაა, იური ანდრეევიჩ.

— განა ოდესმე გამიტეხია?

— იმედი მაქვს, არც ახლა გატეხთ. შეგიძლიათ წახვიდეთ და წაიძინოთ, ორ საათში კი, ვისკით მობრძანდით.

უფროსი თანაშემწე რკინის კიბეს აჰყვა, სატრალო ბოგურასთან შეჩერდა, შემობრუნდა და უკანა ერდოს გახედა.

მეტრალეები ისევ ისე, აბრეშუმის ჭიასავით უხმაუროდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. დუდინს კვლავ ტრალის მორგვზე ედო პატარა, გამხდარი თავი. სხვები კიდევ კემსავდნენ, ბურთულებს ამაგრებდნენ, უხმაუროდ დადიოდნენ და ამ ჩუმი შრომის მოწმენი სამხრეთ ნახევარსფეროს კაშკაშა ვარსკვლავები და ორი ათასსანთლიანი ნათურა იყო.

— კაპიტანს ხომ არ გაუღვიძია? — იკითხა უფროსმა თანაშემწემ ბოგურაზე.

მესაჭემ თავი დაიქნია.

უფროსი თანაშემწე კაპიტნის კაიუტაში შევიდა. ნუგზარი სარკესთან იდგა და თმას ივარცხნიდა.

— ყველაფერი წესრიგშია, ნუგზარ გეორგიევიჩ. ისევ ვდრეიფობთ. ნახევარი მილის რადიუსში არც ერთი გემი არ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს. დინებამ ცოტა ჩრდილოეთისაკენ წაგვიღო. ახალ ტრალი ორ საათში იქნება მზად.

კაპიტანი შემობრუნდა.

— რა თქვი?

— ორ საათში. მე მათ ერთ ვისკის შევპირდი, თუ სიტყვას არ უღალატებენ.

კაპიტანი შეიშმუშნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბოგურაზე გავიდა. მესაჭე ღია მინიდან ბაკის მხარეს გამძვრალიყო, საგულდაგულოდ ასუფთავებდა მინებს.

კაპიტანმა მინაზე ბეჭდიანი თითით დააკაკუნა.

მესაჭე მაშინვე შემოძვრა.

— მანქანები მოამზადონ!

— გასაგებია, — ჩაიდუდღუნა მესაჭემ და რადიოგადამცემისაკენ წავიდა.

— მე უკანა ერდოზე ვიქნები, — დაუძახა ღია კარიდან კაპიტანმა, — იური ანდრეევიჩ, თქვენ ბოგურაზე დარჩით.

მაგრამ კაპიტანი უკანა ერდოზე არ ჩასულა. სატრალო ბოგურაზე დადგა და აქედან გადახედა მეტრალეებს. დუდინი ახლა... მაღალი, გამხდარი დუდინი, ხის მეტრიანით ტრალს ზომავდა. თვითონაც მეტრიან ნაბიჯებს ადგამდა.

— მიშა!

დუდინმა ამოიხედა. კაპიტანს გულკეთილად გაუღიმა და ხელით ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო. კიდევ ორჯერ შემოუარა ახალ ტრალს და მერე ბოგურაზე ავიდა.

— იმაზე ნაკლები ტრალი არ იქნება, კაპიტანო!

— უფროსი თანაშემწე ბიჭებს ერთ ბოთლ ვისკის შეპირებია, ერთსაც მე ვუმატებ. ტრალს ჩავაგდებთ თუ არა, ჩაცეცხლეთ და მერე დაიძინეთ. ეშმაკებთან წასულხართ ზიარებისათვის, ნამდვილი ქაჯები ხართ.

დუდინი იდგა დაღლილი, — ცისფერი, ნაღვლიანი თვალები უკანა ერდოსაკენ მიეპყრო.

— ცოტა ვისკი არ გვაწყენს, ბიჭებს თვალიც არ მოუხუჭავთ.

— ოქრო ბიჭები გვყავს, დუდინ! მათთან ჭირიცა და ლხინიც სასიამოვნოა.

დუდინმა სიგარეტი ამოიღო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხომ არ მოწევთ?

— გმადლობთ.

კაპიტანმა როგორც იყო ერთი ღერი ამოაძრო. დუდინმა სანთებელას ჩამოჰკრა, კაპიტანს გაუწოდა. მაგრამ კაპიტანმა სიგარეტი გულის ჯიბეში ჩაიდო და მიშამაც მხოლოდ თავისას მოუკიდა.

— ბიჭებს ვერ დავემდურები. შვიდი წელი მურმანსკის ფლოტში ვნაოსნობდი. იქ ხომ ძველი, ტრადიციული მებადურები არიან. იქაც არ შემხვედრია ასეთები. ამას გულწრფელად მოგახსენებთ, კაპიტანო.

კაპიტანს ტუჩებზე ძუნწი ღიმილი გაექცა. შებრუნდა და მოთენთილი ნაბიჯებით ბოგურისაკენ წავიდა.

დუდინი ახლა მარტო იდგა ბოგურაზე. გაჰყურებდა გრძელ აივანზე ზანტად მიმავალ კაპიტანს და ტუჩებზე თბილი ღიმილი არ შორდებოდა.

როცა ახალი ტრალი ჩაუშვეს, უკანა ერდოზე ერთი ფაციფუცი იყო. ყველაზე მეტს გაბოშვილი ღრიალებდა. ხელში სოლარით მოსვრილი მიშა დუდინის ქუდი ეკავა და ჰაერში იქნევდა. თევზის საამქროში კაცის ჭაჭანება არ იყო. ყველანი ზევით ამოსულიყვნენ, მეტრალეებს შერეოდნენ და მათთან ერთად ღრიალებდნენ. ამ ორგიის ცენტრში მიშა დუდინი იდგა. ყველამ იცოდა მიშას ხელის ფასი. იცოდა, რომ დუდინი ტყუილად არ გატეხდა ღამეს და ის ტრალი, ახლა რომ ოკეანეში გაუჩინარდა, მალე ზედაპირზე ძეხვივით გატიკნული ამოცურდებოდა.

ორი საათი მიდიოდნენ ნეკის სიმსხო ჩანაწერზე. მერე სიჩქარე დავარდა და კაპიტანმა ტრალის ამოღების ბრძანებაც გასცა. დამქაჩმა ოცდახუთ ტონამდე თევზი ძლივს მოათრია უკანა ერდომდე. აქ ამ გიგანტურ ძეხვს გახურებული მეზღვაურები ეძგერნენ.

საღამოს თათბირის შემდეგ ნუგზარი რეწვის უფროსმა გამოიძახა რადიოსთან.

— ნუგზარ, თქვენ ყველაზე მეტად დაზარალდით ოთხას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცხრე კვადრატში. ჩემი თხოვნაა, „გეოლოგის“ მოსვლამდე თითოეულ დაკარგულ ტრალზე შეადგინოთ სათანადო აქტი. ეს საკმაოდ პროზაული საქმეა, მაგრამ ზოგჯერ ასეთი რამესაც ვერ გავექცევით. დაწვრილებით აღწერეთ როდის, რომელ საათზე და რა პირობებში დაკარგეთ ტრალი, მასთან ერთად უჩვენეთ დაკარგული გვარლის სიგრძეც. გიმეორებთ, ყველაფერი დაწვრილებით აღწერეთ. ამ აქტებს შეუძლია კარგი სამსახური გაგვიწიოს.

— გასაგებია, ამხანაგო ზურაბ.

— „გეოლოგი“ ალბათ კროსის კონცხთან დადგება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე არის ნავარაუდევი. ეს ადგილი ყველაზე უფრო მოხერხებულია. ქარისაგანაც კარგადაა დაცული და ოთხასმეცხრესთანაც ახლოსაა. ალბათ, თქვენ მოგიწევთ „გეოლოგის“ ეკიპაჟთან შეხვედრა, როგორც ყველაზე უფრო დაზარალებულს.

მართლა, ნუგზარ, მახარებს თქვენი ეკიპაჟის დღევანდელი წარმატებანი. დღეს „ივერიამ“ მთელს ფლოტში ყველაზე მეტი თევზი დაიჭირა. იმედია, მალე მოწინავეთა შორის ჩადგებით.

— გმადლობთ, ამხანაგო ზურაბ. მართლაც, დღევანდელ დღეს არ ვემდურით. ბიჭებიც მონდომებით მუშაობენ. მოგეხსენებათ, გეგმას სულ რაღაც 750 ტონაღა გვიკლია. მალე ალბათ საბოლოოდ ავავსებთ ტრიუმებს და სამშობლოსაკენ გავწევთ. უკვე ხუთი თვეა, რაც ზღვაში ვართ. ეკიპაჟი დაიღალა. თუმცა არაფერს ამბობენ, მაგრამ ვგრძნობ.

— მართალი არა ხართ, კაპიტანო! — ჩაილაპარაკა ივან ივანიჩმა.

კაპიტნის მახვილ სმენას ეს სიტყვები არ გამოჰპარვია და მიკროფონში ჩასძახა:

— თუმცა, ჩემი რადიოს უფროსი ამტკიცებს, რომ ეკიპაჟი არ დაღლილა. რადიოს უფროსების ამბავი მოგეხსენებათ: ან საერთოდ არ იღლებიან, ანდა სულ ბოლოს, როცა ყველას არაქათი გამოეცლება.

— გადაეცით ივან ივანიჩს, რომ უფრო ხშირად იაროს თევზის საამქროში. ცოტა ქონი რომ დაყაროს, ამით არაფერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუშავდება. ამას გარდა, საქმესაც წაადგება და მაშინ, დაღლასაც იგრძნობს.

— მგონი, ჩემი ჩარევა აღარაა საჭირო, ივან ივანიჩმა თავისი ყურით მოისმინა თქვენი რჩევა. ჭკვიან კაცს უნდა დაუჯეროს. ალბათ რადიოს უფროსიც გაითვალისწინებს დღევანდელ საუბარს. ასე არ არის, ივან ივანიჩ?

— დიახ, ასეა, ამხანაგო კაპიტანო. დღეიდან ოთხ საათს ყოველთვის ვიმუშავებ თევზის საამქროში.

კაპიტანმა მიკროფონი კავზე ჩამოჰკიდა. რადიოს უფროსს შეხედა, მერე დაღლილი მზერა ილუმინატორისაკენ გააცურა, ადგა და თავის კაიუტას მიაშურა. კაიუტიდან ბოგურზე დარეკა, მეორე თანაშემწეს ელაპარაკა:

— ირაკლი, ოთხი საათი უნდა დავისვენო. ფრთხილად იყავი, გრუნტი არაა საეჭვო, მაგრამ ზედმეტ რისკს ნუ გასწევ, თუ რაიმე აუცილებელი იყოს, გამაღვიძე. დივანზე გაუხდელად მიწვა. მაშინვე ჩათვლიმა.

მეორე დღეს საღამოთი რეწვის უფროსი ფლოტს მოახსენებდა:

— დღეს თორმეტ საათზე იაპონელთა ორმა და ბელგიელთა ერთმა გემმა ოთხასმეცხრე კვადრატში ერთდროულად დაკარგა მთელი სატრალო მოწყობილობა და 2000 მეტრი გვარლი.

ოთხასმეცხრე კვადრატში კარგი ჩანაწერები აღნიშნა. უცხოელთა გემებმა ჩაუშვეს ტრალი და ნახევარი საათის შემდეგ ამოიღეს მხოლოდ გვარლის ნარჩენები. გვარლი გადაჭრილია ბასრი იარაღით.

იაპონელებმა საჩივარი გაგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იურიდიულ კომისიაში და მოითხოვეს საქმის გამოძიება.

იაპონელები ამტკიცებენ, რომ ამ რაიონში მოქმედებენ წყალქვეშა დივერსანტები. ეს, რასაკვირველია, შეუთავსებელია ნაოსნობის საერთაშორისო ნორმებთან. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ოთხასმეცხრე კვადრატში ტრალით ნუ გაივლით!

ორი დღის შემდეგ „ივერია“ სწორედ ოთხასმეცხრე კვადრატის ახლოს მიცურავდა. ვახტზე მეორე თანაშემწე იდგა.

გემზე თევზი ბლომად ჰქონდათ და ტრალის ჩაგდებას არ აპირებდნენ, ისე დაცურავდნენ აღმა-დაღმა.

ირაკლიმ ჰორიზონტზე პატარა წერტილს მოჰკრა თვალი. ეს წერტილი ზუსტად ოთხასმეცხრე კვადრატის შუაგულში ჩანდა. ჭოგრიტი აიღო და საუთოოსავით წაგრძელებულ შტურმანის სკამზე ჩამოჯდა. გულდაგულ რომ მოკალათდა, ჭოგრიტი მოიმარჯვა.

— გემია, არა? — იკითხა მესაჭემ.

— ჰო, პორტუგალიელების უნდა იყოს.

— არ გაგიჟდნენ და ტრალი არ ჩააგდონ.

პორტუგალიელების გემი კი თანდათან ახლოვდებოდა. როცა მესამედი მილით მოახლოვდა, ერთბაშად შებრუნდა და მაშინვე უკანა ერდოდან ტრალიც ჩაცურდა ოკეანეში.

— ერიჰა! — შეჰყვირა მეორე თანაშემწემ, — ჩვენთან პორტუგალიური არავინ იცის?

— პორტუგალიურს ახლა ისინი ფსკერიდან მიიღებენ, — თქვა მესაჭემ.

მეორე თანაშემწემ კუშტად შეხედა. მიკროფონის ღილაკს თითი შეახო და მაშინვე ჩასძახა:

— კაპიტანს თხოვენ ბოგურაზე.

სამ წუთში ბოგურაზე აქოშინებული ნუგზარი შევარდა.

— მოხდა რამე?:

— წინ პორტუგალიელების გემია. სულ ახლახანს ჩააგდეს ტრალი.

კაპიტანს კრინტიც არ დაუძრავს, ჭოგრიტი აიღო და მინასთან დადგა. ყურადღებით აკვირდებოდა უკანა ერდოს. მერე გამოცდილმა თვალმა შენიშნა, როგორ მოფამფალდა გვარლი და კაპიტანმა ჭოგრიტი რაფაზე ჩამოდო, მძიმე ნაბიჯებით კაიუტას მიაშურა. კაიუტაში დივანთან დადგა, ფეხთ გაიხადა და დასასვენებლად წამოწვა.

იმავე წუთს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა

— მობრძანდით, — გასძახა კაპიტანმა.

მაშინვე ანდრო გაბოშვილი შემობაჯბაჯდა.

— მე მისთვის მოვედი, რომ... — გაბოშვილი ხელში თხელი ქსოვილის ქუდს ჭმუჭნიდა. ქუდი ალბათ ოდესღაც

თეთრი იყო, იქნებ ქათქათაც, მაგრამ ახლა სოლარით იყო დალაქავებული და სხვადასხვა ფერად აჭრელებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრძანდი, ანდრო, აი, მანდ, სავარძელში ჩაჯექი.

გაბოშვილმა სავარძელი უხერხულად გამოსწია და ხვნეშით ჩაჯდა. ქუდი მუხლისთავებზე დაიდო.

— ახლა კი მიამბე, რამ შეგაწუხა.

— თავიდან ვთქვა, არა?

— რასაკვირველია, სათქმელს სათავე უნდა გაუჭრა.

— გემზე ამბობენ, რომ წყალქვეშა ექსპედიციას ნუგზარ რონდელი უხელმძღვანელებსო. აქაოდა, ძველი გამოცდილი წყალქვეშელიაო, რადიოგრამა უკვე მიიღო.

კაპიტანმა სასთუმალი გაისწორა.

— კიდევ რას ამბობენ?

— მეტს არაფერს, ამას ამბობენ. ჰოდა, მეც ხომ წყალქვეშელი ვარ. დამქაჩი რა ჩემი საქმეა. წამიყვანეთ და არ შეგარცხვენთ.... დამქაჩთან ბოჩია შონია დარჩება. ჩემზე უკეთ იცის ეს საქმე...

კაპიტანი გაბოშვილს არ უყურებდა, იატაკზე ერთი წერტილი შეერჩია და მას მიშტერებოდა. ისე გამგმირავად გაჰყურებდა, რომ ანდრო გაბოშვილს უსიამოვნოდ გასცრა.

— არ შეგარცხვენთ კაპიტანო, ჩემმა მზემ, კმაყოფილი დარჩებით.

ხმა გაებზარა. ქუდი ერთხელ კიდევ მოიქცია ბათმანიან შუჭებში და ცხვირსახოცივით დაჭმუჭნა

კაპიტანი მაშინ გამოერკვა, როცა კარი გაჯახუნდა, გადაბრუნდა და მაშინვე ჩათვლიმა.

— : —

„გეოლოგმა“ ღუზა კონცხთან ჩაუშვა, ხმელეთიდან თორმეტი მილის დაშორებით. კაპიტანი მამუკა ორბელიანი ბაკზე ბოლთას ცემდა. ტროპიკული მზე შუბის ტარზე იდგა და გიგანტური ტანის კაპიტანს თავისი ნამცეცა აჩრდილი ფინიასავით დასდევდა.

— რამდენი მიეცი ღუზას? — იკითხა კაპიტანმა.

— შვიდი ასანთი, — ბოცმანი ტანმორჩილი გახლდათ და ქვემოდან შესციცინებდა კაპიტანს.

ბოგურის ღია ფანჯრიდან, როგორც კუს ბაკნიდან, რადიოს უფროსს გამოეყო ხოტორა თავი.

— შენ, ეი, გავრილოვო! — ასძახა კაპიტანმა, — „ივერიის“ კაპიტანი გამომიძახე. ახლავე ამოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბელიანმა კიდევ ერთხელ შემოუარა ბაკს, ერთ წუთს ფორტშტევენთან შეჩერდა, ბათქუნა სამბალიან ტალღებს ნდობით გახედა და დერეფანში შეაბიჯა. მეზღვაურები, დერეფანში რომ უდარდელად მოაბიჯებდნენ, კედელს აეკრნენ.

მამუკამ ქორული მზერა ესროლა მათ, მარჯვნივ შეუხვია და ვიწრო კიბეს ზანტად აუყვა. რადიოს უფროსი გავრილოვი რადიოკვანძის ღია კართან იცდიდა, ზედა დერეფნის ბოლოში.

— „ივერიის“ კაპიტანი გელოდებათ, კაპიტანო!

ორბელიანმა რადიოკვანძში შეალაჯა და ერთ წუთს მთელი კარჭრილი საგულდაგულოდ ამოქოლა სიგრძე-სიგანეზე.

მეორე რადისტს ხელში მიკროფონი ეკავა და მამუკას აწოდებდა. სანამ მიკროფონს სქელ ტუჩთან მიიტანდა, რადისტს ჰკითხა კაპიტანიაო? რადისტმა თავი დაუქნია და ორბელიანმაც მაშინვე თავისი როხროხა ხმით მიკროფონში ჩასძახა.

— სალამი ნუგზარ, მამუკა ვარ. მოუთმენლად ველოდი შენი ხმის გაგონებას და აჰა, მგონი საშველი დაადგა.

— მეც ასევე, ჩემო მამუკა, მეც ასევე მოუთმენლად გელოდი. თუმცა შენს ლოდინში ნერვები დაგვაწყდა, მაგრამ მაინც დროულად მოხვედი. რა ამბებია იქ, სამშობლოში?

— ყველაფერი ძველებურადაა. წამოსვლის წინ შენთან შევიარე, კარგად არიან და მოუთმენლად გელიან, მაგრამ სანამ შინისაკენ აიღებდე კურსს, მე და შენ ფრიად სერიოზული დავალება გვაქვს შესასრულებელი.

— დიახ, მამუკა, შენი სამი რადიოგრამა მივიღე. სხვათა-შორის მთავარმა სამმართველომაც მთხოვა, მაგრამ მოგეხსენება სახლს მონატრებული კაცის ამბავი. ძალიან გამიჭირდება შენი მაცდური წინადადების მიღება. თავადაც კარგად იცი, წყალქვეშა სამუშაოები ჩემი სტიქიაა, მაგრამ რა ვქნა, შინ მიმელიან.

— მოიცა, მოიცა ნუგზარ! შენ ფიქრობ, რომ წყალქვეშა სამუშაოები გაგრძელდება? არ დაიჯერო. შენ როგორც ვიცი უკვე უკანასკნელ ტვირთს იღებ. რამდენი გაქვს ტრიუმებში?

— დიახ, უკანასკნელ ტვირთს ვიღებ, შინ წასაღებს. ტრიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებში ჯერ ძალიან ცოტა გვაქვს. ალბათ ასორმოცდაათ ტონამდე იქნება.

— მერე, რას ამბობ, ჯერ კიდევ ბლომად გაქვს ასაღები. სანამ „ივერია“ ტრიუმებს გაავსებდეს, პირობას გაძლევ, ყველა სამუშაო დამთავრებული იქნება. მერწმუნე ამაში.

ნუგზარი გაირინდა, ხმას აღარ იღებდა და მამუკა აგულიანებდა:

— ჩემო ძმაო, ამას ფიქრი არ უნდა.... მეზღვაური ხარ, რჩევისათვის ღობე-ყორეს ხომ ვერ მოედები, ნამგალი ხელში გაქვს და სათიბიც აქაა, თანხმობა მითხარ, ძმაო!

ნუგზარი ისევ დუმდა... მამუკას ხმა დაეძაბა.

— რაო, ლაპარაკის ლიმიტი ხომ არ გაგითავდა, ბიჭო? ხმა ამოიღე, რას მაღრიალებ თათრის ნაღარასავით ამ დუნიაზე.

ნუგზარი მიხვდა, დუმილი აღარ შეიძლებოდა.

— მამუკა, ზეგ დილით კონცხთან მოვალ, „გეოლოგზე“ გადმოვალ და ჩვენი საუბარიც მანდ გავაგრძელოთ. ასე უფრო უპრიანია.

— აგრე იყოს, აჰა თევზი და აჰა ბადეც, ზეგისათვის გელოდები, შენ აზრიანი კაცი ხარ და წვრილმანმა ემოციებმა არ დაგჯაბნოს. წარმატებას გისურვებ, კაპიტანო!

ნუგზარის შემდეგ მამუკა რეწვის უფროსს ელაპარაკა. მოითხოვა დაწვრილებითი ცნობები მომხდარი ამბების შესახებ. ზურაბმა უთხრა, ამ საქმის თაობაზე მე მთელი ორი ტომი შევადგინეო. შეთანხმდნენ, რომ ფლაგმანი დოკუმენტებს გააცნობდა მეორე დღეს, საღამოთი.

— ჩვენ ახლავე ავიღებთ კურსს თქვენკენ და ხვალ საღამოთი კონცხთან ვიქნებით. ჩემი რჩევაა, შეხვდეთ „ივერიის“ კაპიტანსაც. მას მეტად საყურადღებო დოკუმენტები აქვს, თვითონ გახდა ოთხჯერ წყალქვეშა მისიონერთა მსხვერპლი. — უთხრა ზურაბმა და მამუკამაც მაშინვე მეორედ გამოიძახა „ივერიის“ კაპიტანი.

— ნუგზარ, მამუკა ვარ ისევ. უგუნური მონასტერში შევიდა და აქ რა მინდოდა, მე მონასტერს ვეძებდიო. თურმე შენ ყოფილხარ, ძვირფასო, მთავარი ბრალმდებელი, შენთან მქონია საქმე, მე კიდევ შორიდან გივლიდი, გელოლიავებოდი.

აბა, შგლის მუხლი მაიბი, ვაჟკაცო. იქნებ შეძლო, უფრო ადრე მოხვიდე კონცხთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპროდუქტორი ერთხანს დუმდა. მერე როდის-როდის ნუგზარის ხმა გაისმა:

— ადრე ვერ მოვალ. კონცხისაკენ პელენგი ჯერ კიდევ სამი დღის უკან ავიღეთ. „ივერია“ უკვე მესამე დღეა ოთხმოცდამეშვიდე კვადრატში მუშაობს. აქედან შენამდე ზუსტად ოთხმოცდათვრამეტი საათის სავალია. ისიც კრეისერული სვლით. თუ აუცილებელია ჩვენი ადრე შეხვედრა, მაშინ არსებობს ერთადერთი გამოსავალი, შენც უნდა მოიხსნა ღუზიდან და ჩვენკენ წამოხვიდე თუ შენი გემის სიჩქარით ვიმსჯელებთ, მაშინ შეგვიძლია შეხვედრის დრო ოცი საათით გადმოვწიოთ. ამ სიტუაციაში მესამე გზას ვერ ვხედავ.

— არა, ჩემი წამოსვლა არ შეიძლება ჯერ ერთი, ბევრი ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი, რაც გემის ღუზაზე დგომას მოითხოვს, მეორეც, არის კიდევ ერთი გადაუდებელი საქმე. უნდა შევხვდე გემის კაპიტნებს. ეს შეხვედრა აქ, კონცხთან, მოეწყობა: ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე ფლაგმანს. ასე რომ, დარჩა ერთადერთი გამოსავალი, კონცხთან შევხვდებით ზეგ. მეტი რა ჩარაა, უნდა შევეგუოთ ამ აზრს, ზეგამდე, ჩემო ნუგზარ!

— ნახვამდის, მამუკა.

რადიოკვანძიდან რომ გამოვიდა, ნუგზარმა კედელთან ატუზული გაბოშვილი დალანდა. ისეთი სახე მიიღო, თითქოსდა არც კი შეემჩნიოს ამოდენა დევკაცი. დერეფანში ჩქარი ნაბიჯებით გაიარა და კაიუტაში შევიდა. ელოდა, გაბოშვილი კარზე დააკაკუნებსო, მაგრამ ანდროს არ დაუკაკუნებია. ნუგზარი საწერ მაგიდასთან მიჯდა, რადიოგრამებს ალაგებდა.

რადიოგრამები ორ ნაწილად ჰქონდა დაყოფილი: პირადი ცალკე ჰქონდა, სამსახურებრივი — ცალკე. სამსახურებრივი სქელი მუყაოს ნაცრისფერ საქაღალდეში ეწყო, პირადი — ვარდისფერში.

მოცალეობის დროს ხსნიდა ამ საქაღალდეებს, ზოგიერთ რადიოგრამას მესამედ და ასმეერთედ კითხულობდა და ისევ უკან დებდა ნომრის მიხედვით. საერთოდ კი, ყველა რადიო-

გრამა, როგორც პირადი, ასევე სამსახურებრივი, დანომრილი ჰქონდა. ზოგიერთს ნომრის გარდა მკვეთრი წითელი ფანქრით პატარა წრე ჰქონდა შემოხაზული. ეს იმას ნიშნავდა, ალისფერწვერიანი ქალალდი უფრო საყურადღებო იყო. ახლა სწორედ ასეთ რადიოგრამებს არჩევდა ორივე საქალალდედან და ყურადღებით კითხულობდა. კაიუტაში პირველი თანაშემწე რომ შევიდა, აშკარად არ ესიამოვნა. რადიოგრამები დინჯად შეაქუჩა და ისევ საქალალდეებში გადაუძახა.

— გინდოდა რაიმე?

სავარძლიანად შემობრუნდა და პირველ თანაშემწეს გაცქედა.

— ამბობენ „გეოლოგზე" გადადისო.

— დიახ, ჩვენ ხომ ახლა იქით მივდივართ!

— ეგ არა, კაცო. ისე გადადისო, რა...

ნუგზარმა გულუბრყვილო სახე მიიღო, თითქოსდა ვერც კი მიმხვდარიყო თანაშემწის ქარაგმას:

— აი, წყალქვეშ უნდა ჩავიდესო.

ნუგზარმა მზერა მოაშორა პირველ თანაშემწეს და იატაკს შიაჭდო. ერთხანს ასე გარინდებული იჯდა, მერე მთელი სხეულით გასწორდა და კაცის სიმძიმისაგან შეწუხებულმა სავარძელმაც ხმამაღლა გამოთქვა თავისი პროტესტი.

— იცი რა გითხრა... ჰო, გულწრფელად რომ გითხრა, მხიბლავს მამუკას წინადადება. თუმცა ჯერ თანხმობა არ მიმიცია, მაგრამ შეიძლება, დავთანხმდე.

— რა ვიცი, რადიოგრამები რომ მიიღე, ძალიან აჯანყდი და!

— ჰო, ასე იყო, მაგრამ შემდეგ კიდევ ვიფიქრე. ახლაც ვფიქრობ... ხომ გეუბნები, შეიძლება დავთანხმდე კიდეც...

— მაშინ, იცი, რას გეტყვი! ის ბიჭიც წაიყვა, თორემ ბოღმისაგან გაიგუდება.

— ვინ ბიჭი?

— აი, ანდრო გაბოშვილზე გეუბნები. მაგას აბა ჩემგან რა რეკომენდაცია სჭირდება, შენ ათჯერ უკეთესად იცნობ, კაცური კაცია. მაგაზე უკეთესს ვის იახლებ.

— ხომ გითხარი, ჯერ ჩემი საქმეც არ გადამიწყვეტია. თუ დავთანხმდი, გაბოშვილსაც ვუშუამდგომლებ, იმედი მაქვს, მამუკა უარს არ მეტყის. არა და, ეგეც აქ იყოს.

— საოცარი რომანტიკოსი ხარ, გატაცების კაცი. მე შენს ადგილზე, არ დავთანხმდებოდი. რა მეწყალქვეშება, შენ მოუთმენლად მიმელიან.

— არ გეწყინოს და, შენ გუშინ მოხვედი ზღვაზე. ჭიპი სხვაგან მოიჭერი და მეზღვაურობა მერე, ჭიპმოჭრილს დაგაბრალეს. მე თხუთმეტი წლის ვიყავი, ბათუმის საზღვაო სასწავლებელში რომ მოვხვდი. არც მშენებლობებზე მიმუშავნია და არც სტატიები მიწერია, იქიდან მოყოლებული ბოგურაზე ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. მოიცა, შენ კიდევ ცოტას ინაოსნებ და მერე გაიგებ ზღვის მაზანდას, გესმის, ძვირფასო.

თანაშემწეს ბეჭებში ჩააფრინდა და მაგრად შეაქანა.

— ასეა, ძმობილო.

უფროსი თანაშემწე შემოვიდა.

— ჩინებული ჩანაწერია, ხომ არ ჩავაგდოთ ტრალი?

— საამქროში თევზი აღარ არის?

— საამქროში მორჩა, თევზი აღარაა. მეხუთე ბუნკერში იქნება კიდევ ექვს ტონამდე. ეს არის და ეს. ტრალის ჩაგდება-ამოღება მხოლოდ საათნახევრით შეგვაყოვნებს. კურსს საერთოდ არ შევცვლით.

— მეტი რა ჩარაა, ჩააგდეთ ტრალი და საერთოდ კონცხამდე თევზის საამქრო არ გააჩეროთ. შეეცადეთ, სამი სავსე ბუნკერი მაინც გვქონდეს მარქაფად. ჩვენ არც ისე კარგი მდგომარეობა გვაქვს, რომ თავს უფლება მივცეთ, რვაათი სათი უქმად დავკარგოთ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ იქ რვა საათს შევყოვნდებით?— თქვა უფროსმა თანაშემწემ.

— ვნახოთ, იქნებ მეტსაც. მოდი, დაჯექი.

კაპიტანმა სკამი გამოსწია, უფროსი თანაშემწე დასვა, მერე მეორე სკამი პირველ თანაშემწეს მიაწოდა.

— იცი რა, იური ანდრეევიჩ, სწორედ ახლა ველაპარაკებოდი გიორგის. შეიძლება მე საერთოდ დავრჩე „გეოლოგზე“. მართალია, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ შესაძლოა ასე მოვიქცე. ჯერ ორი კვირის უკან მომცეს წინადადება მთავარ სამმართველოდან, შემდეგ მამუკამ მთხოვა

ვუხელმძღვანელო წყალქვეშა ექსპედიციას. შეიძლება ეს მარ-
ცდური წინადადება მივიღო. თუ ეს ასე მოხდა, გემის ხელმ-
ძღვანელობა შენ გევალება შენ იცი. საბოლოოდ, ყველაფერს
ზეგ გადავწყვეტ.

— მზად ვარ, ვემსახურო ჩემს კაპიტანს. გული თითქოს
შიგრძნობდა, რომ თქვენ უკანასკნელ მომენტში უღალატებ-
დით „ივერიას". იმედი გქონდეთ, სანამ იმ უცხო სამყაროში
იქნებით, ჩვენ შევძლებთ ტრიუმების ავსებას და დაგელოდე-
ბით. აქვე ახლოს ვიმუშავებთ, ოთხასმეცხრე კვდარატთახ.

— ჩვენ კარგად გავუგეთ ერთმანეთს, იური ანდრეევიჩ,
თქვენი იმედი მაქვს, ბიჭებო.

იმ დღეს მამუკა ძალიან ადრე ადგა. მიუხედავად იმისა,
რომ თვალის მოსატყუებლად მხოლოდ ღამის ორ საათზე
დაწვა, ხუთ საათზე ფეხზე იდგა. ჯერ გემს შემოუარა, ყვე-
ლაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, სინჯავდა. მერე, როცა
დარწმუნდა, ისეთი წესრიგი მეფობდა, თვითონ რომ აღმერ-
თებდა ხოლმე, ბოგურაზე შევიდა. ბოგურაზე ფართო მინასთან
მესაჭე იდგა. უფროსი თანაშემწე ასაკეც სკამზე წამოსკუპე-
ბულიყო.

კაპიტანი რომ შევიდა, უფროსი თანაშემწე ადგა.

— საათია, ჰორიზონტზე ორ წერტილს ვხედავ. ალბათ,
„ალბატროსი" და „ივერიაა". ლოკატორში კიდევ ხუთი სხვა
წერტილი ჩანს, ისინი ჩვენგან დაახლოებით ორმოცი-ორმოც-
დაათი მილის დაშორებით იმყოფებიან. ვფიქრობ „სარიჩო",
„ნატალია კოვშოვა", „ალექსანდრე ნეველი", „კოლხეთი" და
„სირიუსი" მოდიან.

— ჩართე ლოკატორი!

მესაჭემ ლოკატორი ჩართო და როცა ყრუ შრიალი გაისმა,
კაპიტანი ეკრანთან დაიხარა. მთელი თხუთმეტი წუთი ყურად-
ღებით აკვირდებოდა თეთრი წრიული ხაზების გასწვრივ გა-
ფანტულ ასევე თეთრ წერტილებს.

— დიახ, ჩვენი ძმები მოდიან. — მორიგე შტურმანს მი-
უბრუნდა.

— გაეცით განკარგულება, მოემზადონ ნავების მისაღებად.

კაპიტნის თანაშემწემ თავი დაუქნია, მერე „გეოლოგისა-
ჯენ" მომავალ წერტილებს გახედა და თქვა:

— რომელი ბორტიდან მივიღოთ სტუმრები, ამხანაგო მამუკა?

მამუკამ ბოგურა გაიარა, აივანზე გავიდა, მოაჯირზე გადაიხარა და ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა ტალღების მიმართულებას. ნაცადმა თვალმა ტალღების მოძრაობით განსაზღვრა ქარის მიმართულება. ბოგურაზე დაბრუნდა. მორიგე შტურმანი ახლა რადიოსთან იდგა.

— ნავები მიიღეთ მარჯვენა ბორტზე. თუ გემის მდგომარეობა ნავების მოსვლის დროისათვის შეიცვალოს, ჩართეთ მანქანები, გემი დააყენეთ ისე, რომ მარცხენა ბორტი სამხრეთისაკენ იყოს მიმართული.

— გასაგებია, ზუიდი (სამხრეთის ქარი) უბერავს.

კაპიტანმა ბოგურაზე გაიარა, ამასობაში მორიგე შტურმანი რადიოთი ბოტმანს აფრთხილებდა, მომზადებულიყვნენ ნავების მისაღებად: როცა ამ საქმეს მორჩა, კაპიტანმა უთხრა, „ალბატროსი“ და „ივერია“ გამოეძახა. — პირველად „ივერია“ გამოეხმაურა. რადიოს უფროსმა განაცხადა, კაპიტანი ისვენებსო. მორიგე შტურმანმა „გეოლოგის“ კაპიტნის სახელით სთხოვა, გაეღვიძებინათ. სამი წუთის შემდეგ რადიოსთან „ივერიის“ კაპიტანი მივიდა.

— ნუგზარ, ჩვენ ორ წერტილს ვხედავთ. თუმცა წერტილი კი არა, უკვე ჩოგბურთის ბურთისოდენა გახდნენ, მგონი, შენ და „ალბატროსი“ უნდა იყოთ.

— დიახ, სწორედ ასეა. „ალბატროსი“ ჩემ უკან მოდის, დაახლოებით ერთი მილის დაშორებით. ჩვენც უკვე დიდი ხანია, ვხედავთ „გეოლოგს“. სამი საათის შემდეგ დრეიფზე დავდგებით. ქარი ძლიერდება, კარგი იქნება, თუ „გეოლოგი“ ქარისგან დაგვიფარავს ნავის აბორდაჟის დროს.

— უკვე გავეცი განკარგულება, „გეოლოგი“ მარცხენა ქიმით ანტარქტიდის ქარისაგან დაგიფარავთ. თქვენ დრეიფზე მარჯვნივ დადექით. პროგნოზი არცთუ ისე ცუდია, ასე რომ, უხიფათოდ მიგიღებთ. სანამ სხვა გემები მოვიდოდნენ, ჩვენ მოვასწრებთ ორიოდე თბილი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს, გელით.

— და კიდევ რა, მამუკა, შენს პირველ თანაშემწეს სთხოვე, ახალი გაზეთები მოგვიმზადოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალი გაზეთები... როგორ გავიგოთ? გუშინდელი? დღევანდელი პრესა, თუ?!

— შენ კარგად იცი რასაც ვგულისხმობ ახალში.

— მესმის, ნუგზარ, ვიხუმრე... ჩვენ ბლომად წამოვიღეთ გაზეთები და ჟურნალები. შენთვის რამდენიმე ცალკე შეკვრაა მზად. რომ მოხვალთ, გადმოგცემთ. წერილებიცაა ჩვენთან თქვენი ეკიპაჟის წევრებისათვის. არის ამანათებიც. ერთი სიტყვით, ყველაფერს მიიღებთ.

შემდეგ ილია ვაზოვს ელაპარაკა მამუკა, იმასთანაც ყველაფერი დააზუსტა. მორიგე შტურმანს უთხრა დასასვენებლად მივდივარო და თავის კაიუტას მიაშურა. სანამ კიდევ ერთი აფორიაქებული დღე დაიწყებოდა ოკეანეში, სულ ცოტა სამი საათი მაინც რჩებოდა.

ორი საათის შემდეგ ოკეანეში „ივერიის“ კორპუსი ნათლად გამოიკვეთა, ჩანდა მისი გროტანძა და ბორტებზე დაბმული მაშველი ნავები. ნავების ქვეშ თევზის ფქვილით სავსე ტომრები დაეწყოთ, მაგრად გაეკრათ კაპრონის ბაწრებით. მორიგე შტურმანმა ყურადღებით შეათვალიერა ტიკებივით დაბერილი ტომრები და საყვედურით თქვა, ეს ნუგზარს როგორ მოუვიდაო. ნავების ქვეშ თევზის ფქვილის ტომრების დაწყობა ვის გაუგიაო, ერთი მაგრად დაუბეროს და ხათაბალა მერე ნახეო.

მესაჭემ ენას კბილები ვერ დააჭირა და უპასუხა: „ნუგზარი კი არა, მთელ ფლოტში ასეაო. ფქვილი უნდათ, გემზე კი ფქვილის შესანახ ადგილს არ აპროექტებენო“.

შტურმანი გაბრაზდა, რაც არ იცი, იქ ცხვირს რათა ჰყოფო, თევზის ფქვილის შესანახი ადგილი როგორ არ არის დაპროექტებულიო.

მესაჭესაც ჰქონდა ნერვები და სიტყვები ისევ გაუჭენდა: კი არისო, მაგრამ ცოტას იტევსო.

ისინი ალბათ კიდევ დიდხანს მოიფხანდნენ ენას, რადგანაც არსად ეჩქარებოდათ და არც უგვიანდებოდათ, რომ ბოგურაზე კაპიტანი არ შემოსულიყო. ორივენი მაშინვე გაჩუმდნენ, აქაოდა საერთოდ სიტყვაც არ დაგვიძრავსო.

კაპიტანმა ბოგურის შუა დიდი მინა გამოაღო. ანტარქტი-

დის ცივი ქარი შემოიჭრა ბოგურაზე და მესაჭე უსამოქმედოდ მოიბუზა. მესაჭეს მხოლოდ თხელი ქსოვილის ჭრელი ხალათი ეცვა. იმ დალოცვილს სახელოებიც აეკარწახებინა და გულიც ფართოდ მოეღეღა.

კაპიტანმა თავი ღია ფანჯარაში გაყო. ჯერ მათკენ მომავალ „ივერიას“ გახედა. მერე ცხვირწინაც დაიხედა. ცხვირწინ კი, ბაკზე ბოცმანი ფუსფუსებდა. ორი მატროსი გამოეყვანა და ფორშტევენთან რაღაცას ჩალიჩობდა. რას აკეთებდა, ეს კი ვერ გაიგო კაპიტანმა და ხელით ანიშნა, რას ცოდვილობო.

ბოცმანმა ხელები ტუჩებთან მოიმაგრა და ისე ამოსძახა:

— ფორშტევენის ქვეშ სასმელი წყალი აღმოჩნდა და მეშვიდე ტანკში ვტუმბავთო.

კაპიტანმა უპასუხა: არ გააფუჭოთო, ალბათ ზოგიერთ გემს დასჭირდება და მივცეთო.

ჰო, კარგიო, თქვა ბოცმანმა და კაპიტანმაც მაშინვე ჰკითხა: სტუმრების მიღების საქმე როგორ არისო?

ბოცმანმა ხელით ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო.

მერე კაპიტანმა ფანჯარა დახურა და მობუზულმა მესაჭემაც სული მოითქვა. ამასობაში „ივერია“ სულ ახლოს მოვიდა, მანქანები უკვე გამორთეს და გემიც რეიდზე დადგა. აივანზე და საპელენგო ბოგურაზე გამოჩნდნენ კუნთმაგარი მეზღვაურები. „გეოლოგამდე“ მათი მხიარული შეძახილიც აღწევდა. აქედანაც შეძახილებით უპასუხებდნენ და მხიარული აჟიოტაჟის ხმები თითქმის „ალბატროსამდე“ აღწევდა. „ალბატროსი“ კი ჯერ საკმაოდ შორს იყო.

მოდრეიფე „ივერიამ“ შეიცვალა მდგომარეობა, იგი „გეოლოგის“ მარჯვენა ბორტის გასწვრივ ჩადგა სამბალიანი ტალღების დინებაში. მერე დინჯად ჩაუშვეს ჰერმეტულად დახურული ნავი. ნავი ქვევით თეთრი იყო, ზევით წითელი, ისე იჯდა ოკეანეში, როგორც ჯამბაზის ქუდი ტაკიმასხარას თავზე. როცა ეს ორფერი მექანიზმი „გეოლოგისაკენ“ წამოვიდა თუხთუხით, მასპინძლებმა უკანა ერდოდან კაპრონის გრძელი ტრაპი ჩაუშვეს. მამუკა კი უკანა ერდოს აივანზე გავიდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს სტუმრების ნავის მოძრაობას. როდის-როდის ამ ნავმა „გეოლოგამდე“ მოაღწია. სახურავი გადაიხსნა და გამოჩნდნენ წითელ, კოხტა სავარძლებში ჩამჯდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნი: „ივერიის“ კაპიტანი, მეოთხე თანაშემწე, ბოცმანი და მატროსი ანდრო გაბოშვილი. კაპიტანი წამოდგა და სანაპ ტრაპზე შეხტებოდა, ეკიპაჟს მიუბრუნდა. ანდრო გაბოშვილმა კარგად გაიგონა, რაც კაპიტანმა თქვა: უკანვე გაბრუნდითო, მაგრამ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს სიტყვები ნამდვილად კაპიტანმა წარმოთქვა. ჯერ კიდევ გუშინ, როცა რადიოთი გამოაცხადეს კაპიტნის გამცილებელთა სია და ამ სიის ბოლოში ანდრომ თავის გვარიც გაიგონა, იფიქრა, ამდენ ხანს თუ ყველაფერი უკუღმა ტრიალებდა, ახლა ქვეყანა წალმა შემობრუნდაო. ამაყად ჩაჯდა ნავში და ძმაკაცებსაც გულდაგულ დაემშვიდობა. ახლა კი, ახლა, ცივი წყალი გადაასხეს. უნდოდა კაპიტნისათვის რაღაც ეკითხა, თვითონაც არ იცოდა, სახელდობრ რა უნდა ეკითხა, მაგრამ სულ უკანასკნელ წამს გადაიფიქრა, რადგანაც თვალწინ წარმოუდგა, როგორ გადახედავდა კაპიტანი, სიტყვასაც არ მიუგდებდა, ისე ააბიჯებდა ტრაპზე.

ტანში გაცრა გაბოშვილს და შურით გახედა, როგორ კოხტად შეხტა ტრაპზე კაპიტანი.

მამუკა ორბელიანმა, როცა თვალი მოჰკრა ტრაპზე ამომავალ „ივერიის“ კაპიტანს, თეთრი ხელთათმანები წაიძრო. ტყავის სქელ ქამარში ჩაიჩურთა და რკინის საფეხურები ჩაირბინა. „ივერიის“ კაპიტანი ჯერ შუა ტრაპამდეც კი არ ამოსულიყო, მამუკამ რომ ბუბუნა ხმით ჩასძახა:

— სიყრმის მეგობარს ვახლავართ. ხომ დიდებული შეხვედრაა, ძვირფასო, ზვიგენებისა და ზღვის ლომების პრაიდებს შორის?

„ივერიის“ კაპიტანმა რაღაც თქვა, მაგრამ ტალღების შრიალში მამუკამ ერთი სიტყვაც ვერ გაიგონა. მხოლოდ შეამჩნია, რომ ნუგზარი ჩქარობდა ამოსვლას. გვერდზე მოგდებული საველე ჩანთა მუხლზე ედებოდა და ხელს უშლიდა.

— ბიჭო, ნელა, ხელი არ მოგიცურდეს და ამ მილეთის ხალხის თვალწინ თავი არ მომჭრა.

ეს ისე თქვა, ყასიდად, თორემ მამუკამ კარგად იცოდა, ყრმობის მეგობარი თუ რა ყოჩაღიც იყო. როდის-როდის ნუგზარიც ამობობღდა, ერდოზე გადმოხტა თუ არა, მაშინვე მამუკას მკლავებში აღმოჩნდა, ერთმანეთს ჩაეკვრენ. ეს ორი გოლი-

ათი უკანა ერდოზე ისე ირხეოდა, როგორც ახალი ტრაკიდან გამოგორებული რვაფეხა.

ბოლოს, როგორც იყო, მისალმებით გული იჯერეს, მასპინძელი თავისი კაიუტისაკენ გაუძღვა. მამუკა ხანდახან შემობრუნდებოდა და ყურადღებით აკვირდებოდა მეგობარს.

— ორ წელზე მეტია, რაც აღარ შევხვედრივართ, არა?

— ჰო, ეგრეა, ჩემო მამუკა. წესით ამ რეისში წამოსვლის წინ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ბათუმში, მაგრამ რატომღაც სწორედ მაშინ შენ ლენინგრადში აღმოჩნდი.

— ჰო, ამ დალოცვილ ზღვას ეგ ერთი უკულმართი სენი სჭირს, კომუნიკაციების ერთობ გაჭიმვა და დახლართვა უყვარს. ისე გატარებს აღმა-დაღმა, წლობით ვერც მეგობარს შეხვდები და ვერც ცოლშვილს ნახავ.

სწორედ შარშან იყო, ჩემი უფროსი ძმა ოთხი თვე იდგა ბუენოს-აირესში კაპიტალურ რემონტზე. მე რიოსაკენ მივცურავდი, გზაში რადიოგრამა მივიღე, კურსი შემეცვალა და ბუენოს-აირესში შევსულიყავი. სიხარულით შევასრულე ეს განკარგულება და მერე იცი, რაც მოხდა,

— მე დილის ექვს საათზე შევედი პორტში, ჩემი ძმა კი სამ საათზე ღუზიდან მოხსნილიყო და კურსი სწორედ რიოსაკენ აეღო. მოდი, ახლა და განსაჯე, ბედი არაა?

ნუგზარი ჩუმად იყო, მხოლოდ ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა მეგობარს. მამუკა დერეფნის შესასვლელთან ერთ წუთს შეჩერდა, ყურადღებით დააკვირდა „ივერიის“ კაპიტანს.

— ე, რა მოგსვლია, ბიჭო, დაბერდი? ჭაღარა გაგრევია.

— არც შენ გადგას კარგი დღე. შენც გამოგრევია, ყმაწვილო.

— განცდებმა იცის, განცდებმა. გახსოვს საზღვაო სასწავლებელი, მე რომ დამცინოდით, ქართლელი და შეზღვაურივის დაესიზმრაო. ზღვას ცქვიტი ხალხი უყვარსო, შენ კი თელავის მატარებელივით მიიზმორებიო, ასე არ იყო,...

— აგრე იყო, აგრე. ახლა, როგორ გრძნობ თავს, ცოტა მაინც არ გაცქვიტდი?

— გავცქვიტდი კი არა, პირიქით დავმძიმდი. ე, ოხერი, ცოტას ვმოძრაობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა ივარჯიშო, მამუკა, გული დაგიავადმყოფდება.

— ვვარჯიშობ, განა!

— ჰოდა, მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

კაიუტაში შევიდნენ. „გეოლოგის“ კაპიტნის კაიუტა დიდი იყო, გაცილებით სრული, ვინემ „ივერიის“ კაპიტნისა.

შუაში გრძელი სასადილო მაგიდა იდგა. უფრო ბოშორებით — საწერი. საწერი მაგიდის ზემოთ, ილუმინატორის ვერდით კედელზე ყვითელი ნეილონის ფარდა ეკიდა, იქ ორი დიდი კარადა, დივანი და მოზრდილი აკვარიუმი იდგა. აკვარიუმი ოქროსფერი და ყვითელი თევზებით იყო სავსე. იქით, კარჭრილს მიღმა, საძინებული ოთახი ჩანდა.

ნუგზარი დივანზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო.

— კარგად ცხოვრობ, ძმობილო!

— არა მიშავს, მივაჭენებთ ჩვენი ცხოვრების ეტლს. ხანდახან ასე მგონია, ხომ არ დავემშვიდობო ზღვას, გადავიდე ხმელეთზე და სადმე მყუდრო ადგილზე მოვყუჩდე. მაგრამ, როცა ჩვენი ქოჩორა ტალღები წარმომიდგება, სხვა, ყველანაირი ცხოვრება ფასს კარგავს.

მამუკა ილუმინატორთან მივიდა. ილუმინატორი ზედ ვადმოჰყურებდა საწერ მაგიდას. მაგიდიდან ისე აიღო ჭოგრიტი, არც კი შემობრუნებულა, ყურადღებით გახედა ოკეანეს.

— ეს რა ამბავია, ბიჭო, რამდენი ზღვის ლომია! თითქმის მთელი მილეთის ლომები აქ შეყრილან.

— გამრავლებას იწყებენ და კონცხთან იყრიან თავს. შენ სანაპირო ზოლი ნახე. მთელი კონცხი სავსეა.

ნუგზარს ახლა სრულებითაც არ აინტერესებდა ეს დაწყევლილი ზღვის ლომები. მას ათასჯერ ერჩია, მამუკას ორიოდე სიტყვა ცოლშვილზე ეთქვა; მაგრამ მამუკა უსაშველოდ წელავდა და „ივერიის“ კაპიტანმაც ვერ იქნა და ვერ მოაშორა მზერა ზღვის ლომებსა და ზვიგენებს. ბოლოს, როცა ყველა იმედი გადაეწურა, თვალი გაუსწორა ორბელიანს და გაბზარული ხმით იკითხა.

— რადიოში მითხარი, წამოსვლისას შინ შევიარეო!

— ჰო, ვიყავი. კარგად არიან. ქეთინოს ბარათის გამოგზავნაც უნდოდა, გადაიფიქრა, ყოველდღე რადიოგრამას ვაგ-

ზავნიო.. ბიჭი დათვის ბელივით დაბაჯბაჯებს. ნამდვილი მამაკაცი.

— დალოცვილო, აბა, რომის პაპს ხომ არ დაეხმარებოდა!

— ასეა და.. ხომ არ მოგწყინდა?

— არა, მოწყენა რა სათქმელია, მაგრამ ცოტა გადავიღალე. მე უკვე მესამე რეისში წამოვედი, ისე რომ შვებულებით არ მისარგებლია. თითქმის ორი წელია, განუწყვეტლივ ზღვაში ვარ. ვანა ეს ცოტაა?

— ვინა თქვა, რომ ცოტაა, მაგრამ, თუ საქმე ითხოვს, რას იზამ!

— შენ კიდევ შემომიჩნდი და გინდა თუ არ გინდა, ქვესკნელში ჩაბრძანდიო. მთავარსამმართველოდან რომ თხოვნა მომივიდა, მაშინვე მივხვდი, შენი ჩაწყობილი საქმე რომ იყო. არა, ბიჭო, კაცი ვერ იშოვეს ბათუმში, არიქა, ნუგზარმა უხელმძღვანელოსო.

— მართალი ხარ, მაგრამ, მერწმუნე, ფრიად საინტერესო საქმეა. ერთი ეს მითხარი, რა პირობებში დაკარგეთ ტრალები?

— ძალიან საეჭვო პირობებში. მთავარი ისაა, რომ ოთხასმეცხრე კვადრატში რთული გრუნტი არაა. წესით ტრალი არაფერს არ უნდა გამოედოს. ამას გარდა, არ გვიგრძვნია ბიძგი, რომელიც მაშინ ჩნდება ხოლმე, როცა ტრალი მარჯნის ტყეში შეიჭრება. მესამეც კიდევ ისა, რომ ფოლადის გვარლი უბრალოდ მოგლეჯილი კი არაა, გადაჭრილია ბასრი იარაღით.

— შენ ფიქრობ, რომ შესაძლოა, ეს რომელიმე ქვეყნის წყალქვეშელების დივერსია იყოს?

— არა, ეს არ მითქვამს, მაგრამ ვფიქრობ, რაც ოთხასმეცხრე კვადრატში ხდება, არ შეიძლება დავაბრალოთ სტიქიას. ეს უდაოდ ჩაფიქრებული, წინასწარ განზრახული საქმეა. უდაოა, რომ ოპერაცია საწერ მაგიდაზეა დამუშავებული. სად, რომელ ქვეყანაში, რომელ მაგიდაზე, ამაზე პასუხს ალბათ „გეოლოგი“ გასცემს.

მამუკას მაგიდიდან კარგად წვერწამახული შავი ფანქარი აეღო. წაუთლელი ბოლოთი აკაკუნებდა მაგიდის მოპრიალებულ ზედაპირზე და მთელი ყურადღებით უსმენდა.

— პირდაპირ დაუჯერებელია, რაც მოხდა. ამის გამკეთე-

ბელი კაცი ან გიჟი უნდა იყოს, ან კიდევ დიდი საზღვაოელ-ლიგანი. სხვანაირად ვერ ამიხსნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ იქ სამხრეთ აფრიკელებს საზღვაო პოლიგონი ჰქონდეთ? — იკითხა შეპარვით ორბელიანმა.

— ვერ დავიჯერებ. მაშინ ჩვენი აკუსტიკური ხელსაწყოები აღნიშნავდნენ მოტორების ხმაურს. ფსკერზე კი სრული სიმშვიდე სუფევს.

მამუკამ ფურცელი აიღო, — ფანქარი გადმოაბრუნა და რაღაც ჩაინიშნა.

— ფლაგმანმა მითხრა, რაღაც აქტები აქვსო.

— დიახ, ჩვენ შევადგინეთ აქტები, ყოველი შემთხვევა შეძლებისდაგვარად აღვწერეთ.

ნუგზარმა საველე ჩანთა მოიხსნა, მუხლისთავებზე დაიდო და ხელი ჩანთაში მოაფათურა.

— აი, ინებე, ყველაფერი აქაა.

მამუკამ ჩამოართვა.

— საინტერესოა.

აუჩქარებლად შეუდგა აქტების კითხვას. სანამ ის ასე ზოზინ-ზოზინით ბოლოში გავიდოდა, ნუგზარი მშვიდად იჯდა და ისევ ილუმინატორში იყურებოდა.

— საინტერესოა, — კვლავ ამოღერღა მამუკამ, როცა აქტების კითხვას მორჩა, — ეს აქტები ალბათ თავის დროზე კარგ სამსახურს გაგვიწევს. ერთი ეს მითხარი, შენ ოთხი ტრალი დაკარგე, არა?

— დიახ, ოთხი ტრალი.

— ოთხივე ტრალი ასე ზუსტად ერთნაირ პირობებში დაიკარგა? ნუთუ არ ყოფილა რაიმე ისეთი, რაც ერთ შემთხვევას მეორისაგან განასხვავებდა?

ნუგზარი დაფიქრდა. მამუკამ კვლავ შეაბრუნა ფანქარი და ისევ შეუდგა მაგიდაზე გულდაგულ კაკუნს.

— არა, არავითარი განსხვავებული ვითარება არ ყოფილა, ყველა შემთხვევა ტყუპი ძმებივით ჰგავდა ერთმანეთს.

— იქნებ გაიხსენო, ჰა?

— არა მგონია, რაიმე დავუმატო.

კარზე დააკაკუნეს. პირველი თანაშემწე შემოვიდა, ნუგზარს მიესალმა და ხელიც ჩამოართვა. მამუკას მოახსენა „ალბატროსი“ მოგვადგაო.

— ნავი თუ ჩაუშვეს? — იკითხა „გეოლოგის“ კაპიტანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნავს უკვე უშვებენ.

— აბა, მოვდივართ; წავიდეთ ნუგზარ, ილია ვაზოვს შევხვდეთ.

აივანზე რომ გავიდნენ, „ალბატროსის“ მოტორიანი ნავი უკვე უახლოვდებოდა „გეოლოგს“. მერე საბმელებიც ტყორცნეს და „გეოლოგზეც“ მაშინვე დაიჭირეს.

ილია ვაზოვი მარტო არ მოსულა, მას პირველი თანაშემწეც ახლდა.

ილია დაბალი კაცი იყო, გამხდარი, მაგრამ როცა ლაპარაკობდა, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ ეს მჭექარე ხმა ამ გალეული ადამიანის ყელიდან ამოდიოდა.

ილიასთან შედარებით პირველი თანაშემწე უფრო მაღალი გახლდათ. ხმა ჰქონდა მეტად სასიამოვნო და სულ ერთთავად ღიმილს აფრქვევდა.

— ვიკრიბებით მომჩივნები, — თქვა ვაზოვმა, — ისინიც ორ საათში მოვლენ, ჩემ უკან მოდიოდნენ.

მამუკა, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ვაზოვი დანარჩენ კაპიტნებს გულისხმობდა.

— ჩვენც აქა ვართ. თათბირის შემდეგ „გეოლოგი“ ალბათ ღუზიდან მოიხსნება, ვფიქრობ, დღესვე გავემგზავრებით ოთხასმეცხრე კვადრატისაკენ.

— დიახ, რასაკვირველია, დროის დაკარგვა არ ღირს.

— ამხანაგო ილია, თქვენ თუ იცნობთ ტრალის დაკარგვის შესახებ „ივერიაზე“ შედგენილ აქტებს.

ვაზოვმა ნუგზარს გადახედა.

— სამწუხაროდ ამ აქტებს არ ვიცნობ.

— დრო საკმაოა, მგონი, ცუდი არ იქნება თუ ახლა გაეცნობით. აი, ინებეთ.

— დიდი სიამოვნებით.

„ალბატროსის“ კაპიტანმა აქტები აიღო, სანამ კითხვას შეუდგებოდა, ხალათის ჯიბიდან სათვალე ამოაძვრინა და შემდეგ ცხვირი ქაღალდებში ჩარგო. სანამ კითხვას არ მორჩა, თავი არ აუწევია. შემდეგ ქაღალდები ისევ ერთმანეთზე დააწყო, მამუკასაკენ გააჩოჩა და წყნარად თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემთვის რომ დაევალებინათ აქტების შედგენა ამ შემთხვევების შესახებ, მეც ზუსტად ასევე დავწერდი.

— თუ კარგად გაგიგეთ, თქვენ ამბობთ, რომ თქვენთანაც ანალოგიურ შემთხვევაში დაიკარგა ტრალი.

— დიახ, სწორედ მაგას ვამბობ.

მამუკამ ოთახში გაიარა, აკვარიუმში ნეკი ჩაყო და თევზებიც მაგრად შეაფუცხუნა.

— დიახ, ისინი ერთი სტანდარტული სქემით მოქმედებენ.

ილია ვაზოვი ელდანაკრავივით ფეხზე წამოიჭრა.

— ვინ ისინი, თქვით, კაპიტანო!

მამუკა შეცბა.

— განა, მე ვინმე დავასახელე?

— თქვენ ახლა თქვით ისინიო, ესე იგი, უკვე მიაკვლიეთ დამნაშავეებს.

ვაზოვმა ნუგზარს შეხედა. ნუგზარი ისევ ილუმინატორში იყურებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოსდა მე ალთას ვარ, თქვენ კიდევ ბალთასაო.

— მე ვთქვი ისინი, მაგრამ ჯერჯერობით არც მე და არც თქვენ არაფერი ვიცით, თუ ვინ იმალება ამ სიტყვის უკან.

* * *

რვა კაპიტნის შეხვედრა ბოლოს და ბოლოს საღამოთი შედგა. მამუკა ორბელიანის მთლად გაბოლილ კაიუტაში იჯდა მრავალჭირნახული რვა კაპიტანი. თათბირს მათ გარდა „გეოლოგის“ კაპიტნის უფროსი თანაშემწე და „ალბატროსის“ პირველი თანაშემწეც ესწრებოდა.

როცა თამბაქოს გაბოლებით და მიკითხვა-მოკითხვით გული იჯერეს, მამუკა საწერ მაგიდასთან მივიდა, ზურგით კედლისაკენ დადგა და ჩუმად წარმოთქვა: დრო, საქმეს შევუდგეთო.

კაიუტაში სიჩუმე ჩამოვარდა. მამუკამ კედელზე ჩამოშვებული ნეილონის ყვითელი ფარდა ხელის ენერგიული მოძრაობით გადასწია. გამოჩნდა ლურჯი და შავი ფერებით აჭრელებული რუკა.

მამუკამ გულზე ხელები დაიკრიფა.

— მთავარ სამმართველოში ფრიად შეწუხებულ ვართ ამ იმით, რაც ოთხასმეცხრე კვადრატში მოხდა. საქმე ტრალები როდია, ხვალ ამ ამბავს შესაძლოა, უარესი რამ მოჰყვეს. საჭიროა, ყველაფერი გაირკვეს, დაზუსტდეს, ბოლოს და ბოლოს ვიცოდეთ, რა ხდება ჩვენს ქვევით. ნაოსნობის ისტორიაში ეს ფაქტი ხომ უპრეცედენტოა. ჩვენ გვაქვს ყველა საშუალება საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

გავეცანი ყველა დოკუმენტს, რომლებიც დაკავშირებულია ოთხასმეცხრის ინციდენტთან. შეიძლება ერთი რამ დავასკვნათ: იქ, (მამუკამ თითი ოკეანის ფსკერისაკენ გაიშვირა) რაღაც საოცარი ამბავი ხდება.

გუშინ, შუადღისას, ღუზა ამოვიღეთ, გავიარეთ სწორედ ოთხასმეცხრე კვადრატი და ყველაზე უახლესი რენტგენული აპარატებით გადავიღეთ ფსკერი. თქვენ ამ რუკაზე ხედავთ გადაღებულ მასალას. როგორც ამჩნევთ, ფსკერი არცთუ ისე მარტივია, როგორც ეს, ჩვენ, მეზღვაურებს ათადან და ბაბადან გვჯეროდა. აქ არის გრძელი, ნათელი ხაზები, არის საეჭვო წერტილები. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ფრიად გამოუცნობ საიდუმლოსთან, რასაც საბოლოოდ ფარდას წყალქვეშა ექსპედიცია ახდის. ექსპედიცია იმუშავებს ბატისკაფით.

— რამდენი ბატისკაფია „გეოლოგზე“ და რა მარკის? — იკითხა რეწვის უფროსმა.

მამუკამ რეწვის უფროსს გახედა და დინჯად განაგრძო:

— „გეოლოგს“ აქვს სამი ბატისკაფი. ერთი — „კოლხეთი 7“ მარკისა, ერთი „ლენინგრადი“ და ერთიც მძიმე ბატისკაფი „გოლიათი 15“. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ დაგვჭირდება, რადგანაც მუშაობა ძირითადად 500-800 მეტრის სიღრმეზე მოგვიწევს. ამ სიღრმეებზე შესანიშნავად მუშაობს „კოლხეთი 7“.

— ვიცნობთ „კოლხეთს“, — თქვა „ალექსანდრე ნეველის“ კაპიტანმა მიხეილ ილგოვმა.

— ცუდი ბატისკაფი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მცირე სიღრმეებზე მას არ უჩივიან.

— შესანიშნავი ბატისკაფია, — ილგოვი ფეხზე ადგა, — წყნარ ოკეანეში მე მიმუშავია ამ ბატისკაფით. უნაკლოდ მუ-

შაობს. მხოლოდ საჭიროა, კარგი მექანიკოსი. აპარატურა ძალ-
ზე ფაქიზია, მუდმივ კონტროლს მოითხოვს.

— ამ მხრივ ჩვენ დაზღვეული ვართ. ბატისკაფის ეკიპაჟ-
ში იქნება ჩვენი მრავალნაცადი მექანიკოსი ვიტალი შლია-
ხოვი. ის საკუთარი საწოლივით იცნობს ამ ბატისკაფს. მხოლოდ
ერთი ნაკლი აქვს, ბევრს ეწევა. რადგანაც სიტყვა ეკიპაჟზე
ჩამოვარდა, ისიც უნდა ვთქვა, რომ წყალქვეშელებს „ივე-
რიის“ კაპიტანი ნუგზარ რონდელი უხელმძღვანელებს.

ყველამ ნუგზარისაკენ გაიხედა. ნუგზარი კი ორბელიანს
მისჩერებოდა თვალებში. ცდილობდა, ყველაფერი ზუსტად
მოესმინა.

— ეს საკითხი ჯერ კიდევ ხმელეთზე გადაწყდა, როცა
„გეოლოგის“ ეკიპაჟი კომპლექტდებოდა, ვფიქრობ, ამ დანი-
შვნის წინააღმდეგი არც რეწვის უფროსი ამხანაგი ზურაბი
იქნება. ყველა შემთხვევაში, ახლა ჩვენ სხვა უფრო გამოცდილი
წყალქვეშელი არა გვყავს, „ივერიის“ დროებითი კაპიტანი
კი შეირჩევა.

რეწვის უფროსმა უკმაყოფილოდ აიწკურა ბეჭები. ეს უკ-
მაყოფილება, რასაკვირველია, არც „გეოლოგის“ კაპიტანს გა-
მორჩენია და დაუმატა:

— მინდა, ბოდიში მოვიხადო ამხანაგ ზურაბის წინაშე იმის
გამო, რომ ეს საქმე მასთან შეუთანხმებლად გადაწყდა. მთა-
ვარსამმართველომ მე დამავალა მოლაპარაკება, თუმცა ვერა-
ფერიშვილი დიპლომატი გამოვდექი.

მამუკამ გაიღიმა და როცა შენიშნა, რეწვის უფროსის სა-
ხეზეც გამოიდარა, დაუმატა:

— ნუგზარი თვითონ წინააღმდეგი გახლდათ, როგორც იყო
დავითანხმე, რასაკვირველია, თუ ამხანაგი ზურაბიც მთავარ-
სამმართველოს აზრს გაიზიარებს.

— თანახმა ვარ. დაე, უხელმძღვანელოს, ახლა ნუგზარი
ყველაზე უფრო იქაა საჭირო.

— ჰოდა, ჰა ბურთი და ჰა მოედანი! — ნუგზარი უხელმძ-
ღვანელებს ჯგუფს. — ჩვენ, როგორც უკვე ვთქვი, დღეს ამო-
ვიღებთ ღუზას, შევალთ ოთხასმეცხრე კვადრატში და შევუდ-
გებით წყალქვეშა ექსპედიციისათვის მზადებას. ყოველ ახალ
საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც წყალქვეშელებისაგან

მივიღებთ, შევატყობინებთ მთელ ფლოტს საღამოს თვრამეტის შემდეგ.

აი, ყოველივე ის, რის თქმასაც თქვენთან ვაპირებდი. თუ რაიმე გინდათ მკითხოთ, მზად ვარ, გიპასუხოთ.

ილგოვი წამოდგა.

— განზრახულია თუ არა, კიდევ სხვა ლონისძიებები, თუ ოთხასმეცხრე კვადრატის ინციდენტი უფრო გართულდა?

— ამის თაობაზე შემიძლია შემდეგი გითხრათ: მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესაში დაიბეჭდა წერილები, გაერთიანებული ერების ასამბლეის იურიდიულმა კომისიამაც იმსჯელა. შეიქმნა აზრი...

მამუკამ შეისვენა და კაპიტნების დაძაბულ სახეებს შეავლო თვალი.

— დიახ, შეიქმნა აზრი, თითქოსდა არსებობდეს ადამიანთა დღევანდელი ცხოვრების მორალური კოდექსის მიმართ მტრულად განწყობილი ხულიგანთა ჯგუფი. გაზეთები წერენ, რომ ეს თავხედობა მხოლოდ და მხოლოდ მათი სავიზიტო ბარათია.

პირადად მე ტყუილი მგონია ეს ამბავი. ვერ დავიჯერებ, მოცლილ ადამიანთა ერთ ჯგუფს გადაეწყვიტოს, გასართობად აქციოს ოკეანის ფსკერი.

— თითქოსდა არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი, — თქვა „ალექსანდრე ნეველის“ კაპიტანმა.

— ვერ დაგეთანხმებით ამაში. უფრო უპრიანი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ოთხასმეცხრე კვადრატის ფსკერს გაცილებით ჭკვიანი თავი განაგებს, ვინემ შარახვეტიების გუნდია. კიდევ ხომ არაა შეკითხვა?

კაპიტნები დუმდნენ.

— მაშინ, თუ შეკითხვები აღარაა, თითო კონიაკი გადავკრათ და გზას დაგილოცავთ, ნუგზარ რონდელი კი დარჩება.

მამუკა კარადასთან მივიდა, გამოაღო. კარადაში ჩადგმულმა მოზრდილმა მაცივარმა გამოანათა.

მაცივრიდან ჭიქები და კონიაკი გამოიღო და როცა უკლებლივ ყველა ჭიქა შეავსო, ზურაბს მიუჯახუნა და თქვა:

— ეს ჩვენი ახალი, სერიოზული საქმის დაწყებას გაუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯოს. ყველაფერი კარგად, ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობდ, და-
გვირგვინებულიყოს. წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო.

— თქვენც გისურვებთ წარმატებას, — თქვა ილგოვმა და
კონიაკი გადაკრა, — იცით რა, მამუკა ივანოვიჩ, სიამოვნებით
მივიღებდი მეც მონაწილეობას ამ ექსპედიციაში, მაგრამ უფ-
როსი თანაშემწე ავადმყოფობს. მშურს ნუგზარის ბედი.

— არა უშავს, თქვენ აქედან დაგვეხმარებით. ახლა კი, მე-
გობრებო, მიიღეთ თქვენი ფოსტა. გაზეთებიცა და წერილებიც
პირველი თანაშემწის კაიუტაში აწყვია. მე გაგყვებით.

კარი გამოაღო და სტუმრებს პირველი თანაშემწის კაიუტი-
საკენ გაუძღვა, როცა ყველაფერს მორჩნენ და „გეოლოგის"
ბორტს სტუმრების უკანასკნელი ნავიც მოშორდა, ნუგზარმა
მკლავზე მოქაჩა.

— მამუკა, შენთან სათქმელი მაქვს. ჯერ ერთი, ჩემს გემ-
ზე უნდა გადავიდე, ზოგიერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი,
ფოსტასაც წავიღებ.

მამუკას სახე დაუგრძელდა, უკმაყოფილება არც კი და-
უფარავს.

— აუცილებელი საქმეა, თორემ არ წავიდოდი.

— რა გაეწყობა.

— ჯერ ბოლომდე არ მითქვამს, — ჩემი ეკიპაჟიდან ერთი
კაცი უნდა ავიყვანო. გამოცდილი წყალქვეშელია, თორემ
სიტყვასაც არ დავძრავდი.

მამუკამ ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა, მერე სახეში
გამომცდელად ჩააშტერდა.

— ენდობი?

— საკუთარ თავზე უფრო.

— ვინ არის?

— ანდრო გაბოშვილი. სულ წყალქვეშ მუშაობდა: პირვე-
ლად წამოვიდა სათევზაოდ გემზე და დამჭაჩთან დავაყენე. ის
რომ არ წავიყვანო, დიდ ცოდვას ჩავიდენ.

— ილბალი ჰქონია იმ შენს ანდროს. სწორედ გზაზე გაგ-
ვიხდა ცუდად ერთი მყვინთავი. წუხელაც ვფიქრობდი, ვინ გა-
მეშვა მის ნაცვლად. ხალხი კი მყავს, მაგრამ ისეთები არ მეგუ-
ლება, ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე რომ ვანდო. იყოს
ნება შენი...

ნუგზარი „ივერიაზე“ გადავიდა თუ არა, მაშინვე ამოიხმო პირველი და უფროსი თანაშემწე. არც კი დამჯდარა, ფრსტა გიორგის გადასცა და უფროს თანაშემწეს მიუბრუნდა.

— მე დღესვე, რამდენიმე წუთის შემდეგ გადავდივარ „გეოლოგზე“. მყვინთავთა ჯგუფს უნდა ვუხელმძღვანელო. ასეთია მთავარსამძართველოს გადაწყვეტილება.

უფროსმა თანაშემწემ თავი დაიქნია, აქაოდა ყველაფერი გავიგეო.

— ოთხასმეცხრე კვადრატიდან შორს ნუ წახვალთ შეეცადეთ, დღედაღამეში ორმოცდაათი ტონა მაინც გაყინოთ. ასე თუ არ გავაკეთეთ, გეგმას კი შევასრულებთ, მაგრამ ვალდებულებას ვერა. დუდინს სთხოვე, როგორმე ორი ასეთი ტრალი გამართოს. მტრისას, ამას რომ რამე მოუვიდეს, მთელი ორმოცი საათი უქმად დგომა მოგიწევთ. მე შემპირდა, გავმართავო და ალბათ შეასრულებს პირობას.

სამ დღეში ბაზა მოვა. თევზის ფქვილი უეჭველად გადატვირთეთ. ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ, მაშველი ნავების ქვეშაც კი გვიწყვია. ღმერთმა ნუ ქნას, გრიგალი ამოვარდეს, უეჭველად გადაგაბრუნებთ. თევზის ფქვილი უსათუოდ მოიშორეთ...

კიდევ რამდენიმე აუცილებელი განკარგულება გასცა. მერე საჭირო პირადი ნივთები ფაციფუცით პატარა ჩემოდანში ჩაყარა და კაიუტის კარი გაიხურა.

ბოგურაზე უფროს თანაშემწეს გამოაცხადებინა, გაბოშვილი მოემზადოს „გეოლოგზე“ გადასასვლელადო. ანდროსაც ბევრი სამზადისი არ დასჭირვებია და კაპიტანს უკანა ერდოზე დახვდა. ხელში მის მიერ მოქსოვილი ბადურა ეკავა. ბადურაში კიდევ ვინ მოთვლის, რა აღარ ჩაეჩურთა.

კაპიტანმა რომ პირთამდე გატენილ ბადურას მოჰკრა თვალი, ანდრო ჩაათვალიერა და ღიმილით იკითხა:

— ძმობილო, შენ რა, საქორწინოდ მიდიხარ, თუ ოკეანის ფსკერზე სამუშაოდ?

— ბევრი არაფერია, კაპიტანო! მარჯნის ნამსხვრევებია და კიბორჩხალების ფიტული. ბიჭებს დავასაჩუქრებ, სუვენირად გამოადგებათ.

— აჰა, ეგრეა საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სიტყვებისათვის მეტი ძალა რომ მიეცა, ბაფურს თავი შეუხსნა და მოწითალო ფერის კიბორჩხალების ფეტელები გამოაჩინა.

კაპიტანმა ბეჭზე ხელი დაჰკრა.

— აბა, გადახტი ნავში.

ანდრო გადახტა. კაპიტანიც მიჰყვა. ნავის ლუკი დაიხურა და „გეოლოგისაკენ“ გაცურდა.

„გეოლოგზე“ მამუკა ორბელიანს უკვე შეეკრიბა სამი წყალქვეშელი, პირველი და უფროსი თანაშემწე და „ივერიელთა“ მობრძანებას ელოდებოდა. როცა ნუგზარი და ანდრო გაბოშვილი ორბელიანის კაიუტაში შევიდნენ, მამუკამ ანდროს ხელი ჩამოართვა, დივანზე დასვა და ღუზის ამოღების განკარგულება გასცა. მერე თავის კაიუტაში გამოიძახა „კოლხიდა 7“-ის ეკიპაჟი.

სანამ ღუზას იღებდნენ, იგი განუწყვეტლივ მიმოდიოდა ბოგურასა და თავის კაიუტას შორის. ხოლო შემდეგ, როცა ღუზა დიდის ამბით დააბინავეს, კაპიტანი კაიუტაში შევიდა. იქ გრძელ მაგიდასთან უკვე ისხდნენ ბატისკაფელები. კაპიტნის შესვლისთანავე ისინი ფეხზე წამოდგნენ. კაპიტანმა ბრძანა, დაბრძანდითო და კედელთან მივიდა, ყვითელი ფარდა გადასწია. ნუგზარმა შენიშნა, რომ კედელზე ის ძველი კი არა, სხვა, ახალი რუკა ეკიდა. ეს რუკა მისთვის ნაცნობი იყო. სქელ ქაღალდზე ჩანდა წითელი ხაზებით კვადრატებად დაყოფილი რეწვის რაიონი.

— მივდივართ ოთხასმეცხრე კვადრატისაკენ. ექვს საათში იქ ვიქნებით. ამაღამ გადავიღებთ ფსკერის კიდევ რამდენიმე სურათს. დილით ჩვენ შევადარებთ ძველ გადაღებულსა და ახალს. ამ ოპერაციის შემდეგ მოხდება ბატისკაფ „კოლხეთის“ ჩაშვება, რომლის ეკიპაჟის წევრები ახლა აქ იმყოფებით. ეკიპაჟს უხელმძღვანელებს ნუგზარ რონდელი. მე მას აღარ დავახასიათებ, ვისაც საქმე ოკეანის ფსკერთან აქვს, არ შეიძლება მისი სახელი და გვარი არ გაგეგონოს. როგორც ვთქვი, იგი იქნება საერთო ხელმძღვანელი, პასუხს აგებს ეკიპაჟის საქმიანობაზე.

ტექნიკოსად იმუშავებს ვიტალი შლიახოვი. ესეც ცნობილი გვარია წყალქვეშელთა შორის.

ოცდაათიოდე წლის კაცი წამოდგა. ღიმილით გადახედა ოთ-
მყოფთ და თავის დაკვრით მიესალმა. მის სანდომიან სახეზე
და ცისფერ თვალებში მაშინაც არ გაკრეფილა ღიმილის ნა-
პერწკლები, როცა მამუკამ ეკიპაჟის მესამე წევრზე დაიწყო
ლაპარაკი. ეს წევრი კი ვალერი ბასილაია გახლდათ, რომელიც
დივანის ბოლოში ჩამომჯდარიყო და რაღაც ჟურნალს ფურ-
ცლავდა. მისი გვარი რომ ახსენეს, ჟურნალი გვერდზე გადადო,
წამოდგა და ეშმაკური თვალები მკვირცხლად მოავლო ყველას.

— ეს არის ვალერი ბასილაია, — ლაპარაკობდა მამუკა,—
ათასი კვიმატი საქმის წამომწყები, მაგრამ ვფიქრობ, გართო-
ბისათვის იქ საკმაოდ მცირე დრო დარჩება. ასე არ არის,
ნუგზარ?

— ვალერის ვიცნობ, კარგი მეზღვაურია, რა ვუყოთ, თუ
ცოტა ხუმრობაც უყვარს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— ვალერი ძირითადად უხელმძღვანელებს განათებას.
თქვენს განკარგულებაში იქნება ოთხი სატელევიზიო კამერა
და სამი პორტატიული ვიდეოჩამწერი. ბატისკაფიდან გასვ-
ლის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც სატელევიზიო
კამერები, ასევე ვიდეოჩამწერი. დავალებულია, ფსკერი გამო-
ირკვიოთ ყურადღებით, გადაიღოთ ფოტო და ვიდეოსურა-
თები. ბატისკაფს აქვს ზემძლავრი პროჟექტორები. საჭიროე-
ბის შემთხვევაში პროჟექტორების გარეთ გატანაც შეიძლება.

მამუკამ ერთ წუთს შეისვენა. მერე ანდრო გაბოშვილს შე-
ხედა და გააგრძელა:

— ამხანაგ რონდელის რეკომენდაციით ეკიპაჟი შეივსო
„ივერიიდან“ გადმოსული მეზღვაურით. არ ვიცი, ვიტალი და
ვალერი იცნობენ თუ არა?

— ვიცნობთ, ვიცნობთ და ერთადაც გვიმუშავია, — თქვა
შლიახოვმა, — სასიამოვნოა, რომ მეოთხე წევრი ანდრო გა-
ბოშვილია.

— თუ ასე კარგად იცნობთ, ეს მეც მახარებს. ახლა ეკი-
პაჟის წევრებს ვათავისუფლებ, შეგიძლიათ დაისვენოთ. გა-
ბოშვილს გააცანით ბატისკაფის ტექნიკა.

ყველანი ადგნენ.

— ამხანაგი რონდელი დარჩეს, — თქვა მამუკამ და ეს სი-

ტყვები სწორედ კაიუტის ღია კართან დაეწია ნუგზარს, შემოტ-
ბრუნდა და კარი მიხურა.

— შენ სადღა მირბიხარ, ბიჭო?

— მეგონა, მეც მანიჭებდი თავისუფლებას.

— ეგრე არა, შვილოსან, ჩვენ ჯერ ბევრი ოფლი გვაქვს სადენი, აბა აქ დაჯექი, როგორ მოგწონს ბიჭები?

— ჯერ ვერაფერს დავუწუნებ, დანარჩენს ფსკერი გვაჩვენებს.

— ვერაფერს დავუწუნებ, — ჩაიღლაპარაკა მამუკამ, მერე უფროს თანაშემწეს მკლავზე მოქაჩა და მაცივრისაკენ ანიშნა, — მართლაც დასაწუნი არაფერი აქვთ, მაგრამ ერთმანეთს უნდა შეეწყონ. წყალქვეშელები და ალპინისტები ამ მხრივ ერთი ბედისანი არიან. თუ კოლექტივი ძმური არაა, ვაი დედასა, იქ ხიფათი გარდუვალია.

უფროსმა თანაშემწემ მაგიდაზე „გრემი“ და პატარა ჭიქები დადგა.

— მართალი ხართ, მამუკა, ორივენი — ალპინისტებიცა და წყალქვეშელებიც ბეწვის ხიდზე გამავალი ხალხია. ეს ხიდი უხიფათოდ რომ განვლო, უნდა შეგეძლოს მეგობრისათვის თავის განწირვა. ძალიან უნდა გიყვარდეს სიცოცხლე და პატივსაც სცემდე.

— ხედავთ, ჩემს უფროს თანაშემწეს? პოეტურად ლაპარაკობს, მაგრამ რასაც ლაპარაკობს ხომ სრული ჭეშმარიტებაა.

— სრული ჭეშმარიტებაა, — დაეთანხმა ნუგზარიც და სავარძელზე გადაწვა.

მამუკა ყურადღებით დააკვირდა.

— ხომ არ გეძინება, ბიჭო?

— არც უიმისობაა, სანამ ოთხასმეცხრესთან მივიდოდეთ, შემიძლია გავუძლო.

— საჭირო არაა, წამოწექი, აი დივანი, როცა მივალთ, გაგაღვიძებ, სჯობია, ახლა მოატყუო თვალი, ვინემ მერე დახებდე ძილს.

— ასე ვიზამ, ბოდიშს კი ვიხდი...

ნუგზარი წამოდგა. მას სხვებმაც მიბაძეს, როცა „გეოლოგის“ კაპიტანი ბოგურისაკენ მიმავალ კარში გაძვრა და მას პირველი და უფროსი თანაშემწეც მიჰყვა, ნუგზარი დივანზე

წამოწვა, მართლაც ძალიან ეძინებოდა და მაშინვე ტკბილ ძილ-
რანში გაეხვია.

მამუკა ბოგურაზე შედგა და მაშინვე ცენტრალურ მინასთან
დადგა. ბოგურა ჩაბნელებული იყო, მაგრამ მესაჭე მაინც მიხ-
ვდა, ბოგურაზე კაპიტანმა რომ გაიარა.

— რამდენია მრიცხველზე? — იკითხა კაპიტანმა.

მესაჭემ მკრთალად განათებულ მრიცხველს დახედა.

— 165 გრადუსი, კაპიტანო!

— რამდენი დარჩა ოთხასმეცხრემდე?

— ორი საათის გზა.

ეს უკვე უფროსმა თანაშემწემ თქვა, იგი კაპიტნის გვერ-
დით დადგა და უფრო ხმადაბლა განაგრძო:

— ახლა ჩვენ ოთხასმეშვიდე კვადრატზე მივცურავთ.
ღღეს აქ თევზის დიდი ქარავანი გამოჩნდა და გემებიც ბლო-
მად მოაწყდნენ. მშვიდად თევზაობენ, მყუდროებას არავინ
ურღვევთ.

მართლაც „გეოლოგი“ გემების დიდ ჯგუფში მიცურავდა.
მარცხნივ და მარჯვნივ, პირდაპირ თუ უკან, ყველგან მეთევ-
ზეთა გემები ჩანდა.

— ფრთხილად იარეთ, ხედავთ, რა ფარვარტერები შეუ-
ქმნიათ.

— გასაგებია, ფრთხილად ვიცურებთ. თქვენ დასვენებას
ხომ არ აპირებთ?

— დიახ, ცოტას დავისვენებ. ოთხასმეცხრე კვადრატში
რომ შევცურდებით, გამაღვიძეთ, უჩემოდ გადაღება არ და-
იწყოთ.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა უფროსმა თანაშემწემ.

ორი საათის შემდეგ კი „გეოლოგის“ ბოგურაზე იდგა ორი-
ვე კაპიტანი, „გეოლოგის“ პირველი და უფროსი თანაშემწე,
უფროსი მექანიკოსი და ელექტრომექანიკოსი. გემი ნელა მი-
ცურავდა ოთხასმეცხრე კვადრატისაკენ. ირგვლივ, ყველა მე-
ზობელ კვადრატში, გახურებული თევზჭერა იყო და გემე-
ბის შუქიც ოკეანეში აღმოცენებული ქალაქების ილუზიებს
ქმნიდა. მხოლოდ ოთხასმეცხრე იყო უკაცრიელი, როგორც
ოაზისებს შორის მოქცეული უდაბნოს გატიალებული ზოლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ორასმეთოთხმეტე გრადუსზე გადი! — უთხრა მამუკამ მესაჭეს.

— არის, ორასთოთხმეტი, — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, რუმბაზე ორასთოთხმეტია.

— გეჭიროს ასე! — ბრძანა ორბელიანმა და უფროს მექანიკოსს მიუბრუნდა, — დაიწყონ გადაღება!

უფროსი მექანიკოსი დერეფანში გამავალი კარისაკენ წავიდა. ზედ კართან კიდევ დაეწია კაპიტნის ბუბუნა ხმა:

— კოლია, თუ ძმა ხარ, ფირის გამჟღავნება დააჩქარე.

უფროსი მექანიკოსი ზღურბლთან შეჩერდა.

— გამთენიისას ფირი მზად იქნება.

— მადლობელი ვარ.

კაპიტანი მესაჭისაკენ შებრუნდა.

— ზუსტად გეჭიროს ეს კურსი.

ნუგზარი გვერდით დაუდგა.

— ჩვენ რომ გვაჩვენე ის სურათები, ამ კურსზეა გადაღებული?

— ამ კურსზეა. მინდა შევადარო, ცვლილებები ხომ არ მომხდარა გუშინს აქეთ.

— ჭკვიანური აზრია.

— ჯერ ასე გავიაროთ, შემდეგ ვერტიკალურად გადავკვეთოთ. დილით კი ფირებს რომ ჩაგვაბარებენ, ჩავიკეტოთ და ყველაფერი საგულდაგულოდ გავსინჯოთ.

კაპიტანმა უეცრად გემისაკენ მომქროლავ ყვითელ ზოლს მოჰკრა თვალი. ზოლი ლარივით სწორი იყო, თითქოსდა ოკეანის ზედაპირზე სახაზავი დაედოთ და ეს ყვითელი ხაზიც მას გამოჰყოლოდეს.

მამუკამ ნუგზარს ბეჭზე ხელი შეახო.

— ხედავ? დელფინი მოქრის, ფოსფორულ ხაზს ტოვებს. სულ პირველად რომ ვნახე ღამეში დელფინთა ასეთი ლტოლვა გემისაკენ, კინაღამ სული განვუტევე.

მაშინაც ატლანტის ოკეანეში მივცურავდით. ერთიც ვნახოთ, ღამის ვახტზე ვდგავარ, მესამე თანაშემწედ ვმუშაობდი გავიხედე და რას ვხედავ, ოკეანის ზედაპირზე სამი ცეცხლოვანი ზოლი მოჩანს. მაშინვე დავასკვენი, რომ ტორპედოები გვესროლეს. ვინ? ამის გამო ტვინი აღარ მიჭყლეტია. კიდევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენიმე წამი და, ეჭვი აღარ მეპარებოდა, გემის ნამსხვრევები ჰაერში მიმოიფანტებოდა.

კაიუტაში შევარდნა და კაპიტნის გაღვიძება გადავწყვიტეის იყო, ფეხიც გადავდგი რაღაც ბედად ჩემს გვერდით მეორე თანაშემწე აღმოჩნდა. „ტორპედოებს“ მშვიდად გადახედა და ასეთივე სიმშვიდით მომმართა:

— რას ფიქრობთ, თანაშემწევ, ხომ ლამაზ ოინებს გვიწყობენ ეს ონავარი დელფინები?

ავირიე, მაგრამ გონს მაინც სწრაფად მოვეგე.

— აბა, ხედავთ, როგორ ლამაზად მოცურავენ.

— საოცარია, რატომ მოცურავენ გემებისაკენ, მოვარდებიან, ზედ ქიმთან ამოხტებიან და ისევ უკან მიიჩქარიან.

განა სალამის სათქმელად ასე შორს წამოსვლა ღირს?

ამასობაში დელფინებმა მისალმების ცერემონიალი დაამთავრეს და მეც სული მოვითქვი.

— ვამთავრებთ ოთხასმეცხრე კვადრატს, — თქვა უფროსმა თანაშემწემ.

— ვიცუროთ სამხრეთით სამი მილი. შემდეგ შემოვბრუნდეთ და გადავკვეთოთ ჩვენ მიერ განვლილი გზა. — თქვა კაპიტანმა. უფროსმა თანაშემწემ რუმბას დახედა და მესაჭეს განკარგულება მისცა.

გემი მძიმედ შებრუნდა სამხრეთისაკენ და ასევე ნელი რხევით გავიდა კურსზე.

როცა ბოგურაზე მეოთხე თანაშემწე შემოვიდა და თქვა ფირების პირველი წყება უკვე გამოვამჟღავნეო, დილის ხუთი საათი იქნებოდა. კაპიტანი ფეხმოუცვლელად იდგა ცენტრალურ მინასთან. მისჩერებოდა ჩაშავებულ ოკეანეს და ასევე ზეზეულად თვლემდა. მეოთხე თანაშემწის ხმა რომ გაიგონა, ნუგზარს მარჯვენა ხელი ბეჭში ჩაავლო და კაიუტაში შეიყვანა.

— აბა, საბაზანოში შედი, ცივი წყალი შეისხი სახეზე და მერე ლაბორატორიას მივაკითხოთ.

ნუგზარს თავპატიჟი არ დაუწყია. საბაზანო ოთახში შევიდა და ცივი წყალი მოუშვა. პერანგი გაიხადა და ასე ტანზევით ტიტველი, შხაპისაკენ გადაიხარა.

ცივი წყლის მაგარი ჭავლი ბეჭებზე სცემდა, ზურგზე ეღვრებოდა და ტანშიც სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეც გაიგრილა, როცა ამ სასიამოვნო პროცედურას ბოლოს კავიდან ქათქათა პირსახოცი ჩამოხსნა და დიდხანს იმშრალებდა.

— მორჩი? — ჰკითხა კაპიტანმა, მშრალებ-მშრალებით საძინებელ ოთახში რომ გავიდა, — დამელოდე და ახლავე მოვალ.

მამუკამ სააბაზანოს კარი ჩაიკეტა.

ეს ახლავე ბარე ოცი წუთი მაინც გაგრძელდა. ოცი წუთის შემდეგ ჯაგარივით სქელი თმის ვარცხნით კაიუტაში შემოვიდა „გეოლოგის“ კაპიტანი. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოსდა ეს ღამეც ბოგურაზე კი არა, თბილ, ღუღუნა ლოგინში გაეტარებინოს.

— აბა, გავქანდით!

მართლაც გაქანდნენ.

ტელეფოტოსტუდია მეზღვაურთა სასადილოს პირდაპირ იყო მოთავსებული, ზედ უკანა ერდოს ქვეშ. გემის კორპუსში ოთხი დიდი ოთახი ემსახურებოდა ამ საქმეს. რენტგენული კამერები გემის ფსკერზე იყო მოთავსებული, განკარგულებას კი სტუდიიდან ღებულობდნენ.

პირველი, ცენტრალური, ოთახი სადემონსტრაციო იყო. სწორედ აქ შეიყვანა მამუკამ ნუგზარი.

კედელზე ორი მოზრდილი ეკრანი ჩანდა. ეკრანის წინ შვიდი ლამაზი სავარძელი იდგა. სავარძლების წინ კი, გრძელი, დაბალი მაგიდა. ამ სავარძლებში უკვე იჯდა ორი კაცი: უფროსი მექანიკოსი და პირველი თანაშემწე. როცა მათ გვერდით მამუკა და ნუგზარიც მოთავსდნენ, ვიღაცამ რადიოთი იკითხა, დავიწყოთო?

კაპიტანი გადაიხარა, გრძელ მაგიდაზე, მიკროფონის გვერდით მოთავსებულ წითელ ღილაკს თითი შეახო და ჩასძახა: — დაიწყეთო.

ჯერ მარცხენა ეკრანი აინთო და ამ ეკრანზე ნუგზარმა მაშინვე იცნო ოკეანის გრუნტის რუკა, გუშინ რომ ნახა კაპიტნის კაიუტაში. შემდეგ მეორე აინთო და მამუკამაც სწორედ მაშინ უჩურჩულა, ყურადღება მიაქციეო.

ეკრანზე ორი გრძელი თეთრი ხაზი გამოისახა. ეს ხაზები მიემართებოდა მთელი ეკრანის გასწვრივ. ხაზებთან რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბჟუტავი წერტილები ჩანდა. იმავ დროს დიქტოფონიც ჩა-
ერთო.

— სურათები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, გუშინდელი დღის შემდეგ ოკეანის ფსკერზე არაფერი შეცვლილა. ჩვენ გავიანგარიშეთ წერტილების ერთმანეთისაგან დაშორებაც, არც მანძილი შეცვლილა. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გუშინ იყო.

ერთი საათის შემდეგ შეგიძლიათ ნახოთ ახალი კადრები.

სტუდიიდან აივანზე რომ გამოვიდნენ, უკვე ჩვეულებრივი ტროპიკული დილა იდგა. მზე ნელ-ნელა მოიწევდა სადღაც ნამიბოის უდაბნოს იქიდან. მისი დისკო ჯერ ცის კაბადონს არ გაჰკვროდა. მაგრამ აღმოსავლეთი მთლად წითლად შეეღება. სხივების განიერი წითელი ზოლი ოკეანეზეც გადმოწოლილიყო და ზღვის ლომების პრიალა ზურგზე ლიცლიცებდა.

ნელი პასატი უბერავდა. აფრიკიდან მოჰქონდა ქოქოსის პალმებისა და ტროპიკული წვიმით გულგამძღარი მიწის სუნი. გემის გასწვრივ უზარმაზარი რუხი პეპლები დაფარფატებდნენ.

მამუკამ ღიმილით გახედა.

— ხედავ, საიდან მოსულან, სულ ცოტა თოთხმეტი მილი მაინც ხომ გადმოიფრინეს. არც ისე სუსტი ყოფილა პეპელა, როგორც გვეგონა. აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას.

— ტროპიკულმა წვიმამ გამორეკა, როგორც ჩანს, წუხელ, იქ, ხმელეთზე, წარღვნამ გადაიარა. ახლა უდაბნოს ნახვა ერთ რამედ ღირს. გაიღვიძებდა, სულ ყვავილებითა და მწვანეთი მოირთვებოდა. მერე რა, ერთს გამოიხედავს და საღამოს ისევ ჩაჟამდება.

— ასე დაუდგენია ბუნებას უდაბნოსათვის, — ჩაილაპარაკა მამუკამ და ნუგზარს ბეჭებზე ხელი დაადო.

— ის ფირებიც ვნახოთ და შუადღისას შეიძლება ბატისკაფიც ჩავუშვათ.

კაპიტნის გამოხედვაში ცოტაოდენი ნაღველი შენიშნა რონდელმა და უმწეოდ გაიღიმა.

— თქვენი ნებაა, კაპიტანო, მზად ვარ, ოღონდ სანამ ჩავეშვებოდეთ, მინდა ბიჭებს ვესაუბრო. ბატისკაფსაც დავათვალიერებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ, ბიჭებს ახლავე გამოვუძახებ.

— მამუკა, მაპატიე, მარტო მინდა ვესაუბრო.

ორბელიანი შეცბა.

— ჩემს კაიუტაში შედი, იქ გამოგიძახებ, მე ბოგურაზე ვიქნები, — ამოღერღა მან და განიერი ბეჭების რხევით აივანზე გაიარა.

ნუგზარი კაიუტაში შევიდა თუ არა, მაშინვე თავისუფლად ამოისუნთქა. ხომ სიყრმის მეგობარი იყო მამუკა, მაგრამ მასთანაც კი ამ სხვა გემზე, უცხოდ გრძნობდა თავს. ძალიან მოუნდა ახლა თავის კაიუტაში მჯდარიყო საწერ მაგიდასთან.

ნელა გაიარა და ილუმინატორთან გაჩერდა.

კარზე დააკაკუნეს და პირველი ვიტალი შლიახოვი შემოვიდა. კართან დადგა, გასწორდა და იკითხა.

— თქვენ მეძახდით, კაპიტანო?

ნუგზარმა თავი დაუქნია. ახლა შეამჩნია, ვიტალის თხელი, ძალიან პატარა, აბზეკილი ცხვირი რომ ჰქონდა. თეთრ სახეზე კეთილად უციმციმებდა, ვიწრო, ცისფერი თვალები.

— დაჯექი ვიტალი, — თქვა რონდელმა და ილუმინატორს მოშორდა.

ანდრო გაბოშვილი და ვალერი ბასილაია ერთად მოვიდნენ. ვალერი მაშინვე ჩაჯდა სავარძელში, ანდრო კი, ურო-სოდენა მუჭებში ნაცრისფერი ხაკის ქუდს ჭმუჭნიდა.

— მაშ ასე, ყველანი აქა ვართ. დღეს შუადღისას ჩვენ ვესტუმრებით წყალქვეშა სამყაროს. კიდევ არის დრო, თუ რომელიმე თქვენგანი მერყეობს, შეუძლია განაცხადოს და შევცვლით.

სამივე გასუსული იჯდა.

— რეისი მძიმე იქნება, და სახიფათო...

— რატომ გვაშინებთ, კაპიტანო! — გაისმა შლიახოვის ხმა.

ნუგზარს, თითქოსდა ეს სიტყვები არც კი გაეგონოს, ისევ განაგრძო.

— ოთხასმეცხრე კვადრატის გამოკვლევა ბევრ რამეს ახდის ფარდას, ჩვენ ამის პირველი მოწმენი ვიქნებით. ახლა არ დაგიწყებთ იმის მტკიცებას, როგორი უნდა იყოს წყალქვეშელი. თითოეულმა თქვენთაგანმა ეს ჩინებულად იცის, —

მხოლოდ ერთს გეტყვით: როგორც ძველები ამბობდნენ: „ზღვა მკაცრი მამაა და მცირედ შეცდომასაც არ გვაპატიებს.

ვიტალი, გთხოვთ კიდევ ერთხელ ვალერისთან ერთად შეამოწმოთ კავშირგაბმულობის საშუალებები, ტელეკამერები, მთელი ტექნიკური მეურნეობა. თუ რომელიმე მექანიზმი კარგად არ მუშაობს, ჯერ კიდევ არის დრო წესრიგში მოვიყვანოთ, მერე გვიან იქნება, ანდრო, შენც მოეხმარე მეგობრებს.

როცა მეზღვაურები წავიდნენ, ნუგზარმა გაიფიქრა, რომ საუბარი მთლად ისეთი არ გამოუვიდა, როგორც განზრახული ჰქონდა. ვერ იქნა და ვერ გაუხსნა გული ამ თბილსა და ენერგიით სავსე ყმაწვილებს. ნაწყენი იყო თავისთავზე. ეს ძამუკამაც შენიშნა, როცა „ივერიის“ კაპიტანმა ბოგურზე შეაბიჯა.

— რაო, არ მოგწონს ბიჭები?

— ჩინებული ბიჭები არიან.

— აბა, რად ჩამოგიშვია ცხვირი?

ნუგზარმა გაღიმება სცადა.

— ისე, ალბათ გადავიღალე.

— წამოდი, ბატისკაფი დავათვალიეროთ.

უკანა ერდოზე უზარმაზარ ამწეს ყუნწზე შებერებული მსხალივით ეკავა მართლაცდა მსხლის ფორმის ბატისკაფი. ბატისკაფის ქვედა, ძირითადი კორპუსი, ერდოზე იდგა, მის ირგვლივ მატროსები ფუსფუსებდნენ. როცა მასთან კაპიტნებიც მივიდნენ, ყველამ გზა უტია.

მამუკამ გაიხარა მეზღვაურებს შორის და არცთუ ისე ვიწრო ლიუკში ბეჭებში მოხრილი შეძვრა. მას ნუგზარიც მიჰყვა. ისინი მრგვალ ოთახში აღმოჩნდნენ. პლასტიკატის ნაცრისფერი კედლების გასწვრივ უამრავი აპარატურა იყო ჩარიგებული. ყოველი მექანიზმი კედელზე მჭიდროდ იყო დამაგრებული. მანქანების ამ სამყაროში ერთად ფუსფუსებდნენ წყალქვეშა ექსპედიციის წევრები, უფროსი მექანიკოსი და ელექტრომექანიკოსი.

ნუგზარს თვალში ეცა იდეალური სისუფთავე და მაშინვე გაიფიქრა, რომ ბატისკაფს კარგი პატრონი ჰყავდა.

კაპიტნებმა მანქანებს უხმოდ შემოუარეს და მერე ლიუკთან დადგნენ.

— რას იტყვის უფროსი მექანიკოსი? — იკითხა მამუკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი მექანიკოსი ტელეპულტს მოშორდა, წელში გაიმართა და ხმამაღლა თქვა:

— ყველაფერი წესრიგშია.

— შენ რას იტყვი, ვიტალი?

— ვერაფერს დავუმატებ უფროსი მექანიკოსის ნათქვამს.

მამუკამ ნუგზარს გადახედა და ლიუკში გაძვრა.

— კმაყოფილი ხარ? — უკვე დერეფანში ჰკითხა „ივერიის“ კაპიტანს.

— უფლება არა მაქვს, რომ უკმაყოფილო ვიყო.

— აბა, ახლა ის ბოლო ფირებიც ვნახოთ.

მაგრამ არც ფირების უკნასკნელ კადრებს გამოუმჟღავნებიათ რაიმე ახალი საიდუმლო. ზუსტად გუშინდელი ძასალის ასლი აჩვენეს და მამუკამ თქვა, ყოველივე ის, რაც ფსკერზეა, მყარად დგას და სახეს ასე ადვილად არ იცვლისო. დანარჩენს ექსპედიცია გვეტყვის. ახლა სუფრას მივუსხდეთ და გზას დაგილოცავთ.

წინ უფროსი თანაშემწე შემოეგებათ. ორბელიანმა ბეჭზე ხელი დაადო.

— განკარგულება გაეცი, კაიუტკომპანიაში პატარა სუფრა გააწყონ.

— რამდენი პერსონისათვის? — იკითხა უფროსმა თანაშემწემ.

ორბელიანი ერთ წუთს შეყოვნდა, მერე ნუგზარს შეხედა და ხმადაბლა თქვა:

— ჩვენთვის, შენთვის და ჩემთვის.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა უფროსმა თანაშემწემ და მერე მისი რიხიანი ხმა დერეფნის ბოლოდან მოისმა, მომარაგების უფროსს მეფური სუფრის გაშლას უბრძანებდა.

ნახევარი საათის შემდეგ კაიუტკომპანიაში, როცა სუფრას მიუსხდნენ, მართლაც რომ იგრძნობოდა მასპინძელთა გულუხვობა. სხვა დროს ხელმოჭერილ მომარაგების უფროსს, ამჯერად არც ხიზილალა გამორჩენია და არც ბოლში გამოყვანილი დოში.

ნუგზარს მართლაც შიოდა თანაც იმასაც გრძნობდა, რომ ასეთ სუფრას, სანამ ფსკერს კარგად არ გამოიკვლევდა, ვე-

ღარ მიუჯდებოდა. სკამზე დაეშვა თუ არა, მაშინვე ფეხზე ადგა-
წვდა და საქმეს გულდაგულ შეუდგა.

ორბელიანმა მომცრო ჭიქები ჭაჭის არაყით აავსო. მზის შუქზე იისფრად შეფერილ სითხეს გახედა და რაღაც ჩაიბუბუნა. თუ რა თქვა, კარგად ვერც კი გაიგო ნუგზარმა. თავისი ჭიქა აიღო და გადაჰკრა.

— კახურია, არა?

მამუკამ გაიღიმა.

— განა ფერზე ვერ შეატყვე?

— დიახ, შევატყვე და კარგადაც შევატყვე. ჩინებულია. მამუკას აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დაიქნია.

მეორედ შევსებული ჭიქა კი დიდხანს ეკავა ხელში ორბელიანს. ილაპარაკა წყალქვეშა ექსპედიციის წევრთა დიდ მოვალეობაზე. გაიხსენა დაკარგული ტრალებიცა და გვარლებიც. მერე ნუგზარის დახასიათებას შეუდგა და ბოლოს ეს გრძელი სადღეგრძელო იმით დაამთავრა, რომ ყველას დავალების პირნათლად შესრულება უსურვა.

მერე ნუგზარმა თქვა სამადლობელი და ის იყო ლაპარაკის საღერღელი ანდრო გაბოშვილსაც კი აეშალა, რომ მასპინძელმა პურისჭამას წერტილი დაუსვა.

ვალერიმ ძლივს მოასწრო მუჭი მოხარშული კრევეტით აევსო დერეფანში, სანამ უფროსები კიდევ რაღაცას აზუსტებდნენ, ის მშვიდად ფცქვნიდა ზღვის ამ კალიებს და მადიანად შეექცეოდა.

— ძალიან გიყვარს კრევეტი?

— ძალიან, ამხანაგო კაპიტანო.

ორბელიანმა უფროს თანაშემწეს გახედა.

— ერთი ყუთი გაატანეთ, გულს ნუ დაწყვეტთ.

უფროსმა თანაშემწემ თავი დინჯად დაიქნია. ბოგურიდან მეორე თანაშემწე გამოვიდა.

— ამხანაგო კაპიტანო, ოთხასმეცხრე კვადრატში ვიმყოფებით, თქვა, მან და კაპიტნის განკარგულების მოლოდინში დაიძაბა.

კაპიტანი არ ჩქარობდა. ისე ათვალიერებდა მეორე თანაშემწეს, თითქოსდა ერთი წელი ზედაც არ შეეხედოს. მერე

ნუგზარს გახედა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოღერღა, „ერთგული იფზე დადექითო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე თანაშემწე ისევ ბოგურაზე შებრუნდა, მამუკამ და მისმა სტუმრებმა კი გზა უკანა ერდოსაკენ გააგრძელეს.

უკანა ერდოზე, ცენტრალური დამქაჩის წინ „კოლხიდა-7“ მარკის უშველებელი ბატისკაფი იდგა. ბატისკაფის ირგვლივ მეზღვაურები მდუმარე ქანდაკებებივით იდგნენ და კაპიტანს შეჰყურებდნენ. კაპიტანი კი ჯერ ბატისკაფთან მივიდა. მერე ლიუკშიც შეძვრა და ერთხანს არც გამოსულა იქიდან, როცა როდის-როდის ისევ გემბანზე დადგა ფეხი, ნუგზარს ცერად გახედა.

— მშურს თქვენი, გული მწყდება, რომ ამ საპატიო მისიის შემსრულებელთა შორის არა ვარ.

ბეჭებზე ხელი მოჰხვია და გულში ჩაიკრა.

— გზა მშვიდობისა, წარმატებას გისურვებთ, ძმებო.

მერე სათითაოდ მოეხვია ანდროს, ვიტალი შლიახოვს, ვალერი ბასილაიას და ბატისკაფს მოშორდა.

ახლა სხვები დაემშვიდობნენ, მერე ნუგზარი ლიუკში შეძვრა დანარჩენებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. უფროსმა თანაშემწემ ღია ლიუკში შეიჭვრიტა:

— ძმებო, ხომ კარგად მოეწყვეთ? — იკითხა მან გაბზარული ხმით.

— ჩინებულად, ისე, თითქოს პირველი კლასის სასტუმროს ლუქსში ვიყოთ. — გაისმა ვალერი ბასილაიას ხმა.

უფროსი თანაშემწე უფრო სხვა ხმის გაგონებას ელოდა, ამიტომ ლიუკს მანამ არ მოშორებია, სანამ იქიდან ნუგზარმა არ ამოღერღა: „კარგად მოვეწყვეთო“. მხოლოდ მაშინ მოშორდა ლიუკს, დახურვა ბრძანა. ეს ბრძანება მაშინვე შესრულდა. მძიმე ლიუკმა საგულდაგულოდ დაგმანა რკინის უზარმაზარი მსხლის პატარა სარქველი.

მამუკა ახლა უკანა ერდოს ბოგურაზე ავიდა. ბატისკაფი ისე იდგა, რომ სქელი მინის ფანჯარა სწორედ ბოგურასკენ იყო მიქეცული. მინის იქით მამუკამ ანდრო გაბოშვილის ზორბა ბეჭები შენიშნა. მერე ნუგზარიც შეამჩნია. გაბოშვილმა ცოტა უკან დაიწია და ფანჯარასთან ახლა ნუგზარი მოუ'შვა.

ორბელიანმა გაუღიმა. ნუგზარმაც ღიმილითვე უპასუხა და ხელი დაუქნია. შემდეგ ცერა თითი ზევით აღმართა. ყველაფერი წესრიგშიაო. მაშინვე რეპროდუქტორში გარედან შემოჭრილი პირველი კითხვაც გაისმა.

— როგორ მოეწყვეთ? მზად ხართ თუ არა სტარტისათვის?

ნუგზარმა სანამ უპასუხებდა, მამუკას ცერა თითის აწევით ანიშნა: ჯავრი ნუ გაქვსო და შემდეგ რადიოში ბოხი, ფოლადგარეული ხმით ჩასძახა.

— ბატისკაფი მზადაა დავალების შესასრულებლად. ეკიპაჟი მხნედ გრძნობს თავს. აპარატურა მუშაობს ნორმალურად, წნევა-ნოლი.

ნუგზარმა დაინახა, როგორ გაიღიმა მამუკამ და უფროს თანაშემწეს ანიშნა, საქმეს შეუდექიო. უფროსმა თანაშემწემაც აღარ დააყოვნა.

ბატისკაფი დოკიდან მოხსნილი გემივით შეირხა. ჯერ ძარჯვნივ გაქანდა, მერე მარცხნივ და ბოლოს ცისკენ აიწია. ფანჯარა ახლა ოკეანისაკენ შებრუნდა და მამუკა ვეღარ ხედავდა, ვერც ტონტორა ანდროსა და ვერც ნუგზარის მოღიმარ სახეს. ფანჯარა კიდეც რომ უკანა ერდოს ბოგურის მხარეს ყოფილიყო, მათ მაინც ვეღარ შენიშნავდა, რადგან ნუგზარი ახლა კედელში ჩადგმულ ალუმინის სკამზე იჯდა და ვიტალი შლიახოვს განკარგულებებს აძლევდა. ვიტალი რადიოსთან ფუსფუსებდა. როცა ბატისკაფი ოკეანის ზედაპირზე დაჯდა, წყლის შხეფებმა ფანჯარა ერთ წუთს დააბნელეს, მხოლოდ ერთ წუთს. მერე სქელი მინიდან იისფერი დამამშვიდებელი შუქი გამოჩნდა. მზის სხივები ჯერ კიდევ ატანდნენ იისფერ სამყაროში და მას პეწსა და ლაზათს მატებდნენ.

მერე ერთბაშად სიბნელე ჩამოწვა და ნუგზარმა ვალერის უბრძანა პროჟექტორები აენთო. აინთო თუ არა პროჟექტორები, ფანჯრიდან ისევ შემოანათა ცისფერი წყვდიადის სამყარომ.

ნუგზარმა ჩახრახნილი სკამი ფანჯრისაკენ შეაბრუნა, თვალი გაადევნა შუქისაგან დამფრთხალ თევზთა ქარავანს. ისინი ჭიკრიალებდნენ ყველა მიმართულებით, ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს ყოფილიყვნენ ამ საეჭვო სინათლისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს იყო პირველი შეხვედრა, რამაც დააფრთხო ოკეანის მკვიდრნი. მერე უნდობლობის გრძნობამ თანდათან ბარა და ფანჯარასთან, როგორც დიდ აკვარიუმში, დაიწყო ათასნაირ თევზთა თამამი ნავარდი. ზოგი ფარფლების ზახტი მოძრაობით ბატისკაფთან ერთად ეშვებოდა ოკეანეში.

ოკეანის სამყარო ნელ-ნელა ხსნიდა თავის გულს. ბატისკაფი ახლა სარდინის უზარმაზარ ქარავანში შესრიალდა. პატარა, მომწვანო საცოდავი თევზები პირდაპირ მინას ასკდებოდნენ და ერთმანეთის ჯგლეთაში იყვნენ. ხანდახან მათ შორის ონავარი ზღვის ლომებიც გაინავარდებდნენ. ზღვის ლომებს პირდაპირ თიბათვე დასდგომოდათ და ბარაქიან ძოსავალსაც ცხვირწინ იმკიდნენ. ხარბად სანსლავდნენ სარდიხებს. მერე ნავარდით ისევ ზედაპირისაკენ მიცურავდნენ, ცოტას სულს მოითქვამდნენ თუ არა, ისევ გაუმაძღარი მადის დასაოკებლად ყვინთავდნენ.

ეს ბარბაროსული ნადირობა შემაზრზენი ეჩვენა ნუგზარს და სკამი ისევ შეაბრუნა. ვალერის შეხედა და მაშინვე იკითხა:

— სიღრმე?

— ოთხმოცი მეტრი, — სწრაფად უპასუხა ვალერიმ და ახლა თვითონ გაიხედა ილუმინატორში.

— კავშირი როგორია?

— ჩინებული — უპასუხა ვიტალი შლიახოვმა, — იმავე დროს თვალით ანიშნა რადიოსაკენ — თქვენ გთხოვენ, ამხანაგო ნუგზარ.

ნუგზარი სკამიდან ფრთხილად ჩამოვიდა და ორად ორი ნაბიჯი გადადგა რადიოსაკენ, სალაპარაკო ხელში აიღო.

— ნუგზარ რონდელი ვარ, გისმენთ.

— როგორ მიდის თქვენი საქმეები?

ნუგზარმა ხმაზე იცნო ორბელიანი. ხმა ცოტა შეცვლილიც ეჩვენა, მაგრამ მაინც გამოარჩია.

— კარგად ამხანაგო მამუკა.

— საეჭვო ხომ არაფერი ჩანს? ჩვენი ტელეკამერები ჯერჯერობით სახიფათოს არაფერს ხედავენ.

— ნორმალურად ვეშვებით. სიღრმე 80 მეტრია. მზის სხი-

ვები ვეღარ ატანს. აპარატურა მუშაობს ნორმალურად. ახლახან სარდინას ქარავანს ჩავუარეთ. შიგ ზღვის ლომები ბადრაობდნენ და საკმაოდ გვარიანი სასაკლაო გამართეს. ქარავნის შემდეგ შედარებით სიწყნარეა, თითო-ოროლა თევზი თუ გაიქროლებს. მაინცდამაინც დიდ ცნობისმოყვარეობას არ იჩენენ. ეს არის და ეს.

— კარგი, განაგრძეთ თქვენი საქმიანობა.

ანდრო გაბოშვილმა მზერა ილუმინატორს მოსწყვიტა და ნუგზარს შეხედა.

— დიდი გაუმაძღარი ცხოველია ეს ზღვის ლომი, როგორ თქვლეფდნენ საცოდავ სარდინებს. პირდაპირ მომინდა გავსულიყავი და კეტით დავრეოდი იმ ავაზაკებს.

ვიტალიმ ჩაიცინა.

— ბუნებამ, ყველა თავის მკვიდრს არგუნა თავდაცვის რაიმე საშუალება, ან იარაღი. საცოდავი სარდინა კი დაავიწყდა. ხომ დაკვირვებიხართ კიბორჩხალების ოჯახს — ეგრეთწოდებულ მცოცავებს. რა შესანიშნავი ჯავშანი აქვთ. კრევეტი რომ კრევეტია, ამ ზღვის ნამცეცა კალიასაც ისეთი ეკლები აქვს, ბიჭი ხარ და თითი დააკარე.

— ფიზალია ქეძაფით სავსე პარკს დაატარებს, — ჩაიბურდღუნა გაბოშვილმა.

— ყველას რაღაც საშუალება გააჩნია ერთი დღით მაინც გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, — კვლავ გააგრძელა ვიტალიმ. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ნუგზარის დაძაბულ სახეს რომ შეხედა, ენაზე მომდგარი სიტყვა გადაყლაპა.

ნუგზარი ისევ ილუმინატორში იყურებოდა. მინიდან ჩანდა ჩამუქებული, ჭაობისფერი ერთფეროვნება. ის სევდიანი ბგერები, რომლებიც უხვადაა გაბნეული მთელს ოკეანეში, თითქოს ამ უზარმაზარ ბატისკაფშიც აღწევდნენ და ნუგზარის სმენას აჯადოებდნენ.

გაბოშვილმა რაღაც ჩაიჩურჩულა, მაგრამ ნუგზარს ყურიც არ გაუბარტყუნებია. ის ახლა დაწნეხილი წყლის ბლანტ მასაში გამოკვეთილ გრძელ აჩრდილს აკვირდებოდა.

— მგონი, ზვიგენია, — თქვა გაბოშვილმა.

— ჰო, ზვიგენია, — დაეთანხმა ვალერიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავ დროს ნუგზარის ხმამაც ცივი ლითონის ნაჭერივით გაიზუზუნა.

— აანთეთ მთავარი პროჟექტორი!

ვალერიმ ღილაკს თითი შეახო. სწორედ ილუმინატორის თავზე ზემძლავრი პროჟექტორი აინთო და ის გრძელი შავი აჩრდილიც შეტოკდა, ერთბაშად სიგარის მოხაზულობა მიიღო, მერე ისევ გასწორდა და ბატისკაფისაკენ ზანტად წამოვიდა.

— ვეშაპისმაგვარი ზვიგენია, ნადირობს, — ნუგზარმა ეს ისე ჩაილაპარაკა, თითქოსდა სხვის გასაგონად კი არა, თავისთვის ეთქვას.

მერე შუქმა ორი ბებერი კალმარი დააფრთხო. ორივემ რაკეტები ჩართო და მზის შესახვედრად გასწია. მათ კვალდაკვალ უზარმაზარი მურენა გამოჩნდა. ოკეანის შხამიანი გველი ილუმინატორის წინ შემაზრზენად იკლაკნებოდა.

— სიღრმე? — იკითხა ისევ ნუგზარმა.

— 150, — უპასუხა ვალერიმ, — ყველა აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

— ამხანაგო ანდრო, ჩაწერეთ სავახტო ჟურნალში: 150 მეტრი, ოკეანეში სიმშვიდეა, ჩაშვება წარმატებით გრძელდება, აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

— ამ წუთში, ამხანაგო კაპიტანო.

სანამ ანდრო ჟურნალში აღნიშნავდა, ნუგზარმა ვალერის გახედა.

— ზედა პროჟექტორი გამორთე.

მერე შლიახოვს შეხედა.

— რა ისმის ზემოდან? — მაგრამ მაშინვე მიხვდა ამ კითხვის შეუსაბამობას და გაასწორა: — კავშირი როგორია?

— ნორმალური. ტელეკამერები კარგად მუშაობენ. ვიდეოფირზე გამოსახულება ნათელია, ჯერჯერობით საეჭვო არაფერი ჩანს.

ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ ანდრო გაბოშვილმა ნუგზარის ბრძანებით კვლავ ჩაწერა სავახტო ჟურნალში: „3 საათი და 25 წუთი. სიღრმე 350 მეტრი. ჩაშვება წარმატებით მიმდინარეობს. საეჭვო არაფერია. ილუმინატორის წინ, ისე, თითქოს დემონსტრაციაზე, განუწყვეტლივ მიედინებიან თევზები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალმარი, მურენა, ზოგჯერ კაშალოტიც და კიდევ ათასი ეული
და მამაძაღლი, რომელთაც საცხოვრებლად ოკეანე აურჩევიათ".

მთელ ამ ჩანაწერს ანდრომ ბოლოში საკმაოდ მსხვილი წერტილი დაუსვა და ჟურნალი დახურა.

ბასილაია პროჟექტორების მოძრაობას აწესრიგებდა. ნუგზარი ახლა ხშირად თხოულობდა შუქის მიმართულებათა შეცვლას და ვალერი მთელი ყურადღებით იჯდა თავის პატარა ხრახნიან სკამზე.

ზევიდანაც განუწყვეტლივ მოდიოდა ბრძანებები და შეკითხვები. ვიტალი შლიახოვი კარგად აუდიოდა „გეოლოგთან" კავშირის საქმეს.

— ჩართეთ ქვედა პროჟექტორი!

გაისმა ნუგზარის ბრძანება და ვალერიმაც არ დააყოვნა. მხოლოდ ფაციფუცში ქვედას მაგივრად ზედა ჩართო.

ნუგზარმა ნერწყვი გადაყლაპა და ბასილაიას ცერად გახედა.

— უფრო მეტი ყურადღებით, ამხანაგო ბასილაია.

ვალერი შეცბა.

— კლავიატურა ამერია, ამხანაგო ნუგზარ.

ნუგზარმა მხოლოდ გახედა და მერე ეს ცივი მზერა ისევ ილუმინატორისაკენ გადაიტანა

როცა ქვედა ზემძლავრი პროჟექტორი როგორც იყო აინთო, ნუგზარი ხრახნიანი სკამიდან ჩამოვიდა, ქვედა ლიუკი ახადა და სქელ მინას თითქმის ცხვირი შეაჭყლიტა.

— ჩართეთ ქვედა ტელეკამერა.

ტელეკამერა ჩართეს, მაგრამ ნუგზარი ქვედა ილუმინატორს არ მოშორებია. მხოლოდ ყურს უგდებდა, ვიტალი რომ მოახსენებდა:

— ქვევით აბსოლუტური წყვდიადია. ტელეკამერა აღიქვამს მხოლოდ და მხოლოდ შავ ფონს. ალაგ-ალაგ შეინიშნება პატარა მკრთალი წერტილები. ეს ალბათ ოკეანის ცხოველებია. თუმცა არა, სამი ცალი კარგად მაჩვენა კამერამ, ოკეანის კიტრია. ალბათ ქვემოთ, ფსკერზე პლანტაციაა. გადამწიფებული კიტრი უკვე წყდება ყლორტს.

ნუგზარი როდის-როდის ქვედა ილუმინატორს მოშორდა, ისევ თავის სკამზე ავიდა და ქვედა პროჟექტორის ჩაქრობა ბრძანა.

ბასილაიამ თქვა, 400 მეტრს ჩავცდითო. ანდრომ ისევ გა-
შალა სავახტო ჟურნალი, მშვიდად ჩაწერა: „სიღრმე 400 მეტ-
რი, აბსოლუტური სიმშვიდე. აპარატურა ნორმალურად მუ-
შაობს. ქვემოდან ჯერჯერობით ჩამიჩუმიც არ ისმის“.

როცა 500 მეტრს ჩასცდნენ, ნუგზარმა ისევ ბრძანა ქვედა
პროექტორის ანთება და სკამიდან კვლავ ქვედა ლიუკისაკენ
გადაინაცვლა. ვიტალიმაც ჩართო ტელეკამერა და მაშინვე
დაიძახა, ქვემოთ ტყე ჩანსო. მართლაც ორასიოდე მეტრს იქით
ჩანდა ოკეანის ჯუნგლები. წყალქვეშა დინებისაგან ხეთა კენ-
წეროები ნელა ირხეოდნენ.

ნუგზარი ლიუკს აღარ მოშორებია.

— გადაეცით ზევით, ჩვენ ვხედავთ უღრან ტყეს. ტყე შვი-
დასიოდე მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. ზუსტად ტყეში
ვეშვებით. — თქვა ისე, რომ მზერა ილუმინატორისათვის არ
მოუშორებია.

— გასაგებია, — დაიძახა ვიტალი შლიახოვმა და ნუგზარის
ნათქვამი მაშინვე „გეოლოგს“ მოახსენა. იქიდან კი ორბელიან-
მა დაიბუბუნა:

— ვანელებთ ჩაშვების სიჩქარეს: გისურვებთ უხიფათო
დაჯდომას. ცოტა ხნის შემდეგ კი „გეოლოგიდან“ მეორე ბრძა-
ნებაც მოვიდა: „ვწყვეტთ ჩაშვებას, ვიწყებთ ფსკერის ფოტო-
გადაღებას, დაელოდეთ შემდეგ განკარგულებას“.

ფოტოკამერები მაშინვე ჩართეს და გადაღებას შეუდგნენ.
ტელეეკრანებზე კი კვლავ ჯიუტად ჩანდა წყალქვეშა ჯუნგ-
ლების სამყარო, ერთმანეთში გადახლართული ხეთა კენწეროე-
ბი, ტალღისებურად, კეკლუცად ხან იხრებოდნენ, ხახაც კი-
დევ გაიმართებოდნენ და მაშინვე ქოლავდნენ იმ მცირე ხვრე-
ლებს, რომლებიც მათი გადახრისას ტანკენარ ხეებს შორის
ჩნდებოდა.

ხეებსა და ზედაპირს შორის ბატისკაფი გიგანტური გაჩახ-
ჩახებული მსხალივით ეკიდა. დრო ნელა, ზანტად მიდიოდა.
წყალქვეშელებიც მშვიდად იდგნენ თავიანთ უბნებზე. როცა
ვალერიმ რაღაც თავისთვის ჩაიდუდუნა, ვიტალიმ ცერად გა-
ხედა: ხომ არაფერი შეგიმჩნევიაო?

—ა რა, იმაზე ვფიქრობ, რა მოუსვენარი ხალხი ვართ ჩვენ,
ადამიანები. აქ რა დაგვრჩენია, სად მივძვრებით!

ხელი ჩაიქნია და ცხვირი ისევ ქვედა ილუმინატორს შეაჭყლიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფილოსოფოსობ? — ჰკითხა ანდრო გაბოშვილმა.

— განა ყველაფერი ის, რაც ცხოვრების ლოგიკიდან გამოდის, ფილოსოფიაა! უბრალოდ ვყბედობ. ადამიანები მოუსვენარნი ვართ-მეთქი. ეს არის და ეს, წერტილი...

ნუგზარმა გამოხედა. შუბლი ჩვეულებრივად შეკრული ჰქონდა. გამოხედა და ერთხანს უყურებდა ილუმინატორზე მიღურსმნულ ვალერის. მერე გაეღიმა და როგორც იყო ამოღერღა:

— თქვენც იპოვეთ ადგილი და დრო წყლის სანაყავად. ისე კი, შენ რომ იცოდე ვალერი, ადამიანი მაშინ არის ლამაზი, მაშინა აქვს ცხოვრებასაც ფასი და ლაზათი, როცა მთელი სხეული, მარტო ტვინი კი არა, მთელი სხეული სავსეა მომხიბვლელი იდეებით, დიდი მიზნებით. ადამიანი მაშინ კვდება, როცა მის სხეულს ტოვებენ მიზნები. ზოგჯერ ამ სულიერ კვდომას თან ახლავს ფიზიკური აღსასრულიც.

ნუგზარი ისევ ეკრანისაკენ შებრუნდა. ანდრო კი, რომელსაც თავისი კაპიტნისაგან ამ სიგრძე სენტენცია მთელი ნაცნობობის განმავლობაში არ მოესმინა, გაოცებული იდგა და თვალებმოწკურული მიშტერებოდა ნუგზარის ლამაზ პროფილს.

ვიტალი იღიმებოდა.

ბოლოს ვალერიმ ცხვირი ილუმინატორის მინას მოაშორა,

— ოკეანის ეს ადგილი მდიდარია ფლორითა და ფაუნით. აშკარად იგრძნობა ეს. ალბათ, ამაში მალე დავრწმუნდებით.

— მაინც როდის? — იკითხა გაბოშვილმა.

— მაშინ, როცა ჩვენი ბატისკაფი ამ გაუვალ ტყეში ჩასრიალდება.

იმავ წუთს ვიტალი შლიახოვმა ნუგზარს გახედა.

— ჩაშვება გრძელდება.

ყველამ იგრძნო, რომ რკინის ეს დიდი მასა ისევ დაიძრა. ახლა უფრო ნელა, ზანტად, ზოზინით. იგი, რაღაც ფრთხილი მოძრაობით უახლოვდებოდა ხეთა კენწეროებს, ისე, თითქოს სანადიროდ გამზადებული მტაცებელი თავის მსხვერპლს ეპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებაო. მერე პირველი დარტყმა მიიღეს მოქანავე ტოტებმა და ჩუმი ტლაშუნით ჩაცურდნენ ფსკერისაკენ.

ბატისკაფი ამ ყრუ დარტყმამ ცოტათი შეაბარბაცა. გაბოშვილი სკამიდან გამოსულიყო და ცენტრში იდგა არხეინად. იგი ერთბაშად გვერდზე გადავარდა, პულტს შეენარცხა. როცა ნახევრად დარეტიანებული დარცხვენილი წამოდგა, ნუგზარის მკაცრი გაფრთხილება შემოესმა.

— ყველანი სკამებზე, ყურადღება დაძაბეთ, ჩვენ გასასეირნებლად როდი ჩამოგვიშვეს!

ანდრო თავის სკამზე ძლივს აბობღდა. შუბლიდან სისხლი სდიოდა. სისხლის ვიწრო ზოლი ზედ წარბზე ეშვებოდა, იქიდან კი წამწამზე ჩამოუვიდა და გახედვას უშლიდა, როცა სკამზე მომაგრდა, მაშინ გახსნა სასწრაფო დახმარების პატარა ჩანთა, რომელიც სკამის საზურგეზე იყო დამაგრებული. სტერილიზებული ბინტი ამოიღო და შუბლზე დაიდო.

ნუგზარმა ახლა შენიშნა. ხელის მოძრაობით ჰკითხა რა დაგემართაო.

ანდრომაც ხელითვე მიახვედრა: იჰ, მოგცლია ერთი, არაფერიც არ დამმართვიაო.

ამასობაში ბატისკაფი ხათქახუთქით ეშვებოდა ოკეანის ჯუნგლებში. ეშვებოდა და თან მიაცილებდა ჩამოხლეჩილ ხეთა ტოტების გვირგვინები.

ხანდახან მისი სიმძიმის ქვეშ მთელი ხე იმსხვრეოდა, მიწაზე წვებოდა, იზნიქებოდა. ამას ბატისკაფელები თითქმის ვერც კი გრძნობდნენ. ტელეეკრანები მხოლოდ და მხოლოდ მკრთალ, ძნელადალსაქმელ კადრებს აჩვენებდნენ. ისეთი წყვდიადი იდგა ჯუნგლებში, რომ ზემძლავრი პროჟექტორების შუქიც კი სულ რამდენიმე ნაბიჯზე იკარგებოდა.

ხე ხეს გადახლართვოდა, მცენარე — მცენარეს. გრძელი მოქნილი ლერწები გველებივით შემოხვეოდნენ მცენარეთა ამ ხედახორას. ერთ დიდ ზვინად თუ მასად შეეკრათ. ისე შეეკრათ, რომ თითქოსდა ნემსსაც ვერ ჩააგდებდით. მაგრამ ბატისკაფი ყველაფერს ლეწდა, ლერწებს გლეჯდა, ტოტებს ამსხვრევდა და რაღაც სასწაულით ნელა, მაგრამ დაჟინებით მიისწრაფვოდა ფსკერისაკენ, მიწა კი მაინც არ ჩანდა. თითქოსდა ხეებს ტაბუ დაედოთ: ადამიანის შვილმა არ იხილოს სამ-

ყარო, სადაც ჩვენ ფესვი გაგვიდგამსო. როდის როდის ფსკერი მაინც გამოჩნდა, წყალმცენარეებითა და მკვდარი ფოთლებით დაფარული ფსკერი. ბატისკაფმა განიერად გასწია ბებერი ხეები და ნელა დაჯდა წყალმცენარეთა რბილ ბალიშზე.

ნუგზარმა მაშინვე იგრძნო ეს და ვალერის შეხედა.

— დავჯექით, ამხანაგო ნუგზარ. მშვიდობით დავჯექით.

— ქვედა პროექტორები გამორთე!

— არის, გამოვრთო ქვედა პროექტორები.

— ოთხივე ჰორიზონტალური ზემძლავრი ჩართე!

— არის, ჩავრთო.

ჰორიზონტალურმა პროექტორებმა გააშუქეს წყალქვეშა სამყარო. თუმცაღა რა გააშუქეს, ჩანგრეულ-ჩანალეწ ხეებს შორის ჩახერგილ ბატისკაფის ახლო შემოგარენს აშუქებდნენ მხოლოდ. როცა ნუგზარმა ზედა ზემძლავრი პროექტორის ანთებაც ბრძანა, საპელენგო ილუმინატორიდან ისე გამოჩნდა ბატისკაფი, როგორც ჭაში ჩაშვებული ვედრო.

ზევიდან გადმოსცემდნენ, ამოძრავეთ ტელეკამერებიო. რამდენიც არ ამოძრავეს, ეკრანზე მაინც ბაც ხაზებს ხედავდნენ. მამუკას სული ყელში აწვებოდა და სალაპარაკოში მაგრად ჩაჰყვიროდა:

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, სად ხართ? რატომ არაფერს გვაჩვენებს ტელეეკრანები?

მიკროფონი ვიტალის ნუგზარმა ჩამოართვა.

— ჩვენ ვიმყოფებით გაუვალ ტყეში. ალყაშემორტყმული ვართ მხოლოდ ხეებითა და ლიანებით. გაშუქება შეუძლებელია. ალბათ, მეტად მოუხერხებელ ადგილას ჩავეშვით. თუ ბრძანება იქნება, შევუდგებით ბატისკაფიდან გასვლისათვის მზადებას. შეიძლება ამ ტყიდან გავაღწიოთ და მიდამოც გულდაგულ დავზვეროთ. ამაში სახიფათოს ვერაფერს ვხედავ. საერთოდ, ყველაფერი ნორმალურადაა.

— დაელოდეთ ჩვენს ბრძანებას, — გაისმა მამუკას ხმა.

ნუგზარმა მიკროფონი ვიტალის გადააწოდა და ანდროს მიუბრუნდა:

— ყოველ თხუთმეტ წუთში სავახტო ჟურნალში ჩაწერეთ ბატისკაფის მდგომარეობა.

ანდრო გასწორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიმაჩნია, რომ ამჟამად მდგომარეობა ნორმალურია.

— ხაზი გაუსვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ ხეთა ხერგილებით. ტელეკამერები მხოლოდ და მხოლოდ მოკლე მანძილს აღიქვამენ. ეკიპაჟის წევრთა ჯანმრთელობა კარგია.

— გასაგებია.

და სანამ ანდრო ჟურნალს გადაშლიდა, კიდევ გაისმა ნუგზარის ხმა:

— ჩაწერე, წნევა ნორმალურია.

— გასაგებია, — დაიძახა ახლა უკვე ჟურნალთან დახრილმა ანდრომ და ბლანტ ფურცელზე კალამი გააცურა.

— ხერგილებს შორის დიდ ნახვრეტს ვხედავ, — დაიძახა ვალერიმ.

ნუგზარმა სწრაფად გადაინაცვლა მისკენ.

ვალერი ზედ შესასვლელი ლიუკის თავზე ამოჭრილ ილუმინატორთან იდგა. ცხვირი, ჩვეულებრივად, სქელი მინისათვის მიეჭყლიტა და დაძაბული იყურებოდა მინის იქით.

ნუგზარმა ოდნავ გვერდზე გასწია ვალერი, ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს. არც ის უკითხავს, სად ხედავდა ნახვრეტს. თვალები მინას მიაპყრო და მიდამოს გულისყურით დათვალიერებას შეუდგა. რასაც ეძებდა, სულ მალე იპოვა. თვალსაწიერამდე ადევნა ხერგილებს შორის გაპარულ პროჟექტორის შუქს, რომელიც მილივით გაწოლილიყო. შუქის ნიაღვარი მიდიოდა შორს, ძალზე შორს და როგორც აკვარიუმში, ისე ჩანდა მის არეში მოხვედრილი თევზებიცა და მცენარეებიც.

ნუგზარმა მარჯვენა ხელი ვიტალისაკენ გაიშვირა. ვიტალი მიხვდა, რომ კაპიტანი მიკროფონს თხოულობდა, მაშინვე მიაწოდა.

— მამუკა, მამუკა, მისმენ?

— გისმენ, ნუგზარ, გისმენ, — გაისმა მაშინვე ორბელიანის ბუბუნი.

— ჩვენ ვხედავთ ხეებს შორის გაყვანილ ნადირთა ბილიკს. იქ, ზევით, როგორც ჩანს, მთლად ისე ვერ გაუგეს, როგორც ნუგზარს სურდა და ორჭოფულად იკითხეს: რის ნადირთა ბილიკი?

ნუგზარმა ბრძანა, ტელეკამერა გასასვლელი ლიუკის მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს გადაეტანათ, როცა დარწმუნდა, კამერა იმ „ბილიკს“ იღებდა, მიკროფონში კვლავ ჩასძახა:

— დიახ, ნადირთა ბილიკს ვხედავთ. ტელეკამერა ალბათ უკვე თქვენც გაჩვენებთ ამ ბილიკს.

— ჰო, რაღაც მაგის მაგვარს ვხედავთ, — დაიძახა მამუკამ.

— ხედავთ, რამდენად გაუვალია ეს ტყე, რომ მის მკვიდრთ სპეციალურად ბილიკის გაყვანა დასჭირდათ.

ზევით აღარაფერს ლაპარაკობდნენ და ნუგზარმა განაგრძო:

— ამ ბილიკით ჩვენც შეგვიძლია ვიმოგზაუროთ. ჩვენი კოსტიუმებისათვის შვიდასმეტრიანი დაწოლა არაფერია. სარისკოდ არ მიმაჩნია ბილიკით მიდამოს დაზვერვა. ველით თქვენს თანხმობას.

ზევით ისევ დუმდნენ. ეს დუმილი ნუგზარს ნერვებს უშლიდა, ბოლოს, როდის-როდის მამუკას ხმა გაისმა:

— საჩქარო არაა თქვენი გასვლა. პირველ ეტაპზე საჭიროა დაზვერვა ბატისკაფიდან. დავამუშავებთ მიღებულ მასალას და გასვლის ნებართვას შემდეგ მოგცემთ. იმუშავეთ მთელი ყურადღებით.

ნუგზარმა მიკროფონი ვიტალის მიაჩეჩა, თვითონ კი ბილიკის ზვერვა განაგრძო.

— ძალიან ბევრი თევზია ამ მილში, ამხანაგო ნუგზარ, — თქვა ვალერიმ.

ნუგზარი ვალერის მიუბრუნდა;

— ჯუნგლებში თუ ყოფილხარ ოდესმე?

— ჯუნგლებში არასოდეს ვყოფილვარ.

— იქ ნამყოფი რომ იყო, არ გაგიკვირდებოდა ამ ბილიკის არსებობა. ყველა ჯუნგლს აქვს ნადირთა ბილიკი, რითაც ცხოველები სარგებლობენ წყალთან მისასვლელად. ესეც ნადირთა ბილიკია. ჩვეულებრივი, ისეთი, როგორიც ხმელეთზე უამრავია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს წყალქვეშ გაიყვანეს მათ, ვისაც სჭირდებოდათ. ცხოვრების ლოგიკა კი ყველგან ერთია, როგორც ზევით, ისე ქვევით. რადგანაც გაჩნდი, კიდეც უნდა შეიქმნა პირობები არსებობისათვის. ეს არის და ეს..

— და ეს გვირაბებიც არსებობისათვის სჭირდებათ?

— რასაკვირველია, ოკეანის გაუვალ ტყეებს აქვთ ბევრი

ისეთი რამ, რაც მხოლოდ მის ძირებთან მოიპოვება და რაც ასე საჭიროა ბევრი წყალქვეშა ცხოველის არსებობისათვის, თუ არა ასეთი ბილიკები, აბა, როგორ ჩააღწევენ ხეთა ძირებამდე.

ნუგზარი ილუმინატორს მოშორდა და თავისი სკამისაკენ წავიდა. გზადაგზა ვალერის მითითებებს აძლევდა.

— ტელეკამერამ განუწყვეტლივ იმუშაოს „ნადირთა ბილიკთან", გადაიღეთ ფოტოც. ჯერჯერობით ეს ერთადერთი არხია, რომელიც ჰორიზონტალურ სამყაროსთან გვაკავშირებს.

მერე თავის სკამზე დაჯდა და მაშინვე ილუმინატორისაკენ შებრუნდა. ილუმინატორში მხოლოდ ტოტებდალეწილი ხეები ჩანდა, ტოტებზე აცოცებული წყალმცენარეები. გარე სამყაროდან აბსოლუტური უძრაობისა და სევდიანი სიჩუმის მაცდური განწყობა შემოდიოდა. ეს განწყობა უხილავი არხებით ნუგზარის გულამდე და გონებამდე აღწევდა და იგი უფრო მელანქოლიური და ნაღვლიანი ხდებოდა. ზოგჯერ რაღაც მაცდური ფიქრები მთლიანად წყვეტდნენ იმ სამყაროს, რომლითაც ახლა, ამ წუთში გარშემორტყმული იყო. უნებლიეთ, ისე როგორც მდინარეში ჩავარდნილი ნაფოტი, მიჰყვებოდა ფიქრებს. მერე მოულოდნელად რეალურის მძაფრი შეგრძნება დაეუფლებოდა და მაშინვე თავს ისე გაიქნევდა, თითქოსდა სურდა, ყველა ეს ილუზია განედევნა. ეფიქრა მხოლოდ რეალურზე, მხოლოდ რეალურზე, რაც მის წინ იდო და ასე აღიზიანებდა.

ანდრომ რომ რაღაც თქვა, არ გაუგონია ვალერიმაც თავის მხრივ რომ დაუმატა, არც ის გაუგია. მერე ვალერიმ თითქმის დაიყვირა, ბატისკაფი შეინძრაო, მაშინ კი გამოერკვა ნუგზარი.

ბატისკაფი არც ინძრეოდა და არც არაფერი.

დაფეთებული მზერა ანდროს მიაპყრო.

— ნამდვილად შეინძრა, ამხანაგო ნუგზარ. შეინძრა... აგე, იქ ვიდექი, სავახტო ჟურნალს ვავსებდი. კინაღამ დავეცი.

თავის მხრივ ვალერიმაც იგივე თქვა და ვიტალიმაც. ნუგზარს მაინც არ სჯეროდა. ჰალუცინაციებია, ჰალუცინაციები. ზღვამ იცის, ზევითაც და ფსკერზეც. რაღაც ბანგით გაგაბრუებს და მერე ისეთ მირაჟებს გიჩვენებს, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. თანაც შენს ცხვირწინ, ხელის შეხების მანძილზე

ყველაფერი ისე დალაგდება, თითქოსდა ასე ყოფილიყოს ადამისა და ევას გაჩენის დღიდან. ჰო, რასაკვირველია, ამათაც მოეჩვენათ.

თავი ისევ ილუმინატორს მიადო და ფუტკარივით აშლილ ფიქრებს გარესამყაროში გაჰყვა. იქ კი, გარეთ, წყლისა და ტყის სამყაროში, კვლავ იდუმალი სიჩუმე სუფევდა. იდგნენ ტოტებდალეწილი ხეები და წყევლიდნენ თავისსა და სხვათა გაჩენის დღეს.

და ისევ დაიბუბუნა ანდრო გაბოშვილმა. ისევ უთხრა მოძახილი ვალერიმ. ახლა ნუგზარმაც იგრძნო, რომ ბატისკაფი შეინძრა შეინძრა კი არაა, გვერდზეც გადაქანდა. მან მზერა მოაშორა წყალქვეშა სამყაროს და მეგობრებს შეხედა. მერე იყვირა: „რა ხდება ზემოთ"?

ვიტალი შლიახოვმა ეს კითხვა დაუყოვნებლივ გაგზავნა „გეოლოგისაკენ". რა ხდება ზემოთ?

ზემოდან დინჯად განმარტეს, არაფერიც არ ხდებაო. წყნარი ამინდია, მშვიდია ოკეანე, თქვენი ტელეკამერებიც არაფერ საეჭვოს არ გადმოსცემენო, ალბათ, რაღაც მოგეჩვენათო, ანდა შეიძლება ბატისკაფი წყალქვეშა დინებაში მოჰყვაო.

ნუგზარს, რასაკვირველია, დინებისა არაფერი სჯეროდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ფსკერზე დაშვებისთანავე იგრძნობდა. მიკროფონი გამოსტაცა ვიტალის.

— მამუკა, ეს საეჭვო მოძრაობაა, საეჭვო მოძრაობაა... მიკროფონი ისევ ვიტალის მიაჩეჩა და იმ წუთში ყველა პროექტორი გამოირთო. გამოირთო ყველა ნათურა, რაც ბატისკაფის შიგნით და გარეთ იყო მოთავსებული. ის გულისგამაწვრილებელი შიშინი, რასაც ჩვეულებრივ აკუსტიკური ხელსაწყოები გამოსცემენ, შეწყდა. ჩამოწვა სიბნელე, უკუნი სიბნელე და საეჭვო დუმილი.

ისე გავიდა ხუთიოდე წუთი, რომ სიცოცხლის ნატამალს ბატისკაფში მყოფი არც ერთი სულიერი არ ამჟღავნებდა. მერე, როცა შოკის პირველმა მძიმე წუთებმა განვლო, ნუგზარმა ხელები წინ გაიშვირა. მას, ალბათ, სურდა ვისმეს შეხებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ აკანაკალებულმა ხელებმა ვერავინ იპოვეს და ნუგზარმა დაიღმუვლა:

— ანდრო, ანდრო! სადა ხარ?

— აქა ვარ, — გაისმა ანდროს ბუერდღუნი, — ჯანდაბა და დოზანა, მგონი ბატისკაფი მთლად მოიშალა. ისღა დაგვრჩენია, ჭერში ავძახოთ, ზევით აგვათრიონ, სანამ სული ზღვის გამგებელისათვის არ ჩაგვიბარებია.

— კავშირი შეწყვეტილია, — თქვა ვიტალი შლიახოვმა, — აქაც რაღაც გაფუჭდა.

— კიდევ სცადე, იქნებ.... — უთხრა ვალერიმ.

— კავშირი შეწყვეტილია, რადიო მოიშალა.

— ჰაერის ჭავლი თუ მოდის? იკითხა ნუგზარმა.

ყველამ იგრძნო, როგორ ამოძვრა თავისი სკამიდან ვალერი, ჯერ ერთი ფეხი შეახო რკინის იატაკს, მერე მეორე, რაღაც ჩაიბურდღუნა და ალბათ ლიუკისაკენ წაღოდდა. იქ ერთხანს ცოდვილობდა და ბოლოს ნაღვლიანად დაიჩხავლა:

— ყველაფერი დამთავრდა, ჟანგბადი აღარ შემოდის.

ეს მოკლე, საქმიანი და ეფექტური ფრაზა კუბოსთან თქმულ გამოსათხოვარ სიტყვასავით გაისმა.

— კაბელი გადაჭრილია, — ამოღერღა ნუგზარმა.

მან ეს ჯერ კიდევ ათი წუთის წინ იგრძნო, მაგრამ არ სურდა ერწმუნა. კვლავ და კვლავ ეჭიდებოდა თავის წილ ხავსს. სადღაც მაინც კიაფობდა იმედის პატარა ნაპერწკალი. ახლა ეს ნაპერწკალიც ჩაქრა, ჩაიბეუტა, განელდა და უკანასკნელი იმედიც გადაიწურა. მაგრამ სწორედ ამ წუთში, როცა თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ნუგზარმა სხეულში თბილი ერუანტელი იგრძნო. თითქოს რაღაც ახალი ძალა ჩაუდგა. სულიც ხელახლა ჩაჰბერეს.

— მისმინეთ! — დაიყვირა მან და ყველამ იგრძნო ამ ომახიან ხმაში გარეული ფოლადის ზარი.

— მისმინეთ, ჩართეთ სათადარიგო ბატარეები. ყველა ბრძანება შესრულდეს წყნარად, უპანიკოდ.

— გასაგებია, — შეეხმიანა ანდრო.

ბასილაია სკამიდან ჩამოძვრა, თავისთავზე ბრაზობდა, რატომ არ გამახსენდა სათადარიგო ბატარეების ჩართვაო.

ძლივს იპოვა ჩამრთველები, თვალის დახამხამებაში ბატისკაფი ისევ გაჩახჩახდა და ეკიპაჟის წევრებმა კაპიტნის სახეზე კეთილი ღიმილი დაინახეს. ყველაზე უფრო ეს ანდროს გაუკვირდა. იგი თითქოს პირველად ხედავდა გაღიმებულ ნუგზარ

— მაშ ასე, — თქვა ნუგზარმა ახლა უფრო წყნარად, — კაბელები გადაჭრილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ წყალი არ შემოიჭრა საჰაერო კაბელიდან? — იკითხა ვიტალიმ.

— გადაჭრილია, ეს ჩაიდინეს ადამიანებმა. მათ დაქოლეს ჟანგბადის მილი, სურთ ცოცხალი ჩაგვიგდონ ხელთ. საეჭვო არაფერია. აქ, ახლოს რომელიღაც ქვეყნის წყალქვეშა ბაზაა. ამაში მალე დავრწმუნდებით. ანდრო, სავახტო ჟურნალი გამალე. ჩაწერე: „ვიმყოფებით, სიღრმისმზომს შეხედა და ისევ განაგრძო, — ვიმყოფებით 657 მეტრის სიღრმეზე, წყალქვეშა ტყეში. უცნობი ქვეყნის წყალქვეშელებმა კაბელი გადაგვიჭრეს. ისინი საცაა შესასვლელ ლიუკთან გამოჩნდებიან“.

ახლა ეს ჩანაწერი ცარიელ ფურცელზე ამოიწერე.

ანდრომ მაშინვე შეასრულა კაპიტნის ბრძანება. ნუგზარმა ფურცელი აიღო და დაკეცა.

ყველა მიხვდა, რა სურდა კაპიტანს. ვალერიმ ჟანგბადიანი ბურთი მიაწოდა. ნუგზარმა ბარათი მეკავშირე ბურთის ჯიბეში ჩადო, ჯიბის თავიც საგულდაგულოდ ჩახრახნა, შემდეგ ლიუკი გახსნა და შიგ შეაგდო, როცა შიგა ლიუკი დახურა, ღილაკით გარეთა გახსნა და მაშინვე ზედა პროჟექტორის ანთება ბრძანა.

პროჟექტორი აინთო თუ არა, ყველა ზედა ილუმინატორს მიაწყდა, შვებით ამოისუნთქეს, როცა შუქის მძლავრ ჭავლში თვალი მოკრეს პატარა წერტილს, რომელიც ისე მიისწრაფოდა ოკეანის ზედაპირისაკენ, როგორც ჭიდან ატაცებული ვედრო. პატარა წერტილი, რომელიც მათთვის უკანასკნელ იმედად ქცეულიყო, შემდეგ სულ დაპატარავდა და ოკეანემ შთანთქა. კიდევ ერთხანს არ მოშორებიან ილუმინატორს, მაგრამ ნუგზარმა თქვა, ჟანგბადის მარაგი გასინჯეთო და გაბოშვილი პირველი შეუდგა დავალების შესრულებას. ათი წუთის შემდეგ კაპიტანს უპატაკებდა: ჟანგბადი კიდევ თვრამეტ საათს გვეყოფაო.

ნუგზარმა არაფერი თქვა, კვლავ თავის სკამში ჩაჯდა და ილუმინატორისაკენ შებრუნდა. იქ ყველაფერი წინანდებურად იყო. მხოლოდ გადაჭრილი კაბელის ხვეული მომატებოდა დალეწილ ხეთა სევდიან პეიზაჟს.

შენ, დიდებულო მზეო, მიყვარხარ, რომ ასე ანათებ სამყაროს. შენ, დიდებულო მზეო, მიყვარხარ, რომ ასე გვაოცებ ადამის შვილებს. გვითბობ სულსაც და გვინელებ იმ დიდ ტანჯვას, რასაც ჩვენგან ცხოვრება თხოულობს. შენგან აღგზნებულთ, მზეო, ზოგჯერ უზარმაზარი ლოდიც კი, რომელსაც ვერც თავს უპოვი და ვერც ბოლოს, ფუტურო გვეჩვენება.

მზეო, ნუ მოგვაკლებ შენს სინათლესა და სითბოს.

უშენოდ, მზეო, ყველა ლამაზი ფიქრი და ოცნება მიგვატოვებს. გვფარავდე მზეო!

ისინი უმზეოდ იყვნენ... ბატარეაზე მომუშავე ნათურები ყუნწამდე მიყვანილი სანთელივით სულს ღაფავდნენ. რამდენიმე საათს კიდევ რომ ეგრძნოთ სინათლის მადლი, ბოლოს მხოლოდ ერთი ნათურა დატოვეს ჩართული. ეს ერთადერთი სვებედნიერი ნათურა ზედა ილუმინატორის გვერდით ეკიდა და მის მკრთალ შუქზე ადამიანები მოჩვენებასავით ჩანდნენ.

ცოტას მოძრაობდნენ. ამას უფრო ჟანგბადის ეკონომიისათვის აკეთებდნენ. თუ აუცილებელი არ იყო, არც ერთი არ ჩამოდიოდა თავისი სკამიდან. კედელში შედგმულ სკამებში კი დაჩიავებული კრუხებივით ისხდნენ.

ყველაფერი დუმდა. . ყველაფერს შეეწყვიტა თავისი ჩუმი და აჩქარებული სუნთქვა. მხოლოდ საათი უკაკუნებდა ფოსფორიან ციფერბლატზე კოდალას რკინის ნისკარტს.

მაცდურმა ფიქრებმა ნუგზარი ისევ გაიტყუეს სხვა სამყაროში. მას თავი კედელზე მიედო და დიდრონი, შავი თვალები ნათურისაკენ მიეპყრო.

დაიწვება ის, ჩაქრება, ჩანელდება... მოვა სიბნელე... ასევე გავთავდებით ჩვენც... ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით. პირველად ჩვენ შორის ყველაზე სუსტი მოკვდება. ნუგზარმა ჯერ ანდროს შეხედა, მერე ვიტალის, სულ ბოლოს — ვალერის. სულ დალეულიყო, გამქრალიყო, მუჭისოდენა გამხდარიყო. ძლიერ გაუკვირდა ნუგზარს, რომ სულიერ მეტამორფოზას შეეძლო შეეცვალა ადამიანთა ფიზიონომია.

პირველად აი, ეს კაცი მოკვდება, ხუმარა ვალერი. და მან: კიდეც წარმოიდგინა, როგორ შეტოკდებოდა ის სიკვდილის წინ. ერთს კიდევ გაიბრძოლებდა და თავიც გვერდზე ჩამოუვარდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ვიტალი იქნება.

ახლა მას დააკვირდა.

მესამე, ალბათ, — მე, შევეცდები, ისე გავთავდე, ანდრომ არ იგრძნოს. ყველაზე საცოდავი ანდროა, მარტო დარჩება სამ მიცვალებულთან.

ნუგზარს ლაპარაკი მოუნდა. რამდენჯერმე სცადა პირის გაღება, მაგრამ ვერ შეძლო. ბოლოს როდის როდის მაინც დააღო და რაღაც დაიხრიალა. მეგობრებმა მაინც გაუგეს.

— ჰაერი კიდევ ექვს საათს იკმარებს... — თქვა ვალერიმ.

— ექვსი საათი ცოტა არაა.

— დიახ, საკმარისი დროა, ისევ ვალერიმ უპასუხა.

მერე ბატისკაფი შეინძრა. ეს მკვდარი მასა, რომელმაც სუნთქვა თითქოსდა კარგა ხნის წინათ შეწყვიტა, ამოძრავდა, შეიშმუშნა, მხრები გაისწორა, დაამთქნარა და...

— ჩვენ ზევით მივდივართ, ზევით! გესმით! — დაიყვირა ვალერიმ.

ამას ყველა გრძნობდა. ყველა აშკარად გრძნობდა, რომ ბატისკაფი მის მიერ გაკაფულ ვიწრო ჭაში მიღოღავდა. ზოგჯერ ხეებს ენარცხებოდა. ისევ თხოვდა მათ ხარკს და ტოტებს აგლეჯდა. ხეები კვნესოდნენ და წყევლიდნენ თავისი და სხვათა გაჩენის დღეს.

როდის-როდის რბოლა შეწყდა. ბატისკაფმა შეისვენა, სული მოითქვა. იგი, როგორც შავი ღრუბლის ნაგლეჯი, ისე ეკიდა ტყის კენწეროზე. თავზე ადგა ტყეს და სამი გზის გასაყართან დამდგარი ზღაპრული გმირივით ფიქრობდა საით წასულიყო: მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზევით?

ბატისკაფი ისევ შეინძრა, შეინძრა და საბოლოოდ ისეთი გზა აირჩია, რომელიც ეკიპაჟის წევრებს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდათ.

ანდრომ თქვა: „ჩვენ ამ ღორიშვილებს სადღაც მივყავართო. ჩვენები რომ ყოფილიყვნენ, ზევით წაგვაჩანჩალებდნენ. ჩვენები არ არიან და იქით მიგვაბრძანებენ, საიდანაც თვითონ **მო**ეთრევნენო“.

ეს რომ ასე იყო, არავის იოტისოდენაც არ ეპარებოდა ეჭვი. ძალა ალმართს ხნავსო და ისინიც ამ ძალას ალმართზე კი არა, ჰორიზონტალურად მიჰყვებოდნენ.

ახლა აღარაფერი მნიშვნელობა არ ჰქონდა ენერგიის ეკონომიას და ნუგზარმა ბრძანა ქვედა პროჟექტორი ჩართულიყო.

ჩართეს და კიდეც დაემხვნენ ქვედა ილუმინატორთან. მხოლოდ ხეების კენწეროები ჩანდა. გაუთავებელი ტყე. ვიტალიმ იკითხა: ვერტმფრენით ციმბირის თავზე ხომ არავის უფრენიაო.

ანდრომ უპასუხა, კიო.

— ჰოდა, ახლა ჩვენც ციმბირის ტყეების თავზე მივფრინავთო. ვერტმფრენიც კარგი გვაქვსო და არც ჩვენ ვართ ცუდი ბიჭებიო.

ვალერიმ თქვა: მზის სხივები გვაკლიაო.

ჰო, ეს მართალიაო, უპასუხა ვიტალიმ.

ბატისკაფმა ბარე ნახევარი მილი გაიარა. ტყე თანდათან მეჩხერი ხდებოდა. აქა-იქ სირაქლემას კვერცხივით მოტვლეპილი სილიანიც ჩნდებოდა და პატარა მწვანე ბორცვებიც. ეს ბორცვები თუ კორდები ზოგი ალთას იყო, ზოგიც კიდევ ბალთას. მაგრამ გზა, ეს დაწყევლილი გზა, იმ ციმბირის ტყესავით აღარ თავდებოდა.

როცა ქვედა პროჟექტორი განელებული ბუხარივით მთლად მიიბჟუტა, უკვე ძნელი გასარჩევი გახდა, ქვევით ტყიანი იყო თუ სილიანი. იმასაც ვეღარ გრძნობდნენ, ქვევით საერთოდ თუ რაიმე არსებობდა. მალე ამ ბჟუტია ნათურამაც თქვენი ჭირი წაიღო..

ახლა ბატისკაფი ქვევით ეშვებოდა. ბატისკაფელები ამას გრძნობდნენ და ანდრომ კიდეც თქვა ბოღმით:

— იმათ პოლიგონზე ვჯდებითო.

ეს „იმათი“ ყველამ თავისებურა დ განმარტა. ზოგმა რომელი ქვეყანა იგულისხმა და ზოგმა—რომელი. ყველა მისამართის სათავე კი მაინც აფრიკა იყო.

— რამდენი მილის დაშორებით ვმუშაობდით ალმასის კარიერებიდან? — უეცრად იკითხა ნუგზარმა.

ეს კითხვა ახლა, ამ მომენტში იმდენად უადგილო ეჩვენა ყველას, რომ გაოცებულებმა გაიხედეს იქით, საითკენაც თავიანთი კაპიტანი ეგულებოდათ. კაპიტანი სკამიდან ჩამოსულიყო, ზურგით ილუმინატორს მიყრდნობოდა და კვლავ კითხულობდა, თუმცა სიბნელეში აჩრდილივითაც კი არ ჩანდა.

— თქვენ გეკითხებით, რამდენი მილის დაშორებით გმუშაობდით კარიერებიდან?

— ოცდაათი მილის დაშორებით, — ამოღერღა ანდრომ.

— ესე იგი, გამორიცხულია, რომ ჩვენ სამხრეთ აფრიკელთა ალმასის კარიერების ზონაში მოვხვედრილიყოთ. ეს გამორიცხულია. მითხარით, რომ გამორიცხულია. მითხარით, ხომ ასეა?

— ნამდვილად ასეა, ამხანაგო ნუგზარ, — თქვა ისევ ანდრომ.

— მაშ, საქმე არ გვაქვს მათ წყალქვეშა პოლიციასთან?

— პოლიციასთან არა, მაგრამ, შეიძლება ჩვენი მასპინძლები მათი დაზვერვის მუშაკები იყვნენ, ანდა უბრალოდ — სამხედროები.

ბატისკაფი დადგა და ანდროც მაშინვე დადუმდა. ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, სამარისებურიო, რომ იტყვიან. აღარც ნუგზარის ხმა ისმოდა და აღარც ანდროსი. ამ სიჩუმეს არავინ არ არღვევდა ხელის პატარა მოძრაობითაც კი. ყველა ელოდა, რომ ახლა, ამ წუთებში რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს სასწაული მოსვლას არ ჩქარობდა და მოთმინების ფიალაც ფანდურის სიმივით იჭიმებოდა. ეს სიმი მხოლოდ მაშინ გაწყდა, როცა ჟანგბადის ლიუკიდან სუფთა ჰაერის დიდი ჭავლი შემოიჭრა და ფილტვებმაც მძლავრად ჩაისუნთქეს.

გაბოშვილმა ქვედა ლიუკს ფეხი დაჭერა.

— აი, იკადრეს და ჰაერი მოგვცეს ამ ღორიშვილებმა. მეწაგათი...

ფეხი კიდევ დაჭერა ლიუკს.

აღარც ვიტალის დაუყოვნებია და გული მანაც მოიფხანა. ხოლო, როცა დიდი „ქებათაქების“ წარმოსათქმელად, რომლის შერჩევაც მეზღვაურებს მაინცდამაინც არ უჭირთ ხოლმე, ვალერიმაც დააღო პირი, შუქი მაშინვე აინთო და დაშაქრულ-დათაფლული სიტყვები ბასილაიას ენის წვერზე შეახმა.

ნუგზარს თვალი მოსჭრა ერთბაშად აელვარებულმა სიკაშკაშემ. ხელები სახეზე აიფარა და ისევ თავის სკამს მიაშურა. როცა ჩაჯდა, ილუმინატორში გახედვა სცადა, მაგრამ იქით წყვდიადი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად ვართ? — იკითხა ვიტალიმ და მაშინვე მიხვდა კითხვის უადგილობას.

ვალერიმ ჩაილაპარაკა: კეიპტაუნშიო, აი, მაინ-სტრიტზე რომ დიდი ბარია ლედი სმითისა, სწორედ იმ ბარის შესანელებლიანაო.

ნუგზარს არ მოეწონა უადგილო ხუმრობა, მაგრამ მხოლოდ ჩაახველა და მისი პროტესტი ამჯერად ამით დამთავრდა.

ამ ნამუსგარეცხილ ვალერის ჩახჩახა შუქზე ხუმრობის საღერღელი აეშალა და, მგონი, ლედი სმითის ბარისათვის, მაინ-სტრიტზე რომ წამოჭიმულა, კიდევ რაღაც უნდა დაეძატებინა, მაგრამ, ნუგზარის დაძაბულ სახეს რომ შეხედა, ხასიათი გაუფუჭდა და მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა: „მომშივდაო“ ეს თითქოს ნიშანი იყო, ანდრომ თქვა:

— კაპიტანო, თუ სიკვდილია, ბარემ მაძღარი მოვკვდეთ, კაცურად.

ნუგზარმა ცერად გახედა ანდროს.

— ვჭამოთ. მგონი, აწი არსად აღარ გვაგვიანდება.

ვალერიმ მაშინვე გამოაღო მაცივრის კარი და მშრალი საუზმე გამოალაგა, ყველაფერი საკეც მაგიდაზე დააწყო. ბერე ბუტერბროდი აიღო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა: 700 მეტრ სიღრმეზე ვახშამს გახსნილად ვაცხადებო და უკბიჩა.

— გემრიელია? — ჰკითხა გაბოშვილმა.

— ყოველ შემთხვევაში ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ოკეანის ფსკერზე ასეთი ვახშმობა შეიძლებოდა. ახალბედა არა ვარ, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ ყოველთვის რამდენიმე საათიან ჩაშვებაში ვმონაწილეობდი. ახლა კი, ღმერთმა უწყის, როდის ისურვებს მისი აღმატებულება—წყალქვეშა პოლიციის შეფი ჩვენს გაშვებას. ვინ იცის, იქნებ ჩვენ მოგვეჩვენა და, წყალქვეშ სრულებითაც არა ვართ. ვთქვათ, ვიმყოფებით ხმელეთზე, არა მაინ-სტრიტზე ლედი სმითის კაფეში, არამედ რომელიმე საპოლიციო უბანში. ხომ შეიძლება ასე იყოს, რას იტყვით, ძმებო?

ნუგზარმა ირიბად გამოხედა.

— შენ მართალი ხარ, არც ეგაა გამორიცხული. ამ რკინის ყუთიდან წარმოუდგენელიცაა ინტუიციით განჭვრიტო, საით მიგათრევენ. მით უმეტეს, ბოლო ორი საათი ჩვენ აბსოლუტურ

სიბნელეში მივცურავდით. შეიძლება ეს ფანდიც იყო, ... მაც მოგვაქციეს წყვდიადში.

— ესე იგი, წყალქვეშა პოლიგონი გამორიცხულია? — იკითხა გაბოშვილმა.

— გამორიცხული არაა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომელიმე სამხედრო უწყების ტერიტორიაზე ვიმყოფებოდეთ.

ბუტერბროდი ნუგზარმაც აიღო, უკბიჩა და, როცა ლუკმა გადაყლაპა, ჩაილაპარაკა — მომშიებიაო. ეს ალბათ ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ ვალერიმ, რასაკვირველია, გაიგონა.

— იცით, რა დრო გავიდა, რაც ჩავეშვით? — თქვა მან.

ნუგზარმა საათს დახედა, მაგრამ სანამ პასუხს გასცემდა, ისევ ვალერიმ დაასწრო.

— ზუსტად შვიდი საათი და 48 წუთია. საკმაო დრო გავიდა.

— დიახ, დიდი დრო გავიდა ხმელეთზე უკვე ეცოდინებათ ჩვენი ამბავი. საგარეო საქმეთა სამინისტრო ალბათ უკვე ამზადებს ნოტას. დაიწყება დიპლომატების შეხლა-შემოხლა. სანამ ისინი საქმეს გაარკვევენ, ჩვენ მოგვიწევს ყურყუტი, მერე ალბათ ბოდიშს მოგვიხდიან და გაგვიშვებენ — თქვა ვიტალი შლიახოვმა.

— ეს ალბათ ყველაზე კარგი ვარიანტია, — ჩაილაპარაკა ანდრომ. ნუგზარმა მაცივრიდან დოქი გამოიღო. შემდეგ მაცივრის კარზე ბუდეში ჩადგმული ჭიქაც აიღო და წყალი დაისხა.

— იცით რა, ძმებო, — თქვა მან, როცა დოქი ისევ მაცივარში შედგა და ჭიქაც ბუდეში ჩაუშვა, — საქმე სერიოზულია, უფრო სერიოზული, ვინემ ჩვენ გვეჩვენება. მოვეშვათ პროგნოზებს უკვე შუაღამე ხდება. გამორთეთ შუქი და დაიძინეთ. ისინი ალბათ ამაღამ ჩვენს მიღებასა და დაკითხვას არ აპირებენ. დინჯი ხალხია, ჩანს, ეს საქმე, სახვალიოდ გადადეს. ხვალ მძიმე დღე გვექნება. უფრო უპრიანია, ახლა მოვისვენოთ. ძილი ნებისა, ძმებო.

სკამში ჩაჯდა, მერე თითით ღილაკს შეეხო და სკამი ზანტად გაიშალა, ნამდვილ საწოლად იქცა. ასევე მოიქცნენ სხვებიც, ვალერიმ შუქიც გამორთო და ბატისკაფში სიჩუ-

მე ჩამოვარდა. სიჩუმე კი ჩამოვარდა, მაგრამ სინამდვილეში არც ერთს არ ეძინა. მხოლოდ ვალერიმ წასთვლიმა და ისევ მალე გაეღვიძა. იდგა ძალზე წყნარი და მშვიდი ღამე. რაღაც ჯადოსნური, დამამშვიდებელი დუმილი სუფევდა, მხოლოდ მილიდან შემოჭრილი ჟანგბადის ნაკადი შიშინებდა ოდნავ გასაგონად.

არავინ არღვევდა მყუდროებას. ყველა მარტო დარჩა თავისთავთან მერე, უფრო გვიან, ანდროს გულიანი ხვრინვაც გაისმა. დაღლილობამ თავისი გაიტანა და მალე ანდროს ვალერიმაც მიბაძა, შემდეგ ვიტალიმ. ნუგზარს ჯერ კიდევ არ ეკარებოდა ძილი. ბოლოს, როდის-როდის, მანაც ჩათვლიმა. როცა გაეღვიძა, საათს დახედა, ფოსფორიანი ციფერბლატი ექვსს აღნიშნავდა.

საწოლი აკეცა, შუქი აანთო. მაშინვე ანდროს ხმა მოესმა:

— ავდგეთ?

— ჰო, უკვე დროა.

— ერთი საათია, საწოლში შამფურივით ვბრუნავ.

— კარგად გეძინა?

— არა უშავს რა. თქვენ?

— მეც.

ნუგზარი ტუალეტში შევიდა. სანამ ხელპირის ბანას მორჩებოდა, უკვე ყველა ფეხზე იდგა.

— ძალიან მინდა მოვწიო, პირდაპირ სულს ვლევ, — თქვა ვიტალიმ, — რამდენი ხანია, თავს ვიკავებ და მეტი აღარ შემიძლია.

— მოსწიე, მგონი, ისინი კარგად ზრუნავენ ჩვენს უსაფრთხოებაზე. საშიში არაფერია, — უთხრა თანაგრძნობით ნუგზარმა და განაგრძო: — იცით, რა გითხრათ, ძმებო, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავიგოთ, სად ვართ. ხმელეთზე თუ ოკეანისქვეშა პოლიგონზე. ეს ახლა ყველაზე მთავარია... შემდეგ დავაზუსტოთ, ვისი ტყვე ვართ და ბოლოს, როგორმე მოვახერხოთ, ჩვენებს ვაცნობოთ ეკიპაჟის სამყოფელი.

ყურადღებით უსმენდნენ. მერე ანდრომ ამოღერღა:

— სასინჯი ლიუკი უნდა გავხსნათ.

— აუცილებლად, ჩვენი ილუმინატორები გარედან ისე შესუდრეს, მათი საშუალებით რაიმეს დადგენა შეუძლებე-

ლია. საუზმის შემდეგ პირველ რიგში ვხსნით სასინჯველი
თუ ხელოვნურმა ხელმა იმუშავა და გარესამყაროდან რაიმე
ნიმუში შემოგვიტანა, მაშინ ყველაფერი ადვილად გაირკვევა.
თუ არა და, სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

ის ახლა ზედა ლიუკის პირდაპირ იდგა და ჭრელი, ერთი
ციცქნა პირსახოცით ხელებს იმშრალებდა. მერე პირსახოცის
ბოლო სახეზედაც მოისვა.

— მოსწიე, რაც არის, არის. თუ გემეტება, ერთიც მე მო-
მეცი.

— ინებეთ, მე ვიცოდი, რომ თქვენ არ ეწეოდით.

ვიტალიმ სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

— მართლაცდა არ ვეწევი. ადრე კი ვქაჩავდი და მერე
როგორ!.. დღეში ორი კოლოფიც არ მყოფნიდა. მერე ავი-
ტამინოზი გამიჩნდა და ექიმებმა თამბაქოს მოწევა ამიკრძა-
ლეს, იძულებული გავხდი, მიმეტოვებინა, მაგრამ ხანდახან
სული წამძლევს ხოლმე.

— ძნელია თავის დანებება, გაცილებით ადვილია, სულ არ
მიეჩვიო ამ სიგლახეს, — აი, რამდენი ხანია, მინდოდა მომე-
წია, ძლივს ვიკავებდი თავს, თქვენი მეხათრებოდა. პირადად
თქვენი, ვალერის, ანდროსი... ბოლოს ვეღარ გავუძელი ცდუ-
ნებას, მაპატიეთ.

— არა უშავს, რადგანაც გადაჩვევა ასე გიჭირთ, ხანდახან
გააბოლეთ კიდეც.

— გმადლობთ.

ვიტალიმ სანთებელა ჯერ ნუგზარს მიაწოდა, მერე თავის
სიგარეტს მოუკიდა და ნაფაზიც მადიანად დაარტყა. ნუგზარ-
მაც სამიოდე ნაფაზი დაარტყა და შემდეგ ვალერის შეხედა.

— შეგვიძლია ვისაუზმოთ?

— ახლავე მოვრჩები სუფრის გაშლას.

ვალერი ზანტად ალაგებდა სუფრაზე ბუტერბროდებს. მე-
რე პლასტიკატის წითელი ჭიქებიც დააწყო და თერმოსსაც
მოხადა სახურავი. მაშინვე სურნელოვანი ყავის მძაფრი სუნი
მთელ ბატისკაფში გაიფანტა.

ვალერიმ თერმოსი ცხვირთან მიიტანა.

— ჩინებულია.

ჭიქებში ფრთხილად ჩამოასხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეგიძლიათ, საქმეს შეუდგეთ. დღეს კამბუზი არ მუშაობს, უკეთეს საუზმეს ნუ ელით.

ნუგზარმა სიგარეტი ფეხსაცმლის ლანჩაზე ჩააქრო. კარგად რომ დარწმუნდა, სიგარეტზე ნაპერწკლის ნასახიც კი არ დარჩენილაო, საფერფლეში გადაუძახა, ხელები მუხლისთავებზე დაფენილ ხელსახოცზე შეიწმინდა და ბუტერბროდს წაეტანა. უკბიჩა და დიდხანს ღეჭა; როცა ლუკმა, როგორც იყო, გადაყლაპა, ბუტერბროდი ისევ მაგიდაზე დადო.

სასინჯი ლიუკი საუზმის შემდეგ მართლაც გახსნეს. ხელოვნურმა ხელმა მიიღო ბრძანება და გარეთ გაცოცდა, მაგრამ პეშვი გაყო თუ არა, ათი სანტიმეტრის მანძილზე მაშინვე მაგარ მასას მოხვდა და ისევ უკან შემობრუნდა. ხელოვნურმა ხელმა მიიღო მეორე დავალება, ემუშავა ჰორიზონტალურად. ხელმა ვერც ეს შეასრულა. მიიღო მესამე დავალება, გასულიყო ვერტიკალურად. ორ წუთში ხელი ისევ უკან დაბრუნდა.

— გამოდის, რომ ჩვენ რკინის გარსში ვართ გამომწყვდეული, — ჩაილაპარაკა ნუგზარმა და ლიუკს მოშორდა, — მათ გადაუწყვეტიათ, საფუძვლიანად მოგვწყვიტონ გარესამყაროს. გახსენით მთავარი ლიუკი! — ნერვიულად თქვა მან.

სამივე მეზღვაურმა შიშით შეხედა მეთაურს. ნუგზარი იდგა კოპებშეყრილი, სახეზე ცეცხლი ეკიდა.

— გახსენით მთავარი ლიუკი! — კვლავ ბრძანა კაპიტანმა.

ანდრო გაბოშვილი პირველი გამოეყო მეგობრებს. მთავარ შესასვლელ ლიუკთან მივიდა და გამქაჩი ჩართო. გაისმა რკინის ჭახანი და ლიუკი ნელ-ნელა გაღოღდა მარჯვნივ. სამი კაცი შიშით შეჰყურებდა რკინის მასის მოძრაობას. მეოთხე კი თითქოს დარწმუნებულია იმაში, რომ ლიუკიდან წყლის მძლავრი ჭავლი არ შემოიჭრებოდა, შიშის გრძნობას არ გამოხატავდა.

ლიუკი თავის ბუდეში ჩაძვრა და შესასვლელის ფართო ჭრილიდან ხასხასა წითელმა ფერმა შემოანათა.

ნუგზარი გასასვლელთან მივიდა და ხელით შეეხო წითელ მასას, ლიუკის მაგივრობას რომ სწევდა ახლა.

— პლასტიკატია.

კარგად რომ დარწმუნებულიყო, ზედ დააბრახუნა კიდეც და ისევ გაიმეორა:

— პლასტიკატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აფრიკელთა ხელობაა. მათ უყვართ წითელი და ყვავ-
თელი ფერი, — ჩაილაპარაკა ვიტალი შლიახოვმა.

— პლასტიკატია, — კვლავ თქვა ნუგზარმა და შემდეგ დაუ-
მატა: — ესე იგი, ჩვენ ხმელეთზე ვართ და არა ოკეანის
ფსკერზე. როგორც ვიცი, ჯერჯერობით ადამიანებს არ შეუქმ-
ნიათ ისეთი პლასტიკატი, ოკეანის წნევას რომ გაუძლოს, თუნ-
დაც 700 მეტრის სიღრმეზე.

ახლა ანდრომაც გასინჯა ბატისკაფის გარსი.

— ნამდვილად პლასტიკატია. ალბათ, მიტომ გადაგვაც-
ვეს ეს წითელი პერანგი, რომ მათ კონსპირაციულ პოლიგონს
ვერ შევხედოთ.

— მთავარი ისაა, რომ დავადგინეთ, ჩვენ ხმელეთზე ვართ,—
თქვა ნუგზარმა.

ანდრომ იკითხა, ლიუკი ხომ არ დავკეტოო.

— არა, ჯერ იყოს. რა მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ შემდეგ ნუგზარმა გადაიფიქრა და უთხრა, დაკეტეო,
ლიუკი ჭრიალით გამოძვრა ბუდიდან და წითელი ფერი წა-
შალა.

ნუგზარი ისევ თავის სკამში ჩაჯდა და ილუმინატორი გახს-
ნა. ილუმინატორიდან ისევ და ისევ დადუმებული წყვდიადი
ჩანდა.

— მინაზეც პლასტიკატია მოფარებული,—მოესმა ნუგზარს
სულ ახლოს ანდრო გაბოშვილის ხმა.

— შესაძლებელია. გულმოდგინედ ამოგვიქოლეს ყველა
გასახედი.

საათს დახედა და დაუმატა:

— ხომ არ გვაქვს რაიმე იარაღი, რითაც შეიძლება გარ-
სის გაბურღვა.

— ახლავე გავსინჯავ ჩვენს ტექნიკურ ჩანთას.

გაბოშვილი ილუმინატორს მოშორდა. თავის საჯდომთან
მივიდა, იქიდან ერთხანს რკინის ხელსაწყოების ხმაური ისმო-
და, ბოლოს კი რკინების ჟღარუნში ანდროს ხმაც გამოიკვეთა.

— ბურღი ვიპოვე. წვრილი ელექტრობურღია. ზედგამო-
ჭრილია ამ საქმისათვის. გავხსნა ლიუკი?

— ჯერ არა, ცოტა კიდევ მოვითმინოთ. იქნებ საჭიროც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალარ აღმოჩნდეს. რვა საათი სრულდება. ალბათ დილითვე დაინტერესდებიან ჩვენით. მაგრამ კაპიტნის ვარაუდი არ გამართლდა, შუადღე ისე გადავიდა, ბატისკაფით არავინაც არ დაინტერესებულა. ოთხ საათზე ნუგზარმა ბრძანა, ლიუკი გაეხსნათ. ანდრო გაბოშვილი წითელ გარსს მიეყრდნო და სცადა, გაებურღა. თითქმის მთელი ნახევარი საათი ცოდვილობდა, მაგრამ არ იქნა და ბურღმა წვერი ვერ მოიკიდა პლასტიკატზე.

ანდრო ნელ-ნელა იბოღმებოდა. ბოლოს ბოღმას ერთი ისეთი გინებაც ამოაყოლა, რომ თვით მის კოლეგებსაც კი გაუკვირდათ.

— გამოდი, — უთხრა გაბრაზებულ ანდროს ვალერიმ,— ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ანდრო კი გამოვიდა, მაგრამ არც ვალერის ხერხმა გასჭრა. ამასობაში ანდროს მოთმინება მთლად გამოელია, ხელში რაღაც ბარჯის მაგვარი ძალაყინი მოჰყვა. ვალერი გვერდზე უხეშად გასწია და ამ ბარჯით თუ ძალაყინით მიდგა იმ დაწყევლილ პლასტიკატის გარსს.

ყველაფერი ისევ წინანდებურად იყო. რაღაც ჯადოქრობის წყალობით პლასტიკატს პატარა განაკაწრიც კი არ ეტყობოდა. გალომებული, მთლად გაოფლილი ანდრო ორმა კაცმა ძლივს მოაშორა წითელ გარსს და მერე მთელი ნახევარი საათი აშოშმინებდნენ.

— არაფერი გამოვა, ეს პლასტიკატი არაა. ნეტავ, ერთი დინამიტი მომცა, — დუდღუნებდა ის.

— მერე ჩვენ რას გვიპირებ? — ჰკითხა ვალერიმ.

— ჯანდაბას ჩვენი თავი.

ვალერის ასეთი პასუხი არ ეჭაშნიკა.

— არა, ძმობილო, მე აფრიკის მკვიდრი არა ვარ და არც აქაური მიწა მომიხდება.

ანდრო ჭრელი ხილაბანდით ოფლიან შუბლს იწმენდდა და თან ბუბუნებდა:

— ერთი დინამიტი მომცა და სულაც არ გკითხავდი, რომელი მიწა გესიამოვნებოდა.

ანდრო ბოლოს მაინც დაამშვიდეს და ნუგზარმა ლიუკის დახურვა ბრძანა.

— ახლა დავსხდეთ და ველოდოთ, როდის ისურვებენ ჩვენს მიღებას.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ საჰაერო მილში უცნობი კაცის ხმა გაისმა. იგი ინგლისურად ლაპარაკობდა. უცნობმა თავაზიანად იკითხა რა ენაზე შეეძლო ტყვეებთან საუბარი.

ყველანი გაირინდნენ. გავიდა წუთი, ორი წუთი, სამი. უცნობმა ისევ იკითხა: რა ენაზე ისურვებდნენ საუბარს. ნუგზარმა მიუგო, რუსულად ან ქართულადო.

უცნობმა ახლა ეროვნება იკითხა და ნუგზარმაც უპასუხა: „აქ სამი ქართველი და ერთი რუსიაო". შორიდან მოსული ხმა მეტი არაფრით დაინტერესებულა.

— ესეც პირველი მერცხალი, — ვალერი ბასილაია სკამიდან ჩამოვიდა და ქვედა ლიუკზე დადგა.—მაინც საინტერესოა, როგორი მოქართულენი აღმოჩნდებიან ჩვენი მასპინძლები.

შემდეგ ივახშმეს და ნავახშმევს უკვე ქართულ ენაზე იკითხეს საჰაერო მილიდან: „ხომ საღ-სალამათი ბრძანდებიან ჩვენი სტუმრებიო."

ეს იყო ქალის ხმა. ლამაზად ჟღერადი, ხავერდოვანი ხმა.

ვალერი კრევეტს აკნატუნებდა, მაგრამ მაინც შენიშნა: ალბათ კეიპტაუნის საოპერო თეატრის სოლისტიაო.

ვიტალიმ უპასუხა: კეიპტაუნში საოპერო თეატრი არ არისო.

ვალერიმ დაიჟინა: ალბათ, კეიპტაუნი მხოლოდ რუკაზე გინახავსო, თორემ იქ ორი საოპერო თეატრი და ერთიც საბალეტო დასიაო.

სანამ ისინი კამათობდნენ, ქალმა თქვა: შეგიძლიათ, თქვენი სადგომი დატოვოთ და ლიუკიდან პირდაპირ თქვენთვის მოწყობილ ბინაში შეხვალთო.

ვალერის ენა მოექავა და მაგარ გინებასაც გაგზავნიდა საჰაერო მილისაკენ, მაგრამ მოსაუბრე მდედრობითი სქესის არსება იყო და მოერიდა. სამაგიეროდ, ნუგზარმა იკითხა: ეს იძულებაა თუ თხოვნაო? ქალმა განმარტა:

— თქვენ ჩვენი სტუმრები ბრძანდებით. არის ზოგიერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა გაირკვეს. ამის შემდეგ ალბათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგეცემათ საშუალება, დაბრუნდეთ თქვენს სამშობლოში. მანამ კი ისარგებლეთ ჩვენებური კომფორტით.

— ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ, ვინ ბრძანდებით თქვენ და რა უფლებით დაგვაპატიმრეთ?

— ჩვენ ვართ ამიტები. რაც შეეხება დაპატიმრებას, ეს არ არის სწორი, თქვენ არავის დაუპატიმრებიხართ. უბრალოდ მოხდა ტექნიკური კატასტროფა და იძულებული გავხდით, საქმეში ჩავრეულიყავით. მიღებულია ყველა ღონისძიება თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის.

ქალი ლაპარაკობდა სუფთა, გამართული ქართულით. მისი ხმის თბილ, ოდნავ არტისტულ, მაგრამ გულწრფელ ყღერადობას არ შეიძლებოდა სიმპათია და ნდობა არ აღეძრა.

— მიუხედავად ამისა, ნუგზარმა მაინც იკითხა:

— თქვენ ახსენეთ ამიტები. ჩვენ ასეთ ქვეყანას არ ვიცნობთ!

მაშინ სიცილის ხმა გაისმა.

— ღმერთო ჩემო, თქვენ არ იცნობთ, მაგრამ ასეთი ქვეყანა მაინც არსებობს. ეს ფაქტია და ამაზე დროს ნულარ დავკარგავთ.

ნუგზარმა გაკვირვებით შეხედა მეგობრებს. ანდრო ახლა ბატისკაფის ცენტრში გაოცებული იდგა და მხრები აეწურა. ვალერის პირი დაეღო და სახეზე ისეთი გაოცება აღბეჭდოდა, იფიქრებდით, ამ წუთში მსოფლიოს ყველა საოცრებას თავისი ცისფერი, წვრილი თვალებით შეჰყურებსო.

ვიტალის სახე ერთსა და იმავე დროს შიშსაც გამოხატავდა და გაოცებასაც.

— ასეთი ხალხი პირველად მესმის. ჩანს, ძალიან ცუდად ვიცნობ აფრიკას.

— ხომ არ შეიძლება დავაზუსტოთ. ეს თქვენი ამიტები აფრიკის ხალხია? — ეს უკვე ნუგზარმა იკითხა.

— შეიძლება აფრიკის ხალხად ჩაითვალოს.

— შეიძლება, კონკრეტული პასუხი არ არის.

— ეს სიტყვა ვიხმარე იმიტომ, ჩვენც დასავლეთით ვცხოვრობთ. მაგრამ თუ აფრიკის ხალხად ჩაგვთვლით, ამისათვის არავინ შეგაგდებთ ზვიგენის ხახაში.

— ჩვენთვის მაინც გაუგებარია.

— მოდით, დღეს უფრო მეტის შეტყობას ნუ მოისურვებთ, დანარჩენი ხვალისათვის გადავდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისმინეთ, — ნუგზარს ხმაში ბრაზი დაეტყო, — შსურს, ველაპარაკო თქვენი მთავრობის ოფიციალურ პირს. ჩემი მთავრობის სახელით მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ იმ უკანონო აქტის გამო, რაც თქვენ ჩაიდინეთ. არავითარი ტექნიკური კატასტროფა არ მომხდარა, ეს უბრალოდ სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი. მოხდა მხოლოდ უკანონო აქტი, დაირღვა ზღვაოსნობის საერთაშორისო ნორმები, რომლებსაც ყველა სახელმწიფო უნდა სცემდეს პატივს. მე გთხოვთ, მოგვიწყოთ შეხვედრა თქვენი ქვეყნის ოფიციალურ პირთან.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ისევ გაისმა ქალის ხმა.

— ეს რასაკვირველია, ძნელი არაა, მაგრამ ვიდრე შეხვედრა მოხდებოდეს, ისარგებლეთ ჩვენი მასპინძლობით. გამობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო!

ნუგზარმა ანდროს შეხედა და ხელით ანიშნა: „ლიუკი გახსენიო“. ანდრომაც ხელის მოძრაობით გააგებინა: „გავიგეო“ და ლიუკთან მივიდა.

იმავ დროს ქალის ხმაც გაისმა: „სწორი გადაწყვეტილებაა“ და ნუგზარი მიხვდა, გარსს იქით მყოფნი ხედავდნენ რა ხდებოდა ბატისკაფში.

ლიუკი ნელა ჩაჩოჩდა ბუდისაკენ. საოცარი ის იყო, რომ ლიუკს უკან წითელი ფონი აღარ ჩანდა.

— ხედავთ, წითელი გარსი მოუხსნიათ, — დაიყვირა ანდრომ.

სამაგიეროდ ჩანდა ნაცრისფერი პლასტიკატის სადა კედელი. კედელსა და ბატისკაფს შორის აბსოლუტური სიცარიელე სუფევდა.

— გამობრძანდით, — გაისმა ქალის ხმა.

ბატისკაფიდან პირველი ნუგზარი გამოვიდა და მაშინვე მიხვდა, რომ უზარმაზარ ნაცრისფერ დარბაზში იმყოფებოდნენ. დარბაზს არც ერთი სარკმელი არ ჰქონდა და შუქი რვა დიდი ნათურიდან იღვრებოდა. ოთხი ნათურა ჭერის კუთხეებში იყო მოთავსებული, ოთხიც კიდევ კედლებში. დარბაზი ისე

იყო გაჩახჩახებული, იფიქრებდით, სადმე მინდვრად იმყოფებოდით, ზაფხულის მზის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი ნივთი არ ჩანდა. არც მაგიდა და არც უბრალო სკამები.

ნუგზარს ისიც არანაკლებ გაუკვირდა, რომ წინ არავინ შეგებებიათ, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, დაელოდა, სანამ მეგობრებიც გამოვიდოდნენ ბატისკაფიდან. სულ ბოლოს ვალერიმ დადგა ფეხი პლასტიკატის იატაკზე, მიიხედ-მოიხედა და გაოცება ვეღარ დაფარა:

— რაო, სხვა საქმითა ვართ დაკავებულიო?!

არავის უპასუხია. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, წინ რომ უძღვის ხოლმე დიდ აფეთქებას.

— მასხარად გვიგდებენ, თუ რა ხდება? — იკითხა გაბოშვილმა. იმავ დროს ქალის ხმაც გაისმა:

— მეგობრებო, ორ წუთში პირდაპირი კარი გაიღება, თქვენ შეხვალთ დერეფანში, დერეფანი მიგიყვანთ თქვენთვის განკუთვნილ ბინაში.

ორ წუთში ღია ლიუკის პირდაპირ მართლაც გაიღო ფართო კარი. კარის გაღებასთან ერთად ბატისკაფიც დაიძრა, მარჯვენა კედლისაკენ წავიდა. მალე ზედ კედელთან აღმოჩნდა. შეხებისთანავე კედელი გაიხსნა, ბატისკაფი გაატარა და შემდეგ ისევ დაიხურა.

თუმცა კედელი ცოტა ხანს იყო გახსნილი, ბატისკაფელებმა მაინც მოასწრეს, შეემჩნიათ უშველებელი წითელი დარბაზი, რომელშიც ბატისკაფი შეცურდა. ის დარბაზიც სრულიად ცარიელი იყო.

დერეფანში შეაბიჯეს თუ არა, მათ უკან კარი მიიხურა.

დერეფანი საკმაოდ განიერი გახლდათ. კედლები — სადა ცისფერი. ორივე მხარეს ოთხი კარი ჩანდა. სწორედ მეოთხე კართან დერეფანი მარცხნივ უხვევდა.

— აქ საძინებელი ოთახებია განლაგებული, — განმარტა ქალის ხმამ, ყოველ თქვენგანს ცალკე ოთახი გექნებათ. თუ რომელი სად დაიძინებთ, ეს თვითონ გადაწყვიტეთ.

ნუგზარი აღშფოთდა.

— თქვენ ფიქრობთ, დიდხანს მოგვიწევს აქ ყოფნა? ეს რა ჟესტია, რას ნიშნავს?!

— ნუ ღელავთ, ჯერჯერობით ხომ აქ ხართ, მოსვენებაც გჭირდებათ და ცხოვრებაც. ამისათვის კი ბინაცაა საჭირო. ამიტომ გთავაზობთ. მგონი ამაში არაფერია ცუდი. ისარგებლეთ ამ კომფორტით. როცა ყველაფერი გაირკვევა, მერე ალბათ იმასაც შევძლებთ, უკანვე უხიფათოდ დაგაბრუნოთ.

— სად წაიღეთ ჩვენი ბატისკაფი?

— საიმედო ადგილას.

— თქვენ ძალიან გიყვართ ეს სიტყვა.

— არა, უბრალოდ, ახლა ალბათ საჭიროებამ მოითხოვა.

ვალერი პირველსავე კარში შეძვრა.

— მობრძანდით, არცთუ ისე ცუდად მივუღივართ. საკმაოდ უზრუნვიათ ჩვენს დაბინავებაზე.

ვალერის ნუგზარიც შეჰყვა და მაშინვე მომცრო ცისფერ ოთახში აღმოჩნდა. ერთი საწოლი, ერთი ტუმბა, კარადა, პატარა მაგიდა და ოთხი სკამი. მაგიდაზე რაღაც უცნაურად გაფორმებული ტელეფონის აპარატი იდგა. ეს იყო ოთახის ავლადიდება. ყველაფერში ნატიფი გემოვნება ჩანდა, მაგრამ ოთახს არც ერთი სარკმელი არ ჰქონდა. შუქი ერთადერთი დიდი ოთხკუთხა ნათურიდან იღვრებოდა, რომელიც პლასტიკატის ჭერში იყო ჩადგმული.

— კარგი კომფორტია, — თქვა გაბოშვილმა.

— სასიამოვნოა, რომ თქვენი მოსაწონი კომფორტი შევქმენით. ახლა მოისვენეთ, ერთი საათის შემდეგ შეგიძლიათ ისადილოთ. სასადილო ოთახი მოთავსებულია თქვენს მარცხნივ, შესასვლელი დერეფნის ბოლოდან. თქვენს ტუმბაზე დევს ბინის სქემა, შეგიძლიათ გაეცნოთ.

ვალერიმ სქემა აიღო, ჯერ თვითონ დაათვალიერა, მერე კი ნუგზარს მიაწოდა.

— როგორც ჩანს, დერეფანი ბოლოში მარცხნივ უხვევს. პირდაპირ გასართობი ოთახია. ყოველ შემთხვევაში, ასე წერია აქ. თუ რა იგულისხმება გართობაში, ამაში მალე დავრწმუნდებით. შემდეგ სასადილო, იქით კიდევ—ტუალეტი. ფანჯარა, როგორც წესი, ყველგან დავიწყებიათ. ისეთი კონდიცირებული ჰაერია, უფანჯრობას მაინც არ ვგრძნობთ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება გარეთ?

ვალერიმ ეს სიტყვები უფრო იმიტომ თქვა, რომ ზედამხედ-

ველი ქალის საუბარში გამოწვევა სურდა, მაგრამ მასპინ-
ძელი სრულებითაც არ ჩქარობდა პასუხის გაცემას. მოდი-
ნებიდან გამოსულმა ბასილაიამ კი ბინის სქემა ისევ მაგიდაზე
დადო და მთელი ხმით დაიძახა:

— ბოლოს და ბოლოს გვეტყვით თუ არა, რა ხდება გა-
რეთ? რატომ მოგვწყვიტეთ ასე გარემოს?

მასპინძელი ისევ დუმდა. ნუგზარმა კი ბასილაიას მკაცრად
გადახედა და მშვიდად თქვა:

— აირჩიეთ თქვენ-თქვენი ოთახები, მე აქ დავრჩები. ზუს-
ტად ერთი საათის შემდეგ შევხვდებით გასართობ ოთახში.
ზედმეტი ლაპარაკისაგან თავი შეიკავეთ. ჩვენ ვმოქმედებთ და
ვსაუბრობთ პირდაპირ ტელეეკრანის წინ.

— გასაგებია, — თქვა ბასილაიამ, ოთახიდან გავიდა. მას
სხვებიც მიჰყვნენ.

ნუგზარი საწოლთან მივიდა. შალის ლურჯ საბანს დახედა.
ისეთი ყურადღებით აკვირდებოდა, თითქოსდა ასეთი საბანი
არასოდეს ენახოს. სინამდვილეში რა იყო, ისეთივე უბრალო,
შალის მოთელილი საბანი გახლდათ, რომლის შეძენაც ყველა
მაღაზიაში შეიძლებოდა.

ფეხთ გაიხადა და მაშინვე იმ მოთელილ საბანზე მოწყვე-
ტით დაეცა. ძალიან სიამოვნებდა, სულ მარტო რომ იყო. არც
მანქანების შიშინი ესმოდა და არც ვინმე აბეზარი უწვრილებ-
და გულს.

ხელები თავქვეშ ამოიწყო. თვალები ჭერს მიაბჯინა და ფი-
ქრებს გაუხსნა სათავე. მერე უნებლიეთ თვალი მაგიდისაკენ
გააპარა და, მაშინვე იმ უცნაურსა და ცოტა არ იყოს უშნო
ტელეფონის აპარატს მოჰკრა თვალი. აპარატს ციფერბლატი
არ ჰქონდა და ჩათვალა, რომ პირდაპირ ქვესადგურთან იყო
ჩართული. იქიდან მზერა ტანსაცმლის კარადაზე გადაიტანა.
კარადა ხისა იყო, ლამაზი, ბუნებრივი არშიებით დამშვენე-
ბული. ტუმბოც იმავე ხისგან გახლდათ დამზადებული.

ნუგზარი ახლა კედლისაკენ გადაბრუნდა და საწოლიც მა-
შინვე აჭრიალდა. „ლეიბი ზამბარებიან ბადურაზეა დაგებუ-
ლიო“, დაასკვნა და არც კი შეუმოწმებია, ნამდვილად ასე იყო
თუ არა. ახლა გაახსენდა, რომ წვერი ჰქონდა გასაპარსავი.

ელექტროსაპარსი, საცვლები და კიდევ სხვა ათასი წვრილმანი, რაც ადამიანს ყოველ წუთს ჭირდება, იქ, ბატისკაფში დარჩა.

საათს დახედა და ზმორებით ადგა. ოთახში გაიარ-გამოიარა. ფეხსაცმელი არც კი ჩაუცვამს, ისე, თბილი წინდებით გაიარ-გამოიარა...

მერე, როცა გასართობ ოთახში შევიდა, იქ უკვე იცდიდა მისი სამი მეგობარი. გასართობი ისეთივე ოთახი იყო, ცოტა უფრო მოზრდილი. რასაკვირველია, ფანჯრები არ ჰქონდა. იდგა ოთხი სავარძელი და გრძელი, დაბალი მაგიდა. მაგიდა ცარიელი გახლდათ, არავითარი ნივთი არ იდო ზედ და ნუგზარს ძალზე გაუკვირდა, რატომ უწოდეს ამ თალხიან ოთახს გასართობი. გაიფიქრა: კედლებისათვის მაინც მიეცათ ცოტა მხიარული ფერიო, შავად რომ ჩაუჟამებიათო. ერთადერთი სავარძელი იყო თავისუფალი და იმ სავარძელში ჩაჯდა. მაშინვე გაისმა ქალის ხმა:

— თქვენ ალბათ უკვე მოგშივდათ. მეგობრებო, შეგიძლიათ დაიბანოთ ხელი. სასადილოში თქვენ მსუყე სადილი გელით.

ოთხივე წამოდგა.

სასადილოშიც ისეთივე დაბალი, გრძელი მაგიდა იდგა, ოთხი ხის სკამი. მაგიდაზე ეწყო მოხარშული და შემწვარი თევზი, ხამანწკა, ნამცხვარი და კიდევ რაღაცის ხორცი, ასევე შემწვარი და მოხარშული. თუ რისი ხორცი იყო ეს, ნუგზარმა პირველად ვერ გაიგო, მაგრამ როცა გემო გაუსინჯა, მაშინ კი მიხვდა, რომ კალმარს შეექცეოდა.

ვალერის ტუალეტში შეაგვიანდა, როცა სასადილოში შემოვიდა, სხვები უკვე პურს ტეხდნენ.

— როგორ ფიქრობთ, რისგანაა დამზადებული აქაური საპონი?

— განა მაგას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — შენიშნა გაბოშვილმა.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მე დავასკვენი, რომ ხელი თევზის ქონის საპნით დავიბანე.

— რაო? გახედა ნუგზარმა.

— ზუსტად ასეა.

— ვთქვათ ასეა, რა არის ამაში საგანგაშო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბოშვილმა ვალერის გახედა და პირისაკენ მოზრდილი ლუკმა უდარდელად გააქანა.

— საგანგაშო არაფერია, მაგრამ ძალიან მდიდრები ყოფილან, თუ თევზის ქონს ასე ანიავებენ.

ნუგზარმა პირთან მიტანილი კალმარის ნაჭერი ისევ მაგიდაზე დადო და ნაღვლიანი მზერა თევზზე გადაიტანა. ამის შემდეგ ისე მორჩა სადილს, რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია ხორაგითა და დუმილით დამძიმებულ მაგიდასთან. სადილის შემდეგ ტუალეტში შევიდა ხელის დასაბანად.

ტუალეტი საკმაოდ მოზრდილი ოთახი გახლდათ. გასართობი ოთახისა არ იყოს, ესეც შავად შეეღებათ. ერთ კედელს სარკე ამშვენებდა. სარკის ქვედა რაფაზე კი საპონი იდო: ნუგზარმა აიღო და უყნოსა, სასიამოვნო სურნელი ეცა, მაგრამ კარგი ყნოსვა ჰქონდა და იგრძნო, რომ საპონში თევზის ქონიც ერია. სანამ ხელებს გაიქაფავდა, ონკანი მოუშვა. გრილმა წყალმა დაუსველა ხელები. მერე გაიქაფა და გულმოდგინედ დაიბანა. ბოლოს ტუჩები პირდაპირ ონკანს შეუშვირა და დალია.

სასიამოვნო წყალი იყო, ნამდვილი წყაროს წყალი. გაიფიქრა, რომ მათ მასპინძლებს აფრიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით წყლის საქმე კარგად ჰქონიათ მოგვარებული.

ტუალეტიდან გამოვიდა, ვიწრო დერეფანი განვლო და ისევ სასადილოში შეაბიჯა. იქ უკვე აღარავინ იყო, ყველანი გასართობ ოთახში გასულიყვნენ. თვითონაც გასართობს მიაშურა. და სწორედ მაშინ, როცა სავარძელში ჩაჯდომას აპირებდა, ისევ გაისმა ქალის ხმა.

— ახლა ზედმეტი არ იქნება, გავიცნოთ ერთმანეთი. მე კადილას მეძახიან ვლაპარაკობ ქართულ, ინგლისურ, ესპანურ და ამიტურ ენებზე. მითხარით თქვენი სახელიც, მეგობრებო.

— ჩვენ თქვენ ვერ გხედავთ, — თქვა ნუგზარმა, — ისიც ვერ გაგვიგია ხეირიანად, რისთვისაა საჭირო ეს ბავშვური კუკუმალობა. მგონი, სერიოზული ხალხი ვართ და ასეთად მიგვაჩნიხართ თქვენც. ჯერ კიდევ ბატისკაფში ყოფნის დროს გთხოვეთ, შეგვახვედროთ თქვენს ოფიციალურ წარმომადგენელს, გავარკვიოთ რისთვის ვიმყოფებით აქ, რა დანაშაულისათვის. რაც უნდა ჩინებული კომფორტი შეგვიქმნათ, ეს ცივი კედლები მაინც საპატიმროა და მეტი არაფერი.

— გვესმის თქვენი. გპირდებით, რომ შეგახვედრებთ ოფიციალურ წარმომადგენელს. მაგრამ ამისათვის საჭიროა მოთმინება. ამჟამად ეს საქმე არ ხერხდება. არის ზოგიერთი რამ, რაც უეჭველად უნდა დაზუსტდეს, ნუგზარ, უფრო სწორად, ამხანაგო ნუგზარ, როგორც თქვენი მეგობრები მოგმართავენ. ყველაფერი მშვიდობით დამთავრდება.

— დიახ, მე ნუგზარი მქვია. აი, ამას, ამ ჩემს მეგობარს (ნუგზარმა ვიტალის ხელი მხარზე დაჰკრა), ვიტალი შლიახოვს ეძახიან. ამას კიდევ — ანდრო გაბოშვილს. ეს ყმაწვილი კი ვალერი ბასილაია გახლავთ. სულ ეს არის ჩვენი ეკიპაჟი. ჩვენ ისევ და ისევ ვიმეორებთ, ყოველივე, რაც აქ ხდება, დიდი უკანონობაა და სრულებითაც არ შეეფერება ცივილიზებული ქვეყნის ეთიკას.

— გასაგებია და კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს.

— ჩვენ ალბათ სხვა გამოსავალი არცა გვაქვს, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს, მაგრამ მანამდე კიდევ ერთი თხოვნა გვაქვს. მთელი ჩვენი გარდერობი იქ, ბატისკაფში, დარჩა. ასე განსაჯეთ, ელექტროსაპარსი და კბილის ჯაგრისიც კი არ წამოგვიღია. ვფიქრობთ, ეს ნივთები კონფისკაციას არ ექვემდებარება, ჩვენთვის კი აუცილებელია.

— და კიდევ კრევეტები! — დაიყვირა ბასილაიამ.

სიცილის ხმა გაისმა.

— თქვენ ამ ნივთებს მიიღებთ, სულ მალე მიიღებთ.

— კრევეტები არ დაგავიწყდეთ, მაცივარშია.

— კრევეტებსაც მიიღებთ, ნუ დარდობთ.

ნახევარი საათის შემდეგ ვალერიმ თქვა: მგონი, სასადილო ოთახში ვიღაც დადისო. ანდრო ადგა და კარი შეაღო, სასადილოში არავინაც არ დადიოდა, საერთოდ არავინ იყო. სუფრა კი აელაგებინათ. მაგიდაზე მხოლოდ წყლით სავსე შავი დოქი და ოთხი ჭიქა იდგა. ანდრომ მაგიდასთან ოთხი პატარა ჩემოდანიც შენიშნა. შემობრუნდა.

— ჩემოდნები უკვე მოიტანეს.

— არის ვინმე მანდ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— არა, მაგიდა კი ალაგებულია.

— ბარაქალა, სუფთად მუშაობენ.

ათ საათზე შუქმა ბჟუტვა იწყო და ჩათვალეს, რომ ფერმეტ ძილის დრო იყო. ნუგზარმა თავისი ჩემოდანი აიღო, მეგობრებს ძილი ნებისა უსურვა და თავის ოთახს მიაშურა. კარს რომ მიუახლოვდა, მოეჩვენა, ოთახში თითქოსდა რაღაც გახმაურდა. ფეხს აუჩქარა, სწრაფად შეაბიჯა, მაგრამ ოთახი ცარიელი დახვდა. არაფერი არ ამჟღავნებდა, რომ აქ ახლახანს რაიმე სულიერი ყოფილიყოს. შუქი აქაც სულს ღაფავდა. ნუგზარმა გაიხადა და საწოლში ჩაწვა.

არ დაეძინა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოსდა, სულ ახლოს, ვიღაც დაუპატიჟებელი კაცი იჯდა და მის ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. სურდა, არ ეფიქრა ამაზე, მაგრამ საითაც არ გადაუგდო ფიქრებს სათავე, თვალწინ მაინც ნახევრად სიბნელეში ჩასაფრებული კაცი ედგა.

წამოდგა. ოთახში წინდებისამარამ გაიარა. ტუმბასთან მივიდა, გულდაგულ გასინჯა, შიგაც შეიხედა. მერე გარდერობი შეამოწმა. არავინაც არ იყო. როდის-როდის, კვლავ ჩაწვა ლოგინში და თვალწინ ისევ ის უცხო კაცი დაუდგა. თითქოს მის მოღუშულ, ცივ სახესაც ხედავდა.

ადგა და დერეფანში გამოვიდა. დერეფანში კი ნამდვილად იდგა ვიღაც. იქით, კუთხეში, იდგა. ნუგზარი რომ დაინახა, შეინძრა. აქეთ წამოვიდა.

ნუგზარი შეკრთა და იმავ წუთს ანდროს ხმაც მოესმა:

— არც თქვენ გეძინებათ, ამხანაგო ნუგზარ?

— შენ ხარ, ანდრო?

შვება იგრძნო, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოხსნესო.

— მე გახლავართ. არ დამეძინა და დერეფანში გამოვედი. შოჩვენებებისა გჯერათ რაიმე?

— არა, — მოჭრა ნუგზარმა.

— არც მე, მაგრამ ეს იდუმალი ოთახები სწორედ ათასნაირ ფიქრებს ამიშლიან. არა, წარმოუდგენელია, არ შეძლია აქ ძილი.

— არა გიშავს, ნერვები მოთოკე და დაიძინე. შენმა ხმაურმა მეც გამიკრთო ძილი. ვიფიქრე, დერეფანში რას უხდა აკეთებდეს-მეთქი და გამოვედი. ახლა ისევ ჩვენს საწოლებთან დავბრუნდეთ, დავიძინოთ. ასე არ სჯობია?

— ჯობს, თუკი დამეძინა. ძილი ნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბოშვილმა თავის ოთახს მიაშურა და აღარც ნუგზარი დარჩენილა დერეფანში. ოთახში დაბრუნდა და მაშინვე ლოგინში ჩაწვა. ერთხანს კიდევ არ დაეძინა, ბოლოს, როგორც იყო ჩათვლიმა.

ანდრო ყველაზე ადრე ადგა. შუქი ისევ ისე ბჟუტავდა. დერეფანი ფრთხილად გაიარა, არ უნდოდა, რომ მეგობრებისათვის ძილი დაეფრთხო. ჯერ გასართობ ოთახში შევიდა, შემდეგ სასადილო განვლო და ტუალეტს მიაშურა.

ტუალეტში შესვლისთანავე იგრძნო, რომ შუქს მოეშატა. ახლა ძლიერ შუქზე ლამაზად ალაპლაპდნენ პრიალა კედლები.

ანდრო სარკესთან დადგა და ელექტროსაპარსი ჩართო. მას ყოველთვის დიდ სიამოვნებას გვრიდა თბილი საპარსის სრიალი წითელ, პუტკუნა ლოყებზე. ახლაც, როგორც ყოველთვის, პარსვა მარჯვენა საფეთქელთან დაიწყო. საპარსი რგოლი ნელა გაცურდა სქელი ბაკენბარდების ქვემოთ. ბაკენბარდებს უკვე ჭაღარა შეჰპარვოდა. თითო-ოროლა ვერცხლისფერი ოდნავ ხვეულ გრუზა თმებსაც შერეოდა.

ადრე ეს ნაადრევი ჭაღარა ართობდა კიდეც ანდროს, მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც მისგან მინიჭებულ სიამოვნებას ვეღარ გრძნობდა. ზოგჯერ ფიქრობდა კიდეც, ძალიან "ძორს ხომ არ გაჰყვა ოცნებებს, თვითონ თითქმის სულ ზღვა"შია, ცხოვრება კი, ათასი სიამოვნებითა და ტკივილით სავსე ცხოვრება, იქ, ხმელეთზეა ქუჩებსა და სახლებში. ასეთ წუთებში ანდრო ყოველთვის დაუფარავი ზიზღით გაჰყურებდა ზღვას, მაგრამ შემდეგ თვალებში შუქი ჩაუდგებოდა, გონებასაც ძალას დააატანდა და ისევ და ისევ ზღვას ლოცავდა.

საპარსი ღაჟღაჟა ლოყიდან ნიკაპზე უხმაუროდ ჩაცურდა. ანდრო გულმოდგინედ, მონდომებით ატარებდა გრძელ, "შესუქებულ ნიკაპზე საპარს რგოლს. მერე მარცხენა ლოყა გაძობერა და საპარსიც იქით გადააადგილა.

ნუგზარი რომ შემოვიდა, უკვე მარცხენა ლოყას იპარსავდა.

კაპიტანმა ყურადღებით ჩაათვალიერა ეკიპაჟის წევრი და მხოლოდ მერე ჰკითხა, როგორ გეძინაო.

— კარგად მეძინა, ამხანაგო ნუგზარ. ნეტავ, რომელი საათია ახლა?

— შვიდი, — უპასუხა კაპიტანმა და თავადაც ჩაიხედა სარკეში. სახე ფერმკრთალი და შეშუპებული ჰქონდა, გადალეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად პარსავს?

— კარგად, ადრე „ივერიათი“ ვიპარსავდი, ისიც კარგია, მაგრამ „მცხეთა“ მაინც სჯობია, პირწმინდად იღებს, ბატარეაც დიდხანს ყოფნის, თქვენ რომელს ხმარობთ?

— „ივერიას“ და არც ვუჩივი.

ანდრომ ბეჭები აიწურა, თქვენი ნებაო. საპარსი უკახასკნელად შემოატარა მარცხენა ბაკენბარდს და სარკეს მოშორდა.

— ხომ არ ინებებთ ამით გაპარსვას? — იკითხა ძახ.

— გმადლობთ, მე საკუთარი წამოვიღე, — თქვა ნუგზარმა და საპარსი ჩართო.

ზუსტად რვა საათზე ქალის ხმამ გამოაცხადა: საუზმე მზადაა და ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ.

მაგიდაზე უხვად ეყარა თევზეული და პატარა, მრგვალი ნამცხვრები.

კარგად რომ დანაყრდნენ, ვალერიმ თქვა: თუ სადილადაც თევზეული მოგვართვეს, მაშინ იძულებული გავხდები, საჩივრის წიგნაკიც მოვითხოვოო?...

გაბოშვილმა გაიცინა:

ხბოს მწვადები ხომ არ მოგენატრაო?

კიდეც მომენატრა და სიამოვნებითაც მივირთმევდიო.

მაგრამ სადილად თევზეული არ მოუტანიათ: მოიტანეს კარგად შემწვარი თირკმლები. ანდრო ამტკიცებდა: საქონლისაა. ვიტალი და ვალერი კი განუმარტავდნენ, ეს თირკმელი ვეშაპისა გახლავსო. საერთოდ, ზედმეტი არ იქნება კარგად იცოდე, რომ ვეშაპისა და საქონლის თირკმელი, გეძოთი ძალიან ჰგავს ერთმანეთსო.

ბოლოს მოკამათენი ნუგზარმა დააშოშმინა.

სადილის შემდეგ ისევ გასართობ ოთახში გადმოინაცვლეს.

ვიტალიმ ჯერ სიგარეტი გააბოლა, მერე თავისი ოთახიდან რაღაც წიგნი მოიტანა, სავარძელი კუთხეში მიაჩოჩა, შიგ ჩაჯდა და კითხვას შეუდგა.

თავისი სავარძელი ვალერიმაც იქით გააჩოჩა და ჰკითხა: რა წიგნს კითხულობთ“.

ვიტალის არ უყვარდა, როცა კითხვის დროს თავს აბეზრებდნენ. წიგნი ასწია და თავფურცელი დაანახა. ეს ბოტკინის წიგნი იყო:

„ოცდაერთი საკვირველება“.

ვიტალის ეგონა, ბასილაიას ასე ადვილად მოიშორებდა, მაგრამ ვალერი ფრიად ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. სავარძელი კიდევ უფრო ახლოს მიაჩოჩა.

— რაო, რას წერს ეგ ბოტკინი?

ვიტალის წყენა არც დაუფარავს.

— რას შემომიჩნდი, დავამთავრებ და თავად წაიკითხე.

— სანამ მაგ საქმეს მორჩები, სულ ცოტა, ორი დღე მაინც გაივლის, ორი დღის შემდეგ სად ვიქნები, ღმერთმა უწყის.

ნუგზარმაც გახედა მოკამათეებს.

— ბიჭო, არ წაგიკითხავს ეგ წიგნი?

— ახალი გამოსულია, მე კი სულ ზღვაში ვარ. აბა, სად ვნახავდი!

ვიტალიმ წიგნი სავარძლის სახელურზე დადო.

— „გეორგ VI“ ეკიპაჟი რომ გაქრა უკვალოდ, გახსოვს?

— ჰო, რაღაც მაგის მაგვარი მაგონდება.

ვალერი სასაცილოდ დაიჭყანა და მუდამ მოუსვენარი ცისფერი თვალები ვიტალის მიაპყრო.

— ამ ხუთი წლის წინათ, სექტემბრის ბოლოს, ვეშაპმხოცი „გეორგ VI“ ბაზისაკენ მიდიოდა, საწვავი უნდა აეღო. ეს მოხდა სამხრეთის განედის 51 გრადუსზე, დრეიკის სრუტის ახლოს. ბაზასა და ვეშაპმხოცს სულ რაღაც 80 მილი აშორებდათ. „გეორგ VI“-ზე სულ 17 კაცი იმყოფებოდა, კაპიტნისა და მატროსების ჩათვლით.

რიჟრაჟი იყო, მოწმენდილი ცა. „გეორგ VI“-ის კაპიტანი ჯორჯ ტეილორი რადიოსთან იჯდა და ბაზაში თავის კოლეგასთან მხიარული საუბარი ჰქონდა ვეშაპებისა და ჰაიტელი ქალების შესახებ. ამბობდნენ, ჯორჯ ტეილორი კარგი მონადირეც ყოფილა და კიდევ უფრო ჩინებული მოარშიყე.

ეს უწყინარი საუბარი ეთერში ერთბაშად შეწყდა. ბაზაში იფიქრეს, „გეორგ VI“-ის კაპიტანი თავში ახალ მხიარულ ამბავს ალაგებსო, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ „გეორგ VI“-ზე ან რადიო გაფუჭდა, ანდა უფრო უარესი მოხდა.

ბაზის რადიოქსელი ეთერში დიდხანს ეძებდა ვეშაპძიებლის ხმას არავინ იღებდა. მერე რეიდიდან მოიხსნენ და ვეშაპძიების კურსზე გავიდნენ. ოთხი საათის შემდეგ შეამჩნიეს პატარა გემი, რომელიც ზღვის ტალღებზე უცნაურ მალაყებს გადადიოდა. მაშინვე ჩაუშვეს ორი მაშველი ნავი. მეზღვაურები გაოცდნენ: „გეორგ VI-ზე“ ეკიპაჟის არც ერთი წევრი არ აღმოჩნდა. ყველაფერი ისე იყო მიტოვებული, თითქოსდა ეს მხიარული ბიჭები ნაპირზე ფეხბურთის სათამაშოდ გადავიდხეხ და საცაა, მობრუნდებიანო. უფრო გვიან, როცა ხმელეთიდან ძოსულმა ექსპერტებმა გულდასმით შეამოწმეს ყველაფერი, გაირკვა, რომ „გეორგ VI-ის“ ეკიპაჟი მთლად ხელცარიელი არ წასულა ხმელეთზე ბურთის სათამაშოდ. ყოველ მათგანს თან წაუღია აუცილებელი პირადი ნივთი.

— ცნობილი ფაქტია, — თქვა ვალერიმ.

— ჰოდა, პროფესორი ბოტკინი არჩევს ამ ფაქტებს.

ახლა ყველამ ვიტალისთან მიაჩოჩა თავისი სავარძელი.

— შემთხვევა მეორე: ჰამბურგელმა ინჟინერმა ჰანს ძიულერმა თავისი მეუღლე ჰანა, სამივე შვილი ჩასხა საკუთარ იახტაში და სამოგზაუროდ სამხრეთ ამერიკისაკენ გაუყვა.

თვენახევრის შემდეგ მიულერის ყვითელი იახტი უპატრონოდ მიტოვებული იპოვეს სადღაც რიო-დე-ლა-პლატას ახლოს.

მიულერის მეგობრები ამტკიცებდნენ, რომ ჰანსი გატაცებული იყო ეგზოტიკით. ზოგჯერ ის ნაღვლიანად შენიშნავდა, რომ ძლიერ აწუხებს ქათქათა საყელო და მაგრად შეკრული ჰალსტუხის კვანძი. ადამიანთა მოდგმის ამ გამოგონებას სიამოვნებით გაცვლიდა ჯუტის ძენძზე, რომელიც მხოლოდ სასირცხო ადგილს დაუფარავდა. მიულერის ეს სიტყვები დაეხმარა ბევრ დაინტერესებულ პირს, რომ ჰანსისა და მისი ოჯახის გაქრობის ამბავი ჯუნგლებში გაქცევის ვერსიით აეხსნა. ბოტკინი ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ვერსიას. თუ ეს წმინდა გერმანული ოჯახი მართლაც სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში გაიქცა, საეჭვოა ცივილიზაციაზე გამწყრალ ჰანსს თან წაეღო პირადი ნივთები. იგი, ალბათ, ცოლშვილის თვალწინ გაიხდიდა ბოსტონის ყავისფერ კოსტიუმს და მაშინვე სასირცხო ადგილს ძენძით დაიფარავდა.

— და კიდევ იყო ასეთი შემთხვევა, — ვიტალის სიტყვა ჩამოართვა ნუგზარმა, — „სანტა მარია“ — ჩილელთა სამგზავრო გემი, პატაგონიის ყურეში მუშაობდა. გემზე ოცდათორმეტი მეზღვაური იმყოფებოდა. შუადღისას, როდესაც რადიოს უფროსი მორზეთი სანტ-იაგოს ელაპარაკებოდა, უეცრად გაწყდა რადიოკავშირი. დილით კი, ურუგვაელთა სანაპირო დაცვის კატარღებმა იპოვეს უეკიპაჟოდ დარჩენილი „სანტა მარია“.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, გემზე დეტექტივებმა აღმოაჩინეს არაჩვეულებრივად დიდი ნაფეხური. სანამ კატასტროფა მოხდებოდა, ერთ-ერთ მეზღვაურს წინა ერდოზე სოლარი დაქცეოდა. ვიღაცას, გაუფრთხილებლობის თუ სიჩქარის გამო, შიშველი ფეხი ჩაედგა შიგ და მისი ანაბეჭდი ბარე ოთხ ადგილას საკმაოდ ნათლად გამოსახული იპოვეს. მაშინ ბევრი დაიწერა ამაზე. ზოგმა ამ დანაშაულში ბრალი დასდო სხვა პლანეტიდან მოსულ მოაზროვნე არსებებს.

ამ წიგნში მაგ შემთხვევაზეცაა ლაპარაკი. მიხეილ ბოტკინი ძალიან ფრთხილად არჩევს თითოეულ ფაქტს. 21 შემთხვევა, რომლებიც აღრიცხულია ადამიანთა მიერ, თითქოს ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ჯერ ერთი, თავდასხმის (თუ შეიძლება ასე ითქვას), მსხვერპლია მხოლოდ და მხოლოდ მუშა გემები. ჯერჯერობით თავდასხმა არ მომხდარა არც ერთ სამგზავრო გემზე. მეორეც ის, რომ ადამიანები ქრებიან თავიანთ პირად სამგზავრო ნივთებთან ერთად. მესამე, თავდასხმის შემდეგ თითქმის არავითარი კვალი არ რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სანტა მარიას“ ფაქტს, სადაც იპოვეს ფეხის გიგანტური ნაკვალევი. ასეთი პარალელი ბევრია. ეს ერთი ხანია, თავდასხმა აღარ მომხდარა და თითქოს დავივიწყეთ კიდეც ის ოცდაერთი საზღვაო შემთხვევა, რამაც ერთ დროს ასე აგვაფორიაქა.

— საბოლოოდ რაო, რა მინდაო, რას ამბობს პატივცემული მიხეილი? იკითხა ვალერიმ.

— საბოლოოდ რას ამბობს, ჯერ ამას ვერ გეტყვი. ხომ ხედავ, ჯერ მხოლოდ წიგნის ნახევარი წავიკითხე.

ამ დროს ანდრო გაბოშვილი მოვიდა. ხუთი წუთის წინ ის ისე ჩუმად გაძვრა გასართობი ოთახიდან, რომ მისი წასვლა

არავის შეუტყვია. კამათში გვარიანად გაერთნენ და ვერც ან-
დროს ხელახლა გამოჩენას შენიშნავდნენ, რომ თავად ან-და-
ეგდო მაგიდაზე ბანქოს ქაღალდი და გაბრწყინებული სახით
არ დაეძახა:

— ბანქო ვიპოვე, ბანქო!

სახეზე ისეთი სიხარული აღბეჭდოდა, რომ იფიქრებდით,
ბანქოს ეს უბრალო ქაღალდი კი არა, პირდაპირ მშობლიურ
სოფელში გასაძვრომი ხვრელი აღმოაჩინაო.

— აწი არაფერი გვიჭირს, ბანქო ხომ იპოვე... საქმე მოგ-
ვარებულია, — გაჰკილა ვალერიმ.

თავისი სავარძელი ისევ მაგიდისაკენ გააჩოჩა. ისე გააჩო-
ჩა, რომ არც კი ამდგარა. მსუბუქი, ყოველმხრივ მოხერხებუ-
ლი სავარძელი თავისუფლად მოძრაობდა ლაპლაპა იატაკზე.

სავარძლის სახელური მაგიდას რომ შეენარცხა, ვალერი
მაშინ შეჩერდა. ბანქო აიღო, ცერა და საჩვენებელ თითებს
შორის გაატკაცუნა.

— სულ ახალთახალი ყოფილა. ბარაქალა. ვატყობ ეს
ოთახი მალე მართლა გასართობად იქცევა.

— სად იპოვე ბანქო? — იკითხა ნუგზარმა.

— ჩემს ტუმბაზე. სწორედ ჩემს ტუმბაზე იდო. კარგად
მახსოვს, მე არ წამომიღია, კიდეც რომ წამომეღო, ტუმბაზე
რა ჭირად დავტოვებდი, მეორე დღეა, აქა ვართ და გულს გა-
დავაყოლებდით, აქ გამოვიტანდი.

მაგიდასთან ნუგზარიც მივიდა. ვალერის ბანქო ჩამოართ-
ვა. ახლა თვითონ გაატკაცუნა თითებს შორის და ჩამოჯდა.

— ვითამაშოთ, ჯანი გავარდეს. „დურაჩკა“ ვითამაშოთ.

ვიტალიმაც მოაჩოჩა თავისი სავარძელი.

— ვითამაშოთ.

სავარძლების განლაგების მიხედვით ვიტალი და ნუგზარი
ერთად აღმოჩნდნენ. მეორე წყვილმა საწინააღმდეგო პოზი-
ცია დაიკავა და ბანქოს დარიგებაც მათ ერგოთ.

ვალერიმ ჩამოარიგა. მერე აგურის რვიანი გადმოაბრუნა
და ქვეშ ამოდო.

— „კოზირი“ აგურია, — თქვა მან.

გაბოშვილმა ჯვრიანი ქალი მაგიდაზე დადო.

— შეხედეთ, როგორი ქალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალიმ ბანქოს ქაღალდს ხელი დაავლო.

— რა მოხდა! ქალთევზა დაუხატავთ.

— ჰო, ქალთევზაა, — ჩაილაპარაკა ნუგზარმა და შემდეგ მთელი თხუთმეტი წუთით თამაში შეაჩერა. გულდაგულ სინჯავდა თითოეულს.

— კარგად არის დაბეჭდილი? — ჰკითხა ვალერიმ.

— მგონი, კარგი უნდა იყოს, მაგრამ გამოსახულებები უფრო სხვანაირია.

— ეს ქალია სხვანაირი, თორემ სხვები თითქმის ისეთივეა, როგორსაც ჩვენთან ბეჭდავენ.

— არ დაიჯერო, ეს შორიდან გეჩვენება ასე. ამას შეხედე!

— ვხედავ, აგურის მეფეა.

— ნახე, როგორი გვირგვინი ადგას. თითქოს ლამინარიასაგან მოუწნავთო. ოფიცერიც ნახევრად შიშველია...

— ჰო, განსხვავება არის, მაგრამ თავის მოვალეობას მაინც შეასრულებს. ამაში ეჭვი სრულებითაც არ მეპარება.

ანდრო გაბოშვილი ველარ ითმენდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ შეფი ბანქოს ჩამოვიდოდა, ბოლოს, როცა ნუგზარმა თავისი ბანქო აკრიფა და თამაშის დაწყება ბრძანა, გაბოშვილი სავარძელში აცმუკდა.

პირველი ხელიც მათვე მოიგეს, ვალერიმ და ანდრომ ნუგზარმა და ვიტალიმ მეორეც წააგეს და მესამეც. ვიტალის მეოთხე ხელი აღარ უთამაშია. ჯობია, წიგნის კითხვა დავამთავროო. ანდრომ ბევრი ეხვეწა, მაგრამ რადგან ერთხელ თქვა შლიახოვმა, სიტყვა უკან აღარ წაუღია.

მეოთხე ხელის შემდეგ ნუგზარიც ადგა და მოსასვენებლად წავიდა. როცა დერეფანში გამოვიდა, გაოცებული შედგა. დერეფნის ბოლოში, საიდანაც გუშინ ამ ორიგინალურ საპყრობილეში თავისი ფეხით შემოვიდნენ, დაინახა, როგორ მიხურა ფართო კარი. არა მარტო კარის მიხურვა შეამჩნია, არამედ თვალი მოჰკრა კვერცხის გულივით ყვითელ ხელს, რომელიც სულ რამდენიმე წამს ზედ კართან გარკვევით ჩანდა.

ნუგზარი გაოგნებული იდგა. თითქოსდა რა უნდა ყოფილიყო გასაოცარი, ან მოულოდნელი. არსებობს სახლი, არსებობს საგნები, უეჭველად იქნება ადამიანიც...

იფიქრა, უკან მიბრუნებულიყო მეგობრებთან. მაგრამ ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიფიქრა და გზა თავისი ოთახისაკენ გააგრძელა. გული მაგრად უცემდა, მაგრამ წინ. რომ ვინმე შეფეთებოდა, ალბათ ყურადღებასაც არ მიაქცევდა.

ისე შევიდა საძინებელ ოთახში, არც არავინ შეფეთებია და არც რაიმე ნივთს გაუმჟღავნებია ადამიანის შეხების კვალი. ყველაფერი ისევ წინანდებურად ელაგა. ტუმბაზე უდიერად ეგდო მისი საპარსავი, რომლითაც დილით წვერი გაიპარსა. სკამზე ჩანდა თავახდილი ჩემოდანი.

დილით ტუალეტში წვერის პარსვის დროს ანდროს ჰკითხა:

— თუ გიფიქრია, საიდან უნდა გაჩენილიყო შენს ოთახში ის ბანქო?

ანდრო კბილებს იხეხავდა. ჯაგრისი დინჯად გამოიღო, გარეცხა და თაროზე შემოდო. მერე წყალი გამოივლო პირში.

— აბა რა ვთქვა. ეჭვი არაა, ჩვენს ოთახებში ვირთხებივით დაძრწიან ის დაწყევლილები. სუფრასაც ისე გააწყობენ და აალაგებენ, თვალითაც არ გვენახვებიან. ვერაფერი გამიგია!. ღამით არ მეძინება, ამხანაგო ნუგზარ, თავი მისკდება ფიქრისაგან. რასა ჰგავს ეს?

— უნდათ ფსიქოლოგიურად დაგვამუშაონ, — წამოცდა ნუგზარს და ენის წვერზე იკბინა, მაგრამ რადგან ერთხელ შეტოპა, ბოლომდე მიჰყვა.

— სხვანაირად ვერ შევაფასებთ. ისინი თვალყურს ადევნებენ ჩვენს ყოველ მოძრაობას, გვისმენენ და ალბათ კიდეც იწერენ საუბარს, ჩვენ კი სათოფეზეც არ გვეკარებიან. ფსიქოლოგიური დამუშავებაა, — ჩაიქილიკა, — მაგრამ ვერაფერი გამიგია, რისთვისაა საჭირო ყოველივე ეს?

ამ დროს ვალერი და ვიტალი გასართობ ოთახში ისხდნენ, ბანქოს ქაღალდს მოპრიალებულ მაგიდაზე უტყაპუნებდნენ. ვიტალის მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა ბანქოს თამაში, მაგრამ ამ სისხამზე ვალერი პარტნიორს ეძებდა და ბადესაც შლიახოვი მოჰყვა.

ნუგზარმა მეორე დღეს განგებ დაიგვიანა ტუალეტში. ანდრომ რომ თქვა: წავიდეთო, წაიყრუა. ისევ ითრევდა ფეხს. ანდრო სასადილოს იქით რომ დაიგულა, არც მაშინ გამოსულა. კიდევ თხუთმეტი წუთი ჩალიჩობდა. მერე ფეხაკრეფით გამოვიდა.

სასადილოს კარი რომ შეაღო, ელოდა, იქ ერთ-ორ მაყვანძელს წავაწყდებიო თეფშებით ხელში, მაგრამ შეცდა. სასადილოში არავინ დახვედრია. სუფრა კი უკვე გაწყობილი გახლდათ.

ნუგზარი მეორე ოთახში აღარ გასულა, საიდანაც დროდადრო მაგიდაზე დაცემული ბანქოს ქაღალდის ტყაპატყუპი ძოისმოდა.

მაგიდასთან კი დაჯდა, მაგრამ საუზმის დაწყების სურვილი არც კი გაჩენია სწორედ ამ წუთებში სულ ახლოს გაისმა ქალის ხმა:

— დილა მშვიდობისა, ამხანაგო ნუგზარ!

ნუგზარი სწრაფად შებრუნდა და ძალიან გაუკვირდა, რომ მის გვერდით ამ მომხიბლავი ხმის პატრონი არ აღმოჩნდა.

— დილა მშვიდობისა, — კბილებიდან უსიამოვნოდ გამოცრა და მზერა ახლა იმ ნათურას გაუსწორა, ჭერში რომ იყო ჩადგმული.

— როგორ გეძინათ?

ნუგზარს ამ კითხვაში რატომღაც ირონია მოეჩვენა და აენთო.

— განა ამას თქვენთვის მნიშვნელობა აქვს?

— თქვენ ფიცხი ბრძანდებით, უცბად ბრაზდებით. მე გეკითხებით არა ზრდილობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მოვალე ვარ, ვიცოდე, რა აწუხებთ ჩვენს სტუმრებს და მივიღოთ ზომები მათი სურვილების შესასრულებლად.

— დიახ, ამას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ.

— თქვენ თუ ამას სერიოზულად აცხადებთ, მაშინ ბედნიერად ჩავთვლიდი თავს.

— რა საჭიროა ასეთი ქათინაურები. გთხოვეთ, მოგეცათ საშუალება, შევხვედროდით თქვენს ოფიციალურ წარმომადგენელს. რაც დრო გადის, იმედიც გვეწურება, რომ თქვენი ქვეყნის მესვეურნი იკადრებენ ჩვენს მიღებას. მინდა გონივრულად განვსაჯო ყველაფერი და რამდენსაც არ ვფიქრობ, ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდივარ, თქვენ მოქმედებთ ყაჩაღების მეთოდით. მაპატიეთ ეს გამოთქმა, მაგრამ რასაც ვხედავ, მხოლოდ ასეთ შეფასებას იმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაგპირდით ოფიციალურ წარმომადგენელთან შეხვედრას და კიდეც შეგისრულებთ.

— როდის? — მაშინვე იკითხა ნუგზარმა.

— ჩემთვის ძნელია, დაგინიშნოთ დღე და საათი, მაგრამ შემიძლია გითხრათ ერთი მეტად პრაქტიკული სიტყვა — მალე.

— ამ პრაქტიკულ სიტყვას აკლია კონკრეტულობა, ჩვენი ეპოქა კი სიზუსტის ეპოქაა.

— გეთანხმებით, მაგრამ ამჯერად მეტს ვერ შეგპირდებით, მოიპატიჟეთ თქვენი მეგობრები საუზმეზე, კარგ მადას გისურვებთ!

— ერთი ეს მიბრძანეთ, საიდან გაჩნდა ბანქოს ქაღალდი გაბოშვილის ტუმბაზე.

ვიღაცამ გაიცინა.

— ჩემმა დისშვილმა მოგართვათ. ანცი ბიჭია. სხვათა შორის, ამტვრევს ქართულს, იმედია, მალე ისე გამართულად ილაპარაკებს, როგორც თქვენ. და კიდევ ერთი რამ, როცა დაგჭირდეთ, ისარგებლეთ ტელეფონით. აპარატი მაგიდაზე დევს. აიღეთ ყურმილი, გიპასუხებთ ქალი. თხოვეთ მას, შეგაერთოთ ჩემთან. შეგახსენებთ, მე კადილა მქვია. ახლა კი ნახვამდის, კარგ მადას გისურვებთ.

კადილას ხმა მიწყდა თუ არა, ნუგზარმა გასართობ ოთახს მიაშურა. მაგიდასთან ახლა გაბოშვილი და შლიახოვი ისხდნენ. ვალერის სავარძელი კუთხისაკენ გაეცურებინა, ფეხი ფეხზე გადაედო და გრძელი, ფერმკრთალი ცხვირი წიგნში ჩაერგო.

— ბოტკინია? — ჰკითხა ნუგზარმა.

— ბოტკინი გახლავთ, — ვალერიც ადგა და წიგნი მოწიწებით სახელურზე დადო, — იგი საინტერესო დასკვნებს აკეთებს. გამიტაცა ამ წიგნმა.

— დაჯექი, იკითხე.

ნუგზარი ახლა მაგიდასთან მივიდა.

— საუზმე არ გინდათ? ბიჭებო!

— უკვე მზადაა? — იკითხა ანდრომ.

— რა ხანია, თქვენ გელოდებით.

— ახლავე ამ ხელსაც მოვრჩებით.

ნუგზარიც ჩამოჯდა.

საუზმის შემდეგ ანდრო გაბოშვილმა ნაღვლიანად თქვა:

— ძალიან ვსუქდები და თუ რაიმე ფიზკულტურული კომპლექსი არ მოვიგონეთ, მალე თქვენც ჩემსავით დაგეძართებათ..

ვიტალი შლიახოვი ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა სასკოლო მერხს უჯდა და თავიც ინტეგრალებით ჰქონდა გამოტენილ-მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა სასკოლო გუნდში გამოდიოდა. როგორც თვითონ ამბობდა, დიდ იმედს იძლეოდა. შემდეგ უფრო სხვა გატაცებებმა გადაძლია და სპორტს ჩამოშორდა. თუმცა იმდენს მაინც ვარჯიშობდა ხოლმე, ჩვეულებრივ მოქალაქეს ერთი დღის საგზლად რომ ეყოფოდა.

— მოდით და ვივარჯიშოთ, — თქვა ახლა შლიახოვმა და ანდროს გახედა, — ჩვენ ცოტას ვმოძრაობთ, ვარჯიში აუცილებელია.

— ასე გავაკეთოთ, ვივარჯიშებთ დღეში ორჯერ. დილით საუზმის წინ, საღამოთი ვახშმის შემდეგ. კომპლექსს შეიმუშავებს ვიტალი. დღეს საღამოთი ვიწყებთ ვარჯიშს, — თქვა ნუგზარმა და იმ საღამოთი კიდეც შეუდგნენ საქმეს — მთელი ორმოცი წუთი ვარჯიშობდნენ. ღამით კი, როცა ყველას გულიანად ეძინა, ნუგზარმა იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. ძილ-ღვიძილად გახლდათ და ბურანში გრძნობდა, რომ ის ვიღაც პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

ტანში გასცრა. დაბალი. გაწლიკული სხეული კი უჩუმრად უახლოვდებოდა.

ნუგზარი შეიშმუშნა, სურდა კარგად გარკვეულიყო, ყოველივე ეს მართლა ცხადში ხდებოდა, თუ ძილის მაცდური ჰალუცინაციები იყო. მალე დარწმუნდა, ნამდვილად თავის საწოლში რომ იწვა და ის ვიღაც დაგვაჯულიც ხორცშესხმული ეშმაკის ნაშიერი იყო.

შეინძრა და წამოწევა სცადა, მაშინვე ვალერის ხმა მოესმა:

— ნუგზარ, არ გძინავთ?

— შენ ხარ? არა, არ მძინავს.

გაუკვირდა, ეს გალეული კაცი ამ შუაღამისას რომ გამოეცხადა.

— ჩაიცვით. ჩქარა ჩაიცვით. საოცარი რამ უნდა განახოთ.

— რაო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩაიცვით-მეთქი ჩუმად მომყევით. ჩუმად, საწოლს ნუ აჭრიალებთ.

თვალის დახამხამებაში ჩაიცვა. ის იყო ცალი ფეხი ფეხ-საცმელში წაჰყო, რომ ვალერიმ უჩურჩულა:

— ფეხთ ნუ ჩაიცვამთ, ზედმეტ ხმაურს გამოიწვევს. ფეხ-შიშველიც შეიძლება აქ სიარული.

ნუგზარმა მარცხენა ფეხიდან შავი გრძელყელიანი ფეხსაცმელი სათითურივით ჩააცურა და მერე ვალერის მიუბრუნდა:

— გესმის? მზად ვარ.

ნახევრად სიბნელეში ნუგზარმა დაინახა, როგორ მოიკაკვა ბასილაია და მოკლე რბილი ნაბიჯებით წინ გაუძღვა. დერეფანი რომ გალიეს და გასართობ ოთახში შევიდნენ, ვალერი შეჩერდა, ტუჩები ყურთან მიუტანა კაპიტანს:

— აქ ვიჯექი, გვიანობამდე ვკითხულობდი. გასართობ ოთახში შედარებით მეტი შუქია და ბოტკინს ველარ შეველიე. პირველი საათი იქნებოდა, ზურგიდან ხმაური მომესმა. არც გავნძრეულვარ, საინტერესო ადგილას ვიყავი და თავის აწევაც კი შემეზარა. ვიფიქრე, რომელიმე ჩვენგანი ტუალეტში ალბათ მეფეს უხდის-მეთქი ხარკს.

მერე, როცა ის საინტერესო ადგილი ჩავიკითხე, დავფიქრდი: ეჰე, იქ ხომ არაფერი ხდება-მეთქი, ფეხთ გავიხადე და ტუალეტს მივაშურე. იქ ძლიერი შუქი ენთო. თვალები მოვიფშვნიტე და ვხედავ, ჩემს ცხვირწინ საშინლად ყვითელმა ხელმა, არც კი ვიცი, რას შევადარო, აი ამ წიგნის ავტორის მოგვარის ავადმყოფობა რომ ემართებათ და თვალებიც კომშისფერი უხდებათ, სწორედ ისეთმა ხელმა, კარი მიიხურა.

ვფიქრობ, ვერ შემამჩნია.

უკან გამოვბრუნდი და მთელი ერთი საათი კიდევ ვკითხულობდი. მერე, როცა დავრწმუნდი, იმ ხელის პატრონი, თუ წესიერი კაცი იყო, უკვე შინ იქნებოდა, ისევ ტუალეტში გავედი. ფრთხილად მივედი იმ კედელთან, საიდანაც ის მოჩვენება გაქრა. ყურადღებით დავათვალიერე, ვხედავ, ნემსის წვერის სიმსხო, ძლივს შესამჩნევი ღილია, თითი მივაჭირე და იმ წუთში კედელი გაიფხრიწა. ჰო, ასე გეგონებათ, თითქოსდა მართლაც კედელი შუაზე იხევა, შევძვერი და, რაც იქ ვნახე, დაუჯერებელია.

— წავიდეთ! — ნუგზარმა მუჯლუგუნი წაჰკრა.

ვალერი წინ წახანხალდა. ტუალეტში შევიდნენ. ვალერი ტუალეტის დერეფნის ბოლოსაკენ წავიდა. ზედ მიადგა და გულდაგულ დაუწყო სინჯვა. მერე იპოვა, რასაც ეძებდა, ნუგზარს დაელოდა. როცა ნუგზარი მოსულად დაიგულა, თითი იმ ნემსურა ღილაკს შეახო.

კედელი რბილი შრიალით გაიხსნა და ნუგზარი მიხვდა, რომ ტუალეტსა და იმ ოთახს, სადაც ახლა შესვლას აპირებდნენ, შიგგასახსნელი კარი ჰყოფდა. ამასობაში ვალერი უკვე იქითა მხარეს გავიდა. ნუგზარიც შეჰყვა და თავი ერთბაშად წითლად მოელვარე კედლებში ამოჰყო. მხოლოდ სადა, ხასხასა წითელი კედლები... არავითარი ნივთი, არავითარი რაიმე პატარა საგანიც კი.. ჭერში ოთხი ნათურა ენთო და უზარმაზარ დარბაზს დიდებულად აშუქებდა.

ვალერიმ წითელი დარბაზი გადაჭრა. თითქმის ძუნძულით გაიარა მთელი მანძილი და ისევ კედელთან შეჩერდა. სანამ ვალერი კედელს მიაღწევდა, ნუგზარი ჩამორჩა, მაგრამ მის მისვლამდე, ვალერი კედელთან მილურსმნულივით იდგა. ჯვარცმას ჰგავდა, სულ არ ირხეოდა. სწორედ მაშინ შეინძრა, როცა სულ ახლოს ნუგზარის ქშენა მოესმა... ისევ იპოვა ღილი და კვლავ საიდუმლო შარიშურით გაიღო წითელი კარი.

ახლა ლურჯ ოთახში აღმოჩნდნენ. აქ არ იყო ძლიერი განათება. ნათურები ისე ბჟუტავდნენ, როგორც მათ საძინებელში. მაგრამ შუქს წითელი დარბაზიდან შემოჭრილი დიდი სინათლე აძლევდა ძალასა და ლაზათს.

— მთავარს ახლა განახებ, — თქვა ვალერიმ. შემობრუნდა, ჯერ წითელ ოთახში გამავალ კართან მივიდა. იქ რაღაც ღილაკი ისევ იპოვა და კარიც დახურა. მერე ამ კარის პირდაპირ მდებარე კედლისაკენ წავიდა. აქ კი დიდხანს ჩალიჩობდა. რაღაცას გააფთრებით ეძებდა. ბოლოს, როდის-როდის აღმოაჩინა და ნუგზარმა დაინახა, როგორ გაცოცდა მთელი კედელი ხელმარცხნივ. ახლა ისინი უზარმაზარი აკვარიუმის წინ აღმოჩნდნენ. აკვარიუმად წინ გაშლილი სამყარო მხოლოდ რამდენიმე წამს მოეჩვენა ნუგზარს. ზუსტად რამდენიმე წამს. როცა ამ მოჩვენების პირველმა ძლიერმა ტალღებმა გაიარეს, იგი მიხვდა, რომ წინ ოკეანის ფსკერი იყო და ისინიც ამ ოთხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღლის განმავლობაში ფსკერზე დადგმულ სახლში ცხოვრობ-დნენ.

ვალერი ამ დროს უზარმაზარ ომარს აკვირდებოდა, რომელიც დიდრონი ცაცების ელვისებური მოძრაობით სადღაც გარბოდა.

ომარმა რომ გაირბინა, მის კვალში სამი ვერცხლისფერი კიბორჩხალა გამოჩნდა. სამივენი მარჯვე ბიჭები ჩანდნენ. ვიღაც საცოდავი გამოეჭირათ, თუ მძორი ეპოვათ და გულდაგულ ფცქვნიდნენ. უფრო შორს სამი ზემძლავრი პროჟექტორის ლარივით სწორი შუქი ფსკერიდან ზედაპირისაკენ ულამაზეს ტრასასავით გაჭიმულიყო. ამ დიდებული ტრასის ქვეშ კი ჩანდა უზარმაზარი ხეები და მათ შორის ობობას ქსელივით გაბმული ლიანები.მარცხნივ, ხეების ქვეშ, დიდი შენობა იდგა. როგორც ნუგზარმა ივარაუდა, იგი სულ ცოტა, სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. პროჟექტორის შუქი სულ ზედა სართულს ხვდებოდა, ქვედა სართულები ჩაბნელებული გახლდათ.

— რომელი საათია? — ჩასჩურჩულა ვალერის ნუგზარმა, — სიჩქარეში ჩემი საათის წამოღება დამვიწყებია.

ვალერიმ საათს დახედა.

— ოთხი დაიწყო, ოთხის რვა წუთი გახლავთ.

— ყველაფერი ეს ოკეანის ფსკერზე ხდება.

ვალერიმ თავი დაიქნია, მჯერაო. ნუგზარი ზედ აეკრა ოკეანისა და ლურჯი ოთახის გამყოფ მინას. ახლა მხოლოდ იმ დიდ შენობას აკვირდებოდა, პროჟექტორებს შორის რომ იდგა და მესამე სართულიც განათებული ჩანდა. როცა ვალერიმ მკლავზე მოქაჩა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა.

— წავიდეთ, დღეს ეს ვიკმაროთ.

ნუგზარმა თავი დაუქნია და ვალერიმაც ისევ დახურა ის უშველებელი ფანჯარა. წინ ისევ ვალერი წავიდა.

გასართობ ოთახში რომ შემოვიდნენ, ნუგზარმა საშინელი დაღლილობა იგრძნო. სავარძელში ჩაჯდა, ბოტკინის გადაშლილი წიგნი მაგიდის კუთხისაკენ გააჩოჩა და მარჯვენა ხელის იდაყვი სწორედ იმ ადგილზე დადო, სადაც წუთის წინ ის წიგნი ეგდო.

— როგორც ჩანს, ისინი ღამით არ გვადევნებენ თვალყურს, — დაიჩურჩულა ვალერიმ.

ნუგზარმა თავი დაუქნია.

— შესაძლებელია, მაგრამ გამორიცხული არაა, ერთ-ერთ ნიტაფონზე იწერება ჩვენი საუბარი. ვიმყოფებით რომელიღაც ქვეყნის წყალქვეშა პოლიგონზე.

— ალბათ, ნამიბიის.

— ვერ გეტყვით. ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე მათ აქვთ ალმასის კარიერები. ამ სიღრმეზე კი სათუოა შეეძლოთ ჩამოსვლა. უფრო საარწმუნო იქნება, თუ ამ პოლიგონის გამართვას უფრო ძლიერ ქვეყანას მივაწერთ.

— სახელდობრ?

— მიჭირს უფრო დაკონკრეტება, ასეთი ქვეყნები არიან... ჯერ ამ საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ შეიძლება, რაღაც ემოციას აჰყვნენ და საქმე გავაფუჭოთ. ხვალ, პირველ საათზე, ისევ გავიდეთ.

ვალერიმ თავი დაუქნია, ყველაფერი გავიგეო და თავთავიანთ საძინებლისაკენ წავიდნენ.

დილით ადრე ადგომა რომ გაუჭირდათ, ვიტალი შლიახოვმა ერთი ამბავი ატეხა, აქაოდა ხალხი გაზარმაცდაო. მერე მოთენთილებმა ძალისძალათი ივარჯიშეს და საუზმის შემდეგ მიწვნენ. ორივემ კარგად იცოდა, ის ღამეც უნდა გაეტეხათ.

საღამოს ვარჯიშის შემდეგ თითქოს განგებო, ვიტალი და ანდრო გასართობ ოთახში ისე გულდაგულ მოკალათდნენ, რომ არ იქნა და იქიდან ვერ გამოყარეს. ბანქოს თამაშით გაერთვნენ და ძილი სულ დაავიწყდათ. ანდრომ თქვა. ისა სჯობია, ეს დაწყევლილი ბანქო ვითამაშოთო. ვიტალიც დაახლოებით ამ აზრისა იყო და ნუგზარი იძულებული გახდა, თავისი მეზღვაურებისათვის უცერემონიოდ დაეცაცხანებინა.

ანდრომ ეჭვით შეხედა. თქვენ მოისვენეთ, ჩვენ რას გიშლითო. ნუგზარი გაბრაზდა და მაგიდას ხელი დაჰკრა. სამივენი მაშინვე ადგნენ. ვალერიმ განგებ რაღაც ჩაიბუზღუნა და პირველი თვითონვე შეიძურწა ოთახში. პირველ საათზე ნუგზარი და ის გასართობ ოთახში შეხვდნენ. ვალერი ისევ წინ გაძვრა და რამდენიმე წუთში ლურჯ ოთახში გავიდნენ. ბასილაიამ ფანჯარა გახსნა თუ არა, ნუგზარი მაშინვე მინასთან მივიდა და ხარბად გახედა წყალქვეშა სამყაროს. ყველაფერი ისევ წი-

ნანდებურად იყო. ის სახლიცა და ზემძლავრი სამი პროჟექტორიც. მხოლოდ ზედ ცხვირწინ, მწვანე ბუჩქნარში, ორი დიდი სკაროსი გომბეშოსავით ჩამჯდარიყო და თითქმის მუცლამდე ჩამოგორებულ ღაბაბს ატოკებდნენ.

მათთვის არც ნუგზარს ეცალა და არც ვალერის ორივენი მთელი ყურადღებით პროჟექტორებში ჩამჯდარ შენობებს ზვერავდნენ.

ორის ოც წუთზე პროჟექტორების ხაზზე ორი მსხვილი არსება გამოჩნდა. პირველად ეს ორი მოძრავი არსება თუ მასა, მცირე წყალქვეშა ნავად ჩათვალეს, მაგრამ, როცა კარგად განათებულ სამყაროში შემოაღწიეს, ნუგზარმა თქვა: დელფინებიაო. ვალერიც მაშინვე დაეთანხმა.

დელფინები იმ განათებული მესამე სართულისაკენ დაეშვნენ. ისინი გაუჩინარდნენ თუ არა, ოკეანის ფსკერი საოცრად განათდა. იფიქრებდით, რომ უზარმაზარი სტადიონის ტრიბუნაზე იჯექით და დიდი სანახაობის მოლოდინში, ნაყინს შეექცეოდით. ყველაფერი ნათლად და დიდებულად ჩანდა. ნუგზარმა მაშინვე უთხრა ვალერის: ოკეანის ფსკერის ასე გაშუქებას ვერც კი წარმოვიდგენდიო.

თვალისმომჭრელ სინათლეზე ჩანდნენ ათასგვარი ჯიშის თევზები, კიბორჩხალები, წყალმცენარეები და, რაც მთავარია, კარგად გამოიკვეთა სამსართულიანი სახლის ის ორი სართული, აქამდე რომ უცხო თვალისათვის დაფარული იყო.

ნუგზარი ინსტინქტურად კიდევ მიაწვა მინას, მაგრამ მიხვდა, რომ მეტს ვერას გააწყობდა.

მალე დელფინების კიდევ ახალი ჯგუფი გამოჩნდა. ეს იყო აფალინას ოჯახის სამი დიდი დელფინი. ისინი წინა ჯგუფთან შედარებით ახლა ძალიან კარგად ჩანდნენ. ვალერი ნუგზარს მიუბრუნდა:

— ხედავ? ზურგზე რაღაც აპარატი აქვთ დამაგრებული.

— ვხედავ, საინტერესოა, რა აპარატია, რისი მაქნისი არიან ეს დელფინები?

ეს ჯგუფიც სახლთან გაუჩინარდა და სამაგიეროდ სულ ახალი გამოჩნდა. მთელი ორი საათის განმავლობაში დელფინები განუწყვეტლივ ეშვებოდნენ იმ საეჭვო შენობასთან და ყოველ დელფინს ზურგზე ჩვეულებრივ ის პატარა უცნაური ტვირთი ჰქონდა დამაგრებული.

— რა ხდება, ჩემთვის გაუგებარია, — ჩაიჩურჩულა ვალერიმ.

ნუგზარმაც ანიშნა: ჩემთვისაცაო და ყურადღება ისევ ფანჯრისაკენ გადაიტანა.

ოთხის ნახევარზე დელფინები გაქრნენ და შენობაც მაშინვე ჩაბნელდა.

— როგორც ჩანს, იქ დიდი დელფინარიუმია, — თქვა ნუგზარმა.

ვალერიმ ფანჯარა ისევ დახურა. წავიდეთო, ჩაილაპარაკა და წითელი დარბაზისაკენ წავიდნენ. ის კარიც გახსნა და დარბაზში შევიდნენ თუ არა, ორივენი სახტად დარჩნენ. დარბაზის შუაგულში იდგა უმახინჯესი ქმნილება, იგი გრძელი ფეხებით, ოთხკუთხა ტანით და თითქმის იატაკამდე დაშვებული ხელებით გორილას გავდა. ცხოველთა მოდგმის ამ საოცარ არსებას ტანი გორილასავით ბალნით არ ჰქონდა დაფარული. მოკლე შარვლის ზემოთ და ქვემოთ მოუჩანდა კომშივით ყვითელი ტანი და კიდურები. მარჯვენა ხელში რაღაც ხელის ფარნის მაგვარი ნივთი ეკავა. მრგვალ, უზარმაზარ მორგვზე, რომელიც მხრებშუა საზამთროსავით იდო, წამდაუწუმ მოძრაობდა ორი ბოროტი თვალი და დაუფარავ რისხვას აფრქვევდა.

— თქვენ იქ იყავით, არა? — დაიხრიალა მან ფოლადგარეული ხმით. — ახლავე სიკვდილს მოგიტანთ. თქვენ მოკვდით, მე დავისვენე. ახლავე მოკვდით....

იმ კაცმა გაატკაცუნა, მერე ის რაღაც ხელფარანივით ინსტრუმენტი რომ ეკავა, ზევით აღმართა.

ნუგზარი მიხვდა, რომ ამ „გორილას“ გამოჩენა კარგს არაფერს მოასწავებდა. ვალერის გადახედა. ვალერიმ მხოლოდ ესა თქვა: მგონი, ყველაფერი დასრულდაო და როცა ორივენი მთელი ამ ტრაგედიის ფინალს ელოდნენ, გაისმა ქალის ხმა — ნუგზარმა იცნო კადილა. მაგრამ მისი ნათქვამიდან მხოლოდ პირველი სიტყვა დაამახსოვრდა, ეს პირველი სიტყვა — მეკატ! მკაცრად გაისმა დარბაზში და იმ კაცმაც, გორილას რომ ჰგავდა, თავისი იარაღი მაშინვე ძირს დაუშვა. კადილა მთელი ხუთი წუთი ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა იმ ენაზე, რომელზეც დღემდე არაფერი მოესმინათ ნუგზარსა და ვალერის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ალბათ კარგად ესმოდა იმ კაცს, გორილას ალალ ბიძაშვილად რომ ერგებოდა.

ეს კაცი კი იდგა. თვალებში ელვარება ჩაქრობოდა, იდგა ცეცხლგანელებული და ზიზღით შეჰყურებდა ტყვეებს.

ბოლოს კადილამ დაამთავრა თავისი ნოტაცია, რომელიც ძალზე გრძელი ეჩვენა ნუგზარს. ბატისკაფელებისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე შეწყდა მისი ხმა. გორილამ უკან დაიხია, კედელს შეეხო თუ არა, კარი გაიღო და იგი მეორე დარბაზში გაჩოჩდა. რამდენიმე წამს კარს აქეთ მისი ძალზე ყვითელი ხელი ჩანდა. მერე ისიც სოროში შემძვრალი გველივით კარს უკან გახოხდა და წითელ დარბაზში იდუმალი სიჩუმე დატოვა.

იმავ წუთს მეორე კედელთან კარი გაიღო. ნუგზარი ბიხვდა, რომ ახლა მათ ეპატიჟებოდნენ, წინ წავიდა. ვალერი მხოლოდ გასართობ ოთახში წამოეწია. ნუგზარი იდგა და მაგიდაზე დაგდებულ წიგნს დაჰყურებდა, როცა ვალერი მასთან მივიდა, ძალზე გაფითრებული ეჩვენა.

— სიტყვა არ წამოგცდეს, — თქვა და თავისი ოთახისაკენ წავიდა. შესვლისთანავე ტელეფონის აპარატთან მივიდა და ყურმილი ფრთხილად აიღო. ყურთან მიიტანა თუ არა, ქალის ხმა მოესმა. სთხოვა, კადილასთან დაეკავშირებინა.

კადილა თითქოს ელოდა მის გამოძახებას, მაშინვე გამოეხმაურა.

— თქვენ, ალბათ, აღშფოთებული ხართ. რაც მოხდა, ამაში მხოლოდ მეკატია დამნაშავე და ჩვენ მას დავსჯით. ამას გარდა, იგი ცუდად ლაპარაკობს თქვენს ენაზე და მთლად ზუსტად ვერ ალაგებდა აზრს. ასე რომ, მაინცდამაინც გამოუსწორებელი კურიოზი არ მომხდარა. გთხოვთ, დამშვიდდეთ და მოისვენოთ.

— მე მსურს ზოგიერთი რამ დავაზუსტო.

— აუცილებელია ახლა, ამ წუთში გავარკვიოთ ყველაფერი?

— სულ ერთია, მე მაინც აღარ დამეძინება.

— ნუგზარ, — წარმოთქვა განსაკუთრებული სითბოთი კადილამ, — თქვენ ცოტა ეგოისტი ბრძანებულხართ. გავიწყდებათ, რომ ქალიშვილს უტეხთ ძილს, რადგანაც ასე ძლიერ

გსურთ ამაღამ დააზუსტოთ, გისმენთ, მზად ვარ, დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა. ვფიქრობ, იმის ხედვა, ინც დამრთავთ, ერთი საათი მაინც დავიძინო.

ნუგზარი მოლბა.

— მაპატიეთ, მართალი გითხრათ, კარგად არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. მითხარით, გეთაყვა, რატომ არ გვაძლევთ საშუალებას, გავიხედოთ თქვენს ფანჯარაში, ერთხელ მოვახერხეთ და კინაღამ სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა.

— თქვენ გსურთ, რომ დააკვირდეთ წყალქვეშა სამყაროს, კი, ბატონო, არავინაც არ გიშლით. გასართობ ოთახში, შესასვლელიდან მარჯვენა კედლის კუთხეში არის მინიატურული წითელი ღილაკი. მისი მოძებნა დაავალეთ ვალერის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ საქმეს თავს მოაბამს. ჰოდა, როცა ამ ღილაკს იპოვით, ნუ დაიზარებთ ხელის შეხებას. კედელი გაიხსნება და ეს ოთახი, მართლაც მშვენიერი გასართობი იქნება თქვენთვის. მე უბრალოდ დამავიწყდა, ამეხსნა, თორემ არავისაც არ აუკრძალავს, შეიხედოთ წყლის სამყაროში. დარწმუნებული ვარ, პატივს სცემთ ოკეანეთს. გაქვთ კიდევ რაიმე გასარკვევი?

— დიდი მადლობა, საჩქარო არაფერია, დანარჩენი შემდეგ. დარწმუნებული ვარ, დიდხანს არ გაიყოლებთ იმ წყენას, რაც ასე დაგვიანებულმა ტელეფონის ზარმა მოგაყენათ.

— არა უშავს, ძილი ნებისა, ნუგზარ!

რაკი გასართობი ოთახის საიდუმლო შეიტყო, ნუგზარს სურდა, ჩქარა დაემთავრებინა კადილასთან საუბარი. ძლივს დაიოკა თავი, რომ მაშინვე არ წამოეგდო თბილი ლოგინიდან ვალერი, მაგრამ გრძნობები მოთოკა და გაუხდელად მიწვა. ისე მაგრად ჩაეძინა, რომ სისხამზე ვიტალიმ ძლივს გააღვიძა.

— რა გემართებათ, ბოლო დროს ძილის გუდა გახდით, — უთხრა მან, როცა როდის როდის ფეხზე დააყენა თავისი კაპიტანი.

ნუგზარმა თვალები მოიფშვნიტა და იკითხა, რომელი საათიაო?

— ექვსი, — უპასუხა ვიტალიმ.

—ცუდად მეძინა, მთელი ღამე სიზმრებს ვხედავდი, მხოლოდ დილით ჩამთვლიმა. კარგია, რომ გამაღვიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, რომ თქვენ და ვალერის ცუდად გძინავთ და ღამეს ტუალეტში ატარებთ.

ნუგზარი წამოდგა. სახე უღიმოდა.

— გამოგვიჭირე, თითი მომიკაჭვავს. შენც კარგი ფხიზელი ძილი გცოდნია. არა უშავს, ნასაუზმევს ყველაფერს შეიტყობთ.

ვიტალიმ თავი დაუქნია და დილის ორთა თათბირი ამით დასრულდა.

ნასაუზმევს, როცა გასართობ ოთახში დასხდნენ, ნუგზარმა ვალერის უთხრა: „აბა, იმ კედელზე წითელ ღილაკს თუ იპოვიო“.

ვალერიმ ისე შეხედა თავის კაპიტანს, თითქოსდა ეჭვი ეპარებოდა მის ნორმალურობაში. ნუგზარმა კი ხელი კვლავ გაიშვირა და გაიმეორა:

— აი, იმ კედლის კუთხეში იპოვე წითელი ღილაკი.

ვალერი მიხვდა, რომ რაღაც ისეთი ხდებოდა, რაზედაც მას წარმოდგენაც არ ჰქონდა. ადგა და ღილაკის ძებნას შეუდგა; დიდი დრო არ დაუკარგავს.

— ღილაკი ვიპოვე, როგორ მოვიქცე?

— თავად უკეთ იცი.

ვალერიმაც იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა და თითი შეახო პატარა ნემსურა ღილაკს. გაისმა ყრუ ტკაცუნი და თითქმის მთელი კედელი დაიძრა. ნელ-ნელა გამოჩნდა უზარმაზარი ფანჯარა.

ანდრომ, სანამ ფანჯარა ბოლომდე გაიხსნებოდა, ოთხჯერ მაინც დააფახულა წამწამები. მერე ვიტალის შეხედა და, როცა მის თვალებშიც ასეთივე გაოცება ამოიკითხა, ხელები მუხლისთავებზე დაიტყაპუნა. მერე სავარძლიდან წამოვარდა და სქელ მინას, ადამიანთა სადგომს ოკეანისაგან რომ ყოფდა, ხელით შეეხო.

— ეს რა ხდება, ხალხო! — შეჰყვირა მან და მზერა ნუგზარზე გადაიტანა.

არანაკლებ გაოცებული გახლდათ ვალერი. თავისთავისთვის ვერ ეპატიებინა ის, რომ ნუგზარმა მიაგნო გასართობი ოთახის საიდუმლოს, ამასობაში ფანჯრის საფარი მთლად ჩაჯდა ბუდეში და ნუგზარმა თავისი სავარძელი მინისაკენ გააჩოჩა.

ვიტალი ადგა, უკანასკნელი ღერი სიგარეტი დამრჩა და სწორედ ახლა უნდა მოვწიოო. სანამ სიგარეტის ბოლებით თავის ადგილზე დასკუპდებოდა, ხმა არავის გაუღიაბიბლიოთეკა

— ესე იგი, ჩვენ წყალქვეშ ვცხოვრობთ, — თქვა ვიტალიმ.

— დიახ, — დაეთანხმა მაშინვე ნუგზარი, — რომელიღაც მეტად განვითარებული ქვეყნის წყალქვეშა პოლიგონზე. ამ შენობის შემქმნელებმა კარგად გაიანგარიშეს ყველაფერი: წნევა, ჰაერი, და ვენტილიაცია, საშენი მასალის სიმყარე და გამძლეობა, აგრეთვე ესთეტიკური მხარე და შენობაც, როგორც ხედავთ, უზადოა.

ყველას გახსოვთ მარსელი ორის ტრაგედია, როცა ადამიანთა მიერ პირველად შექმნილმა წყალქვეშა ქალაქმა ველარ გაუძლო ზღვის დაწოლას და რამდენიმე საათში ჩაიქცა.

— ეს საქმე საფრანგეთს ათას ორასი კაცის სიცოცხლედ დაუჯდა, — თქვა ვიტალიმ.

— უფრო მეტად კი კაცობრიობა დაზარალდა. მარსელი ორის ტრაგედიამ, სულ ცოტა, საუკუნის მეოთხედით გადაიწია ოკეანეზე გენერალური შეტევა. მას შემდეგ დამფრთხალი ხალხი გაექცა „ბოროტ ზღვას“, შეაჩვენეს მეცნიერები, ჯვარს აცვეს კუსტო და ყველა ის, ვინც ოკეანეზე შემტევ გვარდიას სარდლობდა.

ადამიანებმა იციან, რომ ცოტას ცოცხლობენ და ტკივილებსაც მალე ივიწყებენ. აი, მოვიდა ახალი თაობა და მეორე ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ოკეანეს. ჩვენ გვეგონა, რომ არცთუ ისე ახლოს ვიყავით მექასთან, მაგრამ ამ სახლით თუ ვიანგარიშებთ, სადაც უკვე რამდენიმე დღეა, ვცხოვრობთ, მუსულმანთა წმინდა სალოცავი ძალზე ახლოს ყოფილა. ისე გავატარეთ ეს დღეები, აზრადაც არ მოგვსვლია, თუ ოკეანის ფსკერზე ვცხოვრობდით. ვინც უნდა იყოს ამ პოლიგონის მეპატრონე, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ აღტაცება შეგვიძლია გამოვთქვათ, ხელები და ნიჭი დავულოცოთ იმ ყოჩაღ ბიჭებს, ამ დიდებულ საქმეს თავი რომ დაადგეს.

ყველა ყურადღებით უსმენდა მეთაურს. ნუგზარი კი ლაპარაკობდა სვენებ-სვენებით, ოდნავ აღგზნებული, შუბლი გა-

ხსნოდა და მთელი სახე აღტაცებასა და სიხარულს გამოხატავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ კი, როგორც ეკრანზე, ჩანდა ოკეანის ფსკერი. სწორედ ფანჯრის წინ იწყებოდა ლამაზი ხეივანი. დიდრონი, ტოტებგაფოთლილი ხეები, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ. ხეთა ეს ლამაზი მწკრივი ძალიან შორს მიდიოდა.

ხეივნის სავალ გზაზე ასფალტის სქელი ფენა ეგო. ასფალტის ზონა ხეების მწკრივებისაგან ტროტუარით იყო გამოყოფილი. ხეივანი შესანიშნავად იყო გაშუქებული. ერთმანეთზე გადაბმული შუქის ფართო სვეტები პირდაპირ ტროტუარიდან იჭრებოდა წყლის სივრცეში.

ფანჯრის წინ წყალმცენარეთა ნაირფერი ბუჩქები ჩანდა. ყველა სხვადასხვა ფერად ყვაოდა. იყო ნეკერჩხალივით წითელი, იელის ყვავილისფერი, მწვანე, ღია ლურჯი... ფერთა ეს სიუხვე მომხიბვლელს ხდიდა შენობის მისასვლელს. ერთ ბუჩქზე მოზრდილი ომარი შემოსკუპებულიყო და თავისი ბასრი მაკრატლით ყვავილნარს უსინდისოდ პარსავდა.

ანდრომ მუჭი მაგრა დაჭკრა მინას. მეგობრებმა ჯერ შიშით შეხედეს მინასაც და ანდროსაც, მერე გაეცინათ უნებლიე შიშზე და ისევ ოკეანეს გახედეს.

მსუნაგმა ომარმა ოთახში შემოიხედა. ოთხი წყვილი ანთებული თვალი რომ დაინახა, ცაცები დაუშვა და ბუჩქნარებს შორის მოცოცხა. იქ კიდევ ერთი საწყალი ლანგუსტი დააფრთხო. ლანგუსტმა ბეცი თვალებით გამოიჭყიტა და როცა გულის გასახარელი ვერაფერი შენიშნა, იმწამსვე გაქრა.

— აქ ადამიანის მარჯვე ხელი მუშაობს. ყველაფერში წესრიგი და პუნქტუალობა იგრძნობა, — თქვა ვიტალიმ.

— და კიდევ დიდი ნიჭი და საქმის ცოდნა, — დაუმატა ნუგზარმა.

— მე კი, მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ დაარქვეს ამ ოთახს გასართობი. დღემდე ეს ყველაზე მელანქოლიური იყო, დღეის შემდეგ კი...

ვალერი იდაყვით ბოტკინის წიგნს დაყრდნობოდა, მუხლები სავარძელზე დაეწყო, მთელი სხეულით წინ გადახრილიყო და ისე მისჩერებოდა ოკეანეს.

— საინტერესოა ამ ხეივნის დანიშნულება, ტროტუარიც კი არ გამორჩენიათ — თქვა ვიტალიმ.

— ალბათ იმიტომაცაა, უფრო იმისათვის ააშენებდნენ, რომ ადამიანებმა იფიქრონ, თითქოსდა მშობლიური ქალაქის ქუჩებში დააბიჯებდნენ. სწორი გადაწყვეტაა.

ნუგზარმა სავარძელი ისევ მაგიდასთან მოაჩოჩა.

— ვალერი, წიგნი უკვე გვერდზე გადადე?

— ასე გამოდის, ამ სამყაროსათვის თვალი ვერ მომიშორებია.

ვალერის კიდევ სურდა რაღაც ეთქვა. ეს რაღაც, ალბათ, იმ საიდუმლოს შეეხებოდა, რომელიც წუხელ ამოხსნეს მან და ნუგზარმა. ნუგზარი ალღოთი მიხვდა, თვალი ჩაუკრა. ვალერი ვინმე ბაიყუში არ გახლდათ და ყველაფერი გაიგო. გაიცინა: გავაგრძელებო, ჩაილაპარაკა, მარცხენა იდაყვს ქვეშიდან წიგნი გამოაცოცა, მერე სავარძელში მოკალათდა და მაშინვე კითხვას შეუდგა. ნუგზარმა შეაწყვეტინა;

— ვალერი, დახურე ეკრანი! ახლა გვეყოფა, საღამოს კიდევ გავიხედოთ ოკეანის ქვეშეთში.

ვალერიმ ეკრანი დახურა და ისევ წიგნს მიუბრუნდა.

ნუგზარმა ანდროს შეხედა.

— ბანქო სად წაიღე?

— ბანქო მერე ვითამაშოთ, ახლა მინდა ცოტა გავერკვე, რა მოხდა.

— ყველაფერი გარკვეულია, ძვირფასო, ბანქო მოიტანე.

ანდროს ადგომა ეზარებოდა, ფეხს ითრევდა.

— გაიგე რაც გითხარი? გვათხოვე ბანქო. შენ თუ არ გსურს, ჩვენ ვითამაშებთ.

— ახლავე მოვიტან, — ანდრო ადგა, რაღაც ჩაიბუზღუნა და გავიდა.

ბანქოს ქაღალდის სათამაშოდ მაინც დაჯდა მაგიდასთან. უხალისოდ, მარცხენა ფეხის მუხლი მაგიდას მიაჭირა.

— მე მაინც ვერ გამიგია, სად ვართ, რა ხდება?

ნუგზარი გვერდით იჯდა, არ გასჭირვებია ანდროსათვის მსუქან ტუჩებზე საჩვენებელი თითი დაედო.

— სადაცა ვართ, დაახლოებით ვთქვით.

ბანქო გაატკაცუნა და გაბოშვილს წინ დაუდო.

— გასჭერი.

— აუცილებელია მე გავჭრა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ, ბოცმანი გამოიძახე ზემოდან.

ნუგზარმა ჭერში აიხედა. ანდრომ კი ბანქო მაინც გაჭრა. ნუგზარმა დაარიგა. გაბოშვილი ორჯერ ზედიზედ დარჩა „დურაკად“. აბუზღუნდა, ყველას ჩემთვის მოგიცლიათო და ასევე ბუზღუნით გასართობი ოთახიდან გავიდა.

ვიტალი ბანქოს ალაგებდა და მისი გასვლა გამოეპარა, როცა თავი ასწია, ანდრო ვერ დაინახა და იკითხა: სად წავიდაო?

ვალერიმ წიგნი მუხლისთავებზე დაიდო და გაოცებულ ვიტალის შეხედა.

კეიპტაუნის გენერალური პროკურორის უწყება მიიღო და ვიზიტად გაემგზავრა. დალოცვილო, შაშვის გალიაში ვართ გამომწყვდეული და სად უნდა წასულიყო, თუ უჩინმაჩინის ქუდი ხურავს?

ხელი ჩაიქნია, მერე ისევ წიგნი აიღო და კითხვა განაგრძო.

საღამოს ცხრა საათზე ეკრანი ისევ გახსნეს. იგივე სურათი, არაფერი შეცვლილიყო, არც მომატებოდა და არც მოკლებოდა. ხეივნის ორთავ მხარეს იდგნენ მაღალი ლამაზი ხეები. წინანდებურად შუქი იღვრებოდა ტროტუარიდან. იქვე, ფართო მინის წინ, ლამაზი ყვავილების ბუჩქები კოპწიაობდნენ. ონავარი ლანგუსტი და ომარი კვლავინდებურად ცელქობდნენ ბუჩქების ძირში. მოშორებით კი ჩანდა სამსართულიანი სახლის სულ ზედა განათებული სართული.

ათ საათზე ელექტროდენის ძაბვა ჩვეულებრივად დავარდა და ვალერიმ იხუმრა, „ლამპას დაუწიესო“. ცოტა ხნის შემდეგ ისიც დაუმატა: არც თუ ისე ჯენტლმენურად იქცევიანო, ჩვენ არას გვკითხავენ, გვსურს თუ არა სიბნელეში ვისხდეთო. სათქმელი ბოლომდე არც ამოეღერღა, რომ ოთახში შუქი სულ ჩაქრა.

„ესეც თქვენაო“, ადგა და სულ წავიდა. ანდრომ ძლივს იპოვა ის ნემსურა ღილაკი და თითი დააჭირა, ეკრანი რომ დაიხურა, ყველამ თავის ოთახს მიაშურა.

მაგრამ დილით, როცა კვლავ გაიხედეს ამ წყალქვეშა ფანჯარაში, ვალერის რაღაც საოცრად ნაღვლიანი, სასოწარკვეთილი შეძახილი აღმოხდა. ვიტალი რა ხანია ამ კაცს იცნობდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ მის გაწლიკვულ ყელს ასეთი ნოტების აღება შეეძლო.

— შეხედეთ, იქ მკვდარი ბავშვი გდია. რა საშინელებაა. ხალხნო შეხედეთ!

შართლაც, ნეკერჩხალივით ჩახჩახა ორ ბუჩქზე ბავშვის პატარა სხეული ეგდო. მინიდან მხოლოდ მის ზურგს, კეფას და გაყვითლებული ფეხის მრგვალ ქუსლებს ხედავდნენ. ამ საცოდავი არსების დანარჩენი ნაწილი ფანჯრიდან არ ჩანდა.

— საშინელებაა, — ჩაილაპარაკა ვიტალიმ და სწორედ ამ დროს ეს „საშინელება“ შეინძრა. ჯერ ფეხი გამართა, მერე ფანჯრისაკენ გადმობრუნდა და მისი პატარა, ბავშვური გულუბრყვილო სახეც გამოჩნდა. თვალები გაახილა და ოთხი თვალებდაჭყეტილი ძია რომ დაინახა, გაიცინა. ძალიან თეთრი კიჭები გამოაჩინა. მერე ბუჩქიდან ჩამობრძანებაც ინება და ხელიც დაიქნია. ყოველივე ეს ერთ წუთში მოხდა. ბიჭმა მკვირცხლად გაიქნია ფეხები, წყალი აამღვრია, თვითონ კი, ისე გაქრა, მის ასავალ-დასავალს ვერაფერი გაუგეს.

— ეს რა იყო? — ყველაზე ადრე ანდრო მოეგო გონს, — ხომ ნამდვილად ბიჭი იყო, თუ მომეჩვენა.

— ნამდვილად, — უთხრა ვიტალიმ.

ნუგზარი კი მაგიდაზე გადახრილიყო, ორივე ხელის თითები მაგიდაზე გაეშალა და მაგრად დაყრდნობოდა.

— ადამიანი-ამფიბია!

— რასაკვირველია, — მაშინვე დაეთანხმა ვიტალი.

ნუგზარი წელში გასწორდა.

ვიცოდი, რომ წყალში ცხოვრების პირობების შესაგუებლად ბევრ ადამიანს გაუკეთდა ოპერაცია. მაგრამ დღემდე არავის უცდია, ბავშვისათვის გამოეტანოს ასეთი მკაცრი განაჩენი. ეს საცოდავი, პირველი ბავშვია მსოფლიოში, რომელსაც არ უწერია, ისუნთქოს ხმელეთის ჰაერით.

— შეიძლება პირველიც არაა, სადაც ეს ერთი დაცურავს ჩვენს ცხვირწინ, რატომ არ შეიძლება ათობით მაგისი და ძმა არ ცხოვრობდეს ამ დაწყევლილ პოლიგონზე.

ვალერიმ წიგნი დახურა, იქვე მაგიდაზე დააგდო და სწრაფად გავიდა. ამ საოცარი ფანჯრის მიკეტვა კი ისევ ანდროს მოუწია.

— დიახ, მართლაცდა საფიქრებელია, რომ ამ პოლიგონზე ბევრი ადამიანი-ამფიბია მუშაობს. რადგანაც საქმე ბავშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდე მისულა, ჩვენ შეგვიძლია, ეს დასკვნა თამამად გავაკეთოთ. დამარცვლა ნუგზარმა, სავარძელში ჩაჯდა და მაგიდისაკენ მიაჩოჩა.

— დიახ, — გამოცრა კბილებიდან ვიტალიმ.

და სწორედ ამ დროს გაისმა ქალის ხმა:

— ხომ არ მოიწყინეთ, მეგობრებო? მაპატიეთ, რომ თითქმის დღენახევარი მიგატოვეთ. უნდა დამიჯეროთ, რომ ეს მოხდა საპატიო მიზეზით.

— მოწყენისა რა მოგახსენოთ, რაც რომ ცხვირის გასაყოფს მივაგენით, გავერთეთ კიდეც. — ამოღერღა ანდრომ და იმ წუთში სიტყვა ნუგზარმა ჩამოართვა.

—ანდრო სწორს მოგახსენებთ, რაც ამ ფანჯარაში გახედვის ნება დაგვრთეთ, მოწყენისათვის დრო აღარ გვრჩება. არ შემიძლია აღტაცება არ გამოვთქვა იმის გამო, რასაც აქ ვხედავთ. ეს მეცნიერების დიდი ტრიუმფია. თქვენ ძალიან ბევრი რამ გაგიკეთებიათ წყალქვეშა სამყაროს ათვისების საქმეში და გულწრფელად რომ გითხრათ, მშურს კიდეც. თავად ოკეანის ფსკერის ათვისების ერთ-ერთი დაუდეგარი ეხთუზიასტი გახლავართ, ბარაქალა თქვენ!

— გთხოვთ გაიმეოროთ ბოლო წინადადება.

— ოკეანის ფსკერის ათვისების დაუდეგარი ენთუზიასტი გახლავართ.

ვიღაცამ გაიცინა.

— პატივს ვცემთ თქვენს დაუდეგრობას და ენთუზიაზმს. დიახ, ჩვენ ამ საქმეში გვაქვს გარკვეული მიღწევები, ამაზე ლაპარაკი ახლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მეცა და ჩემი მეგობრებიც აღგვაშფოთა ერთმა ფაქტმა.

— სახელდობრ?

— სახელდობრ იმან, რომ თქვენ პატარა ბავშვებიც კი გიქცევიათ ამფიბიად.

— შეიძლება უფრო გასაგებად მითხრათ.

— ჩვენ დავინახეთ ბავშვი, რომელიც თევზივით დაცურავდა ფსკერზე.

— თქვენ დაინახეთ ბავშვი?...

ქალის ხმამ სიბრაზე ვეღარ დაფარა და ნუგზარმა მაშინვე დაასკვნა რომ ის, რაც რამდენიმე წუთის წინ მათ ფანჯარა-

თან მოხდა, მასპინძელთა საჩვენებელ პროგრამაში არ შედიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ, ბევრი ასეთი ოკეანესთან სამუდამოდ მიჯაჭვული ადამიანი ემსახურება თქვენს გრანდიოზულ წყალქვეშა კომპლექსს.

— რასაკვირველია, — მაშინვე დაეთანხმა ქალი და იკითხა:

— განა თქვენს ქვეყანაში არ აკეთებენ სასუნთქი ორგანოების ფუნქციერებას?

— ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ თქვენ კარგად იქნებით ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ სად ჩაატარეს ასეთი ოპერაციები. ჩვენი ქვეყანა წინააღმდეგია ასეთი ბარბაროსობისა.

— ჩვენ ეს არ მიგვაჩნია, ბარბაროსობად, პირიქით, ამით ვაჩქარებთ ცივილიზაციის პროცესს. ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში ბევრი ადამიანი-ამფიბია, როგორც თქვენ უწოდებთ წყალქვეშა ადამიანებს, მუშაობს. ფილტვების ფუნქციერების ოპერაციებს ბევრი სხვა ქვეყანაც აკეთებს.

— ეგ ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ჯერჯერობით არავის შეუბედავს, ბავშვზე ჩაეტარებინა ეს მძიმე ცდა.

— სამაგიეროდ თქვენი პრესა ხომ წერს: „დადგება დრო, როცა ჩვენი შთამომავლობა საცხოვრებლად გადაინაცვლებს ოკეანის ფსკერზე. დაიბადება ადამიანი ზღვის ქვეშ, იქ გაახელს თვალს, გაიზრდება, დავაჟკაცდება და არასოდეს გაუჩნდება სურვილი იცხოვროს მზის სხივების ქვეშ“.

— თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რასაც გულისხმობენ ამ პროგრამაში ჩვენი მეცნიერები?

— განმარტეთ, რას გულისხმობენ.

— ქალაქების გაშენებას ოკეანის ქვეშ. ისეთი ქალექების გაშენებას, სადაც იქნება ჟანგბადი, მზეცა და ყველა ის დანარჩენი ატრიბუტი, რაც ჩვენს დალოცვილ ხმელეთს უზომოდ აქვს.

ქალს იმ წუთში არ უპასუხია. დუმილში გავიდა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი წუთი. ბოლოს როდის-როდის გაისმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა „საინტერესოა“.

დიალოგი შეწყდა და იმ დღეს საერთოდ კადილას ხმა აღარ გაუგონიათ. მისი ხმა ვერც მეორე დღეს მოისმინეს. ნუგ-

ზარმა. სცადა ტელეფონით მოეძებნა, მაგრამ ვიღაცამ საკატ-
ლეტე ხორცივით დაკეპილი ქართულით უთხრა, რომ კადილას ამჟამად ვერ დააკავშირებდა. შემდეგ რამდენი არ ექაქანა ნუგზარი, ქვესადგურში მჯდარი ის რობოტადქცეული ქალი, მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

მოთენთილი მიეგდო საწოლზე. თავი ბალიშზე მიდო თუ არა, შვება იგრძნო. ბალიშიც უფრო ფაფუკი ეჩვენა, ლეიბიც უფრო მოთელილი. საბანი ნიკაპამდე აითრია. ფიქრები სკასავით აეშალა.

„კადილა დუმს... თქმა არ უნდა, რაღაც ხდება... შეიძლება იქ, ზევით, გაცხარდა დიპლომატიური ომი. ნოტა მიდის და მოდის.. ელჩები ხვდებიან საგარეო საქმეთა მინისტრებს...

კადილას ჟღურტულა ხმა არ ისმის... ცხადია, რაღაც ხდება. როგორც ჩანს, არც ისე ბევრმა იცის აქ ჩემი მშობლიური ენა. თორემ ამ პერიოდში რომელიმე მოქართულე ზრდილობისათვის მაინც მოგვიგდებდა ორიოდე ქათინაურს.

ოთახში სანახევროდ ბნელოდა. იგი უკვე შეეგუა ასეთ მბჟუტავ სინათლეზე ძილს. კაცმა რომ თქვას, ამაში ცუდსაც ვერაფერს ხედავდა. პირიქით, თითქოს უფრო ამშვიდებდა ეს მკრთალი სილურჯე. კედლებიც რაღაც ბაცი ხდებოდა, თითქოსდა ოთახიც განიერდებოდა და ნამცეციც აღარ რჩებოდა იმ განწყობისა, რომ ზღვის ფსკერზე დადგმულ სახლში ეძინა. იმ სახლში ეძინა, სადაც მრიცხველი ითვლიდა პურსაც, წყალსაც, მოძრაობასაც. ჰაერსაც, საცხოვრებელ ფართსაც და კიდევ ათას წვრილმანს.

ის უკვე თვლემდა... ძილის წინა ზმანებას იმ მაცდურ ბურანამდე მიეყვანა, როცა საგნებსა და მოვლენებს მხედველობა ვეღარ აღიქვამს და ყველაფერი წარმოდგენაში გადადის. ამ დროს თითქოსდა სმენაც კარგავს თავის ფუნქციას, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ დერეფანში რაღაც გაფაჩუნდა. ეს თითქმის შეუმჩნეველი ხმაური, რაც მისმა მახვილმა სმენამ აღიქვა, გამაღიზიანებელ იმპულსად მოევლინა და ისევ სიცხადისაკენ შემოაბრუნა. ბალიშზე თავი შეიმაღლა, თანაც ისე გაიქნია, თითქოს სურდა ფიქრები გაეფანტა. თვალი ერთი წამით რომ დააჭყიტა და ღრმა ბურანიდან ცოტა გამოერკვა, ყველაფერი ისევ მბჟუტავ სილურჯეში შთანთქმული იხილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები კვლავ მილულა. ნებიერად გადაწვა დაბრუ. თითქოს კიდევ რაღაც გაფაჩუნდა. ახლა იქ, დერეფანში, კი არა, არამედ სულ ახლოს, მისი საწოლის ახლოს.

ეს გრძნობა უკვე კარგა ხანია აწვალებდა. თითქმის იმ დღიდან, რაც ამ საიდუმლო სახლში ფეხი შემოდგა. ფიქრობდა, რომ უთვალთვალებდნენ. უთვალთვალებდნენ, როცა ოქროს ჩანგლით ვეშაპის კარგად შებრაწულ თირკმლებს მიირთმევდა, უთვალთვალებდნენ, როცა გრძელ მაგარ მასიურ მაგიდასთან იჯდა და ბანქოს თამაშობდა, როცა იწვა და ისვენებდა და მაშინაც კი, როცა ტუალეტში მიდიოდა.

ღამით კი, საწოლ ოთახში შევიდოდა თუ არა, სწამდა, რომ მისი მთელი ცხოვრება ტელეკამერის წინ მიმდინარეობდა.

საამო ბურანში ჩაიძირა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. დილამდე ისე ეძინა, ფეხიც არ გაუნძრევია. დილით წამოდგა თუ არა, პირველად ტუმბაზზე თითქოსდა უდიერად დაგდებული ქაღალდი შენიშნა.

მაშინვე აიღო. თეთრი ქათქათა პრიალა ქაღალდი ოთხად იყო გაკეცილი. გაშალა თუ არა, ჯარისკაცებივით ერთ სწორ ხაზზე ჩარიგებულმა ლამაზმა ასოებმა შემოაჭყიტა.

„ნ უ გ ზ ა რ!

ნუ გამიჯავრდებით, მე ხვალ დაგელაპარაკებით.

კ ა დ ი ლ ა“.

ქაღალდი აიღო, ისევ დაკეცა და ხალათის ჯიბეში, საიდანაც კარგად წამახული ფანქრის წვერი მოუჩანდა, იქ ჩაიდო.

წერილის ძალზე შინაურულმა ტონმა გააოცა. იფიქრა, იგი მეგობრებთანაც გამოეჩინა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, უფრო სწორად, ვერ გაბედა. ასე ძველი მეგობრები წერენ ერთმანეთსო...

ოთახში გაიარა ახლა, ამ წუთში ძლიერ მოუნდა კადილას ხმის გაგონება. ესმოდეს მხოლოდ კადილას ხმა. ყვებოდეს, თუ როგორ ჩამოაღწიეს მამაცმა ადამიანებმა შვიდასი მეტრის სიღრმეზე, ააშენეს პირველ ქალაქი ოკეანეში, გაჭრეს ქუჩები, დადგეს სახლები, გახსნეს ლაბორატორიები.

ძლიერ მოუნდა კადილას ხმის გაგონება, ისე, როგორც წყურვილი შეგაწუხებს, შიმშილი გაგაგიჟებს..

ბოლთას ცემდა. ანდრო რომ შემოვიდა, არც ესიამოვნა. მარტო ყოფნა სურდა.

— იგვიანებთ, ამხანაგო ნუგზარ, ჩვენ უკვე ვვარჯიშობთ.

საათს დახედა და სახეზე წამოწითლდა.

— მოვდივარ.

გასართობ ოთახში ნუგზარს კიდევ ორი გაოცებული კაცი დახვდა.

— ალბათ, ცუდად გეძინათ და ადრე ვერ ადექით? — თანაგრძნობით შენიშნა ვიტალიმ.

გამთენიისას ჩამეძინა. ის-ის იყო ფეხზე წამოვდექი და ანდროც გამომეცხადა.

— მეც ცუდად მძინავს ბოლო დროს, — თქვა ვალერიმ.

— თუ მალე არ დაგვადგა საშველი, ალბათ წერილს წავიღებ... თითქოს სული მეხუთება ამ ცივ, გველის კანივით პრიალა კედლებში. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა.

ნუგზარმა მკაცრად შეხედა.

— ჩვენ წუწუნისათვის არ გვცალია.

— დავიწყოთ ვარჯიში! — ეს უკვე ვიტალის რბილი ჟღერადი ხმა იყო.

ნოყიერი საუზმის შემდეგ ვალერიმ ჩვეულებრივად გახსნა ეკრანი. ეკრანს იქით შავი წყვდიადი იწვა. ამ კუნაპეტ ღამეში აღარ ჩანდა არც ის ხეივანი და სამსართულიანი სახლის განათებული ფანჯრები, აღარც ყვავილნარი და კარგად გამოკვეთილი ტროტუარი. იყო მხოლოდ ერთფეროვანი შავი ფონი და შემაზრზენი გახლდათ იმის შეგრძნება, რომ ოკეანის მძიმე წყალს ეს ხუხულა თვალის დახამხამებაში ასანთის კოლოფივით შეეძლო გაესრისა. ახლა, ამ წუთში, ყველაზე ნათლად იგრძნეს, თუ რა ვერაგი ზვიგენის ხახაში ჰქონდათ გაძომწყვდეული ადამიანის სუფთა, უმწეო ხელი.

ამიტომ, როცა ვალერიმ ეს ჯოჯოხეთის ფანჯარა ჩქარა მიხურა, პროტესტი არც ერთს განუცხადებია. პირიქით, შვებით ამოისუნთქეს. ვიტალიმ სცადა მძიმე შთაბეჭდილების გაფანტვა და ხმადაბლა თქვა: ბანქო ვითამაშოთო, მაგრამ სურვილი არავის გამოუთქვამს, ანდრომ კი ჩაილაპარაკა: პოლიგონზე რაღაც მოხდაო...

ეს რაღაც ვალერის არ მოეწონა და ნუგზართან მივიდა.

— რას ფიქრობთ? თქვენ სიტყვას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს.

ნუგზარმა ახლა მშვიდი სახე მიიღო, სავარძელზე უდიერად გადაწვა და დამარცვლით თქვა:

— ანდრო ალბათ მართალია, პოლიგონზე მართლაცდა რაღაც მოხდა. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ეს ჩვენთვის ცუდს ნიშნავდეს. პირიქით, ვფიქრობ, რომ მდგომარეობა ნელ-ნელა ჩვენ სასარგებლოდ იცვლება. ამაში ეჭვი არ მეპარება და რასაც ახლა მოგახსენებთ, გულით ვამბობ. არ იფიქროთ, თქვენი დამშვიდება მსურდეს.

ვალერის გუნება ნელ-ნელა გაეხსნა. ხელი მაგიდაზე დაჭკრა და მხიარულად დაიძახა:

— ანდრო, მოგვართვი ბანქო, ახლა კი ღირს თამაში.

სადილის შემდეგ ისევ გახსნეს ფანჯარა და ისევ წყვდიადში გახვეული ოკეანეთი გამოჩნდა. ეს სურათი არც საღამოთი შეცვლილა და არც ღამით. დიახ, ღამით ვალერიმ ბარე სამჯერ შეამოწმა, მაგრამ ისევ წყვდიადი იდგა. დილით კი, სხვა სურათი გახლდათ, ისევ გამოჩნდა მძლავრი პროჟექტორებით გაშუქებული ოკეანის ფსკერი.

— აი, ეს მესმის, ახლა სულ სხვა სურათია, გაუმარჯოს სინათლეს! — აღტაცება ვეღარ დაფარა ვალერიმ. ისე ახლოს მივიდა ფანჯრის მინასთან, რომ თავისი ფერმკრთალი ცხვირი ზედ მიაჭყლიტა.

ვალერის აღტაცება ყველას გადაედო. ეს მოწყენილი, ცოტა მელანქოლიური ადამიანები ერთბაშად შეიცვალნენ. ეკრანს ისეთი აღტაცებით მისჩერებოდნენ, თითქოსდა ოკეანეს მხოლოდ ახლა, ამ წუთებში გაეხსნას თავისი ჩახვეული გული.

პროჟექტორებით გაჩახჩახებულ ხეივანში სიგარისმაგვარი რაღაც გრძელი სხეული რომ გამოჩნდა, სულ პირველად ვალერიმ შეამჩნია.

— ხედავთ? ზვიგენი მოცურავს, — დაიძახა მან.

ანდრომ იკითხა: ზვიგენს სად ხედავო?

ხეივნის ბოლოშიო, მიუგდო ვალერიმ და ახლა გლუვსა და ცივ მინას თითქმის ზედ აეწება.

ის სხეული კი მოცურავდა და მოცურავდა, თითქოს მიზ-

ნად დაესახოს, სწორედ იმ ფანჯარას მისდგომოდა, საიდანაც ახლა ოთხი წყვილი ცნობისმოყვარე თვალი იჭყიტებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლაც ზვიგენია, — დაეთანხმა ვალერის ანდროც.

ამასობაში ზვიგენმა გამოვლო მთელი ხეივანი, იმ პატარა მოედანს მოადგა, რომელიც ყვავილნარსა და ხეივანს ყოფდა და მაშინვე მარჯვნივ შებრუნდა. სანამ ამ მანევრს მოასწრებდა, ვალერიმ უკვე შეცვალა თავისი აზრი, თქვა, ზვიგენი კი არა, წყალქვეშა ავტომობილიაო. საოცარი ის იყო, ავტომობილი ღია გახლდათ, შიგ ოთხი პიროვნება არხეინად წამოჭიმულიყო და კამათობდნენ.

მათ მხოლოდ შარვლები ეცვათ. თუ რა ფერისა იყო ეს შარვლები, ის კი ვეღარ გაარკვიეს, მაგრამ ახლა ეს მოკლე შარვლები ყავისფერი იქნებოდა თუ ლურჯი, ანდა შავი, მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მანქანა როცა მარჯვნივ უხვევდა, ოთხივემ თავი ფანჯრისაკენ შემოაბრუნა, ერთ წუთს თვალი შეავლეს ბატისკაფელებს და გზა ისე განაგრძეს, თითქოს ისინი საერთოდ არც კი შეემჩნიოთ.

მინის უკან მყოფნი როცა გონს მოეგენ, მანქანა უკვე სამსართულიანი შენობისაკენ მიდიოდა და უკან გრძელ თეთრ ხაზს ტოვებდა.

— ესეც თქვენი ამიტები. ნეტავი ვინ ოხრები არიან? — გაბრაზება ვეღარ დაფარა გაბოშვილმა.—ისე გაგვიარეს, თითქოსდა ჭიანჭველები შეყროდნენ.

ნუგზარი ფანჯარას მოშორდა, მაგიდასთან მივიდა, როცა სავარძელში ხმაურით ჩაეშვა, მხოლოდ მაშინ გამოცრა კბილებში:

— საოცარია, წნევაგამძლე კოსტიუმების გარეშე, როგორ დაცურავენ. ეს პირდაპირ დაუჯერებელია. ნუთუ საკუთარ კანთან ასე ჩინებულად შეხამებული კოსტიუმები აცვიათ, ბარაქალა, ესეც დიდი ხელოვნებაა.

ზუსტად თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მათ ცხვირწიხ ნეკერჩხლისფერი ბუჩქები შეირხა. ბუჩქები ისე მძლავრად გადაიწია, რომ ყველამ იფიქრა, საცაა, იქიდან გიგანტური ომარი ამოღოღდებაო. ომარისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩაჭარხლულ ტოტებს შორის ონავარი ბავშვის გულუბრყვილო სახე რომ გამოჩნდა, ყველამ შეჰყვირა.

ამ საკმაოდ გაბედულმა ორფეხმა თავის ასაკთან შედარებით გრძელი ფეხები სარეცხივით გადმოკიდა ბუჩქნარზე, ძლიერ დენილად დასკუპდა და მარჯვენა ხელით იმოდენა ომარი ამოაპორწიალა, რომ ვალერის კინაღამ გული შეუღონდა, იმ დაწყევლილმა თავისი ცაცებით მკლავი არ წააგლიჯოსო. მაგრამ არც ის ომარი გახლდათ მაინცდამაინც ამის შემძლე და არც ის ადამიანთა ნაშიერი ჰგავდა ახალბედას. სანამ მახეში გაბმული კიბორჩხალების არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი მრისხანე მარწუხებს ჰაერში ასავსავებდა, იმ ლაწირაკმა ისე შემოაფშვნა ორივე მაკრატელი, რომ ვალერი ბასილაია ამ საქმის უკეთესად შემსრულებელს ჩვენი პლანეტის ვერც ერთ კუთხეში ვერ დაიგულებდა.

მერე გამარჯვებულმა უცაცებოდ დარჩენილი ომარი ლაჯებს შორის მოიქცია და ნელ-ნელა შეუდგა დამარცხებულის ცაცების ფცქვნას. კბილებით გატეხდა ჯავშანს, მერე ეხის წვერით გამოათრევდა ძეხვივით წაგრძელებულ ქათქათა ხორცს და მაშინვე ყლაპავდა.

სანამ ცაცებს მიირთმევდა, ომარი კიდევ იბრძოდა, გაძრომას ცდილობდა, მაგრამ ისე საიმედოდ იყო მოქცეული ადამიანის ლაჯებში, რომ, ნურას უკაცრავად, თავის ხვედრს უხდა შერიგებოდა. ეს დალოცვილი სიცოცხლე ვის დაუთმია ასე იოლად და ისიც წვალობდა, სანამ ჯერი მის დანარჩენ ცაცებზეც არ მიდგა. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოხერხებულმა პაწიამ საუზმე მოათავა, ტუჩები ენით ძოილოკა და ზედ ფანჯარასთან მიცურდა. მინაზე აკრული ვალერი რომ შეამჩნია, ცოტა ზევით აცურდა და მის მიჭყლეტილ ცხვირს გარედან თავისი მიატოლა.

ვალერიმ გაუცინა და თვალი ჩაუკრა. ბიჭმაც ძველი ძმაკაცივით გაუღიმა, თვალიც ჩაუკრა. მერე თითქოს რაღაც მოესმაო, უკან მიიხედა და დამფრთხალმა ბუჩქნარში მოცოცხა. რამდენს არ ეცადნენ ოთახში მყოფნი, გაერკვიათ მისი ასე ანაზდად გაქცევის მიზეზი, მაინც ვერაფერს გახდნენ. იგი სადღაც გაუჩინარდა, ეს იყო და ეს. კიდევ დიდხანს ელოდხენ, მაგრამ აღარ გამოჩენილა.

— შეამჩნიეთ? მას ხელებზე აპკიანი ხელთათმანი ეცვა — თქვა ვალერიმ.

— არა მარტო ხელებზე, ფეხებზეც აპკიანი ხელთათმანი ჰქონდა შემოტმასნილი, — განაცხადა ვიტალიმ, — კარგად დავინახე, როგორ დაჰკრა მიწას ფეხის თითები და ზევით სწრაფად აიჭრა. ალბათ ის დიდი ხნის წინათ აქციეს ამფიბიად. ზღვაზე ახლადგაშვებული რომ იყოს, ასე სხარტ და ელასტიკურ მოძრაობებს ვერ გააკეთებდა. მერწმუნეთ, ეს კარგად ნაწრთობ სპორტსმენსაც კი გაუჭირდებოდა. მან კი ასე რთული ილეთი, ისე შეასრულა, თითქოსდა ადამიანის შვილი კი არა, თევზი ყოფილიყოს.

ვალერი თავის სავარძელში ჩაჯდა, ფეხები ნებიერად გაშალა.

— რაც გინდათ, ისა თქვით, ყოჩაღი ყრმაა. ისე მოხდენილად მუშაობდა, იფიქრებდით თითქოსდა ეს საქმე აკვნიდანვე ესწავლოს.

ვიტალი უეცრად წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— მგონი, ვიღუპები, ისე მაგრამ მომინდა მოწევა, რომ ლამისაა გავაფრინო. უკვე რამდენი დღეა ვითმენ, მაგრამ ასე ჯერ არ გამჭირვებია.

ვალერიმ ჩაიცინა.

— აქ თუ გააფრენ, საშიში არაა. აფრინე რამდენიც გნებავს. საქმე ისაა, მაგისთანა კეთილშობილურმა ხუშტურებმა იქ არ მოგიაროს.

ვალერიმ ხელი ოკეანისაკენ გაიშვირა.

— არა, ისე დიდი უსინდისობა კია, ამდენი ხანია, მათი ტუსაღები ვართ, ერთი ღერი სიგარეტიც კი არ შემოუთავაზებიათ, ამოვიდა ყელში შავი კარჩხანა... სიგარეტი მინდა, ისე მინდა, რომ სულს ვლევ.

— დავხურო ეკრანი? — იკითხა ვალერიმ.

ნუგზარი წამოდგა.

— დახურე!

სანამ დარაბა მთლად დაფარავდა სქელ მინას, ოთახში რაღაცამ დაიწკრიალა. ყველამ ყური ცქვიტა; რამდენიმე წუთში, როცა ყურადღება მაგრად დაიძაბა, კედილას ხმა გაისმა.

— გამარჯობათ, მეგობრებო!

— გაგიმარჯოთ, მეგობარო!

ყველას ვალერიმ დაასწრო მისალმება.

— მე ისევ თქვენთან ვარ. ისევ უნდა მაპატიოთ, გადაუდებელი საქმეების გამო წავედი ამიხოტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო, რა თქვა? კარგად ვერ გავიგონე, — ჩაიბურღღუნა ანდრომ.

— ამიხოტში გახლდით.

— იქნებ უფრო გასაგებად განგვიმარტოთ, რას ნიშნავს ამიხოტი? — თქვა ნუგზარმა და ყურადღება დაძაბა.

— ამიხოტი ჩვენი დედაქალაქია. სწორედ იქ გახლდით ეს დღეები გადაუდებელი საქმეების გამო. აქამდე ვერ მოვიცალე, სულ ახლახანს დავბრუნდი იქიდან.

— კადილა, — თქვა ნუგზარმა და მაშინვე ხმა გაებზარა.

— მე გთხოვთ, ნება მოგვცეთ შევხვდეთ ჩვენს ელჩს. თქვენ დაგვპირდით, რომ შეგვახვედრებდით თქვენი სახელმწიფოს ოფიციალურ პირს, ვხედავთ ეს შეუძლებელია, ამიტომ დაბეჯითებით მოვითხოვთ ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან შეხვედრას.

— სიამოვნებით დავაკმაყოფილებდით თქვენს თხოვნას, მაგრამ ეს შეუძლებელია.

— როგორ თუ შეუძლებელია? — ნუგზარმა ერთ წუთს დაივიწყა, რომ ქალიშვილს ელაპარაკებოდა.

— დიახ, ეს შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ, ამიტებს, ჯერჯერობით არამც თუ თქვენს ქვეყანასთან, არამედ არც ერთ ქვეყანასთან არ გაგვიცვლია ელჩები, არც დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს.

ნუგზარმა ენაზე მომდგარი სიტყვა ნერწყვთან ერთად გადაყლაპა, მეგობრებს შეხედა და დაბნეულობა რომ დაეფარა, ზედიზედ ჩაახველა.

— ჩვენ ამჯერად სრულებითაც არა ვართ ხუმრობისათვის განწყობილი.

— რასაკვირველია, ასევე ჩვენც. რაც მოგახსენეთ, უტყუარი ჭეშმარიტებაა.

— ბოლოს და ბოლოს ვინ ხართ თქვენ? — თითქმის დაიყვირა ნუგზარმა და მაშინვე ქალის ძალზე მშვიდმა, ჟღურტულა ხმამ უპასუხა:

— ამიტები, წყლის ადამიანები — თქვენ რომ ამფიბიას ეძახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი მეგობრებს და მათ გამოხედვაშიც იგივე ამოიკითხა, რასაც თვითონ განიცდიდა ამ შემთხვევაში.

პირველმა მღვრიე ტალღამ რომ გადაიარა და ბატისკაფელებიც ცოტა გონს მოეგნენ, ვალერიმ ჩაიქილიკა: ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ რაც გავიგე, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამიტების ქვეყანაში კი არა, ანგალ ბიჭებთან მოვხვდითო.

ნუგზარი კი სხვაგვარად ფიქრობდა, თითებს შორის იმ საცოდავ ბანქოს ატკაცუნებდა და ვალერის ყურს თითქმის არ უგდებდა. როცა ვალერიმ თავისი კრედო ჩააბულბულა და სავარძელზე არხეინად წამოიშოტა, ნუგზარმა მხოლოდ მაშინ დააგდო ბანქო მაგიდაზე და დამარცვლით დაიწყო:

— ვთქვათ, დაგიჯერეთ, ერთი რამ მაინც ვერ ამომიხსნია, რატომ ერიდებით ჩვენთან შეხვედრას. აი, რამდენი ხანია აქა ვართ და...

— გასაგებია, დღეს სადილის შემდეგ მე თქვენი სტუმარი ვიქნები. გაკმაყოფილებთ ეს პასუხი?

— უდაოდ.

— მაშ, მელოდეთ.

ვალერიმ თავისი სავარძელი ისევ უკან გააცურა. სავარძელშივე გასწორდა და მონუსხული მზერა ნუგზარისაკენ გაატარა.

ნუგზარს ხელში ისევ ბანქო ეკავა, ოღონდ თითებს შორის კი არ ატკაცუნებდა, ისე ჭრიდა, თითქოსდა ეს-ესაა, დარიგებას დაიწყებსო.

ვიტალის პირი დაეღო, ისიც ნუგზარს შეჰყურებდა.

ნუგზარმა კი ჯერ ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე საათს დახედა და ხმამაღლა თქვა:

— ელჩის მიღებამდე ორი საათი და ოცი წუთი დარჩა. მოიყვანეთ თქვენი თავი წესრიგში.

ხელი სამი დღის გაუპარსავ წვერზე მოისვა და ტუალეტისაკენ წავიდა. როცა მისი ფეხის ხმა სასადილო ოთახს იქით მიწყდა, ვალერიმ იკითხა: ეს ყველაფერი სიზმარში ხდება თუ ცხადიო“?

ანდრომ უთხრა: ახლა ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნა-

თელიაო, თუ შენ რაიმე არა გჯერა, ტუალეტში შედი — და მაგ ხოტორა თავზე წყალი გადაისხიო.

ვალერიმ დაუსტვინა. ვიტალიმ წყენით გახედა.

— ძვირფასო, მეზღვაური კაცი ხარ, სტვენა როგორ გეკადრება!

ვალერიმ ტუჩებზე თითი აიფარა.

— ამ ტიალმა კედლებმა ისეთი შთაბეჭდილება შემიქმნეს, თითქოსდა ოკეანის ფსკერზე კი არა, სადმე კაფეში ვიჯდე და კოქტეილს მივირთმევდე.

ანდრომ თქვა: წვერი მეც უნდა გავიპარსოო და გავიდა.

ვალერიმ ახლა ვიტალის შეხედა.

— ვთქვათ და ამიტების ელჩი მართლა გამოგვეცხადა, ჩვენ ასე ჯაგარმოდებული უნდა შევხვდეთ?

— მეც უნდა გავიპარსო.

— მეც გავიპარსავ.

სადილის შემდეგ ოთხივენი პირწმინდად წვერგაპარსული ისხდნენ გასართობ ოთახში. ვალერის ჩვეულებრივად თავისი სავარძელი უკან დაეწია, ფეხი ფეხზე გადაედო, მარჯვენა ხელი სავარძლისკენ დახრილ თავქვე ამოედო და ასე, ნახევრად მწოლარე, სანადიროდ გამოსულ მელიასავით გასუდრულიყო.

მისგან განსხვავებით, ნუგზარს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. იგი დაძაბული იჯდა და თუ რაიმე ოდნავ გაიხმაურებდა, მაშინვე ტოკავდა, მაგრამ ის ისე უჩუმრად და ანაზდად შემოვიდა, რომ ყველანი სახტად დარჩნენ.

მათ წინაშე იდგა ფერად, ვიწრო შარვალში გამოკვართული მაღალი, ახალგაზრდა ქალი. ფეხები ასევე ფერად ფოსტლებში ჰქონდა წადგმული. ძალზე შავი სწორი თმები უკან გადაეყარა და ბეჭებამდე სცემდა. ცხვირის ნესტოებთან პატარა ოქროსფერი აპარატი ეკეთა. აპარატში მოქცეული იყო აგრეთვე ტუჩებიც, როცა ამ ალისფერმა ბაგეებმა თეთრი, ქათქათა კბილები გამოაჩინეს, ეს მშვენიერება ტყვეებმა აპარატში ჩადგმული მინიდან დაინახეს. თვალები კი დიდრონი შავი თვალები, ეშმაკურად უელავდა. მას ხელი ჩაევლო ყრმისათვის, რომელშიაც ძნელი არ იყო ომარზე მონადირე დილანდელი სტუმარი ამოგეცნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ჩვენც აქა ვართ. თუ ნებას დაგვრთავთ, დავსხდებით, თუ არა და, როგორც მოვედით, ისევე წავალთ, არა, ნატე?

პატარა სტუმარმა გაიცინა.

— არა, დეიდა კადილა, არსადაც არ წავალთ, აქვე დავრჩებით.

— დაბრძანდით, — თქვა ნუგზარმა და თავისი სავარძელი გამოსწია.

კადილა დაჯდა. ნუგზარმა ანდროს ანიშნა და ორი სავარძელი სასადილოდან გამოიტანა.

— დაჯექი, ნატე! — უთხრა კადილამ პატარას.

— ბიჭია? — სცადა საუბრის დაწყება ნუგზარმა.

— დიახ, ბიჭია. ჩემი დისშვილი გახლავთ.

— ჩინებული მონადირეა, — ჩაერია საუბარში ვალერი,— აქედან დავინახეთ. იმოდენა ომარი ამოათრია, შემეშინდა კიდეც, ბავშვს არაფერი მოსწიოს-მეთქი.

კადილამ გაიღიმა.

— სხვა დროს ნუ იდარდებთ, ეს ისეთი ეშმაკია, რომ ომარს კი არა, რვაფეხასაც ადვილად იფრენს.

ბიჭი ცქმუტავდა. მასაც ტუჩპირზე პატარა, ოქროსფერი აპარატი ჰქონდა აფარებული. ეტყობოდა, რომ ეს ინსტრუმენტი მაინც და მაინც არ ეჭაშნიკებოდა. წარამარა ზედ ხელს ივლებდა და კადილაც მაშინვე ტუქსავდა.

ნუგზარმა ბოლოს და ბოლოს თავი დაიმორჩილა, კადილას მოჟუჟუნე თვალებში შეხედა და ნელა დაიწყო:

— ჩვენ ბედმა თუ უბედობამ ამ საოცარ სამყაროში მოგვიყვანა. გაუგებარია, სად ვართ, რისთვის ვართ, ანდა ვინ განაგებს იმ ყოველდღიურ მოვლენებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება? იმედია, გამიგებთ. ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყავით, თქვენც ამგვარ კითხვებს დაგვისვამდით. გთხოვთ, გვიპასუხოთ.

— უკვე მერამდენედ მეკითხებით და მეც იძულებული ვარ, იგივე გაგიმეოროთ. ოკეანის მკვიდრთა — ამიტების სტუმარი ხართ.

— უფრო ტყვე, დააზუსტა ვალერიმ.

კადილას არ უპასუხია, ისე განაგრძო:

— გასაოცარი არაფერია, ადამიანები ჯერჯერობით არ

იცნობთ ამიტებს. თქვენ გაჩენის დღიდან მიზნად დაისახეთ ცისკენ სწრაფვა და ასრულებთ კოსმოსურ პროგრამას, მაგრამ ეპიზოდურად თუ გახსენდებოდათ, რომ მსოფლიო ოკეანეს აც აქვს თავისი საიდუმლო.

ჩვენ ვცხოვრობთ 2000 მეტრის სიღრმეზე. გაცილებით მეტ სიღრმეზე კამარები ცხოვრობენ. უფრო სწორი იქნება, მათ ნახევრად თევზი, ნახევრად ადამიანი ვუწოდოთ. მათ ბოლო თევზისა ჰქონდათ, წინა კიდურები და თავი ადამიანისა. ისინი ძლიერი და მებრძოლი ტომები იყვნენ. ხშირად გვარბევდნენ ჩვენ და მიზნად დავისახეთ მათი გაჟუჟვა.

ამ სამი საუკუნის წინ მომხდარა მათთან გენერალური ბრძოლა. კამარები დედიან-ბუდიანად გავჟლიტეთ და იმ დღიდან ოკეანეში შედარებით მშვიდობა ჩამოვარდა. ამიტებმა შეამცირეს შეიარაღებაზე ზრუნვა: ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის აღმავლობას. კარგი იქნება, თუ თქვენ არ დაიზარებთ და საკუთარი თვალით იხილავთ ყოველივე იმას, რაც ამიტებმა შექმნეს.

— სრულებითაც არ დავიზარებთ, თუ ამის უფლებას მოგვცემთ, — თქვა ნუგზარმა.

უეჭველად, ყველაფერს დაგათვალიერებინებთ.

— ამხანაგო ნუგზარ, აქ სამუდამოდ დარჩენას აპირებთ?— თქვა ვალერიმ და კაპიტანს თვალი გაუსწორა.

ნუგზარმა შუბლი შეიკრა. ვალერის გახედა.

— რასაკვირველია, არა, მაგრამ ალბათ გარკვეული დროით მოგვიწევს აქ ყოფნა. ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ ჩვენი კარის მეზობლების ცხოვრებას.

— როგორ თქვით, კარის მეზობლებისო, ქართული ენა მეტად ხატოვანი ყოფილა.

— მარტო ხატოვანი?

— არა, საერთოდ მდიდარია. მთავარია, კარგად დაეუფლო.

— თქვენ ჩინებულად ფლობთ. საინტერესოა, როგორ შეისწავლეთ ასე?

კადილა დაფიქრდა.

— გეტყვით, მაგრამ არ გამიჯავრდეთ.

— ბრძანეთ.

— ეთერში ვიწერთ თქვენს საუბარს...

— ეთერში? — გაიკვირა ვიტალიმ.

— ჰო, ეს ძნელი საქმე არაა, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ადვილად მოვაგვარეთ, — დელფინებმა გაგვიწიეს დახმარება. მათ ზურგზე ვამაგრებთ ხმის ჩამწერ აპარატებს და ისე ვაგზავნით ქვეყნის ყველა მხარეს. ისინი შედიან ყველა სრუტეში, ყურეში, გასასვლელში, ნავსადგურებში. იწერენ თქვენს საუბარს და შემდეგ ბრუნდებიან უკან.

— ჩვენ ვნახეთ, როგორ შედიოდნენ ისინი აგერ, იმ შენობაში.

ვალერიმ მარცხენა ხელი იქით გაიშვირა, სადაც ის სახლი ეგულებოდა.

— როდის? არ გვინახავს. — შეედავა ვიტალი.

— ვნახეთ, — მოჭრა ნუგზარმა.

— დიახ, ადვილი შესაძლებელია, — დავაში კადილა ჩაერია. — შეიძლება მართლაც გენახოთ, მე საქმის კურსში არა ვარ. კვირაში ერთხელ მათთან ეწყობა სეანსი. იციან ეს დღე, მოდიან სპეციალურად ამ საქმისათვის აშენებულ შენობაში, რომელიც თქვენს გვერდით მდებარეობს, გვაძლევენ რადიოფირს, ღებულობენ ახალ დავალებას და ისევ მიცურავენ.

სხვათა შორის ეს ძველთაძველი მეთოდია. ამ მეთოდს ახლა ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ თქვენს ტელეგადაცემებსაც კი ვიღებთ. მეც მიმაჩნია, რომ დელფინებით ეთერში მუშაობამ შეასრულა თავისი როლი და უკვე მოძველდა. მაგრამ თავის დროზე დელფინებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს. მე თქვენი ენა ამ ჩანაწერებით ვისწავლე. ჩვენი მეცნიერები წლობით ისხდნენ რადიოლაბორატორიებში, შიფრავდნენ ასობით ენას, ეძებდნენ და პოულობდნენ სხვადასხვა შრიფტს. თუ სადმე გემი ჩაიძირებოდა, ჩვენებს იქიდან უეჭველად მიჰქონდათ წიგნები და გაზეთები. ეს წიგნები შემდეგ დიდ დახმარებას გვიწევდნენ. ჩვენმა სწავლულებმა შეადგინეს მრავალი ლექსიკონი. მათ შორის რუსულიცა და ქართულიც. ამ ლექსიკონებით ბევრმა შევისწავლეთ სხვადასხვა ენები. პრაქტიკას კი რადიოლაბორატორიებში გავდიოდით. ახლა კი მე ვასწავლი სხვებს. მათ შორის ნატესაც.

კადილამ ნატეს შეხედა. ნატემ კი ღიმილით უპასუხა.

— ვკითხულობ ლექციებს ამიხოტის კოლეჯებში და უნივერსიტეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და კიდევ გრჩებათ დრო, ჩვენც მოგვემსახუროთ.

კადილამ მხრები აიწურა.

— ჩვენ, ადამიანები, — ამ სიტყვას რომ ვამბობ, ორივეს ვგულისხმობ, ამიტებსაც და თქვენც, — ძალიან ცოტას ვცხოვრობთ. ეს დრო არ ეყოფოდა ჩვენი ჩანაფიქრის ერთი მეოთხედის ხორცის შესხმასაც კი. მაგრამ ლამაზი იდეებისათვის ხორცის შესასხმელად შეგვიძლია სიცოცხლე გავახანგრძლივოთ.

— კი მაგრამ, როგორ? — იკითხა გაოცებულმა ანდრომ და მაგიდაზე გადმოემხო.

— სულ ადვილად, ცხოვრების ტემპის აჩქარებით. ის რაც უნდა გაკეთდეს ოთხ საათში, უნდა შეძლო შეასრულო ორ საათში. უფრო კარგი იქნება, თუ ერთ საათს იკმარებ. ეს არის ჩვენი ცხოვრების პრინციპი.

— თქვენ ამას ახერხებთ? — ეს კითხვა კი ვალერის ეკუთვნოდა.

— დაახლოებით კი.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ესე იგი, მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის ბევრჯერ უარს ვამბობ პირად სიამოვნებაზე. იმაზე, რაც მე მეკუთვნის და უნდა შევირგო, მაგრამ დროის დაკარგვასთანაა დაკავშირებული. თქვენი მეზღვაურებისაგან გამიგონია: დროს ღუზაზე ვერ დააყენებო.

— დიახ, არის ასეთი ფიგურალური გამოთქმა.

— ჰოდა, როცა ჩემს თავს ვჯობნი, ამ პრინციპით ვცხოვრობ. ამას ზოგი დიდი გაჭირვებით აღწევს. ზოგი სრულიად იოლად — ამიტომ ამიტთა შორის შეიქმნა დიდი განსხვავება. ერთ მხარეს არიან მეცნიერებისათვის ტანჯულნი, მეორე მხარეს კი ცხოვრების მაცთურ ბადეში გახვეულნი. ორივენი კმაყოფილნი არიან თავიანთი ხვედრით. საქმე ისაა, ვინ რაში ხედავს ცხოვრების მიზანსა და სილამაზეს. არა, ნატე?

ნატემ შუბლი დიდი ადამიანივით შეიკრა და თავი მძიმედ დაიქნია.

— აი, ნატეც თანახმაა ამ პრინციპისა.

— ამაში ჩვენც გეთანხმებით. — თქვა ვიტალიმ.

— მაშ, ჩვენ ბევრი რამ გვქონია საერთო; ვსუნთქავთ (ჩვენ უფრო სხვანაირად), ვჭამთ, ვსაუბრობთ, ვფიქრობთ და ვოცნებობთ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ადამიანები ვართ.

სიცილის ხმა გაისმა.

— თქვენ ძალიან გულწრფელად საუბრობთ, იქნებ ისიც გვითხრათ, — ნუგზარი შეყოვნდა, ვალერის გადახედა, — ვალერის თავი დაეხარა და იატაკს მიშტერებოდა. ნუგზარმა ჩაახველა, ხმა დაიწმინდა. — ჩვენ ყველას ძლიერ გვაინტერესებს ვიცოდეთ, რამდენ ხანს უნდა ვიყოთ თქვენი ტყვე? კარგია თქვენთან. ამ ახალ სამყაროში, მაგრამ შინ მაინც სჯობია.

კადილამ ხელი უხერხულად აიღო და ნატეს დაადო მხარზე. მერე თავი ასწია და ნუგზარს ჯიქურ შეხედა:

— თქვენ ძალიან ჩქარობთ. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მოესწრებით შინ დაბრუნებას. მანამ კი ისარგებლეთ ჩვენი გულღია მიღებით, გაეცანით ჩვენს ცხოვრებას.

— მჯერა, გენდობით იმ დღიდან, როცა პირველად მოვისმინე თქვენი ხმა.

— ჩემი ხმა იმსახურებს ასეთ დიდ ნდობას?!

— დიახ, არის ხმა, რომელიც გაიძულებს, დაუჯერო.

— და ისეთიც, ყალბს რომ ეძახიან.

— დიახ, ყალბი ხმაც არსებობს. გესაუბრება ადამიანი, მთელი საათი ლაქლაქებს და გრძნობ, რასაც ეს ყბედი გულმოდგინედ აფრქვევს, სულ სიყალბეა, თავიდან ბოლომდე სიყალბე.

კადილამ გაიცინა.

— ჩვენთანაც არიან ასეთები.

— ასეთები ყველგან არიან.

— ახლა ისევ საქმეს დავუბრუნდეთ. ამ დღეებში თქვენ შეგხვდებათ სახელმწიფო მინისტრი, იგი...

კადილა კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვალერიმ ენის წვერზე მომდგარი სიტყვა ველარ შეაჩერა.

— სახელმწიფო მინისტრი რას ნიშნავს?

— მე ვცადე, თქვენებურად ამეხსნა, ვხედავ არ გამომივიდა. თქვენ შეგხვდებათ ქვეყნის მეთაურის მოადგილე. ის ჭკვიანი კაცია, მეცნიერი. ძალიან ბევრ დროს ანდომებს სახელმ-

წიფო საქმეებს, მაგრამ არც მეცნიერებას ივიწყებს. მასთან საუბარი სასიამოვნო იქნება.

— მივესალმებით.

— ოღონდ როდის მიგიღებთ, ამას ახლა ვერ გეტყვით. გამონახავს დროს. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. ხვალ კი, თუ ინებებთ, სურათების გალერეა დავათვალიეროთ. არ გიყვართ მხატვრობა?

— როგორ არა, ბავშვობაში თავად ვხატავდი. ზოგიერთი სურათი დღემდე არ გადამიგდია. რაღაც ნატურმორტები და თანაკლასელთა პორტრეტები მაქვს შენახული. თუ ოდესმე ინებებთ ჩვენთან მობრძანებას, შეგეძლებათ დაათვალიეროთ.

— საინტერესოა, სიამოვნებით ვნახავდი, მაგრამ, ხომ ხედავთ, ხმელეთზე მხოლოდ ასეთი აპარატით შემიძლია ვიარო. ჟანგბადს აქედან ვღებულობ.

— მაშინვე მივხვდი, როგორც კი დაგინახეთ.

კადილამ ისევ გაიცინა.

— იცით, რა, თქვენ, მგონი, თან გაქვთ რაღაც საინტერესო წიგნი. თუ შეიძლება მათხოვეთ. მე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს წიგნებს, მაგრამ, საუბედუროდ, ამის საშუალება მხოლოდ ხანდახან მეძლევა.

— სიამოვნებით, ვალერი, წიგნი სადაა?

ვალერიმ ჩაახველა.

— ჩემს ოთახშია.

— ვათხოვოთ კადილას.

— ახლავე მოვიტან.

ვალერი ადგა, ის იყო გასვლას აპირებდა, რომ ნუგზარმა ამ დროს საინტერესო საუბარი წამოიწყო და ბასილაია შეჩერდა.

— ჩვენ ამ წიგნს გათხოვებთ, მაგრამ ამასთან მსურს, ერთი რამ გთხოვოთ. ბატისკაფში დარჩა ჩვენი სავახტო ჟურნალი. გთხოვთ, გადმოგვცეთ. ვფიქრობ ის აღნიშვნები, რაც ჟურნალში ჩვენი ზღვაოსნის ანდრო გაბოშვილის ხელითაა ჩაწერილი, თქვენთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენს, ჩვენ კი გვესაჭიროება.

— სიმართლე გითხრათ, მაგ ჟურნალის თაობაზე არაფერი შემიტყვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავიგებ, მოვძებნი, ალბათ დაბრუნებასაც შევძლებ.

— ძალიან კარგი იქნება.

— შევეცდები.

ვალერი გავიდა. დერეფანში ხელმარჯვნივ რომ მოუხვია, ბოლოში იმ ყვითელ ჯოჯოს მოჰკრა თვალი. მეკატი იდგა კედელთან შუბლშეკრული, მოღუშული. თვალები ძირს დაეხარა. ვალერიმ ახლა შეამჩნია, ჯოჯოხეთის ამ ელჩს წარბები და წამწამები რომ არ ჰქონდა. სახეზეც ქოსა იყო და დამჭკნარი სახის ნაოჭები დაცლილი ცურივით ეკიდა.

მეკატს ხელში ისევ ის იარაღი ეკავა, ხელფარანს რომ ჩამოგავდა. ქანდაკებასავით გაუნძრევლად იდგა. ეჭვიც კი შეგეპარებოდათ, ნამდვილად ცოცხალი არსება იყო, თუ სიმახინჯის საილუსტრაციოდ დადგმული ძეგლი.

მეკატი მაშინაც კი არ განძრეულა, როცა ვალერი სულ ახლოს მივიდა. ბეჭზე ხელი დარდიმანდულად დაჰკრა და თვალიც ჩაუკრა.

— სალამი, ძმობილო, ხომ არ დაიღალეთ ლოდინში. ცოტა კიდევ და პრესკონფერენციაც დამთავრდება.

მეკატი ისევ დუმდა, ისევ იატაკს დაჰყურებდა ჯიუტად.

— მეკატ, თქვენ ციხის ჩინებული ზედამხედველი ხართ. ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე ვალერის მეძახიან.

ვალერიმ დაუსტვინა და ოთახში შევიდა. როცა ისევ დერეფანში შემოაბიჯა, მეკატი კვლავ წინანდელ პოზაში დახვდა. მისკენ მხოლოდ ერთხელ გაიხედა და გასართობ ოთახს მიაშურა. იქ ახლა დუმილი სუფევდა. მისმა შესვლამ დუმილის ეს ატმოსფერო გაფანტა.

— პატივცემულო კადილა, ინებეთ ეს წიგნი, საინტერესო იქნება თქვენი აზრიც იმ საკითხებზე, რაზეც ამ წიგნშია მოთხრობილი.

— დაახლოებით ვიცი, რაზეა ლაპარაკი.

— ჩვენს საუბარს ისმენდით, ალბათ.

— დიახ, რასაკვირველია, — მაშინვე დაადასტურა კადილამ.

— ჰო, მართლა, — გააგრძელა ვალერიმ, — იქ, დერეფანში, გელოდებიან!

კადილას სახეზე გაოცება გამოეხატა.

— ალბათ კარგად ვერ გავიგე, რა თქვით, გთხოვთ გაიმეოროთ.

— იქ, დერეფანში გელოდებიან.

კადილა ადგა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა დერეფნისაკენ. მას ვალერი და ნუგზარიც მიჰყვნენ. კადილამ მარჯვნივ შეუხვია თუ არა, შედგა. დაელოდა ვალერის და ნუგზარს.

— როგორც ხედავთ, აქ არავინაა.

ვალერიმ გაოცება ვეღარ დამალა, ხელი აიქნია.

— ერთი წუთის წინ, კადილა, იქ მეკატი იდგა და ხელში რაღაც სათამაშო ეკავა.

— მეკატი!!

— დიახ, მეკატი.

— ნამდვილად მეკატი იყო? — იკითხა კადილამ, როცა გასართობ ოთახში დაბრუნდნენ.

— ნამდვილად ის გახლდათ. ამაში ისე არ მეპარება ეჭვი, როგორც ახლა ვიცი, რომ ოკეანის ქვეშ ვიმყოფები და არა ნამიბიაში.

— ავუკრძალე აქ შემოსვლა.

— შესაძლებელია, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ სხვებმა პირიქით, დაავალეს, თვალყური გვადევნოს ჩვენ. ხომ შეიძლება, ასე იყოს.

კადილას არ უპასუხია და ვალერიმ განაგრძო:

— არსებობენ დაზვერვის ორგანოები. ეჭვი არ მეპარება, თქვენთანაც იქნება ასეთი ორგანო; მათ იციან თავიანთი საქმე.

— არ მაინტერესებს ამგვარი ორგანოების საქმიანობა. მათგან შორს ვდგავარ.

ცივად თქვა კადილამ. მას ხასიათი უკვე წამხდარი ჰქონდა.

— ამის შესახებ ჩვენ ინფორმირებული არა ვართ.

ნუგზარმა დაინახა, როგორ შეუფაკლდა ღაწვები კადილას. ელოდა, საცაა, იფეთქებსო და ვალერის მკაცრად გადახედა. ვალერიც მიხვდა, რომ შორს შეტოპა და ახლა უხერხულად იდგა. მაგრამ კადილამ შეძლო გრძნობების მოთოკვა, წონასწორობა ისევ ჩქარა აღიდგინა და ნუგზარს თვალი გაუსწორა.

— მეკატი სრულებითაც არაა დაზვერვის მუშაკი. საერთოდ, შორს დგას დაზვერვისაგან, იგი პროფესორია.

ვალერი შეირხა, ნიკაპი ძირს ჩამოუვარდა.

— ის ბგერების სამყაროში მუშაობს და ჩინებული მიღწევებიც აქვს. მისი წიგნებით სწავლობენ ჩვენს უმაღლეს სასწავ-

ლებლებში. მეკატი დიდად საპატივცემლო ამიტია. ჩვენს ქვეყანაში იგი დაფასებულია.

— მე კი, უბრალო ზედამხედველი მეგონა, — გულწრფელად თქვა ვალერიმ.

— მისი სიდიადე უბრალოებაშიცაა.

— ხელი მომართვოდეს, — დაიბუბუნა ანდრომ.

— ახლა დაგტოვებთ. ხვალ ისევ გეახლებით და სურათების გალერეაში წავალთ. ნახვამდის, მეგობრებო. წავიდეთ, ნატე!

ნატეც წამოდგა.

— დაემშვიდობე ძიებს. სხვათა შორის, ნატე ჩემი მოწაფეა, მე ვასწავლი ქართულს. აბა, ქართულად დაემშვიდობე ძიებს.

— ნახვამდის, — თქვა ნატემ, ხელი აიქნია და მოკლე, აჩქარებული ნაბიჯებით დეიდას აედევნა.

სწორედ ამ დროს დააწია ნუგზარმა:

— ხვალ რა დროს მოხვალთ?

კადილა შეჩერდა.

— მართლა, დამავიწყდა მეთქვა. ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, ერთნაირად ვითვლით დროს. წელიწადი, თვეები, კვირა, საათი, წუთები. ალბათ გამიგებთ, რატომ მოხდა ასე, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ. როცა ჩვენი ძველები კალენდარს ადგენდნენ, საფუძვლად თქვენი კალენდარი დაუდეს. იგი საკმაოდ ზუსტია და დიდ დახმარებას გვიწევს ამიტებს. ამ საქმეს პირველად ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ასე იყო საჭირო და მათაც ქედი მოიხარეს. ასე რომ, ადამიანთა მიერ შექმნილი საათი აქაც გამოგადგებათ.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

— დიახ, ეს ასეა. ხვალ ზუსტად ათ საათზე გეახლებით, შზად დამხვდით.

კადილა შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი. ნუგზარმა სცადა გაეცილებინა, მაგრამ ქალმა ხელის მოძრაობით ანიშნა, გაცილება ზედმეტიაო და ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა. დერეფნის ბოლოში თვალს მიეფარა.

ნუგზარი პირველი დაჯდა გრძელ მაგიდასთან და ხელები სქელ ფიცარზე დააწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ფიქრობთ? ჩვენ ბედისწერამ საოცარ სამყაროში მოგვიყვანა. რამდენიც უნდა გვეცხოვრა, ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ არსებობდნენ წყალქვეშა სამყაროს უცნაური მკვიდრნი —ამიტები. მაგრამ ეს ახლა ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ მათ ჩვენს მიმართ რაიმე მტრული განზრახვა არ უნდა ამოძრავებდეთ. ეს რომ ასე ყოფილიყო, შეეძლოთ, აქამდე ანგარიში თავისუფლად გაესწორებინათ. ჩვენ ალბათ ის პირველი ადამიანები ვართ, რომელთაც ამ სამყაროში ელჩობის მისია დაეკისრათ, მისია ფრიად საპასუხისმგებლოა, შევეცადოთ, ვიყოთ დინჯნი და გონიერნი. ნუ ავყვებით პირად ემოციებს.

ვალერის გახედა და დაუმატა:

— ასე არ არის ვალერი?

ვალერიმ ქვემოდან მწყრალად ამოხედა.

— მგონი, ასე უნდა იყოს.

— თუ ასეა, ერთმანეთს ნუ გავაღიზიანებთ, თავშეკავებული ვიყოთ.

— ყველაფერი გასაგებია, ბოდიშს ვიხდი.

ნუგზარმა ერთ წუთს შეიცადა და შემდეგ უფრო ხმადაბლა განაგრძო:

— ვიმეორებ, ჩვენ უაღრესად სერიოზული მისია დაგვეკისრა. მოვიხადოთ მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე.

ნუგზარს ყოველთვის აკლდა პათეტიკა. ეშინოდა საჯარო გამოსვლებისა. ახლა თითქოს სხვა ვინმე ჩასახლებულა მის სხეულშიო, საღერღელი აშლოდა.

— პირადად მე აღფრთოვანებული ვარ, რაც ვნახე, წინ ალბათ კიდევ უამრავი სიურპრიზია. თუ სავახტო ჟურნალს დაგვიბრუნებენ...

ნუგზარმა ანდროს შეხედა.

— ყოველი დღის დასასრულს შევიტანოთ ჟურნალში ჩვენი შთაბეჭდილება.

ანდრომ თავი დაუქნია.

— ვინ იცის, სად გამოგვადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უეჭველად საჭიროა, — ჩაილაპარაკა ანდრომ.

— მეც ასე ვფიქრობ.

საღამოთი კი, ვახშმის შემდეგ, როცა ისევ გრძელ მაგიდას მიუსხდნენ, ანდრომ ლურჯი განიერი ჟურნალი მაგიდაზე დადო და თქვა:

— ჩემს ტუმბაზე იდო. საიდან დავიწყო შევსება?

ნუგზარმა ჟურნალი ჩამოართვა, გულდასმით ჩაიკითხა ყველა ჩანაწერი.

— იმ ადგილას შეგიწყვეტია, კაბელი რომ გადაგვიჭრეს და შუქიც გამოგვირთეს. განაგრძე იქიდან, როცა მათ ბატისკაფი დაძრეს.

— გასაგებია. ვწერ დაწვრილებით:

„ჩვენ ვიგრძენით, რომ ბატისკაფი დაიძრა. იგი წავიდა ზევით და ვიფიქრეთ, რომ მაშველმა რაზმმა მოგვაგნო და შინ მიგვათრევდნენ. ეს ილუზია მალე გაგვეფანტა, როცა ბატისკაფი ტყის თავზე დაჯდა. იგი ვერტიკალურად კი არა, ჰორიზონტალურად წაღოღდა“.

— სწორედ ვწერ?

ანდრომ ნუგზარს გახედა.

— კარგად წერ, შენ არაფერი გესწავლება.

— მაშ განვაგრძობ...

ანდრო მთელი ნახევარი საათი ცოდვილობდა. ბოლოს, როგორც იყო, წერტილი დასვა. კალმით შუბლი მოიფხანა და საკახტო შემოქმედების კითხვას შეუდგა.

ყველა გულდასმით უსმენდა. ვალერიმ თქვა, ჩინებულიაო, რომ შეგვეძლოს, წიგნად გამოვუცემდითო. ვიტალის კი თავისი დარდი აწუხებდა. იფიქრა, ახლა დროა, სათქმელი ამოვლერღო და ნუგზარს მიუბრუნდა.

— წეღან კადილასათვის ერთი რამ მინდოდა მეთხოვა, მაგრამ თავი შევიკავე. ვიფიქრე, ნუგზარს არ ეწყინოს-მეთქი.

ნუგზარმა ეჭვით გახედა.

— რა უნდა გეთხოვა?

— ვკვდები კაცი, გავთავდი..

— სიგარეტი გინდა? ,

— ჰო, სიგარეტი, უხერხული ხომ არ იქნება, ჰა?

— მგონი, არა, თუ მასპინძლობაა, მასპინძლობა იყოს, ეს შენ გერიდება, ხვალ მე ვეტყვი.

— არა, მოვახერხებ.

— აბა, უთხარი, ამ საქმეში პრიორიტეტი გეკუთვნის.

ვიტალიმ თავი დაიქნია. მერე ვალერისაკენ შებრუნდა.

— თუ მოასწარი მაინც იმ წიგნის წაკითხვა?

— მოვასწარი და სხვათა შორის საკუთარი მოსაზრებებიც გამიჩნდა.

— კერძოდ, რა მოსაზრებები? — ჰკითხა ნუგზარმა.

— ჯერ მინდა კადილას აზრი მოვისმინო.

— კადილამ რა უნდა გითხრას! ის ალთასაა, წიგნში მოთხრობილი ამბები კიდევ — ბალთას. — თქვა ვიტალიმ.

— არა მგონია, ასე იყოს. მგონი, ამ შემთხვევაში ალთაც და ბალთაც ერთმანეთთან ახლოა, ამის საფუძველი არის.

— რაო! — თვალები დააჭყიტა ნუგზარმა, — კარგად ვერ გავიგე შენი აზრი.

— ცოტა მოვითმინოთ, ამხანაგო ნუგზარ. მალე ჩემს აზრს ნათლად და გასაგებად ჩამოვაყალიბებ.

დილით, საუზმის შემდეგ ისევ გასართობ ოთახში რომ დასხდნენ. კადილას ხმა გაისმა:

— დილა მშვიდობისა, მეგობრებო: როგორც გატყობთ, თქვენ უკვე მზად ხართ? თუ ეს ასეა, გთხოვთ, გამობრძანდეთ დერეფანში. მანქანაში გელოდებით.

— წავიდეთ! — თქვა ნუგზარმა. წამოდგა და დერეფანს მიაშურა. მას სხვებიც მიჰყვნენ. დერეფნის ბოლოში კარი, რომლითაც შემოვიდნენ ამ შენობაში, ღია დახვდათ. ნუგზარი აღარ დალოდებია კადილას შემდგომ მითითებას, კარისაკენ გაეშურა. იქიდან ისევ იმ ნაცნობ დიდ დარბაზში შევიდნენ. დარბაზი წინანდებურად ცარიელი იყო, მხოლოდ ერთ-ერთი მანქანა გამუდმებით წყვეტილ-წყვეტილად აშუქებდა ხან წითლად, ხან მწვანედ.

ნუგზარი ალღოთი მიხვდა, საითაც უნდა წასულიყო. წავიდა და ზედ მიადგა იმ უცნაურ მანქანას. ლიუკი ავტომატურად გაიხსნა და მაშინვე მოესმა კადილას ხმაც, შემობრძანდითო.

შევიდა და ძალიან გაუკვირდა, იქ კადილა არ დახვედრია. ეროვნული ბიბლიოთეკა
ბინაში საერთოდ არავინ იყო. მხოლოდ რამდენიმე მოძცრო სკამი ქმნიდა იმის განწყობას, რომ ეს მანქანა ამიტებს სამგზავროდ დაეპროექტებინათ.

ნუგზარის კვალდაკვალ ვიტალიმ შეაბიჯა. მერე ანდრომ და ვალერიმ. მოთავსდნენ თუ არა, ლიუკი უხმაუროდ დაიხურა და მაშინვე მოტორის ჩუმი გუგუნიც გაისმა. ორი წუთის შემდეგ თუნუქის შავი ეკრანი, მგზავრების წინ რომ იყო ჩამოფარებული, გადაიწია. გამოჩნდა გამყოფი მინა, მინის იქით — კადილა. უფრო სწორად მისი ზურგი და ჩამოშლილი შავი თმა ჩანდა. ვიტალის ეჭვიც კი შეეპარა, ნამდვილად კადილა იყო თუ არა.

— ნამდვილად კადილაა, ხომ? — ჰკითხა ანდროს.

ანდრომ როგორც იყო ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოათრია, ჭრელი, საოცრად დიდი ცხვირსახოცი. გრძელ ცხვირზე მოირგო და მხოლოდ შემდეგ დაღერღა:

— კადილა იქნება, აბა ვინ? მგონი, ამიტებს მეტი ქალი არცა ჰყავთ.

ნუგზარმა ხმამაღლა, გამოკვეთით იკითხა:

— კადილა, გესმით ჩვენი?

პასუხიც მაშინვე გაისმა.

— რასაკვირველია, მე ხომ თქვენს გვერდით ვზივარ.

თითქოსდა ამ აზრის განსამტკიცებლად, იგი შემობრუნდა. ნუგზარმა მინის იქით დაინახა ქალის ლამაზი სახე. კადილა იღიმებოდა, მის ტუჩებსა და ცხვირს სასუნთქი აპარატი აღარ ფარავდა და ნათლად ჩანდა სწორი, ქათქათა კბილები, მომსხო ბაგეები და სწორი, კოხტა ცხვირი. თმა, გაშლილი შავი თმა, ძალზე ზანტად მიჰყვებოდა ლამაზი თავის მოძრაობას, ისე, თითქოს ეს ყველაფერი უწონადობის სამყაროში ხდებოდა. ნუგზარი მიხვდა, ოკეანის წყლის სპეციალურ აკვარიუმში რომ იჯდა კადილა. კადილა ახლა თავის სტიქიაში იყო და ის პატარა ინსტრუმენტი, ამიტებს რომ შეუქმნიათ ოთახში სუნთქვისათვის, აღარ ესაჭიროებოდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ იგი ნუგზარს უფრო მხიარული და ცოტა აგზნებულიც ეჩვენა.

კადილა მარტო იჯდა წყლიან კაბინაში. ისევ რომ შებრუნდა და თავიც გაიქნია, თმა ზევით აუცურდა და მერე ნელ-

ნელა ჩამოეშალა მხრებზე. ეს ისეთ ლამაზ სურათად ეჩვენა ნუგზარს, გადაეწყვიტა, ეცადა ტილოზე გადაეტანა.

— ხომ არ გსურთ, გავხსნათ თქვენი კაბინის ფანჯარა? — იკითხა კადილამ.

ვალერიმ სამჯერ გაბმულად ჩაახველა.

— ცივი წყლის აბაზანას გვპირდებიან. ანდრო, მოემზადე ნეპტუნისათვის სულის ჩასაბარებლად.

კადილამ, რასაკვირველია, ვალერის ეს სიტყვები გაიგონა. ვაისმა უცნაური ხმაური, კადილა როცა შემობრუნდა, ნუგზარმა დაინახა, რომ იცინოდა. მიხვდა, რომ ხმაური, რომელსაც ახლა ისმენდა, წყალში გაფანტული სიცილის ანარეკლი იყო.

— შემიძლია დაგარწმუნოთ, ვალერი, წყალში ბანაობა არ მოგიწევთ, ამისაგან დაზღვეული ხართ. საკმარისია თქვენთვის ასეთი გარანტია?

— თქვენი სიტყვა შესანიშნავი გარანტიაა, პატივცემულო კადილა.

იმავ დროს გაისმა შრიალი და მანქანის გლუვი და შავი კედლები გაუჩინარდა. სამაგიეროდ სქელ მინაში ოკეანის სამყარომ შემოიჭვრიტა. გამოჩნდა ფართო, ნათელი ქუჩა. ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებულიყო მაღალი ხეები. ქვევიდან წამოსულ შუქის მძლავრ ნაკადში მომხიბვლელად ჩახდნენ ტანაწვართული ხეებიცა და დამფრთხალი თევზებიც, რომლებიც ერთ წუთს გამოჩნდებოდნენ სინათლის არეში, შემდეგ კუდს გაიქნევდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ.

— ჩვენ ასფალტს არ ვეხებით, ისე მივქრიკვართ, — თქვა ვალერიმ, — კარგად ვხედავ, ასფალტი ჩვენს ქვევითაა.

შორს რაღაც საგანი გამოჩნდა. ეს შავი საგანი, ჯერ რომ უადგილო ადგილას დასმულ წერტილს ჰგავდა, თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, დიდდებოდა და სიგარის ფორმას ღებულობდა. ბოლოს ეს სიგარა მათ ცხვირწინ აღმოჩნდა, სულ ახლოს ჩაიქროლა და უკან გრძელი თეთრი ხაზი დატოვა. ვიტალიმ თვალი გაადევნა სიგარას, არც კი შემობრუნებულა, ისე იკითხა:

— კადილა, რას ეძახით ტრანსპორტის ამ საშუალებას?

— მოგწონთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურიგო მანქანა არ ჩანს.

— ამ მანქანას კიბანს ვეძახით. თქვენებურად კიბანი მოტორით მავალს ნიშნავს. მას აქვს წყლიანი კაბინაც და ჟახგბადიანიც. იმისდამიხედვით, ვის როგორი აკმაყოფილებს.

ამ დროს თავზე რაღაცამ გადაიქროლა, შემდეგ წინ გამოჩნდა მოზრდილი კიბანი. იგი კარგა ხანს ჩანდა. შემდეგ კიდევ ერთმა ახალმა გადაუქროლა მანქანას. ნუგზარმა კადილას ჰკითხა: „თქვენთან ვერტიკალური მოძრაობაა?!“

კადილა შემობრუნდა.

— ვერ გავიგე, რას გულისხმობთ ვერტიკალურ მოძრაობაში?

— ჩვენთან მანქანები ერთ სიბრტყეზე მოძრაობენ, ჰორიზონტალურად, ერთმანეთის გვერდით. აქ კი, ვამჩნევ, ვერტიკალურად ლაგდებიან, ზევიდან ქვევით.

— გავიგე, სწორად შეგიმჩნევიათ. ის მძღოლები, რომლებსაც ნელა დაჰყავთ მანქანები, ქვედა შრეებში იკავებენ ადგილს. რაც უფრო მეტ სიჩქარეს განავითარებ, იმდენად სიმაღლეც უნდა გაზარდო. ასეთია ჩვენი მოძრაობის წესები.

— ჩვენთან სხვანაირადაა, — თქვა ანდრომ. კადილამ მაშინვე უპასუხა:

— ვიცი, თქვენთან, როგორც ნუგზარი ამბობს, ჰორიზონტალური მოძრაობაა. ეს უბრალოდ ზღვისა და ხმელეთის სპეციფიკის შედეგია და მეტი არაფერი.

— რასაკვირველია, — მაშინვე დაეთანხმა ნუგზარი, — ხმელეთის სპეციფიკა ჰორიზონტალურ მოძრაობას მოითხოვს, ზღვისა კიდევ — ვერტიკალურს.

შორს ერთი ვაგონივით წაგრძელებული სახლი გამოჩნდა. სახლისაკენ ვიწრო გზა მიდიოდა და სწორედ ამ გზას მისდევდა ახლა ამიტების მიერ შექმნილი წყალქვეშა მანქანა. სიგარა ზედ მიადგა სახლის ერთ კედელს, ნელა შეეხო, მაგრამ ეს შეხებაც საკმარისი აღმოჩნდა, კედელი რომ გახსნილიყო. კიბანი დიდ დარბაზში შეცურდა. დარბაზი წყლით იყო სავსე და კიბანიც წყალში ჰამაკივით ეკიდა. მერე სითხე ნელ-ნელა დაიწრიტა. წყლის დაკლების კვალობაზე, კიბანიც ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს და ბოლოს იატაკზე აღმოჩნდა. ახლა კაბინე-

ბის გამყოფი კედელი გაიხსნა და ორივე მხარე, ხმელეთისეულიც და ოკეანისეულიც გაერთიანებულ კაბინაში აღმოჩნდა.

კადილას ტუჩებზე ისევ თავისი აპარატი აეკრა. აღარ ჩანდა მისი ქათქათა კბილები და კოხტა ცხვირი. მას შავი საცურაო კოსტიუმი ეცვა. თუ შეიძლებოდა საცურაო გეწოდებინათ მისი მჭიდროდ შემოკვართული სამოსისათვის, რომელიც ტანმოვარჯიშე ქალსაც მოუხდებოდა და პლაჟზე მწოლარე ასულსაც.

— აბა, ჩავიდეთ, ძმებო!

ეს ისე თბილად თქვა კადილამ, რომ ანდროს სხეულში საამო ჟრუანტელმა დაუარა. მთლად ბავშვური, გულუბრყვილო თვალები შეანათა კადილას და მერე ხელიც შეაშველა, რომ კიბანიდან რაც შეიძლება, მსუბუქად გადმოსულიყო.

დარბაზი სადა იყო. ჩუმი, პრიალა კედლები. ერთი ლურჯად შეღებილი, მეორე — მწვანედ, ყვითლად და თეთრად. კადილა სწორედ თეთრი კედლისაკენ გაემართა, სანამ კედელთან მივიდოდა, უკვე გაიღო ფართო კარი და კადილამაც ზღურბლს ნელა გადააბიჯა. ზღურბლს იქით შეჩერდა, დაელოდა, სანამ სხვებიც წამოეწეოდნენ. ისინი უკვე უზარმაზარ საგამოფენო დარბაზში იყვნენ.

— ეს საგამოფენო დარბაზია. ახლა ჩვენ ვიმყოფებით ამიხოტის — ჩვენი დედაქალაქის, გარეუბანში. აქ თვეში ერთხელ ეწყობა ამიტ მხატვართა გამოფენა. გამოფენა უკვე ერთი კვირაა რაც გაიხსნა. ხვალ კი იხურება და ამიტომ გადავწყვიტე, მოგზაურობა ამიტთა ქვეყანაში აქედან დაგვეწყო.

დავიწყოთ თავიდან. ამიხოტის უხუცესი მხატვარი ნენა. აქ მისი სამი სურათია წარმოდგენილი, პირველი — „ბრძოლა ზვიგენთან“.

— ეს, ალბათ, პირველყოფილი ამიტის ბრძოლაა, ამიტი ხომ უბრალო დანით იბრძვის, — შენიშნა ნუგზარმა.

— არა, ეს ჩვენებური კორიდაა.

— კორიდა!

— ჩვენც ვაწყობთ ხოლმე კორიდას. იმ განსხვავებით, რომ ამიტებთან ხარის მაგივრობას ზვიგენი ეწევა. თუ სურვილს გამოთქვამთ, შემიძლია მოგიპატიჟოთ ასეთ კორიდაზე. რასაკვირველია, როცა საშუალება მოგვეცემა.

— სიამოვნებით დავესწრებით, — ჩაილაპარაკა ხუგ-
ზარმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ესეც ნენას ნახატია. ამ სურათს მშენებელი ჰქვია. ჩვეულებრივი ამიტი მშენებელია დახატული, უბრალო ადამიანი. კარგად არის მუშის სხეული გამოკვეთილი. ჩაკუნთული ტანი, ოდნავ დაღლილი, მაგრამ ძლიერი გამოხედვა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი მშენებელია.

ესეც მისივე სურათი — ამიხოტი.

სურათზე გამოსახული იყო გრძელი გვირაბები, მაღალი, განიერი ბორცვები, ტერმიტების სახლებივით წამოჭიმული ბორცვები.

ვალერიმ თავი ვეღარ შეიკავა:

— ვერაფერიშვილი ხედებია.

კადილა სხვა სურათის ახსნას აპირებდა, მაგრამ ვალერის შენიშვნა რომ მოისმინა, შემობრუნდა.

— დიახ, ვერაფერიშვილია ამიხოტი ზევიდან დანახული, მაგრამ როგორც ვთქვი, ეს ზევიდან ჩანს ასეთი. ქალაქი ამ ბორცვების ქვეშ არსებობს და ცოცხლობს. საკუთარი თვალით როცა იხილავთ, შენიშვნებიც მაშინ გამოვთქვათ.

ახლა კი მხატვარ ფერდინანდს გავეცნოთ.

— ვის? — იკითხა ნუგზარმა.

— ფერდინანდს.

— ეს სახელი საკმაოდ გავრცელებულია ჩვენთან, კერძოდ ევროპაში.

— ვიცი, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, ჩვენც დავირქვათ ფერდინანდი.

სხვათა შორის, ამიტებს შორის არიან ისეთები, რომლებიც თქვენებურ სახელს ატარებენ. ეს, ალბათ, თქვენი გავლენის ანარეკლია. შეხვდებით ჩვენთან მარიას, თამარს, ხოსეს, ესმერალდას. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არიან ამიტები, თქვენებურ სახელს რომ ატარებენ.

ამ სურათს ფერდინანდმა „სიყვარული“ დაარქვა. ქალიშვილი დგას ბუჩქთან, ყვავილის ბუჩქთან და გრძნობს არამარტო მის სურნელს, არამედ სითბოსაც.

კადილა ერთ მოზრდილ ტილოსთან შეჩერდა. სახე კუშტი

და სერიოზული გაუხდა. მიუხედავად იმისა, რომ ტუჩები და ცხვირი არ უჩანდა, ამას ოთხივენი კარგად გრძნობდნენ.

სურათთან ნუგზარიც მივიდა. ეს იყო ყვითელი, ლურჯი, წითელი ფერით ნახატი დიდი ბატალური სცენა. სურათის ქვედა ნაწილი წარმოადგენდა წყლის სამყაროს. აქედან კარგად შეიარაღებული ამიტები ჭიანჭველებივით ერთ ხაზზე გაწყობილი მიემართებოდნენ ზევით, სადაც პალმებითა და ყვავილნარით დაბურული ხმელეთი ჩანდა. ამის შეხედვამ შეაკრთო ნუგზარი, კადილას შეხედა.

— ხომ ვერ მეტყვით, რა ჰქვია ამ სურათს?

კადილა გამოერკვა, გაიცინა. ნუგზარი უკვე არამარტო ხმით, არამედ სახის ღია ნაწილის მოძრაობითაც ხვდებოდა, როცა კადილა იცინოდა.

— ამ სურათს უცნაური სახელი ჰქვია: „შეტევა ხმელეთზე". სურათის შემქმნელი ახალგაზრდა მხატვარია, მას ირონდს ეძახიან. ნიჭიერი კაცია.

— ეტყობა, — კვერი დაუკრა ნუგზარმა.

— დიახ, უდაოდ ნიჭიერია, მაგრამ ახალგაზრდებს, მოგეხსენებათ, ცოტა უცნაურობანიც სჭირთ ხოლმე. არც ეს ჭაბუკია დაზღვეული ასეთი სენისაგან.

— ამიტებს ხმელეთზე შეტევისაკენ მოუწოდებს! — თქვა ნუგზარმა.

— დიახ, — დაეთანხმა მაშინვე კადილაც, — დიახ, ასეა. თქვენ ხომ ბრძანეთ ერთხელ (ეს კარგად მახსოვს), მე ერთი იმათგანი ვარ, ვინაც ოკეანის ათვისებისაკენ ისწრაფვისო.

— მახსოვს, რომ რაღაც ამის მაგვარი ვთქვი თქვენთან რადიოსაუბარში. არც უარვყოფ, ეს ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ საქმეს მოვახმარე და კვლავაც არ დავიშურებ ძალას და ენერგიას.

— გასაგებია, — ადამიანი იდეითა და რწმენით ცოცხლობს.

ხმელეთი ირონდის საყვარელი თემაა. აქაც ხმელეთია. ამ სურათს „აღორძინება" ჰქვია. ყვავილნარი... — კადილა კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ნუგზარმა აღარ აცალა.

— აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ დამთავრდა გენერალური ომი ადამიანთა და ამიტთა შორის. ირონდის აზრით, გამარ-

ვება ამიტებს დარჩათ. ისინი იწყებენ სიცოცხლის განახლებას, ხმელეთის ახალ აღორძინებას. მას ავიწყდება, რომ ამიტები, იმ პატარა აპარატის გარეშე, რომელიც თქვენს სასუნთქ ორგანოებს ფარავს, ხმელეთზე ცხოვრება არ შეუძლიათ. ეს დიდი დაბრკოლებაა.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს საქმე ჩვენ უკვე ‘ოვაგვარეთ.

— საინტერესოა, როგორ მოაგვარეთ?

— ისევე, როგორც თქვენ.

— მაინც, არ მესმის!

— ხომ შექმენით ადამიანი-ამფიბია. ჩვენც ასევე შევქმენით ამიტი-ადამიანი. ნუთუ ყურადღება არ მიაქციეთ, როგორ სუნთქავდა პროფესორი მეკატი.

— უაპარატოდ, — ჩაილაპარაკა ნუგზარმა და ახლა უსაყვედურა თავის თავს, რომ აქამდე არ ეფიქრა ამაზე, — მართლაცდა უაპარატოდ სუნთქავდა... ესე იგი, თქვენ აკეთებთ ქირურგიულ ოპერაციებს ხმელეთის ამიტთა შესაქმნელად, ეს საინტერესოა. მართალი გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ბევრნი არიან თქვენთან ასეთები?

— როგორები? — უფრო დროის მოსაგებად იკითხა კადილამ.

— ისეთები, როგორიც პროფესორი მეკატია.

კადილა დაფიქრდა. ახლა აღარავინ უყურებდა კედლებზე ჩამოპორწიალებულ სურათებს. ყველა მას მისჩერებოდა. ისიც დუმდა. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა. ბოლოს, როცა დუმილი უკვე აუტანელი შეიქნა, კადილამ ყრუდ ჩაახველა და თითქმის ჩურჩულით თქვა, მხოლოდ ერთი სიტყვა: „საკმაოდო“.

— და ისინი აქ, თქვენს გვერდით ცხოვრობენ? — ჰკითხა ვიტალიმ.

— რასაკვირველია, — ჩაილაპარაკა კადილამ და ახლა სხვა ახალ ტილოს მიადგა.

— აქ თქვენებური პეიზაჟია გამოსახული. ამ სურათს „ზე“ ჰქვია. ესეც ახალგაზრდა მხატვრის კლოდეს შექმნილია. საკმაოდ ძლიერი მხატვარია. შეხედეთ, შორიდან შეხედეთ, როგორი გაშუქებაა. ფერების როგორი შეხამება. ძლიერ მომ-

წონს ეს ტილო და საერთოდ, ჩემი აზრით, გამოფენაზე ამის ბადალი სურათი არ მოიძებნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარი ცოტათი მოშორდა კედელს. თვალი მოწკურა და ისე შეხედა ნამუშევარს.

მართლაც დიდებული სურათი იყო. შორს — ამომავალი მზე, მზის ქვეშ ათასფრად შეფერადებული ღრუბლები. უფრო ქვევით — ცისა და ხმელეთის გამყოფი ბაცი ხაზი. მერე უკიდეგანო უდაბნო. კარვებივით აშლილი დიუნები. ზოგან დიუნებზე ეულად წამოსკუპებული პალმა, აქა-იქ მცოცავი ბალახი...

ნუგზარი გულდასმით, მთელი ყურადღებით ათვალიერებდა ახლად გაღვიძებული ბუნების ამ ლამაზ სურათს. მერე კადილასაკენ შებრუნდა, ჯიქურ შეხედა.

— ამ კაცმა თავისი თვალით ნახა ყოველივე ეს?

კადილამაც გაუსწორა თვალი ნუგზარს.

— არ მინდა ვითვალთმაქცო, ნახა.

ნუგზარმა გაიღიმა.

— მეც მინახავს ასეთი სურათი. ზუსტად ასეთი სურათი, აქვე ახლოს, ნამიბიაში.

— თქვენც დახატეთ?

— არა, მე არც კი მიფიქრია, დამეხატა. საერთოდ, ეს ათითორმეტი წელია ხელი არ მიხლია ფუნჯისათვის. მხოლოდ დღეს დილით მომიარა ხატვის სურვილმა.

კადილამ ნუგზარისაკენ მიიწია.

— დღეს დილით?

— ჰო, დღეს დილით.

— საინტერესოა, რა სიტუაციაში, მითხარით, თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

ნუგზარი შეცბა.

— აუცილებელია?

— აკი გითხარით, თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს-მეთქი.

— არა, საიდუმლო არაა. იცით რა, როცა თქვენ კიბანში მარტოდმარტო იჯექით და თავი ჩვენკენ შემოაბრუნეთ, თმა აგითამაშდათ, შემდეგ ისევ შებრუნდით და ანაზდად აშლილი თმა კოხტად ჩამოგეშალათ. ძალიან ლამაზი სურათი იყო. ისე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომეწონა, რომ გადავწყვიტე, დამეხატა. როგორც კი საშუალება მექნება, ამ ტილოს შევქმნი.

კადილამ გაიცინა.

— მაინტერესებს თქვენი ძალა, სიამოვნებით შევიძენდი ამ ტილოს.

შემდეგ მეორე სურათის ახსნა დაიწყო კადილამ, მერე მესამის, მეოთხისა და ბოლოს ყრუ კედლების ბოლოში გავიდნენ.

აქ კი უზარმაზარ ტილოსთან ვალერი იდგა. როცა კადილა მასთან ახლოს მივიდა, ვალერიმ ხელით რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა, მერე საჩვენებელი თითი ტილოსაკენ გაიშვირა და კადილამ თვალი გაუშტერა.

— ხომ ვერ გვეტყვით რას ნიშნავს ეს ტილო?

ტილოზე გამოსახული იყო ყვითელკანიან და ლურჯკანიან ამიტთა ხელჩართული ბრძოლა. ამიტები იბრძოდნენ მოკლე ბასრი შუბებით. განგმირულები ეშვებოდნენ ფსკერისაკენ და უკან ტოვებდნენ სისხლის გრძელ ზოლს. დახოცილთა შორის უმრავლესობა ყვითელკანიანები იყვნენ.

კადილამ ვალერის თვალი გაუსწორა.

— ეს სურათი მხატვარ აკოლას ეკუთვნის ისიც ისტორიული თემებითაა გატაცებული. ძალიან ბევრი ტილო მიუძღვნა ყვითელკანიან, ლურჯკანიან და თეთრკანიან ამიტთა ბრძოლას?.

— ესე იგი ამიტთა რამდენიმე რასა არსებობს?

— დიახ, არსებობს სამი რასა. რასაკვირველია, არ ვთვლი თევზამიტებს, რომლებიც ოკეანეთა ღრმა ქვაბულებში ცხოვრობდნენ და განადგურდნენ. მხედველობაში მყავს ფეხოსანი ამიტები, ისეთები, როგორიც მე და ნატე ვართ.

ერთ დროს ყვითელკანიანები მთელ ამიტეთს ფლობდნენ. ისინი რაოდენობითაც უთვალავი იყვნენ. მათ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ლურჯებმა. ლურჯები ძლიერ მეომარი და ენერგიული ხალხია. მათ სძლიეს ყვითლებს და საკმაოდ ბევრიც დახოცეს. ეს იყო უმაგალითო, შემაზრზენი ხოცვა-ჟლეტა, რაც სამარცხვინო ფურცლად ჩაიწერა ამიტთა ისტორიაში.

— როდის მოხდა ეს ომი? — იკითხა ვალერიმ.

— ამ ორას ორმოცდაათი წლის წინათ. ყვითლებს სა-

დაც კი წაეწეოდნენ, მაშინვე კლავდნენ. მათი გვამებისაგან გაიხრწნა ოკეანე. ცოტანი გადარჩნენ. გადარჩენილები ბოლოს და ბოლოს შეიწყალეს და აი, დღემდე ცხოვრობენ თეთრებთან და ლურჯებთან ერთად.

— თქვენ თეთრებს ეკუთვნით? -- ჰკითხა ვიტალიმ.

კადილამ გაიღიმა.

— დიახ, — თქვა მან ამაყად, — მე თეთრი ვარ...

— ბევრნი ხართ თეთრები?

— საკმაოდ.

— ვინ პირველობს ამიტთა შორის, ლურჯები თუ თქვენ?— ეს უკვე ანდრომ იკითხა.

კადილამ ანდროსაკენ გაიხედა. ის კვლავ იღიმებოდა.

— ახლა არავინ აღარ პირველობს. ჩვენ ყველანი ერთად ვშრომობთ და ვცხოვრობთ. ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ სრულიად ზედმეტია ომები და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია სიამტკბილური ცხოვრება. ას წელზე მეტია, რაც ჩვენთან საომარი ყიჟინა არავის აუტეხია. თუ ვინმე მაინც ეცდება ატეხოს, როგორც თქვენთან იტყვიან, გიჟის პერანგს ჩააცმევენ.

— ეს არ არის ცუდი. — თქვა ვალერიმ.

კადილამ ღიმილით გადახედა, მერე ხელები ასწია და ხმადაბლა თქვა:

— სულ ესაა ამიტთა გამოფენა, ცოტა სიამოვნება თუ მაინც მოგანიჭეს ჩვენმა მხატვრებმა, დიდად კმაყოფილი დავრჩები.

— ძალიან გვასიამოვნე. ამ საქმეში დიდი ავტორიტეტი არა ვარ, მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ თქვენ ჩინებული მხატვრები გყავთ. ისინი კარგად ფლობენ ფერებს, აქვთ დიდებული ფანტაზია და აღქმის უნარი. სამწუხაროა, რომ ბოლომდე არ გვითხარით, თუ როგორ ნახა „მზის“ ავტორმა ნამიბიის უდაბნო.

— ნამიბია ჰქვია იმ უდაბნოს, კლოდემ რომ დახატა?

— დიახ, ნამიბია. იგი თქვენს ცხვირწინაა, აქვე ახლოს.

— კლოდე სპეციალურად გაემგზავრა იმ ქვეყანაში, ესე იგი ნამიბიაში, როგორც თქვენ თქვით, ოცი დღე ცხოვრობდა იქ. დახატა რამდენიმე სურათი და ისევ დაბრუნდა. საბედნი-

ეროდ, კლოდე ამ მოგზაურობის დროს არავითარ ხიფათს არ წაწყდომია. მშვიდობით დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კადილა, თქვენ თქვით, ოცი დღე ცხოვრობდაო უდაბნოში.

— დიახ. ოცი დღე.

— გამიგეთ, ამ შემთხვევაში მე კლოდეს უცნაური მოგზაურობის ამბავი კი არ მაინტერესებს, არამედ...

— რა? — თქვით.

— თქვენ ახსენეთ რიცხვი ოცი. ესე იგი, თქვენც ჩვენსავით ითვლით.

დიახაც, ვითვლით. აბა ისე როგორ იქნება. როგორც გითხარით, გვაქვს კალენდარიც. ამიტური და ადამიანთა კალენდარი ერთი და იგივეა. ჩვენ ხომ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ და ამგვარად, დღისა და ღამის ციკლი, წელიწადის დრონი, თვე, ერთნაირად იანგარიშება, არავითარი განსხვავება არაა. კალენდარის შედგენაში პრიორიტეტი თქვენ გეკუთვნით, მაგრამ არც ჩვენ აღმოვჩნდით ცუდი მოწაფეები. საერთოდ, ბევრ სხვა რამეშიც მოგბაძეთ. ამაში გზადაგზა დარწმუნდებით.

როდესაც ისევ იმ დარბაზში დაბრუნდნენ, სადაც კიბანი დატოვეს, ნუგზარმა წინა კაბინაში, სადაც კადილა იჯდა, ამიტის მთლად მოტვლეპილი თავი შენიშნა. სახეზე ვერც კი შეხედა, ამიტს თავი ძირს ჰქონდა დახრილი და რაღაცას ჩხირკედელაობდა. დაასკვნა, რომ წეღან კადილას გვერდით ის ტიპიც იჯდა. მთელი სამი წუთი თავმოტვლეპილი კაცი ისე იჯდა, ერთხელაც არ უჩვენებია სახე. ისევ ისე თავდახრილი ცოდვილობდა კაბინაში. ნუგზარი ახლა საგულდაგულოდ ათვალიერებდა კიბანს.

მანქანა მართლაც ზუსტი ასლი იყო იმ კოხტა სიგარისა, რომელსაც პუტკუნა ჯენტლმენები ტუჩის კუთხეში ათამაშებენ. თითქოს განგებო, ფერიც თამბაქოსი ჰქონდა წინა და უკანა ნაწილი ერთმანეთს ისე ჰგავდა, ვერც კი გაიგებდით, რომელი იყო თავი და რომელი კიდევ ბოლო.

ნუგზარმა შემოვლა დაამთავრა და კადილასთან მივიდა.

— ჩინებული მანქანაა. ზედგამოჭრილი წყალქვეშა ცურვისათვის.

— ვითომ?

— ნამდვილად. ასეთი მსუბუქია და 700 მეტრ სიღრმეზე არხეინად გრძნობს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არცთუ ისე ახალი კონსტრუქციისა, გვაქვს უკეთესი, გაცილებით უკეთესი.

— მისასალმებელია, ბარაქალა, ასეთი მანქანების შემქმნელ კონსტრუქტორებს, ხელები და ნიჭი უნდა დაელოცოთ!

— დალოცვა არ აკლიათ, განებივრებულიც კი არიან.

— საინტერესოა, როგორ დაცურავს თხელ შრეებში?

— მშვენივრად, — მაშინვე უპასუხა კადილამ. თვალებში გამომცდელად ჩახედა.

ნუგზარმა იგრძნო ეჭვიანი ჭვრეტა, ქალს მზერა გაუსწორა და დამარცვლა:

— არ იფიქროთ, ამას იმისათვის გეკითხებოდეთ, გულში რაიმე ავანტიურისტული მიზანი მედოს. მესმის, ასეთი მანქანის შემქმნელმა ხალხმა ისიც კარგად იცის, როგორ მოუაროს თავის ნახელავს. ამაში იოტისოდენადაც კი არ მეპარება ეჭვი. ამიტომ არც ისე გულუბრყვილონი ვართ, რომ მის გატაცებაზე, ვიფიქროთ. ეს ავანტიურა იქნებოდა და მეტი არაფერი. მე კი ჭირის დღესავით მძულს ყოველგვარი ავანტიურა.

კადილამ გაიცინა.

— განა ის გავიფიქრე, რომ თქვენ ამ წუთში თითქოს კიბანის გატაცება გადაგეწყვიტოთ. მერწმუნეთ, ეს არ გამიფიქრია. უბრალოდ, მომწონს თქვენი ალღო და ცნობისმოყვარეობა. ეს პირდაპირ მისაბაძია. ყველაფერი გიტაცებთ, ათვალიერებთ გულისყურით, გაქვთ სურვილი, გაერკვეთ დეტალებში და ასე შემდეგ... ეს დიდი ძალაა, ნუგზარ! პატივს ვცემ და ვაღმერთებ ამ ძალას, ვემორჩილები მის დინებას. ამიტომ მოგაქციეთ ყურადღება. სხვა აზრებისაგან ღმერთმა დამიფაროს.

— მაპატიეთ, მე კი სხვა რამ ვიფიქრე.

სწორედ ამ წუთებში კადილას წინ ვიტალი დაუდგა.

— რამდენი ხანია ვაპირებდი თქვენთვის მეთხოვა და ვერ გავბედე. დავიტანჯე კაცი.

— რა მოხდა? — იკითხა კადილამ და კოპები შეყარა.

— ამდენი დღეა არც ერთი ნაფაზი არ დამირტყამს. თამ-

ბაქოს გარეშე ძალიან მიჭირს ყოფნა. იქნებ მიშოვოთ, თუ ვერ მიშოვით, არ ვიცი რა დამემართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილამ გაიღიმა.

— აი, ამის შესრულება კი არ შემიძლია. ჩვენთან თამბაქოს არ ეწევიან. სხვადასხვა დროს ყოფილა ამ მავნე ჩვევის გავრცელების რეციდივი, მაგრამ სპეციალური კანონით აიკრძალა და ახლა აღარავინ იწუხებს თავს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამით ამიტებს არაფერი არ დაუკარგავთ. ჩვენ ძალიან გვიჭირს ჟანგბადის მოპოვება და მის გაჭუჭყიანებასაც ვერიდებით.

ვიტალის პირი ფართოდ დაეღო. გაოცებული მისჩერებოდა კადილას და როცა დარწმუნდა, თამბაქოს შოვნის იმედი უკვე გადაწურული იყო, ფერმკრთალ სახეზე გაოცება სასოწარკვეთამ წაშალა. ეს, რასაკვირველია, კადილამ შეამჩნია, თანაგრძნობის ნიშნად ხელი ბეჭზე მოუთათუნა და ხმადაბლა უთხრა:

— ასე რომ, ძვირფასო მეგობარო, თამბაქოს შოვნის იმედი ნუ გექნებათ. წვრილი კამფეტი უებარი წამალია. თქვენთანაც ხომ ასე აკეთებენ. დღესვე მოგართმევთ. ასე საშინლად ნუ მოიწყენთ, დღემდე, როგორც ვიცი, არც ერთი ყოფილი მწეველი თამბაქოს უქონლობით არ დაღუპულა, არც თქვენ იქნებით გამონაკლისი, მერწმუნეთ. ახლა კი ჩავსხდეთ, მივაშუროთ ბინას. ეჭვიც არ მეპარება, რომ ძლიერ დაიღლებოდით, ალბათ შეამჩნევდით, რომ აქ უფრო ადრე კარგავთ ენერგიას, ვიდრე ზევით. ასეა არა?

— დიახ, სწორედ ასეა, — თქვა გაბოშვილმა, — ზევით მთელი დღე თავაუღებლად რომ ვიმუშაო, ასე არ გავსავათდები, როგორც აქ. აქ ერთს გავივლი, გამოვივლი და მაშინვე დასვენება მომინდება.

— აბა, წავედით! — გაიმეორა კადილამ და თავის კაბინას მიაშურა, მაგრამ, სანამ ყველანი უკანა კაბინაში არ დაიგულა, არ ჩამჯდარა. მხოლოდ მაშინ, როცა, როგორც იყო ანდრო გაბოშვილმაც შედგა ფეხი კაბინაში, მანქანის კარი გამოაღო და სიგარის სიღრმეში გაუჩინარდა. გრძელი ყავისფერი სიგარა ოდნავ შეცახცახდა და წინ გაცურდა.

ნუგზარმა ვიტალის გადახედა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გაგიწბილდა თამბაქოს მოვნის იმედი. მე თუ მკითხავთ, ძალზე გონივრულია, რომ ჩვენს პირობებში კაცმა საერთოდ არ იფიქროს თამბაქოზე.

— მეტი რა ჩარაა, უნდა შევეგუო. თუ კიდევ ორი-სამი დღე გავუძელი, მერე საერთოდ აღარ მოვწევ. არამარტო აქ, არამედ იქაც, თუ მიწაზე ფეხის დადგმა მიწერია.

ნუგზარმა მხარზე ხელი დაჰკრა.

ნუგზარი დილით ადგა თუ არა, პირველად ტუმბაზე ფაქიზად დადებული, შავ ჩარჩოში ჩასმული ტილო და იქვე, მის გვერდით ერთმანეთზე მიწყობილი საღებავები შენიშნა. თითქოსდა არც კი გაჰკვირვებია, მხოლოდ ის გაიფიქრა, რატომ ასე ჩუმად აგზავნიანო ამიტები ნობათს.

ტილო კარგად იყო გადაჭიმული ჩარჩოზე. ნუგზარმა ეს მაშინვე შეამოწმა. ფუნჯიც კარგი იყო, მთლად ახალთახალი, მოქნილი. მარჯვენათი აიღო და დიდხანს სინჯავდა მარცხენა ხელისგულზე. თითქოსდა სურდა, კიდევ და კიდევ დარწმუნებულიყო მის მოქნილობაში. მერე საღებავებიც გულდასმით შეამოწმა და იმ წუთში რაღაც ჟინმა წამოუარა, სურდა დაეხატა ის, ჯერ კიდევ მანქანაში რომ ჩაეფიქრებინა.

როდესაც ვიტალი კამფეტის კნატუნით შემოვიდა, ის უკვე თავაუღებლივ მუშაობდა. დახატული ჰქონდა კარგად გამჭვირვალე მინა, მინის იქით ქალის თავი იძერწებოდა.

მხატვარს მისი შემოსვლა არ გაუგია, ტყავის მაგარ ჩემოდანზე იჯდა და ისე ხატავდა. ვიტალი მიხვდა, რომ უდროო დროს შემოვიდა. წელში ოდნავ მოიხარა და ფეხაკრეფით განვლო ის მცირე მანძილი, ნუგზარსა და მის შედევრს კარისაგან რომ აშორებდა. იქ კი ანდროს შეეფეთა. ტუჩებზე გამხდარი ხელი ააფარა, კარს მოაშორა და მხოლოდ მაშინ ჩაუჩურჩულა ყურში:

— წავიდეთ, ხატავს და ხელს ნუ შევუშლით.

ანდროს წინააღმდეგობა არ გაუწევია. დერეფანი გაიარეს და გასართობ ოთახს შეეფარნენ.

ნუგზარი არც საუზმეზე გამოცხადებულა. ანდრომ თქვა, დავუძახებო, მაგრამ ურჩიეს, თავი შეეკავებინა. საუზმის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ რომ კარგად დაისვენეს და ბოლოს სადილის დროს ოცდაჩვიდ-
მორეკა, ვალერიმ თქვა: —„კაცი მშიერი მოგვიკვდებაო. ისე
გააცხებინებს სულს, რომ ვერც კი გავიგებთო. ტანიც არ გა-
მოჩნდებაო“.

დანარჩენმა ორმა არ გაიზიარა მისი აზრი და ვალერისაც
მეტი რა გზა ჰქონდა, ხმა ჩაიწყვიტა.

ნუგზარი ვახშამზე გამოცხადდა, სახე აღგზნებული და
კმაყოფილი ჰქონდა. თითები საღებავებით დასვროდა. საღება-
ვი ცხვირსა და ლოყებზედაც აჩნდა.

— უკვე ივახშმეთ? — იკითხა მან.

— ახლა ვაპირებთ. — უთხრა ანდრომ.

— ხელს დავიბან და მეც შემოგიერთდებით.

— ლოყებსაც რომ დაიბანდეთ, არ იქნებოდა ცუდი, ამ-
ხანაგო ნუგზარ, — უთხრა ვალერიმ.

— ლოყებსაც დადგომიათ ჯაფა? — იხუმრა მან.

— ცოტაოდენი.

ნუგზარი ტუალეტში გავიდა, მეგობრები დაელოდნენ და
მხოლოდ მაშინ მიუსხდნენ მაგიდას, როცა ხელებდაბანილი კა-
პიტანი დაბრუნდა. „გვაამოსო“, თქვა და მაშინვე შავ კარჩ-
ხანას ეცა. სანამ არ შესანსლა შოთი პურისოდენა შავი კარ-
ჩხანა, თავიც კი არ აუწევია ზევით. მერე თვალებშიაც კარგად
გამოიხედა და ხასიათიც უფრო დაეწმინდა.

— დაამთავრეთ? — ჰკითხა ანდრომ.

— არა, კალმარიც მინდა გავსინჯო.

ანდრომ გაიცინა.

— მე ტილოზე გეკითხებით.

ნუგზარმა თეფში გვერდზე გააჩოჩა.

— თითქმის. შენ საიდან იცი, რას ვაკეთებდი.

— განა, ასე გულცივი ხალხი ვართ? კაცი მთელი დღე და-
იკარგოს და მისი ამბავი არ შევიტყოთ.

— ცოტა სამუშაო კიდევ დამრჩა.

— შეიძლება ჩვენც ვნახოთ?

— რასაკვირველია, მხოლოდ ახლა არა, როცა ხატვას მოვ-
რჩები.

— მოვითმენთ.

მართლაც მოითმინეს...

მეორე დღეს, სადილის წინ, ნუგზარმა სურათი გასაოთხ ოთახში შეიტანა. მაგიდა კედელთან მიაჩოჩა და შერე ზედ დადო თავისი ნამუშევარი, ისე, რომ ჩარჩოს ზედა ფუძე კედელზე იყო მიყუდებული.

სურათზე ჩანდა ქალის ზურგი და თავი, შავი თმით დაფარული თავი. თმა ოდნავ ასწეწოდა, თითქოსდა ცელქი ნიავი ეთამაშებაო. წინ კი, სარკეში, ამ ასულის გაღიმებული, უმანკო და მომხიბვლელი სახე ჩანდა. ღამესავით შავი თვალები, მომსხო ბროწეულისფერი ტუჩები და სწორი, კოხტა ცხვირი. ისეთი ილუზია იქმნებოდა, თითქოს ეს მომხიბვლელი არსება სუფთა, ძალზე გამჭვირვალე მინის იქით მჯდარიყოს.

ოთხივენი მდუმარედ იდგნენ. სურათს თვალს ვერ აშორებდნენ. ბოლოს ეს იდუმალი სიჩუმე ვიტალიმ დაარღვია:

— ჩინებულია თქვენ დიდებული მხატვარი ყოფილხართ, ამხანაგო ნუგზარ!

და სწორედ იმ წუთს კადილას ხმაც გაისმა:

— გეთანხმებით, საუცხოო ნამუშევარია. დახვეწილი, ნათელი გემოვნება. ფერების ძლიერი შეგრძნება, საოცარი ემოცია და კიდევ ათასი რამ, რასაც ამ სურათისათვის არ დაიშურებდა მხატვრობის არც ერთი დიდოსტატი. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ადამიანის შვილი ამიტების სამყაროში ასეთ სურათს შექმნიდა.

— ამაში თქვენ მიგიძღვით ბრალი.

— ვითომ! თქვენ ხომ თქვით, რომ ადრე ხატავდით.

— დიახ, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. რა ხანია, რაც ხელთ ყალამი აღარ ამიღია. კიდევ იცით რა?

— თქვით.

— საოცარი საღებავები გაქვთ. პირდაპირ ღმერთის მიერ ბოძებული. ეს ფერები თავად გეძახიან სახატავად.

— როგორც ვიცი, ჩვენი მხატვრები არ უჩივიან საღებავებს. შეგიძლიათ, რომ ეს სურათი დამითმოთ? თუ თქვენ ამ სურათს მაჩუქებთ, მაშინ თქვენის ნებართვით გამოფენაზე წარვადგენ. შემდეგ კი ჩემთვის შევინახავ.

— რასაკვირველია, გაჩუქებთ. ეს ხომ თქვენთვის დავხატე, ინებეთ.

ნუგზარმა სურათი კადილას მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მხოლოდ ერთი რამის მეშინია.

— რისა ვეშინიათ?

— ამიტებმა მასხარად არ ამიგდონ.

— ნუ ღელავთ, მჯერა, რომ ეს სურათი ამიტებს ძლიერ მოეწონებათ. ოღონდ აქ, ამ კუთხეში, მიაწერეთ თქვენი გვარი, სახელი.

— ახლავე, საღებავს მოვიტან.

როცა ნუგზარი ოთახიდან გავიდა, ანდრო კადილას მიუბრუნდა:

— მართლაცდა კარგად დაუხატავს, არა, ქალბატონო კადილა?

— დიახ, მე გულწრფელად გამოვთქვი ჩემი აღტაცება. მერწმუნეთ, რომ არ ვთვალთმაქცობდი.

— მჯერა; გგავთ კიდეც.

კადილამ გაიღიმა.

— ნუგზარს ჩინებული თვალი აქვს. კარგად ამჩნევს ხაზებს და, მიუხედავად იმისა, რომ ნახატი ცოტა სტილიზებულია, პორტრეტული მსგავსება მაინც დიდია. მოხიბლული ვარ მისი ნიჭით, ბარაქალა.

ნუგზარს ვიცნობთ, როგორც კარგ კაპიტანს, ჩინებულ კაპიტანს, ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასეთი ხატვა შეეძლო. ეს ჩვენთვის სიურპრიზია, აღმოჩენა.

ნუგზარი დაბრუნდა. ტილოსთან მივიდა და შავი საღებავით ძარჯვენა ქვედა კუთხეში მიაწერა „ნუგზარ რონდელი“.

— ინებეთ, როცა ამ სურათს შეხედავთ, მოიგონეთ ხმელეთელი სტუმარი.

კადილამ სურათი ჩამოართვა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ. მე მას თვალისჩიხივით გავუფრთხილდები. ნახვამდის, მეგობრებო!

— ახლა კი ვისადილოთ, — თქვა ნუგზარმა, როცა კადილა დერეფანს მიეფარა.

პოეტური განწყობის შემდეგ სადილიც გემრიელი ეჩვენათ. მადიანად შეექცეოდნენ და თან ცივ წყალს აყოლებდხეხ.

— საოცარია, ასეთი ნამდვილი, ნატურალური წყალი საიდან მოაქვთ? — იკითხა ვალერიმ.

ნუგზარმა ცერად გახედა.

— ეგ არაა პრობლემა. რას ნიშნავს, წიგნი რომ არ გიყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წიგნი რა შუაშია? — გააპროტესტა ვალერიმ.

— სწორედ რომ წიგნია შუაში. წიგნების გადაფურცვლა რომ გყვარებოდა, მაშინ მაგ კითხვას არ დასვამდი.

— ვითომ რატომაო?

— იმიტომ, რომ — ნუგზარმა თეფში გვერდზე გააცურა, — წყალქვეშ, უფრო სწორად, ზღვის ფსკერზე, უამრავი წყაროს წყალი ამოდის, ამოდის აგრეთვე მინერალური წყალიც და ასე გასინჯე, ცხელი წყლებიც.

ვალერის ნიკაპი დაუგრძელდა.

— იქნებ ისიცა თქვათ, წყალქვეშ ტბებიც არსებობსო.

— დიახაც, ტბებიც არსებობს...

— თქვენ ხუმრობთ, ნუგზარ.

— არ ვხუმრობ, არსებობს წყალქვეშა ტბებიც...

— წყალში ტბა?

— ჰო, წყალში ტბა. ზოგიერთ ქვაბულში დგას წყალი, რომელიც თავისი ქიმიური შემადგენლობით მკვეთრად გახსხვავდება სხვა დანარჩენისაგან.

ნუგზარი ადგა. ხელსახოცი მაგიდაზე უდიერად ძიაგდო და გასართობ ოთახში გავიდა.

გასართობ ოთახში შემოსულ კადილას ვალერიმ თვალი თვალში საეჭვოდ გაუყარა.

კადილა ისე ჩუმად მოდიოდა ხოლმე, რომ ვერც კი გებულობდნენ რომელი საიდუმლო კარიდან შემოდიოდა. ის კი არა, ასე ეგონათ თითოეულ კედელს რამდენიმე კარი ჰქონდა. მთავარი იყო მისი პოვნა.

— ჰოდა, კადილა შემოვიდა თუ არა გასართობ ოთახში, ვალერიმ თვალი თვალში გაუყარა.

— თქვენზე ვფიქრობდი ახლა. ჩვენ რომ გათხოვეთ, ის წიგნი თუ წაიკითხეთ?

კადილას მწვანე კოსტიუმი ეცვა. ვალერის ძალიან გაუკვირდა, რომ ზედაწელის სახელოები მაჯებთან თავდებოდა. ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე კადილა მთლიან ტანსაცმელს ატარებდა, ისე რომ ვალერი ვერც კი არჩევდა, ხელებზე ხელთათმანები ეცვა თუ არა.

— ახლა, როცა ბოლოს და ბოლოს, ვარდისფერი ხელები დაინახა, ერთი სული ჰქონდა, გაერკვია, გრძელ ნატიფ თითებს შორის აპკი ჰქონდა თუ არა. ამის კითხვას ვერ ბედავდა, მხოლოდ ელოდა, როდის გაშლიდა კადილა გრძელ თითებს.

ქალიშვილი პასუხს არ ჩქარობდა, ჩამოჯდა. ხელები ძაგიდაზე დააწყო ისე, რომ თითების გაშლა არც კი უცდია.

— სიმართლე გითხრათ, არ წამიკითხავს, ჩემი ბრალი არ არის, უბრალოდ ვერ მოვიცალე. თუ გჭირდებათ, დღესვე ძოგართმევ.

— არა, ამისათვის არ მიკითხავს. უბრალოდ, გვაიხტერესებს თქვენი აზრი.

ვალერიმ მეგობრებს გადახედა, აქაოდა თქვენც ხომ ძეთანხმებითო. ბიჭებმაც თავი დაუქნიეს და ბასილაია გამხნევდა.

— იქ ბევრ ისეთ საკითხზეა საუბარი, არ შეიძლება თქვეხც არ დაინტერესდეთ.

— მართლა?! თუ ასეა, დღესვე შევუდგები კითხვას. თქვენმა სურათმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ნუგზარ! — კადილა ნუგზარს მიუბრუნდა.

— ვერ დავიჯერებ.

— სიმართლეს მოგახსენებთ. დაიხსომეთ, ამიტი არასოდეს არ ცრუობს.

— ეგ არც მიფიქრია.

— ისე მოეწონათ, საზოგადოება თხოულობს თქვენთან შეხვედრას, მაგრამ სანამ მათ შევხვდებოდეთ, მიგიღებთ სახელმწიფო მინისტრი.

— როდის! — მაშინვე ჰკითხა ნუგზარმა, მაგრამ კადილას იმ წუთში არ უპასუხია. ჯერ ხელები თმებზე გადაისვა, ძერე ის აპარატი გაისწორა, ლამაზ ტუჩ-კბილს რომ უფარავდა და შემდეგ თქვა მკვეთრი ხმით: „ხვალ მიგიღებთო“.

— ხვალ?! — აღელდა ნუგზარი.

— დიახ, ხვალ, მეგზურობას ისევ მე გაგიწევთ. სწორედ ამ დროს მან თითები გაშალა და ბასილაიამ სული მოითქვა, თითებს შორის თხელი აპკი არ ჩანდა.

— დინაკი ჭკვიანი კაცია, მასთან გაცხარებულ დავას არ გირჩევთ. გაცილებით სჯობია დინჯი, ლოგიკური, ყველაზარი, — თქვა კადილამ და თითები ისევ შეკრა.

ალისფერ დიდ დარბაზში დინაკი ჩქარი, მოკლე ნაბიჯებით შემოვიდა თუ არა, კადილა ფეხზე ადგა. კადილას ეს მოძრაობა მაშინვე დანარჩენებსაც გადაედოთ, ყველანი წამოდგნენ და აღტაცებული შეჰყურებდნენ შუახნის ლამაზ კაცს, რომელიც ახლა უკვე დარბაზის ცენტრში იდგა.

დინაკს სასუნთქი აპარატი არ ეკეთა. ფერმკრთალ სახეზე ჯერ არცერთი ნაოჭი არ აჩნდა. შავი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. ნიკაპი — გრძელი, მრგვალი — მტკიცე ნებისყოფის ადამიანებს რომ აქვთ ხოლმე. მას შემოტმასნილი წითელი, გრძელი შარვალი და წითელივე მაისური ეცვა. ფეხები რბილ ფლოსტებში ჰქონდა გაყრილი. ჭკვიანური, წყლისფერი თვალებით იყურებოდა. ერთბაშად ხელი აიქნია და რაღაც თქვა.

— დინაკი გესალმებათ და თქვენს ჯანმრთელობას კითხულობს, — მაშინვე თარგმნა კადილამ. პასუხი არც ხუგზარს დაუყოვნებია.

— გადაეცით სახელმწიფო მინისტრს ჩვენი დიდი სალამი და პატივისცემა. რაც შეეხება ჯანმრთელობას, მგონი, ჯერჯერობით არა გვიშავს.

— დაბრძანდით! — კადილამ სკამისაკენ მიუთითა და ტყვეებმაც იმწამსვე ისარგებლეს ამ თავაზიანობით, დინაკი არ დამჯდარა და როცა ნუგზარმა ისევ სცადა ამდგარიყო, კადილამ შენიშნა:

— ნუგზარ, ადგომით თავს ნუ შეიწუხებთ, ამიტები ძაიხცდამაინც ვერ ვეგუებით სკამს. ამ ოთახში სკამები თქვენთვის დგას, დაბრძანდით და ისე ისაუბრეთ.

ნუგზარმა რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ კადილამ ვერ გაიგო, რა თქვა კაპიტანმა. კადილამ კი არა, ვალერიმაც ვერაფერი გაიგო, რომელიც სწორედ ნუგზარის გვერდით იჯდა.

შემდეგ დინაკმა წამოიწყო ძალზე გრძელი სიტყვა. ის ლაპარაკობდა მშვიდად, დინჯად და საუბრის დროს ძხოლოდ კადილას მისჩერებოდა. ბოლოს, როგორც იყო, სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრმა დაამთავრა თავისი სიტყვა, რომელიც ნუგზარს ძო-
საწყენიც მოეჩვენა და მზერა კადილაზე გადაიტანა.

კადილა კი თარგმნას შეუდგა.

— დინაკი ამბობს, რომ მისი მთავრობა გრძნობს, რა ძხელია თქვენთვის წყლის სამყაროში ცხოვრება. პარლამენტში ამ საკითხზე იქნება მსჯელობა, იმედია, სტუმრები ბოლოს და ბოლოს მთავრობისაგან მიიღებენ ხმელეთზე დაბრუნების ნებართვას. მაგრამ, რაც უნდა მოსაწყენი იყოს ამიტომ ზორის ყოფნა, იგი იმდენად საინტერესოა, რომ თქვენ ალბათ ვერც კი იგრძნობთ დროის გასვლას.

დინაკს სურს, თქვენგან შეიტყოს სამი რამ. პირველი, რა ფაზაშია თქვენთან ოკეანის ფსკერის ათვისების საქმე. ძეორე, როგორია ფსკერის ათვისების ტექნიკური დონე და ძესაძე, რა გეგმები გაქვთ მომავლისათვის.

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პასუხი არ უნდა გასცეთ ამ კითხვებზე, ძალას არავინ დაგატანთ. დინაკს სურს მხოლოდ გულწრფელი საუბარი. ალბათ, ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ ჩვენ საკმაოდ ვართ ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა ხდება ხმელეთზე.

ნუგზარი ადგა და დინაკმა მაშინვე რაღაც თქვა.

კადილამ ნუგზარს შეხედა.

— დინაკი გთხოვთ, დაბრძანდეთ.

ნუგზარი არ დამჯდარა.

— ადამიანებს საუბარი ხშირად უფრო კარგი გამოგვდის, როცა ფეხზე ვდგავართ. მით უმეტეს, სახელმწიფო მინისტრს ველაპარაკები. მაპატიეთ, მაგრამ არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი უაღრესად დიდი პატივისცემა მისდამი — ბატონი ვუწოდო თუ უბრალოდ ამხანაგი, როგორც ეს ჩემს ქვეყანაშია მიღებული.

— როგორც გსურდეთ, — ჩაერია საუბარში კადილა.

— თუ საქმე არჩევანზეა, მაშინ ვუწოდებ ამხანაგს. ეს უფრო გამიადვილებს, ყველაფერში გულწრფელი ვიყო.

ნუგზარი შეჩერდა და კადილამაც ისარგებლა ამ პაუზით, მაშინვე თარგმნას შეუდგა.

დინაკი კეთილი ღიმილით უსმენდა თარჯიმანს.

ნუგზარს მოეჩვენა, რომ სახეზეც კი წამოწითლდა. კადილამ

თარგმნა რომ დაამთავრა, დინაკმა რაღაც ჩაილაპარაკა მოცინხვი ბავშვივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დინაკი მადლობას გიხდით გულუხვი ქათინაურებისათვის.

— არა, ეს ზრდილობისათვის ნათქვამი სიტყვები არაა, ძე გულწრფელად გადმოგცემთ საკუთარსა და ჩემი მეგობრების შთაბეჭდილებას.

გაბოშვილმა ჩაილაპარაკა: „ზუსტად ასეთ“, დანარჩენებმაც თავი დაუქნიეს. ნუგზარმა განაგრძო:

— მიუხედავად იმისა, მსურს სახელმწიფო მინისტრს დიდი დრო არ დავაკარგვინო აქ ყოფნით, მაინც მინდა მადლობა გადავუხადო იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც ჩვენდამი იჩენენ სტუმართმოყვარე ამიტები.

ნუგზარი დაელოდა, სანამ ამ სიტყვებს დინაკს უთარგმნიდნენ და შემდეგ განაგრძო:

— ჩვენ, ადამიანები, ძალზე გავერთეთ კოსმოსით, საუკუნეების განმავლობაში ვიყურებოდით მხოლოდ და მხოლოდ ცისკენ. ბოლოს, როგორც იყო, საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვეტია ოკეანისათვის, დიდი ხანია, ცნობილია, რა ზღაპრულ სიმდიდრეს მალავს თავის წიაღში ოკეანე. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს, როგორც წიაღისეული ოქრო, ვერცხლი, ნავთი, ქვანახშირი, რკინა, შავი ქვა და კიდევ ათასი სხვა რამ, აგრეთვე ფლორა და ფაუნა. მათი ჭკვიანური ექსპლოატაციით ადამიანს შეუძლია გადაწყვიტოს ბევრი ფრიად სერიოზული პრობლემა, რასაც სულ უფრო მწვავედ აყენებს ჩვენი პლანეტა.

მე ერთი იმათთაგანი ვარ, რომლებიც ოკეანის ფსკერის ათვისებაზე ოცნებობენ.

კადილამ ხელით ანიშნა ნუგზარს, თარგმნის საშუალება მომეცით. ნუგზარი მაშინვე დადუმდა და ყურადღება დინაკის სახეზე გადაიტანა. დინაკი ისევ და ისევ მთელი ყურადღებით ისმენდა. ოღონდ აღარ იღიმებოდა.

დინაკი კადილას შეჰყურებდა და მხოლოდ მაშინ ძოაძორა მზერა, როცა კადილამ ნუგზარის სიტყვები ბოლომდე თარგმნა. დინაკმა ახლა ნუგზარს შეხედა და ისევ მეგობრულად გაუღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც ვთქვი, მე ოკეანეზე შეტევის ერთ-ერთი ოსანი ვარ. — უხერხულობა ვერ დაფარა ნუგზარმა, — მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვცოდნია ოკეანის ფსკერის შესახებ. გაცილებით სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, არაფერიც არ გვცოდნია.

კადილამ გაიღიმა და ეს გაღიმება არც მოსაუბრესა და არც სახელმწიფო მინისტრს არ გამორჩენიათ.

— აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას, როცა ამჩნევ კარგად აწყობილ ორკესტრს და იმას კი ვერ ხედავ, ვინაც ეს ლაბაზი თაიგული შეკრა. ასეა ახლაც, ოკეანეს თქვენ დირიჟორობთ.

ჩვენს ისტორიკოსებს ყოველთვის აოცებდათ ერთი შეტად საყურადღებო ფაქტი. სახელდობრ, ის, რომ, როცა ადამიანს ტონისა და ფერების, სილამაზის შეგრძნების უნარი გაუჩნდა, (მაშინ ის გამოქვაბულებში ცხოვრობდა), მიმართა ხელოვნებას. ეს რასაკვირველია, ბუნებრივია, საოცარი მხოლოდ ისაა, რომ პირველი ნატურალისტი მხატვრები, რომლებმაც უხვად მოხატეს ირმებითა და დათვებით, მამონტებით თავიანთი გამოქვაბულები, რატომღაც ჩვენდა თავის სატეხად ხშირად ხატავდნენ ეგრეთ წოდებულ სირინოზებს — ანუ ქალთევზას.

როგორც ვთქვი, დედამიწის პირველი მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი მკაცრი ნატურალისტები იყვნენ, ისინი მხოლოდ მას ხატავდნენ, რასაც ხედავდნენ, წარმოსახვა ჯერ კიდევ არ შეეძლოთ. მე პირადად ვერ დავიჯერებ იმას, რომ რომელიმე მათგანს — იმ ეპოქის გენიოსსაც კი—შეძლებოდა, თავისი ფანტაზიით შეექმნა ოკეანის მადონები. ეს აბსურდია. ამ ფაქტს ჩვენ ადრე უნდა შემოვებრუნებინეთ ოკეანისაკენ, მაგრამ ეს არ მოხერხდა და ისევ ცისკენ ვიყურებოდით.

შემდეგ კადილა თარგმნიდა, კარგა ხანს, ნუგზარი კი გონებაში აყალიბებდა, თუ როგორი პასუხი გაეცა პირველი კითხვისათვის.

— ჩვენ ოკეანეში გავუშვით პირველი მერცხლები. მხედველობაში მაქვს ადამიანთა სამი პატარა დასახლება, რომლებიც შეიქმნა ხმელთაშუა ზღვაში და ატლანტის ოკეანეში. სამწუხაროდ, ამ საქმის ფინალი ტრაგიკული იყო და ოკეანეზე მოლაშქრეები შოკში მოვექციეთ. გაგვიჩნდა ბევრი მტერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მათ აღიმაღლეს ხმა, რომლებიც ზღვაში ფულ-სპექტიულს ვერაფერს ხედავდნენ. მათი დევიზია „ოკეანე მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ძარცვო“.

როცა კადილამ ამ სიტყვების თარგმნა დაამთავრა, დინაკმა რაღაც იკითხა.

— დინაკს აინტერესებს თარიღის დაზუსტება. როდის დაინგრა თქვენი წყალქვეშა დასახლებები?

— ჩვიდმეტი წლის წინათ დაინგრა, მეტად უცნაურ პირობებში, ეს საიდუმლო დღემდე ვერ ამეხსნა. დღეს კი, თუ ჩვენს მასპინძლებს არ ვაწყენინებ, შეიძლება ავხსნა.

ამის შემდეგ კადილა დიდხანს ესაუბრა დინაკს. დინაკმაც რაღაც ჰკითხა და კადილამაც მაშინვე უპასუხა. ისე გაერთნენ საუბარში, თითქოს სტუმრები საერთოდ დაავიწყდათო. მაგრამ ბოლოს, დიდი ლოდინის შემდეგ, კადილა ნუგზარს მიუბრუნდა.

— თქვენ მართალი ხართ, მართლაც მოხდა ამიტომ რამდენიმე ჯგუფის თავდასხმა თქვენს დასახლებებზე. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამაში მთავრობას არ მიუძღვის ბრალი. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ კარგად შეიარაღებულ ტერორისტთა გამოხდომა — თქვენ რომ მოფაშისტო ელემენტებს ეძახით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩვენს გულწრფელობაში.

— ეჭვიც არ მეპარება.

— დიახ, ჩვენთანაც არიან სისხლისღვრის მოყვარული ადამიანები. მათ სრულებითაც არ მოსწონთ, რომ მთავრობა ასე დიდ უფლებას გაძლევთ ადამიანებს ოკეანეში. ისინი მოითხოვენ მთლიანად მოვსპოთ თქვენი ფლოტი. გავანადგუროთ კარიერები, რომლებიც უკვე მრავლად გაჩნდა ოკეანეში.

ასეთმა ელემენტებმა შექმნეს მძლავრი ტერორისტული ჯგუფები. მათ მოკლეს ჩვენი ბევრი შესანიშნავი ადამიანი, მათ შორის მთავრობის წევრებიც.

ტერორისტებს ჩვენ ომი გამოვუცხადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ომი წარმატებით არ მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თვით მთავრობაშიც ტერორისტებს ჰყავთ თავიანთი ამფსონები. ბრძოლა გვიხდება არა ცალკეულ ადამიანებთან, არამედ ტერორისტთა დიდ ჯგუფებთან.

დინაკმა გაიარ-გამოიარა, სახე ახლა ცივი და კუშტი ჰქონ-

და. დარბაზის ბოლოში შემობრუნდა და ნუგზარისაკენ წამოვიდა. მისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდა, მთელი ორი წუთი ელოდა პარაკა... გაჩუმდა თუ არა, კადილამ განაგრძო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე რომ, ბრძოლა ტერორისტებთან ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. მათ მომხრეები ჰყავთ ყველა კატეგორიის ამიტთა შორის.

— ისინი ალბათ ბევრ სისაძაგლესაც ჩადიან?

— გასაგებია, ტერორისტი აბა რისი ტერორისტია. დინაკი ელის თქვენს პასუხს.

— დიახ, პირველმა კატასტროფამ ოდნავ შეანელა ინტერესი ოკეანისადმი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შოკი იყო. ახლა, როცა ადამიანებმა შექმნეს მძლავრი ბატისკაფები, როცა უკვე დაგროვდა წყალქვეშა კარიერებში მუშაობის გამოცდილება, თითქმის მომზადდა ნიადაგი ოკეანეზე მძლავრი შეტევისათვის.

ადამიანებმა უკვე ააშენეს გემები, რომლებიც ჯდებიან ზღვის ფსკერზე.

— მცირე სიღრმეზე, — შეუსწორა კადილამ.

— ჯერჯერობით მცირე სიღრმეზე, მაგრამ მომავალში ეს პროექტები გაუმჯობესდება. ამის გარდა, ჩვენ გვაქვს საშუალება შეკუმშული ჟანგბადი ჩავიტანოთ ფსკერზე.

— ესეც დიდი მიღწევაა, — კვლავ ჩაერია კადილა.

დინაკი კი ისეთი დაძაბვით უსმენდა, თითქოს ყველაფერი გასაგები ყოფილიყოს. მერე, როცა კადილამ უთარგმნა, სახეზე კეთილი ღიმილი გადაიკრა. სიტყვაც არ დაუძრავს, კვლავ ნუგზარს გადახედა და კადილამაც ანიშნა განაგრძეო.

— მომავლისათვის ტექნიკა კიდევ უფრო წინ წავა და ადამინი არამცთუ დიდ სიღრმეებზე ჩავა ოკეანეში, არამედ სამუდამოდ დასახლდება წყალქვეშა ქალაქებში. მე ნათლად ვხედავ ადამიანის მომავალს და ამაში იოტისოდენადაც არ შეპარება ეჭვი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანს სხვა გამოსავალი არცა აქვს, ხსნა მხოლოდ ოკეანეშია.

ნუგზარი გაჩუმდა. კადილა მიხვდა, რომ მან თავისი სათქმელი მოათავა. ჯერი ამიტებზე მიდგა.

კადილა თარგმნას შეუდგა. ძალიან დინჯად საუბრობდა. ზოგჯერ დინაკი ეკითხებოდა და კადილაც დაბეჯითებით არწ-

მუნებდა რაღაცაში. ეს საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს დინაკმა, როგორც ჩანს, ყველაფერი დაახუსტა და თარჯიმანს რაღაც უთხრა.

— დინაკი კმაყოფილია თქვენი გულწრფელი საუბრით. იგი ამბობს:

— როგორც ვიცით, თქვენ ძლიერ სწრაფად მრავლდებით. ბუნებრივია, ეძებთ საარსებო სივრცეს. სივრცე კი ოკეანის ფსკერია. თქვენთვის არასასიამოვნოა იმ ფაქტის შეტყობა, რომ ამ სივრცეს უკვე ჰყავს პატრონი. თუმცა ამიტები არც ისე სწრაფად მრავლდებიან, როგორც თქვენ, მაგრამ ამ ქვეყანაზე ჩვენც საკმაოდ ვართ. უთუოდ ოდესმე მოგვიწევს დიდი ომი. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მომზადებული იქნება.

ნუგზარმა სწრაფად უპასუხა:

— მგონი, ომი საჭირო არაა.

კადილამ თარგმნა ნუგზარის ეს სიტყვები და დინაკის ბაგეს ღიმილი გადაეფარა. მან რაღაც ჩაილაპარაკა.

— დინაკმა თქვა: როცა საქმე საარსებო სივრცეს ეხება, იქ საბოლოო სიტყვას იარაღი ამბობსო.

— ყოველთვის ასე როდია, ცივილიზაციის დღევანდელ დონეზე შესაძლებელია მშვიდობიანად მოგვარდეს ბევრი ფრიად სადავო საკითხები.

კადილამ მხრები აიწურა.

— განა თქვენ ასე არ ფიქრობთ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— ვერ გეტყვით, მე საერთოდ არ მიფიქრია ჩვენი დამოკიდებულების პერსპექტივებზე. გსურთ, რომ დინაკს ვუთარგმნო თქვენი აზრი?

— რასაკვირველია.

კადილა დინაკს მიუბრუნდა. მათ შორის ისევ გაიმართა საუბარი, მერე კი ნუგზარს უთხრა:

— თქვენ ხომ არ გსურთ, სახელმწიფო მინისტრს ჰკითხოთ რაიმე?

— დიახ, მსურს, — უთხრა ნუგზარმა.

— მაშ, ბრძანეთ.

— ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ, დღემდე ამიტებს ჰყავდათ თუ არა ტყვედ ადამიანები. თუ ჩვენ ვართ ის პირველი მერცხლები, რომლებმაც თქვენი ქვეყანა მოვინახულეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი კადილამ ეს კითხვა თარგმნა, დინაკი იმ კედ-
ლისაკენ წავიდა, სტუმრები რომ მთელი საუბრის განმავლო-
ბაში მისჩერებოდნენ. რაღაც იპოვა და თითი შეახო. კედელი
შრიალით გაიხსნა და ადამიანების თვალწინ გამოისხა ფართო
სტენდი. სტენდზე დიაგრამები ეკიდა. პირველზე გამოსახული
იყო ადამიანის სუნთქვის ორგანოები, მეორეზე— კუნთური
სისტემა, მესამეზე—სისხლის მიმოქცევა, მეოთხეზე—საჭმლის
მომნელებელი ორგანოები.

ნუგზარი დიაგრამებისაკენ წავიდა. სულ ახლოს მივიდა:
მერე გვერდით კადილა რომ დაიგულა, მიუბრუნდა:

— ეს ჩვენ ვართ თუ თქვენ?

— თქვენ ხართ.

კადილამ დინაკს შეხედა და რაღაც უთხრა. დინაკს არ
უპასუხია. მხოლოდ ისევ შეახო ხელი რაღაც ღილაკს და ახა-
ლი სტენდი გაიხსნა. იქაც დიაგრამები ეკიდა.

— ეს კი ჩვენ ვართ, — თქვა კადილამ და დარბაზში გაია-
რა. ნუგზარმა კი, ახალი სტენდისკენ გადაინაცვლა. სრულე-
ბითაც არ მორიდებია იმას, რომ იძულებული გახდა, ზურგი
შეექცია სახელმწიფო მინისტრისათვის. არც კადილასათვის
მოუხდია ბოდიში, თითქმის ზედ აეკრა ფერად დიაგრამებს
და ხარბად შეუდგა თვალიერებას. გვერდით რომ ვალერი,
ანდრო და ვიტალი ამოუდგნენ, არც ამაზე გაუპარტყუნებია
ყურები. მთელი ნახევარი საათი უდიდესი გულისყურით სინ-
ჯავდა დიაგრამებს. მერე სწრაფად შემობრუნდა კადილასაკენ
ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— ძალიან ვგავართ ერთმანეთს. მართალი გითხრათ, არ
ველოდი ასეთ მსგავსებას.

— დიახ, ვგავართ, მაგრამ განსხვავებაც დიდია. ჩვენი
ფილტვები გაცილებით პატარაა. პირის ღრუ კი უფრო ტევა-
დი და რთული, ვიდრე თქვენი. ამიტს პირი წყლით რომ ევსე-
ბა, საყლაპავი და სასუნთქი მილი სარქველით იხურება. წყა-
ლი ენის მოძრაობით მიდის ზედა ფილტრისაკენ. იქ ტოვებს
ქანგბადს და შემდეგ ცხვირის საშუალებით გარეთ გამოდის.
როგორც ხედავთ, ეს საკმაოდ რთული სისტემაა.

— გეთანხმებით, მაგრამ საერთოც ხომ ბევრი გვაქვს.

— პირველნი იყვნენ ამიტები, — თქვა კადილამ და ნუგ-
ზარს მზერა გაუსწორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაძლებელია.

— არა, ეს უკვე ჭეშმარიტებაა. ხომ არ გსურთ, კიდევ რაიმე ჰკითხოთ დინაკს? თუ კითხვები გაქვთ, დროზე ჰკითხეთ, თორემ ეჩქარება.

— ჩავთვალოთ, რომ ამჯერად ჩვენი აუდენცია დამთავრებულია. ჩვენ ალბათ კიდევ გვექნება საშუალება, შევხვდეთ სახელმწიფო მინისტრს. ზოგიერთ კითხვას მეორე შეხვედრისათვის შემოვინახავთ.

— მე მქონდა ერთი კითხვა, — თქვა ვალერიმ.

— ბრძანეთ, — უთხრა კადილამ.

ვალერიმ ნუგზარს გადახედა, ჩემს უფლებას ხომ არ გადავაჭარბეო, როცა კაპიტნის მომღიმარ გამოხედვას წააწყდა, თვითონაც გაეღიმა და რიხით დაიწყო:

— ჩვენი დატყვევება ტეროორისტების ინიციატივა იყო თუ სახელმწიფო ღონისძიება?

კადილამ დინაკს შეხედა და ვალერის სიტყვების თარგმნას შეუდგა.

ვალერი ელოდა, მინისტრი სანამ პასუხს გასცემდა, დაფიქრდებოდა, შეეცდებოდა, რაღაც არგუმენტები მოეძებნა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, როცა დინაკმა სულ რამდენიმე ფრაზით მაშინვე უპასუხა.

— არა, ტეროორისტები აქ არაფერ შუაში არიან. ეს მოხდა მთავრობის განკარგულებით.

— ხომ არ შეიძლება ვიცოდეთ, რატომ ჩაერია მთავრობა ასეთ წვრილმან საქმეში?

კადილამ ესეც თარგმნა და დინაკმა კეთილად გაიცინა, მერე სულ ახლოს მივიდა ვალერისთან, კადილაც იქვე მიიხმო.

— ვალერი, დინაკი ამბობს, რომ ამიტებს იმ კვადრატში, სადაც თქვენ ასე ინტენსიურად მუშაობდით, აქვთ ფრიად სერიოზული ობიექტები. ამ ობიექტებისათვის თქვენი ტრალი რომ მოგვეშორებინა, ვიფიქრეთ, გადაგვეჭრა გვარლი. ასეც მოვიქეცით, რამდენჯერმე გადავჭერით გვარლი, მაგრამ ამან, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. თქვენ იმის მაგივრად, რომ ამ კვადრატიდან წასულიყავით, პირიქით, მისი შესწავლა დაიწყეთ და აი, მთავრობამაც მიიღო სათანადო

ლონისძიება. რის შედეგადაც თქვენ ჩვენი ტყვე აღმოჩნდეთ. კიდევ ხომ არ გსურთ რაიმე?

— არა, დღეს საკმაოდ ბევრი რამ გაირკვა.

— აბა, მეტს ნულარ დავაყოვნებთ დინაკს.

კადილა დინაკს მიუბრუნდა, რაღაც უთხრა, დინაკმა ყურადღებით მოუსმინა, მერე თვითონაც ორიოდე ფრაზა თქვა, თანაც ისევ ისე კეთილად იღიმებოდა.

— დინაკი კმაყოფილია დღევანდელი შეხვედრითა და საუბრით. ამბობს, რომ სასიამოვნო იქნება, თუ უახლოეს მომავალში კვლავ შეძლებს თქვენთან შეხვედრას. გისურვებთ ჯანმრთელობას და სამშობლოში მალე დაბრუნებას.

— თუ მას ეს მართლაც გულწრფელად სურს, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ მართლაც შევაღებთ საკუთარი სახლის კარს.—თქვა ვიტალიმ და კადილას თვალი გაუსწორა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამიტი არ მოგატყუებთ.

— ღმერთმაც ქნას.

დინაკს უკვე აღარ დაუცდია როდის უთარგმნიდა კადილა, ხელი მშვიდად აიქნია და სიდღაც სტენდს უკან გაქრა.

როგორც კი დინაკი მიიმალა, ნუგზარმა რაღაც სულიერი ტკივილი იგრძნო. ამ კაცმა სულ რამდენიმე წუთში ოთხივე ტყვე მოაჯადოვა. მისი ხმა, მისი ყოველი სიტყვა იმდენად დამაჯერებლად ჟღერდა, რომ ნუგზარს სურდა, დაუსრულებლივ ესმინა ამ ოქროპირისათვის. ახლა თითქოს ყველაფერი კვლავ ცივი და მოსაწყენი გახდა. ეს ერთფეროვანი, უფანჯრო კედლები ისეთ გრძნობას ბადებდა, თითქოს დილეგში იყავი გამომწყვდეული.

— წავიდეთ, — თქვა კადილამ. ის კართან იდგა და ნუგზარს ეპატიჟებოდა.

ნუგზარმა უხალისოდ გადადგა ორიოდე ნაბიჯი და ზუსტად კადილას გვერდით შეჩერდა.

— ყოველთვის ძნელია ისეთ ადამიანთან განშორება, რომელიც თავისი ძალით, განათლებით, სულიერი სიფაქიზით და კიდევ სხვა მრავალი დიდებული ნიშნით გაჯადოვებს, გხიბლავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ მხედველობაში დინაკი გყავთ?

— რასაკვირველია.

— მართალი ბრძანდებით, მასთან განშორება მართლაც ძნელია, დინაკი ის ამიტია, რომელშიც ათობით მისი თანამოძმის ნიჭი და ძალაა მოქცეული.

გასართობ ოთახში შევიდნენ. კადილამ სკამი გამოსწია და მაგიდასთან დაჯდა.

— დამღლელი დღე იყო, — ჩაილაპარაკა მან.

— მაგრამ სასიამოვნო, — ნუგზარმაც გამოსწია სკამი და მის გვერდით მოთავსდა, — ზოგჯერ დღე იმდენად საინტერესოა, სავსეა მოვლენებით, რომ ვერც კი გრძნობ დროის მსვლელობას.

ამ დროს კადილას მეორე მხრიდან ვალერი მიუჯდა.

— კიდევ მინდა გკითხო, ხომ არ დაგიმთავრებია ის წიგნი?

კადილამ ვალერის გახედა.

—-აკი ვთქვი, თუ გჭირდებათ, ახლავე მოგიტანთ-მეთქი ჯერჯერობით დრო ვერ გამოვნახე, რომ დავამთავრო.

ვალერიმ თითები მაგიდაზე აატკაცუნა.

— კადილა, თქვენ ბრძანეთ, რომ ამიტები არასოდეს ცრუობენო...

— დიახ, ვთქვი.

— თქვენ ახლა ამ წუთში გულწრფელი ხართ?

ვალერი მკაცრად ჩაშტერებოდა თვალებში კადილას, თითქოსდა სურდა, ამ თვალებიდან ყველაფერი ზუსტად და უშეცდომოდ ამოეკითხა.

— რა გსურთ, თქვით.

— მხოლოდ სიმართლე, წაიკითხეთ თუ არა ბოტკინის წიგნი?

ნუგზარი შეიშმუშნა.

— რას ჩააცივდი, ბიჭო, გითხრეს, რომ ჯერ მაგ წიგნისათვის ვერ მოვიცალეო.

მაგრამ სწორედ იმ წუთს კადილამ ნაღვლიანი მზერა ვალერის მოაშორა და თითქოს სხვათა შორის თქვა:

— წავიკითხე. კარგა ხანია, რაც წავიკითხე.

— განა არ ვიცოდი, რომ წაიკითხეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილამ ამოიოხრა. ნუგზარს გაოცებული მზერა შეავლო.

— ის ადამიანები, ბოტკინი რომ წერს, ჩვენ მოვიტაცეთ, — ვალერი გამოცოცხლდა.

— ვიცოდი, განა არა.

— ოღონდ მთავრობა არაფერ შუაშია.

— მაშ, ვის მიუძღვის ბრალი? — იკითხა შლიახოვმა.

— ტერორისტებს. ისინი ტერორისტებმა მოიტაცეს. არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოსდა ყოველივე იმას, რასაც სისხლის სამართლის დანაშაულის სუნი უდის, ტერორისტებს ვაბრალებდე. სინამდვილეში ასეა და რა ვქნა.

— გვჯერა, — თქვა ნუგზარმა.

ჰო, მათ მოიტაცეს თქვენი გემების რამდენიმე ეკიპაჟი. წაიყვანეს წყალქვეშა ლაბორატორიებში და ცდის პირებად აქციეს.

— ვინ იცის, იქნებ დაიღუპნენ.

— დიახ, დაიღუპნენ საშინელი წამებით. მთავრობამ შეძლო ტერორისტთა რამდენიმე ჯგუფის შეპყრობა. დამნაშავენი სიკვდილით დასაჯეს.

— სხვათა შორის, როგორც კი ეს წიგნი გადავშალე, მაშინვე დამებადა აზრი, რომ „ბოტკინის დანაშაულს“ ამიტები ჩაიდენდნენ. — თქვა ვალერიმ.

— როდის წაიკითხეთ ეს წიგნი? — იკითხა კადილამ.

— აქ, ტყვეობაში.

— საკმაოდ გვიან გაგიკეთებიათ ეს დასკვნა.

— მანამდე წარმოდგენაც კი არა მქონია ამიტებზე. ახლა გავიგე, რომ ოკეანის ფსკერზე მოაზროვნე არსება ცხოვრობს.

კადილამ გაიღიმა, წამოდგა და თავისი სკამი ისევ მაგიდას მიადგა. იგი წასასვლელად გაემზადა.

—მგონი, გადაიღალეთ კიდეც. მეტს აღარ შეგაწუხებთ. ხვალ დაგირეკავთ, მეგობრებო. შეიძლება ამ დღეებში რომელიმე სკოლა დავათვალიეროთ.

—ამიხოტი? — იკითხა ვალერიმ.

— არც ამიხოტის დათვალიერებას გვიშლის ვინმე, მაგრამ ეს უფრო თავისუფალი დროისათვის გადავდოთ. ამიხოტი დედაქალაქია, ასე ადვილად მას ვერ დავივლით, სულ ცოტა, ორი-სამი დღე მაინც გვინდა. აბა, ნახვამდის მეგობრებო, კარგ დასვენებას გისურვებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადილა კედელს მიეფარა თუ არა, ვალერიმ მაგიდაზე ბანქოს ქაღალდი დაყარა.

ეს ქაღალდი აქ ეგდო ხოლმე დღისითაც და ღამითაც, მოცალეობის დროს გულს აყოლებდნენ. იმდენს ატკაცუნებდნენ, რომ უკვე შესამჩნევად გაცვდა.

ყველას ძლიერ გაუკვირდა, როცა დილით, ნასაუზმევს, გასართობ ოთახში ნატე შემოპაკუნდა. ნატე სრულებითაც არ ჰგავდა ისეთ ყრმას, დუნედ რომ მიაჩანჩალებს ბავშვობის დაუდგრომელ წლებს.

მოვიდა ნატე, სასუნთქ აპარატზე თითი მიიდო. თითქოსდა იმის თქმა სურდა, „ხმა, კრინტიო“. მარცხენა ხელი ლურჯ, მოკლე შარვალში მოაფათურა და იქიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოაძვრინა. ფართო, ჭკვიანური თვალებით მომზირალმა სტუმრებს ჩამოუარა და წერილი ნუგზარს დაუდო.

ხმას არავინ იღებდა.

ნუგზარმა ბარათს ხელი დასტაცა, სწრაფად გაშალა და ჩუმად ჩაიკითხა.

„სასწრაფოდ მივემგზავრები ამიხოტში. დღეს და ხვალ ნუ მომიკითხავთ. ამ წერილს ხმამაღლა ნუ წაიკითხავთ. ასეა საჭირო. კადილა“.

ნუგზარმა ბარათი უსიტყვოდ გადასცა ვიტალის. ვიტალიმ ჩაიკითხა და ვალერის მიაწოდა. როცა ეს ესტაფეტა ანდროს ხელში დამთავრდა, ნატეს ხმა გაისმა:

— დილა მშვიდობისა, სტუმრებო!

— დილა მშვიდობისა, მასპინძელო, — უპასუხა ვალერიმ და იმ წუთში მის ხმას სხვებიც შეუერთდნენ.

— მე მომაგრებული ვარ თქვენთან, — თქვა ნატემ.

— რაო, მთლად კარგად ვერ გავიგე? — გაიკვირვა ვალერიმ.

— ისა, რომ სკოლამ გამომგზავნა. ქართული ენის პრაქტიკა თქვენთან უნდა გავიარო. თუ წინააღმდეგი არ იქნები.

— იქნები კი არა, ნატე, არამედ, იქნებით. ჩვენ ხომ ოთხნი ვართ. მაშასადამე, მრავლობითი რიცხვით უნდა მოგვმართო. — გაუსწორა ვალერიმ.

ნატემ გაიცინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიახ, ეგ რიცხვები ზოგჯერ მეშლება. თქვენთან ვისწავლი.

— საერთოდ. რა ნიშნები გაქვს? — იკითხა, ნუგზარმა.

— საერთოდ კარგი ნიშნები მაქვს, კარგად ვსწავლობ.

ნუგზარი ადგა, ნატესთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა.

— დღეში რამდენი საათი უნდა დაჰყო ჩვენთან?

— ორი საათი, ალბათ, მეყოფა.

— რასაკვირველია, საკმარისია. ყოველთვის ამ დროს გექნება ჩვენთან ვიზიტი?

— დიახ, ალბათ... თუმცა შეიძლება ზოგჯერ სხვა დროს. ხელს არ შეგიშლით? მინდა თქვენთან ვიარო.

— მგონი, მე და ჩემს კოლეგებს, საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა გვქონდეს. ასე არაა, ძმებო?

— არაფერი, მხოლოდ ნატემ ამიტური გვასწავლოს, — თქვა ვალერიმ. ნატემ ხმამაღლა გაიცინა.

— დიახ, გასწავლით.

— შენ ძალიან გეადვილება ენების შესწავლა, — ანდრომ ვალერის მუჯლუგუნი წაჰკრა.

— დიახაც მეადვილება, — გაიღიმა ვალერიმ.

— აბა, სტუმარს სკამი მოართვით. ხომ ხედავთ, ფეხზე დგას. — თქვა ნუგზარმა.

სანამ ანდრო თავისი ოთახიდან სკამს მოიტანდა, ნატემ მაგიდაზე უდიერად დაგდებული ბარათი აიღო და ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა. თანაც მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ისევ სასუნთქ აპარატთან მიიტანა, აქაოდა ისევ იყუჩეთო. მერე, როცა ანდრომ სკამი შემოახრიგინა, დაჯდა და მაშინვე იკითხა: იქიდან ჩამოტანილი საბავშვო წიგნები თუ გაქვთო.

ვალერიმ გაიცინა.

— ნატე, რომ გვცოდნოდა, აქ, ფსკერზე, ასეთი მასპინძლები დაგვხვდებოდნენ, საბავშვო წიგნებს უეჭველად წამოგიღებდით, მაგრამ ჩვენ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდით. ამიტომ ხელცარიელი გეახელით. თუ სხვა დროს, მეორედ მოგვიწია აქეთ გამოსეირნებამ, იმდენ წიგნებს ჩამოგიტანთ, მთელი თქვენი სკოლა რომ მადლობელი დაგვრჩეს. ახლა კი გვაპატიეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ, თქვენ არ იცოდით, რომ ამიტებთან მოდიოდით? — იკითხა გაოცებულმა ნატემ.

— აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა! ჩვენ ხომ თქვენზე დღემდე არაფერი გაგვეგონა, — თქვა ნუგზარმა.

— მართლა! ჩვენ კი სკოლაში გვასწავლიან ადამიანთა ისტორიას.

— რაო? — ყური ცქვიტა ვალერიმ.

— გვასწავლიან ადამიანთა ისტორიას, რომ იქ, ზემოთ, ხმელეთზე ცხოვრობთ თქვენ. გაქვთ მაღალი სახლები. დაფრინავთ ცაში და ცურავთ ოკეანეში. ტელევიზორშიც ვუყურებთ ყოველივე ამას.

— ჰო, თქვენ იცით ჩვენზე. ჩვენ კი დღემდე არაფერი ვიცოდით, — უთხრა ნუგზარმა.

— ცუდია.

— მართლაც ცუდია, მაგრამ აწი გვეცოდინება და, როცა შინ დავბრუნდები, ჩემი ყმაწვილი ზღვაში რომ დიდ ქვას ჩააგდებს, ვეტყვი: აჩიკო, რატომ სჩადი ამას; იქ ხომ შენი ტოლი ამიტი ბიჭები ცხოვრობენ. ეგ ლოდი რომ თავში დაეცეთ, ხომ ცუდი საქმე მოხდება.

მე კარგად ვიცნობ ჩემ ბიჭს და ის მეორედ ამას აღარ იზამს.

ნუგზარმა ნატეს ბეჭებზე ხელი დაადო. ნატე კი იცინოდა. იცინოდა ბავშვური გულწრფელობითა და სილაღით.

— ის ქვა მართლა მოაღწევს ჩვენამდე?

— შეიძლება ვერც კი მოაღწიოს, მაგრამ თქვენი რომელიმე ცელქი ბიჭი ახლოს, რომ აღმოჩნდეს!...

— მაშინ, ბახ თავში და ზედ დიდი კოპი.

— ასე ადვილად თუ გადარჩა, კიდევ არაფერი, მაგრამ ხომ შეიძლება უარესიც მოხდეს?

— შეიძლება, შენ, ყველას სკოლაში გისწავლიათ, არა?

— დიახ, ყველამ სკოლაში ვისწავლეთ, მაგრამ ამ კითხვის დასმის დროს, შენ ისევ შეგეშალა რიცხვი. შენ ყველას კი არა, თქვენ ყველას-თქო.

— დიახ, მეც მივხვდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. საინტერესოა თქვენი სკოლა?

— ძალიან. ჩვენთან ბავშვები ათი წელი დადიან სკო-

ლაში. მერე სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენთან თორმეტი წელი ვსწავლობთ.

— თორმეტი წელი?

— დიახ, მე ახლა მეშვიდეში ვარ. ხუთი წელი კიდევ უნდა ვისწავლო. გაისად კარგი იქნება.

— რატომ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— იმიტომ, შვიდი წელი ყველა საგანს ვსწავლობთ. მათემატიკა, ალგებრა, გეომეტრია, ოკეანოლოგია, გეოლოგია და კიდევ ბევრი. მერვე კლასში კი სპეციალობის მიხედვით. მე ისტორიკოსი უნდა გავხდე. მათემატიკურ საგნებს აღარ ვისწავლი, აღარც ქიმიას და ბევრ სხვას. რაც მიყვარს, მხოლოდ იმათ ვისწავლი.

— აჰა, რაში ყოფილა საქმე. ამ საგნებმა თავი მოგაბეზრეს, არა?

ნატემ გაიცინა.

— ჰო, ასეა.

— მერე, სკოლას რომ დაამთავრებ?

— მერე ისტორიკოსთა სახლში ვისწავლი ოთხი წელი და დიპლომსაც მივიღებ.

— სხვა პროფესიის მოსაპოვებლადაც ოთხ წელს სწავლობენ?

— არა, მათემატიკოსები ექვს წელს, ექიმები ხუთს.

— ბლომად უსწავლიათ.

ნატემ ბეჭები აიწურა.

— ალბათ ასეა საჭირო. განა შენთან ამდენს არ სწავლობენ?

— ცოტა ნაკლებს.

— ჰოო, — ნატემ გაიღიმა.

— ნატე, — ახლა ანდრო გაბოშვილი მივიდა ამიტ ბიჭთან, — ასე თავისუფლად რომ დაცურავ ოკეანეში, არ გეშინია?

— რისა? — იკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

— როგორ თუ რისა! ვთქვათ, ზვიგენი დაგესხას, ან რვაფეხა, ანდა კიდევ ბარაკუდამ მოინდომოს შენი შესანსვლა. ერთს ჩაგიქროლებს და მერე უყარე კაკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატე გაოგნებული მიშტერებოდა ანდროს.

ვერ გავიგე, ვინაა ზვიგენი, ან ბარაკუდა?

— ზვიგენი მტაცებელი ცხოველია, — აუხსნა ანდრომ, — მოქნილი ტანი აქვს, პირი სულ კბილებითა აქვს გამოტენილი. ისეთი ბასრი კბილებით, რომ...

— მოიცა, — თქვა ნუგზარმა. ხელები ჯიბეებზე მოისვა: იქიდან ის წერილი ამოიღო, ტუმბაზე რომ დახვდა ერთხელ დილით. გაშალა და მაგიდაზე ისე დადო, რომ კადილას ნაწერი ქვეშ მოექცა, მერე ფანქარი მოძებნა. — აი, შეხედე, ნატე, ზვიგენი ესაა.

ნუგზარმა ლამაზი, მოქნილი ცხოველი ქაღალდზე გამოსახა.

— აა, ამას ამიტურად კანდა ჰქვია, — გაიცინა ნატემ.

— ეს კიდევ რვაფეხაა.

— ჰო, ამას ჩვენ ჩუკოს ვეძახით.

— ესეც შენი ბარაკუდა.

— კაბუნა, კაბუნა, — აყვირდა ნატე.

— ჰოდა, ეს ცხოველები საშიში მტაცებლები არიან. ჩვენ გვეშინია მათი, რადგანაც არც ადამიანზე თავდასხმას ერიდებიან.

— მე არა, არ მეშინია. ისინი აქ არ შემოდიან. იქით ცხოვრობენ, ტყის თავზე. ხანდახან თუ შემოძვრებიან და ისევ გარბიან. მე მათი არ მეშინია...

— ვაჟკაცი ყოფილხარ.

გაბოშვილმა მხარზე ხელი დაჰკრა.

— ვაჟკაცი რა არის?

— აი, ასეთი ყოჩაღი ბიჭი, როგორიც შენ ხარ. არაფრის რომ არ ეშინია. პირიქით, სხვებს რომ აშინებს.

— ჰოო, — ნატემ გაიცინა.

— მაშ მე ვაჟკაცი ხარ.

— ხარ კი არა, ვარ, — ასე უნდა თქვა.

— მივხვდი, მივხვდი, ვაჟკაცი ვარ. იქ, ზევით ბევრი ვაჟკაცია?

— ბლომად, მაგრამ ისეთი ბიჭებიც არიან, რომლებიც ვაჟკაცობაზე თავს ვერ დებენ, მაგრამ მაინც კარგი ბიჭები არიან.

ნატემ გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატე რომ წავიდა, ნუგზარმა საშინელი მოწყენა იგრძნო. ასეთ დროს ყოველთვის განმარტოებას ირჩევდა. ახლაც ადგა და თავის ოთახს მიაშურა. მხოლოდ ფეხთ გაიძრო, ისე მიეგდო საწოლზე.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა კურსანტის ფორმაში გამოწყობილი პირველად წაჰყვა სათევზაო გემს შორეულ რეისში, ნუგზარმა დიდი სევდა იგრძნო. სხვა დროს არც კი უფიქრია, ნოსტალგიაზე. ახლა კი ყოველცისმარე, გემბანიდან გაჰყურებდა ნათელ ცას, რომლის ჰორიზონტს იქით მისი ქვეყნის კონტურები გაუჩინარდა.

მაშინ ჭაბუკი იყო და ყველაფერს ხარბად აღიქვამდა. ასევე აღიქვა ზღვაც, რომელიც მის სხეულში ნელ-ნელა ისე მკვიდრდებოდა, როგორც სულის განუყრელი ნაწილი. სწორედ მაშინ მიხვდა პირველად, რომ სევდას ზღვის ტალღებით უნდა უმკურნალო. იმ წუთებში, როცა გულზე ნაღველი შემოაწვებოდა, უკანა ერდოზე ჩადიოდა, მოაჯირს გადაეკიდებოდა და ოკეანის ტალღებს უსმენდა. ის ნელ-ნელა სწავლობდა ზღვის ენას. მისი სმენა უკვე არჩევდა ზღვის მოთქმასა და მხიარულ ბუტბუტს. ზოგჯერ მას მოწყენილ მზეთუნახავს ადარებდა, ზოგჯერ კი აშარ მუზმუზელა ბიჭს. მაშინვე ქრებოდა მელანქოლია. ოკეანის ნაირ-ნაირ ბგერებს მის სხეულში უხვად შეჰქონდა მზე და წყალი. სულ ათ წუთში სულიერი მეტამორფოზა თავის ზენიტს აღწევდა და ნუგზარი ლაღად ადიოდა გროტანძის შავად მოლაპლაპე კიბეზე.

ახლაც სურდა, მოესმინა ზღვისათვის. თუგინდ ამ წუთში ტალღები მასზე უფრო მოწყენილი ყოფილიყო. მოესმინა, რომ ის სევდა, რაც ნატეს გამოჩენამ შექმნა, გაეფანტა. თითქოსდა ეს ზღვის პატარა ბიჭი ჩამოგავდა კიდეც მის აჩიკოს... ასეთივე ჯიუტი გამოხედვა და უდარდელი სიცილი იცოდა. ხმაც ასე უწკრიალებდა.

აჰ, რა კარგი იქნებოდა ახლა, ამ წუთში უკანა ერდოზე რომ იდგეს და მუქ ტალღებს ეჩურჩულებოდეს...

ოთახში რომ ვიღაც შემოვიდა, არ ესიამოვნა. ანდრო იყო.

— ბანქოს არ ითამაშებთ, კაპიტანო?

უნდოდა ეთქვა, არაო, მაგრამ ანდროს ისეთი ნაღვლიანი

ხმა, ჰქონდა, ამ ხმაში იმდენი მწუხარება იგრძნო, უარი ვერ ვერ შებედა. წამოდგა და ფეხები უდარდელად გაშალა.

— როგორ არა, ვითამაშოთ. თევზჭერის სამმართველოში ვიყავი მისასვლელი, მაგრამ ხვალ წავალ. მგონი ამით არაფერი დაშავდეს.

ანდრომ გულით გაიცინა.

— იქნებ მეც წაგეყვანეთ, კაპიტანო, ძლიერ მომენატრნენ ჩვენი ბიჭები.

— სიამოვნებით, როცა წავალ, წაგიყვან.

კაპიტანმა ხაზი გაუსვა ამ სიტყვებს და ანდროსაც ერთ წუთს კვლავ მოაწვა გულზე ეს დაწყევლილი ნოსტალგია.

კადილა არც მეორე დღეს მოსულა და არც მესამე დღეს. სამაგიეროდ, სისტემატურად მოდიოდა ნატე. პატარა, მხიარული ნატე და თან მოჰქონდა ათასი ფუთი სითბო. ნატე უჩუმრად შემოიჭრა მათ ცხოვრებაში. მეორე დღეს რომ აღარ გამოჩნდა, ყურები ჩამოყარეს.

სადილობისას კადილა მოვიდა. მას დაღლილი და სევდიანი სახე ჰქონდა. ნუგზარმა შვება იგრძნო, როცა კადილა მოკლე ნაბიჯებით გასართობ ოთახში შემოვიდა.

— აი, მეც აქა ვარ, — თქვა მან და ვალერის გვერდით დაჯდა.

ნუგზარმა სკამი მისკენ მიაჩოჩა.

— დღეს რატომ არ ჩანს ნატე? — იკითხა მან.

კადილამ გაღიმება სცადა.

— ნატე დღეს სკოლაში გველოდება. თავი ხომ არ მოგაბეზრათ ამ ანცმა ბიჭმა?

— არა, ქალბატონო კადილა, — რაღაც დიდი სითბოთი თქვა ვალერიმ, — პირიქით, ნატემ თავი შეგვაყვარა. თითოეული ჩვენთაგანი მასში საკუთარ შვილს ხედავს.

ვალერი ახლა სულაც არ ჰგავდა თავისთავს. სახე ერთთავად ჩამოსტიროდა, თვალებში სევდა ჩასდგომოდა. იფიქრებდით, საცაა, ლოყაზე ცრემლები მძივებად ჩამოუგორდებაო.

კადილამ კვლავ სცადა გაღიმება, მაგრამ ისევ არ გამოუვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიხარია, თუ ნატემ ცოტა სიამოვნება მაინც მოგგვარათ. იგი ახლა მოუთმენლად გელით თქვენ. ვფიქრობ, ბავშვს შეუყვარდით.

— მაშ, სკოლაში მივდივართ? — იკითხა ანდრომ.

— დიახ, სკოლაში.

— ასე ხელცარიელი? — გაბოშვილმა ნუგზარს გადახედა.

— ამჯერად ასე იყოს, ანდრო, — თქვა ნუგზარმა, — ჩვენი ბრალი ხომ არაა. რას იზამ, ტყვეები ვართ.

— ნუ ხმარობთ ამ საშინელ სიტყვას, როცა სიტყვა „ტყვეები“ მესმის, ყოველთვის წარმომიდგება ყველაზე ტანჯული კაცი.

— ჩვენც ზუსტად ასე ვართ...

— ესე იგი, თქვენ დესპოტებთან იმყოფებით...

— არა, მაგას არ ვამბობ, ვფიქრობ, ამიტები ლმობიერი ხალხი უნდა იყოს.

— არც ცდებით.

— მაგრამ, ხანდახან, იცით, ლმობიერება ძალზე საშიში ხდება. გულახდილად მითხარით, ოდესმე თუ გაგიშვიათ ტყვე ადამიანი. ის დიაგრამები, დინაკთან რომ ვნახეთ, მაფიქრებინებენ, ასეთი ტყვეები თქვენ არცთუ ისე ცოტა უნდა გყოლოდათ, მაგრამ იქნებ რომელიმე მათგანი იმ პირობით გაათავისუფლეთ, რომ თქვენს შესახებ კრინტს არ დაძრავდა. მანაც შეასრულა თავისი სიტყვა, დაბრუნდა და ხმაც არ ამოუღია, თითქოსდა ამიტები თვალითაც არ ენახოს.

კადილა დუმდა. დიდხანს დუმდა, ბოლოს, როგორც იყო, ამოღერღა:

— ჩვენთან ბევრი ადამიანი მოხვედრილა, ცოცხალი კი არავინ წასულა. ამიტებმა კარგად იციან ერთი ჭეშმარიტება: როცა საქმე უდიდეს საიდუმლოებას ეხება, პატიოსან სიტყვაზე დანდობა დიდი სისულელეა. მით უმეტეს, თუ კარგად იცი, შურისმაძიებელი ვერ მოგვწვდება. ჩვენ არასოდეს არ ვჭრით იმ ხეს, რომელზედაც პაპას ეძინა.

— მაშ, რა დაემართათ იმ ბედკრულ ადამიანებს, თქვენს ტყვეებს?

— დაიხოცნენ. ჯერჯერობით ხმელეთის ადმიანები მთლად

კარგად ვერ ეგუებით ფსკერს. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ თქვენი შეტევა ოკეანეზე შორეული მომავლის საქმეა.

— ამჟამად ხომ არ გყავთ ტყვედ ადამიანები? — ეს უკვე ვალერიმ იკითხა.

— კი, ეს თქვენ ხართ...

— არა, ვერ გამიგეთ, კადილა, ჩვენს გარდა თუ გყავთ. ჩვენ რომ ამიტების ტყვე ვართ, ამაში ჯერ კიდევ ათი დღის უკან დავრწმუნდით. ნუგზარმა გაკვირვებით შეხედა ვალერის და მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ნუთუ ათი დღე გავიდა.

— მეტი, — თქვა კადილამ, — დღეს მეთხუთმეტე დღეა.

— ჰო, მე დაახლოებით ვთქვი, — თავი იმართლა ვალერიმ, — მაგრამ თქვენ არ მიპასუხეთ მთავარ კითხვაზე.

— ამჟამად ტყვედ გყავს თუ არა სხვა ადამიანებიც?

— რომ გითხრათ — არაო, დამიჯერებთ? — კადილას ხმა გაებზარა.

— რასაკვირველია, თქვენ ხომ ბრძანეთ, ამიტი არასოდეს არ ცრუობსო, — უთხრა ვალერიმ და თვალი გაუსწორა.

— არა გვყავს. იყო ერთი პორტუგალიელის ოჯახი.

— მთელი ოჯახი? — იკითხა გაბოშვილმა და სკამი ახლოს მიაჩოჩა.

— დიახ, მთელი ოჯახი. დედა, მამა და ექვსი შვილი. საკუთარი იახტით მიცურავდნენ და ტერორისტებმა მოიტაცეს.

— მერე? — ვერ ისვენებდა გაბოშვილი.

კადილას ხმა უფრო გაებზარა.

— მერე, ამ ერთი კვირის წინათ ტერორისტებმა გამოაცხადეს მათი გარდაცვალების ამბავი.

— იქნებ დახოცეს? — იკითხა ნუგზარმა.

— შესაძლოა. ვფიქრობთ, დახოცავდნენ. სახელმწიფო უშიშროების სამსახური მთელი თვე ეძებდა ტყვეთა სამყოფელს, ვერ მიაკვლიეს.

მოდით, დღეს ეს ვიკმაროთ. ბავშვები გველოდებიან, შევიბრალოთ, მთლად ცხვირჩამოშვებული მათთან მისვლა არ ივარგებს.

არავის არაფერი უთქვამს და კადილა წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანქანა გველოდება.

— შეიძლება თქვენს გვერდით კაბინაში მოვთავსდე? მაინტერესებს, როგორ მართავთ კიბანს, — უთხრა კადილას ვალერიმ და ისიც ადგა.

— რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ კაბინა ღიაა, თქვენ იქ დაიღუპებით.

ბატისკაფში გვქონდა წნევისგამძლე კოსტიუმები და ჟანგბადის ბალონები. ის ინვენტარი კარგ სამსახურს გაგვიწევდა ახლა.

კადილა დაფიქრდა.

— მოითმინეთ, შეიძლება გიშოვოთ საჭირო კოსტიუმი.

იგი გავიდა. როცა დაბრუნდა, ისევ ვალერის გვერდით დადგა.

— საქმე მოგვარებულია, თქვენ ჩემ გვერდით მოთავსდებით, კაბინაში. — ვალერიმ ხელი გაუწოდა, როცა მისი კოტიტა თითები ქალიშვილისას შეეხო, იგრძნო, რომ კადილას ცივი ხელი ჰქონდა.

— წეღან რომ მობრძანდით, ძალზე მოწყენილი იყავით, ახლა გუნება შეგეცვალათ. რა მოხდა ხუთ წუთში?

კადილამ ვალერის გაუღიმა.

— ამიხოტიდან მართლაც ცუდ გუნებაზე დავბრუნდი. ამაზე სხვა დროს. ახლა, თუ ხასიათი შემეცვალა, ეს იმიტომ, ძალზე მსიამოვნებს, როცა ვინმეს კეთილ სურვილს ვუსრულებ. თქვენი სურვილი შევასრულე, ვალერი, და ეს გამიხარდა. ნება მომეცი, ჩემი შინაგანი ბუნებით დავტკბე. ჩვენ ხომ სიხარული ისედაც შეზღუდული გვაქვს.

— ასეთი რამის განცდა მხოლოდ ძალზე კეთილ ადამიანებს შეუძლიათ, ბარაქალა თქვენს გულს, კადილა, — თქვა ნუგზარმა.

კადილამ მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა. ნუგზარს მოეჩვენა, თითქოსდა ქალიშვილს ფერმკრთალ უპეებში ცრემლი ჩადგომოდა. იმ წუთში რაღაც ძალამ უბიძგა. უნდოდა ხელი მოეხვია კადილასათვის და ეთქვა თბილი სიტყვები, რომლებსაც ჩვეულებრივ ლამაზსა და კეთილ ქალიშვილს ეუბნებიან.

მაგრამ ეს არ გაუკეთებია. სულ ბოლო წამებში თავი შეიკავა. ყრუდ ჩაახველა და მზერა ვალერისაკენ გააპარა.

კადილამ თითქოს იგრძნო ვაჟის წადილი. იდგა ცოტათი აგზნებული, ცოტაც მელანქოლიური და ცდილობდა, ნუგზარის თვალებში ჩაეხედა. თუ ამას ვერ ახერხებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნუგზარი ახლა ლასოასხლეტილი ულაყივით ჯიუტად განზე გარბოდა.

წითელ ოთახში რომ გავიდნენ, ვალერიმ ბეჭზე კადილას ხელის შეხება იგრძნო.

— ვალერი, იმ ჯიხურს ხედავთ? — ჩაესმა ქალიშვილის ხმაც.

— ვხედავ. ადრე არ იდგა, ახლა მოურთმევიათ ჩვენთვის.

— პირადად თქვენთვის მოიტანეს. შეხვალთ შიგ, გაიძრობთ ყველაფერს...

— ქვედა და ზედა საცვალსაც?

— არა, ეგ საჭირო არაა, — გაიღიმა კადილამ, იქ ელასტური კოსტიუმია, ჩაიცვით. გაიკეთეთ ნიღაბიც, ნიღაბს თავისი სასუნთქი აპარატიც აქვს. საქმეს რომ მორჩებით, მაშინვე გამოდით, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. ჰო, მართლა, იქ ჟანგბადის ბალონიც იქნება, ზურგზე მოიგდეთ. გამიგეთ?

— ყველაფერი მესმის, კადილა, პროცედურას ჩქარა მოვრჩები, მაგრამ ჟანგბადიან ოთახში ნიღბით გამოსვლა საშიში ხომ არაა?

— არა იგი ასეთი ოთახისთვისაცაა გათვალისწინებული. იჩქარეთ ვალერი.

— მივდივარ, — თითქმის დაიყვირა ვალერიმ და ჯიხურისაკენ გაქანდა.

ოთხ წუთში იქიდან უცნაური ორფეხა გამოვიდა. ნამდვილად რომ არ სცოდნოდათ, ჯიხურს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანის გამოშვება შეეძლო, რომელსაც სახელად ვალერი ერქმეოდა და გვარადაც ბასილაია იქნებოდა, უეჭველად ეჭვს შეიტანდნენ იმ ორფეხის ვინაობაში, მაგრამ ახლა მეტი რა ჩარა იყო, გინდოდა თუ არა, უნდა გეწამა, რომ ზვიგენისთავიან ნიღაბში მათი ანგალი მეგობარი იმალებოდა.

ანდრო გაბოშვილი ამ დროს სულ სხვა მხარეს იყურებოდა. ამიტომ ძლიერ შეკრთა, როცა იგრძნო, მარჯვენა ფეხზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაღაც სულიერი რომ ჩააფრინდა. იმავე დროს მისმა სმენამ უცნაური ბგერებიც აღიქვა.

დაფეთებული შემობრუნდა. ხედავს, მეტრ და სამოცდაათ სანტიმეტრიან ზვიგენს მისი ფეხისათვის ხელები ჩაუვლია. იმ წუთში ის გაიფიქრა, საიდან გაუჩნდა ხელები ზვიგენსო. მერე ერთი მაგრად დაიფრუტუნა და ფეხის განთავისუფლება სცადა, მაგრამ რამდენს არ გაიქაჩა ანდრო, არაფერი არ გამოუვიდა.

ყველაზე დიდი სეირი კი კადილა იყო. სასუნთქმა აპარატმა რომ ვეღარ გაუძლო მის გულიან სიცილს, კისრამდე ჩამოიწია, ხელები მკერდზე მიიჭირა და ისე კისკისებდა.

ნუგზარმა პირველად ნახა ჟანგბადის სამყაროში მისი დიდებული სილამაზე. ის კომიკური სცენა, რომელიც ორი წუთის წინ დაიწყო და ფინალამდე ჯერ არც კი მისულიყო, მისთვის აღარ არსებობდა. იგი შიშითა და გაოცებით მისჩერებოდა კადილას და მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა.

ბოლოს, როდის-როდის კადილამ ცრემლები ხელისგულით ამოიწმინდა, სასუნთქი აპარატი ისევ ნიკაპზე ზემოთ ააცოცა და მხოლოდ ახლა თქვა: ძალიან გაგიჭირდებოდათ ჩვენთან ყოფნა, თქვენს შორის ვალერი რომ არ იყოსო.

ანდრო ამასობაში ყველაფერში გაერკვა. ვალერის ხელი ჩაავლო, ჰაერში ციმციმ აიტაცა და ნუგზარს მიუბრუნდა:

— რას მიბრძანებთ, კაპიტანო, რა ვუყო ამ ეშმაკის კერძს?

ნუგზარს ძალზე სერიოზული სახე ჰქონდა და ანდრომაც ხელი უშვა თავის ნადავლს.

— თქვენ შეგიძლიათ სუფთა ჟანგბადით ისუნთქოთ? — ჰკითხა ნუგზარმა კადილას.

— არა, არ შემიძლია, ეს ისე, სულ ერთი წუთი. კიდევ რომ გაგრძელებულიყო, შოკში ჩავარდებოდი და დამნაშავე ვალერი იქნებოდა. ამიტომ, ვალერი, როცა ჩემთან ხართ, უფრო თავშეკავებულად იხუმრეთ.

— გასაგებია. სულაც აღარ ვიხუმრებ.

— არა, ეგ არ მითქვამს, ხუმრობას რა სჯობს, მაგრამ ამ აპარატის ქვეშ არ შეიძლება მთელი სხეულით ვიცინო.

კადილამ ერთბაშად სერიოზული სახე მიიღო.

— აბა, წავიდეთ, ისედაც ბევრი დავაგვიანეთ.

კადილა კედელთან მივიდა, ხელი შეახო. კედელი ბოზ-
დილი ლიუკის კვალობაზე გაიხსნა. ლიუკს იქით კი, კიბანის
საჯდომები ჩანდა.

— აბა, ვალერის გარდა ყველანი უკანა კაბინაში შებრძან-
დით. ვალერი უკვე ამიტია.

ნუგზარი, ვიტალი და ანდრო, ლიუკში შეძვრნენ თუ არა,
სარქველი მაშინვე დაიხურა და კადილამაც ახლა ცოტა მარ-
ჯვნივ გადაინაცვლა, ისევ შეახო კედელს თითი და კვლავ
დაიხურა იგი. კადილა და ვალერი ძალიან პატარა ოთახში
აღმოჩნდნენ. დაიხურა თუ არა ის წითელი კედელი, ვალერიმ
იგრძნო, როგორ აივსო წყლით ვიწრო კაიუტა. იგი კადილას
წინ აღმოჩნდა; კადილა, რასაკვირველია, სასუნთქი აპარატის
გარეშე იდგა და ვალერი გამჭვირვალე წყალში ხედავდა მის
ალუბლისფერ ტუჩებს, კოხტა ცხვირს და ქათქათა კბილებს.
მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ვალერი წყლის ტემ-
პერატურას ვერ გრძნობდა. მაშინვე მარჯვენა დაულოცა მათ,
ვინც ეს კოსტიუმი შექმნა. სწორედ ამ დროს ყურთან კადი-
ლას ჩურჩული მოესმა:

— ვალერი, ცურვა იცით?

ვალერიმ მარჯვენა ხელი გაიქნია.

— რასა ბრძანებთ, მეზღვაური და ცურვა არ იცოდეს.

— ჰო, მაინც გკითხეთ.

— რა კარგად მესმის თქვენი ხმა.

— ეს იმიტომ, რომ ნიღაბზე დაპროექტებულია სპეციალუ-
რი წყალქვეშა სმენის აპარატი.

წყალში გაფანტულ უამრავ ბგერებს შორის კადილას ხმა
ცოტა მელანქოლიურად ჟღერდა.

— აბა, მომყევით, არ დამკარგოთ!

ეს უკვე ბრძანება იყო და ვალერიმაც კარგად დაინახა, თუ
თევზქალი როგორ გაცურდა მის წინ. მიხვდა, რომ უკვე ღია
სივრცეში იყვნენ. ხედავდა მხოლოდ კადილას ფეხებს, რომ-
ლებიც მწყობრად მოძრაობდნენ და ქალიშვილის სხეული მი-
ჰქონდათ წინ.

ვალერიმ იმარჯვა. ხელებიცა და ფეხებიც მაგრად გაიქნია.

თვითონაც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადავიდა და ამიტის ნაკვალევს გაჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ახსოვს, ეს მარათონი რამდენ ხანს გაგრძელდა, მაგრამ როცა მის წინ კიბანი შეამჩნია, ძლიერ გაუხარდა. კადილა კაბინაში შესრიალდა და ვალერიც მაშინვე მის გვერდით გაჩნდა.

— ყოჩაღ, ვალერი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ადამიანს ასეთი ცურვა შეეძლო.

— მგონი, ცუდი მოცურავე არ უნდა ვიყო, ქალბატონო კადილა. მთელი ცხოვრება ზღვის ტალღებში და მანქანებთან გამიტარებია.

— თუ ტექნიკაში ისე ერკვევით, როგორც ცურვაში, მაშინ შემიძლია ვიფიქრო, რომ კარგი სპეციალისტი ბრძანდებით.

— რა მოგახსენოთ, ჩვენში ამბობენ: თავის ქება კიტრად არ ღირსო. კიტრის ფასი კი კაპიკია. ერთი ეს მითხარით, კიბანს მართვის ორი პულტი აქვს?

— დიახ.

ვალერი სულ ახლოს იჯდა კადილასთან. კაბინა საკმაოდ სრული იყო. თავისუფლად იტევდა ორ სულიერს. სამართავი აპარატურა კადილას წინაც იყო მოთავსებული და ზუსტად მისი ასლი ვალერის ედგა.

კადილამ ვალერის გადახედა.

— თუ გსურთ, ისწავლოთ კიბანის მართვა, დააკვირდით ჩემს მოძრაობას.

ვალერიმ თავი დაუქნია.

— მანქანა წესრიგში ასე მოდის.

კადილამ სამი თითით წითელი ჩამრთველი გადართო.

— გასაღებით არ აღებთ? — იკითხა ვალერიმ.

— გასაღები რა საჭიროა.

— ვინმემ თქვენი ნებართვის გარეშე, რომ არ ცადოს გასეირნება.

— არა, ასეთი რამ არ ხდება. ამის უფლება არავის არა აქვს.

— აგაშენოთ ღმერთმა.

კადილამ საჭეს მოჰკიდა ხელი.

კიბანის საჭე მსუბუქია, ადვილად ემორჩილება ხელს. ამი-

ტომ მძღოლისაგან ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს. საკმარისია, ოდნავ დაუდევრად გასწიოთ და მანქანაც მაშინვე [illegible]ბა, კარგად მოჰკიდეთ საჭეს ხელი. მივდივართ.

მანქანა დაიძრა. მაშინვე იმ ტრასაზე გავიდნენ, გასართობი ოთახის ფართო მინიდან რომ ჩანდა. ლამაზი ხეივანი იყო. აქეთ-იქით უზამაზარი ამწვანებული ხეები. შუაში ფართო ქუჩა და ქუჩის ქვეშ პროჟექტორები. ვალერიმ თავი ველარ შეიკავა და კადილას მიუბრუნდა:

— უკეთესად ვერც კი მოიფიქრებდა კაცი ოკეანის ფსკერის განათებას, იდეალური ვარიანტია. თავი რომელიმე დიდ ქალაქში მგონია.

— ვალერი, ეს პროექტები მუშავდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ამიტები თანდათან ხვეწდნენ მემკვიდრეობით მიღებულ გამოცდილებას. მუშაობდნენ მკლავმოუღლელად და აი, ბოლოს შედეგიც.

— ბარაქალა თქვენს შრომას.

— გმადლობთ. ეჩვევით საჭეს?

— მგონი კი.

— მაშინ იცით რა, თუ გსურთ ცოტაზე თქვენ ატარეთ, შეძლებთ?

— ვნახოთ.

— დააკვირდით, ეს გადამრთველი სიჩქარეებისაა. მარჯვნივ რომ გადასწევთ, სიჩქარე მოიმატებს და, პირიქით. კიდევ ერთი რამ დაიხსომეთ, რაც უფრო დიდი სისწრაფით მიდიხართ, ჭერიც მაღალი უნდა აიღოთ. თქვენთან ჰორიზონტალური მოძრაობაა, ჩვენთან კი ვერტიკალური.

— ვიცი, ეგ ხომ უკვე გვითხარით.

— ჰოდა, კარგად დაიხსომეთ. მანქანას უკვე თქვენ მართავთ.

ვალერი დაიძაბა. საჭეს მაგრად ჩაავლო ხელი და თვალებით გზა გაზომა. კიბანები ბლომად მოძრაობდნენ. ისინი ძირითადად მათ თავზე დაქროდნენ და ვალერი მიხვდა, მათი მანქანა ნელა მიდიოდა და საჭე მძღოლს კარგად ემორჩილებოდა. მართვაში გაწაფულ ხელებს ჩინებულად მიჰყავდა მანქანა.

ცოტა ხნის შემდეგ ვალერიმ რომ სიჩქარეს მოუმატა, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილამ მხოლოდ ღიმილით გადახედა. ამან გაათამამა და ერთ-ორ-ერთ მოუმატა სიჩქარეს. ქალიშვილს რომ არ დაეტუქსა, თქვა: კარგი მანქანაა. კადილამ თავი დაუქნია.

— კიბანი ჩვენთან ნიჭიერმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. მანქანამ ყოველმხრივ გაამართლა.

— რამდენი აქვს კრეისერული სვლა?

— თქვენს კილომეტრებზე გადაყვანით, საათში ასორმოცდაათი.

— რამდენი? — გაიკვირვა ვალერიმ.

— ასორმოცდაათი კილომეტრი.

— პირდაპირ წარმოუდგენელია. რატომ აქვს ორი სამართავი პულტი?.

— კიბანი განსაზღვრულია შორი რეისებისათვის. შორ გზაზე კი ჩვენთან მარტოხელა მგზავრები არ დადიან. ამიტომ კონსტრუქტორებმა ასე გადაწყვიტეს, შეექმნათ ორი სამართავი პულტი, როცა ერთი მძღოლი დაიღლება, მუშაობას მეორე გააგრძელებს. ასე უფრო მიზანშეწონილია.

— გეთანხმებით.

— თქვენ ისე დაგყავთ, თითქოსდა ყოველდღე ჯდებოდეთ კიბანის საჭესთან.

— საჭე ჩემთვის არაა უცხო. მეც მაქვს საკუთარი მანქანა. თუმცა ის ოკეანის ფსკერზე არ დაცურავს, მაგრამ რა მოვალეობაც აკისრია, იმ საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს. ერთი რამ მინდა გკითხოთ, კადილა.

კადილა ვალერისაკენ შებრუნდა და დაიძაბა. ვალერიმ რომ ხმის ამოღება დააგვიანა, ვეღარ მოითმინა.

— თქვით, ვალერი, გელოდებით.

— იცით რა, კადილა, — გაუბედავად დაიწყო ვალერიმ, — დინაკთან რომ ვიყავით, ხომ გახსოვთ?

კადილამ გაიცინა.

— როგორ არ მახსოვს.

— მაშინ დინაკმა თქვა...

— ჰო, რა თქვა?

— თქვა, რომ ამიტები ნელა მრავლდებიანო. რატომ ხდება ასე?

— ადგილები, სადაც ამიტები მოსახლეობენ, გეოლოგიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ხშირია მიწისძვრა, ბულ-კანების ამოფრქვევა და სხვა ათიათასი უბედურება. თითო-ეულ ასეთ მოვლენას დიდი მხსვერპლი მოსდევს. სწორედ ამიტომ ვიწყეთ ოკეანის თხელ შრეებში გადმოსახლება. ტე-რასებმა, სადაც ჩვენ ახლა ვსახლდებით, გაიარეს გეოლოგი-ური გარდაქმნის პერიოდი და შედარებით სიმშვიდის ხანაში შევიდნენ. გარდა ამისა, თხელ შრეებში ჩვენ თანმიმდევრუ-ლად ვწყვეტთ ორ პრობლემას — წნევისა და ჰაერთან შეგუე-ბის პრობლემას.

— მრავალშვილიანობას თუ მისდევენ ამიტები?

სამწუხაროდ, არა. ორი-სამი, იშვიათად ოთხი შვილი თუ ჰყავთ.

— ცუდია.

— რა თქმა უნდა! პარლამენტმა ამის თაობაზე რამდენჯერმე იმსჯელა და კანონიც მიიღო, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

ახლა ამიტები ფიზიკურად შესანიშნავად არიან შეგუებუ-ლი ოკეანის თხელ შრეებს. სანამ ამას მივაღწევდით, ჩვენ ანა-ტომიურად საკმაოდ დიდი ცვლილებები განვიცადეთ. ამიტთა სასუნთქი ორგანოები თითქმის სულ შეიცვალა. სასუნთქმა აპარატმა კი, რომელიც ამ ორმოცდაათი წლის წინათ შექმნეს კონსტრუქტორებმა, მთელი გადატრიალება მოახდინა. ჩვენ გვჯერა მომავლის, ამიტომაც ასე მტკიცედ მოვაბიჯებთ თქვენს გვერდით, მხარს გიმშვენებთ.

— რწმენა დიდი საქმეა. — თქვა ვალერიმ.

— რასაკვირველია, რწმენა ქმნის იდეებს. ახლა კი მარჯ-ვნივ შეუხვიეთ, სიჩქარეს დაუკელით!

— არის, კაპიტანო!

ვალერიმ საჭე მარჯვნივ შეაბრუნა და სიჩქარესაც დაუკ-ლო. მარჯვნივაც ფართო ქუჩა ჩანდა. მანქანები აქ შედარე-ბით ნაკლებად მოძრაობდნენ და ვალერიმაც, როგორც კი ხალ-ვათობა იგრძნო, თავი შეაბრუნა. კაბინის იქით მან მეგობ-რების გაოცებული მზერა დაიჭირა. სასაცილოდ დაჭყეტილ სამ წყვილ თვალს თვალი ჩაუკრა, მაგრამ ზვიგენის ნიღბის ქვეშ მეგობრებმა შეამჩნიეს თუ არა ვალერის ეს მანევრი, ვე-ღარ გაიგო. სამაგიეროდ გამოკვეთით და ნათლად გაიგონა კა-დილას ხმა, მარცხენა ყურთან რომ მოესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფრთხილად! არ დაგავიწყდეს, რომ შენ ახლა ასი კილომეტრის სიჩქარით მიდიხარ. გესმით, ასი კილომეტრით!..

— რაო?

— ასი კილომეტრით. დახედე სიჩქარისმზომს.

კადილამ თითი დაადო რაღაც ციფერბლატს, რომელიც ზედ ვალერის ცხვირწინ იყო მოთავსებული, მაგრამ იქ რა ეწერა, რასაკვირველია, ამის წაკითხვა მის გვერდით მჯდომმა კაცმა ვერ შეძლო.

კადილამ ხმამაღლა გაიცინა.

— სულ გადამავიწყდა, რომ შენ ადამიანი ხარ. აქ ხომ ამიტურად წერია. მე კი, მე ისე მოგმართავ, როგორც ამიტს. აბა, ბიჭი ხარ და წაიკითხე.

ვალერი შეიშმუშნა. მარცხენა თავისუფალი ხელით სცადა ცხვირის წვერი მოეფხანა. ეს არც ისე მოხერხებულად გამოუვიდა, ნიღაბი სანახევროდ გვერდზე მოექცა და საბოლოოდ მოეშვა თავისი გრძელი ცხვირის წვერს.

— მგონი, ასე ძველი ხეთები წერდნენ. რაღაც მეცნობა. გინახავთ ხეთების მიერ შესრულებული ლურსმული წარწერები?

ვალერი ფიქრობდა, რომ ქალიშვილი იტყოდა, არ მინახავსო. ძალზე გაუკვირდა, როცა კადილამ საწინააღმდეგო თქვა.

— რაო! ისიც არ მითხრათ, ანკარის ხეთურ მუზეუმში ვიყავიო.

— ანკარის ხეთურ მუზეუმში ნამდვილად არ ვყოფილვარ, მაგრამ ხეთური წარწერები კი მინახავს. სიმართლე გითხრათ, მასთან ამიტურის რაიმე ნათესაობას ვერ ვამჩნევ.

— მაპატიეთ, თქვენ სად ნახეთ ხეთური წარწერები?

— სადაც თქვენ, წიგნებში.

— არა, მე მარტო წიგნებში არ მინახავს. ეს წარწერები ვნახე აგრეთვე მცირე აზიის ქვეყნების მუზეუმებში, ნუთუ მსგავსება მართლა არაა? რატომ მომეჩვენა ასე? არ ვიცი!

— ბედნიერი კაცი ხართ, თუ მუზეუმებშიც გინახავთ, მაგრამ ეს ჩემს მოსაზრებას ვერ შეცვლის.

ვალერის სურდა, საუბრის თემა შეეცვალა და იკითხა: ჩვენი საუბარი მეორე კაბინაში მსხდომთ თუ ესმითო.

— არა, — თქვა კადილამ, — კაბინებს შორის კავშირი ამჟამად გამორთულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ შეიძლება რომ ჩავრთოთ?

— რა თქმა უნდა.

კადილამ საჭესთან ახლოს მოთავსებულ პატარა კნოპს შეახო საჩვენებელი თითი.

— კავშირი ჩართულია!

— ამხანაგო ნუგზარ, გესმით ჩემი?

— შესანიშნავად, ამხანაგო ვალერი. ვწუხვართ მხოლოდ, რომ თქვენს სახეს ვერ ვხედავთ. ვუჭვრეტთ მხოლოდ რაღაც ზვიგენისმაგვარი ცხოველის მახინჯ გამოსახულებას.

— ეს ცხოველი მე ვარ, ამხანაგო ნუგზარ. კიბანი მე მიმყავს. ასე რომ, თქვენი სიცოცხლე ჩემს ხელშია.

— ქალბატონო კადილა, ძალიანა გთხოვთ, მთლად მაგის ხელში ნუ ჩაგვაგდებთ. არავითარ სიკეთეს არ ველით ვალერისაგან, ცოტა კონტროლიც დაუწესეთ.

— ნუ სწუხართ, ამხანაგო ნუგზარ, ვალერი ჩინებული მძღოლია. ჩემისთანები მას შეგირდად თუ გამოადგებიან.

კადილას სახე კაბინების გამყოფი მინისაკენ ჰქონდა შემობრუნებული და ნუგზარი ხედავდა მის გაღიმებულ სახეს, ჰაერში ტალღისებურად აცურებულ რბილ თმებს.

— თქვენ გულწრფელად ამბობთ ამას?

— რასაკვირველია, სრულიად გულწრფელად.

— მაშინ ისღა დაგვრჩენია, ჩვენს მეგობარს მივულოცოთ ასეთი დიდი წარმატება. გილოცავთ, ვალერი!

გაისმა ნუგზარის ხმა და მას მაშინვე ვიტალისა და ანდროს შეძახილიც მოჰყვა.

— ახლა ვრწმუნდები, მთლად სულელურად რომ არ მიტარებია ცხოვრება, ცოტა ჭკუისათვისაც დამიტანებია ძალა.

ვალერიმ ჩაიხვიხვინა და მარცხენა ხელი გაიქნია.

— პირდაპირ დიდ შენობას ხედავთ? — ჰკითხა სწორედ ამ დროს კადილამ.

— დიახ, ვხედავ!

— ჰოდა, სწორედ იქ მიაყენეთ კიბანი. გაჩერებით მე გავაჩერებ და კიბანსადგომშიც მე შევიყვან.

— იყოს ნება თქვენი.

— მადლობას მოგახსენებთ, რომ დღეს სამუშაო შემიმსუბუქეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მეც გმადლობთ. კარგია ისეთი საქმე, როცა ორივე მხარე კმაყოფილია.

ამასობაში კიბანმა სვლას უკლო. ვალერი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ მსუბუქად მიაყენა კედელს მანქანა კადილამ. მერე იმ კედელზე შემოვლებული თეთრი წრეც ადვილად იპოვა და კიბანის კიჩოც სწორედ ამ წრეს დაუპირისპირა.

ვალერიმ იგრძნო, რბილად რომ შეეხო მანქანა კედელს. მაშინვე კედლის ლიუკი გაიხსნა და კიბანი წყლით სავსე ოთახში შევიდა. შევიდა და ნელ-ნელა იატაკზე დაჯდა. ვალერიმ თვალი შეავლო, თუ როგორ გაისრუტა ოთახიდან წყალი და კადილამაც მაშინვე სახეზე სასუნთქი აპარატი გაიკეთა.

— აბა, ახლა შეგიძლიათ ეგ ნიღაბი მოიხადოთ. ტანსაცმელი კი გეცვათ, მოძრაობაში ხელს არ შეგიშლით, — თქვა კადილამ.

— ასე აჯობებს, თორემ მოსწავლეებთან საცვლებისამარა გამოჩენა ვერაფერი შვილი ვიზიტი იქნება.

კაბინიდან ჩამოვიდა თუ არა, წინ მეგობრები მიეგებნენ. ანდრომ ბეჭზე ხელი დაჰკრა.

— ძალიან იმარჯვე, აი.

— სხვათა შორის, არც ისე ძნელი სამართავი ყოფილა კიბანი.

— კარგად გაერკვიე? — ჰკითხა ნუგზარმა.

— მგონი, კი, მაგრამ, თუ ერთი კვირა ვივარჯიშე, ვერც ერთი ამიტი ველარ მაჯობებს.

— წავიდეთ! — თქვა კადილამ.

ისინი გავიდნენ მეორე, უფრო დიდ ოთახში. ამ ოთახიდან განიერი კიბე ზედა სართულისაკენ ადიოდა. კადილა კიბისაკენ წავიდა და მას სხვებიც გაჰყვნენ.

კიბის ბოლოდან ასევე განიერი დერეფანი იწყებოდა. სწორედ აქ, კიბისა და დერეფნის გამყოფ მცირე ბაქანზე, ჭაღარა ქალი იდგა და სასუნთქი აპარატის პატარა მინიდან კეთილ ღიმილს აფრქვევდა.

— სკოლის ხელმძღვანელია, — თქვა კადილამ.

ჭაღარა ქალმა ხელი დაიქნია და რაღაც თქვა.

— თქვენ გესალმებათ, — თქვა კადილამ, — მრავალ-კეთილ სურვილს გითვლით.

— ჩვენგანაც გადაეცით სალამი და ასევე კეთილი სურვილები.

კადილამ თარგმნა ნუგზარის სიტყვები და იმ ჭაღარა ქალმა მინის შიგნით ისევ გამოაჩინა თეთრი კბილები. მერე კადილას ხელი გაუკეთა და წინ წავიდნენ. წინ კი, ფართო დერეფნის ორთავ მხარეს, საკლასო ოთახების კარი ჩანდა. დერეფნის თეთრ, პრიალა კედლებს ქათქათი გაუდიოდა. ყოველ კუთხეში იდეალური სისუფთავე სუფევდა. პირველ რიგში ტყვეებს ეს ეცათ თვალში და ვიტალიმ აღფრთოვანება ველარ დაფარა.

— ზღაპრული სისუფთავეა, არა? — თქვა მან.

— შესანიშნავი, აი მესმის სკოლა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ და სწორედ ამ დროს, იმ ჭაღარა ქალმა ერთ-ერთი ფართო კარი შეაღო. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამიტებთან მოხვდნენ, ტყვეებმა პირველად დაინახეს კარი, რომელიც ისე გაიღო, როგორც ჩვეულებრივად ყველა კარი იღება ჩვენში. დიდ დარბაზში ჭაღარა ქალი სწორედ ამ ნორმალურ კართან იდგა და ისევ კეთილად იღიმებოდა. შემდეგ ჭაღარამ კარი მიხურა. ტყვეებმა დაინახეს, რომ საკლასო ოთახში იმყოფებოდნენ.

დარბაზის შუაგულში გრძელი მაგიდები რიგებად ეწყო. წინა გრძელ მაგიდას ექვსი მოსწავლე უსხდა, ექვსივეს სასუნთქი აპარატი ეკეთა. მათ უკან კიდევ ექვსი წამოსკუპებულიყო და შემდეგ კიდევ ექვსი. იმ ბავშვებს შორის, სულ ბოლოს რომ ისხდნენ, სამს სასუნთქი აპარატი არც კი ეკეთა.

წინა მაგიდის გაყოლებაზე ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ბოლთას ცემდა. იგი ახლოს მივიდა სტუმრებთან და ხელი დაიქნია.

ამ ჟესტს თარგმნა აღარ ჭირდებოდა, უკვე კარგად იცოდნენ, მისალმებას რომ ნიშნავდა ამიტურად.

სტუმრებსაც გადაედოთ მისალმების ეს მანერა და მათაც დაიქნიეს ხელი.

— რისი გაკეთილია? — ჰკითხა კადილას ნუგზარმა. კადილამ თავის მხრივ იმ ახალგაზრდა მასწავლებელს უჩურჩულა და იმანაც ასევე ჩურჩულით გასცა პასუხი: „კაცობრიობის

ისტორიისაო". ვალერი მაშინვე მიცუნცულდა კადილასთან. —ამიტები ჩვენ თუ გვთვლით კაცობრიობის ნაწილადო?

— როგორ, თქვენ ჩვენი პლანეტის გერი ხომ არ ხართ? — გაოცებით შეხედა კადილამ ვალერის.

— არა, გერი არა, მაგრამ... ხომ შეიძლება რაღაც თეორია არსებობდეს. ჩვენთან მაგალითად, ფაშისტებმა ადამიანები ორ ჯგუფად დაჰყვეს: სრულფასოვანნი და არასრულფასოვანნი. ასეთი რამ ხომ შეიძლება თქვენთანაც მოხდეს?

— არა, არ შეიძლება. ჩვენთან თეორიები მეცნიერებაზეა დაფუძნებული.

— ხდება ხოლმე, კადილა, ზოგჯერ მეცნიერებას ისე მოარგებენ ყალბ თეორიას, როგორც ჩვეულებრივ ჩაიდანს მისთვის გამოჭედილ სახურავს.

— ვალერი, ჩვენთან არ ხდება ეს... — მკაცრად თქვა კადილამ და ვალერიმაც გაკვირვების ნიშნად მხრები აიწურა.

— აქ ორი მოსწავლეა, — არ ცხრებოდა კადილა, — ერთს თქვენ იცნობთ, ნატეს, მეორე ბოლოში ზის სასუნთქი აპარატის გარეშე. ის უკვე ადამიანთა მოდელზეა მორგებული. ამ ბავშვებმა ქართული იციან, ქართულში ორივენი ჩემი მოწაფეები არიან. აი, მათ ჰკითხეთ, ჰკითხეთ, რა იციან კაცობრიობის შესახებ.

ნუგზარმა იგრძნო, რომ მისი ჯერი დადგა. დუმილი უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩაახველა და ალღოიანი ამიტი ქალიშვილიც მიხვდა, ყურადღება ახლა ნუგზარზე რომ უნდა გადაეტანა. კადილა მისკენ მიბრუნდა.

— რა ჰქვია იმ ჩვენს ნათესავს, ქართულად რომ ლაპარაკობს?

— მას ბეტა ჰქვია, — სწრაფად უპასუხა კადილამ. მერე გასუსულ მოსწავლეებს მიუბრუნდა.

— ბეტა, გამოდი წინ.

სულ ბოლო რიგში კოხტა გოგონა წამოდგა. წამოდგა თუ არა, სტუმრები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს გოგონა თავის ასაკთან შედარებით უფრო მაღალი იყო. წყლისფერი, ფართოდგახელილი თვალები ჰქონდა. ამ თვალებში სითბო და გონიერება კიაფობდა. წაბლისფერი, ოდნავ ხვეული თმები ბეჭებზე ეფინა. ბეტამ ლამაზი თავი ოდნავ გაიქნია და სწრაფად წამოვიდა კადილასაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გისმენთ, ძვირფასო სტუმრებო, — თქვა მან, როცა ახლოს მოვიდა.

— ჰკითხეთ, ვალერი! — თქვა კადილამ.

მაგრამ კითხვა ნუგზარმა მისცა. სანამ ჰკითხავდა, ახლოს შივიდა, მხარზე ხელი დაადო.

— ბეტა, კარგად იცით ქართული?

— მგონი ვიცი, უკვე შვიდი წელია, ვსწავლობ.

— სასიამოვნოა, რომ ამიტი გოგონა კარგად ლაპარაკობს ჩემს მშობლიურ ენაზე. ეს მაამაყებს ოკეანის ფსკერზეც კი... მოდით, მითხარით მოკლედ, ძალზე მოკლედ, როგორ გესმით ჩვენი პლანეტის არსებობა?

— არსებობა თუ დასახელება? — იკითხა ბეტამ მთელი სერიოზულობით.

— დაე ორივე იყოს, — ნუგზარი წამოწითლდა.

— დედამიწა მზის გალაქტიკაში მოძრაობს.

— რამდენი გალაქტიკა არსებობს?

ბეტა დაფიქრდა, მერე თვალი გაუსწორა ნუგზარს.

— სამყარო უსასრულოა, გალაქტიკას გალაქტიკა მოყვება. თქვენს ტელესკოპებს შესანიშნავი პოზიციები აქვთ, მგონი, მათაც ვერ შეძლეს სამყაროს ბოლოში გასვლა, ჩვენ კი...

გოგონამ გაიღიმა.

— ჩვენი პლანეტა დასახლებულია გონიერი და არაგონიერი არსებებით. გონიერთა ოჯახში ამიტები და ადამიანები შედიან.

სიცოცხლე პლანეტაზე წყლიდან განვითარდა. ამასვე ამტკიცებს დიდი მეცნიერი ჩარლზ დარვინი — პირველნი იყვნენ ერთუჯრედიანი ცხოველები, რომელთაც სადგომი წყალში ჰქონდათ. ცხოველთა ევოლუციის შედეგად, რაც მილიონობით წლები გრძელდებოდა, ჩამოყალიბდნენ ამიტები.

— ზუსტად ისეთი სახით, როგორც თქვენ ხართ ახლა?

— არა, პატივცემულო, იყვნენ ნახევრადთევზი ამიტები, ჩვენ სულ ბოლო მოდელს წარმოვადგენთ.

გოგონამ გაიცინა.

— შემდეგ გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ხმელეთის პირობებს შეეგუენ. მე ძალიან მოკლედ ვილაპარაკე, თქვენც ხომ ასე გსურდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასიამოვნოა თქვენი პასუხი, ბეტა. მე რომ თქვენი მეგობარი დაგოგი ვიყო, უეჭველად ხუთიანს დაგიწერდით. ხუთიანი ჩვენთან ყველაზე მაღალი ნიშანია. თქვენთან კი არ ვიცი, როგორაა?

— ჩვენთან ოთხიანია ყველაზე მაღალი.

— ჰო, არც ისე შორს ყოფილა ხუთიანისაგან, — ნუგზარი კადილას მიუბრუნდა, — მეტი კითხვა არა მაქვს. ბეტა შესანიშნავი გოგონაა, სიამოვნებით დავპატიჟებდი ხმელეთზე.

— მართლა? — იკითხა გოგონამ გულუბრყვილოდ.

— დიახ, რასაკვირველია. ჩვენ, ადამიანები, ისევე როგორც ამიტები, არასოდეს არ ვცრუობთ.

—ჩვენთან ზოგჯერ ცრუობენ, — თქვა ბეტამ.

კადილამ გაიცინა.

— ცრუპენტელებს მკაცრად ვსჯით, ასე არ არის, ბეტა?

— დიახ, ასეა. ადრე თურმე ენასაც კი ჭრიდნენ.

— ეგ მეტისმეტია, — თქვა ნუგზარმა, — ჩვენთან როცა ცრუობენ, ვსჯით, მაგრამ ენის მოჭრა აზრად არ მოგვსვლია.

—ხმელეთზე როგორ ცხოვრობენ ბავშვები? — იკითხა ბეტამ.

— ჩვენ ძალიან გვიყვარს ბავშვები. მათთვის ვაშენებთ საბავშვო ბაღებს. საბავშვო ბაღში ყველაზე პატარები დადიან. შემდეგ, როცა სასკოლო ასაკისანი გახდებიან, სკოლაში მიდიან. ჩვენი სკოლები თითქმის ისეთივეა, როგორიც თქვენი. ასევე კარგი მასწავლებლები გვყავს, რომლებიც დიდად ზრუნავენ ბავშვებზე. ეს არის და ეს. მეც მოკლედ გიამბეთ.

ამ დროს ერთი სასუნთქაპარატიანი ბიჭი მივიდა ნუგზართან, ხელზე შეეხო.

— მე ნატე ვარ, პროგრამის მიხედვით ყველაზე ადრე მე უნდა მელაპარაკა. დეიდა კადილამ აურია, მაგრამ სიტყვა მაინც უნდა გითხრათ.

ნატე სასაცილოდ გაიჯგიმა.

— მოგესალმებით მოსწავლეთა სახელით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. სკოლა იტრაბახებს იმით, რომ ადამიანები სულ პირველად ამ სასკოლო ოთახში გამოჩნდნენ. სხვა არც ერთ სკოლას არა აქვს ამის თქმის უფლება. მე კი ვამაყობ იმით, რომ... — ნატემ ცოტა შეისვენა, სული მოითქვა და მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძო: — ვამაყობ იმით, რომ თქვენი მეგობარი ვარ. ბევრ-ღეთ სკოლის მოსწავლეთა მრავალი კეთილი სურვილი. ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ფეხი ამიტთა ქვეყანაში, გმადლობთ.

ნატემ თავი დაიქნია და გაჩუმდა.

ნუგზარმა ახლა მას მოხვია ხელი.

— ნატე, ყოჩაღი ბიჭი ხართ, წარმატებებს გისურვებთ სწავლაში.

— იცით, რას ნიშნავს ნატე ამიტურად? — ჰკითხა კადილამ ნუგზარს.

— ჯერჯერობით ამიტურად არც ერთი სიტყვა არ ვიცი.

— ნატე ამიტურად სიცოცხლეს ნიშნავს.

— მით უკეთესი, ნატეს სწორედ შესაფერისი სახელი რქმევია.

— ეს მე დავარქვი, — გაიღიმა კადილამ.

— წინასწარ განსაზღვრეთ, არა, ნატეს ბუნება?

— დაახლოებით.

ამ დროს ბეტა მივიდა ნუგზართან, როცა დარწმუნდა, უფროსებმა სათქმელი უკვე უთხრეს ერთმანეთს, წყლისფერი თვალები ნუგზარს მიაპყრო.

— შეიძლება, მეც რომ ვიარო თქვენთან ქართული ენის პრაქტიკაზე.

— რასაკვირველია, — უთხრა ნუგზარმა.

— უფროსები ამბობენ, ორი ბავშვი თავს მოაბეზრებთო. ასე ხომ არ იქნება?

— არა, ბეტა, სრულებითაც არ მოგვაბეზრებთ თავს. აკი ვთქვი, ჩვენ ძალიან გვიყვარს ბავშვები, მათზე ზრუნვაში დიდ დროს ვხარჯავთ. დრო აქ, თქვენს ქვეყანაში, თავზე საყრელად გვაქვს. მობრძანდით და ვისაუბროთ ჩვენს ქართულ ენაზე. ამით, პირიქით, გაგვართობთ კიდეც.

—მაშ, ხვალ ნატესთან ერთად გეახლებით.

— გელით.

სკოლის ხელმძღვანელმა, იმ ჭაღარა ქალმა, რაღაც უთხრა კადილას. კადილამ თავი დაუქნია და სტუმრებს მიუბრუნდა.

— ახლა სასკოლო მუზეუმი დავათვალიეროთ, წავიდეთ.

საკლასო ოთახიდან გამოვიდნენ, ჭაღარა ქალი წინ გაუძღვათ. დერეფანი ისე განვლეს, სიტყვა არავის დაუძრავს. იქ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფნის ბოლოში, სკოლის ხელმძღვანელმა კვლავ შეაღო კარი და სტუმრებიც მიჰყვნენ. ისინი დიდ, თეთრ დარბაზში აღმოჩნდნენ. დარბაზის ქათქათა კედლები უამრავი ფოტოპორტრეტით იყო დამშვენებული. კედლებიდან იცქირებოდნენ სხვადასხვა ასაკის დარბაისელი ქალები და მამაკაცები.

სკოლის ხელმძღვანელმა თითქმის მთელი ათი წუთი ილაპარაკა. ლაპარაკობდა დინჯად, სვენებ-სვენებით, როგორც კი მორჩა, სიტყვა კადილამ ჩამოართვა.

— ეს სკოლის მუზეუმი გახლავთ. გამოფენილია იმ ადამიანთა სურათები, სხვადასხვა დროს ამ სკოლაში რომ ასწავლიდნენ, იმუშავეს და შემდეგ პენსიაზე გავიდნენ.

— პენსიაზე? — იკითხა ვალერიმ.

— დიახ, პენსიაზე. განა მარტო თქვენთან გადიან ვალმოხდილი ადამიანები პენსიაზე, ჩვენთანაც ასეა. ამიტებს უყვართ დამსახურებულ მოღვაწეთა დაფასება და აი, სკოლის მუზეუმი ინახავს მათ ხსოვნას.

— ყველა სკოლას აქვს ასეთი მუზეუმი? — ისევ ვალერიმ იკითხა.

— უკლებლივ, ყველა სკოლას.

— კარგი საქმეა.

სურათები ყურადღებით დაათვალიერეს თუ არა, სკოლის ხელმძღვანელმა ნელა გახსნა თეთრი დარბაზის კიდევ ერთი კარი და წიგნებით სავსე მეორე დარბაზში აღმოჩნდნენ.

წითელი ხის ლამაზი თაროები ბოლომდე იყო დაძეძგილი ლამაზად გაფორმებული წიგნებით. წიგნები ისე კოხტად ელაგა, რომ იფიქრებდით, ოდესღაც ასე დააწყვეს და მის შემდეგ არც ერთ ამიტს ხელი არ უხლიაო, მაგრამ ეს ალბათ პირველი შთაბეჭდილება იყო.

— სკოლის ბიბლიოთეკა გახლავთ, — თქვა კადილამ.

— მივხვდი, — უჩურჩულა ნუგზარმა, — შეიძლება, ერთი რომელიმე წიგნი ავიღო?

— რასაკვირველია, რომელიც გნებავთ.

— ამას ავიღებ.

ნუგზარმა თაროდან ოქროსფრად გაფორმებული წიგნი გამოაძვრინა. პატარა მაგიდაზე დადო, ნელა შეუდგა ფურცვლას, აღფრთოვანება ვეღარ დამალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიდებულად გაფორმებულია, შინაარსისა კი, რა მოგახსენოთ, ამიტურზე მწყრალად გახლავართ.

— ყდა სუფთა ოქროთია მოვარაყებული.

— მართლა?

— დიახ.

— თქვენ ძალიან ბევრ ოქროს ფლანგავთ.

— ოქრო დიდი რაოდენობითაა ოკეანის ფსკერზე, აბაზანებიც კი მოოქროვილი გვაქვს, და კადილას სახე ერთბაშად მოეღრუბლა, — თქვენ ძალიან მოკრძალებული ხალხი ხართ, პრეტენზიებს არაფერზე აცხადებთ, დუმხართ. ასე არ შეიძლება!

— რა იყო? ვერაფერი გამიგია.

— თქვენ ბინას აბაზანა აქვს?

— არა, არა აქვს.

— მერე, რატომ ხმას არ იღებთ, განა ცივილიზებულ ხალხს აბაზანის გარეშე ცხოვრება შეუძლია?

— არა, მაგრამ ჩვენი ტუალეტი საკმაოდ კომფორტულია, ჩვენ იქ ტანის დაბანასაც ვახერხებთ.

— როგორ შეიძლება?

— უბრალოდ, ჩავთვალეთ, რომ ალბათ ასე იყო საჭირო.

— მე ვიზრუნებ, თქვენი ბინა რომ შეცვალონ. ანდა მანდვე მოგიწყონ აბაზანა.

— ბინის შეცვლაზე რა მოგახსენოთ, უკვე შევეჩვიეთ ამ სამოსახლოს. თუ აბაზანას მოგვიწყობენ, არ იქნება ურიგო.

— კარგით, შევეცდები, მოგვარდეს ეს საქმე.

— ჩავთვალოთ, რომ შევთანხმდით. მე მაინც ფიქრებით ამ წიგნის გარშემო ვტრიალებ, დიდებული გაფორმებაა.

— ნუთუ მართლა ასე კარგადაა გაფორმებული! განა თქვენი წიგნები რაიმეთი ჩამორჩებიან.

— ვერ გეტყვით, ძნელი სათქმელია.

— იქნებ საღებავებისა და ქაღალდის „დანაშაულიცაა". ჩვენ ძირითადად ნატურალურ საღებავებს ვხმარობთ. ხის წვენი, რვაფეხას ტუში და კიდევ ათასი რამ, რასაც კარგი ფერადი სითხის მოცემა შეუძლია. თქვენ კი, როგორც ვიცი, ძირითადად ქიმიას ეყრდნობით.

— დიახ, სწორედ ასეა, ჩვენ ნელ-ნელა გვადნება ხელში

ნატურალური ნივთიერებანი და იძულებული ვართ, ქიმიას მოვუხმოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ეს წიგნი ნახეთ.

— კადილამ კიდევ ერთი წიგნი გამოიღო. იგი სულ შავი საღებავებით იყო გაფორმებული.

— ხედავთ? რამდენნაირი შავი ფერია. ერთი ფერი დაშლილია ოცამდე თანაფერებად. ეს ჩინებული საღებავი კი ჩვეულებრივმა რვაფეხამ მოგვცა.

— საოცარია, საოცარია. ქაღალდიც რა კარგია.

— ასეთი ქაღალდისათვის სპეციალური პლანტაციებია გაშენებული. ვახარებთ ოკეანის ლერწამს, რომელიც გადამუშავების შემდეგ ასეთ ქაღალდს გვაძლევს. იგი ერთნაირად ძლებს როგორც წყალში, ასევე ჰაერზე.

— დიდებული მიღწევაა. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი რამ გთხოვოთ. მე და ჩემს მეგობრებს ძალიან გვიჭირს ქაღალდისა და ფანქრის გარეშე. იქნებ, მოგვცეთ ცოტაოდენი ეგრეთწოდებული გონების საკვები.

— ხვალვე მოგართმევთ. ხედავთ, ესეც გამომრჩენია. მოგეხსენებათ, როცა ბევრი საფიქრალი გაქვთ, რაც უნდა ყურადღებიანი იყოთ, ზოგი რამ მაინც გამოგრჩებათ. ახლა ეს წიგნი ნახეთ, ხის წვენისგანაა გაფორმებული. წვენს კედლების შესაღებადაც ვიყენებთ. ხედავთ, როგორი ხასხასა წითელია.

— საგანგებოდ ახარებთ ამ ხეს?

— არა, ველური ტყის სახით ჰყვავის. საკმაოდ ბლომადაა ოკეანის ფსკერზე. არის საღებავები, რომელთა მოპოვებაც ოთხი-ხუთი ათას და მეტ სიღრმეზე გვიხდება.

ახლა ვალერიმ ჩამოართვა წიგნი კადილას.

— გულდასმით გასინჯეთ ჩვენი შრიფტი. იქნებ, მართლაც აღმოაჩინოთ მსგავსება ლურსმულთან.

ვალერიმ გაიცინა და წიგნი გადაფურცლა. კადილა კი ახლა ნუგზარს ელაპარაკებოდა.

— ვალერი ამტკიცებს, რომ ამიტური ჰგავს ლურსმულ წარწერებს.

— ალბათ, იხუმრა. მჯერა, რომ თქვენ უკვე დარწმუნდებოდით, თუ რაოდენ ეხერხება ვალერის ხუმრობა.

— მე კი ვიფიქრე, სერიოზულად ამბობდა... აქ დასათვალიერებელი მეტი არაფერია, წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ.

დერეფანში რომ გამოვიდნენ, კადილა ნუგზარს დაელოდა.

— აქ ახლოს ამიტთა ძველი სადგომია. თქვენ თუ ისე ცურავთ, როგორც ვალერი, მაშინ შეიძლება ვისარგებლოთ შემთხვევით და სადგომებიც დავათვალიეროთ. წარმოდგენას მოგცემთ, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები შორეულ წარსულში.

— სიამოვნებით, მაგრამ თქვენ ხომ თქვით, ამიტები ადრე უფრო დიდ სიღრმეებში ცხოვრობდნენო? აქ როგორღა გაჩნდნენ?

— დიახ, ვთქვი და ახლა იმავეს გაგიმეორებთ, მაგრამ, როცა ჩვენ შედარებით თხელ წყლებში შემოვედით, ეს სადგომები ხელუხლებელი დაგვხვდა. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ამიტთა ერთი ნაწილი ადრე 500—700 მეტრის სიღრმეზე ცხოვრობდა. ისინი შემდეგ რატომღაც გადაშენდნენ. არქეოლოგებმა მხოლოდ მათი ჩონჩხის ნაშთი იპოვეს. თანახმა ხართ ცურვით გასეირნებაზე?

— თანახმა ვართ. ჩვენ, წყალქვეშელები, მგონი, ცუდად არ უნდა ვცურავდეთ.

კადილას აღარაფერი უთქვამს და შეწყვეტილი დიალოგით სკოლის ხელმძღვანელმა ისარგებლა, კადილას რაღაც უთხრა.

— იგი მადლობას გიხდით სტუმრობისათვის. სურდა სუფრასთან მიპატიჟებაც, მაგრამ მე ვუთხარი, ძალიან გვეჩქარება-მეთქი. ასე რომ, შეგიძლიათ დაემშვიდობოთ და გზა განვაგრძოთ.

— გადაეცით მადლობა გულთბილი მიღებისათვის. ეს შეხვედრა ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება.

შემდეგ კადილა ერთხანს კიდევ ესაუბრა სკოლის ხელმძღვანელს და ნუგზარს უთხრა: ისინი თქვენთვის საცურაო კოსტიუმებს გვთავაზობენო.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, ნახვამდის, მეგობრებო, თქვენს მოსწავლეებს ხვალ ველით ჩვენთან, პრაქტიკისათვის.

ჭაღარა ქალმა გაიცინა და რაღაც თქვა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იგი ამბობს, ეს ონავრები შეგაწუხებენო, — უთხრა ნუგზარს კადილამ.

— არა, რას ამბობთ, სრულებითაც არა, უეჭველად მოვიდნენ.

ისევ იმ ოთახში დაბრუნდნენ, სადაც კიბანი დატოვეს. აქ მანქანასთან უკვე ეწყო სამი საცურაო კოსტიუმი, იქვე ჟანგბადის ბალიშებიც ელაგა.

— ძალზე ოპერატიულად მუშაობთ, — ღიმილით თქვა ნუგზარმა.

— რასაკვირველია, მე ხომ გითხარით, შეიძლება დღის გახანგრძლივება, თუ ცხოვრების ტემპს გაზრდით.

— ჭეშმარიტად.

— აბა, თქვენ ისევ უკანა კაბინაში მოთავსდით, მე და ვალერი მესაჭის ჭაპანს გავწევთ. შეგიძლიათ, კოსტიუმები კაბინაში ჩაიცვათ.

სანამ უკანა კაბინის კარს დახურავდნენ, კადილამ კიდევ ერთხელ შეჰყო თავი.

— როგორ გირჩევნიათ, კაბინა წყლით ავავსოთ, თუ ისევ ჟანგბადი დავტოვოთ.

ნუგზარმა მეგობრებს გადახედა.

— მგონი, აკლიმატიზაციისათვის ისა სჯობია, წყლიანი აუზით წაგვიღოთ, თქვენ რას იტყვით?

— ასე სჯობია, — დაეთანხმა ვალერი და ვიტალი... და, კადილამაც კაბინის კარი მოიხურა.

ვალერი წინა კაბინასთან იდგა. ნიღაბი უკვე მოერგო თავზე, კადილას ელოდებოდა. ჯერ ქალიშვილი გაატარა და მერე თვითონ დაჯდა მარჯვენა მხარეს.

— გთხოვთ, ნურაფერს ნუ შეახებთ ხელს, მანქანას მე ავამუშავებ, — უთხრა მან კადილას. მაგრამ კადილამ რაღაც საკეტი მაინც გახსნა.

— ხომ გთხოვეთ, მე ავამუშავებ-მეთქი, — საყვედურით უთხრა ვალერიმ.

კადილას ჰაერის აპარატი უკვე მოეხსნა.

— უკანა კაბინის კილსონები გავხსენი. კაბინა უკვე გადაკეთდა, ახლა წყალიც შემოვა.

წყალი კი, მართლაც ნელა მოიწევდა ქვემოდან. უკვე მოადგა კაბინებს.

— მზად ხართ? წყალი შემოდის, — იკითხა კადილამ ისე, რომ უკან არც მოუხედავს. უკან კი ხმელეთის სამოგზაურო საცურაო კოსტიუმებში გამოჯგიმულიყო.

— მზადა ვართ, წყალი უკვე შეგვიდგა ფეხებში, სიამოვნებით ვღებულობთ ოკეანის ნობათს.

კადილამ ანდროს ხმა იცნო და გაიცინა.

ამასობაში ვალერიმ კიბანი უკვე დაქოქა.

— აი, იმ თეთრ წრეს დაუპირისპირე, — უთხრა კადილამ.

— ვიცი, ეს საიდუმლოც გავხსენი. წავედით!

კიბანი დაიძრა და რბილად შეეხო იმ თეთრ ხაზს.

— ყოჩაღ, — თქვა კადილამ, — თქვენ ნამდვილად გამოცდილი მძღოლი ხართ.

ამასობაში კედლის ლიუკი გაიხსნა და კიბანი ისევ იმ ნაცნობ გზაზე გამოვიდა.

— სწორად მივდივართ? — იკითხა ვალერიმ.

— ჯერჯერობით სწორად.

ვალერიმ სიჩქარეს მოუმატა.

— ქალბატონო კადილა, დამნიშნეთ თქვენს მძღოლად, სიამოვნებით გემსახურებით.

— სიამოვნებით, მაგრამ მძღოლის შტატი არა მაქვს.

— დინაკს თხოვეთ, უეჭველად დაუშვებს... და კიდევ იცით რა... სულ მინდოდა მეკითხა და ვერ ვბედავდი.

— განა რა არის ასეთი?

— გაგვაოცა თქვენმა ბარათმა, სულ ახლახანს რომ გამოგვიგზავნეთ. უფრო სწორად, მინაწერმა. იყავით გულახდილი, რატომ მოიქეცით ასე... ნატეს ხმა არ ამოუღია. ჩვენც, ყველამ, ისე წავიკითხეთ, კრინტიც არ დაგვიძრავს.

— იცით რა, ვალერი. თქვენს საუბარს უსმენენ. არ მსურდა, მათ შეეტყოთ, ბარათი რომ მოგწერეთ.

— ჩვენც ასე ვიფიქრეთ, მაგრამ ხომ შესაძლებელია, ტელეკამერებითაც გვზვერავდნენ?

— არა, ახლა ტელეკამერებით აღარ გადევნებენ თვალყურს.

— დავიჯეროთ?

— მგონი, მე საკმაოდ ბევრი საიდუმლო გითხარით, რაც იმის გარანტიაა, რომ უნდა მენდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაბინაშიც ხომ არ გვისმენენ?

— არა, აქ რომ გვისმენდნენ, მაშინ ასე გულახდილიც არ ვიქნებოდი. მოგეხსენებათ საიდუმლო სამსახურის ამბავი. იგი ალბათ ყველგან ერთნაირია. ვერც გაამტყუნებთ, თავის მოვალეობას ასრულებენ.

— დიახ, როგორც კი თქვენი ბარათი წავიკითხეთ, მაშინვე მივხვდით, რაშიც იყო საქმე. ძალიან ხშირად დადიხართ ამიხოტში.

— საქმე მოითხოვს... იცით რა, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მსურს, ბოლომდე გულწრფელი დავრჩე. სამი დღის წინ ტეროორისტებმა ჩემი სახლი ააფეთქეს. მათ იციან, რომ თქვენთან მეგობრულ დამოკიდებულებაში ვარ და ეს ვერ აუტანიათ.

— რას ამბობთ, რა ველურობაა, ხომ არავინ დაშავებულა?

— შინ მხოლოდ დედა იყო. საბედნიეროდ, ის ოთახი, სადაც დედა იმყოფებოდა, ყველაზე ნაკლებად დაზიანდა. დედა მსუბუქად დაიჭრა.

— კიდევ კარგი. დამნაშავენი ვერ დაიჭირეს?

— ერთი შეიპყრეს. მე შევხვდი მას, კიდევ დამემუქრა, წესს აგიგებთო. ახლა ამიხოტში საგანგებო წესებია გამოცხადებული. საეჭვო პირებზე ნადირობენ. მინისტრმა პირობა მისცა პარლამენტს, ქვეყანას ტეროორისტებისაგან გავწმენდო. ვნახოთ, რას იზამს! მარჯვნივ შეუხვიე, ვალერი. აი, იმ ვიწრო გზას გაჰყევი.

— გასაგებია.

კაბინამ მარჯვნივ შეუხვია და ვიწრო გზაზე გავიდა.

— ახლა სულ პირდაპირ იარე!

გზა ტყეში მიდიოდა. ვალერი საჭეს რომ უჯდა, ასე ეგონა, თვითმფრინავს მართავდა და საცაა, საჰაერო ლაინერის თვლები დასაჯდომ ბილიკს უნდა შეეხებოდა. წუთით ფიქრებმა წაიღეს და სწორედ ამ დროს ჩაესმა კადილას ხმა:

— არ ვიცი, გიფიქრიათ თუ არა, მე კი ბევრჯერ მომსვლია ასეთი აზრი. აი, შენს წინაშეა ცხოვრება თავისი ტკივილებით და სიხარულით, კარგითა და ცუდით. გონიერი არსების დანიშნულებაა, გაალამაზოს იგი. უფრო ფაქიზი და სათუთი გახადოს. ამისათვის იკლავენ თავს მწერლები და მუსიკოსები, მხატ-

ვრები, ყველა ისინი, რომელთაც ცხოვრებამ ყველაზე დიდი ტანჯვა მიუსაჯა. და, მიუხადავად იმისა, რომ მეცხრამეტე ტონა ქაღალდი, საღებავი იხარჯება ამ საქმისათვის, იღვრება ოფლი, კეთილი არსებანი თავგანწირვამდე ირჯებიან, მაინც ჩნდებიან ბოროტები, რომელთა ცხოვრების კრედო მხოლოდ ისაა, რომ სიცოცხლე გაუმწარონ სხვებს. მე რამდენიმე ასეთ ტიპს ვიცნობ, მისაუბრია მათთან. თითქოსდა ნორმალურად მსჯელობენ, ფიქრობენ, სიგლახეს კი მაინც ჩადიან.

— ჩვენთან ამბობენ, ადამიანს შეიძლება შეუცვალოს სისხლი, გული, ფილტვები, ყველაფერი, რაც კი გნებავთ, მაგრამ ძვალრბილში რაც გასჯდომია, ნურას უკაცრავად.

კადილამ ამოიოხრა, მოვედითო, თქვა და საჭეს ხელი შეახო,

— ახლა კი მე წავიყვან, აქ ისეთი ბილიკებია, ეშმაკსაც გაუჭირდება გზის გაკვლევა.

ვალერიმ ხელი უშვა საჭეს და კიბანი ვიწრო გზის ბოლოში, ერთბაშად ტყეში ჩასრიალდა. ვალერის ძლიერ გაუკვირდა, როგორ იპოვა კადილამ გიგანტურ ხეებს შორის ჩასაძრომი და ამ ვიწრო ხვრელში კიბანი თხუნელასავით ჩასრიალდა.

კადილა ახლა ხმას აღარ იღებდა. სახე დაძაბული ჰქონდა და ვალერიმაც იგრძნო, რომ ტყის ამ ველურ ბილიკებზე კიბანით ჯირითი, არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. თვითონაც დუმდა, ამიტომ მეორე კაბინიდან მინაზე რომ დააკაკუნეს, კავშირი ჩართო და მეგობრები გააფრთხილა: ჩუმად იყავით, გზის ყველაზე მძიმე უბანს გავდივართო.

მეორე კაბინაშიც მაშინვე გაისუდრენ და სანამ კადილამ მანქანა ერთ ხესთან არ დააყენა, ხმაც არავის ამოუღია. როცა მანქანაც დადგა და თავიც ხალვათად იგრძნეს, ნუგზარმა იკითხა: თუ მოვედითო. ვალერიმ კადილას აღარ დააცადა და უპასუხა: კიო, კადილამ მაინც დაუმატა: ახლა ცოტაზე ცურვით მოგვიწევს გავლაო.

თვალის დახამხამებაში კიბანი დაიცალა, ვალერიმ შეხედა თავის მეგობრებს და სიცილით კინაღამ გაიგუდა.

ნუგზარს მასავით ზვიგენის ნიღაბი ეკეთა. ანდრო, ტონტორა ანდრო ჩასკვნილ, ჩაკურატებულ სკუმბრიას დამგვანებოდა. ვიტალი ზედგამოჭრილი ბასაკუდა იყო.

ვალერის დრო აღარ დაუკარგავს და ანდროს ეტაკა. არც

ანდრო გახლდათ გულზე ხელდაკრეფილი, ერთი მაგრად გაიქნია მარჯვენა და ვალერი ხის ძირში ჩააგორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ეი, სკუმბრიავ, ხომ კარგად გესმის, რომ ზვიგენის არჩევი ხარ. რა ბევრს იქაჩები, მაინც მე უნდა შეგჭამო. აბა, სკუმბრიას შეჭმული ზვიგენი ვის უნახავს;

— ფრთხილად იყავი, ვალერი, თორემ მე ვიქნები ის პირველი სკუმბრია, რომელმაც ზვიგენი შეახრამუნა. გაიგე, ვაჟკაც?..

ვალერიმ ყველაფერი კარგად გაიგო და მგონი, კიდეც წარმოიდგინა. ასე რომ, გიგანტურ სკუმბრიაზე ნადირობის ხუმტური გაუქრა.

კადილამ თქვა: ჩემთან ახლოს იცურეთო. ეს რომ არ ეთქვა, ისედაც არავის გაუჩნდებოდა ოკეანის ფსკერზე გაუჩინარების სურვილი. ქალიშვილმა ერთი მაგრად მოიქნია ფეხები და თევზივით გასრიალდა. სხვებიც მიჰყვნენ.

ნუგზარმა საათი დაინიშნა და როცა დანიშნულების ადგილამდე მიაღწიეს, უკვე ოცი წუთი გასულიყო. ვალერის ერთი სული ჰქონდა, უნდოდა კაპიტანი დაემარტოხელებინა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო. რამდენჯერ მოიგდო ხელში, იმდენჯერ ახლოს კადილა დალანდა.

ერთ დიდ კლდესთან მიცურდნენ. კლდე იყო თუ მწვანე კორდი, ისიც ვერ გაიგო კარგად ვალერიმ. აქ მოიყარა ყველამ თავი.

— აი, იმ ხვრელში უნდა ჩავძვრეთ, — თქვა კადილამ და ხელი ლიანებს შორის ჩაკარგულ ხვრელისაკენ გაიშვირა.

— განა ამ ვიწრო ხვრელში გავეტევით? — იკითხა ნუგზარმა.

სანამ კადილა რაიმეს იტყოდა, ვალერიმ დაასწრო.

— მე კი გავეტევი, მაგრამ ქონის ჩამოთლა გაბოშვილს მოუწევს.

— ნუ დარდობთ, ყველანი თავისუფლად ჩავძვრებით, — დაამშვიდა კადილამ.

იღბლად ქონის ჩამოთლა არც ანდროს დასჭირვებია. კადილას სწორედ ის მიჰყვა და როცა ხვრელში შლიახოვიც გაუჩინარდა, ვალერი მაშინვე ნუგზართან მიცურდა.

— ისინი ჩვენს საუბარს ისმენენ, ამხანაგო ნუგზარ. სა-

მი დღის წინ ტერორისტებმა კადილას სახლი ააფეთქეს. თვითონ მითხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ქვესკნელიდან ამოსძახეს: მანდ რას აკეთებთო. მეტი შეჩერება აღარ შეიძლებოდა, ნუგზარი ვიწრო ხვრელში ჩასრიალდა. მის გასაოცრად მთელი ხუთმეტრიანი ვიწრო ყელი ისე განვლო, კედელს არც კი შეჰხებია. როცა ბოლოში გავიდა, თავი ქვის დიდ დარბაზში იგრძნო. ჩვეულებრივი მღვიმე იყო, ზევიდან დაშვებული წვეტიანი სვეტებითა და იატაკზე მიმოფანტული ფერადი ქვებით. ორი უზარმაზარი პროჟექტორი ჩინებულად აშუქებდა მთელ დარბაზს. ნემსი, რომ დაგეგდოთ, იმასაც იპოვიდით. ისმოდა ოკეანის რაღაც საიდუმლო ხმაური. ეს ნაღვლიანი, ფოლადგარეული ხმები ჟამიდანჟამზე რომ აღწევდნენ სმენის ორგანომდე, ძალზე მელანქოლიურ განწყობას ქმნიდნენ.

კადილა ვერტიკალურად იდგა. ფეხებს დროდადრო მწყობრად იქნევდა და სრულებითაც არ იგრძნობოდა, რომ უჭირდა წყალში ასე გამართულად ყოფნა.

— რატომ დაგაგვიანდათ? — მკაცრად იკითხა მან.

— ვალერი ყოყმანობდა, ჩავეტევი თუ არაო.

— გთხოვთ, ნუ დაგვშორდებით. ჩვენ თითქმის ოკეანის ჯუნგლებში ვიმყოფებით. ყოველ შემთხვევაში, მის მისადგომებთან მაინც ვართ. შეიძლება ყველაფერი მოხდეს. თქვენს სიცოცხლეზე პასუხისმგებელი მე ვარ.

— გასაგებია, ქალბატონო კადილა!

— ჩემი ბრალი იყო, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

ნუგზარმა ყურადღებით შეათვალიერა დარბაზი და დარწმუნდა, რომ ამიტთა ეს ბინა მარჯნის გამოქვაბულში იყო მოთავსებული. ასეულ ათასობით მარჯნის ღერები, რომლებიც ოდესღაც ცოცხალ ყლორტებს წარმოადგენდნენ, ახლა გაქვავებულ მასად ქცეულიყო. სიცოცხლეს უფრო ზევით წაეწია, ზევით, სადაც ახლა ახალი ყლორტები ელიცლიცებოდნენ ოკეანის წყალს. ეს ბებერი მასა კი, რომელიც ნაცრისფერ მკვდარ გრეხილებად ქცეულიყო, სიცოცხლის საძირკველს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი ხანია ვცურავ, დღეს კი პირველად ვიმყოფები მარჯნის გამოქვაბულში, — თქვა ნუგზარმა.

— მოგწონთ? — იკითხა კადილამ.

— როგორ არ მომეწონება. ასეთ სილამაზეს განა ყველგან შეხვდებით. იგი რატომღაც სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების გამოქვაბულს მაგონებს. მაგონებს კი არა, ზუსტად ასლია. საოცარია ბუნება. რასაც აძლევს ამიტებს, იმავეს ჩვენთვის იმეტებს და პირიქით.

— ცდებით, ჩვენ მზე არა გვაქვს, — თქვა კადილამ.

— მზე ორივესთვის საზიაროა.

— მაინც მის მადლს თქვენ უფრო გულუხვად იმკით... ეს ჩვენი წინაპრების საცხოვრისის წინა დარბაზია. აქ ჩვეულებრივად ნანადირევს ინახავდნენ, ბჭობდნენ საოჯახო საქმეებზე და კიდეც სადილობდნენ.

— სად იძინებდნენ? — იკითხა ვიტალიმ.

— იძინებდნენ მეორე, უფრო პატარა დარბაზში. მომყევით!

კადილა უცბად გადავიდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ფეხები კვლავ მწყობრად გაიქნია და მეორე ვიწრო გასასვლელისაკენ გაცურდა. ეს ვიწრო ყელი უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვინემ პირველი. ალბათ ათიოდე მეტრი მაინც იქნებოდა და სანამ ბოლოში გავიდოდნენ, ნუგზარს სული ყელში ებჯინებოდა. ბოლოს, როგორც იყო გალიეს, უფრო მცირე დარბაზში შეცურდნენ და შვებითაც ამოისუნთქეს.

აქ მხოლოდ ერთი პროჟექტორი ენთო. იგი მარჯნის მოზრდილ ქანდარაზე დაეყენებინათ სამიოდე მეტრის სიმაღლეზე და ისე მოხდენილად აშუქებდა დარბაზს, როგორც თეატრის ლოჟის მოაჯირზე შემოსკუპებული ათასსანთლიანი ნათურები.

აქაც უთავბოლოდ მიმოფანტულიყო მარჯნის სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ქვები კი, მარჯნის იატაკი, მოყავისფრო ბალახს მოეფარა.

— აი, აქ იძინებდნენ წინაპრები. ასე ღარიბულად ცხოვრობდნენ.

— ეს ბალახი იმდროინდელია? — იკითხა გაბოშვილმა.

— არა, ანდრო, ბალახს ჩვენ ხშირად ვცვლით. დალპება ერთი წყება, ახალი მოგვაქვს. ეს იმიტაციაა იმისა, რაც ალბათ,

აქ, ოდესღაც არსებობდა. სუფევდა სიღარიბე, მაგრამ იყო დიდი სითბო და სიყვარული...

— აქ ბევრია ასეთი სადგომი? — იკითხა ვიტალიმ.

— ძალიან ბევრი. ისტორიკოსები ასკვნიან, რომ ამიტთა ამ ტომს ოდესღაც საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ჰქონდა. მართალია, არ უშენებიათ დიდი ქარხნები და სასახლეები, მაგრამ ამზადებდნენ საკვების მოპოვებისათვის საჭირო ჩინებულ იარაღებს.

— თუ ომობდნენ?

— ომიც უყვარდათ. ბლომად ვიპოვეთ მათი საბრძოლო იარაღი. ყველაფრიდან ჩანს, რომ იცოდნენ ლითონის დამუშავება.

— და ეძინათ, როგორც თევზებს,—ჩაილაპარაკა ვალერიმ.

— დიახ, ეძინათ, როგორც თევზებს.

— სულ ეს არის ამიტთა სადგომი. თუ მეტი კითხვები არა გაქვთ, შეგვიძლია წავიდეთ. წინ ისევ მე ვივლი. გთხოვთ, ნუ დამშორდებით ძალიან გთხოვთ, — თქვა კადილამ და თევზივით გასრიალდა. მას კვალში სხვებიც ჩაუდგნენ.

იმ ვიწრო სოროდან რომ ამოცურდნენ, ნუგზარმა, როგორც იყო, სული მოითქვა. ვალერი კვლავ მის გვერდით გაჩნდა.

— ისინი მხოლოდ ჩვენს საუბარს იწერენ, ტელეკამერები მოხსნეს. როდის მოხსნეს, ეს არ დამიზუსტებია. კადილა ჩვეს მიმართ ლოიალურადაა განწყობილი, ამიტომ სდევნიან ტეროორისტები.

— გასაგებია, — თქვა ნუგზარმა. მერე ვალერის ბეჭებზე მეგობრულად შეეხო, — ყოჩაღ, ვალერი, შენ ძალიან საზრიანი ბიჭი ხარ, შენ იცი...

ისინი ტყეში მიცურავდნენ. ბილიკიდან ბილიკამდე დიდრონი ნათურების შუქი მიაცილებდათ და შუქზე ჩანდა მომწვანო-მოყვითალო ფერის პატარა მცენარეები, რომლებიც გიგანტურ ხეთა შორის მწყობრად ირხეოდნენ. ლამაზი სურათი იყო და არცთუ ისე ჩქარობდნენ.

კადილამ ერთი ხის ძირში ლურჯი ყვავილების ბუჩქი იპოვა. შეჩერდა და კრეფას შეუდგა.

— თქვენთან თუ არის ასეთი ყვავილი? — ჰკითხა ძან ნუგზარს, როცა გვერდით დაიგულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არის, სწორედ ამის მაგვარი ყვავილი არის და მას ჩვენ ზამბახს ვეძახით.

— რას ეძახით?

— ზამბახს, ზამბახს ვეძახით, კადილა.

— ლამაზი სახელია. მართალი გითხრათ, მე დრო აღარ მეყო, შემესწავლა ყვავილების სახელი ქართულად, ამ ერთს კი დავიმახსოვრებ, ზამბახი, არა?

— დიახ, ზამბახი.

ახლა კადილას ნუგზარიც შველოდა ყვავილების დაკრეფაში, მაგრამ, როგორც კი ფეხის მოძრაობას შეანელებდა, დინება მაშინვე გვერდზე მიაქანებდა.

კადილამ ზამბახის თაიგული შეკრა და გზა განაგრძეს. როდის-როდის იმ ხესთანაც მიაღწიეს, საათნახევრის წინ კიბანი რომ დატოვეს. მაგრამ იქ მანქანა აღარ დახვდათ, დახვდათ მხოლოდ ჯართის დიდი გროვა.

ნუგზარმა დაინახა, კადილა როგორ დავარდა მიწაზე. ძას ქალიშვილის უცნაური შეძახილიც მოესმა და მაშინვე ძასთან მიცურდა. ორივე ხელებით ბეჭებში ჩააფრინდა და წამოწევა სცადა. საბედნიეროდ, კადილა მხოლოდ ერთ წუთს იყო შოკში, მერე წონასწორობა ნელ-ნელა აღიდგინა და ნუგზარს უთხრა: ჩქარა გავეცალოთ აქაურობასო.

ნუგზარმა მეგობრებს მოუხმო.

— ერთ ჯგუფად ვიცურაოთ, როგორც ჩანს, საფრთხეში ვართ. თუ დაგვესხმიან, თავი დავიცვათ. იმავე წუთს შორს ორი კიბანი გამოჩნდა. მანქანებს ძალიან მძლავრი შუქი ჰქონდათ. ისეთი მძლავრი, რომ სულ გააჩახჩახეს ხეებს შორის ობობას ქსელივით გაბმული ლიანები. მოჰქროდნენ მანქანები და თანაც რაღაც გულის გამაწვრილებელ სიგნალს იძლეოდნენ.

ვალერის ტანში გასცრა.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა ენის ბორძიკით მან.

— ჩვენ გადავრჩით, უშიშროების სამსახური მოდის, — თქვა კადილამ და ფეხების ერთი დარტყმით მიწიდან აიჭრა. თევზივით ასრიალდა ლიანების გასწვრივ.

ამ დროს ორივე კიბანი იმ ხესთან დადგა, კადილას მანქანის ჯართთან ახლოს რომ იდგა. იქიდან მოსული ბიჭები გადმოვიდნენ, ხელში ისეთივე იარაღი ეკავათ, მეკატს რომ დაუნახეს მაშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილამ რაღაც უთხრა. იმათაც უპასუხეს ცივად და ერთ ერთი მათგანი დიდხანს კითხულობდა მგლის თავზე სახარებას, როცა ამ მოსაწყენ ლაქლაქს მორჩა, კადილა ადამიანებთან მიცურდა.

— წავიდეთ, ისინი მანქანას გვაძლევენ. წავიდეთ ჩქარა, აქ ჩვენ ახლა ზედმეტნი ვართ.

კადილა წინ გაცურდა და მას ნუგზარი და მისი მეგობრებიც მიჰყვნენ.

ეს კიბანი უფრო სრული იყო, კედელიც მაგარი ჩახდა. უკანა კაბინაში შელაგდნენ თუ არა, კადილამ თქვა, ნიღბები არ მოიხადოთო. რასაკვირველია, არავის გამოუვლენია სურვილი, ეს განკარგულება შეეცვალა. კიბანი სწრაფად მოწყდა და მაშინვე ძალიან მაღალი ჭერი აიღო. ისეთი განცდა დაეუფლათ, თითქოსდა ვერტიკალურად მიჰქროდნენ. მთელი ოცი წუთი მიდიოდნენ ასე. მერე კიბანმა სიჩქარეს უკლო და ფართო გზაზე დაეშვა. ეს გზა ნუგზარმაც და მისმა მეგობრებმაც მაშინვე იცნეს. ისინი უკვე შინ იყვნენ.

კიბანი კედელში შესრიალდა, როცა კაბინიდან წყალი გაისრუტა, კადილამ ნუგზარს უთხრა:

— ძალზე დავიღალე. მაპატიეთ, შინ ვეღარ მიგაცილებთ, ამ საქმეს უჩემოდაც მოუვლიან. მოდით, გამათავისუფლეთ, მინდა, როგორმე შინამდე მივაღწიო და დავისვენო.

— მიბრძანდით, გვაპატიეთ იმ უსიამოვნებისათვის, რასაც ჩვენ გამო იტანთ.

— არა უშავს, მაგაზე ლაპარაკი არცა ღირს. აბა, ჩაბრძანდით.

კიბანიდან ჩამოვიდნენ თუ არა, მანქანა ისევ უკან გასრიალდა და წითელ დარბაზში საეჭვო დუმილი დატოვა. იქ, დარბაზის ბოლოში, კი, ღია კარი მათ ეპატიჟებოდათ. ნუგზარი დაწინაურდა, იგი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოსდა ამ წითელ დარბაზში ყოფნა არ სიამოვნებდა. ეს მართლაც ასე იყო, ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის ოთახამდე მიაღწევდა, დაწვებოდა და მოზღვავებულ ფიქრებში დღევანდელ აძბებს გონიერად აწონ-დაწონიდა. მას მხოლოდ ის ახარებდა, რომ ვალერიმ რაღაც საიდუმლოებებს მიაგნო და კიდევ რაღაცას თავის ეშმაკურ გასაღებს არგებდა.

გუნებაში აქებდა ვალერის და ბედნიერად მიაჩნდა თავი, რომ ახლა, ამ მძიმე წუთებში ეს მოუსვენარი კაცი მის გვერდით იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანში რომ შემოვიდნენ, გაბოშვილმა როყიოდ იკითხა: ნუთუ მართლა ტერორისტები იყვნენ, თუ თვითონ ბოაწყვეს ეს ინსცენირებაო.

ვალერი აღშფოთდა და რაღაც საშინელის თქმას აპირებდა, მაგრამ მის წამოწითლებულ სახეზე ნუგზარმა ყველაფერი ამოიკითხა, ტუჩებზე თითი დააფარა და ანდროს მიუბრუნდა.

— ახლა ყბედობის დრო არაა, რაც მოხდა, ყველამ კარგად დავინახეთ, ანალიზს ჩვენ არავინ გვთხოვს, მოვეშვათ ამ საქმეს. მგონი, ისინი შეძლებენ ყველაფრის გარკვევას, გიკრძალავთ უსაგნო ლაპარაკს.

ახლა ვისაც გსურთ, ივახშმეთ. მე კი ჩემდათავად, ისე ვარ დაღლილი, ჭამის თავიც არა მაქვს. დასაძინებლად მივდივარ.

ნუგზარი თავის ოთახში შევიდა. ვიტალიმაც და ვალერიმაც მას მიბაძეს. ანდრო მერყეობდა, მაგრამ აწრიალებულმა ბუცელმა ისე შეაწუხა, უვახშმოდ დაწოლა ვერ გადაწყვიტა. სასადილოში შევიდა და გაწყობილ მაგიდას მიუჯდა. გული წყდებოდა, რომ მარტო დარჩა, მაგრამ მეტი რაღა ჩარა იყო.

შავი კარჩხანა დაითრია, როგორც ყველა მეზღვაური, ანდროც სულს ლევდა ამ ნოყიერი თევზისათვის. ჯერ კიდევ გემზე, როცა ტრალში შავი კარჩხანა გაიფათქუნებდა, პირველი გარბოდა უკანა ერდოსაკენ. თევზს მისი სხეულისათვის შეუფერებელი სიმარდით გამოხსნიდა და მერე კამბუზში კარლო ხარბედიას მთელი საათი ეჩიჩინებოდა, ძმობასა და მეგობრობას ეფიცებოდა, რომ მისი ინდივიდუალური შეკვეთა ბიეღო.

ბოლოს და ბოლოს ხარბედია თანხმდებოდა და ნახევარ საათში ანდრო შებრაწულ თევზს შესციცინებდა.

ახლა კი, სულ მარტო უჯდა სავახშმო სუფრას და შებრაწული კარჩხანა წინ ედო. მადაც ზვიგენისა ჰქონდა.

გვიანი ვახშმობა რომ მოათავა, ტუალეტში მოისურვა გაბრძანება და ძალიან გაიკვირვა, როცა იქ, დერეფნიდან გამავალ კართან, ამიტის ყვითელ ხელს მოჰკრა თვალი.

— ეს ვინ ოხერი მოთრეულა აქა, — ერთი წამოიძახა და ზედ გვარიანი მეზღვაურული გინებაც მიაყოლა. ეს ყველა-

ფერი ასე მოხდა, მაგრამ ის კი ვერ გაიგო ანდრომ, მისმა სიტყვებმა ადრესატის ყურამდე თუ მიაღწია. ალბათ ამის შეიმოწმების სურვილი თუ ამოძრავებდა, რადგანაც მოძღვარმა თხუთმეტი წუთი იმ გასაძვრომთან გაატარა და ბათმახიანი მუშტიც გულდაგულ უხათქუნა კედელზე. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ იმ ყვითელი ხელის პატრონს უკან მობრუნების სურვილი აღარ გამოუჩენია და ანდრომაც თავის საწოლს მიაშურა. ლოგინში რომ ჩაგორდა და საწოლიც ძაგრად ჩაზნიქა, „ესეც ასეო“, ერთი ჩაილაპარაკა, ნებიერი ფშვინვა ამოუშვა.

დილით, ფიზიკური დატვირთვის დროს, ანდრომ, ნავახშმევს რაც გადახდა, ნუგზარს მოახსენა. მისდა გასაოცრად ნუგზარს ამ ინციდენტისადმი დიდი ყურადღება არ გამოუჩენია და ანდრომაც ჩათვალა, საქმე შემდგომ ინსტანციაში გასაპროტესტებლად არ ღირსო. სამაგიეროდ ნუგზარმა ისევ გააფრთხილა ყველანი: იმ საქმეზე, რაც გუშინ მოხდა, ხმა, კრინტიო.

საუზმის შემდეგ სუფთა ბლოკნოტებითა და ფანქრებით დატვირთული ბეტა და ნატე მოვიდნენ. მათი გამოჩენა მოკუპრულ ცაზე მზის აელვებას ჰგავდა. სახიდან ყველამ ჩამოირეცხა უგუნებობის გუშინდელი ნაკვალევი.

— ეს ნობათი დეიდა კადილამ მოგართვათ. თვითონ შეუძლოდ არის და ვერ გეახლათ, — თქვა მხიარულად ნატემ და სკამი გამოაჩოჩა.

სანამ ბეტაც მას მიბაძავდა, ვალერი გაცუნცულდა და კიდევ ორი სკამით გაამდიდრა გასართობი ოთახი.

— დაბრძანდით, ძალიან სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა.

ბეტას დიდი თავპატიჟი არ დაუწყია და ვალერის მიწოდებულ სკამზე დასკუპდა.

— რას გვეტყვით ახალს, — საუბრის ბაგირს ხელიდან არ უშვებდა ვალერი.

— ყველა შეწუხებულია გუშინდელი თავდასხმით, — დაიწყო ბეტამ, — მამიკო აღშფოთებული მოვიდა შინ. ეს რა მოხდაო. ბოლთას სცემდა და დასაჯდომს ვერ პოულობდა. დედა ამშვიდებდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა. დღესაც ყველა ამ თავდასხმაზე ლაპარაკობს. ცუდი ამბავი მოხდა.

სკოლაში ბავშვები სულ გაგიჟდნენ, ჩვენს მეგობრებს რა აკადრესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენთან ერთი ბიჭი სწავლობს, — ბეტას სიტყვა ჩაუმოართვა ნატემ, — მამამისი არაა კარგი ამიტი. როგორც ამბობენ, ახლა თქვენს წინააღმდეგ გამოდისო. ჰოდა, იმ ცუდი ამიტის შვილი კუთხეში მივიმწყვდიეთ და სახლში, მგონი კარგი საჩუქრით გავუშვით.

— ცემეთ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— მერე როგორ.

— ეს ვერ მოგსვლიათ კარგი საქმე; აბა, დაფიქრდით: ვთქვათ, მამა არაა კარგი კაცი, მისმა ბიჭმა რა დააშავა? მით უმეტეს, ის სკოლაში თქვენს გვერდით ზის და ალბათ მეგობრობთ კიდეც.

ნატე გაისუდრა.

— ჰო, ეს ასეა, მაგრამ გუშინ ხომ საშინელი ამბავი მოხდა?

— გუშინდელ ამბავს სხვები მიხედავენ. ისინი, ვისაც ეს ევალებათ. თქვენ კი რა შუაში ხართ?

— არა, მთლად მაგრად არ მიგვიბეგვია, — თავი იმართლა ბეტამ.

— ჰო, — ჩაერია საუბარში ვალერი, — მაშინ კიდევ არა უშავს.

ბავშვები მთელი ორი საათი დარჩნენ და ამ საკმაოდ სოლიდურმა დრომ ისე გაიფრინა, თითქოსდა ორი საათი კი არა, სულ ოცი წუთი ყოფილიყოს. ისინი რომ წავიდნენ, ყველამ ცხვირი ჩამოუშვა.

სამაგიეროდ ვახშმის შემდეგ კადილა და დინაკი გამოცხადდნენ. სახელმწიფო მინისტრს ისეთივე შარვალი ეცვა, ადამიანები რომ ატარებენ. პერანგიც ხალვათად მოერგო და უფრო დედამიწაზე დაბადებულ კაცს ჰგავდა, ვინემ ოკეანის ფსკერზე გაჩენილ არსებას.

— მათი გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, მასპინძლები უხერხულად აეკვრნენ კედელს, გაოცებული მისჩერებოდნენ სახელმწიფო მინისტრს. მინისტრი კი ძალზე "ბიხაურულად მივიდა მაგიდასთან, სკამი გამოსწია და ალბათ კიდეც დაჯდებოდა, მაგრამ სწორედ ახლა შეამჩნია, რომ იქ მხოლოდ ოთხი სკამი იდგა და კადილას მიუბრუნდა.

სანამ ის კადილას ელაპარაკებოდა, ვალერიმ ორი სკამიც მოაცურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილამ კი თქვა: ზოგიერთების უსაგნო ხელმოჭერობის გამო სახელმწიფო მინისტრისაგან კარგა მაგარი შენიშვნა მივიღეო. ხვალ კიდევ ოთხ სკამს დავადგმევინებო.

— მგონი, საჭირო არ უნდა იყოს. ჩვენთან სტუმრები იშვიათად მოდიან, როცა მოდიან, ყოველთვის ვახერხებთ საძინებლიდან სკამის მოტანას... — უთხრა ნუგზარმა. მაგრამ კადილა მაინც თავისაზე იდგა, სახელმწიფო მინსტრმა ბრძანაო.

ბოლოს ექვსივენი მაგიდას მიუსხდნენ და დინაკმა დაიწყო თავისი მოკლე სიტყვა. ყველა მიხვდა, რომ დინაკი საბოდიშოდ იყო მოსული. ლაპარაკს რომ მორჩა, ნუგზარს ძზერა მოაშორა და დამნაშავე ბავშვივით თავი ჩარგო.

კადილამ დაიწყო:

— სახელმწიფო მინისტრი აღშფოთებულია იმით, რაც მოხდა. ამიხოტში გაზეთები დღეს დაგვიანებით გამოვიდა, დაიბეჭდა მთავრობის საგანგებო სხდომის ანგარიში. სხდომა წუხელ გვიან, ღამით ჩატარდა. შინაგან საქმეთა მინისტრი მოხსნილია თანამდებობიდან. მოიხსნა აგრთვე შვიდი მაღალი ჩინის მოხელე, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან წესრიგზე. უშიშროების სამსახურმა შემთხვევის ადგილზე შეიპყრო ერთი დამნაშავე. მან აჩვენა, რომ განზრახული ჰქონდა კიბანის აფეთქება, ტყვეთა დახოცვა ჩვენს გეგმაში არ ყოფილაო. დაპატიმრებულმა არ გასცა თანამონაწილენი. ეს საერთოდ ასე ხდება ჩვენთან. შეპყრობილ დამნაშავეს დახვრეტენ.

დინაკი მთავრობის სახელით ბოდიშს იხდის და დიდ ძწუხარებას გამოთქვამს ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა. დინაკმა მთხოვა, გადმოგცეთ, რომ სახელმწიფომ ჩემი პირადი ზარალი აანაზღაურა, მე უსასყიდლოდ მომცეს ახალი კიბანი. გაცილებით უკეთესი, ვინემ ის ჩემი ჯაბახანა იყო. ღიმილით დაამთავრა კადილამ.

— არა, ქალბატონო კადილა, თქვენი მანქანა სრულებითაც არ გახლდათ ჯაბახანა. მაგ კიბანზე სიამოვნებით ვიმუშავებდი, თუ გნებავთ მთელი ათი წელი. — ნაღვლიანად თქვა ვალერიმ.

— ნუ დარდობთ, ვალერი, ახლა გაცილებით უკეთესი კიბანი გვაქვს: ამ დღეებში ჩემი ძმა ჩამოვა ამიხოტიდან და სანადიროდ წავალთ, მაშინ დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში.

— კადილა, — სიტყვა შეაჭრა ქალიშვილს ნუგზარმა, — ძალიან გვაინტერესებს, ვიცოდეთ, პარლამენტს ჯერ ხომ არ უმსჯელია ჩვენს თაობაზე.

— არა, ამაზე მეც შემიძლია გიპასუხოთ, როცა იმსჯელებენ, მეორე დღესვე გაცნობებთ.

— მაშინ გადაეცით დიდი მადლობა სახელმწიფო მინისტრს იმისათვის, რომ შეწუხდა და დროც კი გამონახა ჩვენთან მოსასვლელად. ჩვენ მისგან დიდად დავალებულად ვთვლით თავს. ვგრძნობთ ზრუნვასა და გულთბილ დამოკიდებულებას. შევეცდებით, ოდესმე მაინც გადავუხადოთ სამაგიერო, რასაკვირველია, ძალიან კარგი გაგებით.

კადილამ ეს სიტყვები თარგმნა და დინაკს სახე გაეხსნა, ისევ ის უბრალო ღიმილი მოეფინა, დახვეწილი ნაკვთები შეუვარდისფრდა. კადილას მიუბრუნდა და რაღაც უთხრა.

— დინაკი ამბობს, რომ აღფრთოვანებულია თქვენი მამაცობით.

— რა მამაცობაზეა ლაპარაკი, ვერაფერი გაგვიგია? — თქვა ნუგზარმა.

— მე ვუამბე, რომ თქვენ ტერორისტთა თავდასხმის დროს მამაცურად იდექით. მე შიშისაგან რეტი დამესხა და სულ დავიბენი. თქვენ კი, თითქოსდა არაფერიც არ მომხდარიყოს, ისე იქცეოდით. ჩემი მობრუნებაც კი სცადეთ. გუშინ ერთხელ დავრწმუნდი, ქალები რანიცა ვართ.

— არაფერი ისეთი მამაცობა არ გამოგვიჩენია, უბრალოდ, არ დავიბენით, ისე კი, რომ დაგვსხმოდნენ, მგონი, არც ისე იაფად დავუსვამდით ჩვენს სიცოცხლეს.

საუბარში ისევ დინაკი ჩაერია და ნუგზარი გაჩუმდა.

— დინაკი კითხულობს, თქვენ ყველანი ცოლშვილიანი ხართ თუ არა?

— დიახ, ყველანი ცოლშვილიანი გახლავართ.

— მრავალშვილიანობას თუ მისდევენ თქვენთან?

— ბავშვები არ გვაკლია, ორი-სამი ყველას ჰყავს, აი, ის

ყმაწვილს კი, ახლა გასუსული რომ ზის, ოთხი შვილი ჰყავს.

ნუგზარმა თითით ანდროზე აჩვენა და კადილამაც გაოცებული მზერა გაბოშვილზე გადაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არ მომყურებია, ოთხი თქვით, არა?

— დიახ, ოთხი. ოთხი ბავშვის მამაა ჩვენი ანდრო. შვილები იქ მოელიან, ჩვენ კი, აქ, ოკეანის ფსკერზე ვერთობით,

კადილა თარგმნას შეუდგა და ახლა დინაკმა გამოსახა სახეზე გაკვირვება. რაღაც მოკლე ფრაზა წარმოთქვა და კადილამაც თავი დაუქნია.

— დინაკი ამბობს, ასეთი ყოჩაღი ბიჭები რომ ჩვენც გვყავდეს, ამიტები სწრაფად გავმრავლდებითო, მაგრამ ჩვენთან, საუბედუროდ, ასე დაკანონდა: ერთი, ორი ბავშვი, სამი დიდ გმირობად ითვლება.

— ცუდია.

— რასაკვირველია, ცუდია. და კიდევ იცით რა, დინაკი მადლობას იხდის, რომ ამიტ ბავშვებს ნება დართეთ ქართული ენის პრაქტიკა გაიაროონ თქვენთან. ეს მას დიდ დახმარებად მიაჩნია.

— ჩვენ გვაქვს ერთი თხოვნა სახელმწიფო მინისტრთან.

— ბრძანეთ! — თქვა კადილამ.

— ცხადია, ძალიან ცუდი ფაქტი იყო გუშინდელი გამოხდომა. დღეს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამიტები აღაშფოთა ტეროორისტთა ასეთმა თავხედობამ. ეს თავისთავად ღაღადებს, რომ კაცის მკვლელი გარეწრები ხალხისაგან გარიყულია. ამდენად ისინი უნიადაგო ძალად იქცნენ. ამ სიტუაციაში, მგონი, არ არის აუცილებელი შეპყრობილი ტეროორისტის დახვრეტა. ადამიანთა იმ მცირე ჯგუფის სახელით, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, გადაეცით თხოვნა პარლამენტს, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდეს იმ ცოდვილ კაცს. ჩვენ ამ შემთხვევაში გვამოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიზმის გრძნობა. დიდად კმაყოფილი დავრჩებით, თუ პარლამენტი ჩვენს თხოვნას მიიღებს. ეს ოდნავ კიდევ შეგვიმსუბუქებს ტყვეობის მძიმე დღეებს.

კადილა თარგმნას შეუდგა.

დინაკი დაძაბულად უსმენდა. მშვიდ, ნატიფ სახეზე არც

ერთი ნაკვთი არ მოძრაობდა, გაქვავებული კაცი გეგონებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩა თუ არა კადილა, დინაკი ერთხანს კიდევ ასე ქვად ქცეული იჯდა. მერე თავიც კი არ აუწევია, ისე დაიწყო საკმაოდ გრძელი სიტყვა. თუმცა ამიტური კადილას გარდა არც ერთმა არ იცოდა, იმ წუთში ხუთივენი მისი მჭევრმეტყველების ფაფუკ ბადეში გაეხვივნენ. დინაკი ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას გამოკვეთით წარმოთქვამდა. მის ხმაში ოკეანის ფსკერზე დამზადებული ფოლადი ჟღერდა. დაამთავრა თუ არა სიტყვა, თავი ასწია და კეთილი გამოხედვით ტყვეებს ჩამოუარა.

კადილამ თარგმნა:

— დინაკი აღფრთოვანებულია თქვენი კეთილშობილებით. მას არ შეუძლია გადაჭრით თქვას, რას მოიმოქმედებს პარლამენტი, მაგრამ წინასწარ ამის თქმა კი შეუძლია, პარლამენტზე დიდ ეფექტს მოახდენდა ადამიანთა ეს ჰუმანური გახცხადება. სიამოვნებით კისრულობს პარლამენტში წაიკითხოს მიმართვის ტექსტი, რომელსაც ალბათ თქვენ შეადგენთ. იგი მთხოვს, ამ ტექსტზე თქვენთან ერთად მეც ვიმუშაო. და კიდევ ერთი რამ... ამის თქმა ცოტა კიდეც მეთაკილება... საქმე იმაშია, რომ დინაკმა რამდენიმე ქათინაური დახარჯა ჩემი მისამართით.

— ეს ქათინაურებიც ფრიად საინტერესოა. ბრძანეთ, — თქვა ნუგზარმა და სმენად იქცა.

— ვითომ?

— დიახ, დიახ.

— საქმე ის გახლავთ, რომ მე... მაპატიეთ, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრათ, ერთი იმათგანი ვარ, ვინც ქართულ კულტურას აღმერთებს.

— საინტერესოა.

— ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის უკან მე დავადგინე ერთ-ერთი უძველესი ხომალდის კუთვნილება. ის ჩაიძირა, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე, ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში და ეკუთვნოდა კოლხებს.

ნუგზარი ფეხზე წამოვარდა.

— შეგვიძლია, ვნახოთ ის გემი?

— რასაკვირველია, დაბრძანდით.

— გემის სახელწოდებაა „დიოსკურია“, წარწერა აქვს ქართულად და ბერძნულად. ქართული წარწერა შელარებით დაზიანებულია.

— ნუთუ ჩვენს დრომდე მოაღწია უძველესმა გემმა?

— ცხადია, ჩვენს დრომდე ვერც ერთი ამ ასაკის გემი ვერ მოაღწევდა, მაგრამ იგი იხსნა ამიტთა ერთმა უცნაურმა წესმა.

— სახელდობრ? — ნუგზარი ვერ ისვენებდა.

— სახელდობრ იმან, რომ... ამიტებმა ჯერ კიდევ უძველეს დროში დაამუშავეს ხის მასალის დამუმიების წესი. მათ მიაგნეს უებარ წამლებს, რომელთა მაგიური ძალა უკვდავებას ანიჭებდა ხის მასალას. ეს რომ არა, ჩვენ ვერ შევძლებდით ტექნიკის ასე განვითარებას. ისინი რატომღაც ამ წამლების გამძლეობას ჩაძირულ გემებზე ცდიდნენ. ასე დაამუმიეს ‘ათ ოთხასამდე უძველესი გემი, მათ შორის თქვენი „დიოსკურიაც.“

ამ დროს დინაკმა რაღაც იკითხა და კადილამაც გაიხსენა, რომ მის გვერდით მარტო ადამიანები კი არა, სახელმწიფო მინისტრიც იჯდა. სწრაფად შებრუნდა მისკენ და უპასუხა, მერე ისევ სტუმრებს მიუბრუნდა.

— სახელმწიფო მინისტრი ამბობს, რომ მე, როცა საქართველოზე ვსაუბრობ, ყველაფერი მავიწყდება... დაახლოებით ასეა. არა მარტო მე, ჩვენს ოჯახში ყველა თქვენი ქვეყნის ტრფიალია. დინაკს წასვლა უნდა, ჩვენ კი თქვენი მიმართვის ტექსტის შედგენა მოგვიწევს.

კადილა დინაკს მიუბრუნდა. სახელმწიფო მინისტრი ადგა, ხელი გულთბილად აიქნია და დერეფანში გავიდა. ფეხზე ამდგარმა მასპინძლებმა გაცილება სცადეს, მაგრამ კადილაჰ შეაჩერა, საჭირო არ არისო. დინაკი დერეფანს მიეფარა თუ არა, კადილა მაშინვე დაჯდა, დასხდნენ სხვებიც.

— თქვენმა ძმამ თუ იცის ქართული?

— მადინი ქართულად ჩემზე უკეთესად ლაპარაკობს. იგი შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურადაც. სამი თვე ბრიტანეთის მუზეუმში ეცნობოდა მსოფლიო კულტურის უნიკალურ ნიმუშებს.

— ეს როგორ?

— ჩვეულებრივად. მადინი ხმელეთის ამიტია. ის ჯერ კი-
დევ თორმეტი წლის იყო, ოპერაცია რომ გაუკეთეს. შესანიშ-
ნავად შეეგუა ახალ ვითარებას. ოცდაორი წლისა ნამიბიაში
გადავიდა და აქედან ლონდონში ამოჰყო თავი. სამი თვე ცხოვ-
რობდა იქ. სხვათა შორის ლონდონში ყოფნის დროს ერთ-ერ-
თი ინგლისელი პროფესორის საშუალებით გამოიწერა იშვია-
თი ქართული წიგნები. მთელი ეს ბიბლიოთეკა შემდეგ მე
გადმომცა, რამაც საშუალება მომცა, უფრო ახლოს ვზიარე-
ბოდი თქვენს დიდ ცივილიზაციას. ვიცნობ „ვეფხისტყაოსანს“.
პირველად ის ინგლისურად წამიკითხა მადინმა, მერე ქართუ-
ლიც მომიტანა. ვიცნობ თქვენს პირველ რომანს და სხვა მრა-
ვალ მხატვრულ ძეგლებს. დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ, ახ-
ლა კი, მიმართვის ტექსტი შევადგინოთ. ქაღალდი ხომ გაქვთ?

— თქვენი მოწყალება არ გვაკლია. გუშინ მთელი დასტა
მივიღეთ, — თქვა ვალერიმ.

— აბა, რამდენიმე ფურცელი მასესხეთ და ამ დღეებში
სესხს დაგიბრუნებთ.

— ინებეთ!

ვიტალიმ მთელი ალბომი დაუდო წინ.

— დავიწყოთ ასე, — კადილამ ფანქარი მოიმარჯვა, თავი
ასწია და ნუგზარს შეხედა, — ჯერ დავწეროთ ქართულად,
ამიტურ თარგმანს შინ მოვამზადებ.

— როგორც გენებოთ.

— აბა, ასე დავიწყოთ: „ამიტთა სახელმწიფო პარლამეტს!
ტყვე ადამიანთა მიმართვა“.

კადილამ თავი ისევ ასწია.

— სიტყვა ტყვე არ მომწონს, ხომ არ შეგვეცვალა.

— არა, მგონი, ასე უფრო ჯობია. პარლამენტმა უკეთ
იცის, ვინცა ვართ. სიტყვა—ტყვე დარჩეს, — თქვა ნუგზარმა.

— როგორც გენებოთ... აბა, განვაგრძობ.

„დიდად შეგვაწუხა იმ ფაქტორმა, რაც მოხდა ამიტთა ძველ
სადგომთან. გასაგებია, რომ ტერორისტებს სურდათ ჩვენი
დაღუპვა. ამ შემთხვევიდან მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ ამი-
ტთა შორის დიდი გულისწყრომა გამოიწვია ტერორისტთა სის-
ხლიანმა გამოხდომამ. ამიტთა ეს თანაგრძნობა უფლებას გვაძ-
ლევს, ვიფიქროთ, ხალხი შორს დგას იმისაგან, რასაც ერთი
მუჭა თავზეხელაღებული არამზადები ფიქრობენ.

ჩვენმა ლამაზმა პლანეტამ ცხოვრების საჭე ორ გონიერ არსებას — ადამიანსა და ამიტს მისცა ხელში. გავუფრთხილდეთ ამ საჭეს, ჩვენი სიცოცხლე პლანეტის კიდევ უფრო აყვავებისა და გალამაზების საქმეს მოვახმაროთ.

დღეს შევიტყვეთ, რომ თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე დაპატიმრებულია და სიკვდილით დასჯა მოელის. არ ვაპირებთ, ჩავერიოთ თქვენს პირად საქმეში, დავა გავმართოთ იმაზე, სასჯელის რა ზომა შეეფარდება დაპატიმრებულ დამნაშავეს, მაგრამ გვსურს, თქვენ, პარლამენტის პატივცემულ წევრებს, შეგახსენოთ ერთი რამ. ამ დამნაშავის დასჯის მიზეზი, ჩვენ, ხმელეთიდან მოსული ადამიანები გავხდით.

ჩვენ თქვენთან მოვედით მშვიდობისა და კეთილი ნების ელჩებად. არ გვსურს, ამ ელჩობის ზვარაკად რომელიმე ამიტი გახდეს, ვინც უნდა იყოს ის და რა დანაშაულიც მიუძღოდეს ადამიანთა მიმართ. ამიტომ, უმორჩილესად ვთხოვთ დიდად პატივცემულ ამიტთა სახელმწიფო პარლამენტს, გაითვალისწინოს ეს თხოვნა და სიცოცხლე შეუნარჩუნოს იმ ამიტს, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ხელი აღმართა ადამიანებზე.

წინასწარ გიხდით მადლობას, რადგანაც დარწმუნებული ვართ, ასეთი ცივილიზებული ერის პარლამენტი უარს არ გვეტყვის ამ თხოვნაზე.

კადილამ ფანქარი დადო და გამომცდელად შეხედა ყველას.

— ვითომ არ ვარგა?

— არა, მგონი, კარგი გამოვიდა, — თქვა ნუგზარმა.

— ჩინებულია, — დაეთანხმა ვიტალი შლიახოვი.

— ცოტას თარგმნის დროს კიდევ დავხვეწ. ახლა ყველამ მოაწერეთ ხელი. გარკვევით მოაწერეთ. ეს პირველი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც ადამიანებმა ამიტებს გაუგზავნეს. თქვენ, როგორც ამ დოკუმენტის ავტორები, სამუდამოდ ჩაიწერებით კაცობრიობის ისტორიაში.

— თქვენც, როგორც ტექსტის ძირითადი შემდგენელი და მთარგმნელი, — თქვა ვალერიმ.

— ალბათ ასეა, არც მე დავრჩები ისტორიის გარეთ.

კადილამ გაიღიმა და წამოდგა.

— ძმებო, ახლა კი წავალ. ეს საქმეც მომემატა, ამას შინ მისვლისთანავე ვთარგმნი და დინაკს გავუგზავნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ როდის შევხვდებით? — იკითხა ნუგზარმა.

— ალბათ, ზეგ. ზეგ ველი მადინს. სანადიროდ უეჭველად წაგვიყვანს.

— და ის კოლხური ხომალდიც უნდა დავათვალიეროთ.

კადილა დაფიქრდა.

— თუ დრო დაგვრჩა.

— არა, პირველ რიგში ჩვენ ხომალდი გვაინტერესებს, — გააპროტესტა ნუგზარმა.

— კარგი, ვნახოთ, — თქვა კადილამ, ხელი აიქნია და ოთახიდან გავიდა.

— თურმე არცთუ ისე ტყუილად ვკარგავთ დროს ოკეანის ფსკერზე, — თქვა ნუგზარმა, როცა კადილა უკვე დერეფნის იქით დაიგულა. — ხედავთ, რამდენი საიდუმლო იხსნება? ახლა ერთი სული მაქვს, სანამ იმ ჩაძირულ გემს ვნახავდე. როგორი იქნება შეხვედრა უძველეს ისტორიასთან.

— ფრიად საინტერესო, — ჩაიქილიკა ვალერიმ, — რასაკვირველია, თუ უძველესი ისტორიის ნაცვლად სუროგატი არ მოგვაჩეჩეს.

ნუგზარმა ქვემოდან გახედა.

— შენ დიდი ურწმუნო თომა ხარ.

— ცხოვრებამ მასწავლა, ამხანაგო ნუგზარ. ცხოვრებამ მასწავლა, რომ ასჯერ გავზომო და ერთხელ გავჭრა. იმ ერთხელაც არ გავჭრა, თუ გულმა რეჩხი მიყო.

— კადილა ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, არა მაქვს საბუთი, მისი ნათქვამი არ ვიწამო.

— ჯერჯერობით არც მე მაქვს საწინააღმდეგო საბუთი. მხოლოდ ერთი რამაა, ბევრ მოვლენას, რაც აქ ხდება, სკეპტიკურად ვუყურებ. რა ვქნა, ასეთ ურწმუნო თომად დავიბადე და... ხედავთ, სკამები შემოუმატებიათ.

ნუგზარმა თვალი შეავლო ოთხ ახალ სკამს ოთახის კუთხეში რომ დაედგათ.

მეორე დღეს, როცა ბეტა და ნატე დერეფანში შემობაკუნდნენ, წინ სწორედ ეს ურწმუნო თომა შეეფეთათ. ვალერის ხელში დიდი კიბორჩხალას მარჯვენა ცაცი ეკავა და თავის მეჩხერ კბილებს მოხარშული მცოცავის ჯავშანზე აკაკუნებდა. ჯავშანი საკმაოდ მაგარი აღმოჩნდა და ნურას უკაცრავად, ასე ადვილად არ ნებდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებმა სწორედ ამ ყოფაში იხილეს ბასილაია. ბეტამ გადაწყვიტა, მიშველებოდა ქანცგაწყვეტილ ძიას.

— მათხოვეთ, ახლავე დავამსხვრევ; — უთხრა გოგონამ და კიბორჩხალას ცაცი ჩამოართვა. ერთ წამში გაისმა ჯავშნის მსხვრევის ხმა და ვალერის ხელში აღმოჩნდა ფოსფორით სავსე კიბორჩხალას გემრიელი ხორცი.

ვალერიმ ბეტას შეხედა.

— გოგონა, აბა, მიჩვენე შენი კბილები.

— ბეტამ გაიცინა და სიმინდის მარცვლებივით ჩაკიწკიწებული თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ოო, ეს საქმეა. ასეთი კბილები რომ მქონდეს, ამას კი არა, ომარის ჯავშანსაც დავამსხვრევდი.

— რა არის ომარი? — იკითხა ბეტამ.

— ომარი თითქმის იგივე კიბორჩხალაა, ოღონდ ორჯერ უფრო დიდი იზრდება და უფრო ლამაზიცაა.

— ლატა, ლატა, — თქვა ნატემ, — ჩვენ მას ლატას ვეძახით, ლატას ჯავშანსაც ადვილად ვამტვრევთ. გინდათ, ხვალ მოგიყვანთ დიდ ლატას.

— მოიყვანე, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება.

გასართობ ოთახში შევიდნენ.

ანდრო გაბოშვილს, რაც გასართობ ოთახში დაჯდა, სასადილოდან სულ ერთთავად გაუთავებელი ხმაური ესმოდა. სწორედ ახლა ჩათვალა საჭიროდ შეემოწმებინა, რა ხდებოდა. ადგა და გავიდა.

სასადილოში არავინ იყო. ხმაური ახლა ტუალეტიდან ისმოდა. არც ის იყო შორს და ანდროსაც არ დაზარებია, ტუალეტის ვიწრო კარი შეეღო.

იქაც არავინ დახვდა. ყრუ კაკუნი კი ახლა უფრო აშკარად ისმოდა ტუალეტს იქიდან. არც აცივა, არც აცხელა, ტუალეტის დერეფანში გავიდა და იქ, ბოლოში, კედელს თავისი ღონიერი ბეჭი ატაკა. წარმოიდგინეთ გაბოშვილის გაკვირვება, როცა მის თვალწინ ეს მაგარი კედელი ხუხულასავით დაინგრა და იგი ოთხი დაფეთებული ამიტის წინ აღმოჩნდა.

ამიტები თითქმის შიშვლები იყვნენ. მოკლე შარვლების ამარა იდგნენ, სასუნთქი აპარატიც არ ეკეთათ. თუ ალღო არ ღალატობდა ანდროს, ასე ოცი-ოცდაათი წლისა იქნებოდნენ.

სახე ვარდისფრად უღაჟღაჟებდათ და ხელში რაღაც იარაღები ეკავათ, შუბლიდან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

— ეჰ, ძმებო, საიდან მოსულხართ, ან რისთვის გარჯილხართ? — იკითხა ანდრომ.

იმ წითელმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და არაფერიც არა თქვეს.

ანდრომ რომ თავისი ნათქვამი ისევ გაიმეორა, არც მაშინ გაუპარტყუნებიათ ყურები. ანდრომ არ დაიზარა და ისევ თქვა რაღაც. თუ რა თქვა და რა ენაზე, ეს რომ გეკითხათ, ალბათ თავადაც ვერ გაგცემდათ პასუხს.

— მაშ, ჩემებური არ იცით? — გაიკვირვა ანდრომ, — მე კი მეგონა ყველა ამიტმა იცოდა ქართული.

ის ოთხი ოფლგაღვრილი ტიპი კი იდგა და გაოცებული მისჩერებოდა ამ ტონტორა კაცს, წამდაუწუმ რაღაც უცნაური ბგერების ვულკანს რომ აფრქვევდა.

ნუგზარმა რაღაც იყნოსა, სწორედ დროზე შემოვიდა ტუალეტში, პირისპირ მდგარი ანდრო და ოთხი დაუპატიჟებელი სტუმარი რომ დაინახა, მაშინვე ნატესა და ბეტას მოუხმო. ნატემ და ბეტამ ძიებს ამიტურად გაუბეს საუბარი და მერე ნუგზარსა და ანდროს მოუბრუნდნენ.

— მუშები არიან, აბაზანის გამართვა დაუვალებიათ — თქვა ბეტამ.

— ააა! — წარმოთქვა ნუგზარმა.

— ბიჭო, ეს კარი შენ შელეწე? — მიუბრუნდა იგი ახლა ანდროს.

— რა შევლეწე. ბეჭი გავკარი და დაინგრა...

— ახლა აქტი რომ შეგიდგინონ და ფული მოგთხოვონ, საიდან დაყაჭავ, მამაშენი გამოგიგზავნის თუ ძმაკაცი? — უთხრა ვალერიმ ანდროს და ჩუმად ჩაიქილიკა.

ანდროს უკვე ცეცხლი ეკიდებოდა. ბურდღუნით შეუბრუნდა.

— კაპიტანო, ეს კაცი მომაშორეთ, თორემ რწყილივით კედელს მივასრეს.

— ეჰეი, ერთი ამას დამიხედეთ, რწყილიცა ხარ და მედუზაც. — გაცხარდა ვალერიც.

— ჩუმად! — გაბრაზებით თქვა ნუგზარმა და საძიძგი-

ლაოდ შემართულმა მამლებმა ბიბილოები მაშინვე ჩამოყარეს.

— ისინი პირველად ხედავენ ადამიანებს. კითხულობენ, შეიძლება თუ არა ხელით შეხებაო?

ნუგზარმა ხელი გაუწოდა. იმწამსვე ერთმა ვარდისფერმა კაცმა, სულ ახლოს რომ იდგა, თავისი ცაცია შეაგება. თითები მაგრად მოუჭირა. სახე ნელ-ნელა ეხსნებოდა და ბოლოს გვარიანი ხითხითიც აუვარდა.

— ამბობს, რომ თქვენ კარგი ხალხი ჩანხართ; შეეცდებიან, ისეთი აბაზანა მოგიწყონ, როგორიც გესიამოვნებათ. აი, აბა აბაზანაც იქა დგას უკვე, დღეს საღამოთი შეგეძლებათ კარგი შხაპი მიიღოთ და ტკბილად დაიძინოთ.

ვიტალი შლიახოვმა ნუგზარს სახელოზე მოქაჩა.

— ხედავთ, ამხანაგო ნუგზარ, აბაზანა ოქროსია.

ნუგზარმა თავი კედელჭრილში გაჰყო. თვალი შეავლო ყვითლად აელვარებულ უშველებელ საგანს და გაიღიმა.

— დიახ, სუფთა ოქროს ფურცელი აქვს გადაკრული.

— ვითომ მარტო ფურცელი? — ეჭვი გამოთქვა ვიტალიმ.

რასაკვირველია, მთლად ოქროსი რომ იყოს, აქ როგორ მოათრევდნენ,

— მართალია, თქვა ვიტალიმ და კიდევ ერთხელ გაიჭვრიტა კედელჭრილში.

მუშები კი იდგნენ ისევ ისე, გაოფლიანებულნი, გაოცებულნი და აკვირდებოდნენ ადამიანთა ყოველ მოძრაობას.

მერე ნუგზარმა თქვა: წავიდეთ, ხელს ვუშლით მუშაობაშიო.

ჭრილს მოშორდნენ და ისევ გასართობ ოთახში დაბრუნდნენ. აქ ვალერიმ ბლოკნოტი გამოიტანა და ნატესა და ბეტას ნამდვილი პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარა ქართულ წერაში.

ბავშვები წავიდნენ თუ არა, ნუგზარი მაგიდას მიუჯდა, თითებით რბილად დააკაკუნა სქელ ფიცარზე და ვიტალის გადახედა, მერე მზერა ვალერიზე გადაიტანა და ბოლოს გაჭეული გამოხედვა ანდროს გაუსწორა. ანდრომ იცოდა მისი კაპიტნის ასეთი გამოხედვის ფასი და წელში მოიხარა. ელოდა, კაპიტანი საცაა იქუხებსო, მაგრამ სულ ბოლო წამებში ნუგზარმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოითოკა და ჩვეულებრივ, წყნარი, მშვიდი ხმით დაიწყო:

— გასაგებია, ჩვენ ყველანი დავიღალეთ. თითქოსდა მივედით იმ ზღვართან, როცა ადამიანს ნებისყოფა ღალატობს. მძიმე მდგომარეობაში ვართ. სიტყვებიც კი არ მყოფნის, ვთქვა, თუ რა დღეში ვართ...

ნუგზარმა შეისვენა, სული მოითქვა, მერე გულზე მოწოლილი ბოღმა ჩახველებით გაიქარვა და ოდნავ ბზარშეპარული ხმით განაგრძო:

— ეს მდგომარეობა არავის გვაძლევს უფლებას, დავკარგოთ წონასწორობა, დავკარგოთ ის დიდებული თვისებები, რაც ჩვენს მეზღვაურებს აქვს. მოგიწოდებთ, კიდევ ერთხელ ჩაიხედოთ თქვენს გულში, გაიხსენოთ, რომ იქ, ხმელეთზე, ახლობლები გელოდებიან...

ნუგზარს ხმა კიდევ უფრო გაებზარა:

— აჯობეთ საკუთარ თავს... სძლიეთ სისუსტეს, რომელიც შემოგეპარათ!

ნუგზარი დადუმდა.

ანდრომ თავი ასწია, მაგრამ კაპიტანი ახლა მას არ უყურებდა. ნუგზარს გამჭოლი მზერა კედლისათვის მიეპყრო, თვალები ასწყლიანებოდა და ანდრო მიხვდა, რომ სიმწრის ცრემლებს ძლივს იკავებდა.

თავი ისევ დახარა და ძალზე ხმადაბლა ჩაიდუდუნა:

— ყველაფერი ჩემი ბრალია, კაპიტანო, მე მოვტყდი პირველი, განა ვალერიმ დღეს პირველად იხუმრა? მაგრამ დღეს ალბათ სისუსტემ დამჯაბნა და მეგობრის მხიარულ ტონს ვერ ავყევი. ჩემს სისუსტეს ვეღარ ნახავთ. ვალერის ბოდიშს ვუხდი. იგი ისევ ისეთ მეგობრად რჩება, როგორიც დღემდე იყო.

გადაიხარა და ვალერის აკოცა.

— ჩემი ბრალიც იყო, ნამეტანი ვქენი, — ვალერიმ ნაღვლიანი მზერა კაპიტანს მიაპყრო, — შევეცდები, აწი უფრო სერიოზული ვიყო. ესაა და ეს..

— მგონი, ყველაფერი გარკვეულია. დარწმუნებული ვარ, შემდეგისათვის ასეთი საუბრის მიზეზი აღარ იქნება. გულწრფელად გითხრათ, დღესაც მიჭირდა ასეთი ტონით მელაპარაკა თქვენთან, მაგრამ ვხედავ, ეს საჭირო ყოფილა. აბა, ვალერი, გახსენი ეკრანი. ვნახოთ ერთი, რა ხდება გარეთ, ხომ არ თოვს.

ვალერი სკამებს შორის მაშინვე გაძვრა და ეკრანი გახსნა. გარეთ კვლავ და კვლავ ჩანდა ფართო ხეივანი, სამსართულიანი სახლი და პროჟექტორის მძლავრი შუქი.

მეორე დღეს, სადილის შემდეგ, როცა გასართობ ოთახში ისვენებდნენ, ნუგზარის ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. კაპიტანი წამოვარდა და ჩქარი ნაბიჯებით თავის ოთახს მიაშურა.

ტელეფონი ისევ ხმაურობდა.

— ალო, გისმენთ, — ჩასძახა ყურმილში.

— მომისმინეთ, გამარჯობათ, — დაიწყო ძალზე ნელა უცნობი ქალის ხმამ. ნუგზარი მაშინვე მიხვდა, რომ მისი მოსაუბრე წინასწარ დაწერილ ტექსტს კითხულობდა.

— თქვენი აბაზანა უკვე მზადაა, — განაგრძო ამ ხმამ ისევ ბორძიკ-ბორძიკით. — შეგიძლიათ შებრძანდეთ და იბანაოთ. აბაზანაში დერეფნიდან შეხვალთ. ეს საქმე ვალერის მიანდეთ და ის იპოვის შესასვლელს. ნახვამდის, გაამოთ. — ამოწურა თავისი პროგრამა იმ ქალმა. ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ მთელი ეს საუბარი არამარტო ნუგზარმა, დანარჩენებმაც კარგად გაიგონეს.

ვალერიმ ჩაახველა და თქვა:

— იმ ქალბატონს აშკარად შეეშალა. ეს საქმე ჩემთვის კი არა, ანდროსათვის უნდა მიენდო. ანდროს უკვე აქვს აბაზანის მიგნების გამოცდილება.

ვალერიმ, როცა სათქმელი დაამთავრა, ენაზე იკბინა, მაგრამ გვიან იყო, სიტყვა უკვე გაუფრინდა, თვალებდაცეცებული ელოდა, რას იზამდა ანდრო. ანდრომ კი გაიცინა.

— ვალერი სწორია, ვაპროტესტებ, ჩემს ფუნქციებში რატომ იჭრებიან სხვები.

ნუგზარმაც გაიცინა.

— ჩვენ ყველანი ერთად ვიპოვით გასასვლელს.

გასასვლელი მაინც ვალერიმ იპოვა. ადვილად იპოვა ჰატარა ფოლაქისოდენა ღილაკი, რომელმაც აბაზანაში შესასვლელი კარი გახსნა.

მთელი სააბაზანო ოთახი ოქროსფრად ბრწყინავდა, ვალერი ხელით შეეხო და თქვა: ნამდვილი ოქროაო.

აბაზანაც ოქროს თხელი ფილით იყო დაფარული, ფანჯრებიც ოქროსი გახლდათ.

ანდრომ იკითხა: ნუთუ ამდენი ოქროაო ოკეანის ფსკერზე?

ნუგზარმა უპასუხა:

— გეოლოგებმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაიანგარიშეს, ოკეანის ფსკერზე რაც ოქროს მარაგია, მთლიანად რომ ამოეღოთ, ერთ სულ მოსახლეზე რვა ტონა მოვიდოდა.

— რაო, რვა ტონა? — იკითხა ვალერიმ.

— დიახ, რვა ტონა. ყველაფრით იგრძნობა, ამიტები ოქროს კარგი მომპოვებლები არიან, ამიტომ ამ ძვირფასმა ლითონმა თავისი ღირებულება დაკარგა, უბრალო გამოყენებით ლითონად იქცა.

ამ დროს ვიტალიმ დაიყვირა: თეთრეული ვიბანეთ.

ვიტალი მოზრდილ ტუმბასთან იდგა და განიერი კარადებიდან ალაგებდა ქათქათა საცვლებს. მას მაშინვე ანდროც მიეშველა: ნეტავ ჩემი ზომისა თუ არისო. ვიტალიმ დაამშვიდა; აჰა, შენი ზომისაო. ეს იწილ-ბიწილო სულ ათ წუთში მოთავდა და ბანაობის განრიგი შეადგინეს.

მეორე დილით კადილამ დარეკა. ნუგზარმა მისი ხმა გაიგონა თუ არა, ისეთი სითბო იგრძნო, თითქოსდა ძალზე ახლობელს დაერეკოს.

— როგორ ბრძანდებით? — იკითხა ამიტმა ქალიშვილმა.

— ძალიან კარგად, ქალბატონო კადილა. გუშინ ჩვენ ჩინებული საჩუქარი მივიღეთ, მშენებლებმა ჩაგვაბარეს აბაზანა.

— ვინ ჩაგაბარათ? — იკითხა ქალიშვილის ხმამ.

— არავისაც არ ჩაუბარებია, ისე ვთქვი, ჩამბარებელიც ჩვენ ვიყავით და მომხმარებელიც. საზეიმო ვითარებაში აღვნიშნეთ აბაზანის გახსნა, ბიჭებმა ძლიერ გაიხარეს. მათი სახელითაც მოგახსენებთ მადლობას. მადლობა აგრეთვე ესოდენ ფაფუკი თეთრეულისათვის. თუ ამ თეთრეულით ვიმსჯელებთ, თქვენი მსუბუქი მრეწველობა გაცილებით წინაა.

კადილამ გაიცინა.

— იცით რა, თეთრეული თეთრეულია და მეტი არაფერი...

არც აბაზანის გამო ღირს ამდენი ქათინაური. იმისათვის დაერეკე, რომ გაგახაროთ, მადინი ჩამოვიდა. ერთ საათში მანდ ვიქნებით, სანადიროდ წავალთ. თუ დრო დაგვრჩა, „დიოსკურიასაც“ ვესტუმრებით.

— დიდებულია, მხოლოდ „დიოსკურია“ აუცილებლად უნდა ვნახოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ნადირობაზე უფრო კოლხური გემის ამბავი გვაინტერესებს. ასე რომ, გეგმაში მცირე კორექტივი უნდა შევიტანოთ.

— მაშინ მოგვიწევს ნადირობის ადგილის შეცვლა. მადინი აპირებდა აღმოსავლეთის მხარეს წავსულიყავით, ნამიბიისაკენ. იქ ძალიან კარგი სანადირო ადგილებია. ახლა კი დასავლეთის მხარეს უნდა წავიდეთ.

— მე მებადური ვარ და კარგად ვიცნობ ნამიბიის ნაპირებს. ეს ნაპირები რომ მდიდარია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ჩვენ მაინც დასავლეთით წავიდეთ, დაე, ცუდი ნადირობა გვქონდეს, ოღონდ შევხვდეთ შორეულ წარსულს. ამ სიამოვნებას არაფერი შეედრება.

— მჯერა. ერთ საათში მანდ ვართ.

ყურმილში კადილას ხმა შეწყდა. სამაგიეროდ სამი ცნობისმოყვარე მეგობარი სახეში მისჩერებოდა ნუგზარს.

— კადილა როცა ლაპარაკობს, ჩვენ ძალიან ცუდად გვესმის. იმ მეორე ქალის ხმა კი თითქმის გასართობ ოთახამდე აღწევს. — თქვა ანდრომ და ვალერიმაც მაშინვე გაუსწორა:

— კადილა კი არ ლაპარაკობს, კანარის ჩიტივით ჟღურტულებს, ის ქალი კი ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებს.

— სხვათა შორის, ის ქალი კადილას დაა, საჭიროა უფრო მეტი პატივით ილაპარაკო მასზე, —შენიშნა ნუგზარმა.

— მართლა! — ვალერის ნიკაპი ჩამოუვარდა, — ეგ არ ვიცოდი, ალბათ ნატეს დედაა. ენა მისწრებს, თუ მათ უკვე მოსმენილი არა აქვთ ჩემი ლაქლაქი, გეხვეწებით, არ გამცეთ.

— არ გაგცემთ, — შეპირდა ნუგზარიც.

ერთ საათში კი სადღაც დერეფნის იქით ისეთი ზარის ხმა გაისმა, ჩვენს სადარბაზოში კარს რომ ამშვენებს და თუთიყუშის არ იყოს, დაზეპირებულ მუსიკალურ ფრაზას იმეორებს ხოლმე.

ყველამ ყური ცქვიტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიმ გაიოცა: ეს რა არისო, ჩემი სახლის ზარი აქ ხომ არ ჩამოუპორწიალებიათო.?

ვალერის ბანი ანდრომ და ვიტალიმ მისცეს. ნუგზარმა კი საათს დახედა და დერეფანში გავიდა.

დერეფანი ცარიელი იყო. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. სულ ბოლოდან კი, სადაც მთავარი შემოსასვლელი უხილავი კარი იყო მოთავსებული, სადარბაზო ზარი აკვიატებულ მელოდიას აწკრიალებდა.

— მობრძანდით! — დაიძახა ნუგზარმა და კარი მაშინვე მსუბუქი შრიალით გაიხსნა. კარს უკან კი, ჩვეულებრივ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ვიღაც ჯენტლმენი იდგა. მას ცალ ხელში სწორედ ის პატარა ინსტრუმენტი ეკავა, ყურთასმენა რომ წაიღო, მეორე კი კადილასათვის მკლავში ჩაევლო.

— შეიძლება? — თქვა იმ ჯენტლმენმა და ზარი გააჩუმა.

— მობრძანდით. უკვე კარგა ხანია გელოდებით. მაგრამ ეს კი ვერ მოვიფიქრეთ, სადარბაზო ზარს თუ დაგვიკიდებდით.

— ზარის დაკიდება არც კი მიფიქრია. ხელით ვატარებ.

— ვხედავ, მაგრამ თქვენ რომ აწრიპინებდით, ისეთი განწყობა შეგვექმნა, თითქოსდა იგი გაჩენის დღიდან ამ დერეფანში ეკიდა.

— ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი. მე მადინი მქვია, კადილას ძმა გახლავართ.

— ვიცით, კარგა ხანია, თქვენთან შეხვედრაზე ვოცნებობთ. მე ნუგზარს მეძახიან. ესენი ჩემი მეგობრები არიან: ვიტალი შლიახოვი, ანდრო გაბოშვილი, ვალერი ბასილაია.

— სასიამოვნოა. ჰო, ახლა ზარზე საუბარი დავამთავროთ ბარემ. თუ ისიამოვნებთ, აქ დავტოვებთ კიდეც. აი, იქ დავკიდოთ.

ამიტებს არ უყვართ ზარი. ისინი ხომ თევზები არიან. ასე შემოცურდებიან თქვენს ბინაში, თითქოსდა ყველაზე კარგ ოთახში ერთი საწოლი მათ სახელზე იდგეს.

ჩვენ სულ სხვა ვართ, ადამიანები, მიწის შვილები.

— აბა, ნუ დაგვცინი, ისიც ვიცით, თქვენ რა ზვიგენებიცა ხართ. ნახე, თავისიანები იპოვა და ხმაც აიმაღლა. — თქვა ღიმილით კადილამ.

ამასობაში მადინმა ვიტალისა და ნუგზარს ხელი მოხვია და ასე შევიდნენ გასართობ ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ისე ცუდად ცხოვრობთ, ძმებო. თუმცა მზის გულზე ერთი კაცურად გაგორება მთელ ცხოვრებად ღირს.

— მაგაზე ვოცნებობთ.

— ეს ისეთი ოცნებაა, რომელსაც ასრულება უწერია.

ამასობაში ვალერიმ კადილა დაიმარტოხელა.

— მითხარით ერთი, გეთაყვა, რატომაა, რომ ხან ტელეფონით გვირეკავთ (ტელეფონი ჰქვია თუ სხვა რამ იმ უშნო ყუთს, კარგად ესეც ვერ გამიგია), ხანაც კიდევ რადიოთი გვესაუბრებით.

— დაიწყეთ ისევ თქვენებური ჩაძიება? ეგ უბრალოდ ხდება, როცა შინ ვიმყოფები, ტელეფონით გესაუბრებით, როცა სამსახურში, მაშინ კი რადიოთი. რა არის ამაში გასაკვირი?

— არაფერი, ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

— მზადა ხართ წამოსასვლელად?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ალბათ ამ ჩაცმულობით ცუდ მონადირეებად გამოვჩნდებით.

— ნუ სწუხართ, მაგაზე ადრე ვიზრუნე, თქვენი სანადირო კოსტიუმები წითელ დარბაზში აწყვია. შეგიძლიათ ჩაიცვათ და მოემზადოთ.

— ვფიქრობ, რომ დღესაც დამრთავთ ნებას კიბანის მართვაში მოგეხმაროთ.

— უეჭველად, თქვენ ამის უფლება მოიპოვეთ.

კადილა შემობრუნდა და ნუგზარსა და ვიტალის გადახედა.

— აბა, დროს ნულარ დავკარგავთ. გავიდეთ წითელ დარბაზში!

კადილა შებრუნდა, გვერდით კვლავ ვალერი ამოუდგა. ნუგზარი და მადინი ცოტა მოშორებით გაჰყვნენ.

წითელ დარბაზში რომ შევიდნენ, კადილამ სანადირო კოსტიუმები და ჟანგბადის ბიდონები დაარიგა. ყველა კოსტიუმი ლურჯი ფერისა იყო. ნიღაბი კი, ოკეანის მხოლოდ ერთ არსებას — ზვიგენს გამოხატავდა.

კადილა იქვე დარჩა, კაცები გასახდელისაკენ წავიდნენ და როცა ისევე დარბაზის ცენტრში მოიყარეს თავი, კადილამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაცხადა: ვალერი ჩემს გვერდით მოთავსდებაო წინა კაბინაში.

ამ დროს კი, კაბინა ნელა შემოდიოდა კედელჭრილში. იგი ელმავალივით მოსრიალებდა შუა დარბაზში. ძალზე გაუკვირდათ, რომ მანქანის სამართავ პულტთან არავინ იჯდა. ვალერიმ ვერც აქ შეიკავა თავი და როცა კადილას გვერდით მოთავსდა, მაშინვე იკითხა, ეს როგორაა, მანქანა რომ თავისით მოგორდაო.

კადილამ მეგობრულად გაუღიმა.

— იქითა ოთახში ხალხია, უშიშროების სამსახური, მათ შემოაცურეს.

— უშიშროების სამსახური?

— დიახ, უშიშროების სამსახური. თავი დავიზღვევეთ ტერორისტთა შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში.

— აა, რაში ყოფილა საქმე. ბლომად არიან?

— საკმარისად, ასე რომ, ნუ შეგეშინდება.

— არა, იმიტომ კი არ გკითხეთ, ამდენი ხალხის მოცდენა ცოტა უხერხულია. ჩვენ ვერთობით, მათ კი, თავი უნდა იტეხონ...

— არა უშავს, ეს მათი მოვალეობაა.

ვალერიმ მხრები აიჩეჩა და მანქანა ჩართო.

იქ, მეორე კაბინაში კი, მადინს ხელში ბარჯივით წაგრძელებული რაღაც იარაღი ეკავა.

— ეს წყალქვეშა თოფია. ძალიანა ჰგავს თქვენს თოფს. ამ იარაღის მსუნაგი მუცელი ორმოცდაათ საბრძოლო ვაზნას იტევს. ყოველი ვაზნის გასროლისათვის საჭიროა თითის გამოკვრა. ამით იგი თქვენებური ავტომატისაგან განსხვავდება. ტყვია სანადირო იარაღს შორს არ მიაქვს. სულ რაღაც ასი მეტრის რადიუსში ცივდება და ვარდნას იწყებს. ეს იმიტომ, რომ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს, სამიზნოს გარეთ არ დააზიანოს ვინმე.

— მიუხედავად ამისა, შეეცადეთ, მიზანს არ ააცდინოთ, არც ასი მეტრია ცოტა.

აბა, ახლა მხარზე მოირგეთ იარაღი, სასხლეტი დაკეტილია, როცა ფეხზე შეყენება გსურთ, თითი წითელ ღილაკს უნდა დააჭიროთ.

— ყველაფერი გავიგეთ, — თქვა ნუგზარმა, — მგონი, ამ

იარაღით ნადირობა არ გაგვიჭირდეს, — მერე სახეში ჩახედა მადინს, — გავიგე სამი თვე ლონდონში გიცხოვრიათ?

— დიახ, ვცხოვრობდი ლონდონში. სამი მეგობარი წავედით. ფული ჩეჩქივით გვქონდა.

— ნამდვილი ფული!

— რასაკვირველია, ნამდვილი. ჩაძირული გემების ერთადერთი პატრონი ჩვენ ვართ. რომელი ქვეყნის ფულს არ შეხვდებით ოკეანის ფსკერზე მოხვედრილ ამ შემთხვევით ბანკებში. ჰოდა, ჩვენც ჩემოდნები დავძეძგეთ. პირველად ნამიბიაში გადავედით. ერთმა ყოჩაღმა ბანტუმ მე პასპორტი ჯიმ სტივენსონის გვარზე გამიფორმა. ერთი ჩემი მეგობარი ედმონდ ბრაუნი გახდა, მესამე კი—მარტინ სოლიტი.

ჩავფრინდით ლონდონში, თავს სამხრეთ აფრიკელებად ვასაღებდით. დავიქირავეთ სასტუმრო და დღე და ღამე დოღის ცხენებივით მუზეუმებსა და თეატრებს შორის დავქროდით.

მარტინ სოლიტმა სამწუხაროდ სხვა ნიჭიც გამოავლინა. დაიწყო სიგარეტის ქაჩვა, ვისკისაც მიეძალა. ხშირად მთელ ღამეს ბარში ატარებდა და ზუსტად ორი თვის თავზე ჭლექით დაიღუპა. იგი მაინც თევზი იყო და ასეთ მძიმე დატვირთვას ვერ გაუძლო.

ჩვენ ნორმალურად ვცხოვრობდით. ეს იყო, ძალიან ბევრს ვკითხულობდით, ვწერდით.

მარტინი რომ დავასაფლავეთ და თავიც მარტოდ დავიგულეთ, ერთბაშად სისუსტე ვიგრძენით. ზოგჯერ კანის საოცარი ხურვებაც გვემართებოდა. ბიჭი ხარ და ექიმთან მიდი, რომ გაგიგოს სხვის ფარაში ხარ შეპარული, მერე რას შვრები?

ჩვენც საკუთარი შეხედულებით ვმკურნალობდით, ხან რას ვყლაპავდით და ხან კიდევ რას. სულ გავიჟღინთეთ წამლებით.

ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა ედმონდ ბრაუნმა თქვა: ბრაუნობა აღარ მინდა, ზეგიდან ისევ კავუნი უნდა გავხდეო. კიდევ ერთი თვეც რომ დავრჩე ბრაუნის ქურქში, მაშინ მარტინის გვერდში მომიწევს სამუდამოდ დასახლებაო. მეც ამ აზრისა ვიყავი. ბილეთები მაშინვე ავიღეთ. ბარგი მაგრად შევკარით და მეორე დღეს ნამიბიაში ჩამოვფრინდით. ის ყოჩაღი ბანტუ ვეღარ ვიპოვეთ, ლოთობას გადაჰყოლოდა და მგონი თავიც დაეხრჩო. პასპორტები მის ცოლს ჩავაბარეთ და ღამით კიბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიძახეთ. ჩვენი ბარგი ზღვასთან მივათრიეთ. მერე კიბანში ჩავჯექით და მოვცოცხეთ.

— თუ გაქვთ ხოლმე სურვილი, ისევ ესტუმროთ ხმელეთს?

— ხმელეთი დიდი მაცდური რამაა. ძალიან ხშირად წამომივლის ხოლმე ხუშტური კვლავ გავინავარდო ნამიბიაში, ლონდონის ქუჩებში, მაგრამ ამფსონები შემომეცალა. მარტო კაცი კი, ჭამაშიაც საცოდავიაო. ალბათ, ოდესმე შევძლებ ამ სურვილის ასრულებას...

კიბანი დადგა. კიბანში კადილას ხმა გაისმა:

— ადამიანებო, გაიკეთეთ ნიღაბი, მოირგეთ ჟანგბადის ბალონები და გამობრძანდით!

სათითაოდ გამოცურდნენ. ყველას თავისი იარაღი მოჰქონდა. მადინს კი ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, მარჯვენაშიც და მარცხენაშიც თოფები ეკავა.

— ვალერი, ვალერი! — იძახდა ის.

ვალერიმაც არ დააყოვნა და ამიტთან გამოცხადდა.

— ეს შენი თოფია, აი, ასე უნდა ამის მოხმარება...

მთელი ათი წუთი უხსნიდა. ვალერიმ რამდენჯერმე უთხრა გავიგეო, მაგრამ მადინი ჯიუტი კაცი აღმოჩნდა, მაინც უხსნიდა.

ბოლოს, როცა დარწმუნდა, ვალერიმ მართლაცდა ზედმიწევნით გაიგო ყველაფერი, შეწყვიტა ახსნა-განმარტება და კადილასაკენ გაცურდა.

ისინი პატარა ველზე იმყოფებოდნენ. ირგვლივ ტანმაღალი ტყის გრძელი მასივი ჩანდა. ამ გაუვალ ჯუნგლებში აღმოსავლეთის მხრიდან ერთადერთი გაჩახჩახებული გზა შემოდიოდა. ეს იყო და ეს. მეტი არც გზა ჩანდა და არც ბილიკი.

მინდორიც გაჩახჩახებული გახლდათ. შუქი არამარტო ქვემოდან, არამედ ტანკენარ ხეებზე აღმართული სამი პროჟექტორიდანაც იღვრებოდა. ციცქნა ლიფსიტა რომ გაიჭაჭანებდა, ისიც კი კარგად ჩანდა.

კადილას იარაღი არ ჰქონდა.

ნუგზარმა გაიკვირვა: ეს რატომაო.

— ნადირობის ტროფიალი არა ვარ. თქვენ რომ საცოდავ თევზებს დაერევით, მე ყვავილებს შევაგროვებ. უსისხლო საქმეა, ქალისათვის ასე სჯობს, — თქვა კადილამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე კი დაუნდობელი მონადირე ვარ. სულ მუსრს გავავლებ თევზებს.

ვალერიმ თოფი ხელში შეათამაშა, გვერდზე გაცურვას აპირებდა, მაგრამ მადინის სიტყვები მოესმა.

— ყველანი ერთად ვიცურავებთ. ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ, რომ ეს ჯუნგლებია. აქაც, ისევე, როგორც თქვენთან, ჯუნგლებში, ყოველ ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული. იცურავეთ რაც შეიძლება უხმაუროდ. ახლა ეს პატარა პროექტორები შუბლზე დაიმაგრეთ. ნუ დარდობთ, კარგად მაგრდება შუბლზე. ყველამ დაიმაგრეთ?

პასუხიც მაშინვე მოისმინა და მადინი ტყისაკენ გაცურდა. ნუგზარმა თვალი გააყოლა, მაშინვე გაიფიქრა: ამ კაცს იქ, ლონდონში, რომ მოენდომებინა, მსოფლიო რეკორდს გაინაღდებდა ცურვის ყველა სახეობაშიო.

ნუგზარი თვალს ვერ წყვეტდა ამიტის მოხდენილ ცურვას. თუმცა მას ახლა ნიღაბიც ეკეთა და ზურგზე ჟანგბადის ბიდონიც ჰქონდა მოგდებული, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს, წყალში რომ თევზივით ენავარდა. ისიც ცურავდა კოხტად, მოხდენილად, ისე, როგორც ოკეანეს შვილს ეკადრებოდა.

მინდორი გათავდა და ტყეში შეცურდნენ. დაბურულ, ლიანებით ამოქოლილ სამყაროში, მადინი ადვილად პოულობდა ხალვათ ადგილს და მაშინვე დაგრეხილ ტოტებსა და ფოთლებს შორის უჩინარდებოდა. სხვებიც ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ, მის მიერ გაყვანილ ხვრელებში მიძვრებოდნენ.

ახლა უკვე ისე აღარ იყო განათებული ბუნება. აქა-იქ თუ გაიელვებდა ბებერი ხის ქვეშ დადგმული პროექტორის შუქი. მასაც რა შუქი ჰქონდა, ხეებ-ფოთლებში ძლივს ლიცლიცებდა ბჟუტავი სანთელივით.

მადინმა თავისი პროექტორი აანთო და სხვებმაც მაშინვე მიბაძეს წინამძღოლს.

— ეს ტყე ზედ ხმელეთთან იწყება და აქამდე აღწევს. ნაპირთან უფრო დაბალი ხეებია. შესანიშნავი სურათია, როცა ოკეანის ფსკერზე მოგზაურობას ნამიბიის უდაბნოდან იწყებ. ჯერ უდაბნოს სილიანი ზოლი, მერე ფარფატა, ნაზი წყალმცენარეები, ძლივს რომ უდგათ სული და ლიფსიტების საკვებად

ქცეულან. შემდეგ ბუჩქნარები მოდის, დაბალი ბუჩქნარები, რაც უფრო ქვევით ეშვები, ბუჩქნარებიც უფრო მაღალი და ხშირი ხდება. მერე გამოჩნდება წითელი ხე. ეს გვაჯა და მახინჯი ხე ძალზე გამძლეა. მას შერეულ ხეთა ტყეები მოსდევს და ასე ნელ-ნელა, ძუნწად გიხსნის ბუნება თავის საიდუმლოს, რასაც საუკუნეების განმავლობაში გულმოდგინეთ ქსოვდა.

კარგად გესმით ჩემი?

იკითხა მადინმა.

— გვესმის და შესანიშნავ ლექციასაც ვისმენთ, — უპასუხა ვალერიმ. ნუგზარმა კი თქვა: ხმელეთზეც ასე იცვლება ბუნება, როცა მოგზაურობას კოლის ნახევარკუნძულიდან, ე. ი. ტუნდრის ზოლიდან იწყებ და ნელ-ნელა ეკვატორისაკენ ეშვებიო.

სწორიაო, მაშინვე დაეთანხმა მადინი და ინატრა, ნეტავი მამოგზაურაო ამ მარშრუტით.

წინ რაღაც შეინძრა და მადინმა შეწყვიტა ფიქრი ამ საინტერესო მოგზაურობაზე. წითელ ღილაკს თითი შეახო და ლულაც გამართა.

სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით კი ბალახი და ლიანები ფუთფუთებდნენ. რაღაც რუმბივით უზარმაზარი, მოუქნელი და უხეში რამდენიმე წამის განმავლობაში ბუშტივით ხან გაიბერებოდა, ხანაც კიდევ თვალსა და ხელს შუა გაილალებოდა.

მადინმა სცადა გვერდზე გაეცურა, მაგრამ ის რუმბი ერთბაშად აჯანყდა, სწორედ მადინის მხარეს გადმოგორდა და უზარმაზარი ცაცები გაშალა.

ახლა ყველა მიხვდა, რომ ეს უსახო და უფორმო მასა რვაფეხა იყო. იგი სანადიროდ გამოსულიყო და ეგონა საკბილოც იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე იქნებოდა.

მადინმა გაისროლა, ერთხელ, მეორედ, მესამედ.

რვაფეხა მიწაზე დაკოტრიალდა. მერე ისევ აცურდა და შავი საღებავის დიდი ჭავლი გაისროლა. ამ ჭავლმა სულ რამდენიმე წამში იქაურობა ისეთ უკუნად აქცია, ხმელეთის მცხოვრებლები რომ იტყვიან, თვალში თითს ვერ მიიტანდიო.

მადინი უკან გამობრუნდა და სხვა გასასვლელის ძებნას შეუდგა.

— წავიღოთ, რვაფეხას არ ჭამთ? — იკითხა გაოგნებულმა ნუგზარმა.

— არა, ეგ ბებერი რვაფეხაა. რაღა ეგ ვათრიოთ, განა ნორჩები ცოტაა ამ ქვეყანაზე.

თქვა მადინმა და ახალი გასაძრომიც იპოვა. თოფით მისწიმოსწია ნორჩი ყლორტები და შეცურდა, მას კვალში ნუგზარიც მიჰყვა. ოციოდე მეტრი რომ გაცურეს, მადინი შეჩერდა. ნელა, ფრთხილად დაეშვა მიწისაკენ, თოფის ლულა წინ გაიშვირა. თვალის დახამხამებაში ამ ლულიდან ცეცხლი გამოვარდა და ხის ძირში თბილად დაბუდებული რაღაც ცხოველი დააფრთხო. ეს საცოდავი ერთი შეხტა და მერე ისევ იქვე ჩაგორდა.

— მოხვდა, — თქვა მადინმა, — დიდებული ნანადირევია.

— რა მოჰკალი? — იკითხა კადილამ.

— აბა, თუ მიხვდები რას მოვინადირებდი.

— შენ ისე ხარ ნასიამოვნები, რომ ალბათ ხმალთევზა განგმირე.

— დიახ, სწორედ რომ ხმალთევზაა. თან საკმაოდ მსუქანი.

— მართლა ხმალთევზაა? — იკითხა ვალერიმ.

— დიახ, გიჭამიათ ხმალთევზას ხორცი?

— როგორ არა, მაგაზე გემრიელი არაფერი შემხვედრია არც ზღვაზე და არც ხმელეთზე.

— სწორედ, რომ მასეა. დიდებული სადილი გვექნება.

მადინი ხმალთევზასთან მიცურდა. ხელი სატევარივით გაშვერილ რქაში ჩაავლო და ბუჩქებიდან გამოათრია.

— აბა, მომეხმარეთ ძმებო, თორემ მარტო ცოდო ვარ. მანქანამდე მივათრიოთ.

ხმალთევზა კაბინაში რომ შეაგდეს, ვალერიმ თქვა: ხმალთევზა კარგია ბოლში გამოყვანილიო. მადინმა ყური ცქვიტა.

— თქვენ შეგიძლიათ დამზადება? მე ძალიან მიყვარს, ლონდონში სულ ბოლში გამოყვანილ ხმალთევზას გეახლებოდით.

— შემიძლია, მაგის დამზადებას რა უნდა. მუცლის ქონი ავაჭრათ და ისეთს დავამზადებ, ლონდონის კერძებს დაგავიწყებთ.

— დიდებული საქმეა. მივალთ თუ არა, მაშინვე ავქნათ.

— ასე გავაკეთოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ზედ მადინის ყურის ძირთან ვალერიმ გაისროლა. მადინი შეკრთა, მაგრამ არაფერი თქვა, ვალერის შეხედა.

— რა ჰქენით, დაინახეთ რაიმე?

— დავინახე და კიდეც გამოვასალმე სიცოცხლეს.

მადინმა კიბანის კარი აუჩქარებლად მიხურა.

— რა მოჰკალით?

— ნორჩი რვაფეხა.

— მართლა! ბარაქალა ვალერის.

ამასობაში ტყვიისაგან დაფლეთილი რვაფეხა ფარფატით ეშვებოდა ძირს. ეშვებოდა და მთელ გზაზე კუპრივით შავ ზოლს ტოვებდა. მადინმა მიწაზე დაგორება აღარ აცადა, ასევე, წყალში მარცხენა ხელით დაიჭირა. მარჯვენათი კიბანის კარი გამოაღო და შიგ შეაგდო.

— ემატოს ნანადირევს, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

ამ დროს კი ვიტალიმ გაისროლა და დიდი შავი კარჩხანა ჩამოაგდო.

ვალერიმ ჩაუქილიკა: მაგისთვის ტყვიის გაფუჭება ღირდაო.

ნუგზარს სრულებითაც არ სიამოვნებდა ეს ხოცვა-ჟლეტა. ის ფიქრებით „დიოსკურიასთან“ იყო და მადინს შეაპარა კიდეც: ხომ არ გვეყოფა, რაც უკვე მოვინადირეთო. მადინი ნადირობის ტრფიალი აღმოჩნდა და ყურიც არ გაუპარტყუნებია. ისევ გაძვრნენ ტოტებს შორის და ახალი მსხვერპლის ძებნას შეუდგნენ. ვიტალიმ კიდევ მოკლა ერთი შავი კარჩხანა. ერთიც ანდრომ გამოასალმა სიცოცხლეს. კარჩხანა ბლომად დაცურავდა ახლომახლო, მაგრამ მადინს მისთვის არ უსვრია. მერე სადღაც გაძვრა და მთელი ათი წუთი არ გამოჩენილა. ლიანებს შორის როცა გამოჩნდა, ძლივს გამოაძვრინა ჩაკურატებული კალმარი.

ნუგზარს მიუბრუნდა.

— კაპიტანო, ვიკმაროთ ნადირობა?

— მგონი, მეტიც მოგვივიდა.

— აბა, წავიდეთ. კადილამ მითხრა, რომ თქვენ „დიოსკურიის“ ამბავი უფრო გაინტერესებთ.

— დიახ, სერ, — უთხრა ნუგზარმა და ხმამაღლა გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილა კიბანთან ფუსფუსებდა. ველური ყვავილების ლაიგული შეეკრა, ბიჭები რომ დაინახა, გაიხარა.

— მოიკალით ჟინი?

მადინმა კალმარი ბუჩქზე დააგდო.

— მოვიკალით.

— ძალიან მიკვირს, შენ რომ ასე ადრე მორჩი... სხვა დროს ძლივს დაგვიოკებიხარ!

— კაპიტნის ხათრით. წავიდეთ, „დიოსკურია“ ვნახოთ.

— აა, საქმე რაში ყოფილა! მადინ, მანქანა აქ დავტოვოთ, არაა?

— ჰო, ახლოსაა, ცურვით წავიდეთ.

ექსკურსანტთა ამ ჯგუფს ახლა კადილა ჩაუდგა სათავეში. მადინი მის შემდეგ მიცურავდა. ისინი იმ ერთადერთ გაჩახჩახებულ ვიწრო გზას მიჰყვებოდნენ, რომელიც ჭილოფისოდენა გაკაფულ ადგილს დანარჩენ სამყაროსთან აერთებდა.

ოცდახუთიოდე წუთი რომ იცურეს, კადილა შეჩერდა. მალე მის გვერდით დანარჩენებიც გაჩნდნენ.

— ახლა მარჯვნივ წავალთ, — თქვა მან.

— კიდევ ბევრი დაგვრჩა? — იკითხა ვალერიმ.

ხმა ისეთი მიკნავებული ჰქონდა, ნუგზარი მიხვდა, ვალერი რომ დაღლილიყო. ამაში სხვებიც დარწმუნდნენ.

— ჩქარა ხომ არ მივცურავთ? — იკითხა შეცბუნებულმა კადილამ.

ვალერის აღარ დაუმალავს.

— თქვენთვის ალბათ არც ისე ჩქარი ცურვა გახლავთ, მე კი, სიქა გამვარდა და ლამისაა ფეხიც გავფშიკო.

— საცოდავო ვალერი. გეთქვათ და უფრო ნელა ვიცურავებდი. ერთი სიტყვა გეთქვათ.

— რაც იყო, იყო.. აწი იარეთ ნელა.

— გასაგებია.

კადილამ ზანტად დაიქნია ფეხები და ნელა გაცურდა.

— ასე კარგია? — იკითხა მან.

— კარგია? კარგი... ამ ტემპს როგორმე შევეწყობი.

კადილა შეჩერდა. თითქოს რაღაც გაახსენდა, მიიხედ-მოიხედა, მერე ვალერის გასძახა:

— ვალერი, ჩემს გვერდით იცურავე. ჩვენ ხომ უკვე შეეწყვეთ ერთმანთს. კიბანსაც კოლეგიალურად ვმართავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიამოვნებით, — დაიძახა ვალერიმ და ანდროს ლაჯებს ქვემოდან გამოძვრა. კადილას გვერდით ამოუდგა.

კადილამ ვალერი რომ იქვე დაიგულა, კვლავ დაიქნია ფეხები და გაცურდა. მათ უკან ნუგზარი და მადინი მიჰყვნენ. სულ ბოლოს კი, ანდრო და ვიტალი მიცურავდნენ. ასე უნებლიეთ დაწყვილდნენ.

სულ რამდენიმე წუთი იცურავეს და ისევ პატარა, გაჩახჩახებულ კორდთან გავიდნენ. კორდის შუაგულში ყვითლად მოელვარე უზარმაზარ კვარცხლბეკზე „დიოსკურია“ ისვენებდა.

გემი კოხტად გაეჭიმათ მაგარ კვარცხლბეკზე. წინა ერდო ცოტაზე ზევით იყო ამართული, უკანა კი—ოდნავ დაქანებული გახლდათ. გროტანძა კოხტად აღმართულიყო გემბანის შუაგულში და ზედ ნელა ირხეოდნენ ალისფერი იალქნები.

დიდებული სურათი გახლდათ და სუყველა გასუსული შეჰყურებდა ამ უნიკალურ სანახაობას. ბოლოს, როდის-როდის, დუმილი ნუგზარმა დაარღვია:

— რესტავრირებულია, არა?

მადინმა გაკვირვებით გადახედა.

— რასაკვირველია. ანძა ახალია, ჩვენ დავდგით, იალქნებიც ჩვენ დავკიდეთ. ზოგან კედლებიც განვაახლეთ, მაგრამ ძირითადად მაინც ისაა, რაც კოლხებმა შექმნეს.

წავიდეთ, წარწერა ვნახოთ.

გემს შემოუარეს და მარჯვენა ბორტთან მივიდნენ. მადინი მიწას მსუბუქად შეეხო და მაშინვე ზევით ასრიალდა. ნუგზარიც მიჰყვა.

— აი, წარწერაც.

ნუგზარი ხელით სათუთად შეეხო ლამაზად გამოკვეთილ ქართულ ასოებს. ჩვენიაო, თქვა და მადინმა მაშინვე იგრძნო, როგორ გაებზარა ხმა კოლხ კაპიტანს.

— ამ ანბანს ჩვენ არმაზულს ვუწოდებთ. პირველად არმაზში მიაკვლიეს ასეთ წარწერებს.

— ვიცი, — თქვა მადინმა, — ვიცი რომ არმაზულია, ქართული.

— თქვენ უდიდესი სიამოვნება მომანიჭეთ. არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. მაშ, ძველი კოლხები, აფრიკის ბოლომდე დაცურავდნენ. ბარაქალა მათ.

— დაცურავდნენ, ალბათ უფრო შორსაც...

ახლა მათ გვერდით კადილა, ვალერი, ანდრო და ვიტალიც გამოჩნდნენ.

— ხედავთ? ქართულად აწერია, — თქვა ნუგზარმა.

— ვხედავთ, ამხანაგო კაპიტანო. კარგად ვხედავთ. — თქვა ვალერიმ.

ნუგზარი მადინთან სულ ახლოს მიცურდა.

— თუ შეიძლება სურათი გადავუღოთ?

— თქვენ გაქვთ ფოტოაპარატი?

— გვქონდა უნიკალური ფოტოაპარატები, მაგრამ ბატისკაფში დარჩა.

— ხვალ მე მოვიტან ფოტოაპარატს და გადავიღებ, საღამოთი თქვენ უკვე გექნებათ სურათი.

— ძალიან კარგი, ვინ იცის, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და კვლავ მოვხვდეთ ხმელეთზე. მაშინ უზარმაზარ სენსაციას მოვახდენთ.

მადინმა არაფერი თქვა და ნუგზარს გული ჩაწყდა. „ნუთუ დაეწანა, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა, ხმელეთზე ისევ მოხვდებითო“.

მადინი ისევ და ისევ დუმდა და როცა ვალერიმ იკითხა: კვარცხლბეკი ოქროსიაო? მაშინ შებრუნდა ვალერისაკენ.

— დიახ, ბაჯაღლო ოქროსი გახლავთ.

— დიდი პატივი დაუდვიათ ამიტებს ჩვენი წინაპრებისათვის.

— ამიტები ძლიერ აფასებენ ნიჭსა და მამაცობას. თქვენს წინაპრებს არც ერთი აკლდათ და არც მეორე. კაიუტებიც დავათვალიეროთ, არა?

— რასაკვირველია, აუცილებლად, — თქვა ნუგზარმა და მადინს მიჰყვა, რომელიც ახლა უკვე გროტანძისაკენ მიცურავდა. ზუსტად გროტანძის ძირში დერეფანში ჩასასვლელი ვიწრო ლიუკი ჩანდა. მადინი ლიუკთან დაეშვა. აქ ერთი წუთს შეჩერდა.

— ყველანი აქა ხართ?

— ყველანი გახლავართ, — თქვა ნუგზარმა და მადინიც მაშინვე ლიუკში გაუჩინარდა.

ერთბაშად ლიუკი გაჩახჩახდა და იქიდან მადინის ხმაც მოისმა: შემოდითო.

ჯერ კადილა გაატარეს. კადილას ფეხდაფეხ ნუგზარიც მიჰყვა.

ჩაცურდა თუ არა კაპიტანი ლიუკიდან ჩამავალ ხის კიბეებზე, მაშინვე ვიწრო დერეფანში კადილას გვერდით აღმოჩნდა. ამით ისარგებლა და ქალიშვილს ჰკითხა: რამდენია დიოსკურიას“ განიო?

— გახი ცხრა მეტრია, სიგრძე — ორმოცდარვა.

— იმ დროისათვის მოზრდილი გემი ყოფილა.

— დიახ, საკმაოდ დიდი.

კარგად განათებულ დერეფანში მადინი გამოჩნდა.

— რას უდგახართ? წამოდით! — თქვა მან.

მადინი ისევ გაცურდა დერეფანში და დანარჩენებიც მიჰყვნენ.

დერეფნის ბოლოში, ზუსტად წინა ერდოს ქვეშ, მადინი ერთ-ერთ კაიუტაში შეცურდა. ნუგზარიც მიჰყვა და მაშინვე მიხვდა, რომ კოლხი კაპიტნის კაიუტაში იმყოფებოდა.

კაიუტის ცენტრში დაბალი, პატარა მაგიდა იდგა. მაგიდას ასევე ექვსი დაბალი სკამი ჰქონდა შემოწყობილი. დერეფნის საზიარო კედელზე დიდი კარადა იყო დამაგრებული. კარადის გაგრძელებაზე კი მოზრდილი ტახტი იდგა. სულ ეს იყო კოლხი კაპიტნის ავლა-დიდება. ვიწრო ილუმინატორის ქვევით დაყენებული მძლავრი ნათურა მშვენივრად აშუქებდა კაიუტას და ყველაფერი ნათლად და გამოკვეთით ჩანდა.

— ავეჯი მაშინდელია, თუ განაახლეთ? — იკითხა ნუგზარმა.

— ნაწილობრივ განვაახლეთ. მოდელი კი კოლხური დარჩა, — თქვა მადინმა.

კადილა ილუმინატორთან რაღაცას აკვირდებოდა. მერე ნუგზარს ხელის მოძრაობით ანიშნა, აქ მოდიო, როცა რონდელი ქალიშვილის გვერდით გაჩნდა, კადილამ მოწითალო ფიცარს, ილუმინატორის რაფის მოვალეობას რომ ასრულებდა, ხელი მოუსვა.

— რაფა რესტავრირებულია. ამ ხეს ლუთიას ვეძახით. დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ლუთიასაგან ვამზადებთ ავეჯს, საშენ მასალადაც ვიყენებთ. ერთი სიტყვით, დიდი მოხმარება აქვს.

ლუთია სწრაფად იზრდება, მაგარია და ლამაზი.

— მგონი, ჩვენი ავეჯიც ამ ხისაგან უნდა იყოს დამზადებული.

— დიახ, ლუთიას ხის ავეჯი ბინის დამამშვენებელია. პირადად მე, დიდ პატივს ვცემ ამ კეთილშობილ ხეს.

— დასამუშავებლად ძნელი იქნება?

— შედარებით, მაგრამ არის სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც მშვენივრად იმორჩილებენ ლუთიას.

— ძალზე მოკრძალებული ყოფილან კოლხი კაპიტნები, — თქვა ამ დროს მადინმა და ნუგზარმაც მას გახედა.

— ნახეთ, მხოლოდ აუცილებელი ნივთებია, ერთ ღარიბ კაცს რომ ჭირდება და მეტი არაფერი.

მადინმა ახლა კარადა გამოაღო.

— აი, ნახეთ, აქაც რა მოკრძალება ჩანს.

მადინი თანმიმდევრობით ალაგებდა კარადიდან თიხის დოქებსა და ჯამებს. ნუგზარმა ჩამოართვა, ნათურის შუქზე გულდასმით დაათვალიერა და მერე მადინს მიუბრუნდა:

— დღევანდელი ქართული კერამიკა სწორედ ამ სტილს აგრძელებს. თქვენ რომ განახვათ ახალი ქართული კერამიკის ნიმუშები, იტყოდით; ეს პაპა და ეს კიდევ შვილიშვილიო. დღევანდელობა უძველესი წარსულის ნამდვილი მემკვიდრეა.

— ვიცი, ვიცნობ თქვენს დღევანდელ კერამიკასაც. სხვათა შორის, ლონდონში ჩემი ყოფნის დროს მოეწყო ქართული გამოყენებითი ხელოვნების დიდი გამოფენა. ჩემთვის ეს პირდაპირ მალამო იყო. საათობით ვიჯექი გამოფენის დარბაზში და ფურცლებზე გადამქონდა თქვენი საოცარი ხელოვნება.

— ეს თქვენთან საუბარს გამიადვილებს.

— მგონი, ასე უნდა იყოს.

მადინმა ჭურჭელი ისევ ფრთხილად შეალაგა კარადაში. მერე ქარიც მიხურა და ნუგზარს უთხრა: ახლა შტურმანებს მივაკითხოთო.

მადინმა კაიუტიდან წინა მხარეს გასასვლელი კარი იპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ კარით იმ ფართო ოთახში გავიდნენ, საიდანაც კოლხი კაპიტნები თავიანთ მსუბუქ გემებს მართავდნენ.

ცენტრში ხის უშველებელი საჭე იდგა. საჭის წინ, კედლის გასწვრივ, ორი გრძელი სკამი იყო დამაგრებული. ზუსტად ამ სკამების პირდაპირ კი, უკანა კედლის გასწვრივ, ოთხი გრძელი კარადა იდგა. კარადები კედელს ებჯინებოდნენ.

— სამართავი პულტიც მარტივია, არა? — ჰკითხა ნუგზარს მადინმა.

— რასაკვირველია, ახლა როგორ გაადვილებულია ყველაფერი, ტექნიკა მოვიდა ადამიანთა დასახმარებლად. მაშინ კი... აღფრთოვანებული ვარ მათი მამაცობით.

— ახლა ტრიუმები ვნახოთ, — თქვა მადინმა, როცა დერეფანში გამოვიდნენ.

ჩაცურდნენ თუ არა ტრიუმებში, მაშინვე თვალი შეავლეს მუცელდაბერილ შავ დერგებს, იატაკზე რომ იყო მოფენილი. დერგებს სულ დაეფარათ მთელი იატაკი, ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არ იყო თავისუფალი.

ნუგზარმა ეჭვით გადახედა კერამიკული ჭურჭლის ამ უჩვეულო გამოფენას და მადინს ანიშნა: ეს რა არისო?

მადინმა ხელით ერთ-ერთი დერგის კედელზე დააკაკუნა.

— ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ამ ჭურჭლებში ოდესღაც თაფლი ესხა...

— თაფლი? — გაიკვირვა ნუგზარმა

— დიახ, თაფლი, კოლხური თაფლი აფრიკის ნაპირებთან. იმის დადგენა არ ხერხდება, მეზღვაურები ამ თაფლს საკვებად ხმარობდნენ თუ გასასყიდად მიჰქონდათ.

— სავარაუდოა, რომ მიჰქონდათ გასასყიდად.

— ადვილი შესაძლებელია. მაშინ ასე გამოდის, იმ დროს კოლხეთი თაფლის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორი ყოფილა.

ლიუკიდან რომ აცურდნენ, მადინმა წინა ერდოსაკენ გაინავარდა და ნუგზარიც გაიყოლა. ახლა ისინი მარცხენა ბორტთან გავიდნენ. მადინმა ნუგზარს ბეჭზე ხელი დაადო.

— ხედავ, ესეც ბერძნული წარწერაა.

— ბერძნული არ ვიცი, მაგრამ თქვენი ავტორიტეტი ჩემთვის საკმარისია, ალბათ ბერძნულია.

— „დიოსკურია“ აწერია.

ნუგზარმა თავი დაუქნია. იმაზე აღარ უფიქრია, ამ ნილბიანი თავის მოძრობას მადინი შეამჩნევდა თუ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კმაყოფილი ხართ ამ გასეირნებით? — ჰკითხა მადინმა.

— ძალიან, ასეთი სიამოვნება ადამიანს ერთხელ ან ორჯერ თუ ეღირსება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

— არა, ეგ უკვე მეტისმეტია.

— სრულებითაც არ ვაჭარბებ; გულწრფელად მოგახსენებთ, ასეთი დიდი სიამოვნება ცხოვრებისაგან ჯერ არ მიგრძვნია, როცა ამ უძველეს ქართულ წარწერას ვუყურებდი, მაპატიეთ და, უნდა გამოგიტყდეთ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

— სრულებითაც არა ვარ ისეთი კაცი, რომელთაც წამდაუწუმ თვალის უპეები ცრემლებით ევსებათ, მაგრამ ამ წარწერას რომ შევხედე, რაღა დაგიმალოთ და, კინაღამ ავტირდი.

მადინმა ბეჭზე ხელი მოუთათუნა.

— გაიგეთ, მეც მქონია ასეთი სათუთი გრძნობები.

— ალბათ როცა ლონდონში ცხოვრობდით?

— დიახ, რაც უფრო შორს იმყოფები სამშობლოდან, მით უფრო ტკბილდება იგი. ასეთია ცხოვრების კანონი.

ახლა ექვსივენი ერთ ჯგუფად მიცურავდნენ. თავში მადინი და ნუგზარი იდგა. ისევ იმ შარაზე გადმოვიდნენ და კიბანისაკენ გასწიეს.

მადინი ერთბაშად შედგა, ვალერის დაელოდა, როცა ბასილაია გაუსწორდა, ხელი მეგობრულად მოხვია მჯარზე.

— ხომ არ დაიღალე, ვალერი?

— არც უმისობაა, მაგრამ ამ ტანჯულ სულს როგორმე კიბანამდე მივათრევ.

— მერე მანქანა მოგვხედავს, არა? ეს ახალი კიბანი თუ შოგწონთ?

— ძალიან, ძველი ხომ კარგი იყო და კარგი, ეს კიდევ უკეთესი. პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ თქვენი კონსტრუქტორებით. ალბათ საწვავსაც ცოტას ხარჯავს?

მადინმა გაიცინა.

— არა, ძვირფასო, რის საწვავი, ელექტრომობილია.

ვალერი ერთ წუთს შედგა.

— ელექტრომობილი, ამაზე არც კი მიფიქრია.

— ოცდაათი წელია ბენზინზე უარი ვთქვით. ბენზინმა როგორც თქვენ, ასევე ჩვენც ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა. ძალიან გვიჭუჭყიანებდა ოკეანეს. დაიწყო ცოცხალ არსებათა ნამდვილი გადაშენება. გესმით, ვალერი, სიცოცხლის გაქრობის პირველი სიმპტომები გაჩნდა. სწორედ კარგ დროს გვიშველეს კონსტრუქტორებმა, შექმნეს ასეთი ძვირფასი ელექტრომობილები.

— ახლა არც ერთი ბენზინის მანქანა აღარ დადის?

— არა, კანონით აიკრძალა ბენზინის ჯაბახანები.

— დიდებული საქმეა. ჩვეხთანაც გაჩნდა ელექტრომობილები, მაგრამ ჯერ პრაქტიკული მნიშვნელობა ვერ მოიპოვა. ჩვენ ამ მხრივ უფრო ექსპერიმენტის ფაზაში ვართ.

კიბანთან როცა გავიდნენ, კადილა უკვე წინა კაბინასთან იდგა.

— ჩავსხდეთ, არა? — იკითხა მან.

— ჩავსხდეთ, — თქვა მადინმაც და უკანა კიბანის კარი გამოაღო. ვალერი ისევ წინ, კადილას გვერდით მოთავსდა. გულდაგულ მოეწყო თუ არა რბილ საჯდომზე, მაშინვე იკითხა: წავიდეთო?

წადიო, უპასუხეს და კიბანიც დაიძრა.

კაბინებს შორის კავშირი ჩართული იყო, ამიტომ, როცა ვალერიმ კადილას ჰკითხა, ეს გემებივით ცხვირვიწრო შენობები რა არისო, ყველამ გაიგონა და ქვევით ჩაიხედა.

ქვევით მატარებლის შემადგენლობასავით ერთ რიგში გაბაწრული კონუსური შენობები ჩანდა. ამ უშნო სახლებს წოწოლაკი ცხვირი ერთი მიმართულებით ჰქონდათ გაშვერილი.

— აქ ძლიერი დინებაა, — გაისმა კადილას ხმა, — სადაც წყალი ასე ძალუმად მოძრაობს, შენობებსაც თავისებურს ვაგებთ. სახელდობრ, სწორედ ასეთს. ამ სახლებს ხმალთევზასავით წინ გაშვერილი კონუსი შველის, დინებამ რომ არ ლაზიანოს.

— თქვენც რა, რაღა მაინცდამაინც დინებაში დგამთ შენობებს?

— ელექტროსადგურია, ვალერი. მარტო ეს კომპლექსი რვა მილიონ კილოვატ საათს გვაძლევს. ცოტაა?

— რასა ბრძანებთ! ერთობ დიდიც ყოფილა.

— წყალქვეშა მდინარეები უფრო მძლავრია, ვინემ თქვენი, ხმელეთისა. ეს მდინარეები რომ არ იყოს, ჩვენ ახლა ქვის ხანაში ვიქნებოდით. წარმოიდგინეთ, რამდენ ენერგიას ვხარჯავთ მარტო განათებაზე.

— წარმოვიდგინე და ტანში კიდეც გამცრა. კოლოსალური ენერგიაა. ამ საქმისათვის თავის გართმევა ხმელეთის ყოველ სახელმწიფოს გაუჭირდებოდა. თქვენ, ალბათ, ძირითადად მძლავრ ელექტროსადგურებს აგებთ?

— დიახ, ორმილიონ კილოვატ საათზე ნაკლები სიმძლავრისა არ პროექტდება. ელექტროსადგურების ასეთი ხასიათი მძლავრმა დინებებმა გვიკარნახეს.

— გასაგებია.

ნახევარი კილომეტრის რადიუსში გზა ორად იყოფოდა, ვალერიმ იკითხა: საით წავიდეო?

მარჯვნივ წადიო.

— ჩვენ იმავე გზით ვბრუნდებით?

— არა, მარშრუტი შევცვალეთ.

— რისთვის?

— ძალიან ცნობისმოყვარე ბრძანდებით, — თქვა სიცილით კადილამ, — მიზეზი სრულიად უბრალოა, ახალი გზები უფრო საინტერესოა.

— მართალი ბრძანდებით.

— ქალბატონო კადილა, ნუ ანებივრებთ ვალერის. — გაისმა ნუგზარის ხმა.

— არ ვანებივრებ, მაგრამ ასეთ შესანიშნავ მძღოლსა და ცნობისმოყვარე კაცს ზოგჯერ უნდა აჰყვე ხოლმე. ხედავთ, საჭე მთლიანად მივანდე და მშვენივრადაც ართმევს თავს საქმეს.

— ეტყობა ტექნიკა უყვარს. — თქვა მადინმა.

— ჩხირკედელაა, ყველაფერი აინტერესებს, სიახლეს ძალიან ადვილად ითვისებს.

— ასერიგად ნუ მაქებთ, ჩემო კაპიტანო, არც ისეთი თამამი ვარ, თქვენ რომ გგონიათ, შემრცხვება.

— ეს ქება დაიმსახურე, ვალერი.

წიოელ დარბაზში რომ შევიდნენ, ვალერიმ მადინს ჰკითხა, ხმალთევზა ახლა ავქნათო?

— აუცილებლად, აუცილებლად, — უპასუხა მადინმა, — ახლავე მოვატანინებ ყველაფერს, რაც ამ საქმისთვისაა საჭირო. ბასრი დანა..

— დიახ, ბასრი დანა, ერთი დიდი სათლი, მარილი და წყალი.

— ახლავე.

მადინი სწორედ იმ კედლისაკენ შებრუნდა, საიდანაც ესესაა კიბანი შემოძვრა. რაღაც დაიძახა, როცა კედელს იქიდან უმალვე პასუხი გამოსცეს, მთელი ორი წუთი რაღაც ბრძანებას აძლევდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კი კედელი გაიხსნა და ორმა ამიტმა უშველებელი ყავისფერი სათლი შემოათრია. სათლზე კი ელაგა ყოველივე ის რაც ვალერიმ მოითხოვა.

ამასობაში ანდრომ და ვიტალიმ მთელი ნანადირევი ავლადიდება გადმოალაგეს.

მადინმა გაიცინა.

— სულ თქვენ იტოვებთ, ჩვენ აღარ გვაძლევთ?

ვიტალიცა და ანდროც ყურებამდე გაწითლდნენ. მდგომარეობიდან ნუგზარმა გამოიყვანა.

— მათ მიაჩნიათ, რომ თქვენც ამ სახლში ცხოვრობთ. აბა, ნანადირევი ჩვენ რად გვინდა, არც სამზარეულო გვაქვს და არც მზარეული გვყავს.

მადინმა ანდროს ხელი მეგობრულად მოხვია.

— ვიხუმრე, ბიჭებო, განა არ ვიცი, რომ თქვენ ასეთ ნანადირევზე მაინცდამაინც თავს არ გამოიდებთ.

ვალერი მათ არ უსმენდა, როგორც იყო ხმალთევზა სათლთან მიაჩოჩა, იმ ორმა ამიტმა უშველა და სათლზეც დააგორა. დანას პირი გაუსინჯა და როცა დარწმუნდა. ბასრი იყო, მუცელზე დაუსვა ხმალთევზას. ბასილაიას სათლიდან უკვე ამოჰქონდა ას კილომდე მუცლის ქონი. მერე მეორე სათლიც მოითხოვა და ისიც მიართვეს. ბასილაიამ ამ მეორე სათლში გულიანად გარეცხა თავისი ნადავლი, შემდეგ დასერა და დანასერ ადგილებში ბლომად ჩაყარა მარილი.

— ახლა შევახვიოთ და ხვალ ამ დრომდე ასე შევინახოთ. ხვალ ისევ უნდა გაირეცხოს. შემდეგ კი მზის გულზე სამი დღე გაშრეს. მეოთხე დღეს ისეთი შებოლილი იქნება, თითებს ჩაიკვნეტთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადინმა გაიცინა.

— ნამიბიაში წავიღოთ, იქ ბევრი მზეა.

— ნამიბია არ არის საჭირო, აქვე, სადმე ათასსანთლიანი ნათურის ქვეშ დავკიდოთ, საკმარისია.

— მართლა! — გაიკვირვა მადინმა, — ეგ ადვილი საქმეა.

ამ დროს კი კადილა ნუგზართან მივიდა.

— მაგ უბედურ ხმალთევზას კარგი ჭირისუფლები გამოუჩნდა. ჩვენ ზედმეტი ვართ. აჯობებს შინ წავიდეთ.

ნუგზარი საკმაოდ დაღლილი იყო. ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა, სიტყვაც აღარ უთქვამს, ისე მიჰყვა კადილას. გასართობ ოთახში რომ შევიდნენ, კადილა მაშინვე სავარძელში ჩაჯდა, თავი საზურგეზე მიადო.

— დაიღალეთ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— არც ისე, მაგრამ ნადირობა მაინცდამაინც არ მიტაცებს. ისე, ხანდახან თუ ავუბამ ხოლმე მხარს მადინს. მას თავდავიწყებამდე უყვარს, ძლივს ვაშორებ ხოლმე ტყეს. თქვენ დაიღალეთ?

— ცოდვა გამხელილი სჯობიაო, დავიღალე.

— მაშინ მე წავალ, თქვენ კი დაისვენეთ.

— განა ახლა არ ვისვენებ?

— ვითომ?!

— რასაკვირველია, აუცილებელი არ არის ლოგინში ჩავკოტრიალდე.

—აბა, ცოტას კიდევ მოვიცდი, დაველოდები მადინს. სხვათა შორის, ზეგ არის პარლამენტის სხდომა. ამ სხდომაზე წაკითხული იქნება თქვენი მიმართვა.

— მართლა! საინტერესოა. ჩვენ კი გვეგონა, რომ პარლამენტი ამ მიმართვამ საერთოდ ვერ დააინტერესა.

— რასა ბრძანებთ, პირიქით, როგორც მე ვიცი, დინაკს ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა რამდენიმე დეპუტატთან. დეპუტატებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს.

— აბა, ეშველება ამ წყალწაღებულს, აღარ დახვრეტენ?

— ადვილი შესაძლებელია, და სიცოცხლეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

ნუგზარი წამოდგა, წყალს დავლევო, თქვა და სასადილო ოთახში შევიდა. ის იყო წყლით სავსე დოქისაკენ ხელი გაიშ-

ვირა, რომ იქვე ახლოს, მაგიდაზე, უდიერად მიგდებული, რა-ღაც ნივთი შენიშნა. ეს გრძელი და გვარლივით მრგვალი ნივთი ძალიან ჰგავდა ჯიბის ფარანს, რომელსაც ხელიდან არ იშორებენ გემის ელექტრომექანიკოსები.

ნუგზარი კრიმინალის დიდი მოყვარული გახლდათ, მაგრამ, ამ მყუდრო სამყაროში ახალი საგნის გამოჩენამ მაინც აღაგზნო. დოქისთვის ხელი აღარ უხლია, ოთახიდან ციმციმ გამოვიდა და ფიქრებში წასულ კადილას თავზე დაადგა.

— კადილა, იქ რაღაც ახალი ნივთია, სწორედ ისეთი, მეკატს რომ ეჭირა ხელში იმ დღეს, როცა სიკვდილით გვემუქრებოდა.

კადილა ფიქრების სამყაროდან ნელა გამოცურდა.

— **რაო, რა ნივთიაო?**

— აი, თქვენ თვითონ ნახეთ.

ქალიშვილი წამოდგა. ნუგზარს გაჰყვა და როცა მაგიდაზე დაგდებულ იმ ფარანს შეავლო თვალი, მაშინვე შემკრთალი ხმით იკითხა:

— ხომ არ შეხებიხართ?

— არა, ხელიც არ მიხლია.

— წამოდი, სასწრაფოდ ტელეფონი მჭირდება.

ორივე ხელით ნუგზარის მარჯვენა მკლავს ჩააფრინდა. ისე გამოვიდნენ გასართობ ოთახში, არც უფიქრია ხელის შეშვება. ნუგზარმა რომ ჰკითხა, რა ხდებაო, კრინტიც არ დაუძრავს. კაპიტანი საძინებელ ოთახში შეათრია და მაშინვე ტელეფონს მივარდა. მთელი სამი წუთი ძალზე ნერვიული ხმით ჩაჰყვიროდა ყურმილში. მერე ყურმილი დააგდო და მაშინვე ჩამოჯდა.

— რა მოხდა? — ისევ იკითხა ნუგზარმა. ცდილობდა ხმაში აღელვება არ დასტყობოდა.

— ის საშინელი იარაღია. სხივებით სპობს სიცოცხლეს.

ნუგზარი საწოლზე ჩამოჯდა. ბალიში აიღო და მუხლისთავებზე დაიდო.

— მაშ, მეკატს მაშინ ეგ სარაჩხუნო ეკავა. კარგი გართობა სცოდნია ბგერებზე მომუშავე პროფესორს. ჩვენთან პროფესორები ქაღალდებითა და კალმებით ერთობიან. თქვენთან წინ წასულან, სიკვდილის იარაღსაც ატარებენ.

კადილა ტუმბაზე იჯდა. ხელები ლოყებზე შემოეწყო, სულ ერთთავად დუმდა. მერე წამოდგა, ნუგზართან მივიდა.

— წამოდი, მოვიდნენ.

— ვინ მოვიდა?

— წამოდი, უშიშროების სამსახური მოვიდა.

დერეფანში მართლაც იდგა ლურჯ რეიტუზებში გამოწყობილი სამი ამიტი. სასუნთქი აპარატი არც ერთს არ ეკეთა. სულ ახალგაზრდები იყვნენ, საკმაოდ სიმპათიური ყმაწვილები.

კადილა რომ დაინახეს, სამივემ ხელი დაიქნია, მერე ერთ ხანს ძალზე მშვიდად ესაუბრებოდნენ.

კადილა უცბად დაწყნარდა. ამ ყმაწვილებმა კი ისევ დაიქნიეს ხელი და გაილალნენ. შეწყდა თუ არა მათი ფეხის ხმა, კადილას ისეთი სიცილი წასკდა, სასუნთქი აპარატი ხან ნიკაპზე ეკიდა, ხანაც კიდევ წარბებს ზემოთ ადიოდა.

ნუგზარი გაოცებული იდგა. ვერაფრით ვერ გაერკვია, რა უნდა ეთქვათ ისეთი იმ სერიოზულ ბიჭებს, რომ ასე შეფუცხუნებული ქალიშვილი სიცილის განწყობაზე დაეყენებინათ.

დერეფანში გაიარა და, როცა კადილამ სული მოითქვა, სწორედ მის წინ შეჩერდა, ყურადღებით შეხედა.

— ალბათ, ფიქრობთ, გაგიჟდაო.

— არა, მაგას არ ვფიქრობ, — თქვა სერიოზულად ნუგზარმა და გამჭოლი მზერა სასუნთქი აპარატის პატარა მინის იქით ჩასაფრებული თვალებისათვის არ მოუშორებია.

— ვიფიქრე, ტერორისტები შემოძვრნენ-მეთქი.

— მეც ეგ ვიფიქრე.

— ეგ იფიქრეთ და ასე მშვიდად იყავით?

— აბა, რა უნდა მექნა, — ნუგზარმა მხრები აიჩეჩა. — რომ მეყვირა, განა ამით საქმეს ეშველებოდა?

— რა თქმა უნდა, არა... მე ამ ათ წუთში მთელი სიცოცხლე გავათავე. იარაღი კი თურმე უშიშროების სამსახურის მუშაკის ყოფილა. ბედოვლათი, წუთით დავდევით მაგიდაზეო.

— ისინი იცავენ ჩვენს ოთახებს?

— რასაკვირველია, იმ დღიდან, რაც აქ იმყოფებით.

— მაშ, შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ.

— შეგიძლიათ.

მონადირეები დერეფანში ხმამაღალი ლაპარაკით შემოვიდ-

ნენ. კადილა და ნუგზარი უკვე გასართობ ოთახში ისხდნენ. ნუგზარისათვის ათწუთიან შოკს უკვე გაევლო და იმის განხილ-ნებაზე, როგორ ფინიასავით მიათრევდა კადილა, ეცინებოდა. კადილა მის პირდაპირ იჯდა. სრულებითაც აღარ იყო ისეთი მელანქოლიური, მოწყენილი, როგორც აქ შემოსვლისას. მადინმა პირველმა შემოაბიჯა, აპკიანი თხელი ხელთათმანები წაიძრო და სავარძელში მოსხლეტით ჩაჯდა.

— მართალი გითხრათ, დავიღალე, როცა ვნადირობ, დაღლას სულ არ ვგრძნობ, აი, საქმეს მოვრჩები და, გიყვარდეს, ყველა ხრახნი მოფამფალებულია.

— ეს ყველას ასე ემართება, მადინ, მაგრამ სასადილო ოთახში ყველა ვერ პოულობს საშინელ სასიკვდილო იარაღს.

მადინმა საფეთქლებზე ხელები ჩამოისვა, მერე მაგიდისაკენ გადმოიხარა და ნუგზარს გაკვირვებით შეხედა.

— ვერაფერი გამიგია მაგ ქარაგმისა, იქნებ უფრო გარკვევით მითხრათ, კიდევ რა სიურპრიზი მოგვიწყვეს?

— არავის არაფერი მოუწყვია. უშიშროების სამსახურის ერთ-ერთ მუშაკს სასადილო მაგიდაზე იარაღი დარჩენია, ნუგზარმა იპოვა. ეს იყო და ეს.. ჩვენ საკმაოდ შეგვეშინდა. უფრო სწორედ, მე წავხდი. შემდეგ ყველაფერი გაირკვა და ბევრიც ვიცინეთ.

— ვერაფერიშვილი ხუმრობაა, — თქვა წყენით მადინმა, — ამას შეიძლება უფრო ცუდი შედეგი მოჰყოლოდა.

— ახალგაზრები არიან, ეპატიებათ.

— ისინი შეიძლება მართლაც ახალგაზრდები არიან, მაგრამ სამსახური, რომელსაც ასრულებენ, საკმაოდ ძველია და ვფიქრობ, საპასუხისმგებლოც.

მადინი წამოდგა და ოთახში გაიარა. მას უკვე გუნება გაფუჭებოდა. არც კი ცდილობდა, თავისი აღშფოთება დაეფარა. მერე ისევ თავის სავარძელთან მივიდა და ის იყო ჩაჯდომა დააპირა, რომ სადღაც ჭერში რეპროდუქტორმა დაიხრიალა.

ეს ხმა იმდენად მოულოდნელი იყო, ექვსივენი შეკრთნენ და გაისუდრნენ.

კაცის ხმა ლაპარაკობდა ამიტურად. ტყვეებმა ამ მოკლე საუბრიდან მხოლოდ ერთი სიტყვა — „მადინი“ გაიგეს. უცხო ხმამ სამჯერ მაინც გაიმეორა.

დადუმდა თუ არა რეპროდუქტორი, მადინი ჩქარი ნაბიჯებით დერეფნისაკენ წავიდა, ზედ კართან შემობრუნდა, ნუგზარს გახედა და ჩუმად თქვა:

— მე მეძახიან, თუ რატომ, კადილა აგიხსნით.

მადინი გაქრა.

— მოხდა კიდევ რაიმე? — იკითხა ნუგზარმა.

— სამწუხაროდ, მოხდა. — თქვა კადილამ და გრძელი გამხდარი თითებით მაგიდაზე დააკაკუნა, — ამიხოტში პარლამენტის შენობა აუფეთქებიათ. ღმერთო, ეს რა ამბებია, ხალხი ჭკუიდან შეიშალა!

— სამწუხაროა, ნუთუ ასე გათავხედდნენ? — თქვა შლიახოვმა გულწრფელი თანაგრძნობით.

მართლაც რომ გათავხედდნენ. მადინს ეძახიან პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, ამიხოტში წავიდა.

— მადინი პარლამენტის წევრია? — იკითხა ნუგზარმა.

— დიახ, წევრი გახლავთ.

— შენობა რომ დაუნგრევიათ? — გულუბრყვილოდ თქვა ანდრო გაბოშვილმა.

— ანდრო, ამიხოტში ბევრი ისეთი შენობაა, სადაც თავისუფლად შეიძლება პარლამენტის სხდომის ჩატარება, — მიუგო კადილამ.

— ეჭვიც არ მეპარება, სხვა რამ მინდოდა მეთქვა და არ გამომივიდა, — თავი იმართლა გაბოშვილმა.

კადილა ახლა მას აღარ უსმენდა.

— ახლა მეც წავალ, ალბათ, სხვაგან უფრო საჭირო ვარ, ვინემ აქ. იგი წამოდგა, ხელი დაიქნია და დერეფანში გაუჩინარდა.

— როგორც ჩანს, საქმე უფრო გართულებულია, ვინემ ჩვენ გვგონია.—თქვა ნუგზარმა. ვიტალი მის გვერდით მჯდომ ვალერის მიუბრუნდა:

— ახლა, ამ წუთებში, ერთი ღერი სიგარეტი რომ მომცა, რა სიამოვნებით მოვწევდი..

თუმცა ვიტალიმ ეს სიტყვები ვალერის ყურში უჩურჩულა, მაგრამ ნუგზარის მახვილ სმენას არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია. შლიახოვთან მივიდა, ზევიდან მწარე ღიმილით დახედა და კბილებიდან გამოცრა:

— ახლა მეც დიდი სიამოვნებით მოვწევდი თამბაქოს. ალბათ, სწორედ ასეთი წუთების შესამსუბუქებლად მოიგონეს თამბაქო ძველმა კაცებმა.

— ალბათ, — დაეთანხმა შლიახოვი.

ვალერი კი ამ დროს ბლოკნოტის ფურცელზე წერდა. როცა საქმეს მორჩა, ფურცელი ამოხია და ნუგზარს გადააწოდა, ნუგზარმა ისე ჩამოართვა, არც კი გაუშრიალებია. ვალერის დაგრეხილი ასოებით ქათქათა ქაღალდზე დაეწერა: „ახალი კიბანი ჩინებული მანქანაა. კადილამ ამიხსნა, რომ მას შეუძლია იცუროს ვერტიკალურად, თანაც დიდი სიჩქარით. მე თითქმის კარგად ვიცნობ მანქანას. თუ მისი ხელში ჩაგდება მოხერხდა, შეგვიძლია, თავი დავაღწიოთ ცივ კედლებს“.

წერილი სხვებმაც წაიკითხეს. მერე კი ვალერიმ დაანაკუწა, პირში ჩაიდო და გადაყლაპა.

ნუგზარმა ვალერის მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა, ვახშმობის დროაო.

შუადღისას ნატე გამოცხადდა. ნატემ სურათების დიდი დასტა მოიტანა. მაგიდაზე დადო და თქვა: ეს ძია მადინმა გამოგიგზავნათო.

ნუგზარი მაშინვე მიხვდა, რა ძვირფასი ნობათიც მოართვა პატარა ნატემ და ძალზე გაუკვირდა, ასეთ აურზაურში მადინმა მაინც რომ იპოვა დრო დანაპირების შესასრულებლად.

სურათები მაგიდაზე გაშალა და მთელი ორი საათი ამ მაგიდას აღარ მოშორებიან.

კადილა მთელი სამი დღე აღარ გამოჩენილა. აღარც ნატე და ბეტა მოსულან. კაპიტანმა ტელეფონით სცადა მათი მოძებნა, მაგრამ იმ ქალმა, კომუტატორის მოვალეობას რომ ასრულებდა, უთხრა:

— მოითმინეთ, ამ დღეებში კადილა თვითონ დაგირეკავთო.

მეორედ და მესამედ რომ დარეკა, მაშინაც იგივე პასუხი მიიღო და ხელი ჩაიქნია.

მეოთხე დღეს, დილით ადრე, გაისმა ზარის ხმა. ნუგზარი მაშინვე მიხვდა, ვინაც გააღვიძა ასე სისხამზე. თბილი საბნიდან გამოძვრა და ყურმილს წაეტანა.

— გამარჯობათ, ნუგზარ! — გაისმა კადილას ჟღურტულა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიმარჯოთ, კადილა!

— ხომ არ მოიწყინეთ?

— არც ისე მხიარულად ვართ, მაგრამ ჯერჯერობით სული მაინც გვიდგას.

— საუზმის შემდეგ მოვალ, ბევრი საინტერესო რამ მაქვს სათქმელი.

— მოუთმენლად გელით.

— მაპატიეთ, ასე ადრე რომ შეგაწუხეთ.

— რასა ბრძანებთ, პირიქით, შემაწუხეთ კი არა, დიდი სიამოვნებაც მომგვარეთ.

ყურმილი რომ დადო, მაშინ გაიფიქრა, კადილას დღეს შემართული, ცოტა მხიარულად ელერადი ხმა ჰქონდაო. ოდნავი მსგავსებაც კი არ იყო იმ ნაღვლიან, მელანქოლიურ ტონთან, სამი დღის უკან რომ ისმენდა. ეს სასიამოვნო განწყობა ძალაც გადაედო. თბილ ლოგინს აღარ დაჰბრუნებია, მაშინვე ჩაიცვა და დერეფანში გამოვიდა. დერეფანში სიწყნარე სუფევდა. მხოლოდ ბოლო ოთახიდან ანდროს ხვრინვა ისმოდა. ნუგზარს რატომღაც ადამიანის ხმის გაგონება მოუნდა და უნებლიეთ გაბოშვილის საძინებელ ოთახში აღმოჩნდა.

საწოლზე უზარმაზარი სხეული რუმბივით იდო. ბალნიანი მკერდი ხან ტალღასავით აგორდებოდა და ხანაც კიდევ სწრაფად ეშვებოდა. ანდროს ეძინა ჯანმრთელი კაცის უდარდელი ძილით.

ნუგზარი რომ შევიდა, რასაკვირველია, არაფერი გაუგია. თვალები მხოლოდ მაშინ დააჭყიტა, როცა სასთუმალთან რაღაც გახმაურდა. შემკრთალი წამოხტა და მაშინვე თვალები მოიფშვნიტა. ნუგზარი რომ დაინახა, სახეზე გაკვირვება აღებეჭდა.

— მოხდა რაიმე?

— არაფერი, მაპატიე, ძილი რომ დაგიფრთხე, მაგრამ ხვრინავდი და შევშინდი, გული ხომ არ აწუხებს-მეთქი.

— ეს ვერანა, ასე ვიცი. და ვერ მოვიშალე, ერთხანს ვმკურნალობდი კიდეც, მაინც არაფერი გამოვიდა. მართლა ამისათვის შემოხვედით?

— რასაკვირველია, მხოლოდ ამისათვის. ადე, ვისაუზმოთ.

— ახლავე.

ნუგზარი ისევ დერეფანში გამოვიდა. ანდროს დაფეთებულ გამოხედვას რომ წარმოიდგენდა, ეღიმებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი უკვე ამდგარიყო და მისი ოთახის შესასვლელთან იდგა.

— გამოიღვიძე, ყმაწვილო?

— დიახ, კაპიტანო. თქვენმა ფეხის ხმამ გამაღვიძა.

— თუ ანდროს ხვრინვამ?

— ეჰ, მაგ კონტრაბასს უკვე დიდი ხანია შევეგუე. ხანდახან კლარნეტით მეც ხმას ვუწყობ. ვიტალიმ ერთხელ კიდეც მითხრა, როცა ორივენი უბერავთ, მუსიკის სამყაროში მძინავსო.

— ასეთი ღამეებიცაა? ხედავთ, თურმე რაები ხდება!

მალე ვიტალიც გამოძვრა თავისი სოროდან, ანდროც შემოუერთდათ. საუზმის შემდეგ კი კადილა გამოჩნდა დერეფანში.

კადილა მსუბუქად მოდიოდა, ფეხის ხმა არც კი ისმოდა. ვალერი ისე იჯდა გასართობ ოთახში, რომ სახე სწორედ დერეფნისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. სტუმარიც პირველად მან შენიშნა და ხმამაღლა შეჰყვირა: დედოფალი მოდისო.

კადილას ყურს არ აკლდა, ვალერის ნათქვამი ქათინაური, რასაკვირველია, გაიგონა. შემოვიდა თუ არა, ბასილაიას გადახედა.

— სალამი მითქვამს, მეგობრებო, ვალერისათვის კი, დიდი მადლობა. ჩვენ, ქალებს, ყოველთვის გვსიამოვნებს, როცა დედოფალს გვადარებენ.

— მე არავისთვის არ შემიდარებიხართ, რაცა ხართ, მხოლოდ ის გიწოდეთ.

კადილამ გაიცინა.

— კიდევ უკეთესი. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს დღეები მოწყენილი იქნებოდით. ყველამ მიგატოვათ, ასე გასინჯეთ, ნატემაც კი...

— თქვენგან ღალატს უკვე შევეჩვიეთ, ნატესა და მისი მეგობრის გაქრობა კი ვერაფრით ვერ აგვიხსნია, — უთხრა ნუგზარმა.

— მე ეს დღეები სულ ამიხოტში ვიყავი. გადაუდებელი საქმეები მქონდა. ნატე კი ავადაა. ორ დღეში გამოკეთდება

და კვლავ მოგინახულებენ ისა და მისი მეგობარი. მინდა გითხრათ ერთი სასიამოვნო ამბავი. პარლამენტში თქვენმა გმირმა თვამ პირდაპირ ფუროორი მოახდინა. მადინმა მითხრა, ისინიც კი, ვინაც ადამიანებთან კონტაქტს სკეპტიკურად უყურებდნენ, სულ შეიცვალნენო. შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს სახელმწიფოს მინისტრს. მადინს დიდი იმედი აქვს, რომ თქვენი საქმე მალე ისე გადაწყდება, როგორც სამართლიანობა მოითხოვს.

— დიდებული სიტყვებია, — თქვა ვალერიმ,—იქნებ გვეშველოს რაიმე!

— გეშველებათ, უეჭველად გეშველებათ, ვალერი.

— პარლამენტის შენობის ამფეთქებლები თუ შეიპყრეს?— იკითხა ანდრომ.

— შეიპყრეს. ამიხოტში დიდი ამბები დატრიალდა. ტეროორისტებს ისე შეუტიეს, მგონი, სამუდამოდ დააკარგვინეს მადა, ოთხასამდე კაცი დაატუსაღეს.

— კარგად უმუშავიათ. მამა ვაცხონე მათი — თქვა ვალერიმ. ნუგზარმა ჯერ ვალერის გადახედა, მერე კადილას.

— თქვენ მაინც არ გითქვამთ, კადილა, რა დაადგინა პარლამენტმა იმ ტეროორისტზე, მისი სიცოცხლის გადასარჩენად ჩვენ რომ თავი გამოვიდეთ?

— სიკვდილს გადარჩა. ეს თქვენი დამსახურებაა.

— მადლობას ვუხდით ამიტ დეპუტატებს, ჩვენი თხოვნა რომ დააკმაყოფილეს. თუ საშუალება გექნებათ, გთხოვთ, ეს მადლობა დინაკს გადასცეთ.

— ადვილი სამსახურია. დღესვე დაველაპარაკები შინ.

ვალერი კადილასაკენ გადაიხარა. ქალიშვილი სწორედ მის გვერდით იჯდა.

— იქნებ მადინსაც დაელაპარაკოთ. იმ ხმალთევზას ხორცი უკვე გამოყვანილი იქნება. დროა ტკბილი პური ვჭამოთ ჩვენს სასადილო მაგიდასთან.

— არა, იმ ხმალთევზას ხორცს ვერ შეჭამთ.

— რატომ!? — გაიკვირვა ბასილაიამ.

— იმიტომ, რომ, ამ ორი დღის უკან ტეროორისტებმა მოახერხეს მისი მოწამვლა. ექსპერტმა ეს დაადგინა, დამნაშავეები დაპატიმრებული არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქაც შემოაღწიეს? — გაიკვირვა შლიახოვმა.

— დიახ, აქამდეც მოაღწიეს. მაგრამ უშიშროების სამსახურ-მა ეს დღეები ჩინებულად იმუშავა და ქვეყანა თითქმის გაწმინდა ამ ნაგვისაგან. ახლა ჩვენ არაფერი აღარ გვიშლის ხელს, ვესტუმროთ ქვეყნის დედაქალაქს.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა ვიტალიც.

— ამიხოტი თქვენ გარკვეული შთაბეჭდილებას შეგიქმნით ჩვენს ქვეყანაზე. ეს შთაბეჭდილება გამოგადგებათ, როცა თქვენს პარლამენტს ჩააბარებთ ანგარიშს ამიტების თაობაზე.

ხვალ დავაზუსტებ ყველაფერს და დაგირეკავთ. მოემზადეთ ამიხოტის გასაცნობად.

— ჩვენს ქალაქებს თუ ჰგავს თქვენი დედაქალაქი? — იკითხა ანდრო გაბოშვილმა.

— სჯობია, ამ კითხვაზე თავად გასცეთ პასუხი, როცა ამიხოტს დაათვალიერებთ. ეს დღე კი არც ისე შორსაა.

— კეთილი, აგრე იყოს, — ჩაილაპარაკა ანდრომ.

— მე იმ ბოლში გამოყვანილ თევზზე მწყდება გული. აუ, ბიჭო, რა გემოს ჩავაყოლებდით,—თქვა ვალერიმ და ნუგზარს გახედა. ნუგზარს კი, არაფერი დიდი ემოცია არ გამოუხატავს სითბოში გამოყვანილი ხმალთევზას ხსენებაზე, პირიქით, ხელი ისე აიქნია, რომ ვალერიმ მაშინვე ამოიკითხა, რისი თქმაც სურდა კაპიტანს, ერთი შენც მოგცლიაო, მეტი დარდი აღარ გაწუხებსო.

ბასილაიამ თავი ჩაქინდრა და სანამ კადილას ფეხის ხმა არ შეწყდა, კრინტიც არ დაუძრავს მერე კი, როცა ოკეანის ფერია შორს დაიგულა, ბლოკნოტს ფურცელი უხმაუროდ აახია და ზედ დააწერა:

„ამხანაგო ნუგზარ!

სრულებითაც არა მაქვს ნანადირევის დარდი. ძალზე სახიფათოა ის, რომ ტერორისტებმა ჩვენს ბინაში შემოაღწიეს. ჩვენი სიცოცხლის გარანტია მცირდება“.

წერილს ბოლოში დიდი ასოებით მიაწერა: „თქვენი ვალერი ბასილაია“.

ნუგზარმა ჩაიკითხა, მშვიდად ჩაიკითხა. თავი დინჯად დაიქნია. ბარათი ასევე აუღელვებლივ, რვა ნაწილად უხმაუროდ გახია და ის იყო ნაკუწები პირისაკენ გააქანა, რომ გაბოშვი-

ლი მივარდა. მუნჯურად რაღაც ანიშნა, ნაკუწები გამოართვა და ახლა თვითონ ჩაიტენა ნაფოტა კბილებით გამოტენილ ჯიბეში.

— აგაშენა ღმერთმა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ, — ეს ბიჭი ამ ბოლო დროს დიდ მადას ამჟღავნებს. ნეტავ კაციჭამიობას არ მიჰყოს ხელი და...

— ასეც რომ მოხდეს, შენ მაინც დაზღვეული ხარ, ცოცხალი დარჩები.

— ვითომ რატომაო?

— ერთი ცალი ჭირიანი ქაფშია ვეშაპს გინდა ჩაუსანსლავს და გინდა არა, განა არგებს რაიმეს?

ვალერი სრულებითაც არ აპირებდა უპასუხოდ დაეტოვებინა ძმაკაცის ასეთი თბილი ქათინაური, პირიც კი დააღო, რომ სულ ოქროს სიტყვები გადმოეფრქვია, მაგრამ სწორედ ამ დროს გაბოშვილს მხსნელად ნუგზარის ხმა მოევლინა, — მაშ ასე, მეგობრებო, მალე გავემგზავრებით ამიხოტში. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

— ყველამ ნუგზარს გადახედა.

საუზმის შემდეგ ნუგზარი სქელ, განიერ მინასთან იდგა. ანდრო და ვალერი ბანქოს ქაღალდს ატკაცუნებდნენ. ვიტალი შლიახოვს რახანია ბანქო მობეზრდა და გართობის ასეთ წუთებში თავის ოთახში მარტოვდებოდა ხოლმე.

კაპიტანს კი სქელ მინასთან დგომა ერჩია.

მინის იქით მომწვანო, მონაცრისფრო წყალი ლივლივებდა. ფსკერიდან ატყორცნილი მძლავრი პროჟექტორების შუქი უწვრილეს ოქროსფერ სწორ ხაზებს ავლებდა. ნუგზარს იმ წუთში რაღაც გაახსენდა და მოთამაშეებს მიუბრუნდა.

— ხომ გინახავთ, დაბურულ ტყეში მზე რომ ფანჯარას გამოჭრის ხოლმე?

მაგიდასთან ბანქოს ქაღალდის ტკაცუნი შეწყდა. ორი წყვილი თვალი კაპიტანს შეჰყურებდა.

— მცენარეთა ნორჩ ყლორტებს შორის მზის სხივები რომ გაიჭიმებიან ულამაზეს ოქროსფერ სვეტებად.

— მინახავს, როგორ არა, მაგის მეტი რაღა მინახავს. — თქვა გაბოშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხედეთ, ზუსტად ისე არაა?

— მართლაც ისეა. ნახეთ, იმ ჩახჩახა სვეტში მტვრის ნამცეცებიც რომ ელვარებენ. რამდენჯერ მინახავს ასეთი სურათი იგოეთის ტყეში. მიკვირდა ხოლმე, მზის სხივებში მტვერი რატომ ხდებოდა ვერცხლისფერი.

— გაბოშვილი მინასთან მივიდა.

ნუგზარი ახლა მას აღარ უსმენდა. იგი თვალს ვერ წყვეტდა ოკეანის ჯადოსნურ სურათს. ამიტომ არც ანდროს ნათქვამი გაუგია და არც ის, ვალერიმ რომ დაუღრიალა გაბოშვილს, მოდი პარტია დავამთავროთო. კაპიტანი ახლა მხოლოდ წყალქვეშა სამყაროს ნაღვლიან ბგერებს ისმენდა. თითქოსდა ეს მელანქოლიური ბგერები სქელ მინაშიც აღწევდნენ და თბილი ოთახის სიმყუდროვეში იფანტებოდნენ.

ახლა ის სულ სხვაგან იყო, სხვა სამყაროში.

— მოიწყინეთ?

კადილას ხმა რომ მოესმა, შეკრთა და შემობრუნდა. კადილა მის გვერდით იდგა. ანდროსა და ვალერის თამაში შეეწყვიტათ, ისინიც კადილას მისჩერებოდნენ.

— რამდენჯერ ჩავიფიქრე, დამენახა, როგორ შემოიპარება ხოლმე ჩვენთან კადილა, მაგრამ არაფერი გამომდის. ერთხელ მხოლოდ კართან მოსულს შევასწარი თვალი, ის იყო და ის. პირდაპირ უჩინმაჩინის ქუდი ხურავს. ახლაც ასე მოხდა. ავწიე თავი და ვხედავ, კაპიტნის გვერდით კადილა დგას. თვალს არ ვუჯერი, ვიტალი ხომ არაა-მეთქი მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, კადილაა, ნამდვილი კადილა. — თქვა ვალერიმ და ყვავის რვიანი მაგიდაზე დააბერტყა.

— ვალერი მართალს ამბობს, — თქვა ნუგზარმა, — ისე შემოდიხართ ხოლმე, ჰაერის ოდნავი მოძრაობაც კი არ იგრძნობა. ერთი სიტყვით, თევზივით მოსრიალებთ.

— მოიწყინეთ?

ისევ იკითხა ქალიშვილმა.

— არა, არ მომიწყენია.

— ცრუობთ, აქეთ რომ მოვცურავდი, ჯერ კიდევ გარედან შეგამჩნიეთ. ძალიან ტრაგიკული სახე გქონდათ. ხელიც დაგიქნიეთ, მაგრამ, რასაკვირველია, არ შეგიმჩნევიათ, ფიქრებს მზის სამყაროში ჰყავდით ატაცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვითომ ასე იყო?

— მგონი, სწორედ ასე გახლდათ. მზის სამყაროში, ქვემოთ გავარვარებული ქვიშა და ზემოთ მცხუნვარე სხივები.

— ასე მარტივად წარმოგიდგენიათ მზის სამყარო?

— არა, ზოგჯერ სხვანაირადაც წარმოვიდგენ ხოლმე.

— აქ ადვილად მოსწყინდება ხმელეთზე გაზრდილ კაცს; სიცარიელეს ვგრძნობ... ნაღვლიანს, შეუვსებელს.

— თქვენ ხომ თვეობით ცხოვრობდით ოკეანეში. აქ რა დაგემართათ, რატომ გაგიჩნდათ ნოსტალგია?

— ოკეანეში ქარს მოაქვს ხმელეთის სუნთქვა. ოკეანეში უშველებელ სივრცეს ხედავ, ვარსკვლავებივით მოჭედილ ცას. ფსკერზე კი სივიწროვეა. ასე მგონია, ადამიანთა გონების არეც ვიწროვდება. აქ საკმაოდ ჩია და უმწეონი ვჩანვართ.

— სრულებითაც არაა ასე.

— ვითომ?! მე კი მჯერა, რომ სწორედ ასეა.

— სრულებითაც არაა ასე. ფსკერსაც აქვს თავისი სივრცე. საჭიროა მხოლოდ შეიგრძნო ეს და აღიქვა. თქვენი ცხოვრების დიდ ნაწილს, როგორც ვალერიმ ბრძანა...

ვალერის ხელში ჯვრის ტუზი შეაცივდა. კადილას გახედა. კადილაც ახლა მას უყურებდა.

— ერთხელ თქვენ ასე თქვით, ვალერი: ამ ცივ კედლებში სული მეხუთებაო.

— დიახ, დაახლოებით ასე ვთქვი და ახლაც იმავე სიტყვებს გავიმეორებ. მას შემდეგ თითქმის არაფერი შეცვლილა.

— ჰოდა, იმის თქმა მინდა, თქვენ ცხოვრების დიდ ნაწილს ამ სულის შემხუთველ კედლებში ატრებთ. აბა, ხშირად დაცურავდეთ გარეთ, სადაც სივრცეა, არის სიცოცხლე და განუწყვეტელი მოძრაობა.

მაშინ აღარ იტყოდით ასე. მეთანხმებით?

— ჯერჯერობით არა, — უთხრა ნუგზარმა და გაიღიმა.

— თქვენ მხოლოდ ჯიუტობთ.

— არა, არ ვჯიუტობ, უბრალოდ რწმენა არ შემცვლია.

— შეგეცვლებათ.

— ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია, ეჭვიც კი არ მეპარება. მგონი, ჩვენი წასვლის დროც დადგა, მზადა ხართ?

ვალერი წამოდგა. კადილას წინ გამოეჭიმა.

— არა, მზად საიდან ვიქნებით, შვიდი ჩემოდანი კიდევ ჩასალაგებელია.

— მომზადებული ჩემოდნები ვიკმაროთ, ის შვიდი, მერე.

— თქვენ უკვე შეეგუეთ ვალერის უკუღმართ ლაპარაკს.

ვალერიმ ბანქოს ქაღალდი მარცხენა ხელისგულზე გააცურა.

— წამოვიღო, თუ ამიხოტში ვიშოვით?

— როგორმე ვიშოვით.

— რომ ვერ ვიშოვოთ, სეირი იქნება, გაბოშვილი ნამდვილად გააფრენს. ბანქოს ქაღალდს ისე შეეწყო, უმისოდ წუთსაც ვეღარ ძლებს.

— ნუ დარდობთ, ვალერი, აუცილებლად ვიშოვით.

— ისეთი მაღაზიები თუ არის ამიხოტში, ნისიად რომ ვაჭრობენ?

— რად გჭირდებათ?

კადილამ ყურადღებით შეხედა სახეში ვალერის.

— იმ დალოცვილი გემიდან ელჩად ცოტა ქესატად წამოვედი. გროშიც არ გამომყოლია.

— მერე?

— შარვალი და ხალათი შემომაცვდა. ლამისაა ბასილაიას ჩონჩხმა გამოანათოს ტანსაცმლის ნაფლეთებიდან. თუ ნისიად რაიმეს მოგვყიდიან, როგორც კი გემზე დავბრუნდებით, რკინის ბურთით მიიღებენ გადარიცხვას.

— მერე ის ბურთი ამიხოტს რომ ასცდეს და სხვაგან დაგორდეს, ხომ ვეღარ მიიღებენ გადარიცხვას, ფულს იზარალებენ. საჭოჭმანო საქმეა, ასეთი გარიგება არ გამოვა... — ღიმილით თქვა კადილამ.

— მაშინ კიდევ არის ერთი გამოსავალი.

— რა გამოსავალი? — ბრძანეთ.

— კადილამ უნდა გვიყიდოს კოსტუმი, სამაგიეროს კი მაშინ გადაგიხდით, ჩვენი სტუმარი რომ გახდებით. მოგწონთ ასეთი გარიგება?

— ეს კი, მგონი, უფრო რეალურია, მაგრამ ყველაზე სარ-

ფიანი საქმე ახლა მაინც ის იქნება, კიბანში რაც შეიძლება ჩქარა ჩავსხდეთ და ამიხოტისაკენ გავქანდეთ.

— მე ისევ თქვენს გვერდით ვჯდები, არა? — იკითხა ვალერიმ.

— რა თქმა უნდა, ჩემი განუყრელი მძღოლი ბრძანდებით.

— აბა, წავიდეთ, ბიჭებო! — დაიძახა ბასილაიამ და დერეფანში გამოვიდა.

ვალერი თუმცა ძალზე მხიარული განწყობილებით გამოვიდა შენობიდან, მაგრამ კაბინაში კადილას გვერდით მოთავსდა თუ არა, მაშინვე მოიწყინა.

კადილამ რომ უთხრა, ძრავა ჩართეო, ვერაფერი გაიგო და მეზობელი იძულებული გახდა, მხარზე ხელით შეხებოდა.

— რა მოგივიდათ, ბიჭო, ბასილაია?

კადილა ნიღაბში ვალერის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მიხვდა, მხიარულ ვალერის რაღაც უჭირდა.

ვალერი შეინძრა და მერე ძლივს ამოღერღა:

— ქალბატონო კადილა, ეს ოხერი, მარცხენა ყური მტკივა ისე საშინლად, ლამისაა სული გავაცხო.

— წნევის ბრალია. ნიღაბი ვერ მოგირგია კარგად. აბს მოგცემ. ისე მიიტანე პირთან, წყალი ცხვირისა და ყურებისაკენ არ გაგეპაროს. გადაყლაპავ თუ არა, ნიღაბი კარგად გაისწორე.

ბასილაიამ აბი ჩამოართვა. მერე ერთხანს რაღაცას ჩალიჩობდა. ბოლოს ამოღერღა: ყველაფერი რიგზეაო და მანქანა ჩართო.

— გაგიარათ? — ჰკითხა კადილამ.

— თითქმის, უებარი წამალი ყოფილა.

— ორ წუთში სულ დაგიყუჩებთ ტკივილებს, მართლაც უებარი წამალია. ნუ ჩქარობთ, ცოტა კიდევ მოვითმინოთ. ბარემ მთლად განიკურნეთ და მერე შევუდგეთ მართვას.

— უკვე განვიკურნე, მთლად განვიკურნე. წელან კი ერთბაშად დავრეტიანდი. მარცხენა ყურმაც ისეთი წუილი ატეხა, რომ, გიყვარდეს, უკეთეს დუდუკებს ვერც ინატრებდა კაცი. ვიფიქრე, ვალერი ბასილაია, აჰა, შენი აღსასრულის დროც მოვიდა-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად განწირული ვყოფილვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბანი ნელა დაიძრა და გაჩახჩახებულ ხეივანში გამოვიდა.

— პირდაპირ გამაგიყებთ, ვალერი, რა უცბათ დაეუფლეთ კიბანის პულტს. კაცს ეგონება, მთელი ცხოვრება ამ მანქანაში გაგეტარებინოთ, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

— ასეცაა, ხმელეთზე ვარ მანქანის საჭე მიჭირავს, ზღვაში ვარ — აქაც მართვაა საჭირო. ასე რომ, არაფერში შემცდარხართ.

მანქანა კი უკვე მიქროდა გაშლილ ხეივანში. გვერდებზე, ტროტუარს იქით, წყალმცენარეების პატარა ბუჩქები ჩანდა. მწყობრ ტალღებად იმართებოდნენ და ისევ წვებოდნენ ლამინარიასა და ქლორას ბუჩქები.

ძალიან ლამაზი სანახაობა იყო და ვალერის თვალი მალიმალ იქით გაურბოდა.

— ახლა მარჯვნივ წადი, — თქვა კადილამ.

ვალერიმ ქვემოთ თვალი მოჰკრა უზარმაზარ ნაცრისფერ მილს, რომელიც ოკეანის ფსკერზე ტიტანური გველივით გაშხვართულიყო. ამ გოლიათის თავზე პროჟექტორების შუქი იწვა, ბევრი იფიქრა ვალერიმ, მაგრამ ვერა და ვერ გაიგო, რა უნდა ყოფილიყო ფსკერზე დამხობილი ეს გიგანტი, გულმა აღარ მოუთმინა, კადილას მკლავს შეეხო.

— გზის მაჩვენებელია?

კადილამ გაიცინა.

— არა, მატარებლის გზაა, უფრო სწორად გვირაბია. იმ გვირაბში, ისევე როგორც თქვენთან, დაჰქრიან მატარებლები, მიჰყავთ და მოჰყავთ მგზავრები, მიაქვთ და მოაქვთ ფოსტა და ათასნაირი ტვირთი. გარდა ამისა, მძღოლები გზის მაჩვენებლადაც ვიყენებთ. ცენტრალური გზა კი სხვა მიმართულებით მიდის ამიხოტისაკენ. ჩვენ კი, ვინც ვჩქარობთ, აქედან მოკლეზე ვჭრით ხოლმე.

— ივიწყებთ კარგად ნათქვამ სიბრძნეს: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

— არა, აქ საშიში არაფერია, მოკლეზედაც გახვალ და მშვიდობითაც მიხვალ.

— კარგი საქმეა, მაგრამ ეს მიბრძანეთ, თქვენი მატარებლები რატომ პირდაპირ წყალში არ დაქრიან? წარმოდგენილი

მაქვს, რამდენი შრომა დასჭირდება თითოეული ასეთი გვირაბის აშენებას. უზარმაზარი სამუშაოა, ამის გაფიქრებაც კი მზარავს.

— ამ შემთხვევაში ჩვენმა კონსტრუქტორებმა გაიანგარიშეს წყლის წინააღმდეგობა და საქმე სარფიანად არ ჩათვალეს. უფრო უპრიანია დაიხარჯოს გაცილებით მეტი, ოღონდ მოვიგოთ დროში. აი, უკან წამოსვლისას ვისარგებლოთ მატარებლით და მაშინ ნათლად დარწმუნდებით, რაოდენ პრაქტიკულია ამიტების ეს გადაწყვეტილება.

ამ დროს მეორე კაბინიდან ფანჯარაში მოაკაკუნეს. კადილამ გაიხედა. ნუგზარი ხელების მოძრაობით ანიშნებდა, კავშირი ჩართეთო.

კადილამ მაშინვე ჩართო და მგზავრებისაკენ შებრუნდა.

— არ იფიქროთ, რაიმე საიდუმლო გვქონდეს.

— არა, მაგაში ვეღარ დაგვარწმუნებთ, ყოველთვის, როცა მანდ ჯდებით, ივიწყებთ, რომ ჩვენც ვარსებობთ.

კადილამ ხმამაღლა გაიცინა.

— ვალერი დიდი ცნობისმოყვარეა, ათასნაირ კითხვებს იძლევა და მეც ვუპასუხებ.

— არა მგონია, თქვენი საუბარი ჩვენთვისაც არ იყოს საინტერესო, — თქვა ნუგზარმა.

— თუ ასეა, მაშინ ყოველთვის ჩავრთავ კავშირს.

— ასე აჯობებს, ქალბატონო კადილა, თორემ თქვენ მანდ ერთობით, ჩვენ კი აქ ბაიყუშებივით ვსხედვართ.

— მაშ მისმინეთ. ჩვენს ქვემოთ მატარებლის გზაა, უფრო სწორად — გვირაბი, სადაც განუწყვეტლივ დაჰქრიან მატარებლები.

— ორმხრივი მოძრაობაა? — იკითხა გაბოშვილმა.

— დიახ, ორმხრივი. გვირაბი აშენდა ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ და ამიხოტს აკავშირებს კაშირთან.

— კაშირი რაღაა? — ისევ გაბოშვილმა იკითხა.

— კაშირი ქალაქია, რასაკვირველია, ისეთი დიდი არა, როგორიც ამიხოტია, მაგრამ მაინც საკმაოდ ვრცელი. თუ არ ვცდები, იქ ნახევარ მილიონამდე კაცი ცხოვრობს.

ახლა ვალერი მიუბრუნდა კადილას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამიხოტში რამდენი სული მოსახლეა?

ამიხოტში მილიონ შვიდასი ათასი ამიტი ცხოვრობს. ბევრია?

— არც თუ ისე ბევრი. ჩვენთან არის ქალაქები, სადაც ათ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს.

— ვიცი. ამიტები გიგანტურ ქალაქებს არ აშენებენ. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ გიგანტური ქალაქი უამრავ პრობლემებს აყენებს, რომელთა მოგვარება არც თუ ისე იოლი საქმეა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ვაშენოთ ბევრი და არა ბუმბერაზი ქალაქები.

— ჭკვიანური გადაწყვეტაა, — იქითა კაბინიდან კადილას ვიტალი შლიახოვი გამოეხმაურა.

— ჰო, ჩვენც ასე ვფიქრობთ.

მერე კადილამ ისევ ქვევით ჩაიხედა და განაგრძო:

რკინიგზის ეს ხაზი პირდაპირ ამიხოტში მიდის.

— მატარებლის მგზავრები ალბათ ის ამიტები იქნებიან, რომლებიც სუფთა ჟანგბადით სუნთქავენ?

— დიახ, ძირითადად ასეთები არიან, მაგრამ მატარებლებით მგზავრობენ წყლის ამიტებიც.

— ესე იგი, ცხოვრების პირობებით თქვენ უკვე ორ კატეგორიად ჩამოყალიბდით — უთხრა ნუგზარმა.

კადილა ისევ კაბინების გამყოფი მინისაკენ შებრუნდა.

— დიახ, წყლისა და ხმელეთის ამიტებად. სხვათა შორის ამიხოტის ერთი ნაწილი აშენებულია ხმელეთის ამიტებისათვის. აქ საკმაოდ ბევრი ამიტი ცხოვრობს და ალბათ არცთუ ისე ცუდად გრძნობს თავს. მათთვის მდგომარეობისდა მიხედვით შექმნილია სათანადო პირობები.

ქალაქის მეორე ნაწილში კი წყლის ამიტები ცხოვრობენ. ქალაქის ასე გაყოფა სრულებითაც არ უშლის ხელს არც ერთ მხარეს, ღამე იმ უბანში გაათიონ, სადაც მათ სურთ. ყოველ სასტუმროს შეუძლია მიიღოს როგორც წყლის, ასევე ხმელეთის ამიტი.

— მთავარია იყოს ფული, არა? — იკითხა ვალერიმ.

— გეტყობათ, დიდ პატივს სცემთ ფულს. — გაიცინა კადილამ.

— სრულებითაც არაა ასე, ქალბატონო კადილა. ამაში, ალბათ, ჩემი მეგობრებიც დამემოწმებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბოშვილი შეიშმუშნა.

— საერთოდ, ჩვენ, მეზღვაურებმა, ყველაზე ნაკლებად ვიცით ფულის ყადრი. სხვები რომ თავს იკლავენ, აი, ამდენი მოვაგროვეო, მეზღვაური ერთს გაიქროლებს ფულის მახით სავსე ქუჩებში და საღამოს ქესატად აღოღდება ტრაპზე. ესაა და ეს.

— ანდრომ სწორად თქვა, მეზღვაური ფულის მოყვარული კაცი არაა, — ეს უკვე ნუგზარის ხმა იყო. კადილა კი ვალერისაკენ შებრუნდა.

— მაშინ ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, ვალერი.

— თქვენისთანა ქალიშვილს როგორ არ ვაპატიებ. ხელიც რომ მომკვეთოთ, აუგი მაინც არ წამომცდება.

მეორე კაბინიდან ნუგზარის ხმა გაისმა:

— ვალერი, ქათინაურებზე ცოტა მომჭირნედ იყავი. ხმელეთზეც დაგჭირდება, ძვირფასო.

ვალერიმ ზვიგენის ნიღბიანი თავი ერთ წუთს კაბინების გამყოფ მინას მიადო, მარცხენა ხელი აიქნია.

— არხეინად იყავით, ამხანაგო ნუგზარ, სახმელეთო ხურჯინის მეორე მხარეს მაქვს შენახული.

ამ დროს ვალერის მკლავზე კადილამ მოქაჩა.

— ჩაიხედეთ ქვევით.

ვალერიმ ჩაიხედა, მაგრამ ტერმიტების ბორცვების მეტი ვერაფერი შენიშნა. მართლა ის კი არ უფიქრია, რომ გიგანტურ ბორცვებზე ტერმიტები ცხოვრობდნენ, მაგრამ რასაც ხედავდა, ყველაფერი ზუსტად ამ ნამცეცა მწერების სამოსახლოებს აგონებდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ყოველი ბორცვის თავზე უშველებელი ანძა იდგა. ერთმანეთთან ანძები მსხვილი მავთულებით იყვნენ დაკავშირებული.

— რა ხდება, ვერაფერი გამიგია? — თქვა ვალერიმ.

— ჩვეულებრივი ელექტროსადგურებია.

— რაო, ელექტროსადგურები?

ვალერიმ მანქანა შემოაბრუნა და ნელა იწყო ქვევით დაშვება.

— რას აკეთებთ? — გახედა კადილამ.

— ნუ ღელავთ, ერთ საპატიო წრეს დავარტყამ. ასეთი ელექტროსადგურები ჯერჯერობით არც თვალით მინახავს და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც დამსიზმრებია. თქვენთან, ანდრო, იგოეთში, როგორაა საქმე, ასეთი რამ ჯერ არ აგიშენებიათ?

ანდრომ არაფერი თქვა. სამაგიეროდ, კადილამ განაგრძო:

— ამიტები ელექტროსადგურებს წყალქვეშა დინებებზე აშენებენ. ამ რაიონში დინება დასავლეთიდან მოდის. საკმაოდ მძლავრი დინებაა. გაიხედე, ყოველ ბორცვს დასავლეთის მხარეს გვირაბი აქვს. დინება სწორედ ამ გვირაბში იჭრება და მოძრაობაში მოჰყავს ტურბინები. ჩვენი და თქვენი ელექტროსადგურები თითქმის ერთნაირი პრინციპით მუშაობენ.

— დიდი ძაბვის სადგურებს თუ აშენებთ?

— რასაკვირველია, თუ დინება ამის საშუალებას იძლევა, ყოველთვის ვცდილობთ, სადგურის სიმძლავრე გავზარდოთ. მეტ შემთხვევაში ამას ვახერხებთ. ძალიან ბევრი სადგური იმუშავებს მილიონზე მეტ კილოვატ საათს.

— მომხმარებელი ბევრი გყავთ?

— მომხმარებელიც ბლომადაა. ელექტროენერგიის საკმაოდ დიდი ნაწილი განათებას ხმარდება, მერე ქარხნები, მოსახლეობა. ასე რომ, ყოველწლიურად ახალ-ახალი ელექტროსადგურების აშენება გვიწევს.

თქვენ ამ მხრივ უკეთესად გაქვთ საქმე. დღისით მაინც არ გჭირდებათ ქუჩების განათებაზე ზრუნვა, მზე მოსულა თქვენს დასახმარებლად. ჩვენთან კი, იცით, რამდენი ენერგია ჭირდება წყალქვეშ ქუჩების განათებას.

— მე პროფესიით ელექტრომექანიკოსი ვარ, — გაისმა ვიტალის ხმა, — ელექტროობაში, მგონი, ცოტა რამ გამეგება, ქუჩების განათებაზე ამიტები ალბათ ათჯერ უფრო მეტ ენერგიას ხარჯავთ, ვინემ ადამიანები. მგონი, ამაში არ უნდა ვცდებოდე.

— ვიტალი სწორს ამბობს. ათჯერ უფრო მეტ ენერგიას ვხარჯავთ მეურნეობის განათებაზე, ვინემ თქვენ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვართ, მაგრამ ეს მძლავრი დინებები ძალიან გვშველის, იაფი ენერგიის აურაცხელი მარაგი გვაქვს. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, ელექტროენერგიის მარაგით ჩვენ გაცილებით უფრო მდიდრები ვართ.

— გეთანხმებით, — გაისმა ისევ ვიტალის ხმა, — თქვენი

იაფი ენერგიის მარაგი თითქმის ამოუწურავია. ეს დალოცვილი დინება ყველგანაა. ზოგან წყლმა მიდის და ზოგან ფეხქვეშ აშენეთ ელექტროსადგურები და იაფი ენერგიაც ყოველთვის თავზესაყრელად გექნებათ.

კადილამ გაიცინა.

— ვაშენებთ, მაგრამ ელექტროსადგურის გამართვა არც ისე ადვილია, წყლის ქვეშ პატარა შენობის დადგმაც კი დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. ამიტები რომ ცოტა ზარმაცნი ყოფილიყვნენ, მტრისას, აქამდე მოგვსპობდა სტიქია, ჩვენ თითოეული ლუკმა თაკარა ცეცხლიდან გამოგვაქვს.

როგორც თქვენთან, ჩვენთანაც ყოველ ეპოქას თავისი ხელწერა აქვს. ახლა, ამ წუთში კი ამიტები ხმელეთური ცხოვრებისაკენ ისწრაფვიან.

— როგორ გავიგოთ ეს? — ჰკითხა ნუგზარმა.

კადილა ისევ კაბინების გამყოფი მინისაკენ შებრუნდა.

— უბრალოდ, დოქტორმა კილამ რომ ფილტვების ფუნქციერება დაიწყო, უამრავი მსურველი გამოჩნდა, იცხოვროს ადამიანურად — სუფთა ჰაერით. მათ გაიკეთეს ოპერაცია, მაგრამ გამოირკვა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით მზად, ცხოვრების ხმელეთური პირობები შეგვექმნა ასიათასობით იმ ამიტისათვის, რომელთაც გაადამიანება ისურვეს.

დაიწყო ჟანგბადიანი ქალაქების მშენებლობა. რამდენიმე ასეთი ქალაქი უკვე აშენდა. ზოგსაც ახლა ვაშენებთ, მაგრამ ასევე სწრაფად იზრდება გაადამიანებულთა რიცხვიც. ერთი სიტყვით, წყალში ცხოვრებისაგან გაქცევამ ძალიან დიდი პრობლემები წარმოშვა, აქედან ზოგი გადავჭერით; ზოგსაც ახლა ვჭრით. ასეა ცხოვრება — სიცოცხლე ბრძოლაა.

— რატომ აიღეთ ამიტების „გახმელეთების“ კურსი. განა ცუდი იყო, გეცხოვრათ ისე, როგორც თქვენი წინაპრები ცხოვრობდნენ? — თქვა ვალერიმ.

— როგორც ვიცი, თქვენი წინაპრები ცხენების ეტლითა და ხარის ურმით დადიოდნენ.

— სწორია, — მაშინვე დაეთანხმა ვალერი.

— ჩვენი წინაპრები კი ეტლში დელფინებს აბამდნენ და ისე დაცურავდნენ. ახლა კიბანი გვაქვს, გვაქვს მატარებელი და კიდევ ტრანსპორტის სხვა მრავალი საშუალება. განა ვინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეს დაებადება აზრი, კვლავ დაუბრუნდეს დელფინების ეტლს.

ხომ ვთქვი, ყოველ ეპოქას თავისი ხელწერა აქვს-მეთქი. პროგრესი სულ სხვადასხვა სახისაა. რასაკვირველია, სჯობია იარო ჟანგბადიან სივრცეში, დაიძინო მშრალ ლოგინში, ტანსაცმელიც მშრალი გეცვას, ვინემ ყოველთვის წყალში ცურავდე, როგორც თევზი. სწორედ ამიტომ, რაც დრო გადის, სულ მეტი ამიტი იკეთებს ფილტვების ფუნქციერებას და ოპერაციის შემდეგ ცვლის ცხოვრების წესს. ჩვენ ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად ერთმანეთს შევუხამოთ წყლისა და ხმელეთის ცხოვრება. ამის სინთეზი სწორედ ამიხოტია.

ამ დროს ნუგზარმა იკითხა: არ შეიძლება დოქტორ კილას კლინიკა ვინახულოთო?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. მხოლოდ საჭიროა, ამის თაობაზე წინასწარ დავურეკო კილას. ის ყოველდღიურად ძალიან ბევრ ოპერაციას აკეთებს და ჩვენთვის დრო საგანგებოდ უნდა გამოძებნოს.

თუ კილას კლინიკაში მოვხვდით, შეგიძლიათ ნახოთ დოქტორის პაციენტებიც.

— ვინ არის ეს ხალხი? — იკითხა ვიტალიმ.

— ძირითადად ახალგაზრდობაა, თხუთმეტი წლის ასაკიდან ოცდახუთამდე. თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი ეს თაობაა.

— ახალგაზრდობა ყველგან ერთნაირია. ჩქარობენ, მთელი გულით უტევენ, ცეცხლს ანთებენ, რას იზამთ, ძალა ერჩით. მერე წლებს თავისი მიაქვს და ეს გავარვარებული ვულკანი ნელდება.

— თავის დროზე ჩვენც ასეთი ვიყავით, ალბათ, კადილა!

კადილა შემობრუნდა და ნუგზარს თვალი გაუსწორა.

— ალბათ, ასეა.

— თუმცა თქვენ შედარებით ჯერ კიდევ ნორჩი გეთქმით, მთელი ცხოვრება წინ გაქვთ.

— არა მგონია, წლებში დიდი სხვაობა იყოს.

— ქალებს ასაკს არ ეკითხებიან.

ნუგზარმა გაიცინა და შუბლი გამყოფ მინაზე მიადო.

კადილა შებრუნდა და ყელზე შემოხვეული თმის კულულები გაისწორა.

ქვევით წყალქვეშა გვირაბის კიდევ რამდენიმე ხაზი გამოჩნდა. ზოგან ეს ხაზები ერთმანეთს კვეთდნენ, ზოგან კიდევ გვერდი-გვერდ მიუყვებოდნენ. შემდეგ წინ ერთბაშად გიგანტური შენობები აღიმართა. შენობების ფართო სარკმლებიდან ისეთი მკვეთრი წითელი შუქი იღვრებოდა, გეგონებოდათ, იქაურობას ცეცხლი უკიდიაო.

კადილა ისევ შემობრუნდა, ორივე ხელით წყალში აცურებული თმები დაილაგა და მერე მისი ხმაც გაისმა;

— აქ მეტალურგიული ქარხანაა, თუჯსა და ფოლადს ვადნობთ.

— რკინა და ქვანახშირი ბლომად გაქვთ?—იკითხა ანდრომ.

— სპეციალისტები ვარაუდობენ, ასჯერ მეტი მაინც გვექნება, ვინემ თქვენ.

— ჩვენი მეცნიერებიც დაახლოებით ასევე თვლიან, — თქვა ნუგზარმა.

— არა, ნედლეული არ გვიჭირს.

ნუგზარი კაბინების გამყოფი მინისაკენ გადაიხარა.

— თუ შენობების მოცულობით ვივარაუდებთ, მეტალურგიული ქარხნებიც საკმაოდ დიდი გქონიათ.

ამ დროს ვალერი ჩაერთო.

— რახანია მოვდივართ და გზაზე ერთი მანქანაც არ შეგვხვედრია. რას უნდა მივაწეროთ ეს?

— ჯერ ერთი, დიდ ტრასაზე ამიტები უფრო მატარებელს ეტანებიან. მეორეც კიდევ ისა, რომ, როგორც გითხარით, ჩვენ ოფიციალურ გზას კი არა, ბილიკებს მოვყვებით.

— ძალიან ეგზოტიკური ბილიკებია, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

კადილას აღარაფერი უთქვამს.

რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო მეტი და მეტი შენობები ხვდებოდათ. ყველა შენობას წინ მომცრო სკვერი ჰქონდა. მალე ფართო ქუჩებიც გამოჩნდა. ქუჩებში ხანდახან მანქანებიც გაიქროლებდნენ ხოლმე.

— ეს უკვე ამიხოტის გარეუბანია, — სამრეწველო რაიონი, — თქვა კადილამ, — ამ შენობებში ძირითადად ფაბრიკა-ქარხნებია განლაგებული. ახლა სამუშაო საათია და ქუჩებიც ამიტომაა დაცარიელებული. შესვენებაზე კი, მტრისას, მანქანას გვერდს ვერ აუვლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისევე როგორც ჩვენთან, — ჩაიბუბუნა ანდრომ.

შემდეგ ტყის დიდი ზოლი დაიწყო. მანქანა მაღალი, ლამაზად აწვართული ხეების თავზე მიცურავდა. ხეთა მწვანე, ქოჩორა კენწეროები ტალღებივით ხან აღიმართებოდნენ, ხან კიდევ გაწვებოდნენ.

ამ ლამაზ ხეივანში საკმაოდ დიდხანს მიდიოდნენ. ვალერი ისე გაერთო, კიბანს პირდაპირ მცენარეთა მონარნარე ტალღებში მიაქროლებდა. კადილას გაეღიმა და უთხრა: ასე პოეტურად არასოდეს მივლიაო.

ვალერის ნათქვამი მოეწონა და თქვა, მაშინ ამ რეისს პოეტური რეისი დავარქვათო. კადილამ, თქვენი ნება იყოსო.

ტყე ისევე ანაზდად შეწყდა, როგორც გამოჩნდა. ახლა წინ გაჩახჩახებულმა ქუჩამ გაშალა მხრები. ქუჩას ორსავე მხარეს ტანკენარ მწვანე ხეთა გრძელი რიგი გასდევდა. ამ ლამაზი ხეივნის იქით ლარივით გაჭიმულ სწორ რიგში იდგნენ მომხიბვლელი შენობები. ათი თერთმეტსართულიანი სახლები პროექტორებს ისე გაეჩახჩახებინათ, იფიქრებდით, ოკეანის ფსკერზე კი არა, რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში ვიმყოფებითო.

ტყვეებს ძალიან გაუკვირდათ, რომ ამიხოტის ამ შენობებს განიერი ფანჯრები ჰქონდათ. ანდრომ კიდევაც უჩურჩულა ვიტალის: ნახე, როგორც იყო ფანჯრები დავინახეო.

ეს ჩურჩული კადილამაც გაიგონა. მაშინვე გაისმა მისი ხმა:

— ყველა საცხოვრებელ სახლს ჩვენთან ფანჯარა აქვს. ფანჯრები უკეთდება აგრეთვე ზოგიერთი დაწესებულების შენობასაც. სახლი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, საცხოვრებელი შენობა არ არის. იგი უფრო სხვა მიზნით აშენდა. ამიტომ არა აქვს ღია ფანჯრები, სამაგიეროდ აღჭურვილია რამდენიმე მინის კედლით. ერთი ასეთი კედელი თქვენს გასართობ ოთახშიცაა.

მერე კადილა ვალერის მიუბრუნდა.

— ვალერი, რასაკვირველია, საჭეს განდობთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, ავტოინსპექტორები ამიხოტშიც არიან. რომ გამოგვიჭირონ, სერიოზულ სკანდალს ვერ გადავრჩებით. ახლა აჯობებს, საჭეს მე მივხედო.

— კი მაგრამ, ისინი როგორ გაიგებენ, რომ მე ვმართავ კიბანს ხომ სამართავი პულტი ორსავე მხარესა აქვს?

— გაიგებენ, თავად კიბანი ეტყვის. ეს ჭკვიანური მანქანა აჩვენებს, რომელი პულტი აძლევდა განკარგულებებს, მარცხენა თუ მარჯვენა.

— ახლა ყველაფერი გასაგებია, მანქანა უკვე თქვენს განკარგულებაშია, შეგიძლიათ მართოთ.

ვალერიმ საჭეს ხელი უშვა და მაშინვე ზევით აღმართა: მე ხელი დამიბანიაო, როგორც გინდოდეს, ისე ატარე ამიხოტის ქუჩებშიო.

ანდრომ ჩაილაპარაკა: ეს ალბათ ნამდვილად ამიხოტიაო.

— დიახ, ნამდვილად ამიხოტია, — გაისმა კადილას ხმა, — ხედავთ? პირდაპირ თექვსმეტსართულიანი შენობა დგას. ამ სახლში ჩვენი მეცნიერებათა აკადემიაა მოთავსებული. შენობას უკან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მთელი კომპლექსია განლაგებული. აკადემიის შენობა თქვენებური **გემის** **ყაიდაზეა** აგებული.

— მართლაც გემსა ჰგავს, რატომ გადაწყვიტეს ასე არქიტექტორებმა? — იკითხა ვალერიმ.

— იმიტომ, რომ წყალი განუწყვეტელ მოძრაობაშია. აქ, ამ ადგილებში, დინება დასავლეთიდან მოდის. დროთა განმავლობაში მას შეუძლია შეასუსტოს კედლის წინააღმდეგობა და ბოლოს დააქციოს კიდეც. ეს რომ არ მოხდეს, მაღალ შენობებს მახვილი ქიმით ვაპროექტებთ. შენობა ქიმით დგას დინებაში და არც ერთი კედელი არ გრძნობს წყლის დაწოლას. რაც არ უნდა ძლიერი იყოს დინება, ასეთ შენობას ვერასოდეს წააქცევს.

— ჭკვიანური ჩანაფიქრია, — გაიცინა ვალერიმ.

— ჭკუა იმიტომ გვაქვს, სტიქიას უნდა ვაჯობოთ. სხვათა შორის, ბევრ ასეთ დიდ შენობას საკუთარი ელექტროსადგური აქვს. დინება შედის შენობის ქვედა სართულში მოთავსებულ წყალსადენებში და მოძრაობაში მოჰყავს **ტურბინები.** ზოგი შენობა იმდენ ენერგიას იმუშავებს, მარტო თავის მოთხოვნილებებს კი არა, მეზობლებსაც არ წყვეტენ გულს, მასაც აძლევს ელექტროენერგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩინებულია, ჩინებული, — ვალერი აღტაცებას ვერ ფარავდა.

ამასობაში კიბანი სულ ქვევით და ქვევით დაეშვა. ანდრომ იკითხა: მიწაზე ხომ არ ვჯდებითო?

კადილამ იმ წუთში არ უპასუხა. მთელი ყურადღება საჭეზე ჰქონდა გადატანილი, როცა მანქანების მოზრდილ ჯგუფს გაცდნენ მხოლოდ მაშინ გაისმა კადილას ხმა.

— ახლა ჩვენ გვიარბისაკენ ვეშვებით, ჩვენი მეტროც ვნახოთ.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩვენებურ მეტროზე უკვე გქონდეთ წარმოდგენა, — უთხრა ვალერიმ.

— დიახ, რადიოინფორმაციისა და სატელევიზიო გადაცემების წყალობით ზოგადი წარმოდგენა მაქვს თქვენებურ მეტროზე. ვფიქრობ, პრინციპულად ჩვენი მეტროები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ოღონდ ჩვენ მეტროს ზედაპირზე ვაგებთ. ასე უფრო იაფი ჯდება, ვინემ ღრმა გვირაბების გაყვანისას. ასეთ მეტროზე ზევით შენობებს ვაგებთ. ამ მეთოდით შეიქმნა ამიხოტის მშრალი უბნები, ანუ ჟანგბადიანი ქალაქი. ვაშენებთ უფრო იაფად და მოხერხებულად.

მანქანა ახლა პატარა თვლებით პირდაპირ ქუჩაში მიგორავდა. შეიცვალა ვერტიკალური მოძრაობის პრინციპი, პრიორიტეტი ჰორიზონტალურმა მოძრაობამ აღიდგინა.

ქუჩა საკმაოდ ფართო იყო, მაგრამ ტრანსპორტი უფრო მეტი აღმოჩნდა და მანქანების მწკრივი ველის ზანტ მდინარესავით უზარმაზარი გვირაბისაკენ მიიზმორებოდა, რომელსაც ხახა სულ ასიოდე მეტრის დაშორებით გაეხსნა და ყოველ წამს მანქანათა რვა რიგს ნთქავდა.

ვალერიმ ერთბაშად რაღაც უცნაური აღტაცება იგრძნო. ეს ფართო ქუჩა, მანქანათა გაშლილი რიგი, მაღალი შენობები მის სულში შეიჭრა, როგორც ხმელეთისეული სამყარო, საკუთარი და თბილი, ასე ახლობელი...

თავი კაბინების გამყოფი მინისაკენ შეაბრუნა და ზევით აღმართული ცერა თითი ზედ მინაზე მიაჭყლიტა.

— ბიჭებო, კარგი ქალაქია, არა, ამიხოტი?

ვალერის შეიძლება უფრო სხვა რამის თქმა სურდა, მაგრამ ეს სიტყვები მისდაუნებლიედ გაუფრინდა.

„ბიჭებმა“ ხმამაღლა გაიცინეს.

— კარგია, მაგრამ თბილისი მაინც ვერ მიედრება, — ჩაიროხროხა გაბოშვილმა.

— ახლა როგორ მომინდა თბილისის ქუჩებში გასეირნება, — ვალერი გამყოფ მინას მიაწვა, — მთელ დარჩენილ სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ერთხელ გამასეირნა ჩემს რუსთაველზე. ეტყობა, არც ამიხოტია დასაწუნი ქალაქი, მაგრამ საკუთარი პერანგი ყოველთვის უფრო ახლოა სხეულთან.

ნუგზარს თავი ჩაერგო, მზერა კიბანის გამჭვირვალე იატაკისათვის მიეპყრო, ყველაფრიდან ჩანდა, ამ ნაღვლიან საუბარში მონაწილეობის მიღებას რომ არ აპირებდა. მანქანა რომ გვირაბის ხახაში შთაინთქა, თავი არც მაშინ აუწევია. ისევ ისე, წინანდებურად იატაკს ჩაჰყურებდა. მერე ერთბაშად უშველებელ დარბაზში აღმოჩნდნენ და მხოლოდ მაშინ შეიშმუშნა, თავი ისე გააქნია, თითქოსდა მოზღვავებული ფიქრების გაფანტვა სურსო.

— მოვედით? — იკითხა ამ სამყაროში შემობრუნებულმა.

— სადღაც კი მოვედით და... — ანდრო გაბოშვილი შეიშმუშნა, — მგონი, სახლში შემოვედით. კარგი საქმეა, ღმერთმანი, მანქანები შედიან შენობებში. უკეთესს ვერც ინატრებს კაცი.

— სახლი კი არა, მგონი მოედანია, — ჩაილაპარაკა შლიახოვმა და დაბუჟებული ფეხები გაშალა.

კიბანი ახლა ძალიან ნელა მიდიოდა, კი არ მიდიოდა, მიღოღავდა. წინ მოედანი ჩანდა, წყლის სამყაროში შექმნილი საკმაოდ სრული მოედანი. მოედანზე შუქი ზემოდანაც და ქვემოდანაც იღვრებოდა, გაჩახჩახებული გახლდათ. მარჯვნივ და მარცხნივ მანქანების ჭედვა იყო. ყველა მანქანა მხოლოდ ერთი მიმართულებით, პირდაპირ მიდიოდა. პირდაპირ კი უზარმაზარი მრგვალი კედელი ჩანდა. კედელი მოედნისაკენ იყო გამობურცული. ამ გამობურცულ ნაწილში გვირაბების მთელ კომპლექსს დაეღო ხახა.

მანქანების უშველებელი მდინარე სწორედ ამ გვირაბებისაკენ მიიკლაკნებოდა და მერე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

არც მათი კიბანი ყოფილა გამონაკლისი, ნელა შეცურდა

ერთ-ერთ გვირაბში და პატარა ოთახში თუ გარაჟში აღმოჩ-
ჩნდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადილამ ძრავა გამორთო და ვალერის მიუბრუნდა.

— რამდენიმე წუთში წყალი გაისრუტება. ჩვენ ჟანგბადის სამყაროში დავრჩებით. შეგიძლიათ, მაგ საფრთხობელას შეელიოთ.

ვალერიმ გაიცინა.

— ძალიან მიჭირს ამის დათმობა.

— წეღან ისეთი გატაცებით იგონებდით თქვენი ქვეყნის დედაქალაქს, რომ არა მგონია, გაგიჭირდეთ მაგ ნიღბის დათმობა. თქვენმა სიტყვებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნეს, ძნელია, შეელიო იმას, რაც დაბადებიდან შენ გეკუთვნის, შენს სულში ზის და გონებაშიც შენად ჩაკინძულა.

— სრული ჭეშმარიტებაა. დავინახე თუ არა ამიხოტი, რაღაც ძალამ თბილად დამიარა მთელს სხეულში, ამიტაცა. მეგონა; აქ კი არა, მშობლიური ქალაქის ქუჩებში მივდიოდით. ეჰ, ღმერთო... ნიღაბი აქ დავტოვო?

— ჰო, აქ დატოვე.

ვალერიმ მძლავრად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი და კაბინის კარი გამოაღო.

წყალი ჯერ მთლიანად არ იყო გასრუტული, კაბინის პატარა თვლები კვლავ კრიალა წყალში იდგნენ. მძლავრი გამტარები ხმაურობდნენ, ჩხრიალით ისრუტავდნენ ზამბარასავით დახვეულ ჭავლებს.

ვალერი დაელოდა და როცა უკანასკნელმა ნაკადმაც ჩაირაკრაკა შპიგატში, მხოლოდ მაშინ დადგა ფეხი მოლიპულ იატაკზე.

— ეჰეი, ძმებო, გამოდით! ჟანგბადი ბლომადაა. შესძახა და გაიარა.

ის „ძმებიც“ რომ გამოვიდნენ კაბინიდან, მაშინ მოიკითხა კადილა. კადილა კი არ ჩანდა. სამართავი კაბინის კარი გამოიღო და ამიტი ქალიშვილი ისევ იქ იხილა, თავის სკამზე მჯდომი.

— აქ რას აკეთებთ, არ გადმოდიხართ?

— ვაპირებ, მაგრამ ეს ოხერი აპარატი კარგად ვერ მოვირგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგეხმარებით.

— მართლაცდა დახმარება მჭირდება.

კადილა შებრუნდა. ვალერის ზურგი მიუშვირა.

— აბა, ვალერი, სცადეთ. თქვენ ტექნიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული პიროვნება ბრძანდებით. სცადეთ, მარჯვენა მხარეს ჭრილია. ამ ჭრილში უნდა ჩაჯდეს ელასტიკური ენა, რომელიც აპარატის მარცხენა მხარის ნაწილზეა დამაგრებული. იპოვეთ?

— ვიპოვე, მოითმინეთ, რაღაც ენას უჭირს ჭრილში შესვლა. ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ.

ვალერი უცებ შეცბა, კადილას თავზე ახალი ნაჭრილობევი აჩნდა.

როგორც იყო, სამაგრის ენა ჭრილში შეაცურა და ბუდეში ჩასვა.

კადილამ აპარატი მოირგო და შემობრუნდა, ვალერის არეულ თვალებს რომ წააწყდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— თქვენ ალბათ ჩემი ჭრილობა ნახეთ? ესეც იმათი დამსახურებაა.

ვალერი, რასაკვირველია, მიხვდა, ქალიშვილი ვისზედაც ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ჩათვალა, მეტი დაკონკრეტებაა საჭიროო.

— ვინ იმათი?

— ტერორისტების. ჩვენს სახლსაც დაესხნენ...

— ააა, გასაგებია.

ვალერიმ თავი დაიქნია და კაბინიდან ჩამოვიდა.

კადილა მეორე მხრიდან გადმოვიდა, როცა ტყვეების ჯგუფს შეუერთდა, ნუგზარს უთხრა:

— ჩვენ როლებს ვცვლით, ხან თქვენ ხმარობთ სასუნთქ აპარატს, ხან კიდევ მე. ხედავთ, მაინც დიდი განსხვავებაა ჩვენს შორის.

— მიუხედავად ამისა, ერთმანეთს მაინც ვუგებთ, ეს კი მთავარია.

— იმიტომ, რომ ორთავენი ადამიანთა მოდგმისანი ვართ. ალბათ, ერთი საერთო წინაპარი გვყავდა, ორი განუყრელი დიდან, ერთმა ხმელეთი აირჩია საცხოვრებლად, მეორემ —

ოკეანე. გავიდა უამრავი საუკუნე და აი, მათი ნაშიერნი ერთ-მანეთს ვხვდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარკს ვუხდით ორივე დას, ხან ხმელეთურად ვცხოვრობთ, ხანაც თევზივით. ასე არ არის?

— სწორედ ასეა, — გაიცინა კადილამ, — ყველაზე უფრო მომაბეზრებლად ის პროცესი მიმაჩნია, როცა წყლის სამყაროში გადადიხარ, ანდა პირუკუ. ერთიც და მეორეც მღლის, ცოტას ვნერვიულობ კიდეც, ალბათ ამიტომ იყო ახლაც, აპარატი რომ ვერ მოვირგე. ვალერი რომ არა, ვინ იცის, რამდენს ვიწვალებდი.

კადილამ თმებზე ჩამოისვა ხელი.

— მაპატიეთ ნუგზარ, მაგრამ ჩვენთან ერთი სამყაროდან მეორეში რომ შედიხარ, ქალის ტუალეტი თმის ჩამოწურვით იწყება. რაც არ უნდა ზრდილობიანი იყო, ამ პროცესს ვერსად გაექცევი.

— რასა ბრძანებთ, გაიმშრალეთ. აქ, სხვათა შორის, ცივა კიდეც.

ნუგზარმა კადილას მკლავზე აშლილ ბუსუსებს შეავლო თვალი.

— აქ მართლაც ცივა, მაგრამ არა უშავს, მალე თბილ გარემოში ამოვყოფთ თავს. თქვენ მარჯვენა კარიდან გახვალთ. იქ მოხუცი კელნერი დგას. მას უთხარით, რა ზომის ტანსაცმელი გჭირდებათ და შეგირჩევთ. სანამ კელნერი ამ საქმეს მოაგვარებდეს, იბანავეთ. მართალია, შინ კარგი აბაზანა გაქვთ, მაგრამ ახალ სამყაროში მოგზაურობა კარგი შხაპის შემდეგ უფრო სასიამოვნოა.

ერთი სიტყვით, როცა ყველაფერს მორჩებით, კელნერი გამოგიყვანთ იმ ოთახში, სადაც მე უნდა შეგხვდეთ. ნუ იჩქარებთ, ყველაფერს მოვასწრებთ, მით უმეტეს, ამაღამ ამიხოტში მოგვიწევს ღამის გათევა.

— აქ უნდა გავათიოთ? სასიამოვნოა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

ნუგზარმა კი იკითხა: კელნერმა ქართული თუ იცისო?

— მთლად კარგი ქართულით არ ლაპარაკობს, მაგრამ თქვენ რომ გაგაგებინოთ, იმდენს მოახერხებს.

— ყველაფერი გარკვეულია, ჩვენ წავედით.

ნუგზარი წინ გაუძღვა ოთხეულს. წინკარში შევიდნენ თუ არა, მაშინვე მოესმათ ქართულად ნათქვამი „გამარჯობათ“. ერთი გალეული მოხუცი იდგა. ნაღვლიანი, დაღლილი სახე ჰქონდა, კოხტა, ბებრული ცხვირის კეხზე ოქროს სათვალე ჰქონდა დამაგრებული, ისე იყურებოდა, გეგონებოდათ, საცაა უნდა აფლუკუნდესო. საოცარი ის იყო მხოლოდ, ორ ჩხირადქცეულ ფეხზე ყანჩასავით იდგა და ცრემლები კი არ სდიოდა.

შეხედეს და... მოხუცმა ჩაიჩიფჩიფა, რა ფერის კოსტიუმს ისურვებდითო. ხელი დაბალ მაგიდაზე მოაფათურა, რაღაც ლურჯი, ჯერ კიდევ გაუკეცავი ქაღალდი იპოვა. ცახცახით აიღო და წინ მდგომ ვალერის მიაწოდა.

ვალერის ქაღალდზე არც კი დაუხედავს, ისე გადააწოდა ნუგზარს.

ნუგზარმა კი ჩაიკითხა.

„მეგობრებო, აირჩიეთ ფერი და იქვე ზომაც მიაწერეთ“, შემდეგ ფერები იყო ჩამოთვლილი:

„წითელი, ლურჯი, შავი, ყვითელი, ყავისფერი, თეთრი, ნაცრისფერი“.

— აირჩიეთ და მიაწერეთ თქვენი ზომა, — თქვა ნუგზარმა და ეს უცნაური „მენიუ“ ისევ ვალერის დაუბრუნა.

ამ დროს ვალერის იმ ბერიკაცმა თეთრი ფანქარიც მიაწოდა.

ვალერი ნაცრისფერზე შეჩერდა და იქვე 48/3 ზომაც მიუწერა. ფარატინა, ლურჯი ქაღალდი ახლა ვიტალის ხელში აღმოჩნდა და მან შავი ფერი აირჩია. ანდრო და ნუგზარი კი ყავისფერზე შეჩერდნენ.

მოხუცმა ის ლურჯი ქაღალდი გამოართვა, დიდი მადლობა გადაიხადა და სასიამოვნო ბანაობა უსურვა ოთხივეს.

— საით წავიდეთ? — ჰკითხა ვალერიმ.

მოხუცმა აცახცახებული ხელი პირდაპირ კარისაკენ გაიშვირა.

ეს კარიც განვლეს და წინ პირველად შეხვედრილი მოხუცივით გალეული პაპა შემოხვდათ. ეს ბერიკაცი უფრო რიხიანად გამოიყურებოდა. ჯარისკაცივით გაჭიმულიყო. არც სასუნთქი აპარატი ეკეთა და არც ფეხთ ეცვა ჭრელჭრელა

ფლოსტები, ისეთი სასაცილო იყო, ვალერიმ ღიმილი ვერ შეიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ჩვენც მოვედით, საყვარელო პაპავ.

მოხუცმა კიდევ უფრო გახსნა სახე და ხელები ისე გაიჭნია, თითქოსდა ვალერის უთხრა: რა გიყო, ძმობილო, შენი ენა არ ვიცი.

— აქ რა უნდა გავაკეთოთ, კეთილო პაპავ, ქადას მოგვართმევენ?

სწორედ ამ დროს იმ კაფანდარამ შემოიჭვრიტა, პირველად რომ მიეგებათ და ჩლიფინით უთხრა, რაც უნდა გაეკეთებინათ.

რაც ეცვათ, ისიც გაიძრეს, პატარა ყუთებში ჩაალაგეს და დედიშობილა ამიხოტის სამოქალაქო აბანოში შევიდნენ.

საბანაო ოთახს სულ ქათქათი გაუდიოდა. საკმაოდ მოზრდილი იყო. თავისუფლად იტევდა ოქროს ორ დიდ აბაზანას, შხაპს და კიდევ ორ კარადას, რომელთა უჯრებშიც ბასილაიამ კბილის ფხვნილი, ჯაგრისები და ოთხი წყვილი თეთრეული აღმოაჩინა. ამას გარდა, შესასვლელთან სკამზე ოთხი მოთელილი განიერი პირსახოციც იდო.

პირველად ვერ მიხვდნენ, თუ რა ნობათი ეწყო იმ გვაჯა სკამზე. ვალერის აქაც წასძლია სულმა და ტკბილი კვერებივით შეკეცილი პირსახოცები მაშინვე აბურდა. სანამ ის კარადების უჯრებს ამოწმებდა, ანდრომ ოქროს აბაზანის გვერდით ოქროსავე თეფშებზე დაწყობილი სამნაირი საპონი აღმოაჩინა.

ესეც ასეო, ჩაილაპარაკა და მაშინვე აბაზანაში ჩაკოტრიალდა. ცხელ წყალში კარგა ხანს ბურდღუნებდა იელის თაფლისაგან დამთვრალი დათვივით. როდის როდის ამოღოღდა და გასაპვნას შეუდგა.

მერე ვალერიმ თქვა: ღმერთის უსამართლობას აქაც ვხედავო, ხალხი თევზებად გაუჩენია და ოქროს აბაზანაც მისთვის მიუციაო. აქაოდა, პური შენა გაქვს და ქერიც შენაო. აბა, ეს რა სამართალიაო?

კიდევ ვინ რა თქვა, და ვინ რა... დროც გავიდა და ბანაობითაც გული იჯერეს. ერთი ხორხოცი მაშინ იყო, ვალერი რომ განიერ ქვედა საცვალში გაუჩინარდა.

— კაცი დავკარგეთო, — იყვირა ანდრომ.

მერე ეს დაკარგული კაცი საცვლის მარჯვენა ტოტიდან ზმორებით გამოძვრა და თქვა: ზეწრადაც გამომადგება და საბნადაც.

ისევ იმ კაფანდარამ შემოიჭვრიტა. მორჩითო? ნუგზარმა ყველაფერი აუხსნა და ააშენოს ღმერთმა, ხუთი წუთის შემდეგ ვალერის სარგო ლურჯი ტრუსი საბაზანოში შემოაპორწიალა.

ეს საქმე რომ დამთავრებულად დაიგულეს, წინკარში გამოვიდნენ. აქ ორივე მოხუცი ერთად იდგა და ქვეყნის ჭირზე ძალზე სიამტკბილურად საუბრობდნენ.

— აა, ბატონო, ინებეთ თქვენი კოსტიუმები, — თქვა იმ პირველმა, საიქიოს კართან რომ იყო უკვე მიჩანჩალებული. კოხტა, ლამაზად შეკერილი ჩვეულებრივი ჩვენებური კოსტიუმები იყო. გულუხვ მასპინძლებს არც თეთრი პერანგი დავიწყებიათ და არც ჰალსტუხები. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით ელაგა დაბალ სკამებზე.

ვალერიმ ჩაიცვა თუ არა, გაიარ-გამოიარა. ასე კოხტად შეკერილი, იქაც არ მცმიაო, — ჩაილაპარაკა.

ის გალეული მოხუცი დიდი შებერტყილი ვინმე გახლდათ, ეს ასე ირაოდ ნასროლი სიტყვებიც კი გაიგონა. გაიგონა და არც პასუხი დაუგვიანებია.

— ბატონებო, ჩვენთან, ამიხოტში, თერძების აუგი ჯერ არავის უთქვამს.

მერე იმ მეორეს გადახედა და ამიტურად რაღაც უთხრა. მეორეს არც ქართულად და არც ამიტურად არაფერი უთქვამს, მაგრამ ჭაღარა თავი კი დაიქნია, რაც კინეტიკურ ენაზე თანხმობას ნიშნავს. თერძების შესახებ დავა ამით დამთავრდა. კაფანდარა წინ წაღოღიალდა და ტყვეებს ანიშნა, გამომყევითო.

ისინიც მიჰყვნენ. ძალზე ვიწრო დერეფანი გაიარეს და ფართო დარბაზში შევიდნენ. აქ კადილა თავის კიბანთან იდგა. ტყვეებს რომ შეხედა, შეკრთა.

— როგორ ცვლის ტანსაცმელი ადამიანს, უცბად რომ შემოგხედეთ, ვერც კი გიცანით, ვიფიქრე, ეს ხმელეთის ხალხი აქ საიდან გაჩნდა-მეთქი.

კადილას ახლა წითელი განიერი შარვალი ეცვა. ფეხები ისევ რბილ ფლოსტებში გაეყარა. მხრებზე ხასხასა ლურჯი ჟაკეტი მოესხა. თმის გაშრობა უკვე მოესწრო, შავად უბზინავდა. სასუნთქი აპარატის მინის იქით, სიმინდის მარცვლებივით ჩაწიკწიკებული მისი თეთრი კბილები ჩანდა.

— ახლა თქვენც ხმელეთის მცხოვრებს ჰგავხართ, — უთხრა ნუგზარმა.

— ვითომ?

— დიახ, ნამდვილად, — ნუგზარის ნათქვამს კვერი დაუკრა ვალერიმ. მერე მანქანას შეხედა.

— კვლავ კიბანი უნდა მოგვემსახუროს?

— როგორც გნებავთ; გინდათ, ფეხით გავიაროთ, გინდათ მანქანით, კიბანი ერთნაირად ეწევა, როგორც წყალში, ასევე ხმელეთზე.

— ეს ღირსება ამ მანქანას კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს თვალში. — თქვა ნუგზარმა.

— მაგრამ ახლა, მგონი, აჯობებს, უარი ვთქვათ მანქანაზე და ისე გავიაროთ ფეხით ამ ქუჩაზე, როგორც ოდესღაც რუსთაველზე გაგვივლია.

ანდრო გაბოშვილმა ღიმილით გადახედა ნუგზარს.

— ასე არ არის, კაპიტანო?

— სწორედ რომ ასეა. ანდრო მართალს ამბობს, ფეხით გავიაროთ.

კადილა წინ წავიდა, შუა გადაჭრა ეს ფართო დარბაზი და საკმაოდ ვიწრო გასასვლელში შევიდნენ. ამ გასასვლელს მწვანე კედლები ჰქონდა. განათება კი ჭერში იყო მოწყობილი.

გათავდა თუ არა ეს დერეფანი, განიერ ქუჩაში გამოვიდნენ. ქუჩას ორივე მხარეს ორი სამსართულიანი სახლების გრძელი რიგი გასდევდა. შენობები ერთმანეთზე უკეთესი, კოპწია და ლამაზი იყო. ვიტალი შლიახოვმა თავი ვეღარ შეიკავა.

— კადილა, პირდაპირ მოხიბლული ვარ თქვენი არქიტექტორების გემოვნებით. ყოველ შენობაში ამიტის დიდი ნიჭი და სიფაქიზე იგრძნობა. ჯადოსნური სახლები გაქვთ.

— არქიტექტორებს არ ვემდურით. გადავცემ თქვენს აღფრთოვანებას, მათ ეს ძალიან გაუხარდებათ.

— დიდად დამავალებთ.

შენობებს ზემოთ ლურჯი, ხასხასა ცა ჩანდა. ციდან კი უხვად იღვრებოდა მზის სხივები.

ნუგზარი შეჩერდა, ყურადღებით შეათვალიერა ქუჩის ორივე მხარე. დიდხანს, დიდხანს ათვალიერებდა. მისი გაოცებული თვალების მოძრაობას კადილა ქურდულად ზვერავდა. მერე გულმა აღარ მოუთმინა, ახლოს მივიდა.

— რაო, ნუგზარ, არ მოგწონს?

ნუგზარმა ქალიშვილს თვალი გაუსწორა.

— მითხარით, გეთაყვა, ეს ნამდვილი ცაა? ანდა როგორ მოახერხეთ სინამდვილესთან ასე ახლოს მისვლა.

კადილას კისკისი გაისმა.

— გშურთ ჩვენი? ძლივს რაღაც იმიტაცია შევქმენით. თქვენს ქვეყანას ასიათასჯერ უკეთესი ცა ხურავს. თანაც ნამდვილი, მზის სხივების ბარაქით სავსე.

ნუგზარი მას არ უსმენდა, გაოცებული ჭერში იყურებოდა.

— არა, ეს მართლაც დაუჯერებელია. ასე მგონია, რომელიმე კოხტა ქალაქის ქუჩებში დავეხეტები. ასე არაა, ბიჭებო?

— სწორედ რომ ასეა, — თქვა გაბოშვილმა, — ბიჭი ხარ და სხვანაირად იფიქრე. ქალაქია, არა?

ვალერის იდაყვი წაკრა. ვალერიმ გახედა და, ჰოო, უთხრა.

— ახლა ამაზე ვფიქრობ, რაოდენ დიდი შრომაა დახარჯული ამ ქალაქის აღორძინებაში. ბარაქალა თქვენ, თქვენს შრომას, ამიტებო!

ისე ხმამაღლა შესძახა ნუგზარმა, რომ ქუჩაში მიმავალი ორი გოგონა შედგა. თვალი შეავლეს ხმელეთურად გამოწყობილ ყმაწვილებს. კადილამ რაღაც უთხრა და კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობა გამოავლინეს. ბოლოს კი ორთავემ ერთად დაიხედა საათზე და თითქმის სირბილით წავიდნენ.

ქუჩაში ბევრი ამიტი იყო. უმრავლესობას სასუნთქი აპარატი არ ეკეთა. ყველა სადღაც გარბოდა. ერთად შექუჩებული ამიტები თვალითაც არავის დაუნახავს.

მოფუსფუსე ჭიანჭველებივით დაქროდნენ, შედიოდნენ შენობებში, გამოდიოდნენ, სწრაფად კვეთავდნენ ხალხით სავსე ქუჩებს. უმრავლესობას მსუბუქად ეცვა, ჩვეულებრივი ამიტური რეითუზი, მაგრამ ზოგჯერ ხმელეთურად გამოწყო-

ბილებიც გამოჩნდებოდნენ, მაშინ ნუგზარს დიდი სურვილი უჩნდებოდა, მისალმებოდა მათ: გამარჯობათ, დებო და ძმებო, ალბათ, ახლახანს გვეწვიეთ ამიხოტში. რა ამბებია იქ, ზემოთ, ჩვენთან? თუ არ გეჩქარებათ, ჩამოჯექით და ყველაფერი ჩაგვიკაკლეთ. არ გეჩქარებათ, მაშ, დაბრძანდით...

მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო. კოსტიუმიანები ზედაც არ უყურებდნენ ამიხოტის ქუჩებში მოხეტიალე ადამიანებს. მოახლოვდებოდნენ, ერთს გაკვირვებით შეავლებდნენ თვალს. თუ კარგად დააკვირდებოდით, მათ გაოცებულ გამოხედვაში მხოლოდ ამას ამოიკითხავდით: ერთი ამათ შეხედეთ, როგორ უსაქმურად დაყიალებენ, ნუთუ საქმე არა აქვთო...

გაივლიდნენ, ისევ მოუხედავდნენ ამ უსაქმურთა ლაშქარს, თავს გადააქნევდნენ და გარბოდნენ.

სულ მალე ეს ტემპი ინსტინქტურად მათაც გადაედოთ. ვალერიმ რომ გაიწია და ათიოდე მეტრით დაწინაურდა, ყველა აჰყვა მისი ფეხის ხმას. ვალერი ძალიან ჩქარობდა და კადილა იძულებული გახდა, დაეძახა, მანდ დაგველოდე, პარლამენტის შენობა დავათვალიეროთო.

ვალერიმ ჯერ უკან მოიხედა, მერე შეჩერდა და ხუთიოდე ამიტი იმ წუთში სახეში შეასკდა. ხუთივე აბუზღუნდა, ცხვირსახოცები ააფრიალეს და სახის მოწმენდას შეუდგნენ. ვალერი განზე გადგა, ბოდიშიო. მისი ნათქვამი რომ ვერ გაიგეს, კიდევ რაღაც ჩაიბუზღუნეს.

— დიდი ბოდიშიო, — ისევ უთხრა ვალერიმ. ამ დროს კადილაც მოვიდა და ვალერის ნათქვამი ხელმისაწვდომი გახადა. დაზარალებულთათვის. იმათ გაიღიმეს, თავიც კეთილად დაიქნიეს და ისევ მოცოცხეს.

ვალერიმ კი ჩაილაპარაკა: — კიდევ კარგი, რომ ამ სიმპათიურ ძიებში არც ერთი ტერორისტი არ აღმოჩნდა, თორემ ამ საგიჟეთში სიამოვნებით გამიპტყელებდა თავსაო.

კადილამ, რასაკვირველია, ყველაფერი გაიგონა და გაიცინა.

— ნუ გეშინია, ვალერი, ტერორისტები არც ასე თავისუფლად დადიან ამიხოტის ქუჩებში.

ვალერიმ კი თქვა: მადლობა ღმერთსაო.

ერთი სიტყვით, ამ პატარა ინციდენტის შემდეგ ზედ ბიადგნენ პარლამენტს.

ეს იყო სამსართულიანი, ძალზე მომხიბლავი შენობა. მეორე და მესამე სართული ზღაპრული ბროლის სასახლესავით ბრწყინავდა ლურჯად, მწვანედ და თეთრად.

გაოცებული იდგნენ. შეჰყურებდნენ ამ ულამაზეს ქმნილებას და უკვირდათ, ნუთუ ამიტთა გამრჯე ხელს შეეძლო ასეთი ჯადოსნური სასახლის წამომართვა.

კადილამ თქვა: ხომ არ წავიდეთო? ნუგზარი შეკრთა.

— განა შეიძლება გულცივად ჩაუაროთ გვერდით ამ სასწაულს? არ ვიცი, ამაზე უკეთეს ადგილას სად უნდა წავიდეთ!

— მოგწონთ?

— მოგვწონს! ეს ძალაინ ცოტაა, მისხალიც არაა იმისა, რაც შეიძლება ამ სასახლეზე ითქვას. მე არქიტექტურაში ავტორიტეტი არა ვარ, მაგრამ იმდენს კი ვგრძნობ, რა მოხიბლავს ადამიანის თვალს. გულწრფელად უნდა გითხრათ, ასეთი სილამაზე ჯერ არსად მინახავს. ნუთუ აღმოჩნდნენ ისეთი ამიტები, რომლებმაც ამ მშვენიერებას ცეცხლი წაუკიდეს! ეს ბარბაროსობაა.

— დიახ, აღმოჩნდნენ, მაგრამ იღბლად მაშინვე შეიტყვეს ხანძრის შესახებ. დაიწვა მხოლოდ სხდომათა დარბაზის იატაკი და სკამები. შენობა კი ხელუხლებელი დარჩა. ძალიან კარგად იმუშავა სახანძრო დაცვამაც.

ანდრო სულ ახლოს მივიდა კადილასთან. ქალიშვილი მორჩა თუ არა ნუგზართან საუბარს, ანდრომ ხელი პარლამენტის შენობისაკენ გაიშვირა.

— ქალბატონო კადილა...

— დიახ, გისმენთ, ანდრო.

— ერთი ეს მიბრძანეთ, რა მასალისაგანაა აშენებული ეს ბრწყინვალე სასახლე?

— ბროლი გახლავთ, ანდრო. თეთრი და ფერადი ბროლი.

— ბროლი!? — გაიკვირვა გაბოშვილმა.

— დიახ, ბროლი. თქვენთან არ იყენებენ ბროლს, როგორც საშენ მასალას?

ანდრომ მეგობრებს გადახედა.

— ასე გულუხვად ჯერ არა, ისე კი, ვაპირებთ რაღაც-რაღაცების აშენებას. ასე არაა, ამხანაგო ნუგზარ?

ნუგზარმა გაოგნებული მზერა ახლა ანდროს მიაპყრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქვი?

— ჩვენც ვაპირებთ ბროლისაგან რაღაცების აშენებას. ბროლის რამდენიმე შენობა დგას.

— ვიცი, — თქვა კადილამ, — ტელევიზორში მინახავს ეს სასახლე, სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენც ძალიან მოგვწონს. არქიტექტორებმა ჩინებულად გადაწყვიტეს ადგილისა და სივრცის, შენობის განლაგების პრობლემა.

— ბევრი გაქვთ ბროლის სასახლე?

— არა, თქვენი არ იყოს, ამ საქმეშიც ჩვენც ახლა ვიდგამთ ფეხს. ისე კი, ძალიან ლამაზი გამოდის ფერადი ბროლის შენობა.

— უდავოდ, — თქვა ნუგზარმა, ისე რომ, მზერა სასახლისათვის არ მოუშორებია.

ცოტა კიდევ რომ გაიარეს, ანდრომ თქვა: დავიღალეო.

კადილამ ეჭვით გადახედა.

— ასე უცბად?

— მართლაც დავიღალე, ქალბატონო კადილა. ჩვენ, მეზღვაურები, ნაოსნობის დროს საერთოდ ცოტას დავდივართ. გაიჭიმე, გამოიჭიმე, სულ ასი მეტრის სიგრძის გემზე ხარ. აბა, რამდენი უნდა გაიარო? არაფერი... ჰოდა, სიარულსაც გადაჩვევა სცოდნია. რეისის ბოლოს ძლივსღა დავაბოტებთ.

ანდრომ ჰალსტუხი ცოტათი მოუშვა.

ერთხელ რვათვიანი რეისიდან დავბრუნდი. პორტში ღამით შემოვედით. ცოლშვილი შესახვედრად ჩამოსულიყო, მაგრამ უთხრეს, ღამით პორტში არ შემოვლენო და დასასვენებლად სასტუმროში წასულიყვნენ.

ღამით მართლაც არ გვღებულობდა პორტი. აქაოდა კარგი ბიჭები ხართო, კარგადაც გიშრომიათო და სისხამზე ჯიგრიან შეხვედრასაც მოგიწყობთო.

გავიქაჩეთ, რის შეხვედრა, რა შეხვედრა, ცოლ-შვილის ნახვა გვენატრება-თქო. ჩვენიც გავიტანეთ, ღამით შემოვედით პორტში. გავიგე თუ არა, ჯალაბობა სასტუმროში რომ მელოდებოდა, მაშინვე იქით მოვუსვი. სასტუმრომდე ბარე ორი კილომეტრი იყო. გზის ნახევარიც ვერ გავიარე, ისეთი ქოშინი ამიტყდა, მეგონა, გული ამომივარდებოდა. შემოვბრუნდი და გემამდე ძლივს მივღოღდი. ასე დამემართა ახლაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრომ ჩაახველა. კადილამ თანაგრძნობით შეხედა.

— მართლა ასე ხდება?

— ანდრომ ყველას სათქმელი თქვა, მართალი გითხრათ, შეც მსურდა მეთქვა, ცოტა დავიღალე-მეთქი, მაგრამ ვერ გაგიბედეთ. — თქვა ნუგზარმა.

— კიბანი შორსაა, საქალაქო ტრანსპორტში ჩავსხდეთ, რა განსხვავებაა?

— ჩავსხდეთ, ოღონდ დასაჯდომი ადგილი იყოს და... — დაიკნავლა ვალერიმ.

— მაშ, მომყევით, ჩემო ჯარისკაცებო! წინ, გაჩერებისაკენ!

კადილა ნელა გაშორდა ბროლის სასახლეს და ტყვეებიც გაიყოლა. სწორედ სასახლის ბოლოში შავთეთრი ბოძი რომ იდგა, იქ შეჩერდა. ამ ლამაზ ბოძთან მხოლოდ ისინი აღმოჩნდნენ, მეტი არავინ. ქუჩა კი სავსე იყო ამიტებით. გარბოდნენ, რაღაცაზე ჩურჩულებდნენ და მაინც გარბოდნენ, ბროლის სასახლის კიბეებზე ადიოდნენ და მაინც გარბოდნენ... თითქოსდა ამ მილეთის ხალხს დავიწყებოდა, რომ ასეთ მშვენიერ ქუჩაში შეიძლება გაიარო უფრო წყნარად, გულდამშვიდებით, პატარა, მსუბუქი, მოკლე ნაბიჯებით...

სულ სამიოდე წუთში უზარმაზარი ლურჯი კიბანი მორახრახდა. გაჩერდა თუ არა, კადილამ ნუგზარსა და ვალერის ხელი ჩაავლო.

— აბა, ვიჩქაროთ, — დაიძახა და ქალიშვილისათვის სრულიად შეუფერებელი ძალით სტუმრები მანქანისაკენ გაიტაცა. მანქანა კი ერთი უშნოდ გაწოწიალებული ავტობუსი იყო: ქვემოთ სქელი თუნუქი და ზემოთ მინა. ისე ულიმღამო შთაბეჭდილებას ტოვებდა, იტყოდით, ამიტებს ასეთი რამ როგორ დაემართათ, ამ საცოდაობას ქუჩაში რომ უშვებენო.

ასე ჩანდა გარედან.

შიგ კი კოხტა სავარძლები იდგა. ამ სავარძლებში ყველა ასაკის ამიტი დასკუპებულიყო და ყოველი მათგანი, დაწყებული სულ პატარა ღლაპიდან თმადათოვლილ პაპამდე, რაღაცას ჩალიჩობდა. ზოგი გაზეთს ჩაჰკირკიტებდა, სხვას წიგნი გაეშალა მუხლისთავებზე, სათვალეს წმენდნენ, საათს ასწორებდნენ, ანდა ძალზე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ერთმანეთს საინტერესო ამბავს უყვებოდნენ.

სულ თავში კი, სადაც ცალკე კაბინაში წამოსკუპებული მძღოლის ბრგე ბეჭები ჩანდა, სპეციალურად დამზადებულ კათედრალზე მაკაოს ჯიშის დიდი თუთიყუში იჯდა. თუთიყუშს საკმაოდ სევდიანი სახე ჰქონდა და ყველაფერზე ეტყობოდა ვერაფრით ეგუებოდა ცხოვრების იმ ტემპს, ამიტებს რომ დაეწესებინათ. ზანტად გადასწევდა ხოლმე თავს, გვერდულად გახედავდა რომელიმე მგზავრს, ცოტას კიდეც გაივლიდა ხოლმე საპატიო კათედრალის ვიწრო ბაქანზე და შემდეგ ისევ საწყის პოზიციაზე ბრუნდებოდა.

ვალერის ეს ფრიად სერიოზული საზოგადოება მაინცდამაინც დიდ სიამეს ვერ გვრიდა და იმ აჭრელებულ ფრინველთან მაშინვე იპოვა საერთო ენა. ჯერ თვალი ჩაუკრა და ახლოს მიჩოჩდა. მერე თუთიყუშის წინ რომ ცარიელი სავარძელი იყო, იქ გადაბრძანდა და მაშინვე საჩვენებელი თითი გაუწოდა მაკაოს.

მაკაო ჯერ გაიფხორა, თავი გადააბრუნა და ისე შეხედა უცხო კაცს, აქაოდა ეს რა ჩიტი მოფრენილაო. ბოლოს დარწმუნდა, ვალერი ჩიტი რომ არ იყო და ერთი ისეთი დაიჩხავლა, ავტობუსის ბოლოში პუტკუნა ბერიკაცი რომ იჯდა და გაშლილ გაზეთში თვლემდა, შეხტა და გაზეთიც ხელიდან გაუვარდა. თუთიყუში კი ამასობაში ვალერის თითზე დიდის ამბით გადმობრძანდა და სამყაროს ახლა ამ კათედრალიდან გადახედა.

ის ბერიკაცი უკვე აღარ თვლემდა. გაზეთი მუხლისთავებზე დაედო, თვალები სასაცილოდ დაეკუსა და რაღაც უცნაური ღიმილით შეჰყურებდა ვალერისაც და ნოხივით აჭრელებულ იმ ფრინველსაც.

ნუგზარი კადილას გვერდით იჯდა და ახლა მკლავზე შეეხო.

— გამაგებინეთ, გეთაყვა, საიდან მოხვდა ამ გარემოში ეს საცოდავი თუთიყუში. მისი სტიქია ხომ მარადმწვანე მშრალი ტყეებია.

— მოხვდა. განა მარტო თქვენ გაქვთ უფლება დატკბეთ ხმელეთის მადლითა და ბარაქით. ჩვენც ვახერხებთ ხოლმე, ცოტა რამ წაგტაცოთ. დროდადრო ადამიანები ხომ იჭრებით ოკეანის სამყაროში, ამიტებიც აწყობენ ხოლმე ხმელეთის შეგრძნობის ცდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარით უფრო გარკვევით, პირდაპირ. ძალიან მიჭირს ამ ქარაგმებიდან ნათელი აზრის გამოტანა.

კადილამ გაიცინა.

— ნუთუ გაუგებრად ვლაპარაკობ? ზოგჯერ ამიტი ბიჭებიც შეიპარებიან ხოლმე ხმელეთის სავანეებში. ისინი აგროვებენ მცენარეთა ნიმუშებს, იჭერენ ფრინველებსა და ცხოველებს, მოჰყავთ აქ. აქ კი მათ შეძლებისდაგვარად ცხოვრების პირობებსაც ვუქმნით. ასე გაჩნდა ამ ავტობუსში ეს თუთიყუშიც. მძღოლებს რატომღაც უყვართ ფრინველები. იშვიათია ავტობუსი, რაიმე ჩიტი არ ნახოთ.

ჩვენს მძღოლს კარგი თუთიყუში შეურჩევია.

— რაც მოგწონს, ის რომ აირჩიო, ჯერ აქამდე არ მივსულვართ. ფრინველი ისე ცოტა გვყავს, მძღოლი რასაც წაიწყდება, იმას იტაცებს, ხომ ხედავთ! თევზის სამყაროში ვცხოვრობთ!

ამასობაში ვალერის მოესწრო, მოწყენილ მგზავრთა ყურადღების ცენტრში რომ მოხვედრილიყო, გაფხორილ მაკაოს ისეთ ტრიუკებს აკეთებინებდა, ხან თავი ჰქონდა ზევით და ხან კიდევ ფაფუკი ბუმბულის ბოლო. თუთიყუშს მოსწონდა ახალი გარემო და ვალერის ყველა სურვილს სიამოვნებით ასრულებდა. ამიტებმა ერთმანეთზე მიყოლებით გვერდზე გადადეს გაზეთები და წიგნები. ზოგმა სათვალის ზემოდან, ზოგმა კიდევ ისე, უსათვალოდ გამოიჭყიტა.

ის ბერიკაცი, სულ ბოლოში რომ იჯდა, სავარძლიდან ძლივს წამოდგა. გაზეთი აღარც კი მოუძებნია, რაღაც ჩაილაპარაკა და კიბე ყოჩაღად ჩაირბინა.

როგორც ჩანს, თუთიყუშს არ მოეწონა ეკიპაჟის ერთი კაცით შემცირება. ჯერ ვალერის შეხედა და რაღაც ჩასჩხავლა, მერე სავარძლის საზურგეზე გადასკუპდა, გრძელი ჩამოგრეხილი ნისკარტი კარისაკენ გაიშვირა და ისეთი ჩხავილი ატეხა, ნურას უკაცრავად, ბაყაყების სასულე ორკესტრიც კი უკეთეს საქმეს ვერ იზამდა.

ადამიანთა ცხვირწინ მგზავრთა განწყობა ერთბაშად შეიცვალა. ერთმა ამიტმა საკმაოდ ხმამაღლა რაღაც თქვა, უფრო გვიან დადგინდა, რომ სხვებსაც სცოდნოდათ ლაპარაკი და მათაც საჭიროდ ჩათვალეს, რაღაც ეთქვათ. ბოლოს ამ ავტობუ-

სის იწილო-ბიწილოში კადილაც ჩაერია და ორიოდე სიტყვა თქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე ყველა გაისუდრა. მთელი ყურადღება ახლა ვალერიდან დანარჩენ ტყვეებზე გადავიდა. ვალერიმ ისარგებლა ამ შესანიშნავი მომენტით და გაფოფრილი თუთიყუში ისევ თავის კათედრაზე შემოსვა. მაკაოს მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს მდგომარეობის ასე შემობრუნებით, ის კი არა, სცადა, ისევ ვალერის საჩვენებელ თითზე გადაბრძანებულიყო, მაგრამ ბასილაია უფრო სხვა რამეს ფიქრობდა და მაკაოც შეეგუა თავის მდგომარეობას.

ავტობუსი ახლა იმ დარბაზს დაემგვანა, სადაც ჟურნალისტები ჩვეულებრივ პრეს-კონფერენციას ატარებენ. გაჩნდა შრიალა ბლოკნოტები, წითელი, შავი, თეთრი და ლურჯი ფანქრები. წამოვიდა კითხვების ნიაღვარი.

კადილა მშვიდად უპასუხებდა ყველას. ამიტები მაინც არ ცხრებოდნენ, ახალ-ახალ კითხვებს იძლეოდნენ.

ნუგზარს უკვირდა, ეს დროს გამოკიდებული ხალხი როგორ შეიცვალა თვალის დახამხამებაში. ეს ხალხი ახლა სრულებითაც არ ჰგავდა წეღანდელ მოფუსფუსე ამიტებს.

კადილა ნუგზარს მიუბრუნდა.

— ისინი თხოულობენ, თქვათ რამდენიმე სიტყვა თქვენს ენაზე. ძალიან აინტერესებთ, როგორ ლაპარაკობთ, რას ჭამთ და საერთოდ თუ იძინებთ?

ნუგზარმა გაიცინა.

— გადაეცით ჩვენს ახალ მეგობრებს, იქ, ჩემს სამშობლოში, კარგი მადა გვაქვს და სიამოვნებით შევექცევით ხბოს მწვადებსა და შემწვარ წიწილებს. გვძინავს ისევე, როგორც მათ, თბილ საწოლში.

კადილამ უთარგმნა და შეკითხვების ახალი ნიაღვარი წამოვიდა. ვალერიმ თქვა: თავს ვუშველოთ, თორემ ამ მილეთის ხალხს რა მოუვლისო.

კადილაც დაეთანხმა და როგორც კი ავტობუსი განიერ ქუჩაში დადგა, მაშინვე გასასვლელს მიაწყდნენ. ჩავიდნენ თუ არა, ის მანქანა ისევ დაიძრა და ფანჯარაზე მოწებებული ბევრი ცნობისმოყვარის გამოხედვა გაიყოლა.

ამ ფართო ქუჩაში რომ ჩამოვიდნენ და ცოტა სულიც

მოითქვეს, კადილამ თქვა: დოქტორ კილას კლინიკასთან ვართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარმა გაიხედა, გამოიხედა, მაგრამ ისეთი შენობა ვერ-სად შენიშნა, რომ კლინიკა გეწოდებინათ. კადილა კი იდგა და მათგან სულ ასიოდე მეტრის დაშორებით მდგარ ერთ დაბალ შენობას მისჩერებოდა.

შენობა მომწვანო გრანიტისა იყო. მძიმედ, ტლანქად იდგა პატარა სკვერს უკან. თუმცა მკვეთრად გამოკვეთილი სართულები არ ჰქონდა, მაგრამ სულ ორსართულიანი თუ იქ-ნებოდა. თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით ისეთ ვან-წყობილებას ქმნიდა, თითქოსდა ეს სახლი ამ კოხტა სკვერის წინ ძველთაძველი ციხე-კოშკის იმიტაციისათვის წამოეჭიმოთ. ამიტომ, როცა კადილა ამ შენობისაკენ წავიდა, ნუგზარს ძლიერ გაუკვირდა და იკითხა: სად მივდივართო?

— რადგანაც ბედმა აქ მოგვაგდო, მივიდეთ კილას კლი-ნიკაში, ვნახოთ, იქნებ ჩვენთვის ცოტაოდენი დროც გამოძებ-ნოს, თავაზიანი კაცია დოქტორი.

— ეს კლინიკაა?

კადილამ გაოცებით გადახედა.

— დიახ, კლინიკა გახლავთ.

— ამიტ არქიტექტორებს არ ეპატიებათ, ეს შენობა უფრო ისტორიული მუზეუმისათვისაა აშენებული და არა კლინიკი-სათვის. კლინიკას უფრო მეტად ნათელი ოთახები მოუხდებოდა.

კადილამ ისე გულიანად გაიცინა, სასუნთქმა აპარატმა ცახცახი დაიწყო.

— თქვენ ჯერ კიდევ იქა ხართ, ნუგზარ. იქ, ზემოთ, მზის სამყაროში. განა ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, ფართო ფანჯრები ჰქონდეს შენობას. მთავარია, კარგად მოეწყოს ოთახის განათება. გარედან შუქი შევა თუ არა, ეს თითქის არაფერს ნიშნავს. აი, შევალთ კლინიკაში და თავად ნახავთ, საჭიროა თუ არა ეს მძიმე კედლები.

— ალბათ თქვენ მართალი ბრძანდებით, როგორც ჩანს, ამიტი არქიტექტორები ამ შენობის დაპროექტებისას უფრო პრაქტიკოსები იყვნენ, ვინემ რომანტიკოსები.

— შესაძლოა. არის ხოლმე მომენტი, როცა მთავარი ხდე-ბა მშრალი პრაქტიკა და არა ჰარმონია. თუმცა ამ შენობის

შემოქმედთ მთლად ცივი გონებით მუშაობას ვერ დავწამებთ, ცოტა პოეტურობაც უნდა იყოს ჩაქსოვილი.

შენობის აქეთა მხარე წყლის ამიტებისთვისაა დაპროექტებული, იქითა კიდევ — გახმელეთებულთათვის.

ახლა კი მოვსინჯოთ, დოქტორ კილას შეუძლია თუ არა გვიმასპინძლოს. დოქტორ კილას არ ეცალა და თითქმის მთელი თხუთმეტი წუთი ელოდნენ დიდ დარბაზში.

მერე ვიღაც შუახნის კაცი მოვიდა. გახმელეთებული ამიტი იყო. ძალიან შავი ხალათი ეცვა და თავზეც შავი ჩაჩი ეხურა. დოქტორი კილა ეგონათ, მაგრამ მისი ასისტენტი აღმოჩნდა. დოქტორი დაკავებულიაო, თქვა მან და მასპინძლობა ითავა.

იმ განიერი დარბაზიდან დერეფანში გავიდნენ. არც ეს დერეფანი გახლდათ მაინცდამაინც ვიწრო, ოთხი კაცი თავისუფლად მიაბიჯებდა მინის კედლებიან დერეფანში. მინის იქით კი უზარმაზარი აკვარიუმები ჩანდა. ნუგზარი მიხვდა, რომ ეს აკვარიუმები წყლის ამიტებისათვის განკუთვნილი პალატები იყო.

— შეიძლება, შიგ შევიხედოთ? — ჰკითხა მან კადილას.

— ვერაფერს დაინახავთ. მინა იმ პრინციპზეა ჩამოსხმული, ავადმყოფს საშუალება აქვს გამოიხედოს დერეფანში, დერეფნიდან კი არაფერი ჩანს.

შიგნიდან შენობა ორ სართულად იყო გაყოფილი. დერეფნის ბოლოდან მეორე სართულისაკენ ყვითელი მარმარილოს საფეხურები ადიოდა. ამ კიბეებს რომ აუყვნენ, ის ასისტენტი და კადილა ერთხანს რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. მერე კადილა ნუგზარს მიუბრუნდა:

— დოქტორი კილა ერთ საათში მოიცლის.

— ხომ არსად გვაგვიანდება? — ჰკითხა ნუგზარმა.

— არა, სად უნდა დაგვაგვიანდეს?

— ჰოდა, მაშ მოვიცადოთ. მანამდე, თუ შეიძლება რომელიმე საოპერაციო და ერთი პალატაც ვნახოთ.

კადილამ ნუგზარის სურვილები ასისტენტს გადასცა. იმან კიდევ რაღაც თქვა და თავიც ღირსეულად დაიქნია.

ვალერი ამ დროს იატაკს აკვირდებოდა. იატაკი წითელი მარმარილოსი გახლდათ. წითელ ფონს ზოგან ბაცი მოყვითა-

ლო ხაზებიც გასდევდა. ამ ხაზების პარალელურად ვერტიკალური და შავი წერტილები ჩანდა.

— ზღაპრული სილამაზის მარმარილოა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

ასისტენტი მიხვდა, რომ ვალერის ქათინაური კლინიკის იატაკს შეეხებოდა და კადილას რაღაც უთხრა, კადილა ვალერის მოუბრუნდა:

— ეს მარმარილო ხელოვნურია. ბუნებრივიც ბევრი გვაქვს, თავზესაყრელად, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნურად შექმნილი ნაყშები უფრო ეხამება შენობის ანსამბლს, ასეთ შემთხვევაში ხელოვნურს ვიყენებთ.

— დიდი გემოვნებითაა დამზადებული.

— შეიძლება, — სანახევროდ დაეთანხმა კადილა.

ისინი შუა დერეფანში შეჩერდნენ. ასისტენტმა მარჯვენა კარი შეაღო და გრძელ დერეფანში შეაბიჯეს.

კადილა აღარ დაელოდა მასპინძლის ახსნა-განმარტებას, თვითონვე ითავა ექსკურსიამძღოლობა.

— ჩვენს ქვემოთ წყლის ამიტების პალატებია, — დაიწყო მან, — ყოველ პალატას თავისი ლიფტი აქვს. აი, მარჯვნივ რომ შესასვლელებია, სწორედ აქედან შედიან ლიფტში. ლიფტი საკმაოდ განიერია, თავისუფლად შედის ჩვეულებრივი ჯალამბარი. ასე რომ, გათვალისწინებულია მძიმე ავადმყოფებიც.

სამწუხაროდ, თქვენ საცურაო კოსტიუმები არ გაცვიათ, თორემ შეგვეძლო წყლის ამიტთა პალატაშიც შეგვეხედა. თუ ისურვებთ, შეგვიძლია კოსტიუმებიც ვიშოვოთ.

— არა, საჭირო არაა, — თქვა ნუგზარმა და იმ წუთში ვალერის გაოცებული მზერაც დაიჭირა.

— თითოეულ პალატას თავისი საკუთარი წყლის საკვები აქვს. ეს იმიტომ, რომ წყლის საშუალებით ინფექციამ არ იმოგზაუროს ავადმყოფთა შორის.

ამ დროს საუბარში ასისტენტიც ჩაერია. როცა მან თავისი მოკლე სიტყვა დაამთავრა, კადილამ კვლავ განაგრძო: ექიმი ამბობს, რომ კლინიკას აქვს მკურნალობის თავისი მეთოდი. კერძოდ, პალატაში შესულ წყალს ისეთ პრეპარატებს ურევენ ხოლმე, რომლებიც აუცილებელია ავადმყოფისათვის.

ეს მეთოდი კარგად დაამუშავა დოქტორმა კილამ და იყენებს აგრეთვე ხმელეთის ამიტებზეც. ამ შემთხვევაში, როგორც კვირველია, მეკავშირე მკურნალსა და პაციენტს შორის წყლის ნაცვლად ჰაერია.

კილა ჰაერში უშვებს სამკურნალო ნივთიერებებს, ავადმყოფი იკურნება დამუშავებული ჰაერით.

— წამლების მიწოდება სუნთქვის ორგანოებით შესანიშნავი მიღწევაა, — თქვა ნუგზარმა.

— დიახ, მკურნალობა მიმდინარეობს შერეულად — წამლებითაც და ჰაერითაც. ეს მეთოდი შესანიშნავ შედეგს იძლევა.

— სამკურნალო წამლების ჟანგბადში შეშვების მეთოდი დოქტორმა კილამ დაამუშავა? — იკითხა ვალერიმ.

— არა, ამ მეთოდს სწავლობდნენ ადრეც, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს.

— საიდან გაჩნდა ეს იდეა?

— ამიტები დიდი ხანია წყალს იყენებენ ავადმყოფისათვის წამლების მიწოდების საშუალებად. ალბათ, ამან მისცა საფუძველი ექიმებს, ჰაერისათვისაც დაეკისრებინათ ასეთი უცნაური კატალიზატორის ფუნქცია. ჰაერმა კარგად შეასრულა ეს ფუნქცია. კიდევ გაქვთ შეკითხვა?

— მეტი არა, ყველაფერი ნათელია.

— მაშინ ხმელეთის ამიტთა პალატას ვესტუმროთ.

ისევ დერეფანში დაბრუნდნენ და აქედან იმავე დერეფნით შენობის უკანა ნაწილში მოხვდნენ.

აქ სამკურნალო ოთახები უფრო სხვანაირად იყო განლაგებული. დერეფნის ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ, ჩანდა ვიწრო შესასვლელები, რომლებიც ალბათ დერეფანს პალატებთან აკავშირებდა. ჭერიდან ეცემოდა იისფერი დამამშვიდებელი შუქი და იდგა განსაკუთრებული სიჩუმე.

ერთ-ერთ შესასვლელს რომ მიუახლოვდნენ, ასისტენტმა კადილას რაღაც ანიშნა.

კადილამ განმარტა:

— იქ მომაკვდავი წევს, ჭირისუფლები ეთხოვებიან.

— ასე ჩუმად, უხმაუროდ? — იკითხა ვალერიმ.

— ამიტები მიცვალებულს არ სტირიან. ყველა ამიტა

კარგად იცის, წუთისოფლის სტუმარი რომ არის. ადრე, თუ გვიან, გარდაიცვლება.

— მერე შეეგუენ ამას?

— რა თქმა უნდა. ნუ გაიკვირვებთ და, ჩვენ მიცვალებულს არ ვასაფლავებთ, სასაფლაოები საერთოდ არა გვაქვს. ეს მხოლოდ სენტიმენტალობაა და მეტი არაფერი. რა საჭიროა ზარი და ტირილი, უზარმაზარი ძეგლები. მოკვდა კაცი. ღმერთმა შეუნდოს... დაფერფლე და ფერფლი წყალს გააატანე. მორჩა და გათავდა. ესაა ამიტური წესი და, მგონი, მეტად პრაქტიკულიც.

მეორე პალატასთან რომ მივიდნენ, ასისტენტი ვიწრო შესასვლელში შევიდა, კადილაც მიჰყვა და სხვებიც,

ვიწრო შესასვლელის მარცხნივ და მარჯვნივ, ორივე მხარეს, კარი ჩანდა. მასპინძელმა მარცხენა კარი შეაღო და მოზრდილ ოთახში აღმოჩნდნენ.

— ოთახში ოთხი საწოლი იდგა და ოთხივეზე თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონები იწვნენ. მათ გულმკერდის არე და ყელი ბანდებით ჰქონდათ შეხვეული. თავი რაღაც უცნაურ კალაპოტზე ედოთ და მშვიდი მზერა ჭერისათვის მიეპყროთ.

სტუმრები რომ შევიდნენ, გოგონებმა ერთი გამოხედეს და თითქოსდა არც არავინ დაენახოთ, მზერა ისევ ჭერს მიაპყრეს.

ასისტენტმა ყველას ჩამოუარა, რაღაც ჰკითხა. გოგონები ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხებდნენ. მერე მასპინძელი კედელში ჩადგმულ თეთრ ონკანთან მივიდა. ხელი შეახო. ხელი კი შეახო, მაგრამ მოუშვა თუ დაკეტა, ეს კი ვერ გაიგეს სტუმრებმა.

ასისტენტი ონკანს მოშორდა, ოთახიდან გავიდა და სხვებიც გაიყოლა.

— იგრძენი, როგორი სასიამოვნო სუნი იდგა? — ჰკითხა ვალერის ვიტალიმ.

— ვიგრძენი, რასაკვირველია, ცოტა კიდევ რომ შევყოვნებულიყავით, ალბათ დამეძინებოდა კიდეც, ისეთი მათრობელა ჰაერი იდგა.

— ჰაერი სამკურნალო წამლებით იყო გაჟღენთილი. ჩვენ უფლებაც კი არ გვქონდა სპეციალური კარანტინის გარეშე იქ

შევსულიყავით. ერთხელ დაარღვიეს წესი ამ კლინიკაში, და ისიც თქვენს გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარმა ასისტენტს ღიმილით გადახედა.

— უღრმესი მადლობა გადაეცით, ასეთი დიდი პატივი რომ დაგვდეს.

— ერთი ეს მიბრძანეთ, ის გოგონები, გუგულებივით რომ იწვნენ პალატაში, გახმელეთების მოსურნენი ხომ არ იყვნენ? — ჰკითხა ვალერიმ კადილას.

— დიახ, მათ გუშინ დოქტორმა კილამ გაუკეთა ფილტვების ფუნქცირება.

— და დღეს ასე კარგად არიან?

— არც ისე კარგად, როგორც თქვენ გგონიათ. დრო და დრო ნარკოზსაც აძლევენ. ექიმმა რომ ონკანი მოუშვა, ჰაერში ისეთი ნივთიერებანი შეიყვანა, რაც ანელებს ტკივილების შეგრძნებას. საერთოდ, ასეთი ოპერაციის შემდეგ პაციენტს სამი დღე აუტანელი ტკივილები აწუხებს. ტკივილებს ნარკოზით უყუჩებენ.

— და მიუხედავად ასეთი მტკივნეული ოპერაციისა, მსურველები მაინც არიან.

— მსურველები ძალიან ბევრია, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. დადგინდა ისიც, რომ ამიტი 16-17 წლის ასაკამდე უფრო კარგად იტანს ამ ოპერაციას. ამიტომ პაციენტებიც ძირითადად ბავშვები და ახალგაზრდობაა.

ცოტა კიდევ გაიარეს. მასპინძელი ერთ ფართო და გაჩახჩახებულ ოთახში შეუძღვათ. ოთახის შუაგულში, ზუსტად ცენტრალური ჭაღის ქვეშ, დიდი, ჩუქურთმებიანი მაგიდა იდგა. ზედ არაფერი იდო. დარბაზის ერთი კედლის გასწვრივ რბილი სავარძლები ჯარისკაცებივით ჩაერიგებინათ. დარბაზში შევიდნენ თუ არა, ასისტენტი იმ კედელთან მივიდა და სავარძლები ერთი ხელის წამოკვრით პირდაპირ მაგიდისაკენ წამოაფრინა. თანაც ისე ოსტატურად აკეთებდა, ეს რბილი საჯდომები ზედ მაგიდასთან კარგავდნენ სიჩქარეს და კოხტად ლაგდებოდნენ.

სანამ მასპინძელი რაღაც ახსნა-განმარტებას აძლევდა კადილას, ვალერიმ ერთი სავარძელი აირჩია, შიგ ჩაჯდა და ინსტრუმენტების საგულდაგულოდ თვალიერებას შეუდგა. რამდე-

ნიმე წუთის შედეგ კადილაც რომ მის გვერდით მოთავსდა, ჰკითხა, რატომ აირჩია ამ ორნამენტების ავტორმა თემად ხმელეთის სამყაროო?

კადილა ჯერ მასიურ მაგიდას დააკვირდა, მერე ვალერის, გადახედა და უთხრა: მართალი გითხრათ, დღეს პირველად ვამჩნევ ამ ორნამენტებს, თუმცა კვირაში ერთხელ მაინც მიწევს აქ მოსვლაო.

— როგორ კვირაში ერთხელ! აქაც ხომ არ მსახურობთ?

— არა, მაგრამ მეორე პროფესიას ვიძენ. ამიტებს აქვთ ასეთი გატაცება. ზოგს სამი და ოთხი პროფესიაც კი აქვს.

ვალერიმ გაიცინა.

ამ დროს დარბაზში მაღალი, გამხდარი, საკმაოდ მოხდენილი მამაკაცი შემოვიდა.

გრძელი თმა უკვე შეეერცხლოდა. კოხტად შეკერილი ყავისფერი კოსტიუმი ეცვა. ხმელეთელებს ძალზე გაუკვირდათ, კილას პირზე სასუნთქი აპარატი რომ ჰქონდა დამაგრებული. აპარატი ძალზე პატარა იყო, სათვალისოდენა. ამ თავისებურ „სათვალეს“ იქით ამ ცოტა მოწყენილ დოქტორს თეთრი, ქათქათა კბილები მოუჩანდა.

კილამ ორივე ხელი გაშალა და ხმადაბლა რაღაც თქვა. ეს ხმა ძალზე ნაღვლიანად და მელანქოლიურად გაისმა უზარმაზარ დარბაზში.

— იგი გესალმებათ და ბედნიერად თვლის თავს, რომ თავის კლინიკაში გხედავთ, დაბრძანდით! — თარგმნა კილას სიტყვები კადილამ.

სტუმრები დასხდნენ. კილაც ჩამოჯდა და სტუმრებს მომწვანო, ძალზე მეტყველი თვალები მიაპყრო.

— შეიძლება თუ არა ბატონ კილას ვკითხოთ, რატომ დარჩა თვითონ ამიტად, როცა მისმა დანამ ბევრი ამიტი ხმელეთის ადამიანად აქცია? — მორიდებით იკითხა ნუგზარმა.

კილამ გაიღიმა. ლაპარაკი დაიწყო და კადილამაც თარგმნა.

— მე ამ მხრივ კონსერვატორი გახლავართ. მინდა მოვალ თაობას ჰქონდეს ხმელეთური ცხოვრების საშუალება, მე კი გადავწყვიტე, ისევე ვიცხოვრო, როგორც მამა-პაპანი ცხოვრობდნენ. ჩვენ ახლა ვაუმჯობესებთ სასუნთქ აპარატს და ალბათ მივაღწევთ კიდეც, რომ აპარატი მინიატურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხადოთ. ამის ნიმუში ჩემი სასუნთქი აპარატია. სულ ახალ-ალთახალია, პატივი დამდეს, პირველი ნიმუში მაჩუქეს.

ვალერიმ დაკვირვებით შეხედა აპარატს.

— ჩვენ მაგ აპარატის დიდი არაფერი გაგვეგება, მაგრამ თუ იმ დიდი დანიშნულების მიხედვით ვიმსჯელებთ, რისთვისაც ის კონსტრუქტორებმა შექმნეს, მართლაც ჩინებული ჩანს.

ალბათ ძალზე გიმსუბუქებთ იმ დიდ შრომას, რასაც ამ დიდებული კლინიკის ხელმძღვანელობა მოითხოვს.

ესეც რომ უთარგმნა კადილამ, კილას თვალები აუციმციმდა, თავი დაიქნია და მორცხვად რაღაც თქვა. თუ რა თქვა, ეს აღარ უთარგმნია კადილას. ალბათ საჭიროდ აღარ ჩათვალა. აღარც ხმელეთელები ჩასციებიან.

ნუგზარმა ახალი შეკითხვა მისცა: ბევრი პაციენტი თუ ჰყავსო კლინიკას.

დოქტორი კილა საცოდავად მოიბუზა, თვალები მოწკურა და ძალზე სევდიანი, დაღლილი ხმით რაღაც თქვა.

კადილამ თარგმნა:

— კლინიკას საკმაოდ ბევრი პაციენტი ჰყავს. ისეთები კი, რომელთაც ფილტვების ფუნქცირება სურთ, ამჟამად ორასამდეა.

— შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ამიტებს ბოლოს და ბოლოს „გახმელეთება“ სურთ?

— დიახ, ამის მსურველი ბევრია, რადგანაც ახლა ჩვენთან კარგი პირობებია ხმელეთურ-ოკეანური ცხოვრებისა. ესე იგი, ისეთი ცხოვრებისა, ხმელეთის სიამესაც რომ იგრძნობ და ოკეანის დიდებასაც. ჩვენ ვისწრაფით თქვენკენ, თქვენ კი— ჩვენკენ. შეხვედრის ადგილი ალბათ ოკეანის თხელი სიღრმეები იქნება.

— ვინ იცის, იქნებ ხმელეთზე შევხვდეთ ერთმანეთს. ახლა ალბათ საშუალება გაქვთ, ხმელეთზე შექმნათ ამიტების დიდი კოლონია?

— არა, ამიტები ჯერჯერობით არ არიან აკლიმატიზებული ხმელეთური ცხოვრებისათვის. ამ საქმეს ფიზიკური მომზადების გრძელი პროცესი სჭირდება. გაცილებით ადვილია, შეეგუო დიდ წნევას, ვინემ დიდი წნევისაგან განთავისუფლდე.

ამის გარდა, დარწმუნებული ვართ, მზის სხივები ამ ...
ძლიერ იმოქმედებს. ჯერჯერობით ოკეანის ფსკერზეც კი გვიჭირს ხმელეთური ცხოვრება.

— ალბათ, ძალზე ძნელია ფილტვების ფუნქცირება.

— ეს დაკავშირებულია მძიმე ქირურგიულ ოპერაციასთან. ვიტყოდი, რომ ეს ოპერაცია ჩვენ ახლა კარგად ავითვისეთ. ადრე ოპერაციის დროს იყო მსხვერპლი. ახლა არავინ კვდება.

— ესე იგი, ოპერაცია გაიოლებულია;

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ ოპერაციისათვის ვარჩევთ ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს, სუსტები ოპერაციის დროს, ან აკლიმატიზაციის პერიოდში იღუპებიან.

ნუგზარმა კადილას შეხედა, კადილამ მისი მზერა დაიჭირა, გაიღიმა და თქვა:

— მე, დოქტორ კილასი არ იყოს, გამოუსწორებელი კონსერვატორი გახლავართ.

კილამ ერთხელ კიდევ ჩაათვალიერა სტუმრები და მერე ნაღვლიანი მზერა თავის ასისტენტს მიაპყრო.

კადილა წამოდგა, აუდიენცია დამთავრებულიაო.

— დოქტორი კმაყოფილია ამ სასიამოვნო შეხვედრით. თუ საშუალება გვექნება, შემდეგაც შეგვიძლია ვისარგებლოთ მისი კლინიკის გულითადი მასპინძლობით.

— დიდ მადლობას ვუხდით ასეთი გულთბილი მიღებისათვის. სამწუხაროა, რომ ასე მოულოდნელად შემოვეჭერით და ამდენი დრო დავაკარგვინეთ, — თქვა ნუგზარმა.

— არა უშავს, თქვენთან საუბარი მასაც აინტერესებდა.

დოქტორი კილა დარბაზში დარჩა. ასისტენტმა კი გასასვლელამდე გამოაცილა სტუმრები და უკან მხოლოდ ცენტრალურ კართან შებრუნდა.

გამოვიდნენ თუ არა ქუჩაში, კადილამ ნუგზარს ჰკითხა: ისევ ის აზრი თუ დაგრჩა ამ შენობაზეო?

ნუგზარი თვითონ აპირებდა ამ თემაზე საუბრის განახლებას.

— ჩემი აზრი ნაადრევი იყო დოქტორ კილას კლინიკაზე. ამიტი არქიტექტორები ამ შენობის გადაწყვეტაშიც დიდი შემოქმედნი არიან. დიდებულად ახერხებენ პრაქტიკის შერწყმას სინამდვილესთან.

— მსიამოვნებს თქვენი ეს აღფრთოვანება. მით უფრო, როცა კლინიკის არქიტექტორი ჩემი ძმა მადინი გახლავთ.

— მადინი?

— დიახ, მადინი.

— კი მაგრამ, როგორც ვიცი, ის სხვა პროფესიის კაცია?

— დიახ, მაგრამ... ხომ გითხარით, ჩვენთან განათლებულ ამიტს რამდენიმე პროფესია აქვს-მეთქი.

მერე კადილამ თქვა, რესტორანში შევიდეთო, გაიკვირვეს. ვალერიმ კი იფიქრა, ამ ოხერმა ყურმა ხომ არ მომატყუაო.

— მართლა რესტორანში ვისადილებთ?

— რასაკვირველია, რატომ გაიოცეთ?

— როცა წარმოვიდგენ, თუ სად ვიმყოფებით, ველარ ვეგუები ნაღდ ხმელეთურ გამოთქმებს.

— ძვირფასო, რესტორნის აშენებას რა უნდა! თანაც ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელიც ერთნაირად სჭირდება ადამიანსაც და ამიტსაც. კუჭი ყველას გვაქვს.

ვალერიმ გაიცინა.

— მესმის, ქალბატონო კადილა, მაგრამ სიტყვა რესტორანი ყურს ეხამუშება.

— არა უშავს, შეეგუებით. აბა, წავიდეთ.

ქუჩა გადაჭრეს.

არც რესტორანი ყოფილა შორს. ერთი მხიარული შენობა გახლდათ. სრულებითაც არ ჰგავდა მოწყენილსა და დამძიმებულ კილას კლინიკას.

შესასვლელსა და კედლებზე მუქრეკლამების ნამდვილი ნიაღვარი იყო. მწვანე, ყვითელი, ლურჯი, თეთრი შუქის ნიაღვარში კედლებზე დაცოცავდნენ ათობით ლანგუსტი და კრევეტი, ომარი და წყლის კუ, ბარაკუდა და ზვიგენი, ვეშაპი და კიდევ ათიათასი სხვა ფრიად საპატივცემულო ჯენტლმენი, რომელთა ხილვა მხოლოდ და მხოლოდ ოკეანეში შეიძლება.

ფერებისა და ცხოველების ეს უწყვეტი ჭიდილი საამო განწყობას ქმნიდა, სულს ამშვიდებდა და იმ დაწესებულებისაკენ გეძახდა, სადაც თავს უფლებას აძლევ, წუთით დაივიწყო ყველა ტკივილი.

რესტორანში ისეთი სიჩუმე იდგა, იფიქრებდით, შეცდომით ისევ დოქტორ კილას სტუმარი ვართო. უშველებელ დარ-

ბაზში მაგიდები ფერადი მინის კედლებთან და შუა დარბაზში იდგა, გასასვლელებთან და ვიწრო ბილიკების გასწვრივაც.

ხალხიც ბლომად ისხდა, რამდენიმე მაგიდა ელოდა ახალ მუშტარს.

შევიდნენ თუ არა, ოფიციანტი ზედ კარიდან ფინიასავით აეკიდათ. მაგიდაც თვითონ შეარჩია და მერე ხუთი სკამი რიგ-რიგობით გამოალაგა, საჯდომზე ჭრელი ნაჭერი გადაუსვა და მერე რაღაც თქვა ამიტურად. მიხვდნენ, რომ დაჯდომას თხოვდა.

ჩამოსხდნენ თუ არა, იმ მოხერხებულმა კაცმა მაგიდაზე მენიუს უშველებელი ერთტომეული დადო. ეს სქელი წიგნი, რომელიც, ალბათ, ამიტთა მთელ კულინარიას შეიცავდა, ყველა საკმაოდ ცნობილი ბიბლიოთეკის თაროს დაამშვენებდა. ამ დარბაზში კი ისე გამოიყურებოდა, როგორც დიდყურა კათოლიკური ეკლესიის ორღანოსთან.

— დრო თუ გვაქვს, ეს რომანი თავიდან ბოლომდე ჩავიკითხოთ? — იკითხა ვალერიმ და წამწამები ჟონგლიორივით აახამხამა.

— ამის წაკითხვა შორს წაგვიყვანს, თქვით, რას ინებებთ? ნუგზარი აიწურა.

— მანამდე ერთი შეკითხვა მაქვს, კადილა. ამჯერად ჩვენ პირადად თქვენი სტუმარი ვართ თუ ამიტთა საზოგადოებისა?

ნუგზარს სურდა ბოლო ფრაზა უფრო სხვანაირად ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

კადილამ ქვემოდან ახედა ნუგზარს.

— ახლა, ამ წუთში პირადად ჩემი სტუმრები ხართ. ჩათვალეთ, რომ თქვენ გმასპინძლობთ საკმაოდ მდიდარი ქალი. ნუ მომერიდებით. მორცხვობით დიდად მაწყენინებთ.

— არა, ეს კითხვა იმიტომ არ დამისვამს, თქვენს ჯიბეს ვუფრთხილდებოდეთ. დარწმუნებული ვართ, ისეთ საჭირო ამიტს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ამიხოტში კარგ გასამრჯელოსაც აძლევენ. ამაში ეჭვიც არ გვეპარება.

— საქონლის სუკები თუ შეიძლება შევუკვეთოთ? — იკითხა ვალერიმ.

— სუკები, რასაკვირველია, ექნებათ. ვეშაპის, ზვიგენის,

ხმალთევზას სუკი არა მგონია ნაკლებ გემრიელი იყოს, ვინემ თქვენი საქონლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანახმა ვართ, სუკებზე შევთანხმდეთ, — თქვა ნუგზარმა, — მინერალური წყალიც ხომ არ შეიძლება?

— რასაკვირველია, რამდენიც გნებავთ. მხოლოდ დავაზუსტოთ, ვის რა სახის მინერალური წყალი სურს.

— მინერალური წყლის ასეთი დიდი ასორტიმენტი გაქვთ? — იკითხა ვალერიმ.

— ამ მხრივ საკმაოდ მდიდრები ვართ, მინერალური წყლებით უხვად გვამარაგებს ოკეანის ფსკერი. ჩვენი სასმელი წყალი არ მოგწონთ?

— მოგვწონს და რამდენჯერმე მსურდა მეკითხა, ეს წყაროს წყალია თუ?... — თქვა ნუგზარმა.

— თუ, გადამუშავებული, არა?

— დიახ.

— არა, სუფთა წყაროს წყალია. ჩვენ ისეთი ძლიერი ნაკადები გვაქვს, ჯერჯერობით დამატებითი რესურსების შექმნის პრობლემა არ წარმოშობილა. კამკამა წყალს მივირთმევთ ყოველთვის. თქვენც გაამოთ.

ვალერიმ თქვა: მე სიმჟავე მაქვს მომატებული და ბორჯომის მაგვარი მინერალური წყალი მომიხდებაო.

კადილა ოფიციანტს მიუბრუნდა. ეს ყურადღებიანი კაცი მთელი ათი წუთი უკვე იდგა მათ უკან და ყურებდაცქვეტილი მისჩერებოდა უცხო ენაზე მოლაპარაკე სტუმრებს. როცა კადილამ ამიტურად რაღაც უთხრა, მაშინვე გამოერკვა, ბლოკნოტი გაშალა და ჩანიშვნას შეუდგა.

ვიტალიმ არაფერიც არ მტკივა, გულს რომ ესიამოვნება, ისეთი წყალი დამალევინეთო. ვიტალის კვერი ანდრომაც დაუკრა და ნუგზარმაც. „ბორჯომის“ მუშტარი მხოლოდ ვალერი დარჩა.

ოფიციანტმა ზედ კადილას მარჯვენა ყურთან რაღაც თქვა. კადილა მისკენ არც კი მიბრუნებულა, ხელი უხეშად გაიქნია: გაჩუმდი, დაგვაცადეო. ოფიციანტი სწრაფად გასწორდა წელში და მანამ არ გაუმხელია თავისი არსებობა, სანამ კადილამ ხელი ისევ არ დაიქნია და თავისთან არ მოუხმო.

შეკვეთას სწრაფად აძლევდა და ყოჩაღი ძიაც ასევე ენერ-

გიულად იწერდა. მერე, ის იყო, ოფიციანტმა წასვლა დააპირა, რომ კადილამ ანიშნა: მანდ იდექი, ფეხიც არ მოიცვალოო.

— ბიჭებო, ვეშაპის რძეს ხომ არ მიირთმევდით.

— სიამოვნებით, და, მგონი არც ვეშაპის რძის ყველი იქნება ურიგო, — დაიძახა ვალერიმ.

— მართალი ბრძანდებით, ერთიც და მეორეც სუფრას დაგვიმშვენებს.

კადილამ ჯარისკაცივით გაჭიმულ ოფიციანტს რაღაც უთხრა. მერე სუფრას მიუბრუნდა:

— საერთოდ, თუ დაგილევიათ ოდესმე ვეშაპის რძე?

— იშვიათად, მაგრამ ჩვენც გვაქვს ხოლმე კარგი დღე, როცა სადილს ვეშაპის ნოყიერ რძეს ვაყოლებთ. — უპასუხა ნუგზარმა.

— მართლა? — გაიკვირვა კადილამ.

— რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა.

— მე კი ასე არ ვფიქრობდი. ჩვენ გვაქვს სპეციალური ვეშაპსაშენი.

— ვეშაპსაშენი?

— დიახ, ერთ გარკვეულ რაიონში ვეშაპებს ვაწვდით საკვებს, ვუვლით, ხელს ვუწყობთ, რომ გამრავლდნენ და იარსებონ. მაგრამ თქვენ არღვევთ ბუნების ჰარმონიას და ანადგურებთ ოკეანის ამ დიდებულ შვილებს.

— ახლა ვეშაპებზე ნადირობა აკრძალულია.

— გვიან აიკრძალა, ეს კანონი ცოტა ადრე რომ შესულიყო ძალაში, გაცილებით აჯობებდა.

— თქვენ არ ხოცავთ ვეშაპებს? მგონი, ჩვენი კვების რაციონში ვეშაპის თირკმელებიც შედიოდა.

— ჩვენც ვხოცავთ, მაგრამ მხოლოდ მათ, რომლებიც სიკვდილის პირად მისულან და არავითარი სიკეთის მოტანა აღარ შეუძლიათ. რძეს კი ბლომად ვიღებთ. ვეშაპებს მუცელზე ვუმაგრებთ სპეციალურ აპარატს, რომელიც ცურიდან რძეს ისრუტავს. ამ შემთხვევაში ხარბად არ ვიქცევით, გამოგვაქვს რძის მხოლოდ ნახევარი, ნახევარს კი შვილიკოს გამოსაკვებად ვუტოვებთ. გაივსება რა რძით აპარატი, მუცელს შორდება და ნელ-ნელა ეშვება ფსკერისაკენ. სულ ესაა.

— თითქოსდა მარტივი სქემაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ ასეა.

იმ ყოჩაღმა ოფიციანტმა სუფრა რომ გააწყო, კადილა ადგა.

— იცით რა, მეგობრებო, მეც მომშივდა. წავალ, ვისადილებ.

— რატომ ჩვენთან არა? — ჰკითხა ვალერიმ.

კადილას ტუჩებზე ნაღვლიანი ღიმილი გამოესახა.

— მე ხომ თევზი ვარ.

წამოდგა და წავიდა. დარჩა ხორაგით დატვირთული მაგიდა და ოთხი მოწყენილი კაცი.

კადილა რომ წავიდა, ერთხანს კიდევ ვერ დააკარეს პირი სადილს. მერე ვალერიმ თქვა: უსადილოდ დავრჩებითო და ლუკმაც გატეხეს. ლუკმა გატეხეს, მაგრამ ის ნაღვლიანი განწყობა, კადილამ რომ დატოვა, დიდხანს არ გაფანტულა.

ანდრო ჯერ შუა ჭამაშიაც არ იყო, ვალერიმ რომ ხელსაბოცზე თითები შეიხოცა, მერე ვეშაპის რძით სავსე ქილას თავი მოხადა და მოიყუდა.

— მოგწონს? — ჰკითხა ანდრომ.

— დიდებულია, სულ რაკრაკით გადადის... ყველიც მომეწონა, მსუყეა და გემრიელი.

ცარიელი ქილა მაგიდაზე დადგა.

— ამ რესტორანში ალბათ ხელის დასაბანი ადგილიც იქნება. ერთს გავივლი და ახლავე მოვალ. მაპატიეთ, თქვა ვალერიმ, წამოდგა, ყურიც არ გაუპარტყუნებია იმაზე, რომ ანდრომ უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა:

— თვითონ ერთს წაციცქნის, ჩვენ კი საფუძვლიან სადიდილობას არ გვაცლის.

ვალერიმ ეს სიტყვები გაიგონა, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, აქაოდა არაფერიც არ გამიგიაო. მაგიდებს შორის ფრთხილად გაიარა, ახლა თითქმის ყველა მაგიდასთან ისხდნენ ამიტები. თავი ჩაერგოთ და ისე გულმოდგინედ სადილობდნენ, თითქოსდა საქმე შებრაწულ თირკმელებს კი არ ეხებოდა, იმას არჩევდნენ, თუ რა მოხდა გუშინ პარლამენტში.

მაგიდების რიგი რომ განვლო, ვალერი უზარმაზარი აკვარიუმის წინ აღმოჩნდა. აკვარიუმი, როგორც გლობუსი, ისე იდო მის წინ. გლობუსის შუაგულში განიერი დერეფანი ჩან-

და. ისე განიერი, რომ ერთმანეთთან ჩაკრული სამი ძმაკაცი თავისუფლად გაივლიდა. ეს დერეფანი, ორადორ თანაბარ ნაწილად ყოფდა აკვარიუმს. ერთ ნაწილში ჩანდა კოხტა სკვერი მარადმწვანე ხეებითა და ყვავილების ბუჩქებით. თითოეულ ბუჩქთან მრგვალი მაგიდა იდგა. მაგიდას ამიტები უსხდნენ. ფეხები ოქროს უზანგებში ჰქონდათ გაყრილი და ისე ისხდნენ წითელ სკამებზე.

ახალგაზრდა ოფიციანტები თევზებივით დაცურავდნენ მაგიდებს შორის და დახურულ სინებს დაატარებდნენ.

ვალერი ზედ აეკრა მიწას. ყველა მაგიდას შემოუარა ცნობისმოყვარე თვალებით, მაგრამ კადილა ვერ აღმოაჩინა. ახლა აკვარიუმის მეორე მხრისაკენ გაიხედა, მაგრამ იქ მაგიდები საერთოდ არ იდგა, მხოლოდ ლამაზი სკვერი ჩანდა და მეტი არაფერი. მაგიდებს შორის მეორედ დაიწყო „დაუსწრებელი მოგზაურობა“, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ.

დერეფანში შეაბიჯა და ძალიან ნელა გაჰყვა გასასვლელისაკენ. მარცხენა მხარეს ისევ და ისევ მხოლოდ სკვერი ჩანდა, მარჯვნივ კი მაგიდების გრძელი რიგი გრძელდებოდა. სწორედ ამ რიგს აკვირდებოდა ვალერი. შუა დერეფნამდე რომ მიაღწია, შედგა. მის წინ მრგვალ მაგიდასთან კადილა იჯდა.

კადილას, რასაკვირველია, სასუნთქი აპარატი არ ეკეთა. არც ის ხალვათი ფეხსაცმელი ეცვა. ფეხების გრძელი თითები მასაც ოქროს უზანგებში შეეწყო და სადილს ნელა შეექცეოდა.

კადილამ თავი რომ ასწია, ვალერის შეეშინდა, არ დამინახოსო და უკან შემობრუნდა. კადილას არ შეუნიშნავს, გვერდზედაც კი არ გაუხედავს.

ვალერის ტანში უსამოვნოდ გასცრა. მინას ცხვირი მიაჭყლიტა და ქალიშვილის ყოველ მოძრაობას ხარბად აკვირდებოდა.

კადილამ ერთი თეფში გვერდზე გადადო და ახლა წინ მეორე დაიდო. ამ დროს გვერდით მჯდომმა ქალმა რაღაც ჰკითხა, კადილა შემობრუნდა და ვალერის კვლავ გასცრა ტანში. საბედნიეროდ, ამიტმა ქალიშვილმა ახლაც ვერ შენიშნა. მეზობელს ღიმილით უპასუხა და მერე ისევ გასწორდა.

ვალერიმ სული მოითქვა. გამობრუნდა და თავის მეგობრებს მოაშურა.

მეგობრები სადილს უკვე ამთავრებდნენ. ვალერი ისეთ მოჟამულ ხასიათზე იყო, ანდრომ შიშით შეხედა.

— რას ჩამოგტირის სახე, ბიჭო, რა, ცუდი რადიოგრმა ხომ არ მიგიღია ნაპირიდან?

ვალერიმ სკამი გამოსწია, დაჯდა და ნაღვლიანი მზერა ნუგზარს გაუსწორა.

— კადილა აკვარიუმში სადილობდა, გული მეტკინა. რა უცნაურია ბუნება, რატომ არ უნდა შეეძლოს, ჩვენს გვერდით დაჯდეს და დანაყრდეს. ახლა ნათლად ვიგრძენი ჩვენს შორის აღმართული ყრუ კედელი. ადამიანებო, ჩვენ თევზებს შორის ვცხოვრობთ!

— მარტო სადილობდა? — იკითხა ანდრომ.

— განა ამას მნიშვნელობა აქვს, ბევრნი ისხდნენ. მათთვის ცალკე რესტორანია მოწყობილი. სხედან მაგიდასთან და წონასწორობა რომ დაიცვან, ფეხები უზანგებში აქვთ გაყრილი. საოცარია ბუნება...

ნუგზარმა ცარიელი თეფში გვერდზე გააცოცა.

— დიახ, დიახ, ასეა და რას იზამ!

ვალერის თანაგრძნობით ხელი ბეჭებზე დაჰკრა.

— იგი წყალში გაჩნდა, წყლის ქალიშვილია. შენ მიწის შვილი ხარ, სუფთა ჰაერზე დაიბადე. მთავარია, რომ ჩვენ ვუგებთ ერთმანეთს.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ნუგზარი, მაგრამ გაბოშვილმა ჩაიჩურჩულა, მოდისო და რონდელიც მაშინვე გაჩუმდა.

კადილა მოვიდა და იკითხა, როგორ დანაყრდითო?

— შესანიშნავად, ქალბატონო კადილა, — თქვა ვიტალი შლიახოვმა.

— აღმოვაჩინეთ, რომ რესტორანს გაცილებით უკეთესი კულინარები ჰყავს, ვინემ ჩვენს სამზარეულოს.

— ვითომ?

— ნამდვილად ასეა, — დაეთანხმა ვიტალის ანდროც.

— ვალერი და ნუგზარი რას იტყვიან?

კულინარიაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი. მანქანა იყოს,

სხვა საქმეა. აბა, რა სალაპარაკოა, მწვადს შეწვა აკლია, თუ ცვრიანია. მე კარგად შემწვარსაც და ცვრიანსაც თანაბარი სიამოვნებით შევექცევი. ასეთ საქმეებში დიდი ავტორიტეტი ანდრომ მოიხვეჭა. მისი სიტყვა კანონია.

— თქვენც ამ აზრისა ხართ, ნუგზარ?

— არა, მე მხოლოდ იმას ვიტყოდი, ჩვენიც და აქაური კულინარებიც თავისი საქმის დიდი ოსტატები არიან. ანდროსა და ვიტალის აქაური საჭმელი თუ უფრო გემრიელი ეჩვენათ, ეს იმის ბრალია, რომ ამ მაგიდასთან თავი ისე ვიგრძენით, როგორც შინ, ხმელეთისეულ რესტორანში. თანაც უფრო დაღლილებიც გახლდით და ამან განსაზღვრა მადაც და გემოვნებაც.

— შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაშინ უკან მიმაქვს ჩემი წინანდელი მოსაზრება, — გაიღიმა ვიტალი შლიახოვმა.

— შევთანხმდეთ, არც თქვენი მზარეულია ურიგო ამიტი.

— ასე დავადგინოთ, თანახმა ვართ. თუ შეიძლება, ახლა ის გვიბრძანეთ, როგორია ჩვენი შემდგომი მარშრუტი?—თქვა ნუგზარმა.

— ახლა ალბათ აჯობებს, ცოტა დავისვენოთ.

— სწორი გადაწყვეტილებაა, — მაშინვე დაეთანხმა ანდრო.

— წავიდეთ სასტუმროში. სულ ახლოსაა, ასე რომ, მსუყე სადილის შემდეგ ცოტა გასეირნებაც კარგია.

— გეთანხმებით, — ჩაილაპარაკა ვიტალიმ და წამოდგა. სხვებიც ადგნენ.

— ახლა მეორე გასასვლელიდან გავალთ. მოვხვდებით სულ სხვა ქუჩაზე.

კადილა სწორედ გიგანტური აკვარიუმისაკენ წავიდა. იმ დერეფანთან რომ მივიდა, შეჩერდა.

— ის რესტორნის მეორე განყოფილებაა? — იკითხა ვალერიმ.

— დიახ, მეორე განყოფილება გახლავთ. აქ წყლის ამიტები სადილობენ. ცოტა განსხვავებულია, არა?

— რასაკვირველია, ცოტა სხვაობა არის, მაგრამ რესტორანი მაინც რესტორანია.

კადილას აღარ უპასუხია, დერეფანი ჩქარა განვლეს და ზედ გასასვლელთან შეჩერდნენ. გასასვლელი ორი იყო. ერთი—დერეფნიდან პირდაპირ ფართო ქუჩაში გადიოდა, მეორე—

ზედ ეკვროდა აკვარიუმს. ამ ორ გასასვლელს მხოლოდ და მხოლოდ გამჭვირვალე მინა ყოფდა. მინის იქით კი ჩანდა ოკეანის ფსკერი, ლამაზი ხეივანი. ხეივანი რესტორნისაკენ მოემართებოდა და შესასვლელთან თავდებოდა. აქედან მოყოლებული, ხეივნის მიერ გავლებულ სწორ ხაზს ფართო დერეფანი აგრძელებდა, რომელიც რესტორნის წყლიან ნაწილში შედიოდა.

ამიტები ცურვით მოჰყვებოდნენ ხეივანს და მერე ასევე ცურვით მიდიოდნენ მათთვის განკუთვნილ მაგიდებთან.

— აი, შუაზე გაყოფილი კაცობრიობა, იქით—წყლის გონიერი არსებანი,. აქეთ—კიდევ—ხმელეთისა, შუაში მხოლოდ მინის კედელი, ძალზე სიმბოლურია, — შესახა ვალერიმ.

ნუგზარი თავის მატროსს მიუბრუნდა:

— ვალერი, ოდესმე ლექსებს ხომ არ წერდი?

— ვწერდი, ამხანაგო კაპიტანო. ვწერდი და მგონი არცთუ ისე ცუდად. მამას სურდა, ინჟინერი გამოვსულიყავი და ლექსების ორი საერთო რვეული დამიხია.

— მაშინვე მივხვდი, ლექსებს რომ წერდი, პოეტური ხედვა გაქვს.

— ძალიან მსიამოვნებს ეს ქათინაური.

კადილა უკვე პატარა სკვერში იდგა, რომელიც ამიტებს სწორედ რესტორნის წინ გაეშენებინათ. განიერი ქუჩაც სწორედ ამ სკვერიდან იწყებოდა. ირგვლივ ნაირფერი ყვავილები ბიბინებდნენ. კადილა ყვავილის ბუჩქებთან იხრებოდა და თითოეულ ყვავილს ნაზად ეფერებოდა. ეს სკვერი ყველაზე უფრო მიყვარს ამიხოტში. ხომ ძალიან ლამაზია?

კადილას სახეზე უსაზღვრო კმაყოფილება აღბეჭდოდა.

— მართლაც დიდებული სკვერია.

— როცა ამიხოტში ვარ, არ შემიძლია ეს კოპწია ყვავილები არ მოვინახულო და გულში არ ჩავიკრა. როგორ ხართ, ლამაზებო?

იცით რა ორიგინალური სკვერია. ჰიბრიდია წყლისა და ხმელეთისა.

— ეს როგორ? — იკითხა ანდრომ და ყვავილებთან დაიხარა.

— აი, ნახეთ, ფეხები ოკეანის ფსკერზე აქვთ, ტანი სპე-

ციალური მილით შემოდის ხმელეთის სამყაროში და ჩვენ გვატკბობს. ნახეთ წყლისა და ხმელეთის ჰარმონიის ნაკოფი.

— კარგად შეეგუა ასეთ სიცოცხლეს? — იკითხა ნუგზარმა.

— შეეგუა, მშვენივრად შეეგუა. ამიხოტში ამ პრინციპზე რამდენიმე სკვერია გაშენებული.

— საინტერესოა! — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

— დიახ, ახლა კი დიდ ბაღს აპროექტებენ. წავიდეთ, ძმებო! აი, სასტუმროს შენობაც ჩანს.

კადილამ ხელი სკვერს მიღმა გაიშვირა, სადაც კოხტა სამსამართულიანი შენობა ჩანდა.

— ახლოს ყოფილა, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

— ახლოსაა. დღეს პარლამენტის სხდომა მიმდინარეობს და სასტუმროს წინ ბევრი მანქანა დგას.

— ხშირად იკრიბება ხოლმე თქვენი პარლამენტი? — იკითხა ვალერიმ.

— ხშირად, ეს იმის შედეგია, რომ უკანასკნელ დროს ძალზე ბევრი პრობლემა წარმოიშვა, რომლის გადაჭრა მხოლოდ პარლამენტს შეუძლია. დეპუტატებიც ოფლს ღვრიან, რა ქნან?

— ეს კოხტა მანქანები დეპუტატებისაა?

— დიახ, მათია. სასტუმრო განსაკუთრებით მოსწონთ ჩვენი პარლამენტის წევრებს. სასტუმროს მეპატრონე დინაკი გახლავთ.

— დინაკი? — გაიკვირვა ნუგზარმა.

— დიახ, დინაკი. მას ამიხოტში სასტუმროს გარდა კიდევ რამდენიმე პატარა საწარმოც აქვს.

— რით ამარაგებს სახელმწიფო მინისტრი ამიტებს? — იკითხა ვალერიმ.

— ნელსაცხებლებით.

— შესანიშნავია, ეტყობა, სახელმწიფო მინისტრი მშვიდობიანი კაცია.

— განა თქვენ არ იგრძენით ეს?

— დიდი ხანია ვიგრძენით, აკი მოგახსენეთ კიდეც ჩვენი აზრი დინაკზე.

ეს უკვე ნუგზარმა თქვა. ვალერი კი, ამ დროს სასტუმროს

ვარდისფერი მარმარილოს კიბეზე ჩამომავალ ერთ დაგვაჯულ კაცს აკვირდებოდა. იმ კაცს შავი ხმელეთური კოსტიუმი ეცვა, ძლივს ჩამოდიოდა კიბეზე. როცა ფეხს ქვედა საფეხურზე ჩამოდგამდა, შავი კოსტიუმიდან ბალიშივით ამოზნექილი კუზიც მოუჩანდა. მან ერთი გამოიხედა და მაშინვე ვალერის მზერა დაიჭირა. შებრუნდა, კიბანის კარი სწრაფად გამოაღო, ჩაჯდა და კარი მიიჯახუნა.

— მეკატი, მეკატი იყო... მინდოდა მივსალმებოდი, მაგრამ ზურგი შეგვაქცია.

— შეიძლება მართლაც მეკატი იყო, ან სხვა ვინმე. ამიტი ამიტს ჰგავს, როგორც ადამიანი ადამიანს.

— არა, მეკატი არც ერთ ამიტს არ ჰგავს. იგი სულ სხვაა, ყველასაგან განსხვავებული, ნამდვილად მეკატი იყო.

— შეიძლება, — დამარცვლა კადილამ, — რა მოხდა მერე! მეკატი დეპუტატია, ალბათ სხდომაზე მიეჩქარება.

— ამიხოტში ცხოვრობს? — არ ისვენებდა ვალერი.

— არა, მან საცხოვრებლად თავისი ლაბორატორიების ტერიტორია აირჩია.

— შორს არის აქედან?

— რაზე მეკითხებით, ვალერი, რა არის აქედან შორს? — კადილას ხმაში ცოტა გაბრაზებაც იგრძნობოდა.

— აი, მეკატის ლაბორატორიები.

კადილამ ნაძალადევად გაიცინა.

— შორს გახლავთ. აქედან შორს, მაგრამ იმ სახლიდან, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ახლოს. გაქვთ კიდევ შეკითხვა?

— არა, მაგრამ... მგონი, გაგაბრაზეთ, მაპატიეთ.

— მე უკვე შევეგუე თქვენს დიდ ცნობისმოყვარეობას.

— მაშ, მაპატიეთ?

— ისეთი არაფერი ჩაგიდენიათ, პატიებას რომ საჭიროებდეს. წავიდეთ, დროს უქმად ვკარგავთ.

კიბეს რომ აჰყვნენ, ვალერი არც აქ მოშორებია კადილას, მის გვერდით მიაბიჯებდა, მერე სულ ახლოს მივიდა და ხელკავიც გაუკეთა.

— კადილა, მითხარით გულახდილად, მეკატი თქვენზე ნაწყენია?

— უცნაური კაცი ხართ, ვალერი, ეს კიდევ საიდან მოიტანეთ? მეკატი ჩინებული პროფესორია. ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემთ მას. ჩემზე ნაწყენი რად უნდა იყოს?

— არა, ისეთი ზიზღით გამოიხედა, რომ...

— უბრალოდ ფიზიონომია აქვს ასეთი. მან ბავშვობისას დიდი ფიზიკური ტრამვა მიიღო და დამახინჯდა. მის ასეთ ამიტად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ადამიანებმა ითამაშეს.

— საინტერესოა.

— მეკატის მამა ცნობილი პიროვნება იყო, სამხედრო მოღვაწე. ერთხელ თავისი მანქანით, რომელშიც ვაჟიშვილიც ეჯდა....

— კიბანით, — შეუსწორა ვალერიმ.

— უფრო სწორად თანამედროვე კიბანის წინამორბედით, ოკეანის ზედაპირზე ნავარდობდა. ისინი სანაპირო დაცვის კატარღებს წააწყდნენ. კატარღებმა რაღაც ნიშანი მისცეს და მერე ნიშანს ცეცხლიც მოაყოლეს. კიბანი დაზიანდა. მეკატი ხერხემალში დაიჭრა. მთავარი ისაა, ამიტთა სხვა ორი კიბანი რომ არ მიშველებოდა, მამა-შვილს ოკეანის ფსკერზე დაბრუნება აღარ ეწერათ.

გრძნობადაკარგულ მეკატს რთული ოპერაცია გაუკეთეს. იგი გადარჩა, მაგრამ სამუდამოდ დამახინჯდა.

— და მის შემდეგ ვერ იტანს ადამიანებს, რომლებმაც მახინჯ კუტად აქციეს.

სასტუმროს კარი ვალერიმ შეაღო. დიდ ვესტიბიულში აღმოჩნდნენ.

— აქ დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდები, გავიგებ, რომელი ნომრები მოგვცეს.

ამ დროს ნუგზარიც მოვიდა და კადილა ერთ წუთს შეყოვნდა.

— თქვენ რაღაც საეჭვოდ თათბირობთ. შეთქმულებას ხომ არ გვიწყობთ?

— ჰო, ტერორისტებმა გადაგვიბირეს.

კადილამ ვალერის მწყრალად გადახედა.

— გთხოვთ, მათ ნუ ახსენებთ.

ვალერიმ ენაზე იკბინა. კადილა კი ნელა გაუყვა დერეფანს. მალე დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცალ-ცალკე ნომრები შევუკვეთე, ხომ სწორად მოვიქეცი? — კადილა ამას ნუგზარს ეუბნებოდა.

— მგონი, აქ საჭირო არ არის ასეთი ფუფუნება, გვერჩია ოთხივენი ერთად მოვთავსებულიყავით, თუ ამის საშუალება იქნება. ასე აჯობებს.

— კარგით, შევეცდები, ნომრები შევაცვლევინო. დაბრძანდით, ახლავე მოვალ.

ვესტიბიულში სავარძლები და გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდაზე არაფერი არ ეწყო. დასხდნენ თუ არა, მაშინვე ორმა მარჯვე ბიჭმა, რომლებიც თითქოს ჭერიდან ჩამოეშვნენ, გრძელ მაგიდაზე გაზეთები მიმოფანტეს. კიდევ რაღაც თქვეს, მაგრამ სტუმრებმა ღიმილით უპასუხეს. იმ ბიჭებმა კი თავი დაიქნიეს და როგორც უჩუმრად გამოცხადდნენ, ასევე გაქრნენ.

ვალერიმ გაზეთი აიღო და ანდროს მიაჩეჩა.

— შენი ჭირიმე, ხმამაღლა წამიკითხე, სათვალე დამრჩა.

ანდრომ გაზეთი დინჯად ჩამოართვა. მერე ასევე დინჯად ჯიბეები მოიქექა.

— ჰაუ, ბიჭო, რა გიყო, მეც დამრჩენია, ი ვერანა.

— რა მოგივიდათ? მე წაგიკითხავთო, — თქვა ვიტალი შლიახოვმა და ჯერ არარსებულ ენაზე მთელი პირველი გვერდი ჩააბულბულა.

კადილა რომ დაბრუნდა, ვიტალის ცხვირი ისევ გაზეთში ჰქონდა ჩარგული, რაღაცას ბუტბუტებდა. ვალერის ყური თითქმის მისი ტუჩებისათვის მიედო და გულმოდგინედ უსმენდა.

კადილა მივიდა და გაოცებული მისჩერებოდა ამ სცენას. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვალერიმ შეაჩერა, ხომ ხედავთ, ვიტალი გაზეთს გვიკითხავსო.

კადილამ გაიცინა.

— ეს სპექტაკლიც შენი დადგმულია, ვალერი, ხელწერას კარგად ვცნობ.

ნუგზარმა სკამი გამოაჩოჩა და კადილაც დაჯდა. ვიტალიმ გაზეთი გვერდზე გადადო.

— ახლა.... — დაიწყო კადილამ, — თქვენი სურვილი შესრულებულია, ზუსტად ჩემი ნომრის წინ შეარჩიეს თქვენთვის ოთახი.

— სასიამოვნოა, ოთხივენი ერთ ოთახში მოვთავსდებით, არა? — იკითხა ნუგზარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ვალერის მიღებაზე უარს ამბობენ. — გაიცინა კადილამ.

— სრულებითაც არ მჭირდება თქვენი ამიხოტი. შინ დავბრუნდები.

— აი, მეც გადამედო თქვენი ხუმრობანია... შეგვიძლია ნომრები ახლავე დავიკავოთ.

— მაშ, წავიდეთ! — ნუგზარი წამოდგა.

ვესტიბიული ნელა გაიარეს და გრძელ დერეფანში გავიდნენ.

— პირველი სართული ავირჩიე. თქვენ ხომ არა ხართ წინააღმდეგი?

— არა, შესანიშნავია, კიბეზე ასვლა-ჩასვლა ძალიან მეზარება, — თქვა ანდრო გაბოშვილმა.

— ჰოდა, აგისრულდა ნატვრა. გემზე კაიუტა პირველ სართულზე გქონდა. აქაც პირველ სართულზე იცხოვრებ. მეტი რაღა გინდა? — უთხრა ბასილაიამ.

კადილა შუა დერეფანში შეჩერდა.

— მარჯვნივ თქვენი ნომერია, მარცხნივ—ჩემი. შებრძანდით.

— თქვენ არ შემოხვალთ?

— თუ გსურთ, ცოტა ხნით შემოვალ, დავათვალიერებ.

ოთახში შევიდნენ თუ არა, ნუგზარი გაოცებული შედგა.

— საოცარი მშვენიერებაა, — ჩაილაპარაკა მან და დინჯად შეუდგა ახალი გარემოს გაცნობას.

ეს იყო დიდი მრგვალი ოთახი, რომელსაც ხუთი მხრიდან ქიმები ებმოდა. ოთახის ცენტრში ლურჯი ჭაღი ჩანდა. თითოეული ქიმის გასასვლელს თეთრი გამჭვირვალე ქსოვილის ფარდა ფარავდა. ეს ქსოვილი იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ მის მიღმა ჩანდა წითელი ხის კოხტა საწოლი თავისი ტუმბათი. მხოლოდ ერთი ქიმის შესასვლელთან არ ეკიდა გამჭვირვალე ფარდა. მრგვალი ოთახიდან ამ ქიმში ვიწრო დერეფანი გადიოდა. კედლებსა და ჭერზე მოლურჯო მოთეთრო ტყავი იყო აკრული. ვალერიმ შესვლისთანავე თქვა: კედლები ლურჯი ზვიგენის ტყავითაა დაფარულია. კადილამ დაუდასტურა.

— ზვიგენის ტყავით ოთახის გაფორმება ამიტებისათვის

კარგ ტონად ითვლება. დინაკს არ აკლია გემოვნება, ეს აქაც ნათლად ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზვიგენი ზვიგენია, მაგრამ ლურჯი ზვიგენი ხომ ულამაზესი ზღვის ცხოველია, — თქვა ვალერიმ.

— მართალი ბრძანდებით. ლურჯი ზვიგენი სილამაზის განსახიერებაა. — დაეთანხმა კადილა.

— როგორ მოხდენია ეს ლამაზი ტყავი ოთახს, არა, ქალბატონო კადილა? აქედან არსად აღარ წავალ. რატომ მოგვიყვანეთ ამ მშვენიერებაში, რომ არ წავიდეთ, ჩვენი ბრალი იქნება? — თქვა ვალერიმ.

— თქვენ იმდენი მშვენიერება გინახავთ, აქ დარჩენას აღარ ისურვებდით. ისე, მართალი გითხრათ, მეც მომწონს აქაურობა.

— რა ჰქვია სასტუმროს? — იკითხა ისევ ვალერიმ.

— „ლურჯი ზვიგენი".

— აა, როგორც კი ფეხი შემოვდგი ამ ოთახში, მაშინვე გავიფიქრე, რომ სასტუმროს სწორედ ეგ სახელი მოუხდებოდა. ბატონმა დინაკმა იცის თავისი საქმე.

— ტუალეტი იმ ქიმშია, თუმცა ზედმეტია ჩემი ახსნა, ვალერი ხომ აქაა, ყველაფერში გაერკვევა. ხანდახან ის უბრალოდ ტექნიკით გატაცებული კაცი კი არა, დეტექტივი მგონია.

— ბავშვობაში მქონდა ეგ სურვილები, როცა ლექსების საქმეში ჩავფლავდი, სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, გამომძიებელი გავმხდარიყავი.

— ტყუილად არ დამორჩილებიხარ ამ ცდუნებას, — თქვა კადილამ, — მერე ნუგზარს მიუბრუნდა, — ახლა დაგტოვებთ, კარგ დასვენებას გისურვებთ.

გაბრუნდა და, ის იყო, ნომრიდან უნდა გასულიყო, რომ ვალერის ხმა მოესმა:

— თქვენი ნომრის დათვალიერება თუ შეიძლება?

კადილა შემობრუნდა.

— ძალიან გაინტერესებთ?

— რასაკვირველია, საინტერესოა შეიტყო, თუ როგორ სძინავთ წყლის ამიტებს.

— დათვალიერება შეიძლება, მაგრამ ახლა არა, ეს საქმე გადავდოთ. აი, კარგა რომ დავისვენებთ, მერე მოგიპატიჟებთ.

თქვენს განკარგულებაში სრული საათნახევარია. შემდეგ ქალაქში გავიდეთ და კორიდას დავესწროთ.

— კორიდას?!

— დიახ, კორიდას. ამის თაობაზე ცოტა უფრო გვიან ვისაუბროთ, ახლა დროს ნუ დავკარგავთ. ვიცი, ვალერის ბევრი შეკითხვა ექნება.

კადილამ კარი გაიხურა.

— ეს კორიდა რაღაა, ღმერთო, ნუთუ აქ არენაზე მოჯირითე ხარებიცა ჰყავთ, — თქვა ვალერიმ და წრიული ოთახის დათვალიერებას შეუდგა. ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა, ყოველ პატარა საეჭვო ადგილს უდიდესი გულმოდგინებით სინჯავდა. ნუგზარი სავარძელში იჯდა და ირონიული ღიმილით მისჩერებოდა ამ ყოჩაღ დეტექტივს, ერთგან რომ შეჩერდა და მთელი ხუთი წუთი დაკვირვებით სინჯავდა სულ ციცქნა ადგილს, ჰკითხა, იპოვე რამეო?

ვალერიმ არ უპასუხა, მაგრამ იმ წუთში ოთახში გაისმა ქალის ხმა. ეს ხმა სწორედ იმ ადგილიდან მოდიოდა, სადაც ახლა ვალერი ჩხირკედელაობდა.

— რადიოს მივაგენი, — ამოღერღა მან.

რეპროდუქტორში კი ქალი ლაპარაკობდა მკაცრი, ცივ ტონით. მერე ერთბაშად კაცმა იქუხა.

ვალერი შემობრუნდა.

— უსმენთ?

— ვუსმენთ და სიტყვა-სიტყვით ვიმახსოვრებთ ყველაფერს. აბა, რაა მოსასმენი? — ჩაილაპარაკა ანდრომ.

— შე სულელო, ეს დინაკი ლაპარაკობს.

— რაო? — იკითხა ნუგზარმა.

— დინაკის ხმაა, გინდათ, ნაძლევს ჩამოვალ.

— მგონი, მართლაც დინაკია, — კბილებიდან გამოსცრა ნუგზარმა.

ვალერი ამ დროს ისევ კედელს მიჰყვებოდა. იქვე, სულ ახლოს, რაღაც იპოვა და ისევ შეჩერდა. დიდხანს სინჯავდა საეჭვო ადგილს. მერე თითი გაჰკრა პატარა ღილაკს და...

ორიოდე კვადრატული მეტრის მანძილზე კედელი გაიხსნა. გამოჩნდა ეკრანი და ღილაკებით დაფარული პატარა დაფა.

ვალერიმ გაიღიმა. გაოგნებულ ანდროს ცხვირწინ აართვა

სავარძელი, კედელთან მიაჩოჩა და ჩამოჯდა. ის ახლა დაფას აკვირდებოდა გულმოდგინედ, მორიგეობით სინჯავდა ღილაკებს. ეკრანი რომ გაჩახჩახდა, ნუგზარს გამოხედა. ნუგზარი წამომდგარიყო, მაგიდას გადმომხობოდა და ახლა მის სახეზე ირონიული ღიმილის ნაცვლად გაოცება აღბეჭდილიყო.

ეკრანზე დინაკი გამოჩნდა. იგი ტრიბუნასთან იდგა და უზარმაზარ დარბაზში მთელი მგზნებარებით ლაპარაკობდა.

საათნახევრის შემდეგ კადილამ დარეკა. ვალერიმ უპასუხა.

კადილამ ჰკითხა, თუ ადექითო. ვალერიმ უპასუხა: ჯერ არ დავწოლილვართო. არც ამიტი ქალიშვილი დარჩენილა ვალში: — აბა, ნუღარ დაწვებით, მოვდივარო. სულ ორ წუთში მართლაცდა წრიულ ოთახში კადილა გაჩნდა.

სტუმრები მაგიდასთან ისხდნენ თითქმის იმავე პოზაში, საათნახევრის წინ რომ ეკავათ.

— დინაკს მოვუსმინეთ, პარლამენტში წარმოთქვა სიტყვა. — თქვა ნუგზარმა.

— სად, როგორ? — ყასიდად გაიკვირვა კადილამ.

— ტელევიზორში ვნახეთ...

— ტელევიზორში?

— დიახ, ტელევიზიითაც ვიხილეთ და რადიოშიც მოვუსმინეთ. — ეს უკვე ვალერიმ განაცხადა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

კადილამ გაიცინა.

— განგებ არა ვთქვი, რომ თქვენს ნომერს ტელევიზორი ჰქონდა. მაინტერესებდა, ვალერი იპოვიდა თუ არა. არ მითხრათ, თითქოსდა მას სხვამ მიაგნო. მაინც არ დაგიჯერებთ. ესეც ვალერის ხელწერაა.

— ჩვენ გვეგონა, ტელევიზორს გვიმალავდით, — თქვა ნუგზარმა.

კადილამ კოპები შეიკრა.

— ეს რამ გაფიქრებინათ?

— არა, გეხუმრეთ, კადილა. მართლა გეხუმრეთ, თქვენ ასე უცბად აენთეთ. მაგას როგორ გავიფიქრებდით. ისე მაგარი ბიჭი ყოფილა ვალერი, სულ თხუთმეტ წუთში რადიოც იპოვა და ტელევიზორიც.

— ვალერი ნამდვილი დეტექტივია. დინაკს მოუსმინეთ, არა?

— დიახ, მაგრამ მიუხედავად მისი დიდებული მჭევრმეტყველებისა, მაინც ვერ გავიგეთ, თუ რაზე დაობდა სახელმწიფო მინისტრი. ისე კარგი მაგარი დაკადაკა გაჩაღდა თქვენს პარლამენტში. მეკატიც ჩინებულად ლაპარაკობდა. მასაც მოვუსმინეთ. ამიტები გაცილებით უფრო ტემპერამენტიანები ყოფილან, ვინემ ეს გარეგნულად ჩანს. თქვენი პარლამენტი ამის ნათელი დადასტურებაა.

— ხშირად, როცა სადაო საკითხებს იხილავს პარლამენტი, მართლაც ცხარე კამათი ჩაღდება.

— ახლა რა საკითხს იხილავს? — იკითხა ვალერიმ ისე, რომ თავი ზევით არც კი აუწევია, იატაკს აკვირდებოდა.

— საფინანსო გეგმას იხილავენ.

— მხოლოდ ერთი საკითხისათვის შეიკრიბნენ?

— არა, ტერორისტებზედაცაა მსჯელობა.

კადილა წამოდგა.

— წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდება.

— მართლა კორიდაზე მივდივართ?

— რასაკვირველია.

— ხარების კორიდაზე?

— არა, სამწუხაროდ, ჩვენ ხარები არა გვყავს, მაგრამ ვფიქრობ, არც ზვიგენებთან ბრძოლაა ნაკლებ საინტერესო.

— ზვიგენებთან?

— დიახ, ზვიგენებთან.

— და ყველაფერი ეს ჰგავს ჩვენებურ კორიდას? — ეს უკვე ნუგზარმა იკითხა.

— კორიდა ამიტებმა ადამიანებს მოგპარეთ. პირველი კორიდა მაშინ გაიმართა, როცა სატელევიზიო გადაცემა მივიღეთ ბუენოს-აირესიდან და დავტკბით ხართან ვაჟკაცური ბრძოლის მშვენიერებით. იმავე დღეს დაიბადა იდეა ამიტური კორიდისა და აი... დანარჩენი იქ, არენაზე...

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ შევთანხმდით, საღამოთი გწვეოდით თქვენს ნომერში, — თქვა ვალერიმ.

— კორიდა მალე დამთავრდება, ჩემთან ვიზიტი მერეც შეიძლება. ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ, მეგობრებო.

ისევ იმავე დერეფნით გამოვიდნენ ფართო ქუჩაში და მაშინვე სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს მდგარ წრიულ შენობას მიაშურეს.

კოხტა შენობა იყო და შესასვლელიც ბლომად ჰქონდა. ამ შესასვლელებისაკენ უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ ამიტები. ზოგს სასუნთქი აპარატი ეკეთა, ზოგიც ხმელეთის ამიტი გახლდათ. ისინიც ნაკადს მიჰყვნენ და დიდ, უშველებელ დარბაზში აღმოჩნდნენ.

ცენტრში უზარმაზარი აკვარიუმი იდგა. აკვარიუმში შუქი არ ენთო და მხოლოდ მოლურჯო კრიალა წყალი ჩანდა. აკვარიუმის გვერდით უშველებელი ეკრანი იდგა. დასხდნენ თუ არა, ეკრანიც აინთო. კადრში ლამაზი ქალიშვილი გამოჩნდა. მაყურებლებს ესპანურ ენაზე მიესალმა და შემდეგ განაცხადა, რომ გადაცემა მიჰყავდა მონტევიდეოს ტელევიზიას:

— ნუთუ მართლა მონტევიდეოა?

— მონტევიდეო აჩვენებს. ახლა ჩვენ ხართან ბრძოლას ვნახავთ. ჩვენ ვუყურებთ სამხრეთ ამერიკის, მეხიკოს, მოსკოვის, იაპონიის და თბილისის გადაცემებსაც. მსოფლიოს ყველა კუთხის გადაცემებს ვიჭერთ, მაგრამ ზვიგენებთან ბრძოლის წინ ყოველთვის ხარებთან ბრძოლას აჩვენებენ. ჩვენი კორიდა თქვენი კორიდას გავლენით დამკვიდრდა.

— კარგი იქნებოდა, ტელევიზორი ჩვენც გვქონოდა, — თქვა ვალერიმ.

— ეს ჩემი უყურადღებობის ბრალია, ხვალვე გექნებათ ტელევიზორი, — თქვა ძალზე ხმადაბლა კადილამ.

ტელევიზორში კი ამ დროს ლამაზი ქალიშვილი აცხადებდა, მონტევიდეოში სტუმრად იმყოფება ცნობილი ტორეადორი ხუან ფარიაო.

მერე კადრი პირდაპირ კორიდას გვიჩვენებდა. არენაზე იდგა ის ვიღაც ფარია, მაღალი და მოხდენილი ჭაბუკი. მაყურებელთა ლოჟები გრიალებდა, ხუანი თავს იქნევდა და ყველას თავაზიანად ესალმებოდა. ხანდახან თითები ტუჩებთან მიჰქონდა და ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა მონტევიდეოელ სენიორიტებს.

ფიცხი ურუგვაელები აკიჟინდნენ.

ბოლოს არენაზე გამოიჭრა უზარმაზარი ხარი.

— ჩვენი დიდებული ხმელეთი, — ნაღვლიანად თქვა ანდროომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადილამ ანდროს გადახედა. ისე გადახედა, თორემ სიტყვაც არ დაუძრავს.

ტორეადორმა ორი მახვილი აღმართა. როცა მისკენ გამოქანებულ ხარს თითქოსდა ბასრ რქებზე უნდა წამოეგო, იგი სწრაფად აღიმართა ფეხის თითებზე, მახვილები ხარს კისერში ოსტატურად გაურჭო და ზედ რქების წინ გვერდზე გახტა. ხარმა სწრაფად გადაირბინა არენა, ზღუდესთან შემობრუნდა და ქშენით გაქანდა წითელქსოვილშემოხვეულ ტორეადორისაკენ.

ხუანი მშვიდად იდგა. მერე წითელი ქსოვილი ხარს თვალებთან აუფრიალა და სანამ ლოშქრმორეული ხარი არენას გადაირბენდა, ტორეადორს მატადორმა კიდევ ორი მახვილი მიაწოდა. ერთი წუთის შემდეგ ახალი მახვილებიც ჩასცა ტორეადორმა ხარს და ლოშქრმორეული ცხოველი მის წინ ჩაიკეცა.

ამიტები ტაშით მიესალმნენ ადამიანის გამარჯვებას. ტაში სწრაფად შეწყდა და ეკრანიც ჩაქრა. ორმა ამიტმა ეკრანი გაიტანა. არენაზე ვილაც მოხდენილი ჭაბუკი გამოჩნდა. მან აკვარიუმი გადმოსერა, მინასთან მოვიდა და მაყურებლებს მიესალმა. ცისფერი, მოკლე შარვალი ეცვა. ქამარზე გრძელი დანა თუ მეზღვაურის დაშნისმაგვარი რაღაც ეკიდა.

ლამაზი ყმაწვილი იყო, სულ ერთთავად იღიმებოდა. უეცრად არენაზე უზარმაზარი ზვიგენი შემოვარდა. ეს მტაცებელი ჩაქუჩა ზვიგენების ოჯახს ეკუთვნოდა. გვერდზე გაშვერილი ჩაქუჩებიდან დიდრონი თვალები ფოსფორს აშუქებდნენ. ზვიგენმა კარგად დაინახა ამიტი და შედგა, შემდეგ ლამაზი, ძლიერი კუდი გაიქნია და წრის შემოვლა იწყო.

— ნადირობას იწყებს, მშიერი ზვიგენია, — თქვა კადილამ.

— ვიცი, — უთხრა ნუგზარმა, — ზვიგენი საერთოდ მხდალი ცხოველია, გარშემო უვლის მსხვერპლს და მერე ესხმის თავს.

ზვიგენმა უკვე ხუთჯერ შემოუარა ამიტს. რამდენჯერმე სცადა წრის შევიწროება, მაგრამ ამიტმა ხელები დაიქნია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფრთხალი ზვიგენი მაშინვე გახტა, ისევ გრძელ ორბიტაზე გავიდა.

ამიტმა შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი. იქიდან რაღაც ბურთისმაგვარი ამოიღო, ხელი მოუჭირა. ბურთიდან წითელი სითხე გადმოიღვარა და წყალიც წითლად შეღება.

— ხედავთ, ზვიგენი ვერ ბედავს თავდასხმას. ყმაწვილი კი სისხლით აგიჟებს ზვიგენს, — თქვა კადილამ.

ნუგზარმა თავი დაუქნია.

— ვიცი ზვიგენის ეგ თვისება.

ზვიგენი ერთ წამს შედგა. მერე ზურგზე დიდი, ბასრი ეკალი საბრძოლველად აღმართა და ადგილს სწრაფად მოსწყდა. ცდილობდა ქვევიდან გაექროლა ამიტისათვის და ეკლით გაეფატრა.

ამიტი ელოდა ამ ვერაგობას, როგორც კი ზვიგენის ჩაქუჩები გაუსწორდა, ტანი მძლავრად აიქნია და თითქმის თავდაყირა დადგა.

იმავე დროს მის ხელში დანამაც იელვა, ზვიგენს ზურგში ჩასცა და თითქმის მკერდამდე გაფატრა.

ხმა არავის გაუღია, მხოლოდ ანდრომ დაუკრა ტაში, მაგრამ არავინ აჰყვა და თვითონაც გაჩუმდა.

— კარგად მოატყუა, —თქვა ანდრომ.

— დიდებულად,—დაადასტურა ვალერიმ.

ჭრილობა არ იყო სასიკვდილო. ზვიგენი მაინც შესანიშნავ საბრძოლო განწყობაზე იყო. მან აკვარიუმის მინას გვერდი უქცია და სადღაც გაქრა. არა, იგი გაქრა, მაგრამ თავისივე სისხლით შეღებილ აკვარიუმში ზვიგენი მკრთალად ჩანდა. მერე სისხლიანი წყალი ქვევით დაილექა და მინასთან გარინდული უზარმაზარი ცხოველი ნათლად გამოიკვეთა. ღრმა ჭრილობიდან ბამბასავით თეთრი ხორცი მოუჩანდა. ამიტი ისევ აკვარიუმის შუაგულში ნავარდობდა. იგი ხანდახან ზვიგენს ზურგს აქცევდა, ხან ზევით აიჭრებოდა, ზვიგენი მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა. ახლა უკვე ფრთხილობდა: პირველ შეტაკებას მისთვის ჭკუა ესწავლებინა.

ამიტმა კვლავ სისხლით გაახელა და ზვიგენიც მოსწყდა ადგილს. ეგი თავის ეკლიან ზურგს ისევ ამიტის მუცელს უმიზნებდა.

ამიტმა რაღაც საოცარი სიჩქარეთი ჩაყვინთა, ზვიგენს თვითონ მოექცა ქვევიდან, მუცელი მთელ სიგრძეზე გაფატრა. გაფატრული მუცლიდან ნაწლავები გადმოცვივდა და მთელ აკვარიუმში გაიფანტა. ამიტი დანით ჭრიდა ნაწლავებს, ზვიგენი კი უკან მისდევდა. ერთ წუთს ნაწლავები ამიტს ფეხებზე შემოეხვია, ახლა კი აღელდნენ თავშეკავებული ამიტები, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამიტი ელვასავით აიჭრა ზევით, შემობრუნდა და დადევნებულ ზვიგენს დანა ლაყუჩქვემოთ ჩასცა. სისხლმა მძლავრად გამოასხა.

ზვიგენი მინას დაეჯახა. მოდუნდა და ფარფატით ფსკერისაკენ დაეშვა.

— მოკვდა, — თქვა ვალერიმ.

— არა, ჯერ არ მომკვდარა. ზვიგენს გული ასე ადვილად არ უჩერდება, მაგრამ მას უკვე აღარ აქვს ძალა, ზვიგენი დამარცხდა, — უპასუხა კადილამ.

გამარჯვებული ამიტი მინასთან გამოჩნდა. ელვარე დანას აქეთ-იქით იქნევდა და ბედნიერი იღიმებოდა.

კადილამ ნუგზარს შეხედა.

— მოგეწონათ?

— საინტერესო ბრძოლა იყო. ხანდახან მაინც თუ მარცხდება ამიტი?

— იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, გაავებული ზვიგენი ისე სწრაფად დაფლეთს ამიტს, მიშველებასაც ვერ ასწრებენ.

— ცუდია.

— რას იზამთ, ბრძოლა ბრძოლაა.

— კიდევ ხომ არ ისურვებთ კორიდის ნახვას?

— არა, მგონი საკმარისია, თქვენ რას იტყვით, ბიჭებო? — ნუგზარი მეგობრებისაკენ შებრუნდა.

„ბიჭებმაც“ თქვეს: საკმარისიაო და კადილა ადგა.

შენობიდან რომ გამოვიდნენ, კადილამ იკითხა: სად ვივახშმოთო, რესტორანში თუ ნომერშიო?

ვალერიმ თქვა: ნომერშიო. ანდრომ: ჩემთვის სულერთიაო, ვიტალიმაც ისა თქვა, რაც ანდრომ და ბოლოს ვახშმობა ნომერში გადაწყვიტეს, მაგრამ სასტუმროში შემოვიდნენ თუ არა, ვალერიმ აიტეხა, გინდათ თუ არა, კადილას ნომერი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავათვალიეროთო, აღარც კადილა წასულა წინააღმდეგი, დერეფნიდან პირდაპირ კადილას ნომრისაკენ შეუხვიეს. მოზრდილ ოთახში შევიდნენ. სუფთა, კრიალა ოთახი იყო. ერთი დივანი და სამიოდე სავარძელი იდგა. კუთხეში კი დიდი იატაკჭრილი ჩანდა. ამ უცნაური ლიუკიდან ოკეანის წყლის ნელი დგაფუნი მოისმოდა.

კადილა ლიუკთან შეჩერდა.

— ძმებო, აი ჩემი ნომერიც. თუ უფრო მეტ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენთ, საყვინთო კოსტიუმსაც მოგართმევთ.

— თუ ნებას დაგვრთავთ, გესტუმრებით.

— მობრძანდით, სიამოვნებით მიგიღებთ.

— მართლა ჩავიდეთ? — იკითხა ანდრომ.

— ჩავიდეთ, მაშ... — უპასუხა ნუგზარმა.

— მაინცდამაინც დიდი სიამოვნების მომგვრელი არ უნდა იყოს დაწოლის წინ ცივი, მარილიანი წყლის შხაპი.

— პირიქით, — უთხრა ანდროს ვიტალიმ, — დაწოლის წინ ცივი შხაპი დიდებული რამაა. მხოლოდ უნდა მიეჩვიო.

— ჰო!.. — გაიკვირვა ანდრომ.

კადილამ თქვა: ახლავე მოვალო, გავიდა და ათ წუთში დაბრუნდა. ოთხი საყვინთო კოსტიუმიც მოიტანა.

— მე ჩავალ ნომერში, იქ დაგელოდებით. ნომერში კიბეც ჩამოდის, შეგიძლიათ პირდაპირ ყვინთოთ და თავს მისაღებში ამოყოფთ. ვის როგორ მოგესურვებათ. ტანსაცმელი აქვე გამოიცვალეთ.

კადილამ სასუნთქი აპარატი მოიხსნა. მაშინვე მზესავით გამოანათა უზადო სილამაზემ. მერე ლიუკთან მივიდა, ისკუპა და იატაკჭრილში გაუჩინარდა.

ამიხოტში შეძენილი კოსტიუმები გაიძვრეს და საცურაო ჩაიცვეს. მსუბუქი, ელასტიური კოსტიუმები იყო. ბიდონებიც ძალზე მოხერხებული და მსუბუქი გახლდათ.

ოქროსფრად მოელვარე კიბეს არც ერთი არ ჩაჰყოლია. ისევე ისკუპეს, როგორც კადილამ. ფართო ოთახში აღმოჩნდნენ. ოთახი კარგად იყო განათებული, დიდი დივანი, ექვსი სავარძელი და შუაში გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდის ერთ კუთხეში ტელეფონის აპარატი ჩანდა. ქვევით, იატაკთან ცოტა ახლოს მაგიდას ოქროსფერი მილი უვლიდა. როცა მასპინძელმა

სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟა, ამ ოქროსფერი მილის მნიშვნელობას მაშინვე მიხვდნენ. სტუმრებმა სკამზე დაჯდომა-სცადეს, მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. რაღაც ძალა ზევით ეწეოდათ. კადილამ გაიცინა.

— ფეხები საბჯენში გაუყარეთ.

— რომელ საბჯენში? — იკითხა ვალერიმ.

— იატაკთან რომ საბჯენია, აი, იქ.

ეს საბჯენიც ადვილად იპოვეს და ახლა სკამზე თავისუფლად მოთავსდნენ.

— მარტო ერთი ოთახი გიკავიათ? —იკითხა ვალერიმ.

— ერთი რატომ, ორი ოთახი მაქვს. იქით კიდევ საძინებელია.

— მაპატიეთ, კადილა, ასე წვრილმანებს რომ ვეხები, მაგრამ საინტერესოა, როგორ სძინავთ წყლის ამიტებს.

— საბოდიშო არაფერია... ახლავე აგიხსნით. ჩვენ გვძინავს თექის საძილე ტომარაში. ეს ტომარა კარგად ინარჩუნებს საჭირო ტემპერატურას. ამას გარდა შეგიძლია სითბოს მოუმატო ან შეამცირო. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტემპერატურა უფრო გსიამოვნებს.

— შეიძლება ეს საძილე ტომრები ვნახოთ?

ნუგზარი უხერხულად შეიშმუშნა. მაგრამ კადილამ ხალისიანად თქვა: შეიძლებაო და ნუგზარსაც მოეშვა.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. კადილამ ყურმილი აიღო, რაღაც ჩასძახა. მაშინვე მამაკაცის ხმა გაისმა. ის ვიღაც ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ყრუ, დაგუბებული ბგერები სტუმრებამდეც აღწევდა.

კადილას სახე ნელ-ნელა მოეღრუბლა, შუბლი შეეკრა. ყველანი მიხვდნენ, რომ რაღაც მოხდა.

ბოლოს კადილამ ყურმილი დადო, სტუმრებს გადახედა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, ალბათ, უჭირდა. კიდევ გადახედა სტუმრებს და წამოდგა.

— ჩვენ სასწრაფოდ უნდა დავბრუნდეთ უკან. ნურაფერს მკითხავთ, აბა, ვიჩქაროთ.

სტუმრები მაშინვე აიშალნენ.

კიბანში ჩასხდნენ თუ არა, კადილა ვალერისაკენ შებრუნდა.

— ვალერი, ერთი სერიოზული საქმის თაობაზე უნდა მოგელაპარაკოთ. იმას, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, დიდი ძნელობა აქვს თქვენთვის... და, ჩემთვისაც...

ვალერი დაიძაბა.

— ამ საუბარს მარტო მე ვისმენ თუ სხვებიც უგდებენ ყურს?

— არა, ახლა ჩვენ არავინ გვისმენს, კავშირი გამორთულია.

ვალერის აღარაფერი უთქვამს, დარწმუნდა, რომ კადილას რაღაც დიდი ამბავი უნდა შეეტყობინებინა.

— პარლამენტმა განიხილა თქვენი საკითხი.

— მერე?

კადილამ ძრავა ჩართო და კიბანი ნელა დაძრა. პასუხს აგვიანებდა და ვალერის სისხლი სახეში მოაწვა.

— რა გადაწყვიტეს?

— ცუდი მახარობელი ვარ, პარლამენტმა აკრძალა თქვენი დაბრუნება ხმელეთზე.

— ეს გუშინ მოხდა, არა?

— დიახ, თქვენ მაშინ უსმენდით პარლამენტის სხდომას, საბედნიეროდ, არც ერთმა თქვენთაგანმა ამიტური არ იცოდა და საქმის კურსში არ იყავით, რას ამბობდნენ დეპუტატები. დინაკი სამჯერ გამოვიდა, მაგრამ მოწინააღმდეგენი უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ.

— მეკატი რომელ ბანაკში იყო?

— მეკატი მოწინააღმდეგეთა ლიდერია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დინაკის წინადადება არ გავიდა.

ვალერის თითქოსდა სადღაც შორიდან ესმოდა კადილას ნაღვლიანი ხმა. თვალები ქუჩის გრძელი ნაცრისფერი ზოლისათვის მიეპყრო და ფიქრობდა. კი არ ფიქრობდა, უნდოდა ნათლად წარმოედგინა, რა მოხდებოდა შემდეგ, მაგრამ როგორც კი გონებაში ეს აზრი გაუელვებდა, მაშინვე ტანში ჟრუანტელი უვლიდა და ნააზრევ-ნაფიქრალს ველარ ალაგებდა.

— ჩვენ ისევ იმ გზით ვბრუნდებით?

— არა, სხვა გზით.

— რატომ?

— ეს გზა უფრო დაცულია. პარლამენტის ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ, მეშინია, ტერორისტებმა ისევ არ გამოვყონ ცხვირი, შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

— მართალი ბრძანდებით.

— მე არ მითქვამს მთავარი. აზრიანი კაცი ბრძანდებით და უნდა გამიგოთ. ამის შემდეგ თქვენი ყოფნა ამიტთა ქვეყანაში საშიშია. რას იტყოდით, გაქცევა რომ მოგიწყოთ... ამ იდეას ახლა ნაჩქარევად გთავაზობთ, მაგრამ სანამ დრო გვაქვს, ყველაფერი უნდა დავაზუსტოთ, ავწონ-დავწონოთ.

— სერიოზულად ამბობთ ამას?

— რასაკვირველია, გულახდილად რომ გითხრათ, ამაზე პირველად მაშინ გავიფიქრე, როცა თქვენ კიბანი მშვენივრად წაიყვანეთ. გახსოვთ ის დღე?

— როგორ არ მახსოვს, სკოლაში რომ მივდიოდით.

— დიახ, სწორედ მაშინ გავიფიქრე, რა იქნება ამ უბედურ ხალხს გაქცევაში ხელი შევუწყო-მეთქი. შენ შეგიძლია ამ საქმეს მშვენივრად დაადგა თავი. ხომ არ გეეჭვება?

— არა, ამ მანქანით უნდა გავიქცეთ?

— უდავოდ. მას შეუძლია იქროლოს ვერტიკალურად. აი, ამ ბერკეტს გადართავ და...

კადილამ გაიხედ-გამოიხედა. მერე ერთ ბერკეტს შეეხო და კიბანი სწრაფად გადავიდა ვერტიკალურ მდგომარეობაში.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვალერიმ თავი ველარ შეიკავა და ბეჭებით უკანა მინას მიენარცხა. იმავე დროს მეორე კაბინიდანაც ატეხეს კაი გვარიანი ბრახუნი.

კადილამ კავშირი ჩართო.

ნუგზარმა იკითხა: რა ხდებაო?

კადილამ უპასუხა: არაფერიც არ ხდებაო და კავშირი ისევ გამორთო.

— დაიხსომე, ბერკეტს დააყენებ ამ გრადუსზე, იგი თქვენებურად 0,01 ნიშნავს. ეს დახრილობა. საკმარისია, რომ შვიდ წუთში თქვენს გემებამდე მიაღწიოთ. მე ვერ გეტყვით, რას მოიმოქმედებენ ამიტები, როცა გაქცევას შეიტყობენ. შეიძლება მოსპონ მეთევზეთა მთელი ფლოტი. შეიძლება ხელთ იგდონ. შეიძლება არაფერიც არ ჩაიდინონ, მაგრამ ერთი რამ კი კარგად ვიცი, სულ ცოტა ორი საათი მაინც გავა, სანამ ისი-

ნი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ამიტებს არ უყვართ ნაჩქარევად რაიმე გააკეთონ. ეს დრო—ორი საათი საკმარისი იქნება მთელი თქვენი ფლოტი ნაპირთან რომ მივიდეს. იქ ამიტები ნაკლებ საშიში იქნებიან.

— ყველაფერი გავიგე. კარგად მესმის, რაც უნდა გავაკეთო.

— კიბანი დაგხვდება წითელ ოთახში. დღეს თქვენს ბინას უშიშროება არ იცავს. მათ იციან, რომ ამიხოტში იმყოფებით. მანქანას დავაყენებთ თუ არა, მე წავალ. ნახევარი საათის შემდეგ შეგიძლიათ ოპერაცია დაიწყოთ.

— ყველაფერი კარგად გავიგე, მაგრამ მადარდებს თქვენი ბედი, ხომ შეიძლება ამიტებმა თქვენზე იძიონ შური.

— ნახევარი საათი საკმარისია, რომ თავი შევაფარო ისეთ ორგანოებს, რომლებიც შემდეგ ალიბად გამომადგებიან.

— თქვენ ფიქრობთ, დაგიჭერებენ?

— მეტი რა გზაა, უნდა დამიჭერონ.

ვალერიმ საეჭვოდ გადააქნია თავი.

— ეჭვობთ ამაში?

— ვერ დავიჭერებ, ამიტები ასეთი გულუბრყვილონი იყვნენ.

— ნუ დარდობთ, მე ჯერ კიდევ მაქვს იმდენი ნდობა, რომ გაქცევის ორგანიზაცია არ დამაბრალონ, ამას როგორმე მოვაგვარებ. მთავარია, თქვენ გააღწიოთ. დაქოქავ კაბინას, მერე თეთრ წრეს დაუმიზნებ, ნელა შეეხები, კედელი გაიხსნება და როცა შენობიდან გამოხვალ, მერე გადართე ვერტიკალურზე. მიეცი მთელი სიჩქარე და მხოლოდ შვიდი წუთის შემდეგ ჩართე მუხრუჭები, გადადი ჰორიზონტალურ მართვაზე. გასაგებია?

— გავიგე, ძვირფასო კადილა. ყველაფერი ძალიან კარგად გავიგე.

როგორც კი კიბანი წითელ დარბაზში შესრიალდა, კადილა სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და უკანა კაბინას მიაშურა. ბიჭები ზოზინებდნენ და ქალიშვილმა ღია კარში თავი შეყო.

— ჩქარა გადმოდით, ჩქარა.

როცა ყველანი გადმოლაგდნენ, კადილამ უხერხულად გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ნახვამდის, ძალიან მეჩქარება.

რატომღაც ყველას ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

— კეთილი მგზავრობა, ქალბატონო კადილა! — მიაძახა ვალერიმ. იგი კიბანის კიჩოსთან იდგა და ნაღვლიანად მისჩერებოდა ამიტ ქალიშვილს.

კადილა შემობრუნდა. რაღაც თქვა, მაგრამ, რა თქვა, ეს კი ველარ გაიგო ვალერიმ. ხელი რომ მსუბუქად აიქნია, ნათლად დაინახა და თვითონაც ჰაერში აღმართა მაგრად შეკრული მუჭი.

გასართობ ოთახში შევიდნენ თუ არა, ვალერიმ ბლოკნოტში ერთი ფურცელი ამოხია, მეგობრებს თვალით ანიშნა: ყურადღება იყოსო და ფურცელზე ბატიფეხურით დაწერა.

„პარლამენტმა აკრძალა ჩვენი განთავისუფლება, მოსალოდნელია უარესი ამბები. ნახევარ საათში ჩვენ გავიქცევით კადილას მანქანით“.

ნუგზარი სავარძელში ჩაჯდა და ფურცელი მაგრად დაჭმუჭნა.

არავინ არ ელოდა საქმის ასე ერთბაშად შემობრუნებას. პირმოკუმული მისჩერებოდნენ მეთაურს.

მეთაურმა ჩაახველა და წყნარად თქვა:

— ამიხოტმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დიდებული ქალაქია, მაგრამ ძლიერ დავიღალეთ, ახლა, მგონი, ყველაფერს აჯობებს დასაძინებლად მოვემზადოთ. გაიღიმა და ვალერის თვალი ჩაუკრა.

მერე მთელი ოცი წუთი თავის ოთახში წრიალებდა, რაღაცებს ალაგებდა, მაგრამ ბოლოს ხელში „დიოსკურიას“ სურათებიღა შერჩა.

ვალერი ფეხაკრეფით შემოვიდა და კართან დადგა. ხელით ანიშნა, უკვე დროაო.

ნუგზარმა თავი დაუქნია, მეც მზადა ვარო.

დერეფანში ანდრო და ვიტალი იცდიდნენ.

ვალერიმ ადვილად იპოვა ის ღილაკი, რომელიც დერეფნისა და წითელი დარბაზის გამყოფ კედელს მაგიურ ძალას ანიჭებდა. კედელი გაიხსნა თუ არა, ერთმანეთის მიყოლებით წითელ დარბაზში გავიდნენ.

მკრთალი შუქი ენთო. ამ შუქის ქვეშ აჩრდილებივით მოძრაობდნენ. იქით, ცენტრში, კადილას კიბანი იდგა. ვალერი ძალ-ქანისაკენ წავიდა და სხვებიც გაიყოლა.

ჯერ უკანა კაბინის კარი გამოაღო და ბიჭებს ანიშნა: კეთილი ინებეთ და შებრძანდითო. ანდრო და ვიტალი გაატარა, ნუგზარი კი შეაჩერა. კაბინის კარი უხმაუროდ მიხურა და კაპიტანი წინა კაბინისაკენ წაიყვანა.

მთელი ეს მოძრაობა აბსოლუტურ სიჩუმეში მიმდინარეობდა.

ნუგზარი ერთ წუთს შეყოვნდა. ფეხი რაღაც რბილს წამოჰკრა. დაიხარა, საცურაო კოსტიუმი იყო და მეტი არაფერი. თავი ასწია თუ არა, იგრძნო, რომ დარბაზი წამსვე გაჩახჩახდა და მაშინვე კიბანის გვერდით ის მახინჯი ორფეხიც შენიშნა, ამიტები მეკატის სახელით რომ იცნობდნენ.

მეკატს შავი კოსტიუმი ეცვა. კოხტად შეკერილი კოსტიუმი მაინც ვერ უფარავდა კუზს. ხელები ძირს დაეშვა და თითქმის იატაკს უწევდნენ, თავი გვერდზე გადაეხარა და მარჯვენა თვალით ტყვეებს ზვერავდა.

— წაგასწარით. ახლა მაინც მოკვტებით, მე დავისვენებ. მოკვტებით, მოკვტებით, მოკვტებით... — ნერვიულადა და გაბრაზებით ღრიალებდა.

— მოკვტით! — კიდევ ერთხელ დაიღრიალა და შარვლის ჯიბეში ხელი იტაცა. ის ფარანივით იარაღი ამოიღო.

ნუგზარმა იგრძნო, რომ ყველაფერი დამთავრდა და თვალი გაუსწორა ჯოჯოხეთიდან მოვლენილ იმ შავ არსებას.

ერთბაშად დარბაზის ერთი კუთხიდან რაღაც ცეცხლოვანი შუქი წამოვიდა. ეს შუქი მეკატის მახინჯ თავს დაეცა და თვალის დახამხამებაში ეს დიდი ბურთი ფაფუკი თოვლივით გაადნო.

შავ კოსტიუმში გამოკრული ტანი დაიგრიხა, დაიმანჭა, ბრაგვანით დაეცა იატაკზე და მომაკვდავი გველივით მანამ იკლაკნებოდა, სანამ შუქის ახალმა ნაკადმა არ გადაუარა.

— დაბრუნდით თქვენს ბინაში, ყველაფერი დაიღუპა. ამიხოტში გადატრიალებაა, დინაკი მოკლეს, მოკლეს მადინიც. გარეთ ყველგან პატრულია, როგორც კი გახვალთ, დაგწვავენ, ჩაიკეტეთ. არ ვიცი, რა გეშველებათ. მაპატიეთ, მე უნდა წა-

ვიდე. შევეცდები, კიდევ რაიმე გავაკეთო თქვენთვის. ნახვამ-
დის. — კადილა გაქრა.

ნუგზარმა ზიზღით დახედა კუპრივით შავი სითხის პატარა
გუბეს, რომელიც სწორედ იქ იდგა, სადაც წუთის წინ მეკატი
დაეცა და მეგობრებს ანიშნა, წავიდეთო.

დერეფანში რომ შემობრუნდნენ, ვალერიმ ნაღვლიანად
ჩაილაპარაკა, ყველაფერი დამთავრდაო.

— რა თქვი? ამხანაგო ბასილაია, — კბილებში გამოცრა
მან, — არაფერიც არ დამთავრებულა, ყველაფერი ახლა იწ-
ყება, ამ წუთიდან იწყება, არავითარი წუწუნი. ყველა მეზღ-
ვაურმა კარგად იცის, რა უჯდება კაცობრიობას ოკეანის სტი-
ქიასთან ჭიდილი. ეს არის ყოველწლიურად ბობოქარ ზვირ-
თებში გამქრალი სამასი ათასი ადამიანის სიცოცხლე. ყველა
მეზღვაურმა იცის, მიდის რა ზღვაში, გარკვეული შანსი არსე-
ბობს, უკან რომ ვეღარ დაბრუნდეს.

ვალერი ოთხად იყო მოკუზული. ნელ-ნელა გაიმართა.

— ჩავთვალოთ ისე, რომ ახლაც მორიგი ზვარაკი მიიღო
ოკეანემ.

— ნუ ჩქარობ, ვალერი, ზვარაკი ნაადრევია. ჩვენ ჯერ კი-
დევ არ დაგვიყრია იარაღი. მთავარია ახლა, ამ წუთებში ჯა-
ბანი კაცის სული არ შემოძვრეს სხეულში. მხნედ იყავით,
ბიჭებო!

ანდრო გაბოშვილმა გაიცინა.

— ახლა ყველაზე უფრო მჯერა, რომ ჩემს იგოეთში კიდევ
გავივლი ცვრიან ბალახზე.

გასართობ ოთახში შემოვიდნენ.

ნუგზარი პირველი დაჯდა და თითებს შორის ბანქოს ქა-
ღალდი გაატკაცუნა.

— ამაღამ დაძინება არ გვიწერია, დაჯექით, ვითამაშოთ.

მეთერთმეტედ რომ დაარიგეს ბანქოს ქაღალდი, რაღაც
ყრუ გუგუნი გაისმა და მაშინვე შენობაც შეინძრა. ისე მაგ-
რად შეინძრა, რომ პრიალა კედლებმა ჭრიალი დაიწყეს.

ნუგზარმა სამი ტუზი ნელა დადო მაგიდაზე და მეგობრებს
გადახედა.

— ალბათ, მეკატის ლაბორატორია ააფეთქეს. ის სადღაც
ახლოსაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო? — იკითხა ნუგზარმა.

— შესაძლებელია, მართლაც ლაბორატორია ააფეთქეს. ახლა ტერორისტები და ძველი რეჟიმის მომხრენი ერთმანეთთან ანგარიშის გასწორებას შეუდგებიან. — გაიმეორა ვალერიმ.

ნუგზარს არ უპასუხია, გასუდრული იჯდა. ცოტა უფრო გვიან ის სამი ტუზი აიღო და ჩაილაპარაკა, თამაში განვაგრძოთო.

ეს პარტია დაამთავრეს და ახალიც დაიწყეს. ვალერის ჩამოსვლა იყო, მაგრამ ბანქოს ქაღალდს აღარ ჩამოსულა, რადგან მეორედ გაისმა ყრუ გრგვინვა. ახლა უფრო მძლავრი, უფრო ძლიერი და კედლებმაც კვლავ დაიწრიპინეს საცოდავად.

ვალერიმ თქვა: ჩვენი ეკრანი ხომ არ გაგვეხსნაო.

ნუგზარიც მაშინვე დაეთანხმა, გავიხედოთ ერთი გარეთ, რა ხდებაო.

ვალერიმ ბანქოს ქაღალდი მაგიდაზე დააწყო, მეგობრებს გადახედა და წამოდგა. სამივენი დაძაბულად მისჩერებოდნენ ვალერის. ვალერი კი მშვიდად მივიდა კედელთან და ის ჯადოსნური ღილაკიც მაშინვე იპოვა.

გაისმა ჩუმი შრიალი და კედელმა გახსნა იწყო. როგორც კი ფარი ბუდეში ჩაჯდა, ანდრო წამოდგა. მაგიდაზე გადმოემხო და ხელები ნიკაპს შეუბჯინა. ნუგზარმა ბეჭზე დაჰკრა.

— ახლა საჭირო არაა შენი გიგანტური სხეული გამოაჩინო. ისევ ისე დაჯექი, როგორც აქამდე. გაცილებით აჯობებს.

ანდრომ რაღაც ჩაილაპარაკა და დაჯდა.

— შენც დაჯექი, ვალერი, — თქვა ნუგზარმა.

ვალერი სანამ მაგიდის კუთხემდე მიაღწევდა, სკამს გამოედო და კარგა გვარიანად გაახმაურა.

ყველანი შეკრთნენ. აბსოლუტურ სიჩუმეში ეს ხმაური რაღაც ავისმაუწყებელ ტონად შემოიჭრა.

— იქნებ ხმაურის გარეშე შეძლო, — თქვა კაპიტანმა.

ვალერიმ კაპიტანის ხმაში თავშეკავებული სიბრაზე იგრძნო. ბოდიში მოიხადა და უხმაუროდ დაეშვა. ხელში ბანქოს ქაღალდი აიღო. გადმოაბრუნა, დახედა და ისევ მაგიდაზე დააწყო.

ფართო მინის მიღმა ისევ ის ნაცნობი პეიზაჟი ჩანდა. გა-

ნიერი, ნათელი ხეივანი, ქვემოდან წამოსული შუქის სვეტები, გრძელი სამსართულიანი შენობა და ლამაზი ყვავილნარი. ყველაფერი ისევ ძველებურად იდგა. დაძაბულ სიტუაციას არაფერიც არ შეეცვალა.

ხეივანში რომ მარტოხელა ამიტი გამოჩნდა, ყველას გაუკვირდა: ეს გზააბნეული საიდან მოსულაო, ქვეყანა იქცევა, ეს კი ხეივანში სეირნობსო.

იმ მარტოხელას ალბათ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ნელა გამოლია მთელი ხეივანი და როცა ყვავილნართან მოვიდა, მხოლოდ მაშინ შებრუნდა, იმ სამსართულიანი შენობისაკენ გაცურა.

ეს თავზეხელაღებული არსება წყლის ამიტი გახლდათ. ლურჯი რეითუზი ეცვა მხოლოდ და მეტი არაფერი. სანამ სამსართულიან სახლამდე მიაღწევდა, გზაში ერთი მასავით გზააბნეული ტიპი შემოხვდა და ქვეყნის დაქცევის წინა წუთებში შუა ხეივანში მშვიდობიანი მასლაათი წამოიწყეს.

სანამ ისინი ჯალაბობას მიიკითხ-მოიკითხავდნენ და ენასაც ჯაფას არ მოაკლებდნენ, ხეივნის ბოლოში კარგა მოზრდილი წერტილი გამოისახა. წერტილი სწრაფად იზრდებოდა და ყველა მიხვდა, რომ კიბანი მოდიოდა. სულ რაღაც წამებში კიბანი ყვავილნართან გაჩნდა. მძღოლმა მოტვლეპილი ადგილი შეარჩია და მანქანაც იქ დასვა. იქიდან ოთხი ამიტი გადმოვიდა. ჯერ ბუჩქნარები გაჩხრიკეს, მერე მინას მოადგნენ და...

ნუგზარმა ხმადაბლა თქვა: ფეხი არ მოიცვალოთო. ოთხივენი დაძაბული ისხდნენ მაგიდასთან და მინის იქით გახედვასაც ვერ ბედავდნენ. ნუგზარმა მხოლოდ მაშინ გაიხედა, როცა ოთახში გარედან შუქის მძლავრი ნაკადი შემოიჭრა. კაპიტანი მიხვდა, რომ ეს კიბანის პროჟექტორი იყო. შუქმა მხედველობა დაუქვეითა, ახლა ამიტებს ვეღარ ხედავდა. ამიტები მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა პროჟექტორი ჩაქრა. ისინი კიბანის გვერდით იდგნენ. მალე მათ კიდევ ის ორიც შემოემატა, ხეივანში რომ მასლაათობდნენ. ექვსთა თათბირი სწრაფად დამთავრდა, ოთხი ამიტი ისევ კიბანში ჩაჯდა. ორი კვლავ სამსართულიანი შენობისაკენ გაცურდა. კიბანიც დაიძრა და საიდანაც მოცურდა, ისევ იქით გაუტია.

— ჩვენ დიდებული დაცვა გვაქვს, — თქვა ვალერიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანმა ქვემოდან ახედა.

— ალბათ, ასეა საჭირო.

— ვგრძნობ მათ დიდ ყურადღებას, — ჩაიქილიკა ვალერიმ და ბანქოს ქაღალდს მისწვდა.

— ხომ არ განვაგრძოთ თამაში?

ნუგზარმა ის იყო პირი დააღო და რაღაცის თქმა დააპირა, რომ გარეთ საშინელი გრიალი გაისმა. შორს თვალსაწიერი სულ წითლად შეიღება.

ოთხივენი მინასთან აღმოჩნდნენ.

ის წითელი ფერი სულ დიდდებოდა და დიდდებოდა, მალე მთელი ჰორიზონტი მოიცვა.

— ნეტავ რა ხდება? — გაისმა ანდროს შემკრთალი ხმა.

ვალერიმ ჩაახველა.

— მეკატის ლაბორატორია იწვის.

— რაო? — იკითხა ნუგზარმა.

ვალერის წარბიც არ შეუხრია, ისევ ისე მტკიცედ გაიმეორა:

— მეკატის ლაბორატორია იწვის.

— საიდან იცი ყოველივე ეს?

ვალერი შეიშმუშნა, გაიხედა-გამოიხედა და მერე ძალზე ხმადაბლა თქვა:

— კადილამ მითხრა: მეკატის ლაბორატორიები თქვენგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობენ. მათ უზარმაზარი ტერიტორია უკავიათ. ახლა სწორედ ეს ლაბორატორიები ააფეთქეს, როგორც ჩანს, ტერორისტებს არც ისე კარგად აქვთ საქმე, მათაც მაგრად უტევენ.

— ეს საიდანღა იცი? — ჰკითხა გაბოშვილმა.

— არც ერთი ტერორისტი მეკატის ლაბორატორიას ხელს არ ახლებდა. ეს მთავრობის ჯარების საქმეა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ, იქნებ როგორმე წესრიგიც აღადგინონ, — თქვა ვიტალი შლიახოვმა.

— როგორც ჩანს, არც ისე უჭირთ, ჩვენი დაცვისათვის ხელიც არ უხლიათ. ძალიან რომ გასჭირვებოდათ, ამ დაცვასაც გაიძახებდნენ.

ვალერი თავის სავარძელში ჩაჯდა, თავი საზურგეზე გადაადგდო და თვალები დახუჭა.

ამის შემდეგ მთელი საათნახევარი გავიდა აბსოლუტურ მყუდროებაში. საათნახევრის შემდეგ კი, ისე შეინძრა შენობა, რომ არავის არ ეგონა, თუ ოკეანე არ გადალეკავდა. სინათლე ჩაქრა და წყვდიადში ვიტალის შემკრთალი ხმაც გაისმა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

ვიტალის ხმას ტელეფონის ზარიც მოჰყვა, ნუგზარის ოთახში რეკავდნენ. ნუგზარი სიბნელეში გავარდა, როგორც იყო ოთახის შესასვლელიც იპოვა და მერე ყურმილსაც მიაგნო.

— მე ნატეს დედა ვარ, კადილას და. ამიხოტში დიდი მიწისძვრაა, დედაქალაქი დაიქცა... დაიქცა ამიხოტი. კადილა იქ წავიდა, ყველანი წავიდნენ... ახლავე კიბანით მოვალ, მოემზადეთ, მგონი, თქვენი გადარჩენა შევძლო.

ნუგზარმა ყურმილი დადო თუ არა, შემობრუნდა. ვერავის ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყველანი იქვე იყვნენ, ორ ნაბიჯზე და კაპიტნის განკარგულებას ელოდნენ.

— ამიხოტი დაიქცა, — თქვა მან ნაღვლიანად, — დაიქცა მსოფლიოს უნიკალური ქალაქი....

მოემზადეთ, მგონი, ჩვენ მივაღწიოთ ნამიბიამდე.

— ვერაფერს ვხედავ! — თქვა ანდრომ.

— ახლა მთავარია სმენა! — თქვა კაპიტანმა და ფეხებში გამობლანდული სკამი გვერდზე გააჩოჩა.

ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში მკრთალი, შუქი გამოჩნდა. ოთახში ვიღაც ლამაზი ქალი შემოვიდა, მას ხელში ფარანი ეჭირა.

— მე ვარ, ნატეს დედა, — თქვა მან.

ეს ხმა ძალზე ნაცნობი იყო, ნუგზარი მიხვდა, რომ სწორედ ეს ქალი აერთებდა ტელეფონით კადილასთან.

— ამიხოტი ინგრევა, თქვენც დაიღუპებით, თუ ახლავე არ უშველეთ თავს. მე არა მაქვს განკარგულება თქვენი გაშვებისა, მაგრამ ახლა აქ არავინაა, ყველა გაიქცა, მარტო მე და ნატე დავრჩით. გადავწყვიტეთ, გაგიშვათ. ახლავე ჩასხედით მანქანაში.

ქალს უჭირდა ქართულად ლაპარაკი. იგი სწრაფად შემობრუნდა და დერეფანში გავიდა, მას მეზღვაურებიც გაჰყვნენ. კადილას და ჩქარა მიდიოდა, ნერვიულად ხსნიდა კარებს. ბოლოს ლიუკიც გახსნა და ქალმა ფარანი მანქანაში შეანათა.

— იჩქარეთ.

ნუგზარი მანქანაში შევიდა თუ არა, წინ ჩადგმულ ბიჭაკი გაიხედა. საჭესთან ნატე იჯდა. მის სახეზე ნუგზარმა დიდი შიში და მღელვარება ამოიკითხა.

— სად მივდივართ? — ამოიჩურჩულა ვალერიმ.

— გაჩუმდით! — გაისმა ნუგზარის ხმა.

ქალი ნატეს გვერდით გამოჩნდა თუ არა, მანქანა შენობას მოსწყდა და სწრაფად აიჭრა ზევით. იგი თითქმის ვერტიკალურად ადიოდა და ნუგზარი და მისი მეგობრები მაგრად მიეჯაჭვნენ სკამებს.

სუნთქვა უჭირდათ, თითქოსდა მკერდზე რაღაც მძიმე, უხეში საგანი ედოთ და მოძრაობის საშუალებას არ იძლეოდა.

უკან, შორს, ძალზე შორს რჩებოდა დანგრეული ამიხოტი, ოკეანის ლიანებით დაფარული ტყეები, გიგანტური კალმარები, კიბორჩხალები, ომარები და კიდევ ათასი რამ, რაც ამიტებს მოაგონებდათ.

ნუგზარმა ერთ წუთს თვალი შეავლო ქანდაკებებივით დადუმებულ თავის მეგობრებს. გაიფიქრა, რომ ეს ბიჭები, რაღაც დიდის მოლოდინში, დაძაბული ითვლიდნენ ცხოვრების მძიმე წუთებს.

ადიოდნენ და ადიოდნენ. გზა არ თავდებოდა და როცა ოკეანის ფხელ შრეებში მზის შუქის პირველი სხივები იგრძნეს, სული მოითქვეს.

— ჩვენ არ დავღუპულვართ, —სიხარულით თქვა ნუგზარმა და მაშინვე მარად უკვდავი, დიდებული მზეც გამოჩნდა. მზის თბილი, სიცოცხლისმომცემი სხივები აკიაფდნენ ამიტთა მანქანაზე. მანქანა ახლა ოკეანის ზედაპირზე მიქროდა იქით, საიდანაც მეთევზეთა გემებისაგან გაჭვარტლული ცა ჩანდა.

5(1
n 189/453

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Чачанидзе Родам Илларионович

ПАДЕНИЕ АМИХОТА

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1976

რედაქტორი ნიმა ანთელავა

მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვები ვ. ვახტანგაძე

გადაეცა ასაწყობად 5/I-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-76 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×9
ქაღალდის ზომა 84×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 17,64
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,16
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 406
ფასი 63 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули»
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომ-
ცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 1,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, Орджоникидзе № 50.



K 262.701
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა